რევაზ მიშველაძე

# სამოცდარვა ახალი ნოველა

გამომცემლობა „ალავერდი“
თბილისი, 1994

84 ქ 7-4
მ 751

ამ წიგნში შესული ნოველები უკანასკნელ ორ წელიწადში დაიწერა.

ჩვენმა წინააღმდეგობრივმა, რთულმა, ზიგზაგებიანმა, სისხლიანმა, ~~რებუსურმა დრომ~~ ამგვარად მიიპყრო ქართული ნოველის ერთი აღიარებული ოსტატის გულისყური.

ამ ახალ ნოველებს მწერლისთვის დამახასიათებელ გულთბილ იუმორთან და აშკარა ირონიასთან ერთად სევდაც ახლავს; ბუნებრივი სევდა – მამულის ძნელბედობით გამოწვეული.

ბონდო მაცაბერიძე
რობერტ მელიჭკაური

© გამომცემლობა „ალავერდი“
1994

# ნეკროლოგი სიკვდილის მიზეზს არ იუწყებოდა

„ყოველი მეუფება, რომელი თავსა თვისსა განევლთის, მოოხრდის, და სახლსა ზედა დაეცის“.

ლუკა 11, 17.

ნაცრისფერი, წვიმიანი დღეა.

მოწყენილ ქალაქს ქოლგა დაპატრონებია.

ქოლგის ქვეშ ადამიანები, თუ დაკვირვებიხართ, სხვანაირები ჩანან; რაღაცით დამოუკიდებელნი, თითქოსდა გამოყოფილნი სხვათაგან. ქოლგის ქვეშ პატარა მიკროსამყარო იქმნება და, ასე მგონია, ქოლგა მარტო წვიმისაგან კი არ იცავს ადამიანებს, არამედ წუთისოფლის რია-რია-ორომტრიალისგან, ცნობისმოყვარეთა აბეზარი შეკითხვებისგან, არამკითხეთა მეურვეობისგანაც.

ქოლგა უფარავს შეციებულ თავ-პირს ქუჩისპირას ეულ ყანჩასავით მდგარ ომის ვეტერანს, წინ ტაბურეტის სკამი რომ დაუდგამს და გასაყიდად სევასტოპოლის დაცვისთვის ორმოცდაათი წლის წინათ მიღებული ჩინ-მედლები გამოუტანია.

ქოლგას ტანაჯორივით ატრიალებს ხელში გრინვიჩის დროს კარგა ხნით ჩამორჩენილი ქუჩის საათისკენ თვალგაქცეული, სპონსორის ძებნით დაღლილი მოქალაქე, რომელსაც ამაოდ ჰგონია, რომ თუ დაუჯერებენ, ენდობიან და თავისი შვიდკაციანი საზოგადოება „სავსის“ სახელზე ფულს ჩაურიცხავენ, უახლოეს რვა თვეში ქვეყანას გაჭირვებიდან ამოიყვანს.

გახუნებულ ქოლგებს სამ-სამად შეფარებიან ექსპრეზიდენტის ერთგული ქალები. წვიმიანი დღე პოლიტიკური ბრძოლის გასაქანს ზღუდავს. ადამიანები ზედმეტად სერიოზულნი და, ცოტა არ იყოს, ბრაზიანები ჩანან. ამიტომაც ჩვენი დამამშვრალი დაიები ქოლგის ქვეშიდან უგემურად გაჰყვირიან „იუდა“,

„იუდას“. კარგად იციან, რომ „იუდა“ ამ გზაზე დღეს აღარ გამოივლის, ამიტომაც სათნო სახეებს ხან სამმანეთიანი (და ამიტომაც ვერგასაღებული) გაზეთებით პირთამდე სავსე ჯიხურისკენ მიაბრუნებენ და ხან, რაც კიდევ უფრო საკვირველია, ქსეროქსის რიგში მდგარი მოქალაქეებისკენ.

წვიმისგან ჩამცხრალ-ჩატკეპნილ მტვერში უფრო გამოკვეთილად ჩონჩხადქცეული სახლები. შებოლილი კედლები, ტყვიით დაცხრილული ძეგლები და დალეწილი ხეები, რაც დრო გადის, უფრო აგრძნობინებენ ადამიანებს მომხდარს და გადატანილს.

მოქალაქენი ამ ქუჩაზე გავლისას საყელოს აიწევენ და ფეხს აუჩქარებენ ხოლმე. ისე ფეხაკრეფით, იდუმალი, წინ მიმართული მზერით ჩაივლიან, როგორც ეგზალტიური თავბრუდამხვევი თამაშიდან გაბრუებული ბავშვები მიმოიფანტებიან ხოლმე, როცა მეზობლის ფანჯარას ბურთით ჩაამსხვრევენ და „მე დამ-ბრალდებას!“ ზარი ოროტოტოხავით ჰკივის ყურებში.

ამ დაფერფლილ-დანგრეულ არენასთან გავლისას ყველანი გრძნობენ თავიანთ ცოტ-ცოტა დანაშაულს და ერთი სული აქვთ ჩქარა გაეცალონ ამ საბედისწერო ადგილს, მათი პოლიტიკური გაგიჟების საუკუნო მაცნეს და საბუთს.

დაკორტნილ ქაშუეთთან უპოვართა დამხმარე საზოგადოება შავ პურს და სოსისის კონსერვს არიგებს. უპოვარნი ორ-ორად მიდიან მაგიდასთან და ორ-ორადვე იკარგებიან ალექსანდროვის ბაღის წიაღში. მათს ძალაუნებურ დაწყვილებას, ამჯერად, ის უბრალო მიზეზი აქვს, რომ კონსერვი ორზე ერთი ნაწილდება.

ცოტა ქვემოთ, შემსალაროსთან გრძელი, გაქვავებული რიგი დგას. პენსიონრები ჯიუტად ელიან სამი თვით დაგვიანებულ პენსიას. მოსკოვი ფულს ამ ბოლო დროს რატომღაც ხელმოჭერით აწვდის ურჩ „ყოფილ რესპუბლიკებს“. არა და ყოფილ რესპუბლიკებს, ჯერჯერობით, საბჭოთა მანეთის იქეთ გზა არა აქვთ. ისე მოაწყო იმპერიამ საქმე, რომ „ყოფილ რესპუბლიკებს“ არც საზღვრის დაცვა შეუძლიათ, არც თავის რჩენა და საათის

ქვა რა არის, საათის ქვის გაკეთებაც არ ძალუძთ, „სამრეწველო ცენტრალიზმის“ გარეშე.

ეს, შეიძლება, მთლად ასეც არ იყოს, მაგრამ თავისუფლება-თავსდამტყდარ მოქალაქეთა ერთი ნაწილი ისე დააშინა ბოლო თვეების ტრაგედიებმა, რომ, ლამის, ძველ, „სახელოვან“ დროში დაბრუნება ინატრონ. თვალისმოჭრა და გადარევა ხცოდნია სინათლესავით მოულოდნელად მოვარდნილ დამოუკიდებლობა-დემოკრატია-თავისუფლებას. გალაღებულ-გახანგებულნი ერთმანეთს დავერიეთ და, აი, შედეგი: შავი წვიმა ჩამოღვრილა დანაღმირებული პროსპექტის ერთ დროს ულამაზეს ფასადზე.

ოპერის გვერდით, ლუნაჩარსკის ყოფილი ქუჩიდან შავ-მოსასხამიანი კაცი ამოვიდა პროსპექტზე, ძველი აფიშის ნახევს თვალი შეავლო, ფართო, აკეცილფარფლიანი შლაპა შუბლ-ზე ჩამოიწია და მარცხნივ, მხატვართა სახლისკენ დაუყვა ტროტუარს.

სასტუმრო „თბილისის“ ნანგრევებთან კინოგადამღები ჯგუფი ფუსფუსებდა. ტანმორჩილი რეჟისორი ნინუა გზისგადაღმა დოინჯშემოყრით მდგარ ორ ფარაჯიან ყმაწვილს თუნუქის რუპორით გასძახოდა: „წამოდით! კამერა!“

კინოაპარატის რაჩხუნ-ღუღუნი რომ შეწყდა, რეჟისორმა მაშინღა შენიშნა მისკენ მზირალი.

– ბატონ ალიმს, ვახლავართ.

– იცოცხლე, ალეკო ჩემო. რაზე მუშაობთ?

– ომის თემაა, ცოტა დეტექტივიც, რა ვქნათ აბა.

– გამეხარდა თქვენი ნახვა. აღარ მეგონა, კინოსტუდია თუ კიდევ ფეთქავდა.

– წელიწადი გადის უმუშევრები ვყრივართ.

– ომის თემაა, აბა?

– ჰო, ჭიჭინაძემ დაწერა სცენარი. არაა ურიგო. თუ გადაღება შევძელით.

– რა შეგიშლით ხელს. ნატურა აგერაა. დეკორაციები არ დაგჭირდებათ.

— ახეა, კი... ხაუბედუროდ. რას შვრება კარგი პოეზია, ბატონო ალიმ, წეერთ?

— რას, ლექსს? დამანებე თავი, თუ ღმერთი გწამს, ამის მერე ლექსს დაწერ კაცი? საერთოდ არა მგონია, თუ ოდესმე კალამს მოვკიდებ ხელს. ან აქამდე რომ ვჯღაბნიდი, რისთვის, ვისთვის ვჯახირობდი, ვის რაში გამოადგა.

— არ თქვათ ეგ, არა. თქვენ ეგ არ გეთქმით. სახადივით გაივლის ეს პოლიტსენი. თქვენ თვითონვე იგრძნობთ, ყველაფერი თავის ადგილას დადგება. ავად არ ყოფილხართ? სიზმარი არ გინახავთ? ვითომ სიზმარი ნახეთ, ავ სიზმარს დააბრალეთ ყველაფერი. გუშინ, აქ რომ მოვედი, გითხრათ სიმართლე, ზუსტად თქვენნაირი განწყობილება მქონდა. რას ვმაიმუნობ და ვმასხარაობ, რა კინოგადაღება ამიტყდა. არ იქნება ახლა ახი ჩემზე, ვინმემ წამართვას ეს აპარატი და გადამაფშვნას თავზე მეთქი? ვფიქრობდი. მერედამერე გამიარა.

— არ ვიცი, არ ვიცი... აბა, კარგად მეყოლე. ხეირი შენს საქმეს.

— კარგად, კარგად, ბატონო ალიმ!

პოეტი ალიმ კეჟერაძე კინოგადამღებ ჯგუფს გაშორდა და კავშირგაბმულობის ყოფილი შენობის წინ გზა გადაჭრა. ფოტოაპარატის ჩხაკუნზე მიხვდა, რომ ვიღაცა ხურათს უღებდა. აპარატისკენ არც გაუხედავს, სწრაფად შემოტრიალდა, შლაპა წარბებზე ჩამოიფხატა და ჩქარი ნაბიჯით მარცხნივ გაუყვა ტროტუარს.

— ბიძია, ბიძია ეს რისი ტყვიაა? — ცისფერთვალა, თავბურძგლა ბიჭი ხელისგულზე დაწყობილ ცარიელ ვაზნებს უჩვენებდა.

— ავტომატის.

— ხომ გითხარით! — ბიჭმა ილიასა და აკაკის ძეგლთან ჩამომსხდარ ბიჭებს გახძახა.

პოეტმა ახლაღა შენიშნა, ასფალტზე უამრავი სხვადასხვა ზომა-ფერის ვაზნა ეყარა. დაიხარა, რამდენიმე აკრიფა და პლაშის ჯიბეში ჩაიდო. პირველი სკოლის ნანგრევებთან

აღმართს აუყვა, სურდა გერმანელ ტყვეთა მიერ მჭიდროდ ნაგები, სვეტებიანი სასახლის ეზოში შეეხედა, მაგრამ პატრულებმა უკან მოაბრუნეს. იუნკერთა ნასაფლავარებთან საშინელი დაღლილობა იგრძნო. სადღაც გასალაშინებულ ახალ ფიცრებს შორის მშრალი გამოარჩია, ჩამოჯდა და თავი ჩაქინდრა.

კატის კნავილმა გამოარკვია. კარგა ხანს ათვალიერა შენობათა ჩონჩხები და, როგორც იქნა, იპოვა. ჩაქცეული სამხატვრო სახლის მეორე სართულის შებოლილ სარკმელზე ნაცრისფერი კატა გადმომდგარიყო და ქუჩას ჩაკნაოდა.

წვიმამ გადაიღო. ცაზე დაცლილი, სიმჩატისგან მაღლა აწეული თეთრი ღრუბელი ირეოდა.

– ბატონო ალიმ!

მოიხედა. მის წინ მიკროფონმომარჯვებული ლამაზი გოგონა იდგა. იგი არაერთხელ ენახა, ეკრანზეც და ტელევიზიის წინ ჩამომსხდარ გაფიცულთა შორის, მაგრამ რა ერქვა, ვერაფრით ვერ გაიხსენა.

– ხომ არაფერს გვეტყოდით?

ჯინსიან, მაღალ ოპერატორს, იაპონური ვიდეოგადამღები მათკენ ჰქონდა მოშვერილი. „თავპატიჟის გადება“ გვიანი იყო.

– არაფერს, ჩემო კარგო.

– მაინც?

– ნამდვილად ვერაფერს გეტყვით. ტვინი მაქვს ამაზე ფიქრით გახვრეტილი. ასე დაბნეული ჩემს სიცოცხლეში არ ვყოფილვარ. ვერაფრით ვერ ამიხსნია, რა მოხდა.

– თქვენ რომ ამას იტყვით, ჩვენ რაღა ვთქვათ. ტელემაყურებლები პასუხს ითხოვენ, ხომ არაფერს გვიმალავთ, ან სწორი შეფასებისგან, დელიკატური მოსაზრებით, თავს ხომ არ იკავებთ?

– არა, ბატონო, არა. რა საჭიროა ახლა ლაპარაკი. მთელი საქართველო აქ უნდა ჩამოვსხდეთ და ცოტა ხანს უნდა ვდუმდეთ, როგორც თავზარდაცემისგან ენადაბმული ჭირისუფლები. მერე ავდგეთ და, თუ რამენაირად შევძელით, ამ

ნანგრევებს რაღაცა უნდა გადავაფაროთ, რომ ჩვენი შერცხვენა მთელმა მსოფლიომ არ დაინახოს. რა უნდა გითხრათ ახლა მე. ხზვას რომ თავი დავანებო, ჩემი თავი მე თვითონ შემძულდება, ამ საღამოს ტელევიზორში ამ ნანგრევების ფონზე მოღადადე ჩემი თავღრანჭი რომ ვიხილო.

— გმადლობთ, — უკმაყოფილოდ დაუგდო გოგონამ და გულზეხელდაწყობით მომავალი შავწვეროსანი მოქალაქისკენ წავიდა. ოპერატორი ფეხდაფეხ მიჰყვა მიკროფონიან კორესპონდენტს.

თვითმცლელი მოგრიალდა და ორმეტრიანი მორები გადმოცალა. თვითმცლელი რომ დაიძრა, მორებთან ბრეზენტისხელთათმნიანი ორი შავტუხა მუშა დარჩა. მორებისთვის ხელი არ უხლიათ. დანგრეულ სახლებს შეხცქეროდნენ.

— დელიღგაშიაღიაღვეუშხოლაქხვა? — ჰკითხა მაღალმა.

— ჩნგუზსომღელიაბღმახ — მშვიდად უპასუხა მეორემ.

— აღვამდონღუზჰმნარაგ? — ეჭვი შეეპარა კოლეგის პასუხში მაღალს.

— დელღლაზ! — მოკლედ მოუჭრა დაბალმა. მეტი არაფერი უთქვამთ ერთმანეთისათვის. ჩანდა, მათთვის ყველაფერი ნათელი იყო. მორებზე ჩამოსხდნენ და გააბოლეს.

— მოხვედით, ბატონო ალიმ? სიმართლე გითხრათ, უფრო ადრე ველოდი თქვენს გამოჩენას.

ალიმ კეყერაძე წამოდგა, მის წინ ბატისჭუკისფერთმიანი, წარმოსადეგი ქალი იდგა. ხელში „რედიკული“ არ ეჭირა და არც საკბეჩი კბილებიდან რომელიმე ჰქონდა ოქროგადაკრული.

— დაბრძანდით, დაბრძანდით, შეიძლება ჩამოვჯდე თქვენს გვერდით?

— მაპატიეთ?

— თქვენ მე არ მიცნობთ. ერთი უბრალო ქართველი ქალი ვარ, დედა ვარ. ერთი სიტყვით, რა მნიშვნელობა აქვს სახელს და გვარს.

ქალი ფიცარზე ჩამოჯდა და ბატონ ალიმს იმაზე უფრო

თამამად გამოხედა, ვიდრე დარბაისელი ქალბატონი შეხედავს ხოლმე, საერთოდ, ახალგაცნობილ, ჭარმაგ მამაკაცს.

— როგორაა ახლა საქმე, ბატონო ალიმ, კმაყოფილი ხართ?

— რითი ქალბატონო?

— თქვენი ნახელავით.

— რაზე ბრძანებთ, ვერ გავიგე?

— აი, ამაზე, რასაც ასე გულმოდგინედ ათვალიერებთ.

— ამას ეძახით ჩემს ნახელავს?

— რასაკვირველია, თქვენსას, ინტელიგენციისას, რა, ეჭვი გეპარებათ?

— რაში ქალბატონო?

— რომ თქვენი ნახელავია.

— რატომ ჩვენი და რატომ თქვენი ნახელავი არ არის?

— ასე დავსვათ ახლა საკითხი? ჩვენ რა შეგვეძლო, პატივცემულო. ჩვენ უბრალო ხალხი ვართ, ძალა თქვენს ხელში იყო.

— თუ ასარევად მობრძანდით, ვერ ამოგირჩევიათ სწორი მისამართი. თქვენ მე მიცნობთ, ქალბატონო?

— რომ გიცნობთ და ყოველთვის დიდ პატივს გცემდით, იმიტომ მოვედი თქვენთან, იკადრეთ ახლა ჩემისთანა გაუგებარ ქალთან ცოტა ხანს ლაპარაკი, არაფერი უჭირს. ახლა ყველაზე ადვილია, ადგეთ, ზურგი შემაქციოთ და გაეცალოთ აქაურობას. კი, ეს შეგიძლიათ, მაგრამ ამით გაკეთდება რამე? გეუბნებით, ჩვენ უბრალო ხალხი ვართ. თქვენ — თავიანებმა, ეს გააკეთეთ. არ ვარ მართალი?

ალიმი მართლაც აპირებდა წამომდგარიყო და უბოდიშოდ დაეტოვებინა ნერვებმოშლილი მოსაუბრე, მაგრამ რაღაც უხილავმა ძალამ ადგილზე მიაჯაჭვა.

— ამ ბოლო დროს საქართველოში მე ჯერ არ გამიგონია ადამიანს ეთქვას: მე ბევრი არაფერი გამეგება, მე ერთი უბრალო ადამიანი ვარო. თქვენ გულწრფელად ამბობთ ამას, ქალბატონო?

— ნამდვილად.

— როდის შემდეგ გახდით უბრალო და უცოდინარი

ქალბატონო? ამ ადგილას, სადაც ჩვენ ახლა ვზივართ, ხომ ყოფილხართ მიტინგებზე?

– არც ერთი მიტინგი არ გამიცდენია.

– სექტემბრის იმ ღამეს ქუჩაში ბარიკადები რომ აიღეს ყოჩაღმა ბიჭებმა და თავპირი დაალეწეს მათსავით უბრალო, მძინარე თანამემამულეებს, იქ იყავით, ქალბატონო?

– მე მგონი კი. მთლად ეგრეც არ იყო...

– მერე, რომ მობრუნდნენ „გამარჯვებული ბიჭები" და ცეკვა-თამაში გაიმართა, თქვენც ხომ ცეკვავდით, ქალბატონო?

– ყველა ცეკვავდა და მეც, მე მგონი.

– რა გაცეკვებდათ, ბოდიში, მაგრამ?

– გვიხაროდა და ვცეკვავდით.

– რამდენიმე დღით ადრე, რუსთაველის თეატრის წინ ექიმმა აბესაძემ თავი რომ დაიწვა, აქ იყავით, ქალბატონო?

– კი. ალი რომ ავარდა, აქედან ვუყურებდი.

– ხომ გეწყინათ, თქვენ უბრალო ხალხს, ეს ამბავი?

– რა საკითხავია.

– იმ საშინელი ამბიდან ოცი წუთის მერე ისევ ცეკვა-თამაში და ვარხალალო გაიმართა აქ, ამ ადგილას, ასე უცებ დაგავიწყდათ „უბრალო ხალხს" ეგ ამბავი?

– არ მახსოვს. ცეკვა-თამაში ნამდვილად არ მახსოვს და ისე პატარა მხიარულება ყოველთვის იყო ჩვენს მიტინგებზე.

– უკრაინამ გვცნოო, რომ მოგატყუეს, მაშინ რომ ცეკვა-თამაში გაიმართა, მაშინ თუ იცეკვეთ, ქალბატონო?

– მაშინ კი ნამდვილად. არ დავმალავ, გვიხაროდა და ვცეკვავდით.

– ა, ეს მინდოდა გამეგო, მეტი არაფერი. ახლა ბოლო კითხვა მაქვს და მერე თქვენი ხმალი და ჩემი კისერი. როდის შემდეგ გახდით უბრალოები, როდიდან ეძახით თქვენს თავს უბრალოს?

– სწორედ მანდაა ძაღლის თავი დამარხული. გაუტყდით თქვენ თავს, ვერ აიტანეთ უბრალო ხალხის სიხარული და ცეკვა-თამაში. შეგეხარბათ ჩვენი და ეს რისხვა დაგვატეხეთ თავზე.

– რა უნდა შეგვზარბებოდა, ქალბატონო. ძმების ცემისგან ხელდასივებული დამსჯელი ბატალიონის ბიჭები რომ ბუქნას უვლიდნენ და თქვენ გაზაფხულის ხოხბებივით დაგოგმანებდით წრეში, ეს უნდა შეგვზარბებოდა? თქვენი ცოდვა მიეცა, ვინც თქვენ ქვეყნის უბრალოებად და „ბრალიანებად" დჭყოფა გასწავლათ. ვინ ვარ თქვენი ჭკუით, მე ქალბატონო. რაკი ხიტყვების ერთმანეთზე მიწყობა შემიძლია, ამიტომ ვარ ხხვა და გარეული? გინახივართ სადმე ცხვირაწეული ალიმ კეერაძე? ის ლექსიც, თუ რამეს ვაჯახირებდი, თქვენთვის არ მინდოდა, ეს უპატრონო? ვისთვის მინდოდა აბა?

– ძლივს ხალხის მთავრობა მოვიდა, როგორც იქნა გავიხარეთ ჩვენც, რა იყო, რატომ ვერ აგვიტანეთ? ჩვენ თუ აგიტანეთ მთელი ცხოვრება. ჩვენ თუ ვუკრავდით ტაშს თქვენს უნიჭო ფილმებს და ლექსებს, ცოტა ხანს ჩვენც გაგვეხარა, რა იქნებოდა.

– ქალბატონო, იმ „ხალხის მთავრობამ" თქვენიხთანა უბრალო მეზობელი უწა-უწა აასახლა – ხედს მიფუჭებსო და იმ „ხალხის მთავრობამ" ბავშვების კარაქისთვის შეგროვილი ფულით ორი უსაშველოფახიანი „მერსედესი" იყიდა. ხომ არ დაგავიწყდათ ცეკვა-თამაშში ეს ამბავი?

– იყიდა და კარგიც ქნა. ვენაცვალე ხულში. თუ იყიდა, უხდებოდა კიდეც შიგ ჯდომა, მაგრამ ვინ დააცალა.

– ახლა, რაც ჩვენს უნიჭო ლექსებს შეეხება, რატომ გვიკრავდით უნიჭო ლექსებზე ტაშს, ქალბატონო, გთხოვათ ვინმემ?

– რა თხოვნა გვინდოდა, მხარს გიჭერდით, როგორც ქართველებს.

– რაკი ასე კარგად იცით, რომ ჩვენი ნახელავი უნიჭობა იყო, იქნებ ისიც გახხოვდეთ, ხადმე ამოგიკითხავთ ჩვენს ნაცოდვილარში – ამხილეთ, გაანადგურეთ ქართველებმა ქართველებიო?

– მისი ტრაგედიაც მაგაშია, რომ მხოლოდ ამბობდა და სინამდვილეში ჩიტის გული ჰქონდა. კაცს კი არა, ჭიანჭველასაც

არ ადგამდა ფეხს. ეგ რომ მართლა დიქტატორი ყოფილიყო, რა გვიჭირდა, თქვენისთანა ხალხს დროზე მოუვლიდა, როგორც საჭირო იყო და თვითონაც მშვენივრად იქნებოდა.

— მე თქვენ სერიოზული ქალი მეგონეთ, რა მჭირდა მოსავლელი მე, ქალბატონო, ვის რა დავუშავე?

ქალბატონი წამოხტა. ეტყობა ჩათვალა, რომ „მოსამზადებელი საუბარი“ ჩამთავრებული იყო და ხმას აუწია:

— დატკბით, დატკბით, ბატონო ალიმ, თქვენი ნაზელავით! ასეთი თბილისი გირჩევნოდათ და აგერ არის! ასეთი საქართველო გაძლევდათ ხელს და ა, ბატონო, ინებეთ! როგორ მეზიზღებით, რომ იცოდეთ! მე ხომ თქვენსას აღარაფერს წავიკითხავ, შვილიშვილებსაც დავუბარებ, თქვენი სახელი არ ახსენონ. ისტორიის განაჩენს ვერსად წაუხვალთ! თქვე გამყიდველებო!

ალიმი თავისუფლების მოედნისკენ მოიჩქაროდა და ყურს უსვრეტდა გალიფრებული ქალის ყვირილი. გულს ორი რამ უგლეჯდა განსაკუთრებით: ჯერ ერთი ის, რომ უძლური იყო პასუხი მიეცა. ეჩვენებოდა, რომ ამ ხმადაყენებულ დედაკაცს, სულ ერთია, მაინც ვერ გააჩუმებდა და მეორეც იმ მილეთის ხალხში ერთიც არ აღმოჩნდა, ეთქვა: არ გრცხვენიათ, ქალბატონო, პოეტი ალიმ კეჟერაძე რა შუაშიაო.

* * *

სახლამდე ძლივს მიაღწია. გულს აზიდვინებდა და სახეზე ზაფრანისფერი ედო. ცოლს არ გაუმხილა, რაც გადახდა. პირში ვალიდოლი ჩაიდო და წამოწვა. ბეჭში ხანჯალივით გარჭობოდა ტკივილი და სულს უხუთავდა.

ტელეფონმა დაიწკრიალა.

— ალო, ალიმი ბრძანდებით? მე ის მოცეკვავე-მოთამაშე ქალი ვარ დღეს რომ გაიცანი. ცეკვა-თამაში მაშინ ნახე, შენ რომ ჩამაღლდები, შე ერის მოღალატევ, შე...

ყურმილი დადო და მაშინვე ინანა, სიტყვის შებრუნება მაინც მომესწროო.

ნეკროლოგი სიკვდილის მიზეზს არ იუწყებოდა. რომ ეს ნოველა არა, პოეტის სიკვდილის ნამდვილ მიზეზს თქვენც ვერასოდეს გაიგებდით. დაასაფლავეს აპრილის ერთ წვიმიან დღეს. ცრემლგამშრალ ქალაქს ხეირიანად ტირილის თავიც აღარ ჰქონდა.

## ამერიკა, ამერიკა

რომ გითხრა, არ მომეწონა ამერიკა, ვერ ცხოვრობს ხალხი კარგად-მეთქი, დამიჯერებ? არ დამიჯერებ. კი, ყველაფერი ბევრი აქვთ — საჭმელ-სასმელი და ჩასაცმელ-დასახურავი. რავარი ტკბილი და მომფერებელია, იცი, ამერიკელი? საკუთარ მამიდაშვილში ვერ გამოარჩევ, მარა მე, ძმაო ვერ ვიცხოვრებ იქანა. ვერ ვუგებთ ჩვენ ერთმანეთს. არ გვესმის ერთმანეთის. მორჩა და გათავდა.

ერთი თვე ხელის გულზე მატარებდნენ, თან გადამყვნენ ჩემი მასპინძლები, მარა წესიერად არ ამომისუნთქავს, რაც იქ ვიყავი. გული ხელით მეჭირა. დაძაბულობა-ნერვიულობისაგან კინაღამ გავაფრინე.

ვერ ვაგებინებდი ჩემსას და იმათი კიდევ მე არ მესმოდა. ენაზე როდი გელაპარაკები. ჩემი მასპინძელი — ტომ სტივენსი ქართულს მშვენივრად ლაპარაკობდა, სპეციალურად, კომპიუტერით უსწავლია თვენახევარში. იცოდა, ალბათ, მე, აქედან ჩასული, ინგლისურად ჰიკჰიკს რომ ვერ დავიწყებდი.

პირველად ვიყავი საზღვარგარეთ საერთოდ.

ადრე სამჯერ-ოთხჯერ ტურისტად მინდოდა წასვლა, მაგრამ არ გამიშვეს. შენ გგონია, უარს მეუბნებოდნენ? რამე მიზეზს მომიძებნიდნენ და „მირჩევდნენ" არ წასვლიდეო? არაფერი მსგავსი. წითელი ხაზი იყო ჩამოსმული, როგორც ჩანს, ჩემს

საბუთებზე და ტურისტად რომ ჩავეწერებოდი, პატარა, უმტკივნეულო მარს მომდებდნენ, წასვლის დრო რომ მოახლოვდებოდა. ან ანკეტა არ გაქვს ზწორად შევსებულიო, ან სამედიცინო ცნობა მოძველდაო, ან ჯგუფი შეამცირესო, შეცვლილი პოლიტიკური ვითარების გამო ესა და ეს ქვეყანა ტურისტებს აღარ იღებსო...

ბოლოს მივხვდი, რომ არ უნდოდათ იმპერიიდან ჩემი გაშვება (რა საიდუმლოება ვიცოდი ამნაირი) და მოვეშვი მეც.

ახლა ამ ბოლო დროს, გაცვლობია რომ შემოვიდა მოდაში, ჩამწერა ალმასკომში ვიღაც ღვთიან-მადლიანმა.

ბულგარეთში არ მიშვებდნენ და ამერიკაში ვინ გამიშვებს მეთქი, არც მქონდა იმედი, გითხრა სიმართლე.

ბიჭოს! მეძახიან ერთ დღეს – სასწრაფოდ საბუთებიო. რა უნდოდა საბუთების მოგროვებას, ახლა ისე ძნელი აღარაა, დახასიათება-რეკომენდაციები აღარ გჭირდება. მოვხიკე ხელათ და ორ დღეში ჩავაბარე.

სანამ თვითმფრინავი ნიუ-იორკში, კენედის აეროპორტში არ დაეშვა, არც კი მჯეროდა, რომ ამერიკაში მივფრინავდი.

ჩვიდმეტნი ვიყავით აქედან, ჩვიდმეტივე. სხვადასხვა ამერიკელის ოჯახში ვცხოვრობდით ერთი თვის განმავლობაში. ახლა, სექტემბერში, იქიდან ჩამოვა ის ჩვენი ჩვიდმეტი მასპინძელი და ჩვენ უნდა მივიღოთ. ჩვენს სახლებში იცხოვრებენ.

აეროპორტშივე დაიწყო ჩემი გაუგებრობა ამერიკასთან და ასე გაგრძელდა ბოლომდე.

ამოიტანა თუ არა ჩემი ჩემოდანი კონვეიერმა, ვეცი მაშინათვე. საბაჟო ხომ ყველგან საბაჟოა, რა ბიჭები იქნებიან, გახსნილი და გაჩითული რომ არ ჰქონდეთ ჩემი ბარგი-მეთქი. *

ვუტრიალებ, ვსინჯავ, ძველი ტყავისსუროგატგადაკრული ჩემოდანი გასაღებებზე მქონდა დაკეტილი, მარა მე შენ გეტყვი, გასაღებს ვერ მოარგებდნენ. ძველი გასაღებების მეტი რა ექნებამეთქი ამერიკას. არ შეატყოს პატრონმა არაფერიო და

გატეხვით არ გატეხავდნენ, მაგდენს ქე მიხვდებოდნენ, რასაკვირველია.

ამ თვალიერება-ბუჯურში რომ ვარ, დამადგა თავზე კონვეიერის აყლაყუდა მორიგე. შეწუხებულია, რაღაცას მელაპარაკება, ხადაც დავადებ ხელს ჩემოდანს, იმ ადგილს მიასიკვდილდებს და ათვალიერებს, რაღაცას მიხსნის, რაღაცას მეკითხება.

ჩვენი გიდი რომ ახლოს იყოს, მითარგმნიდა, მაგრამ გიდსაც თავისი თავი უჭირს. მისმა ჩემოდანმა, ჩანს, დაიგვიანა ამოხვლა და დანა პირს არ უხსნის.

როგორც იქნა, მოვიშორე კონვეიერის მორიგე და გავიკვლიე გზა ხაბაყოს ჯიხურისაკენ. ჩემთვის არც შემოუხედავს, გაშალა თუ არა პასპორტი, რეკა ბეჭედი და დამიბრუნა.

ვსტაცე ჩემოდანს ხელი, გავედი განზე და იქვე, მაგიდასთან მდგომ მებაჟეს გავუშალე წინ ჩემი ავლა-დიდება.

თამამად ვარ. რა მიმაქვს ისეთი, რომ კისერში ჩამავლონ ხელი. ნიფხავ-პერანგის და ხამკერდე ნიშნების გარდა, მასიურად გამოშვებული თამარ მეფის ხამმანეთიანი თუნუქის ნაჭედობა მიდევს და ორი ბოთლი არაყი.

მესამე ბოთლი მოსკოვში, გამოხვლისას დარტოვეს: რომ ჩამობრუნდები, დაგახვედრებთო.

ჩახედა ჩემს ჩემოდანს ბობრმა, ხუფთად გაპარსულმა ამერიკელმა და კონსერვის ქილისხელა აპარატს, რომელიც ხელში ეჭირა, რაღაც ჩაულაპარაკა.

მოცვივდა სამი ზუსტად ამნაირად, ხუფთად და პეწიანად ჩაცმული ამერიკელი.

ჩახედავენ ჩემს ჩემოდანს და ფითრის ფერი ადევს ყველას სახეზე.

„რა განერვიულებთ, თქვე კაი ხალხო“, გულში ვამბობ, „გამჩხრიკეთ და გამიშვით ჩემს გზაზე. იმის ჩიტი ვარ, რამე აკრძალული წამომეღო და ამ უცხო ხალხში თავი შემერცხვინა?“ მევედრებიან, მიხსნიან რაღაცას, მარწმუნებენ, ქაღალდიც კი შემომაჩეჩეს, დაგვიწერეო.

მაგ ჭკუაზე ვარ სწორედ, მე არაფერს არ დაგიწერთ, მე ვუთხარი. მე თქვენ ვერ გენდობით, დაუძახეთ ჩვენს უფროსს და იმასთან ვილაპარაკოთ მეთქი.

მოიყვანეს გიდი და ოთხივენი მიცვივდნენ, თან ჩემს ჩემოდანზე უთითებენ. „რა მოხდაო", გიდი მეკითხება. „რა ვიცი, მე ვუთხარი, მაგენი შარზე არიან, მე მგონია, აგერაა ჩემოდანი და ნახონ. ხომ არ გავრბივარ", მე ვუთხარი.

ახლა მებაჟეებს მიუბრუნდა გიდი. ყოჩაღი ქალია, უნდა ვთქვა სიმართლე, საიდან აქვს ოცდაშვიდი წლის გოგოს ამხელა გამოცდილება. მამალი ქალიაო, რომ იტყვიან, ისაა სწორედ, არავის არაფერს გაატანს და ვაგლახად თავს არ დააჩაგვრინებს. „ესენი აქეთ გეკითხებიან: რა უნდა ჩვენთან, ჩემოდანი რატომ გახსნაო, ხომ არაფერი დაკარგეო".

ჩემი მხრივ ყველაფერი რიგზეა-მეთქი, მე ჩემოდანი გასაჩხრეკად დავუდევი წინ. გახსნაზე არ შევაწუხე, პატივი ვეცი მეთქი.

უთარგმნა გიდმა ჩემი ნათქვამი და ოთხივე მებაჟე ისე ახარხარდა, რომ მთელი დარბაზი ჩვენ მოგვაცქერდა. „თენქიუ, თენქიუს" ძახილით და მხარზე ხელის თათუნით გამომაცილეს. ჩემოდანიც თვითონ გამომიტანეს. რა საჭირო იყო ჩემოდანს რომ ხსნიდიო გიდმა, რენტგენში ხედავენ ყველაფერსო, ჯიბეში რა გაქვს შენ და თავში რა ფიქრი გიტრიალებს, ისიც იციან მაგენმაო.

ჩვენ-ჩვენი მასპინძელი მოსაცდელში გველოდა. „ყვაპუ, ყვაპუ ჯანჯალია!" იძახის ვიღაცა; შევხედე, ასე ჩემსიმაღლე, გამხდარი, მოკლესახელოებიანი, ცისფერპერანგა, მოლისფერშარვლიანი ჰალსტუხ-სათვალიანი ამერიკელია. კენედის მომდევნო ძმა (რომ მოკლეს) თუ გინახავთ სურათში, იმას ჰგავს რაღაცით. ჩემს გვარს ისე ლამაზად წარმოთქვამს, შენი მოწონებული.

ხელი ავუწიე ძველი ნაცნობივით.

ხანამ გიდი ერთმანეთს ჩაგვაბარებდა, უკვე ტკბილქართულით

ვსაუბრობდით. ხელში პატარა ლექსიკონი ეჭირა და ხანდახან ჩახედავდა, მაგრამ ამას დავეძებდი? ძლივს ქართულად მოლაპარაკე ერთი ამერიკელი აღმოჩნდა ამხელა ქვეყანაში და ისიც მე შემხვდა. ამაზე დიდი გამართლება არ არსებობს.

აეროპორტიდან რომ გამოვდიოდით, ჩემს მასპინძელს გავანდე; არაყი მაქვს ჩემოდანში და ვაჩუქებ საბაყოს ბიჭებს, კარგად მომექცნენ, კარგი ხალხია მეთქი. ჯერ ვერც თვითონ გაიგო, რაში გამოიხატა „კარგად მოქცევა" და რატომ უნდა მიმეცა არაყი.

მერე, როგორც იქნა, რომ გავაგებინე — არ გამჩხრიკესმეთქი, გაიცინა, რატომ უნდა გაეჩხრიკეო. არაყის მიცემა არ მირჩია. ვერ გაიგებენ, შეწუხდებიანო.

ოთხის ნახევარი იყო ტომის შინდისფერ „მუსტანგში" რომ ჩავჯექით.

მასპინძელი წამდაუწუმ საათზე იხედებოდა.

თქვენ, ალბათ, სამზე სადილობთ და ბოდიშს ვიხდი, რომ შეგაგვიანეთო, რა თქვენი ბრალია, მე ვუთხარი, საგზაო ფორმალობები ხომ მოგეხსენებათ. თვითმფრინავმაც შვიდი წუთი დაიგვიანა მეთქი.

ისე შევიფერე მეც სტივენსის ნათქვამი, თითქოს მართლა ზუსტად სამზე ვიყო სადილობას მიჩვეული და ქვეყანა დაიქცა, რომ რაღაც ნახევარი საათი გადამიცდა. შინ მისვლას ველარ ვასწრებთ, გზაზე კარგი რესტორანი მეგულება და იქ ვისადილოთო. არ გვინდა რესტორანი, თუ ძმა ხარ, რატომ უნდა დაიხარჯო. მე უბრალო კაცი ვარ, სახლში სადილობა მირჩევნია. რას გვაჭმევენ თქვენი მეუღლის გაკეთებულზე უკეთესს რესტორანში მეთქი.

ვერც ეს გაიგო, რასაკვირველია ტომმა.

სამჯერ ავუხსენი უბრალო სიტყვებით, დამარცვლით, მიმიკაც ჩავრთე, მაგრამ ვერა და ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა — „რას გვაჭმევენ თქვენი მეუღლის გაკეთებულზე უკეთესს რესტორანში".

ამის შემდეგ კიდევ უფრო დაფიქრებული მართავდა მანქანას და დროგამოშვებით ისე შემათვალიერებდა, როგორც ტურისტები ათვალიერებენ სფინქსს, ან მეზოზოური ერის ცხოველის სასწაულებრივად გადარჩენილ ჩონჩხს.

სასტუმროს წინ, ნაზირივით გამლილ მანქანებში ჩვენი „მუსტანგის" ადგილი არ აღმოჩნდა. კარგა ხანს ვურტყით წრე რესტორანს. ჩემდათავად აღმოვაჩინე კიდევაც ორი-სამი ადგილი გაზეთის კიოსკთან და შადრევნის სიახლოვეს, მაგრამ ტომმა იუარა; მანდ არ შეიძლება, მანქანის გაჩერებაო.

არაყი მაქვს ჩემოდანში, მივცეთ ერთი ბოთლი დარაჯს და გაგვიშანსავს ადგილს-მეთქი.

ფერფლისფერთმიანი, უქუდო მორიგე, რომელსაც ქუდის ნაცვლად მარტო კეპი ჰქონდა შუბლზე მიწებებული, იქვე მიმოდიოდა.

არც ეს რჩევა ისულგულა სტივენსმა. ადგილი თუ არ არის, არყის მიცემის შემდეგ საიდან გამოჩხრიკავს, ხოლო ადგილი რომ იყოს, უარყოდაც დავდგებითო, იფიქრა ალბათ.

მანქანის სადგომის ამაო ძებნაში დრო ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად გარბოდა.

ჩემმა მასპინძელმა რესტორნის კარებთან გამიჩერა, შედი და ადგილი დაიკავე, ხუთ წუთში შემოგიერთდები, გზის იქითა მხარეს დავაყენებ მანქანასო.

რესტორნის კარებში, კამერდინერ-იუნკრის კოსტუმში გამოწყობილი, თეთრზელთათმნიანი ზანგი იდგა. გამიღიმა და ჩემსკენ ორიოდე ნაბიჯი რომ გადმოდგა, ჯიბიდან პასპორტი დავაძრე და ხელში შევაჩეჩე. ჯერ მოსკოვში, სასტუმროში უსაბუთოდ ვინ შეგიშვებს და ამერიკაში მითუმეტეს მეთქი. შენობას, წეღანვე შევნიშნე, თავზე „ჰოტელ" ეწერა. „ჰოტელ" კი, არც მეტი, არც ნაკლები სასტუმროს ნიშნავს.

ზანგმა გადაფურცლა-გადმოფურცლა ჩემი პასპორტი, მადლობა გადამიხადა და გულის ჯიბეში მოწიწებით ჩაიდო. ვდგევარ და ველოდები; როდის დამიბრუნებს ეს შოკოლადისფერი შვეიცარი

პასპორტს. თავაზიანად მითითებს კიბეებისაკენ; აბრძანდი, ისიამოვნეო. ის-ის იყო ვიფიქრე, ალბათ აქ ასეთი წესია, პასპორტს გამოსვლისას დამიბრუნებენ მეთქი, რომ ტომიც მოგვიახლოვდა.

რას უდგეხარ, რატომ არ შეხვედიო, მკითხა.

ამ ძვირფასმა კაცმა პასპორტი ჩამომართვა და აღარ მიბრუნებს მეთქი.

არ ვიცი, რა უთხრა, შავმა კაცმა მაშინვე დამიბრუნა ჩემი ვინაობის დამამტკიცებელი საბუთი.

ავდივართ კიბეზე და ტომი კვდება სიცილით. ასეთი ყეყეჩი კარისკაცები გვყავს ამერიკაშიო, შენ რომ პასპორტი გაუწოდე, ეგონა, სუვენირად აჩუქე და ჯიბეში ჩაიდოო. გული დამწყდა, რომ მე და იმ უბრალო ამერიკელმაც ვერ გავუგეთ ერთმანეთს. ჩემოდანში არაყი მაქვს, ვაჩუქოთ, რას იფიქრებს ეს დარბაისელი კაცი ჩემზე მეთქი. რისთვის უნდა ვაჩუქოთ, რა სამსახური გაგვიწიაო. რატომ არ სამსახური, უსაბუთოდ გამოგვატარა მეთქი. მაგის მოვალეობა სწორედ ეგ არიო. ეგ არი, ალბათ, სტივენსი ტყუილს რაზე მეტყოდა.

მეორე დღეს სტივენსი, მისი მეუღლე და ოცდახუთი წლის ვაჟი — რიჩარდი, რომელსაც, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ნეკისსიგრძეზე დაყენებული, პერპენდიკულარული თმა ამშვენებდა, სამსახურში გაიკრიფნენ. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა. ჩვენთან მოსკოვიდან თუ გყავს სტუმარი, ერთი კვირა მაინც ახლო არ ეკარები სამსახურს (სტუმარს ხომ პატრონობა უნდა). ხოლო თუ უცხოელი გეწვია, ჩამოსვლამდე ერთი კვირით ადრე, თადარიგის დასაჭერად ბიულეტენზე გადიხარ, მერე იმ ერთ თვეს უფასო შვებულებას იღებ და, სანამ თვითმფრინავის ტრაპიდან არ დაგიქნევს ხელს, გვერდიდან როგორ მოშორდები.

წავიდნენ სამსახურში და დამიბარეს, თუ შინ მოგწყინდეს, აგერ, მარცხნივ, ჩვენსავე ქუჩაზე სკვერია, გაისეირნეო. თუ არა და, წამოწექი, დაისვენე, გნებავს, ტელევიზორს შეავლე ხოლმე თვალიო.

თერთმეტს გადაცილებული იყო, ჯიბეში სტივენსის სავიზიტო ბარათი, ხოლო ხელჩანთაში ერთი ბოთლი არაყი (მეორე ბოთლი, წუხელ, მასპინძლებს გადავეცი საზეიმო ვითარებაში) რომ ჩავიდე და ქუჩაში გამოვედი.

ნიუ-იორკში გრილოდა.

დეკორატიულ ნაძვის ხეზე ჩემთვის უცხო-უნახავი, მაგრამ ნამდვილი ჩიტი იჯდა და გაბმულად ჟღურტულებდა ამერიკული ჩიტის ჟღურტულით.

სკვერი არც მიძებნია, ქუჩას ჩავყვები და მაღაზიებს შევათვალიერებ; როგორა აქვთ საქმე, რა იშოვება და რისი დეფიციტი აწუხებთ მეთქი.

ნიუ-იორკში თუ ყოფილხართ, ორმოცდამეცხრე ავენიუზე, შუქნიშანთან, უკან გადაქანჯული ცათამბჯენის კუთხეში, სალეჭი რეზინის, ერთჯერადი შპრიცების და პრეზერვატივების ჯიხურს რომ გასცდებით, პატარა მაღაზიაა. სწორედ იმ მაღაზიის კარი შევაღე ჩემდა ჭირად.

შევედი თუ არა, ჯინსებში ძლივსჩატენილმა, ჩვეულებრივზე უფრო შავგვრემანმა, დიდტუჩება გოგომ და ბერეტიანმა, შუახანსგადაცილებულმა, ბზისფერულვაშა კაცმა დომინოს თამაში მიატოვეს და „პლიის, პლიის"-ის ძახილით ჩემსკენ გამოიქცნენ.

რა გნებავთ, რით გემსახუროთო, ალბათ ამას მეკითხებოდნენ, ლაპარაკს ერთმანეთს არ აცლიან და სახეზე ისეთი ნათელი გადაჰკრავთ, თითქოს მთელი კვირაა ჩემს შემოსვლას ელოდებოდნენ და, აჰა, ნატვრა აუსრულდათო.

ინგლისურად რომ ვერაფერი გამაგებინეს, ფრანგულ-გერმანულიც მოსინჯეს. იტალიურად არაფერი უკითხავთ და, სიმართლე გითხრათ, გული დამწყდა. გერმანულიდან პირდაპირ რუსულზე გადავიდნენ:

რა გნებავთ, რა მოგართვათ, რისი შეძენა გსურთო.

ნუ შეწუხდებით მეთქი, თქვენის ნებართვით, მივიხედ-მოვიხედავ. ჯერ არა მაქვს გადაწყვეტილი, რაც ძალიან

მომეწონება, იმას შევიძენ მეთქი. თქვენ განაგრძეთ თამაში. მე თვითონ შევათვალიერებ მეთქი მაღაზიას.

ვინ გამიგონა, ჩემს იქ ყოფნაში დომინოსკენ თვალიც არ გაუპარებიათ.

გარბი-გამორბიან. ჩამოყარეს ვიტრინიდან ყველაფერი. ტანზე იზომებენ ფართლეულს, აქებენ კვართ-შარვლებს, იაპონურ ფოტოაპარატებს, ტყავის თხელძირიან და, მგონი, ზოგ ხრულიად უძირო ფეხსაცმელსაც კი.

შევწუხდი ძალიან. ხომ არ დავუწყებდი ამ პატიოსან ხალხს ახსნა-განმარტებას: მე, სურვილის შემთხვევაშიც, ჯერ არაფრის მყიდველი ვარ, ორი კაპიკი, რომელიც როგორც ტურისტს მერგება, ბანკიდან ჯერ კიდევ არ გამომიტანია და საერთოდ, ჩემი ჯიბის დიდი იმედი ნუ გექნებათ. მე ერთი უბრალო, საბჭოთა დამთვალიერებელი ვარ, უვალუტო გაცვლის მსხვერპლი მეთქი.

ყველაზე უპრიანი ამ სიტუაციიდან გამოსასვლელად ის იქნება, — რასაც მიჩვენებენ დავუწუნო, ან ისეთი რამე მოვთხოვო, აქ კი არა, ჰონკონგის „მილიონი წვრილმანის“ მაღაზიაშიც რომ არ ექნებათ.

„ეს ფერი არ მომწონს, ასეთი ფერი მინდას“ პოზიცია წამგებიანი აღმოჩნდა. რა ფერსაც ვისურვებდი, იმ ფერის ტანსაცმელს დამიდებდნენ წინ. ფეხსაცმელები შევათვალიერე და რაკი „ინსპექტორს“ ვერ მოვკარი თვალი, ყასიდად მოვიწყინე. „ინსპექტორს“ ვეძებ რამდენი ხანია, აფსუს, არც თქვენ გქონიათ მეთქი. კაცმა გოგონას რაღაც გადაულაპარაკა. ყავისფერი გამყიდველი ტელეფონს ეცა და თხუთმეტ წუთში „ინსპექტორი“ ჩემს ფეხებთან იდო. დავხედე ყუთს და თავში ხელი შემოვიკარი. ეს ინგლისის გამოშვებაა, მე ჰოლანდიური მინდოდა, თქვენგან არ მიკვირს, ინგლისურს ახლა ვინღა იცვამს მეთქი. ბზისფერულვაშამ გოგონას წამუყო და ისიც ტელეფონისკენ მიტრიალდა, მაგრამ შევაჩერე. ამდენი დრო აღარა მაქვს, ნახევარ საათში ტელევიზიით გამოვდივარ,

„ინსპექტორს“ როგორმე, სხვაგან ვიშოვი; თუ გინახავთ, საერთოდ, კვართზე გადაბმული შარვალი, მრავალჯიბიანი, ყოველდღიურ სახმარად ძალიან მოსახერხებელია. მქონდა და დამიძველდა. სადმე რომ მაშოვნინა, ფულს არ დავზოგავ მეთქი.

ერთმანეთს თხებივით მიაჩერდნენ. ატყდა მსჯელობა და კამათი. ხომ გამოგიჭირეთ (გული სიხარულით მევსება), ახლაც არ მომეშვებით?

სამ-ოთხ ადგილზე დარეკეს და, ის იყო, კარებისკენ უნდა მექნა პირი, რომ შემოვიდა ლილიპუტზე ოდნავ მაღალი, ცხვირპაჭუა კაცი და ციმციმ შემოიტანა; არც მეტი არც ნაკლები, სწორედ ჩემს მიერ შეკვეთილი „კომბინიზონი“ და, რაც ყველაზე გულისმომკვლელი იყო, სწორედ ჩემი ზომა.

თავაზიანმა ამერიკელებმა ჩემს მიმართ საბოლოოდ ინტერესი მაშინ დაკარგეს, როცა უკანასკნელ იმედს ჩავუბღაუჭე, და ჩემზე გადამკვდარ გამყიდველებს უტიფრად ვაჯახე: ეს „კომბინიზონი“ შვიდჯიბიანია, მე კი ცხრაჯიბიანს ვეძებ მეთქი.

მთლად უმადურად და უნამუსოდ ხომ არ მოვიქცეოდი. უბოდიშოდ ხომ არ ვუჩვენებდი ზურგს მასპინძლებს. მე ვთქვი, ამ ხალხმა ამდენი იწვალა, საერთოდ გაუტყდება მუშტარზე გული, თუ რითიმე მადლობა არ გადავუხადე მეთქი. ამოვიღე ჩანთიდან არყის ბოთლი და დავუდე წინ. ცივი უარი მტკიცეს სარჩულქარზე. არა გვსვამთ, არ გვინდა, არაყს არ ვეტანებითო.

დავუწყე ქება ჩემს, საქონელს, ეს ხორბლის არაყია, საუკეთესო რამ არის, დაიტოვეთ, თორემ მერე ინანებთ მეთქი.

თავი მოიკლეს და არ გამომართვეს.

არ გვესმის, არა, ერთმანეთის.

ვინ იცის, ჩემს კეთილ ჩანაფიქრს ვერ მიმიხვდნენ და, ეგონათ, არაყს საყიდლად ვთავაზობდი.

რაღა გავაგრძელო, ურთიერთვერმიხვედრათა გრძელი ჯაჭვი გამოდგა ჩემი ამერიკული დღეები.

კაუჩუკის ფაბრიკაში, ექსკურსიაზე ყოფნისას, ჩემი თვალით ვნახე, როგორ ეჩხუბებოდა მუშა მენეჯერს — სამი საათია

უსაქმოდ ვზივარო. ჩვენთან მუშა სწორედ მაშინ გიწყებს ჩხუბს, საქმეს რომ მისცემ.

ამიხსენით, რატომ ხდება ასე მეთქი. ამიხსნეს, მაგრამ ვერ გამაგებინეს.

ჩემმა მასპინძელმა ახალი ტელევიზორი შეიძინა. ფირმამ, რომელმაც ტელევიზორი მოუტანა, ძველი წაიღო და ახლის ფასს ძველის გამოზრვით („გამოქვითვას“ რომ ვეძახით) უანგარიშა.

დღისით, მზისით ნუ მოატანინებთ, ჩემო სტივენს, ამ ახალ ნივთს სახლში. ეშმაკს ათასი თვალი აქვს. ქვეყანაა, ხალხია, მეზობლებია, ხომ შეიძლება ვინმეს ტელეფონისკენ ხელი გაექცეს — საიდან, რა საშუალებით, რა სახსრებით იყიდეს ახალი ტელევიზორი მეთქი. ვურჩიე ტომს, როგორც კეთილისმყოფელმა.

ამიხსენი, თუ კაცი ხარ, ვის რაში ენაღვლება, ჩემს ბინაში, რას შემოვიტანო. ავუხსენი, მაგრამ ვერ გავაგებინე.

ერთხელ ქალაქგარეთ, ჯიმ ჰიუსის ფერმიდან რომ ვბრუნდებოდით, მანქანა გაგვიფუჭდა. ძრავა ქრებოდა და გაწევა შეუმცირდა. პროფილაქტიკას მივაკითხეთ. ტომ სტივენსმა ხელექტორს ჩაულაპარაკა. ორი თეთრხალათიანი ყმაწვილი გამოჩნდა პარმაღზე. ტომმა გასაღები გადაუგდო და მანქანა პროფილაქტიკის ცისფერ ხაზაში გაუჩინარდა.

რას ჩადიხარ მეთქი, თავში სისხლი კინაღამ ჩამექცა. ასე ბრმად როგორ ანდობ მეთქი უცხო ხალხს მანქანას. ხომ დაგიხსნიან ნაწილებს და გაგიძარცვავენ ავტომობილს მეთქი.

არ დაიჯერო ეგ ამბავიო, იცინოდა ტომი, როცა მოსაცდელში ხკამზეფეხებშემოწყობილნი ყავას შევექცეოდით.

რატომ არ შეიძლება, ამიხსენი მეთქი, თუ კაცი ხარ. მთელი საათი გულმოდგინედ მიხსნიდა, მაგრამ ვერ გამაგებინა.

დაახლოებით ერთ საათში, ხოლო უფრო დაახლოებით საათნახევარში, გამოიყვანეს თეთრხალათიანმა ბიჭებმა ჩვენი „მუსტანგი“— გარეცხილი, გასუფთავებული, ძრავა საათივით

წიკწიკებდა. დაბრძანდითო, გაიარეთ, იქნებ საპრეტენზიო გაქვთ რამეო, ტომს უჩურჩულეს. ტომმა იუარა; თქვენს ნახელავს რაღა შემოწმება უნდაო, ქვითარზე ხელი მოუწერა და წამოვედით. ეს არაყი მაინც მიგვეცა, აშენდა მაგათი ოჯახი, რა მოვლილი მანქანა ჩაგვაბარეს მეთქი, ვეუბნები მასპინძელს. არაო, ეგ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებაო. შენ არ იცი ამერიკელი მუშის ხასიათიო. ახლა რომ არაყი მივცეთ, შემდეგი მოსვლის დროსაც მომთხოვენ. ერთი ბოთლი არყის გულისთვის მუშას ვერ გავაფუჭებ, მის მუშურ ფსიქიკაზე უარყოფით ზემოქმედებას ვერ მოვახდენო.

არ გვესმის არა ერთმანეთის ჩვენ და ამერიკელებს.

ერთ დღეს შტატის სენატის სხდომაზე შემიყვანა. სენატორები ქვემოთ ისხდნენ და თათბირობდნენ. ჩვენ, დაინტერესებული საზოგადოება, ზემოთ, იარუსებზე ვიყავით მერცხლებივით გამწკრივებული. თორმეტ საათზე, შესვენება რომ გამოცხადდა, ტომმა ბოდიში მომიხადა; თხუთმეტი წუთით უნდა დაგტოვო, ჩემს არჩეულ დეპუტატს უნდა შევხვდე. რჩევა უნდა მივცე, რომ თავის გამოსვლაში ესა და ეს გაითვალისწინოსო. თურმე ნუ იტყვით, შესვენებისას დეპუტატები სპეციალურად გამოყოფილ ოთახებში ამომრჩევლებს ხვდებიან, რომ მათი წინადადებანი მოისმინონ და გაითვალისწინონ.

გავიგებდი ამას მეე? ჯერ ერთი, ჩვენთან, არაუზენაეს (საშუალო) სესიაზე ვინ დაგასწრებს. რაც შეეხება დეპუტატს, არჩევის მერე შენ მოგეკარება და შენს დარიგებას მოისმენს? იგი ხომ ერთხელ და სამუდამოდაა დარწმუნებული: რაკი ამირჩიეს, ეს იმას ნიშნავს, რომ შეუმცდარი გახლავართ და ჭეშმარიტების გასაღები მხოლოდ მე ერთს მიდევს ჯიბეშიო.

სტივენსი რომ დაბრუნდა, ვკითხე, რა ჰქენი მეთქი. ისეთი მსუყე ფაქტები მივეცი ჩემს დეპუტატს გამოსვლაში გასათვალისწინებლად, რომ მადლობის ნიშნად სულ ხელზე მკოცნაო. ხომ მართალს ამბობ, გაფიცებ შენს ბიჭს — რიჩარდს მეთქი. ვერ გაიგო, რას ვეუბნებოდი. კაცი ეგ ყოფილა, ეგ

თქვენი დეპუტატი, არაყი მაქვს აგერ ჩანთაში, ვაჩუქოთ მადლობის ნიშნად, გაეხარდება მეთქი.

კვდება სიცილით. ხომ გამიგიჟდა ხალხის მსახური სენატის გახურებულ სხდომაზე არაყი რომ მივაჩეჩო ხელშიო.

გვესმის ახლა ჩვენ ერთმანეთის?

ვერ გავიგე, რისი ეშინოდა ჩვენს მთავრობას, რომ არ მიშვებდა და გზებს მიხლართავდა. ამერიკაში დამრჩენი ვარ მეე?

უკან რომ ვბრუნდებოდით, თვითმფრინავში ჩემს გვერდით პეტროგრადელი ებრაელი იჯდა. მეო, ახლა, შეიძლება თამამად ითქვას, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი ვარო. რანაირად მეთქი, ვკითხე. პირველი, იმის გამო, რომ ებრაელმა კაცმა იმდენი ვიბრძოლე, ამერიკაში ტურისტად გაშვებას მივაღწიე, მეორე, იმის გამო, რომ ამერიკაში არ დავრჩი და უკან ვბრუნდებიო.

ხუმრობდა, ალბათ, პეტროგრადელი, მაგრამ მე, გითხრა სიმართლე, მთლად კარგად ვერც ეს ხუმრობა გავიგე.

## საკალმახე

ჩვენი მატარებელი, ბატონო, თუ არ აგვიფეთქეს, ან გაძარცვა ნამეტანი არ გაგვიჭიანურეს, თორმეტ საათს მაინც მოუნდება საცხენისში ასვლას. ეს ჩემი აბგა კარებთან იმიტომ მივაგდე, რომ პირველივე ყაჩაღს მივაჩეჩებ ხელებში. ეგება თქვენ მაინც გაგანებონ თავი. იმ პატარა ჩანთაში საბუთები და ერთი-ორი კაპიკი მიდევს, რაა დასამალი, ამიტომ შემოვდე მაღლა. თუ ამასაც ამაფცქვნიან, რა ვუყო ახლა, თავს ვერ მოვიკლავ. „საყაჩაღო აბგის“ მუღამი გუშინ მოვიფიქრე. ორი ხელბარგით უნდა იარო ახლა კაცმა. სხვა გზა არ არის. თანაც პატარა თუ არ გაატირე ამ მოსაპარავ აბგას, ყაჩაღი სულელი კი არ არის,

უკან გადმოგიგდებს. ახლა, ხანამ მატერებელს უადგილო ადგილას გააჩერებენ, მოვახწრებ და, თუ გაინტერესებთ, მოგიყვებით, რა საქმეზე გახლდით თბილისში.

მინისტრთან ვიყავი პატარა საქმეზე. კაცის მოკვლის ნებართვა ვთხოვე. უარი მითხრა. მთლად ცივი უარი, ცოდვას ვერ დავიდებ, არ უთქვამს. მეო, ადამიანის მოკვლის უფლების გაცემის უფლება არა მაქვსო. ესო, მონკავშირი როდია, სადაც მელიის მოკვლის ლიცენზიას იძლევიანო. ვინ ჩემი ცოდვით სავსემ მოგასწავლა ჩემთანო. ვხედავ, მჯერა, რომ უსამართლოდ გჩაგრავენ და გაუმწარებიხარ, მაგრამ მე რომ შენ კაცის მოკვლის ნებართვა მოგცე, უნდა დავიხურო ქუდი და წავიდე აქედანო. კაცი არაა საქართველოში ახლა ორი-ხამი მტერ-მოძულე რომ არ ყავდეს მოსაკლავი. ყველა ჩემს კაბინეტთან მოიყრის თავს და იმგენს თუ მოვუნდი, წესრიგს ვინღა დაიცავს ამ აწეწილ ქვეყანაშიო. წადი და თუ ნამეტანი შეგაწუხეს, როგორც ჭკუამ გაგიჭრას, ისე იმოქმედე. ჩვენ რომ ვერ ვწვდებით ყველაფერს, მე რომ არ გითხრათ, თვითონვე ხვდებითო.

ახლა წვრილად გიამბობთ, რამ ამაღოლა გზაზე ეს დროული კაცი და რამ მიმიყვანა მინისტრთან ამ, ცოტა არ იყოს, უცნაური სათხოვარით.

დავაგუბე ცხენისწყლის ტოტი და პატარა საკალმახე მოვაწყე ამ ოთხი წლის წინ. ჩვენი, ქართული კალმახი, მოგეხსენებათ, ტყვეობაში არ მრავლდება. რა პირობები არ შევუქმენი, რა გამდინარი წყალი და ჩანჩქერი არ მოვაწყვე, მაგრამ შენ არ მომიკვდე. შეგიმჩნევიათ, ალბათ, ყველგან, მთელს დუნიაზე, ყველა საკალმახე მეურნეობაში თუ ფერმაში, შვეიცარიაში 1927 წელს გამოყვანილი შავწინწკლებიანი კალმახია. ჩვენი შავწითელლურჯწერტილებიანი ულამაზესი კალმახი, მარტო საქართველოშია ეს დალოცვილი და ხელოვნურად, იმნაირი აზიზი რამეა, ვერა და ვერ მოვაშენეთ.

კალმახის საქმე ძალიან ძნელი, მაგრამ, ვის დავუმალო,

შემოსავლიანიც გახლავთ. კალმახის ლიფსიტები, ხაბჭოთა კავშირს რომ ეძახიან ამ დასაქცევ იმპერიაში, ორ ადგილას გამოყავდათ მხოლოდ. ესტონეთში – ტალინის კალმახთსაშენში და ვლადივოსტოკში, ერთ ადგილას, (იაპონელებს უსწავლებიათ). ასე რომ ლიფსიტებს ყველანი ამ ორ ქალაქში ვიძენდით ნაღდ ანგარიშზე. ლიფსიტა ორჯერ იმაზე მეტი უნდა იყიდო, რამდენის გაზრდაც შეგიძლია. ზოგი გზაში იღუპება, ზოგიც აქვე, წყალსაცავში.

შარშან თითო ლიფსიტის ფასი ოც კაპიკზე რომ ავიდა (ახლა მანეთი ღირს და მალე, ალბათ, მოემატება), ძალიან გამიჭირდა. ერთი მილიონი ლიფსიტა მაინც უნდა ვიყიდო და ახლა ხხვა ხარჯი? ვერ გავუძლებ, გავკოტრდები მეთქი და გადავწყვიტე, მე თვითონ მეცადა ლიფსიტების გამოყვანა. დავიდე წინ ხახელმძღვანელოები, ხულ ხანტიმეტრობით დავამზადებინე როფები, ყველაფერი, მოკლედ, რომ არ დაგღალოთ, ისე გავაკეთე, როგორც წიგნებში ეწერა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. კინაღამ გული ავიყარე, ალბათ, ჩვენი წყალი, ან ჰაერი არაა ხელსაყრელი შვეიცარული კალმახის ალაგობრივი გამრავლებისათვის მეთქი.

დავკარი ფეხი და ჩავედი ესტონეთში. წინასწარვე ვიცოდი, ესტონელები ეშმაკი ხალხია და კალმახის გამრავლების ტექნოლოგიას ფირმის საიდუმლოდ ინახავენ. ექსკურსიაზე ვარ, უბრალოდ მინდა დავათვალიერო, როგორ, რა პირობებში მუშაობთ მეთქი.

შემომატარეს კალმახთსაშენი. ვეკითხები: ზოგ პასუხს ვიწერ, ზოგს ვიმახსოვრებ. აბა რამდენი განყოფილებაა, წყლის ტემპერატურა როგორია, რამდენ ხანში ცვლიან წყალს. მერე დედალ-მამალი კალმახების მოწველასაც დავესწარი. ადამიანივით მგრძნობიარეა კალმახი. მამალი კალმახების მოსაწველად გოგოები ყავთ შერჩეული. კაცის უხეშ ხელს მამალი კალმახი არ ემორჩილება. დედალ კალმახებს კი, პირიქით, მამაკაცის ხელი უფრო იმორჩილებს და მეტ ქვირითს აყრევინებს.

ყველაფერი მიხხალ-მიხხალ უნდა გაითვალისწინო. საკმარისია, პატარა შეცდომა და გათავებულია საქმე. მაგალითად, ყველაფერი ზუსტად ვიანგარიშე და ერთი რამ გამომრჩა, თურმე ლიფსიტებს მღვრიე წყალი აბრმავებს და იხოცებიან. შარშან ერთი დღით მივუშვი ბაცი ცხენისწყალი და ნაშრომი წყალში ჩამეყარა. ანკარა და, თან, რასაკვირველია, უმარილო მტკნარი წყალია საკალმახე.

ორ კვირას დავრჩი ტალინში. დავდივარ ყოველდღე ექსკურსიაზე კალმახთსაშენში — მოვაბეზრე მასპინძლებს თავი. ბოლოს მიმიხვდნენ რაც მსურდა, და ბოდიშის მოხდით დამითხოვეს. არა უშავს, რაც მთავარია, ხარისთვის რქებში ჩავლებული მაქვს. დავბრუნდი და შევუდექი ჩემი უბის წიგნაკების დამუშავებას. დავხაზე სქემები, დავატრიალე ჩემი ცოდნა-ფანტაზია და მეხუთე ცდაზე მივაღწიე მიზანს. ჯერ საქართველოში ჩემს გარდა არავის გამოუყვანია კალმახის ლიფსიტები. სამი მილიონი ლიფსიტა მყავს ახლა. ორ მილიონს გავყიდი, მილიონს დავიტოვებ.

შრომა-წვალება დიდი უნდა, მაგრამ შემოსავლიანი საქმე მეთქი, მოგახსენეთ. ცხრა აუზი სჭირდება კალმახთსაშენს. სხვადასხვა ზომის კალმახები სხვადასხვა აუზებში უნდა გყავდეს, თორემ ერთმანეთს ჭამენ. ასევე სანაშენო დედა და მამა კალმახების ერთ აუზში ყოფნა არ შეიძლება. ერთმანეთს დაერევიან. სანაშენო კალმახებს დანარჩენი შვიდი აუზიდან ვარჩევთ (დიდებს და ჯანმრთელებს) და განსაკუთრებულ კვებაზე გვყავს. დედა კალმახი პატარძალივით ლამაზი და პირმრგვალია, მამა — უფრო ჯმუხი და უხეში.

ახლა ჩვენს მთავარ გასაჭირს მივადექით. ქვეყანა რომ აირია, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. ამ ბანდიტურ ეპოქაში, კალმახს კი არა, ხულს რომ არ შეგარჩენენ, ესეც არაა თქვენთვის ახალი. ზოდა, ვისაც ავტომატი აქვს და დაცემა არ ეზარება, ყველა ჩემი მუშტარია. მოგვადგებიან ცარიელი გოდრებით; აბა, კალმახი საჩქაროდო. ვინ ხართ, საიდან ხართ? ეკითხები შეშინებული;

ბევრს ნუ ლაპარაკობ, ეს გოდრები კალმახით გაგვივსე და სახარჯოდ ორასი ათასი გამოაყოლე, თორემ მიგაყენებთ კედელთანო. ერთჯერ, ორჯერ, სამჯერ, ოცჯერ... რამდენჯერ გაუძლებ კაცი ამ, გაძარცვას თავი დაანებე, შეურაცხყოფა-დამცირებას. სხვა არა იყოს რა, რა ჯიბე გაგიძლებს.

ამასწინათაც ოცი-ოცდახუთი წლის ბიჭები დაგვეცნენ. ვავსებთ კალმახებით გოდრებს მორჩილად. ძალა აღმართს ხნავს, მეტი რა გზაა. ერთმა ლაწირაკმა აუზში დედა კალმახები შენიშნა და ამეცხონებს გასძახა — აგერ დიდი კალმახებია და ეს დამპალი მხოლოდ მტკაველა კალმახებს იმეტებს ჩვენთვისო.

ბიჭებო, მე ვუთხარი, საჭმელი კალმახი ყველაზე კარგი სწორედ მტკაველებია. ეგენი დედა-კალმახებია, საჭმელად არ ვარგა, თანაც დედა-კალმახს სპეციალური მოვლა-გამოყვანა უნდა, ათასში უნდა ამოირჩეს მეთქი. მორჩი ზღაპარსო, იმ სისთავა ბანდიტმა შემომიღრინა და აუზში მიუშვა ავტომატის ჯერი. შეიღება წყალი წითლად. ამოყირავდნენ ჩემი სიმწრით დაზრდილი დედა-კალმახები. თვალთ დამიბნელდა. დავბარბაცდი. მიწა რომ გამხეთქოდა და შიგ ჩავეტანე, ის მერჩია.

რას მერჩით, რას მემართლებით, თქვე უღმერთოებო მეთქი, მაგრამ ვინ მისმინა, აკრიფეს საჭმელად უვარგისი სანაშენო კალმახები და გოდორში ჩაყარეს. წასვლისას კონდახისცემით შემაგდეს კაბინეტში და სანამ ფულიც არ ამატყავეს, არ მომეშვნენ.

ა, ასეთ დღეში ვარ. კვირის თავზე ეს ნაცემი გვერდები რომ მომიშუშდა და ფეხზე დადგომა შევძელი, ავედი რაიონის ცენტრში, ოთუსბირად ვიყიდე ავტომატი, ვიქირავე მეზობლის ცოტა მოქურდ-მოავარო ბიჭი და დავიყენე მცველად.

ავტომატში სომ იმდენი ფული გადავყარე, მცველს ათიათას მანეთს ვაძლევდი თვეში (ნაკლებზე არ დამთანხმდა, სიცოცხლეს საფრთხეში ვიგდებო). რომ დავფიქრდი, ცოტა არ იყოს ახლა უფრო შემეშინდა. მოვლენ ყაჩაღები, ამ ჩემმა მცველმა უნდა ესროლოს სომ? შეიძლება კაციც შემოაკვდეს. სად მიდიხარ

მერე? მთავრობა ხომ მოგკრძალავს; კალმახის გულისთვის კაცი რავა მოკალი, შე ოჯახაქოროო. გარედან ასე ჩანს, კი.

ჰოდა, მივედი მინისტრთან. მომეცით, ნება, იმ ბანდიტებს მე თვითონ გავუსწორდები მეთქი, არაო, მაგას ლინჩის წესი ქვიაო, და ვერ დავუშვებთო. აბა, დამიყენეთ მილიციელი და დამიცავით მეთქი, შენი კალმახის კი არა ტელევიზიის დასაცავად არ გვყოფნის ხალხიო.

რა ვქნა მე, გეკითხებით თქვენ, თქვენ ხომ ჭკვიანი ხალხი ხართ.

## „იერუსალიმი — თბილისი!“

ვუძღვნი საქართველოდან ისრაელში
წასულ ებრაელებს

ისრაელის მოქალაქე ათას ცხრაას სამოცდათხუთმეტი წლიდან — აბიათარ მოშე ათას ცხრაას ოთხმოცდა-„ენ“ წლის ოცდარვა თებერვალს იერუსალიმის აეროპორტიდან აფრინდა „აირ-ფრანსის“ კომპანიის „ბოინგ 777“-ით. თვითმფრინავი ჯერ კვიპროსზე დაჯდა, მერე ვენაში, ვენიდან ვარშავაში, ვარშავიდან მოსკოვში და მოსკოვიდან ოთხშაბათს, ოთხ მარტს, ისრაელის მოქალაქე ათას ცხრაას სამოცდათხუთმეტი წლიდან — აბიათარ მოშე „აეროფლოტის“ მონჯღრეული, კარგა ხნის წინათ ჩამოსაწერი თვითმფრინავით თბილისში ჩამოფრინდა.

თვითმფრინავი კავკასიონის ქედს რომ გადმოცდა, მოშეს გულმა რამდენჯერმე რეჩხი უყო და ეს სრულიად ბუნებრივიცაა: საჩხერეში დაბადებული და გაზრდილი კაცი, თბილისის უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე განსწავლული „ენ“ წლის უნახავ საქართველოში დაბრუნდა.

მოშეს შეტყობით (რაც თვითმფრინავიდან შეიძლება შეატყოს კაცმა) საქართველოს დიდი ცვლილება არ განეცადა. მთათა

კალთებიდან ძველებურად მოივერცხლებოდნენ მდინარეები, კორტოხებზე კვლავინდებურად იდგნენ დანგრეული ციხეები და აღდგენილი ეკლესიები, ხოლო ეკლესიათა ირგვლივ მიმობნეულ საფლავის ქვებიდან, ხულ რაღაც, კილომეტრ-კილომეტრნახევარში მკაფიოდ ჩანდა მშვენივრად მოვლილი, ალაგ-ალაგ თუნუქით ალაპლაპებული ახალი სასაფლაოები. ზამთარს ჯერ მთლიანად ყავლი არ გასვლოდა, მაგრამ თბილისის შემოგარენში, მთის ფერდობებზე და ჩრდილიან ღრანტეებში, ძველი (და, მითუმეტეს, არც ახალი) თოვლი არ იდო.

თვითმფრინავის ტრაპიდან ფეხი რომ ჩამოდგა და მისკენ გამოქცეული მკვიდრი ბიძაშვილი მიხეილ დავარაშვილი დაინახა, მოშეს გულმა კიდევ ერთხელ უყო რეჩხი. დავარაშვილს უკან ვიდეოკამერიანი კაცი მოსდევდა. ვიდეოკამერიანის ახლომახლო კენგურუსავით მოხტუნავდა ჯინსისკურტკიანი ყმაწვილი. ისე ენერგიულად მოხტუნავდა, რომ მიხეილს დროდადრო ასწრებდა კიდეც.

ბიძაშვილები ერთმანეთს ტირილით გადაეხვივნენ.

დაკვირვებული ვარ, დიდი ხნის განშორებული სხვადასხვა ერის წარმომადგენლები სხვადასხვანაირად ხვდებიან ერთმანეთს.

იტალიელები ხელებს შლიან და ორივენი უკან გარბიან, ათიოდე ნაბიჯზე ცაში ალაპყრობენ ხელებს „ო, სანტა მარია!" დაიყვირებენ, გამოექანებიან და ჩაეფსკვნებიან ერთმანეთს.

ინგლისელები მორიგეობით, ხან მარჯვენა და ხან მარცხენა მხარს მხარზე უთათუნებენ ერთმანეთს უხმოდ და უსიტყვოდ.

სომხები ისე ხვდებიან, თითქოს გუშინაც ერთად იყვნენ, პირზე კოცნას წამში მორჩებიან და საქმეზე გადადიან; ბარგი რამდენი ხელი ჩააბარე, წავიდეთ, რიგი დავიკავოთო.

რუსები ყურისძირში ჰკოცნიან ერთმანეთს, ხელებს გაშართავენ, მოიცილებენ მკერდიდან, კიდევ ერთხელ შეათვალიერებენ (ხომ ეს არის, ხომ არ მეშლებაო), ისევ ჩაიხუტებენ და ისევ ყურისძირში ჰკოცნიან. ასე მეორდება რამდენჯერმე.

ებრაელები და ქართველები დიდი ხნის უნახავთან

დაახლოებით შვიდ მეტრში მიახლოვებისას ტირილს იწყებენ და ცრემლებით უსველებენ ერთმანეთს ბეჭებს.

რატომ ხდება ასე, ვერ გეტყვით. შეხვედრის დროს ტირილი ერთ-ერთი საიდუმლოებაა ჩემთვის იმ ცხრა საიდუმლოებათაგან, რომლებისთვისაც ვბერდები კაცი და დღემდე პასუხი ვერ მომიძებნია.

ტელეჟურნალისტმა მოშეს და მიხეილს ცრემლის შემშრალება აცალა და სტუმარს მიკროფონი ცხვირთან მიუტანა:

– კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა, ბატონო მოშე.

– სიკეთე ნუ მოუშალოს გამჩენმა ჩემ სამშობლო საქართველოს.

– თქვენ, ალბათ, ბატონო მოშე, საქმიანი ვიზიტით ჩამობრძანდით.

– საქმიანით, რასაკვირველია. ჩამოვედი, როგორც კომპანია „იცხაკის“ ოფიციალური წარმომადგენელი. ჩვენი კომპანია, რომ არ დაგიმალოთ, მოგებაზე მუშაობს. საქართველო ერთად-ერთი გამონაკლისი იქნება, სადაც თავნზე ვიქნებით თანახმა. არ მკითხოთ, რამ აგიჩუყათ ასე გულიო. ებრაელი კაცი ტყვილად არაფერს დაკარგავს, მოგეხსენებათ, მაგრამ მე ახლა ჩემს სამშობლოში ჩამოვედი და ერთი ჯიბიდან რომ ამომიღია და მეორეში ჩამიდვია, ისეა ჩემი საქმე.

– კონკრეტულად?

– საქმიანი გარიგებები უნდა დავდოთ. ეკონომიურად უნდა ამოვწიოთ, გავაპლიეროთ საქართველო. ვიცით თქვენი გასაჭირი. საქართველო არ არის ასე ცხოვრების ღირსი.

– გმადლობთ, ბატონო მოშე.

იმ საღამოსვე მთელმა საქართველომ შეიტყო აბიათარ მოშეს კეთილი მისიის შესახებ. სიუჟეტს მშვენიერმკიაყიანმა დიქტორმა ქალმა ასეთი კომენტარი გაუკეთა – საქართველოს უბეში შე-ფარებულ ასი ეროვნების სტუმართაგან ერთადერთი ებრაელი ერია, მასპინძლობას სიყვარულით რომ გვიხდის და, არა თუ ტერიტორიულ პრეტენზიებს გვიყენებს, რაც შეუძლია, გვეხმარება კიდეცო.

მეორე დღეს მოშე, არც მეტი არც ნაკლები, პირდაპირ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მიიღო.

თეთრსკამებიან უზარმაზარ კაბინეტში მოშემ მისკენ ენერგიული ნაბიჯით წამოსული მთავრობის თავმჯდომარე რომ დაინახა, გულმა რეჩხი უყო და გაიფიქრა: ეტყობა, ან ამათ უჭირთ ძალიან, ან მე ვარ დიდი კაცი, თვარა აქ რომ დავრჩენილიყავი, ვინ გაღირსებდა საწყალ ურიას პრემიერის ხელის ჩამორთმევასო.

მოშემ პატარა, თავზე ქინძისთავით დასაბნევი ქუდები ყველა იქ მყოფს ჩამოურიგა და მასპინძელს მადლობა მოახსენა მიღებისათვის.

პრემიერ-მინისტრი თვალებში შესცქეროდა კომპანია „იცხაკის" საქმოსანს და მკვეთრი დიქციით, საჭიროებაზე ცოტა ხმამაღლა, სხაპასხუპით ლაპარაკობდა.

ამხანაგებმა რომ მაცნობეს თქვენი ჩამოსვლის ამბავი, ძალიან გამეხარდაო. მე ვუთხარი ამხანაგებს, თუ დრო ექნება, მოვიდეს ჩემთან, ალბათ გადმოგცემდნენ, ამხანაგებიო. ამხანაგებმა იციან ჩემი დამოკიდებულება საქმისადმიო. ჩვენ ძველი გზით ვეღარ ვივლით, მორჩა და გათავდა, მე პირდაპირ დავუსვი ამასწინათ საკითხი ამხანაგებსო.

მერე მთავრობის თავმჯდომარემ რესპუბლიკის სამეურნეო-პოლიტიკურ წარმატებებზე ილაპარაკა, უკანასკნელი შვიდი თვის მიღწევები ციფრებით, სულ პროცენტ-პროცენტ გააცნო სტუმარს.

ცოდვას ვერ დავხიდებ, არაფერი დაუმალავს.

უსმენდა მოშე ლაპარაკის აზარტში შესულ პრემიერ-მინისტრს და ორი რამ აოცებდა: ჯერ ერთი, რა დიდებული მახსოვრობა ჰქონია, საიდან იცის, ამ ოჯახაშენებულმა, ამდენი ციფრიო, მეორეც, თუ ეს მართალს ამბობს, ამგენს ჩემი დასახმარებელი რა სჭირთ, დიდებულად აუწყვიათ ცხოვრება, აქეთ ხომ არ ვთხოვოთ, „გაჭირვებული ისრაელისთვის" დახმარებაო.

— ჩემთან ხომ არაფერი პრობლემები გაქვთ. არ მომერიდოთ.

მე ვუთხარი ამხანაგებს. ამხანაგებმა იციან ჩემი დამოკიდებულება. პირდაპირი და გულახდილი უნდა ვიყოთ ერთმანეთთან. ხომ არაფერია საჭირო? – ამ რიტორიკული კითხვით დაამთავრა მასპინძელმა.

მოშემ „ბორჯომი“ მოსვა, იმდენად „ბორჯომი“ როდი სწყუროდა, რამდენადაც დრო ხურდა მოეგო, გადაეწყვიტა, ღირდა თუ არა უმაღლესი რანგის მოხელესთან წვრილმან გარიგებებზე საუბარი. ეს ისეთი კმაყოფილი და ბედნიერი ჩანს თავისი „მიღწევებით“, ჩემი წინადადებები მეწვრილმანე ჩარჩის ვაჭრობად მოეჩვენება, არ გამომყვება კონკრეტულ გაცვლა-გამოცვლაზე სალაპარაკოდ, სჯობია, ერთ ღლავ საკითხს დავუსვამ და სხვა პრობლემებს ქვევით, ქვედა ინსტანციებში მივხედავო.

– რომ მოვდიოდი, ბატონო პრემიერო, რა სათქმელია, ძალიან გავწვალდი. ისრაელიდან საქართველომდე კაი გამართული თვითმფრინავით ერთ საათში ჩამოვა კაცი. ლამის ორი დღე გზაში დავკარგე. იერუსალიმიდან კვიპროსში, კვიპროსიდან ვენაში, ვენიდან ვარშავაში, ვარშავიდან მოსკოვში. მოსკოვში მაინც რაღა მინდოდა. იმხელა წრე მოვხაზე ჰაერში, რომ, სიყრმეს გეფიცები, დაბადება კინაღამ დავიწყევლე.

– თქვენი წინადადება? იციან ამხანაგებმა. მე პირდაპირ ვიცი საკითხის დაყენება. ამხანაგები უკვე შევაჩვიე კონკრეტულ აზროვნებას. ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს.

– დავაწესოთ პირდაპირი მარშრუტი იერუსალიმი – თბილისი. დასაწყისისათვის, თუნდაც, კვირაში ორჯერ. თვითმფრინავი ჩვენი იქნება. ხარჯებს ოთხმოც პროცენტს ისრაელის მხარე გაიღებს. ჩვენი კომპანია „იცხაკი“ გავლენიანი კომპანიაა.

მოშემ გაიფიქრა, ახლა მთავრობის თავმჯდომარე და ჩემს წინ ლამაზად გამწკრივებული საქმის ხალხი დამაყრიან კონკრეტულ შეკითხვებს – აბა, რა, როდის, რამდენი, რანაირად, საიდან და რა კუთხითო, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. მთავრობის თავმჯდომარე წამოდგა, მოშეს ღიმილით მიუახლოვდა, ხელი ჩამოართვა, შევთანხმდითო, კატეგორიულად

უთხრა და ისევ თავის სავარძელს დაუბრუნდა.

მოშეს სიხარულისაგან გულმა რეჩხი უყო და ებრაული მინიატურული ქუდი-ჰიკარტი გადაუვარდებოდა თავიდან, ქინძისთავით რომ არ ჰქონოდა დაბნეული.

— ეს საკითხი ჩათვალეთ გადაწყვეტილად. იციან ამხანაგებმა, მე იმ წუთშივე ვწყვეტ საკითხებს. საქმიან ხალხთან ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო. გარკვევით ვუთხარი ამხანაგებს. მაშ ასე, პირდაპირი რეისი! — აღტაცებული, სასეიმო, საქმიანი საუბრისთვის არც თუ მთლად შესაფერისი ინტონაციით თქვა მთავრობის თავმჯდომარემ და იქვე განაგრძო საუბარი რესპუბლიკის მიერ დასახულ ღონისძიებებზე, რომელთა შესრულება (რაც საეჭვოდ ოდნავადაც არ მიაჩნდა) რესპუბლიკას მალე გაიყვანდა მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნების დონეზე და ბევრ მათგანს უკანაც ჩამოიტოვებინებდა.

მიღების დასასრულს მოშემ, როგორც იქნა, ჩაურთო სიტყვა პრემიერს; რაკი თქვენი თანხმობაცაა, მე კონკრეტულად დავიანგარიშებ, „იცხაკთან“ ყველაფერს შევათანხმებ, ხარჯთაღრიცხვას წარმოვადგენ და ხელშეკრულების დასადებად გეახლებითო.

— თქვენ ნურაფერზე შეწუხდებით, — ღიმილით, ენერგიულად ეუბნებოდა უკვე ფეხზე დამდგარი თავმჯდომარე, — ამხანაგები ყველაფერს გააკეთებენ, ამხანაგები დაიანგარიშებენ, იციან ამხანაგებმა, მე კონკრეტული ლაპარაკი მიყვარს. ამხანაგები პროექტს მოამზადებენ. რაც მთავარია, შეთანხმება მიღწეულია, საკითხი გადაწყვეტილია. ამხანაგები თვითონ მოგაკითხავენ. ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს. მხოლოდ კონკრეტული გადაწყვეტა! ამხანაგები არაერთხელ გავაფრთხილე. მაშ ასე, დიდი მადლობა, გისურვებთ წარმატებებს.

მოშე, მართალია, ბოლო „ენ“ წელი ისრაელში ცხოვრობდა, მაგრამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, საქართველოში დაბადებული და გაზრდილი იყო, ამიტომაც ხელის ჩამორთმევისას პირგაბადრულმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლა:

— კონკრეტულად ვის მიგაკითხო, რომ მიხდეს და თქვენ ვერ მოიცალოთ?!

— კონკრეტულად? — ცოტა არ იყოს შეწუხდა პრემიერ-მინისტრი, — იციან ამხანაგებმა, — თავის ამალას გადახედა — თუნდაც საგარეო საქმეთა მინისტრს, — ლოყებდაბერილ, უულვაშო, ტანსრულ კაცს შეხედა — თქვენ მოამზადებთ. ჩააბით ამხანაგები, ჩემთან შეთანხმებულია, იციან ამხანაგებმა, ეს საქმე არ უნდა შეფერხდეს...

მოშეს უნდოდა საგარეო საქმეთა მინისტრისთვის ეკითხა, სადაა თქვენი რეზიდენცია, სად მოგაკითხოთო, მაგრამ გადაიფიქრა, ნამეტანი დაწვრილმანება გამომივა, საგარეო საქმეთა სამინისტროს რა მიგნება უნდა, ყველას ეცოდინება თბილისშიო.

მოშე რომ გავიდა, თანაშემწემ ქაღალდებს და ფანქრებს რომ ალაგებდა, ისე, ყოველიშემთხვევისთვის, სიტყვის მასალად ჩაულაპარაკა თავმჯდომარეს:

— კაცმა რომ თქვას, იქნებ მართლა დაგვეყენებინა საკითხი. მითუმეტეს, თვითმფრინავი მაგათია და ოთხმოც პროცენტს იხდიან, რატომ არ უნდა იყოს პირდაპირი მარშუტი. საათის, საათნახევრის გზაა ისრაელამდე.

პრემიერ-მინისტრს გაეცინა, თითები ერთმანეთს შეაჭდო, მაღლა აიხედა და ალაპარაკდა: რა გულუბრყვილო ვინმე ხარ, ჩემო ჯანსულ, შენო, ჯერ ერთი ის ოცი პროცენტი ვალუტა ვინ მოგამავა და მეორეც, ამ საკითხის დაყენებაც არ შეიძლება მოსკოვთანო. მასხრად აგვიგდებენ: „იშ ტი, კაკიე უმნიე, პრიამოი რეის ზახატელიო".

თანაშემწემ კიდევ ერთხელ დაასკვნა გუნებაში, ზწორედ იმიტომაა პრემიერ-მინისტრი, რომ ჩემზე უკეთესი ჭვრეტა აქვს და ჩემზე მეტი იცის, ხოლო მე იმიტომა ვარ თანაშემწე, რომ გულუბრყვილო ვარო.

ოთხი დღე დაახანა მოშემ საგარეო საქმეთა მინისტრს. ამასობაში „იცხაკს" დაუკავშირდა. მარშრუტის ხარჯები

ჩამოაგვირისტა და რომ არავინ გამოუქახა, მეხუთე დღეს თვითონ მიაკითხა ლამაზაივნიან რეზიდენციაში პლეხანოვის პროსპექტზე.

ღაბაბიანმა, ქონმოერეულმა, უულვაშო მინისტრმა ხიყვარულით მიიღო. „იცხაკის" თანხმობამ ძალიან გაახარა. მოშეს ნაან-გარიშევსაც ყურადღებით გადახედა (ყოველშემთხვევაში გარეგნულად ასე ჩანდა), ოჯახიანად მოიკითხა მოშე, როგორ მაინტერესებს ისრაელში ჩასვლა და ვერ ვახერხებო, გოდების კედელი ხურათებში მაქვს ნანახი და ხიზმრად მექცაო, რაც შეეხება პირდაპირ მარშუტს, მუშაობენ ამხანაგები, დავალება უკვე მიცემული მაქვს, ამ დღეებში ყველაფერი მზად იქნება და მე თვითონ დაგიკავშირდებითო. ჯერ ხომ არ მიბრძანდებით, ვიზა რომელ რიცხვამდე გაქვთო.

რომ გაიგო, მოშე ერთი თვით იყო ჩამოხული, კიდევ უფრო გაიხარა; დრო ბევრი გვქონია, რა გვეჩქარებაო. ხომ იცით, ასეთ საქმეს ზუსტი ანალიზი, ყველაფრის გათვალისწინება, ყველაფრის დაკონკრეტება სჭირდებაო. ხელშეკრულებას ჩვენის მხრივ, ალბათ, პრემიერ-მინისტრი და მე მოვაწერთ ხელს, ან აერო-პორტის უფროსმა და თქვენ მოაწერეთ ხელი, ვნახოთ, როგორც გადავწყვიტავთ, უწყებათა უშუალო წარმომადგენლების ხელმოწერა უფრო უპრიანია, ახლა მითუმეტეს, მოდაშია. ყვე-ლაფერზე მთავრობის ხელმოწერა, ცოტა არ იყოს, უხერხულიაო.

მოშეს მინისტრის ამ სიტყვებზე, მართალია, გულმა რეჩხი არ უყო, მაგრამ კაბინეტიდან ცოტაზე მეტად შეფიქრიანებული გამოვიდა და როცა ერთი კვირის თავზე საგარეო საქმეთა სამინისტროს მისაღებში მისულს აცნობეს, მინისტრი ათი დღით პარიზს გაფრინდა, ხოლო თანაშემწემ პირდაპირი მარშრუტის შესახებ არაფერი იცისო, არ გაკვირვებია.

თექვსმეტ მარტს ისრაელის მოქალაქე ათას ცხრაას სამოცდა-თხუთმეტი წლიდან, კომპანია „იცხაკის" წარმომადგენელი აბიათარ მოშე წიფის გვირაბის გავლით კორკიმეულის რაიონს ეწვია.

მაშინ რაიონობა იყო და თვითეულ რაიონს სათავეში რაიონის მოურავი ედგა. ისე როგორც, ერთ დროს, საპიტიახშოებს – პიტიახში. პრეფექტურებად საქართველოს დაყოფამდე ჯერ კიდევ რამდენიმე ცივი ზამთარი იდო.

ციოდა. ერთი სულელი, წინამასწრა ტყემლის თეთრადაპერანგება რომ არა, ბუნება ფანქრით დახატულს წააგავდა.

მთელ გზაზე ენერგიულად ანათებდნენ ქოქოსის პალმის ნაყოფივით დაკიდებული, ელექტროენერგიის უყაირათოდ ხარჯვის მსხვერპლი ლამპიონები და კოოპერატორთა ჯიხურებს ლოლუებივით ეკიდა სხვადასხვა ზომის ძეხვი, რომელთაც, როგორც მკვიდრმა ბიძაშვილმა, მიხეილ დავარაშვილმა ჩაულაპარაკა მოშეს, არავინ ყიდულობდა კოოპერატივებზე გამწყრალი ერთი ჟურნალისტის ამასწინდელი ანტირეკლამის გამო (ჩერნობილის ხორცისგან ამზადებენო).

მასპინძლები სოფლის თავში, კარგა ხნის მოცდილ შვიდასწლოვან ცაცხვთან (აწ უკვე ნაცაცხვართან) შეეგებნენ. „ნოლ ექვსად“ გადაკეთებული მიხეილ დავარაშვილის „ნოლ ხამი“ შუაში მოიქციეს და ესკორტით მიაყენეს სამოურავოს კიბეებს.

რაიონის თავკაცის, კომპარტიის და ალმასკომის ნაცადი მედროშის ვამეხ კვანტალიანის კაბინეტში შეხვედრა ხანმოკლე გამოდგა. პრემიერთან ვიზიტისაგან ჭკუანასწავლ მოშეს ტყავის საქაღალდეში გამზადებული ჰქონდა ხელშეკრულებები, იმ ვარაუდით, რომ კორკიმეულის ხევისბერისთვის რეგიონის გასამდიდრებელი გარიგებები შეეთავაზებინა, მაგრამ საქაღალდე ვინ გაახსნევინა. ბლიცშეხვედრამ ფოტოაპარატების ტკაცატკუცში და ტელეკამერის ღუღუნში ჩაიარა.

რაიონის სარდალი უაღრესად ბედნიერი ჩანდა. მოკლე, მაგრამ ანდაზებივით სავსე მიმართვაში, იგი ხაზს უსვამდა კორკიმეულის რაიონისა და ისრაელის დაახლოების საჭიროებას არა მარტო მოსკოვის, ღმერთო შეგცოდე, თვით თბილისის გვერდის ავლითაც კი.

მოხდა იხე, რომ აჭიკჭიკებულმა მოურავმა საათზე დაიხედა და მოშემ დრო იხელთა.

მეო, საქმისათვის ჩამოვედიო. მინდა რამით მაინც გამოვადგე ჩემს სამშობლოს, საქართველოს პატივისცემას ჩვენ, ებრაელები კაი ხანს ვერ გადავიხდით, მაგრამ ეს გარიგებები თქვენთვის ხელსაყრელი იქნება, თანაც, ვალუტა შემოგივათ და ბევრს არაფერს დაკარგავთო.

შენ აგაშენა ღმერთმაო, ხელები გაშალა ვამეხმა და ქვირფას სტუმარს ურთიერთხელსაყრელი ხელშეკრულების შემოთავაზებისათვის მადლობა მოახსენა. ერთხელ კიდევ დაიხედა საათზე და დასერიოზულდა — შეხვედრაზე არ დავაგვიანოთ, მშრომელები გველოდებიანო.

მოშემ იცოდა, რას ნიშნავდა შეხვედრა და ფეხი არ მოიცვალა.

— ერთი წამით! ტყის ხურმა, მაგალითად, თქვენთან ღორები ჭამენ, ოხრდება, ჩვენ ვიყიდით!

წამის მეასედში დაიჭირა მოურავმა „ებრაული ხუმრობის“ მადლი და ჭომერული ხარხარი ასტეხა.

რაიონის თავკაცს, რასაკვირველია, სხვებიც აჰყვნენ.

— წაბლი ავიღოთ, თუ გინდა, ხელშეკრულება მზადა მაქვს! — სერიოზული სახით განაგრძო მოშემ.

ხარხარის ახალმა ტალღამ გადაუარა მასპინძლებს.

— კურკანტელა! კურკანტელა ვიტამინებითაა სავსე!

ხარხარი ფანჯრებს აზანზარებდა.

— ტყემლის საწებელი! თუ დაგვიმზადებთ, ტყემლის საწებელსაც ვიყიდით. ვალუტა შემოვა, წელში გაიმართებით!

ხარხარ-ქიგქიგის მძლავრი ექო სამოცსანთლიან ჭალს ფოთოლივით აქანავებდა.

წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, მოშეს ტყავის საქაღალდე რომ გაეხსნა და მის მიერ დიდი რუდუნებით შედგენილი ხელშეკრულებები ამოეღო. ხელშეკრულებები, სადაც შავით თეთრზე ეწერა: ებრაული მხარე ამდენ და ამდენ ტყის ხურმაში,

წაბლში, კურკანტელაში და ტყემლის საწებელში ამდენს და ამდენს გადაიხდისო.

შეხვედრა როგორ ჩაივლიდა, ნუ მომაყოლებთ. ჩემმა ქართველმა მკითხველებმა ამგვარ შეხვედრათა ყველა წვრილმანი ზეპირად იციან. არც საქართველოდან ისრაელში წასულ ებრაელებს შეეშლებათ რამე. ხოლო ქართულიდან ებრაულად ამ პატარა ნოველის სათარგმნელად თავს არავინ მოიკლავს და ამიტომაც წვრილმანებით აღარ გადაგღლით.

ერთს ვიტყვი მხოლოდ; დამსახურებულმა პედაგოგმა მარიამ ქვანიამ ქართველი ერის სახელით ყველა ქართველ ებრაელს, და, რასაკვირველია, სხვა ებრაელებსაც, მუდარით სთხოვა ისრაელიდან უკან, საქართველოში დაბრუნება.

ბანკეტზე მოურავმა, რომელიც, რასაკვირველია, თამადობდა, რამდენჯერმე სთხოვა მოშეს გაემეორებინა ბრწყინვალე ხუმრობა კურკანტელას, ტყის ხურმის და ქართული წაბლის შესახებ. მოშეს უკვირდა, რატომ მიაჩნდათ „ხუმრობად“ მისი საქმიან-სარფიანი წინადადება და ფიქრობდა, ახლა რომ ეკალას შესყიდვაზე სხვა ხელშეკრულება დავაძრო ჯიბიდან, ალბათ, სიცილით ჭერს ჩამოანგრევენო.

ამიტომაც წინდახედულმა მოშემ ხელშეკრულებებზე ხელმოწერა მეორე დღისთვის გადადო და მგონი, თავის ცხოვრებაში პირველად შეცდა. მეორე დღეს სასტუმროში ნამთვრალევ-გაბრუებულს რაიმილიციის უფროსმა მოაკითხა:

კორკიმეულის ერისთავი დილაუთენია აქტივზე გამოიძახეს, ბოდიში მოიხადა და თქვენი მასპინძლობა მე დამავალაო.

ისევ გრძელი, ზმებითა და სიხარულის ცრემლით გაბრწყინებული სუფრა.

მასპინძლად გამწესებულმა წესრიგის დაცვის მესვეურმა სტუმარს გამომშვიდობებისას რაიონის სახელით თეთრი ნაბადი, ფანდური და ქართული აკვანი აჩუქა.

აკვანი მიხეილის „ნოლ ექვსში“ არ ჩაეტია და მანქანას თოკებით გარდიგარდმო გადაჰკიდეს.

მარტი იწურებოდა ფირმა „იცხაკის“ წარმომადგენელი ჯერ კიდევ არადამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთ მთიან რაიონს რომ ესტუმრა და რაიონის ერისთავს უბრალოდ, სასმელი წყლის შესყიდვაზე ხელშეკრულების დადება შესთავაზა, მაგრამ კეთილმა მასპინძელმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა; წყალში ქვე ფულს რავა გადაგახდევინებთ, შე კაცო, თქვენთვის, ებრაელებისთვის, წყალს კი არა, სულს არ დავიშურებთ. უფასოდ წაიღეთ რამდენიც გინდათ. ჩვენთან, ხომ ხედავთ, ქვე ტყვილა ილვრება, თუ გეზარებათ, ჩამოსხმითაც ჩვენ ჩამოგისხამთო.

* * *

წასვლისას ისევ ბიძაშვილმა მიხეილ დავარაშვილმა და ისევ იმ ტელეჟურნალისტებმა გააცილეს.

წვიმას არ აპირებდა.

– მიდიხართ, აბა, ბატონო მოშე, არ იშლით წასვლას? – ჰკითხა მიკროფონმომარჯვებულმა ჟურნალისტმა.

– მივდივარ, – ამოიოხრა მოშემ და ლამის გულიც ამოატანა.

– ხომ სასარგებლო იყო ამჯერად თქვენი ვიზიტი?

– ძალიან – დანაღვლიანდა მოშე, – ნათესავები ვნახე. საქართველო დავიარე. ჩემი სიყრმის ჰაერით, მონატრებული ჰაერით ვისუნთქე, მაგრამ საქმიანი კონტრაქტები ვერაფრით ვერ დავამყარე. არც კი ვიცი, რა პასუხი გავცე ჩემს შეფს.

– რამ შეგიშალათ ხელი?

– ვერც მაგას გეტყვით. თითქოს ყველა ყველაფერზე თანახმაა. ელაპარაკები, აგებინებ. გიხარია შენც, იმასაც. საქმე საქმეზე რომ მიდგება, ხელის მოწერა, იმ პირთაგან, ვის ხელმოწერასაც გასავალი აქვს, არავის უნდა. ხოლო ვის ხელმოწერასაც ფასი არა აქვს, ყველაფერზე ხელს გიწერს. რომ უთხრა, დამითმე სახლ-კარიო, თუ ღიმილით ეტყვი, დაუფიქრებლად მოგიწერს ხელს, თუ ცოტა დაეჭვებით ეტყვი, თვითონაც ყასიდად დაეჭვდება, მაგრამ ხელს მაინც მოგიწერს.

ახე რომ, ვერცერთი საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანე.

ერთი თვეა აქა ვარ და, რომ იტყვიან, ხელში გადაწყვეტილ-გაკეთებული არაფერი მიკავია.

გასეხილჯინსხიანმა ტელეჟურნალისტმა მიკროფონი გამორთო, მიიხედ-მოიხედა და მოშეს, თითქოს დიდ საიდუმლოს ანდობსო, უჩურჩულა:

– ჩვენ მართლა სახელმწიფო ხომ არ გგონივართ, ბატონო მოშე. რისი გარიგება, რა კონტრაქტ-ხელშეკრულებები. ვინ მოგვცა, რამის უფლება. მეცინებოდა, თქვენ რომ ჩამოსვლისას თქვით, პირდაპირი მარშუტი თბილისი – იერუსალიმი უნდა დავნიშნოთ, ცალკეულ უწყებებთან ხელშეკრულებები უნდა დავდოთ, საქართველო უნდა გავამდიდროთ და გავაძლიეროთო. ვინ გაგაძლიერებინებს საქართველოს; ქორივით გვიმზერს მოსკოვი. ეს, ჩვენს შორის დარჩეს. სათქმელად არ გეუბნებით, საიდუმლოა.

რა საჩურჩულო და საიდუმლო ეგ იყო. განა კომპანია „იცხაკის“ წარმომადგენელი აბიათარ მოშე ისეთი მიამიტი კაცი იყო, რომ ამ ერთ თვეში ვერ მიხვდებოდა, რაც სჭირდა საქართველოს?

გაფრინდა მოშე ისრაელში.

იგი, ალბათ, სადღაც ვენასა და კვიპროსს შუა იქნებოდა, ხმელთაშუა ზღვის თავზე დაკიდებული, როცა „მოამბეში“ მისი გამგზავრების სიუჟეტი გადაიცა.

მე მგონი, ჩემი მკითხველისთვის ასახსნელი სრულიადაც არ არის მიზეზი იმისა, რომ გაცილების დიალოგში მოშეს ბოლო სიტყვები იყო: „... ჩემი სიყრმის ჰაერით, მონატრებული ჰაერით ვისუნთქე“.

„მაგრამ“ და „მაგრამ“-ს მოყოლებული ფრაზები „მოამბის“ სიუჟეტში წაჭრილი გახლდათ.

# ქიქიას გამოცანა

წეღან შენ თქვი, დაისვენა ყურებმა ეს წითელი დღესასწაულები რომ ჩავაბარეთ ისტორიასო. ლოზუნგ-ტრანსპარანტებზე და პოლიტბიუროს წევრების სურათებზე რომ აღარ ვარ სარბენი, მარტო ეს რად ღირსო. პარადზე გამოსაყვან ხალხს რომ აღარ ვაგროვებ და არ ვეღრიტინები შვიდნოემბერპირველი მაისის წინა დღეებში, მესუმრები ამ ამბავსო? ცამდე მართალი ხართ. წეღანვე მინდოდა მომეთხრო, კინაღამ რომ გადამიყოლა ერთმა ზეიმმა მე, არტისტი კაცი, მაგრამ ქალები იყვნენ და მოვერიდე. თუ გაინტერესებთ, მოკლედ გეტყვით.

თუ გახსოვთ, სანამ იმპერიის რღვევა დაიწყებოდა, ზეიმომანიამ შეიპყრო ჩვენი „დიადი ქვეყანა“. მთავრობას სურდა ეკონომიურად გაღლეტილი ხალხის ყურადღება ზეიმებზე გადაეტანა და მე მგონი, ამით კიდევ უფრო შეგვაძულა ეს ტყუილებზე აგებული წყობილება, დააჩქარა იატაკქვეშეთიდან სალად მოაზროვნეთა გამოსვლა და სახალხო ამბოხებანი.

ათას ცხრაას სამოცდაშვიდი წლის თვრამეტი ნოემბერი იყო, რა დამავიწყებს, თეატრში რეპეტიცია გვქონდა, აკაკი გეწაძის პიესას ვდგამდით. — აბესაძე! ცეკადან გირეკავენო, დირექტორმა მიკროფონით გამოაცხადა.

სცენაზე ჯერ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, მერე აქაიქ ფხუკუნ-სიცილი გაისმა. რასაკვირველია, რეპეტიცია შეწყვიტა რეჟისორმა და უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა: — მიბრძანდით, დაელაპარაკეთ და ჩემს მაგივრად სთხოვეთ, სხვა დროს რეპეტიციაზე ნუ დაგირეკავენო.

მძიმე ნაბიჯით, შეფრობილ-შეშნობილად ჩამოვედი სცენიდან და გასასვლელისაკენ გავეშურე. გულში კი, გაოცება ცოტაა იმ გრძნობის გამოსახატავად, „რაშია, ნეტა, საქმე. რაში დაჭირდათ ჩემი თავი, როდის იყო ცეკადან რომ მირეკავდნენ მეთქი“.

კულტურის განყოფილების ინსტრუქტორი რეკავდა,

კომკავშირიდან დაწინაურებული ბიჭი – თავდუმაძე. ცნობით კი ვიცნობდი, ერთი-ორჯერ რაღაც ღონისძიებებზე ლექსის წაკითხვა მთხოვა, მაგრამ ისე არა, რომ რაიმე კარგ საქმეზე მაინცდამაინც ჩემი თავი გახსენებოდა.

ბატონო ვაჟაო, ქალაქ ურსულაში ხომ არ გაქვთ გასეირნების სურვილიო. ურსულა ალბაბაბაჯანის დედაქალაქია. სხვათაშორის ერთხელ ვიყავი ნამყოფი სამდღიან გასტროლებზე და კარგად დამამახსოვრდა. რაღა ურსულაში მაინცდამაინც, თუ ჩემს ნებაზეა, გასეირნებას რიო-დე-ჟანეიროში ვამჯობინებდი მეთქი. ვიხუმრე, ვითომ, ჩემი ჭკუით.

არაო, მთლად ჩვენს არჩევანზეც არ არისო, ურსულაში საბჭოთა ხელისუფლების ორმოცდაათი წლისთავის ზეიმი ტარდება, ერთი კაცი უნდა გავგზავნოთ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად და განყოფილებაში არის აზრი, თუ საწინააღმდეგო არ გექნებათ, თქვენ წაბრძანდეთო.

სიტყვა უნდა ვთქვა, თუ კონცერტზე უნდა გამოვიდე მეთქი, ვკითხე ისე, დროის მოსაგებად, სანამ წასვლას გადავწყვეტდი. დებეშაში მხოლოდ ზეიმში მონაწილეობა სწერია, ალბათ ადგილზე დაზუსტდება. თუ სიტყვაში გამოსვლა იქნა საჭირო, არც ეგ შეგეშლებათ, ხოლო თუ ლექსის წაკითხვა გთხოვეს, ეგ ხომ არ შეგეშლებათ და არ შეგეშლებათო.

წავალ, ცოტა ხნით, გულს გადავაყოლებ, თვალს წყალს დავალევინებ, ლულა-ქაბაბი და ქაფქაფა კაი ლუდი ხომ ნაღდი მაქვს და, ვინ იცის, იქნებ სასტუმროში შემთხვევით გზადაბნეული, ახე ჩემი ხნის და ჩემი შესაფერი ლამაზმანიც შემოვიტყუო ნომერში მეთქი. მაშინ შიდსობია და ამ საქმეზე შიშობია არ იყო.

რაღა გავაგრძელო, ზაურ ბოლქვაძის თქმისა არ იყოს „გათენებამდე ვიარეთ უდაბნოდ ქცეულ დაბებში, დილით ურსულას ჩავედით, ამ ქალაქ-საქაბაბეში“.

ჩამოდგა თუ არა მატარებელი, სადგურის დიქტორმა გამოაცხადა, ზეიმის მონაწილე თბილისელ სტუმარს ვაჟა აბესაძეს ვაგზლის უფროსის კაბინეტში ელოდებიანო.

სიმართლე გითხრა, მესიამოვნა, რომ თავდუმაძეს ჩემი გვარის გადაცემაც მოუსწრია და, პირველად ჩემს ცხოვრებაში, ხაზატიო სტუმართა ხიაში ვწერივარ. თბილისში რომ დავბრუნდი, მერე გავიგე, რომ „განყოფილებაში აზრი“ ჩემს წასვლაზე მას შემდეგ გაჩენილიყო, რაც იმას, იმას და იმას — ჩემზე უფრო გამოჩენილ, ხანდო და ზეიმებში მონაწილეობის დიდი სტაჟის მქონე პირებს უარი ეთქვათ.

ჩემი დამხვედრ-მასპინძელი მუსკომედიის თეატრის წამყვანი მსახიობი, ალბაზაბაჯანის დამსახურებული არტისტი კასუმ ჯუჯალაროვი გახლდათ. მაღალი, თმახუჭუჭა, ხარისთვალება, როხროხა კაცი შეხედვისთანავე მომეწონა.

მანქანაში რომ ჩავჯექით, მკითხა, რა გესიამოვნებათ ურსულაში ყველაზე მეტადო. წუხელის ვაგონში კონიაკი ცოტა მეტი მომივიდა, საერთოდ, მატარებელში, თუ კონიაკი არ დავურტყი, ვერ ვიძინებ, შენთვის მოვკვდები, თუ სადმე ერთი კათხა ლუდს დამალევინებ მეთქი.

ჩემი თავი გენაცვალოსო. ეგ ადვილი სამსახურიაო.

ქალაქგარეთ გავედით. კასპიის პირას პატარა სამიკიტნო-რესტორანივით იყო. ისე კარგად წავიდა ლუდი და არაყი, ისე მესიამოვნა ქაბაბი და ცხვრის მწვადები, რომ ადგომა აღარ მინდოდა.

გაფიცებ ცოლ-შვილს, საბჭოთა ხელისუფლების ორმოცდაათი წლისთავის ზეიმზე დასწრება მართლა გულით გსურსო? კასუმამ მკითხა. რა შემატყვე, შე კაცო მაგნაირი მეთქი. ჩემი ზეიმი ა, აგერ, შენს გვერდით ჯდომაა, კასპიის კოშკების თვალიერება და კათხა ლუდზე ტკბილი მუსაიფი მეთქი. თუ რამე ისტორიული ძეგლი გაქვთ ახლომახლო და მიჩვენებ, ხომ კარგი, თუ არა და დაწყნარებულ ხასიათზე მიამბე — რა გიჭირთ, რა გილხინთ, რაზე მუშაობთ, მაყურებლის საქმე როგორა გაქვთ მეთქი.

შენ აგაშენა ღმერთმა, ჩემი ჭკუის ყოფილხარო, კასუმამ.

მოკლედ ვუღალატეთ ზეიმს და უფრო ჭეშმარიტ საქმეს

ვეწიეთ. ქუჩებში ვიარეთ, მუზეუმებში შევიხედეთ, ქარავან-სარაის ვეწვიეთ, ჩაიხანებში ჩავიმუხლეთ და ათს აღარაფერი უკლდა, კასუმამ რომ გამომიცხადა – ახლა ზეიმი დამთავრებული იქნება და ბანკეტს უნდა მივუსწროთ. ბანკეტზე თქვენი ყოფნა აუცილებელიაო.

ახალი დამსხდრები იყვნენ ფართო, მაღალჭერიან დარბაზში რომ შევედით. სამთავრობო ბანკეტზე არც მანამდე და არც მერე აღარ ვყოფილვარ. ვერც იმას გეტყვით, ახლა ტარდება თუ არა იმგვარი, გრანდიოზული ბანკეტები. სუფრაზე ყოველ ნახევარ მეტრში ჯგუფ-ჯგუფად ეწყო შამპანური, ღვინო-არაყ-კონიაკები და სამი სხვადასხვა მარკის ლუდი (რასაკვირველია იმპორტული). ახლა საჭმელს აღარ იკითხავთ? შემწვარ-მოხარშული ზუთხი და ბატკნის მწვადი, ბუღლამა და აჯაბსანდალი, ფლავი, ყაურმა და ნუგბარ-ფაჩლავა... ერთი სიტყვით, „რა საჭმელი, რა სასმელი; რა იყო რომ იქ არ დგმულა“.

სწორედ დაგვიანების გამო შეგვამჩნიეს და ბანკეტის პრეზიდიუმში მიგვიწვიეს. მაშინ ბანკეტსაც თავისი პრეზიდიუმი ჰქონდა. პარალელურად გაწყობილი სუფრების თავში, ოდნავ შემაღლებულ ადგილზე, ოცდაათამდე „ხელმძღვანელ ამხანაგს“ შორის მოგვათავსეს. შუაში თამადა, როგორც კასუმამ მითხრა, კულტურის მინისტრი ნაზარბაიბეგ ნაზარბაიბეგოვიჩ ნაზარბაიბეგოვი იჯდა.

ისედაც გრადუსში გახლდით და ალბაბაბაჯანურმა კონიაკმა ხელი მომითავა. მოკლედ, კარგად ვარ.

თამადამ მაღალფარდოვნად, თავისებური ათრთოლება-აღილინებით საბჭოთა წყაბილების, ჩვენი შეკრების მიზეზის და ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის სადღეგრძელოების შემდეგ, პარტიის სადღეგრძელო დალია.

პარტია რომ არ იყოსო, არც კულტურა გვექნებოდაო. პარტიას მიჰყავს ხელოვნება და ლიტერატურა წინაო. ერთი წუთით წარმოიდგინეთ თეატრი პარტიის გარეშეო. პარტია აძლევს სასიცოცხლო ძარღვს ჩვენს არსებობასო. პარტიის

გარეშე ხელოვნება უფსკრულში გადაიჩეხებაო.

ვერ მოვითმინე. მთვრალი კაცის ამბავი არ იცი? კახუმას ვუთხარი, ახლა რომ არ ვუპასუხო, გული გამისკდება მეთქი. თამადას აღავერდი გამოვთხოვე და რუმკა კონიაკით ხელში მიკროფონთან მივედი.

ამხანაგებო მეთქი, რა შუაშია პარტია და ხელოვნება მეთქი. თავს რატომ ვიტყუებთ მეთქი. ერთი ჭიჭია-დამთხვეული დადიოდა ჩვენს ქუჩაზე, მახსოვს, ახლა აღარაა ცოცხალი. შემხვედრს გამოცანას უსვამდა და ვინც ვერ უპასუხებდა, დებილი ხარ შენო, ეტყოდა. ერთხელ სკოლიდან გამოსულ ბიჭებს მოსახვევთან დაგვიხვდა: თქვენ თუ იცით, რა არის საჭირო, პირველ რიგში, იმისათვის, რომ ოყნა გაკეთდესო. ზოგმა უთხრა — თბილი წყალიო, ზოგმა პლასტმასის მილაკიო, ზოგმა რეზინის მისაჭერიო, ზოგმა ვაზელინიო. გვაცალა, გვაცალა გოგიამ და ბოლოს გვაჯახა — ტრაკი, თქვე შტერებო, ტრაკიო!

ეს რომ ვთქვი, ზოგმა გადაიხარხარა, ზოგს სიწითლემ გადაჰკრა, თამადამ მიკროფონის განზე გაჩოჩება სცადა, მაგრამ არ დავუთმე. კახუმას გადავხედე, ადამიანისფერი აღარ ადევს.

თუ ასე გავაგრძელებთ, ჩვენც ჭიჭიას დებილების სიაში მოხვედრის დიდი შანსი გვაქვს მეთქი. ხელოვნებას პარტია რას უშველის, პირველ რიგში ნიჭია საჭირო, ნიჭი და ხელოვანის სინდისი მეთქი. ამ ჭიქით პარტიას კი არა, სამშობლოსათვის ხელოვანი კაცის თავდადებას გაუმარჯოს მეთქი.

დავლიე და დავჯექი.

ტაში არავის დაუკრავს, მაგრამ თანაგრძნობით სავსე გამოხედვებზე მივხვდი, რომ ჩემი სადღეგრძელო ბევრს მოეწონა.

თბილისში დაბრუნების მეორე დღესვე ცეკაში დამიბარეს. თავდუმაძემ ცივად მითხრა: თუ შეიძლება, ურსულაში თქვენი მივლინების ანგარიში დაგვიწერე და ხვალ მოგვიტანეო. რა არის საზვალიო, ახლავე დაგიწერთ მეთქი.

ქაღალდი დამიდო წინ და კაბინეტიდან გავიდა.

დავწერე.

ერთხანს ვუცადე და რომ აღარ დაბრუნდა, „ანგარიში“ მაგიდაზე დავტოვე და შინ წავედი.

გასახვლელში საშვი მთხოვეს. ხელმოუწერელიაო და შემაბრუნეს.

ავედი. თავდუმაძე ფეხზე დამხვდა, – ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ის რატომ არ ჩაწერეთ, პარტია რომ ტრაკს შეადარეო.

არ შემიდარებია. ჭიჭიას ამბავი სიტყვას მოჰყვა და კიდეც რომ შემედარებინა, თქვენ რა, ტრაკი მეორეხარისხოვანი ორგანო ხომ არ გგონიათ მეთქი.

არ მოველოდით ამას თქვენგან, ბატონო ვაჟა, არ მოველოდითო. ხელიც არ ჩამოურთმევია, საშვს კალამი გაჰკრა-გამოჰკრა და გამომიწოდა.

მერე ჩემი საკითხი თეატრის პარტორგანიზაციამ განიხილა და ოთხი საათის განმავლობაში არკვევდნენ: შევადარე თუ არა ის იმას. იმ „სასამართლოს“ ჩანაწერი რომ მოეცა, გელაპარაკები, გამზადებული პიესა იქნებოდა, დადგმის მეტი არაფერი დასჭირდებოდა. სააღრიცხვო ბარათში შეტანით სასტიკი საყვედური გამომიცხადეს.

მერე რაიკომის ბიურომ განიხილა ჩემი საკითხი და სასჯელი, რასაკვირველია, ძალაში დატოვა.

ის დღე და ის დღე, არც სადმე სტუმრად წასვლა შემოუთავაზებიათ ჩემთვის და არც სიტყვაში გამოსვლა უთხოვიათ.

თეატრშიც კარგა ხანს ალმაცერად მიცქერდნენ.

ამ ბოლო დრომდე წესიერი როლიც არ გაუმეტებიათ ჩემთვის.

მთლად რომ არ გამაგდეს და ულუკმაპუროდ არ დამტოვეს, მადლობელი არა ვარ?

# შეხვედრა ჩვანგოს გამოქვაბულში

ეს ამბავი პუერტო-რიკოში არ მომხდარა.

ეკვატორიდან მტკაველითა და ოთხი თითის დადებით დაშორებულ კონტინენტზე მოხდა.

ორიოდე სიტყვა ისტორიას დავუთმოთ:

19... წელს ჰომოლულუში დაემხო კვანტოკვანტოს რეჟიმი და ჰომოლულუ (ჰომოლულურ ენაზე ხპილოს ეშვს ნიშნავს, რ.მ.) დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა. დემოკრატიული, თავისი კონსტიტუციით, ჰომოლულუ მანამდეც იყო, მაგრამ მანამდე „მოძმე დემოკრატიული რესპუბლიკა" ერქვა. ბრგჰნდას ტომის ბელადმა, რომელიც ჰომოლულუს კანონიერ ხელმწიფედ ხმების აბსოლუტური უმრავლესობით აირჩიეს, პირველი ის გააკეთა, რომ ქვეყნის გრძელ სახელწოდებას „მოძმე" ჩამოაცილა, მერე „დემოკრატიულის" ჩამოცილებასაც აპირებდა, მაგრამ ჯანჯალკვომას (ჰომოლულურ ენაზე პარლამენტი, რ.მ.) ზოგი წევრი და ინტილქვანას (ჰომოლულურად უხუცესთა საბჭო, რომელიც ძირითადად ვეგეტარიანელ მოხუცთაგან კომპლექტდება; რ.მ.) დარბაისელნი აუმხედრდნენ, „დემოკრატიული რესპუბლიკა" კარგად ჟღერსო.

ბრგჰნდას ტომის ბელადმა იფიქრა: თუ ახლა უკან დავიხიე და ამ ავყია მოხუცებს დავუთმე, ხვალზეგ ხხვები შემაჩვევენ ენას. კაცმა რომ თქვას, მე მაინც ჩემსას მივერეკები, რა ბედენაა სახელმწიფოს „დემოკრატიული" ერქმევა თუ რა, მაგრამ პრინციპის ამბავია, ბოლოსდაბოლოს მე კანონიერი ხელმწიფე ვარ და კეთილ ინებოს სახელმწიფომ – ჩემს ნებას დაემორჩილოსო. ბელადს კამათი და ხუმრობა არ უყვარდა.

ჯანჯალკვომას და ინტილქვანას შეერთებული ცხრამეტკაციანი არმია პროტესტის ნიშნად მამონტის მუზეუმის ხის კიბეზე ჩამოჯდა და ბზუილი მორთო. ბზუილის ნაცად ხერხს ტრადიციულად ჰომოლულუელნი პროტესტის ნიშნად მიმართავენ.

ისხდნენ სანამ არ მოსწყინდებათო, ერთი გაფიქრება გაიფიქრა ტომის ბელადმა, მერე სიბრაზემ შეიპყრო, რატომ უნდა ისხდნენ, ხომ შეიძლება, მთვარიდან ვიღაც-ვიღაცეებმა დაინახონ რომ ვიღაც-ვიღაცეები კიბეზე ხხედანო, მართალია, ბზუილს შორიდან ვერ გაიგონებენ, მაგრამ მაინც არაა ხასიამოვნო უცხო თვალისთვის წვეროსანთა ასე ერთად ჯდომაო. წამუყო ქვოსანთა ქვეჯგუფს და ბაობაოს დღესასწაულის წმინდა ხუთშაბაის, როცა მოხუცები თვლემდნენ, ბელადის რეჟიმით უკმაყოფილო დარბაისელთა თავზე ქვების ხეტყვა წამოვიდა. ქვების ხეტყვამ ვერ დააშინა ოპოზიციონერები. დროებით თავი საქვოიას უზარმაზარ ფუღუროს შეაფარეს და საშიშროებამ რომ გაიარა, ისევ მოძებნეს კიბეზე თავიანთი ადგილები.

სიბრაზისგან კბილებაღრჭიალებულმა ბელადმა გადაწყვიტა ჰომოლულუს მოქალაქეთა შედარებით მოაზროვნე ნაწილს შეხვედროდა და მოთათბირებოდა იმის შესახებ, თუ რა გზას დადგომოდა მომავალში, რა მეთოდით აეყარა კიბიდან და როგორ დაესაჯა მოძალადე ვეგეტარიანელი ბებრები.

შეხვედრის თარიღად ქოქოსისთვის (ჩვენებურად ღვინობისთვე) ხამშაბათი დაინიშნა, ადგილად — ჩვანგოს გამოქვაბული. ამ გამოქვაბულს ორასამდე ქვისნაჯახიანი მონა ზანგი იცავდა და ამ, არც თუ უბრალო მიზეზის გამო ვეგეტარიანელ მოხუცთაგან შეშინებული ბელადი აფარებდა ხოლმე თავს. აქ „იშვიათად შეშინებული“ ან „იშვიათად აფარებდა“ უნდა გვეხმარა, მაგრამ სიჩქარეში გამოგვრჩა, რადგან ტომის წინამძღოლის შეშინება იოლი არ იყო. ბელადის უერთგულესი დამცველები — ადამიანისხმისგავსი ძუ ლომები დაუჯერებელ ამბებს ჰყვებოდნენ მასზე: ერთხელო, როცა ვეგეტარიანელთა ბზუილმა თავი მოაბეზრა, ბელადმა ხელი ხმალს იკრა და ორგზის გაიწია ინახად მჯდარ მოხუცთა დასარბევად, მაგრამ ფეხქვეშ ჩავუვარდით და არ გავუშვით, რომ მტერს არ ჩავარდნოდა ხელშიო.

შეხვედრის მონაწილეთა სია წინასწარ შეადგინეთ და შემითანხმეთო, უბრძანა ბელადმა თავის ერთგულ ვეზირს – ქორბუდა ქივქივაძეს.

ქორბუდამ მეორე დღესვე მიურბენინა პატრონს წინასწარ შედგენილი სია.

ჩაიკითხა სია ბრგჰნდას შემქმნელმა და ჰომოლულუს გამათავისუფლებელმა. ჩაიკითხა და ისტერიული ყვირილი მორთო: ჩასასმელი ხართ ყველანიო. მოღალატეებით და მტრებით არის ხასახლის კარი სავსეო. რა გეშველებათ უჩემოდ, თქვენ უბედურებო, თქვენო. ასიოდე ერთგული კაცის სიაც ვერ შემიდგინეთ, ხალხი ხართ თქვენო? ამას, ამას და ამას რა უნდა ჩემთან შეხვედრაზე, ამათ რომ დავინახავ, დაწყობილად ვილაპარაკებ მეო? მე კიდევ ნერვების მოშლა მინდა, თქვენ ასეთ-ისეთებოვო?

ისედაც დალეული ქივქივაძე თაგვისხელა გახდა. უკანსვლით გაიპარა კაბინეტ-გამოქვაბულიდან. ძველი სია თავზე გადაახია პრესცენტრის ფისუნიებს, ახალი შეადგინა და სამი დღის განმავლობაში მათს მეცადინეობა-დამოძღვრას პირადად ხელმძღვანელობდა.

შეთანხმდნენ, ბელადის შთამბეჭდავი სიტყვის მერე დაქირავებული და საჩუქარშეპირებული მოქადაგენი გამოუძახებლად, საკუთარი ინიციატივით, რიგრიგობით გამოხულიყვნენ ტრიბუნასთან და ვეგეტარიანელი მოხუცები არაჯანსაღი კრიტიკის ქარცეცხლში გაეტარებინათ.

შეხვედრა დანიშნულ დღეს, დანიშნულ ადგილას დანიშნულ დროზე საათნახევრით გვიან დაიწყო.

მძიმე მდგომარეობაა შექმნილი, ჩემო ერთგულო ჰომოლულუელნოვო, აუწყა დარბაზს ტომის ბელადმა და ქვედა ტუჩში გაყრილი ოქროს რგოლი გვერდზე გასწია, რადგანაც ლაპარაკში ხელს უშლიდა. ვეგეტარიანელთა უტიფრობას და თავგასულობას ზღვარი არა აქვსო. მართალია, ჰომოლულუს მოსახლეობის ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი მე მიჭერს

მხარს, მაგრამ მაინც არახასიამოვნო ამბავია, რაც მამონტის მუზეუმის კიბეზე ხდებაო. თანაც უნდა გაუწყოთ, რომ კიბეზე ცხრამეტი ვეგეტარიანელის დაჯდომა დიდად უშლის ხელს მსოფლიო სახელმწიფოების მიერ ჩვენს აღიარებასო. ამასწინათ ვესაუჩის ქვეყნის ლიდერს ვუსაყვედურე; რატომ არ მცნობ, რატომ არ მესალმები მეთქი და ასე მიპასუხა; არ გეწყინოს, ჩემო გვრიტო, სანამ ბებრები კიბეზე ყვავებივით ჩამომსხდარან, ვერა და ვერ გიცნობ: ამსერე მოხუცილენი და ვინ მამაძაღლი. შენ ის უქენი ჩემი ბაბუის საფლავს, თუ მაშინვე არ გცნო. მე ხომ იმწამსვე გიცნობ და გიცნობ, ხზვასაც ვაცნობინებ შენს თავსო. მე კარგად ვიცი, რა მოუხდებათ ამ ვეგეტარიანელ აბეზრებს, მაგრამ რად გინდა, მთელი დასავლეთი კრიჭაში მიდგას, როგორც კი ვინმეს უდანაშაულოდ ციხეში ჩავსვამ, მაშინვე ერთ ამბავს ასტეხენო. ბელადმა, რა ბედნიერი იყო ბერია, იმხელა კედელი შემოავლო ქვეყანას, რომ ჩიტიც ვერ ჩამოიხედავდა, რა ხდებოდა აქო. დასავლეთის შიშით უდანაშაულო კაცი ვერ დამიჭერია, საქმეა ეხო? სხვათაშორის, თქვა დასასრულ ბელადმა, ის ვეგეტარიანელი მოხუცები არც ისე მიამიტი და ოდენ მოხუცილე ბებრები გახლავან, გვაქვს უტყუარი ცნობები, რომ ბევრი მათგანი ქურდი და ბანდიტიაო, ნავაძე და კვერკველია უშუალოდ ხელმძღვანელობენ მანქანების მომტაცებელთა ბრიგადასო. მოიპარავენ მანქანას, მიაგდებენ ტელევიზიასთან, იქ ქანჩიანი ბიჭები ელოდებიან. თვალის ერთ დახამხამებაში დაშლიან მოპარულ მანქანას, თვალის ორ დახამხამებაში გაარბენინებენ ნაწილებს, გაჰყიდიან და ფულს პირწმინდად ნავაძე-კვერკველიას აბარებენო. ასე რომ მამონტის მუზეუმის კიბეზე ვეტერანი ოპოზიციონერები კი არა, მძარცველები სხედანო. დღისით, რასაკვირველია, თვლემენ, რაკიღა მთელი ღამე ქალაქში მეკობრეებად დაშლიგინობენ და დაღლილნი ბრძანდებიანო. რესპუბლიკის პროკურორი ცოტა უცნაური კაცია, უდანაშაულოთა დაპატიმრებაზე დასტურს არ მაძლევს. თქვენ უნდა ამომიდგეთ მხარში, თქვენ უნდა

მოითხოვოთ დამნაშავეთა, აგენტთა და ხალხის მტერ ვეგე-ტარიანელთა გათოკვა, მერე მე ვიციო.

კანონიერი ხელმწიფე ამ ჩახაწერ სიტყვებს რომ ისროდა, ქორბუდა ქივქივაძე დარბაზს ათვალიერებდა. იგი თავისი ნამუშევრით კმაყოფილი იყო. ბელადის ერთგულებაზე და-ფიცებული აუდიტორია თავს არ ზოგავდა, და ნაცვლად დაგეგმილი ყოველი მესამე წინადადებისა; ყოველ მეორე წინადადებაზე უკრავდა ტაშს. ერთგულახლები ისე გაერთნენ, რომ მაშინაც კი დასცხეს ტაში, როცა ბელადმა ნავაძე და კვირკველია ბანდიტებად მოიხსენია. აქ კანონიერად არჩეულმა წყრომით აღსავსე თვალი ქივქივაძისკენ გააპარა. ქორბუდას წელში გააცია, მაგრამ არ შეიმჩნია. ზეთის და ფაფის რუსული ანდაზა გაახსენდა და თავი დაიმშვიდა.

სცენარის მიხედვით პირველი უმცროსი ასისტენტი კოჭუა უნდა გამოსულიყო და გამოვიდა კიდეც.

მეო, განაცხადა, ყველაზე მეტად მთელს ამ ამბავში, ჩვენი ხელმწიფის გულჩვილობა და ჰუმანურობა მანცვიფრებსო. მაგნები სარგებლობენ ჩვენი ბელადის სიკეთით და თავს გაუ-ვიდათ, მე, იქვე, მამონტის მუზეუმთან ვცხოვრობ და პირდაპირ ყურებია წაღებული მაგათი ბზუილითო. არ შეიძლება ამდენი მიმტევებლობა და პატიება, ბატონო, მამავ და მარჩენალო, ბელადს კოცნის ნდომით აღსავსე თვალები მიაპყრო.

გულჩვილმა მეუფემ თავი მორცხვად ჩაქინდრა.

მეო, განაგრძო კოჭუამ, ჩვენი ხელმწიფის გულისთვის სულსაც არ დავიშურებო. ჩემი სიყვარული უსაზღვროაო. პირველ გასაკვირზე ხომ უკვე მოგახსენეთ, მეორე რამეც მიკვირს და უნდა ვთქვაო. რატომაა ყველა ჭკვიანი და განათლებული კაცი ვეგეტარიანელ მობზუილეთა მხარეზეო, როცა გაიგეს, რომ მე ქორბუდა ქივქივაძის ხიაში აღმოვჩნდი და აქ რეპეტიციებზე დავდიოდი, აღშფოთდა ყველა ჩემი ყოფილი ნაცნობი და ყოფილი ნათესავიო. რა გინდა მაგ დესპოტთან და სისხლში ხელგასვრილ ხალხთან შენო. როგორ

უნდა დაუკრა ტაში იმათ, ვინც ხულს უხუთავს ტელევიზიას და ოპოზიციას ერთ საათსაც არ აძლევს თავისი აზრის გამოსათქმელადო. ჩემი წინადადება კონკრეტულია; დროულად უნდა აღმოვფხვრათ ეს უმსგავსობაო.

კოჭუას გამოსვლის მეორე ნაწილი აშკარად არ ესიამოვნა ტომის ბელადს. რა სიაზეა ლაპარაკი, რა საჭირო იყო იმის თქმა, რას ეუბნებიან მისი მტერი ნაცნობ-ახლობლებიო. ხელმწიფე განსაკუთრებით ტელევიზიის ხსენებამ გააღიზიანა, რადგანაც ტელევიზიასთან დაკავშირებით კოჭუას ყოფილ ნათესავთა პრეტენზია მართალს ჰგავდა.

ბელადი უკმაყოფილოდ შეიშმუშნა, თითქოსდა მეც ტაშს ვუკრავო, მარჯვენა ხელს ერთი ორჯერ ამოარტყა მარცხენა ხელი და ტრიბუნაზე მდგარ ახალ მოქადაგეს, კუჭის აშლილობის მთავარ სპეციალისტს — მონჩორიშვილს მიაპყრო მზერა.

როგორც დავუკარგავ, მონჩორიშვილმა ომახიანად დაიწყო:

— აქეთ რომ მოვდიოდი, ბევრი მიკრო მიტინგი და შეჯგუფება გამოვიარე. ჩემი პროფესიის გამო ყველა მიცნობს. მაჩერებდნენ, მეკითხებოდნენ, დარიგებას მთხოვდნენ. ჩვენთან დადექი, აგრემც შემოგევლებით და ორიოდე შენებური, ბრძნული სიტყვა გვითხარიო, რასა ბრძანებთ მეთქი, მე თქვენთან როგორ გავჩერდები, იქა ვარ მეთქი დაბარებული, აქაობაზე ვუთხარი. გაიკვირვეს განა, შენაო, თვალებზე ლიბრი ხომ არ გადაგეკრაო. განა ვერა ჰხედავთ, რაებსა სჩადიანო, დროული კაცი ხარ, თუ მოსწრებიხარ კაცს რომ ისე ჰგლეჯამდნენ პირიდან სიტყვას როგორც-ჩვენი ახალი დემოკრატიული ხელისუფლება ჰგლეჯამს პირიდან სიტყვასაო. რასა ჰბრძანებთ მეთქი, ვინა ჰგლეჯამს სიტყვასა, მე ჩემს ავადმყოფებთანა, რაც მინდა, იმაი ვამბობ მეთქი. იქნებ არც ის არი მართალი, თავიანთ უჭკუობითა ქვეყანა რო დაამშიეხო, მომძახიან. რასა ჰბრძანებთ მეთქი, მე სულაც არა მშიან, მშვენიერ კარგადა ვჭგრძნობ მეთქი თავსა. ნაბიჯ მოვუჩქარე კიდევ რაღაც სისულელე არ მითხრან მეთქი, არავის მივსალმებივარ — არ შემაჩეროს და არ

დამაგვიანდეს მეთქი, რაკიღა აქ ვიყავი დაბარებული და სიტყვა უნდა მეთქვა. სიტყვა — სიტყვაა. პირ ხომ არ გავტეხამდი, თავ ხომ არ შავირცხვენდი.

ვერც მონჩორიშვილის არტისტულმა სიტყვამ დატოვა ხასურველი შთაბეჭდილება. ტომის ბელადის შეუცვლელობაზე და კაცობრიობის წინაშე მის უდიდეს დამსახურებაზე ჯერჯერობით არავინ ლაპარაკობდა. ეს გარემოება კი ფრიად გულსატკენი გახლდათ ტომის ბელადისათვის — არა მარტო როგორც პიროვნებისათვის, როგორც ხელმწიფისთვისაც.

როცა დარბაზიდან (ქორბუდას სცენარით) უმანდილოდ ქალბატონი თხუნელაძე პრეზიდიუმისკენ გამოემართა, ტომის ბელადს გული მოეფონა. ხელმწიფის კარის ერთგული ქალების სიტყვები და საერთოდ მათი საქმიანობა, კარგად ჰქონდა დაცდილი.

მეო, ჰომოლულუს მცხოვრებთა ვერცერთ თაობაში ვერ ვხედავ ადამიანს, რომელმაც, შეიძლება, არა თუ ახლა, უახლოეს ხუთ ათეულ წელიწადში შეცვალოს ჩვენი ბელადიო. ერის გამყიდველი ვეგეტარიანელი მოხუცები უნდა მოიკვეთონ დაუყოვნებლივ, მათ თავის მოკვეთა და ლაგამის ამოდება ცოტაა, მე ჰომოლულუელ დედათა და ქმარსგაცილებულთა სახელით კატეგორიულად მოვითხოვ თქვენგან, ნუ აყოვნებთ, დროზე დაიწყეთ რეპრესიები, მოღალატეთა ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს, ასეა ეს. აბა რა ეგონათ მაგათო.

„კარგია, ჭკვიანი ქალს ჩანს. მართალია, შესახედაობა არ მიუცია გამჩენს, მაგრამ გაბედულად და ჯერჯერობით მშვენივრად მიჰყვება სათქმელს, ბოლოში თუ არ აურია“ — გაიფიქრა ტომის ბელადმა და, მისდა სამწუხაროდ, უნდა ვთქვა, რომ თხუნელაძემ ბოლოში აურია.

— განა ადამიანად ჩაითვლება ის ადამიანი, ვინც უარს ეტყოდა ყივჭივაძეს დღეს აქ გამოსვლაზე? — განაგრძო ქალბატონმა თხუნელაძემ. — მე ვიცი, რაც მოჰყვება ჩემს დღევანდელ გამოსვლას, არა თუ ამხანაგები და მეგობრები,

ოჯახის წევრებიც არ მომიწონებენ ამ საქციელს. შენგან ამას არ მოველოდითო, მეტყვიან. რატომ მიეყიდე სატანას, რა ოცდაათი ვერცხლი გადაგიხადესო. შენაო, მეტყვიან, მოაზროვნე ქალი გვეგონეო, ანგელოზივით უცოდველი ფოტოგრაფი ლაგვილავა რომ ციხეში ჰყავს იმ მთავრობას უჭერ მხარსო? მწერლებს და მეცნიერებს რომ კრიმინალებად და ქურდებათ აცხადებს, იმ ხელმწიფის გვერდით დგახარო? მკვდრებს რომ მიწაში არ აყენებს, იმის წისქვილზე ასხამ წყალსო? ვიცი ყველაფერ ამას მეტყვიან. მეტყვიან და მითხრან, რა ვქნა ახლა. მთელი ჩემი წრე დამესევა, თუ ვინმეს თავი აქვს მხრებზე და დამოუკიდებელი აზრი გააჩნია, ყველა ჩემი მოწინააღმდეგე იქნება, ვიცი მე, მაგრამ მაინც ჩემსას ვამბობ.

თხუნელაძე ისე ამაყად, თავაღერილად დაუბრუნდა თავის ადგილს, როგორც წეღან გამოვიდა, მაგრამ ტომის ბელადმა მისი გვარის დამახსოვრების სურვილი სამუდამოდ ამოიგდო გულიდან.

აშკარა ჩანდა, შეხვედრა მიზანს ვერ აღწევდა. „ეს ყველაფერი, შენი ბრალია. მოგივლი შენც, ადრე თუ გვიან. სად მოძებნე ეს დამთხვეულები. როგორ შეიძლება, ყველანი იმას უსვამდნენ ხაზს, თუ როგორ ეუბნებიან ერის მტრები: გონს მოდით, რას სჩადიხართ, ვის უჭერთ მხარსო. ან ეს „გულუბრყვილო“ დასმენა რა ჯანდაბაა წინასწარგაფრთხილების და დაბარებულის ხაზგასმაში რომ იგრძნობა. შენგან მჭირს, რაც მჭირს, შე ნაგვის მელავ, შენო“, ამ ფიქრით აყოლებდა თვალს ხელმწიფე მისკენ მომავალ ქორბუდა ქივქივაძეს მას შემდეგ, რაც ხელი დაუქნია და თავისთან იხმო.

— გისმენ, ჩემო ბატონო, — ბელადს ტუჩთან მიუტანა თავისი ლეღვის ფოთოლივით ფართო მარჯვენა ყური ქორბუდამ, ისე რომ წელში მოხრა დიდად არ დასჭირვებია. მჯდომარე ლომი და მდგომარე „ნაგვის მელა“ ერთი სიმაღლისანი იყვნენ.

— ესაა შენი მომზადებული შეხვედრა? — ხელმწიფის ამ კითხვაში საყვედური აშკარად ჩანდა.

– რაც შემეძლო მოვინდომე, ბატონო, ამ ხალხისგან ხხვა არ გამოვიდა. თქვენ პირველ რეპეტიციაზე უნდა გენახათ.

– ეგ ლაპარაკი ხხვა დროისთვის გადავდოთ. გლობალური სიტყვა არა აქვს ვინმეს?

– როგორი?

– გლობალური. აი, გლობალურ პრობლემებზე რომ იმსჯელოს.

– კი ბატონო. ქარაგმაშვილის გამოსვლა სწორედ გლობალური იქნება.

– გამოვიდეს, – ქორბუდას ფართო, ბალნიან ყურს ტუჩი მოაშორა ტომის ბელადმა.

ორიოდე წუთში მეწკიპურტე ქარაგმაშვილი ტრიბუნაზე იდგა.

– მე ფაქტებით ვილაპარაკებ. მე ლამაზი ლაპარაკი არ მეხერხება! – საერთოდ გამოცდილი ორატორები ჯერ ხმადაბლა იწყებენ და ხმას ბოლოში აუწევენ ხოლმე, ქარაგმაშვილმა კი პირდაპირ ყვირილით დაიწყო, ეტყობა გამოსვლამდე ვიღაცას გაებრაზებინა – მე „კუსტარ ადინოჩკაო“, რომ იტყვიან, ისა ვარ. მე ფაქტებით მიყვარს ლაპარაკი. იქეთაც ვყოფილვარ მიტინგებზე და აქეთაც, ჯერ ჩემი მოხაწონი, ჩემი ჭკუის მიტინგი არ მინახავს. იმიტომ კი არა, თითქოს მე ყველაზე ჭკვიანი ვიყო. უფრო, ალბათ, პირიქით. ბევრ რამეს ვერ ვგებულობ და, რაკი ვერ ვგებულობ, ჩუმათა ვარ. ახლა დღევანდელ ამბავზე: ნავაძე ჩემს კლასში იყო!

– მაშინაც ქურდობდა? – მკვირცხლად ჩაურთო ტომის ბელადმა.

რატომღაც არავის გაეცინებია. არადა დარბაზის დონის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, ბევრს უნდა გაეცინებოდა.

– მაშინ არ ქურდობდა. ომის დრო იყო. ათი-თორმეტი წლისანი ვიყავით, ცოტ-ცოტა ყველანი ვპაცაცობდით, ნავაძის გარდა. ვერ წარმოედგინა სხვისი რამე, თუნდაც ქუჩაში ნაპოვნი აეღო და ხაზლში წაეღო.

– აბა ახლა რა ღმერთი გაუწყრა! – კვლავ გონებამახვილურად

ჩაურთოთ ბელადმა და, ვისდა დავუმალოთ, არც ამჯერად გასცინებია ვინმეს.

— აი, მე ახლაც მარჯვენა ხელს მოსაჭრელად დავდებ, თუ ეგ მანქანები ნავაძის მოპარული აღმოჩნდება.

— გვაქვს, გვაქვს ფაქტები. ახლა სხვაზე გვესაუბრეთ — მესამედ, ამჯერად არც თუ გონებამახვილურად, ჩაერთოთ ბელადი.

აშკარად ჩანდა, მოთმინება ღალატობდა.

— კი ბატონო, სხვაზე გადავალ — დაეთანხმა ორატორი; — კვერკველიაც ჩემთან სწავლობდა ტექნიკუმში.

— რა ძმაკაცები გყოლია! — ჩაურთოთ ბელადმა.

— მაშინ ცოტ-ცოტას ყველანი ვბაცაცობდით!

— მათ შორის კვერკველიაც, ხომ? — აღტაცება ვერ დამალა ბელადმა.

— ყველანი ვბაცაცობდით ტექნიკუმში კვერკველიას გარდა. კვერკველია ისეთი ოჯახიდან იყო, რომ მასთან ასეთ თემაზე ლაპარაკიც კი უხერხული იყო. მე მგონი კვერკველიამ მაშინ არც კი იცოდა, საერთოდ, ქვეყანაზე თუ ბაცაცობა არსებობდა.

— ეხლა რა ხნაკვა შეეყარა?! — ბრგჰნდას ტომის წინამძღოლი ოდნავ პაუზასაც არ უშვებდა გამოუყენებლად.

— მე მგონი, ახლაც ასე უნდა იყოს. ეგ მანქანები კვერკველიას მოპარული არ იქნება. ისე დაბნეული და ალალი კაცი, როგორიც კვერკველიაა, მანქანას ვერ მოიპარავს. მანქანის მოპარვას უფრო მობილიზებული კაცი სჭირდება. ახლა მესამე და მთავარი!

იქნებ ახლა მაინც დაადგეს სწორ გზას, ეს ოჯახქორი, გაიფიქრა მოქადაგეთა უვარგისობით გულდამდუღრულმა ბელადმა.

— მესამე და მთავარი ის გახლავთ, რომ ვისაც მანქანა მოუპარავს, ჩვენი ბელადის ნათქვამზე უსათუოდ გაეცინება. ქანჩიანი ბიჭები თვალის დახამხამებაში დაშლიან მანქანასო, აღარ თქვათ, ბატონო, მეორეჯერ. მანქანის დაშლა თქვენ ასე

ადგილი ხომ არ გგონიათ. ჩქარა მანქანას კი არა, ხაკერავ მანქანას ვერ დაშლი, ანდა ტელევიზიის გვერდით მოტაცებულ მანქანას ვინ ხულელი მიიყვანს, რა სამალავი ადგილი ეგ არის, გნებავთ ახლა და გნებავთ გუშინ, როცა მილეთის ხალხი ირეოდა იმ ადგილას. მეოთხეც უნდა მეთქვა რაღაც, მაგრამ დამავიწყდა. მეოთხე ხხვა დროისთვის იყოს. გამახსენდება და მერე ვიტყვი. ახლა ეს სამი ვიკმაროთ. მე ფაქტების ენით მიყვარს ლაპარაკი. მე ვერავინ მეტყვის, რა გინდოდა იმ კაციჭამიებთან, რაზე მიხვედიო, მთავარი ის კი არ არის, სად გამოხვალ, მთავარია, რას იტყვი.

ქარაგმაშვილმა ტრიბუნა დასტოვა.

ტომის ბელადს დანა პირს არ უხსნიდა. „რა ჯანდაბად ავიტეზე ეს შეხვედრაო, ფიქრობდა; არ ვიცოდი ვისთან მაქვს საქმე, რა გამყიდველების ხელშიც ვარ ჩავარდნილიო? შენ მაინც მოგერევი, შენ გიჩვენებ სეირსო“, – მრისხანე თვალებით შესცქეროდა ქივქივაძეს.

ქორბუდამ ვერ გაუძლო ქორულ მზერას, წამოდგა და ცოცხალ-მკვდარი, ყურებადაქცეული, ბელადთან მილასლასდა.

– ესაა გლობალურ პრობლემებზე ილაპარაკებსო?

– რა ვიცი... გუშინაც, გუშინწინაც, იმ დღესაც, პირველად რომ შევიკრიბეთ, სულ გლობალურ პრობლემებზე ლაპარაკობდა – ციებიანივით, კბილების კაწკაწით ამოღერღა ქორბუდამ.

– კარგი, კარგი. გასაგებია ყველაფერი. ამით დავამთავროთ და ამ ტიპის ხალხთან მეტი შეხვედრა აღარ გვექნება. ესეც დიდი შეცდომა იყო. ვის უნდა, ვის სჭირდება ამათი მხარდაჭერა. ღმერთმა ავტობუსები ნუ მოგვიშალოს...

* * *

რა იცოდა ტომის ბელადმა, რომ მთავარი უსიამოვნება წინ ელოდა.

ტელევიზიაში შეპარულმა მტრებმა, მეორე დღეს, ეს შეხვედრა ეთერში მთლიანად, კომენტარის და შეკრეჭ-შემოკრეჭის გარეშე გადასცეს.

# სარდალთან

ინტელიგენტი აივენგო დოლაბერიძე ასე დაბნეული ჯერ არ ყოფილა.

ტროლეიბუსის გაჩერებაზე იდგა და არ იცოდა, საით წასულიყო.

შეჰყურებდა ინტელიგენტი მოქალაქეთა მოღუშულ, გაბრაზებულ და უკუღმართი ცხოვრებისგან ნერვატოკებულ სახეებს და, უნდა გამოგიტყდეთ, არა თუ ეცოდებოდა, ეხარბებოდა კიდეც მათი.

ქალაქი, ჟურნალისტების ენით რომ ვთქვათ, პარალიზებული იყო.

მოსწავლე არ სწავლობდა, მხატვარი არ ხატავდა, ჰონი არ ჰონობდა და მარკშეიდერი არ მარკშეიდერობდა.

მაშ, რა ეხარბებოდა ინტელიგენტ აივენგო დოლაბერიძეს ამ სახეარეული ადამიანებისა?

რა და ყველა მათგანმა იცოდა, დილით, სახლიდან გამოსული, რომელ აქციას, მიტინგს თუ მანიფესტაციას შეერთებოდა, აივენგოს კი ვერა და ვერ გადაეწყვიტა.

იდგა და გამვლელ-გამომვლელთ არც თუ უაზროდ ათვალიერებდა.

დაბნეულობა წუხელ ღამითვე დაეუფლა, შინ მობრუნებულს.

ცოლს, რა თქმა უნდა, არ აგრძნობინა, რომ დაბნეული იყო. დამეძინება და გამივლისო.

რის ვაივაგლახით, მამლის მეშვიდე დაყივლებაზე ჩაეძინა.

სიზმარი არ უნახავს. გაეღვიძა მაშინ, როცა რადიოსადგური „თავისუფლება" უკანასკნელ ცნობებს მეოთხეჯერ იმეორებდა.

საწოლზე წამოჯდა, კეფა-კისერზე ხელი ჩამოისვა, ფოსტლებში ფეხი წაჰყო და კარსუკანმიყუდებული სამფეროვანი ეროვნული დროშა აივანზე გაჰკიდა.

აივენგო პირველ სართულზე ცხოვრობდა და დროშას

ღამღამობით ჩამოხსნიდა ხოლმე; უდროშო გამვლელმა ე მანდ ხელს არ გააყოლოსო.

მადაგასკარელ მკითხველს, რომელიც ამ ნოველას მალაგასიურ ენაზე წაიკითხავს, ალბათ, გაუკვირდება „დროშის მოპარვა“. ყველაფრის მოპარვა გაუგონია, ალბათ, აფრიკის სამხრეთელ მეზობელს დროშის მოპარვის გარდა, მაგრამ უნდა დავამშვიდო, რომ დემოკრატიის კლასიკურ ქვეყნებში სათანადო ორგანოებს დროშის მოპარვის არაერთი შემთხვევა აღუნუსხავთ.

ამ უცნაურ ქურდობებს თუ ბინისა და მანქანების მსგავსად არ აზმაურებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ დროშის ღამეულ ხელყოფას ძირითადად არაპროფესიონალი ქურდები ან ხელმოცარული პოლიტიკოსები სჩადიან.

თითქოსდა ყველაფერი რიგზე იყო. აივენგომ თავსახე გაიპარსა (თავს იგი ყოველ მეოთხე დღეს იპარსავდა, სახეს – ყოველ მესამე დღეს), პარსვისას გაჩენილ ჭრილობებზე ქაღალდის ნაგლეჯებიც მიიწება, ჩაიც დალია, ლურჯ პერანგზე განუყრელი თაგვისფერი ჰალსტუხიც გაიკეთა და კიბეზე რომ ეშვებოდა, სწორედ მაშინ შეატყო თავს რომ დაბნეული იყო.

დაბნევის მიზეზს ხვდებოდა, მაგრამ თავს არ უტყდებოდა.

რამ დააბნია და გუშინ ზედიზედ ორ მიტინგზე ყოფნამ.

პირველ მიტინგზე გამომსვლელნი ცას შეჰღაღადებდნენ: რა დაგიშავეთ, ღმერთო, რომ ასე დაგვსაჯეო. ჩვენი მოძმენი გაგვირისხდნენ და ჩვენსკენ, კანონიერი ხელისუფლებისკენ, იარაღით მოიწევენო. წუხელის სამჯერ მოგვიწია სიმღერითა და კალამბური თქმებით კბილებამდე შეიარაღებულ თავდამსხმელთა მოგერიებამო. გადავდგებოდით, მაგრამ ჩვენი გადადგომის მერე ქვეყანა დაიღუპებაო. საკმარისია გადავდგეთ, რომ მიწაზე ბალახი არ ამოვა და მდინარეები აღმა ივლიანო, ქალაქად პური არ გამოცხვება და კანალიზაცია არ იმუშავებსო.

„კანალიზაციამ“ ცოტა შეაფიქრიანა აივენგო, მაგრამ იმდენად გულწრფელნი და შეშინებულნი ჩანდნენ მომიტინგენი, რომ „კანალიზაცია“, ალბათ, წამოცდათო, გაიფიქრა ინტელიგენტმა

და გულწრფელად უთანაგრძნო კანონიერ ხელისუფლებას.

ინტელიგენტს სხვა რა შეეძლია. იგი უთანაგრძნობს, ან უკიდურეს შემთხვევაში არ უთანაგრძნობს მოვლენებს. მორჩა და გათავდა.

აქეთობისას უნივერსიტეტში შეიარა, იქნებ, შემთხვევით იმ თვის ხელფასი მაინც მომცენო. უარი უთხრეს, მოსკოვი ფულს ვეღარ გვიგზავნის, ტკიცინა ქაღალდი შემოაკლდა და რასაც ბეჭდავს, თვითონაც ძლივს ყოფნისო.

რა ვქნათ, აბა, როგორ იქნება ჩვენი საქმეო, ჰკითხა აივენგომ მომხიბვლელ მოლარე ჟულიას, რომელიც სალაროში ისე მინაბულიყო, როგორც მტრედი გალიაში.

რა მოგახსენოთ, ბატონო აივენგო, ქმარ-შვილი მეც მშიერი მყავსო, ჟულიამ.

გულამღვრეული ინტელიგენტი ვარაზისხევის დაღმართზე დაეშვა და ტელევიზიასთან მეორე მიტინგზე ამოჰყო თავი.

ჩვენაო, ცრემლიანი თვალებით გაჰყვიროდნენ მეორე მიტინგის ქადაგნი, კანონიერ ხელისუფლებას არას ვერჩითო, თვით გვიბღვერენ და თვალებს გვიბრიალებენო.

გვლანძღავენ და მამის სულს გვიხსენებენ, თუ გავბედავთ და დემოკრატიულ მოთხოვნებს წამოვაყენებთო. ხმას არ ამოვიღებთ, თუ ორ პაწაწკინტელა მოთხოვნას მაინც შეგვისრულებენ ხელისუფალნიო; პირველი — ერთი საათი მაინც გამოგვიყონ ტელევიზიაში, გული რომ მოვიოხოთ და თავი შევიქციოთო. მეორე — გაათავისუფლონ სინდისის პატიმარი კომბლე ოჩიგავა, რომელიც ამ ერთი თვის წინათ ასე უმიზეზოდ და უსინდისოდ დააპატიმრესო.

აივენგომ ვერც მეორე მიტინგზე გამომსვლელთა სიმართლეში შეიტანა ეჭვი და დაბნეულობისგან გააკანკალა — ერთი მხარე აშკარად ცრუობს, თორემ, როგორ შეიძლება, ორივე მხარე მართალი იყოსო. ჩანს, მოვხუცდი, გულჩვილობა და გულუბრყვილობა მომერია, ალღომაც მისუსტა, ალბათ, პოლიტიკაში, რაც დრო გავა, უფროდაუფრო ვეღარ გავერკვევიო.

ამ ფიქრით გულდამძიმებული დაბრუნდა გუშინ თავის ორ-ოთახიან (ულოჯო) ბინაში ინტელიგენტი აივენგო დოლაბერიძე. ამ დილით კი მოქალაქეთა რია-რიას რომ დააკვირდა, როგორც გითხარით, ერთი დაბნევა დაიბნა, მაგრამ დაახლოებით საათიანი ჭოჭმანის შემდეგ გადაწყვიტა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი არმიის მთავარი შტაბის შენობისკენ წასულიყო.

თუ რა საქმე ჰქონდა სექტემბრის ამ ნელთბილ დილაზე შტაბში (სადაც მანამდე არასოდეს ყოფილა) აივენგოს, ცოტა მოთმინება ვიქონიოთ და ახლავე შევიტყობთ.

კიბესთან შეჩერდა და დაღლილი ნაბიჯებით წინდაუკან მოსიარულე, მაშხანიან რუსის ჯარისკაცს უხმო.

ჯარისკაცმა ყურადღება არ მიაქცია და წინდაუკან სიარული განაგრძო, მაგრამ მეორე დაძახებით სამხედრო პირის ყურადღების მიპყრობა არ დასჭირვებია აივენგოს. მისკენ ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ორ პატრულს პირადობის მოწმობა უჩვენა და სარდლის ნახვა მსურსო, განუცხადა.

პატრულებმა ჯერ პირველ სართულზე, სამორიგეო ოთახში შეიყვანეს აივენგო. ერთი მათგანი გვერდით მიუჯდა, მეორე მაგიდაზე გაფცენილ ექვსი ტელეფონიდან ერთ-ერთს დაწვდა და ისე რომ სტუმრისთვის თვალი არ მოუცილებია, ჩაულაპარაკა:

– აქ ერთია, ინტელიგენტი ვარო, სარდალთან მიღებას ითხოვს.

ჩანს, იქეთა მხარემ რაღაც ჰკითხა, რაკიღა მორიგემ ერთხელ კიდევ აათვალიერ-ჩაათვალიერა აივენგო და დაეჭვებული კოლეგა დაამშვიდა:

– არა მგონია... ნორმალური ჩანს.

პირადობის მოწმობა სამორიგეოში დაიტოვეს, გულდასმით გაჩხრიკეს და სათვალიანმა ლეიტენანტმა ლიფტით ააცილა მესამე სართულამდე. იქ, ლიფტის კარებთან სამოქალაქო ფორმაში (?!) გამოწყობილი პაპკიანი კაცი დახვდა. თავაზიანად დაუკრა თავი, მოსაცდელში შეიყვანა და მოუბოდიშა – სარდალი დაკავებულია, თუ არ შეწუხდებით, ხუთიოდე წუთი მოითმინეთო.

ეს სიტყვები დამთავრებულიც არ ჰქონდა თანაშემწეს, რომ ზარის წკრიალი გაისმა და აივენგომ უზარმაზარ კაბინეტში ამოჰყო თავი. გრძელი, ოქროსფერი მაგიდის თავში, მწითური, თმაშეთხელებული, ლოყებდაბერილი გენერალი იჯდა. აივენგომ შეამჩნია, რომ გენერალს თმა და სახის კანი ერთი ფერისა ჰქონდა, რაც მას, პირადად, სხვებისათვის არასოდეს შეუმჩნევია.

გენერალი წამოდგა, სტუმარს ხელი ღონივრად ჩამოართვა და ჩუქურთმიან სკამზე მიუთითა. აივენგო დაჯდა და თანაშემწეს შეხედა. თანაშემწე, აქაოდა, რა ჩემი საქმეა, რაზე ისაუბრებენო, ქაღალდებს ჩაჰკირკიტებდა. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანდა.

— დოლაბერიძე? — ექვსდღიურას შეავლო თვალი გენერალმა.

— დიახ — წამოდგა აივენგო.

— დაბრძანდით, გისმენთ.

— მე... ინტელიგენტი გახლავართ... ასე ვთქვათ, ფოლკლორის სასახლეში ვმუშაობ, ხალხურ სიმღერებს ვაგროვებ. მე მოვედი თქვენთან, რათა ჩემი და ჩემი მეგობრების სახელით მადლობა მოგახსენოთ.

გენერალს სახე გაებადრა.

— საერთოდ კი, მაგრამ ახლა კონკრეტულად რა დამსახურებისათვის?

— რომ არ ერევით ჩვენს საქმეებში. თქვენ კარგად ხედავთ, რაც ხდება. ცხრა აპრილის ამბები, იმასთან, რაც ახლა ტრიალებს, ხალხური თვითშემოქმედების კონცერტს ჰგავს. მაშინ თქვენ ჩაერიეთ, ახლა განზე დგახართ. თქვენი ჯარისკაცები რომ ამოქმედებულიყვნენ, ვინ იცის, რა მოხდებოდა.

გენერალმა პენსნე მოირგო და ახლა ასე დააკვირდა უცნაურ მემადლობეს. რაკიღა დარწმუნდა, გულწრფელად ამბობსო, წელში გაიზნიქა და ჭერს ახედა.

— არ დაგიმალავთ, მქონდა ლაპარაკი მოსკოვთან. შეხედულებისამებრ იმოქმედეთო. მე მიმაჩნია, რომ მაშინაც შეცდომა იყო ჩვენი ჩარევა, მაგრამ როდიონოვმა ქართველი

კაცის ხასიათი არ იცოდა და იჩქარა. მე მოვახსენე უმაღლესს, რატომ უნდა გავხადოთ რუსული ხიშტი მხოლოდ საქილიკოდ და საგინებლად, რაც სხვებისთვის სისხლი ვღვარეთ, არ გვეყო მეთქი? მადლობელი მაინც არავინ არის. სჯობს ჩვენ განზე გავდგეთ და სეირს ვუყუროთ. ქართველები როგორმე აუვლიან მეთქი ერთმანეთს.

– მართლაც რომ „ავუდივართ".

– ასეა ნამდვილად. ახლა ყველაზე კარგი საქმე ჩვენი აქედან გასვლა და თქვენი ღვთის ანაბარა დატოვებაა. გარეთ რომ დაგვიგულებთ, თქვენ უფრო ენერგიულად დაერევით და დაჭამთ ერთმანეთს. უმაღლესი რომ ნებას მომცემდეს, სიამოვნებით გავიყვანდი ჯარს თქვენი ტერიტორიიდან და ექვსი თვის შემდეგ მუხლებზე დაცემულ, დაჩეჩქვილ-დაბერტყილ საქართველოში ისევ შემოვიდოდი. თქვენ არ იცით თქვენი ისტორია, ჩვენ კარგად ვიცით. ასე იყო მაშინაც გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ. თქვენმა პაწაწინა მეფე-მთავრებმა ერთმანეთი დაკორტნეს და რუსმა მაშინაც იჩქარა, შეგვეცოდეთ, ბოლომდე არ გაგწირეთ, შემოვედით და ერთმანეთის ჭამა მიგატოვებინეთ. ხუთი წლის დაგვიანებით რომ შემოვსულიყავით ახლა ეს პრობლემები აღარ იქნებოდა. გადაგარჩინეთ და თქვენ, ჩვენს ფრთებქვეშ გაცოცხლებულ-დასუქებულებმა ამ ბოლო დროს ოკუპანტებად გამოგვაცხადეთ, ჩვენი ბრალია ყველაფერი. რომ იცოდეთ, რასპუტინი მართალია, თქვენ ავადმყოფი ერი ხართ. თქვენ ერთმანეთს ვერ იტანთ, ერთმანეთი გძულთ. რომელ თავისუფლებაზე და დამოუკიდებლობაზეა ლაპარაკი.

– მე მინდოდა გამეგო – აივენგოს სიბრაზისაგან ენა გაუშრა, ნერწყვი ძლივს გადაყლაპა, რომ გალიგვებული ხორხიდან ოდენ ხავილი არ ამოხდომოდა. – საერთოდ რას აპირებთ, რა გეგმები გაქვთ, თუ საიდუმლო არ არის, რასაკვირველია.

– დასამალი რა გვაქვს. მუხლზე ჩოქვითაც რომ გვთხოვოთ, თქვენს საქმეში არ ჩავერევით. ჩვენ მხოლოდ მეთვალყურის როლს დავჯერდებით. მშვენივრად ესვრით ერთმანეთს ტყვიას,

არა უშავს. რომ შეჭამეთ როდიონოვი, აი, გულზე ხელი დაიდეთ და თქვით: ცხრა აპრილს ხომ ერთი ტყვია არ გავარდნილა. ქალები ხომ ჭყლეტაში დაიხოცნენ?

— ბარები?

— ხო. ვთქვათ, ბარიც მოხვდა ზოგიერთს. ჯარისკაცი ჯარისკაცია, ყოველთვის ვერ მოზომავს. ახლა? ერთი თვის განმავლობაში ხუთჯერ რომ ესროლეთ ერთმანეთს, რაო, ვის უნდა გადააბრალოთ? ბოდიშისგან გიხკდებათ, ალბათ, ეგ ამაყი გულები, რაკიდა თქვენი ხოცვა-ჟლეტა ჩვენთვის ვერ დაგიბრალებიათ.

— ესე იგი... როგორ გავიგო... თქვენ აპირებთ თუ არა, გახვიდეთ საქართველოდან?

— მე პირადად, დაუყოვნებლივი გასვლის მომხრე ვარ, ასე სჯობს, მაგრამ ჩვენ ვინ მოგვცა პოლიტიკის ჭკუა, რუსი კიდეც რომ მიხვდეს და ჯარის გაყვანა გადაწყვიტოს, შევარდნაძე არ იზამს. შევარდნაძე ქართველია და იცის, რა მოყვება ჩვენს წასვლას. თუ შევარდნაძემ ხელი დაიბანა და საქართველოს სიყვარული გულიდან ამოიღო, ალბათ, გაგვიყვანს. აი, სწორედ მაშინ ჩაესვენება საქართველოს მზე. რომ იცოდეთ, რა მშვენიერი სანახავები იქნებით: ზემოთ თქვენი მოსისხლე მტერი — მთიელთა რესპუბლიკა, აქეთ თურქული სამყარო, იქეთ ჭირვეული სომხეთი, მუცელში ორი სამართებელი — აფხაზი და ოსი და რაც მთავარია საქართველოს ყველაზე დიდი მტერი ქართველთა გაუთავებელი შინა ომი. რა ბუკეტი იქნება? ორი წელი მოგიცია, ორ წელიწადში საქართველოში ქართველთა ჭაჭანება არ იქნება.

აივენგომ ვეღარ მოითმინა.

— ასეც ვიცოდი. მადლობელი ვარ, რომ ჩემი ეჭვი გაამართლეთ. თქვენ ხელს გამოიღებდით და საქართველოს საქმეებში ავად ჩაერეოდით, აქ რომ ყველაფერი კარგად მიდიოდეს. საქართველოში სიმშვიდე და ურთიერთშეთანხმება რომ სუფევდეს. აი, მაშინ გაცოფდებოდით და პროვოკაციების

ნიაღვარს დაგვატეხდით. გასაგებია, თქვენ ხელს გაძლევთ, რაც ახლა საქართველოში ხდება და ერის ხელახლა დასამონებლად უკეთეს ამინდს ვერ ინატრებდით, მაგრამ მაპატიეთ კადნიერება და ახლა ჩემი მოსვლის ნამდვილი მიზანი უნდა გაუწყოთ: მე გამომგზავნა საქართველოს ჭეშმარიტმა ინტელიგენციამ, ვისაც თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა გულის ფიცარზე ამოუტვიფრავს და ღამე არ აძინებს, გემუდარებით წადით აქედან, თუ სამხედრო სინდისი და თავმოყვარეობა ცოტა მაინც შეგრჩათ, წადით და დაგვტოვეთ ღვთის ანაბარა — ჩვენი ბედის და ისტორიის წინაშე.

— ვიცოდი, რომ თქვენ აქ მადლობის სათქმელად არ იყავით მოსული. რაც შეეხება ჩვენს წასვლას, სამწუხაროდ, ეს ჩემსა და თქვენს სურვილზე არ გახლავთ დამოკიდებული, თორემ, როგორც ჩანს, ჩვენ იოლად შევთანხმდებოდით. მიპატიებია თქვენთვის კადნიერება. მე კი დღევანდელი უგუნებობისთვის ისიც მეყოფა, რომ კიდევ ერთ უმადურ ქართველს ველაპარაკე.

აივენგო დოლაბერიძე ლიფტით ისევ იმ სათვალიანმა ლეიტენანტმა ჩამოაცილა.

— ნუ კაკ? — ჰკითხა მორიგემ და პირადობის მოწმობა გაუწოდა.

—ვსიო ნარმალნო, — მშვიდად, რაც შეეძლო მშვიდად უპასუხა ინტელიგენტმა და ტკივილიანი, ცრემლიანი ღიმილით გაუღიმა.

## დახვრეტამდე ერთი წუთი რჩება

კუნძული ოლაჰვათირე გამთენიის ხანს შაშხანების მიჯრით მიწყობილმა გრიალმა გამოაღვიძა.

ექო კუნძულის ტაფობში მიაწყდა და გასასვლელი რომ ვერ იპოვა, ცაში აიჭრა. ღამეული ცის პერანგი გაფხრიწა და სადღაც,

ბაც ციაგზე ძლივსმბჟუტავ ვარსკვლავებს შორის მიიკარგა.

... წლის ჩვიდმეტი ნოემბრის ოთხი საათი და ოცდაათი წუთი იყო.

შაშხანების გრიალს რევოლვერის კანტი-კუნტი გასროლა მოჰყვა და ისევ მკვდრულმა სიჩუმემ დაისადგურა შიშით გაწამებული კუნძულის თავზე.

ერთი კვირის წინათ მუმუმიის იმპერიის ჯარები შემოვიდნენ თავისუფლებისათვის ამბოხებულ ოლაჰვათირეში. ერთდროულად შემოიჭრნენ ციდანაც, ზღვიდანაც. თვითმფრინავებმა ჩამოაბნელეს ზეცა. უზარმაზარი ავიამზიდების მუცლიდან გამოხოხებული ტანკები კალიებივით მოედვნენ ქუჩებს, კრეისერებმა შავხახიანი ლულები დაუმიზნეს სახლებს.

ნახევარ საათში მარტო პარლამენტის შენობის გუმბათიდან კი არა, აივნებიდანაც გაქრა ოლაჰვათირეს ეროვნული დროშები.

იმპერიამ ჭირვეული კუნძულის ჭკუის სწავლება იმით დაიწყო, რომ ასი ერისკაცი, მისი ფიქრით, ეროვნული მოძრაობის ახი მოთავე დააპატიმრა. სწორედ ისინი დააპატიმრა, ვისაც კუნძულის მოქალაქენი უსმენდნენ და ვისი ხმაც ბოლო სამი წლის მანძილზე ხშირად გაისმოდა თავისუფლების იმედჩასახული კუნძულის მიტინგებზე.

იმ ასიდან სწორედ ამ დღით, ჩვიდმეტ ნოემბერს, ხუთი კაცი დახვრიტეს. პირველი ხუთეული.

იქვე, ციხის ეზოში მიაყენეს ისინი კედელთან.

წაუკითხეს განაჩენი. უკანასკნელი ფიქრებისთვის ერთი გრძელი წუთი დაუტოვეს და დახვრიტეს.

ნახევარი საათის შემდეგ ოლაჰვათირემ კვლავ დაიძინა თავისი მშფოთვარე, ტკივილიან-წუხილიანი ძილით.

მეორე დღეს გამთენიისას სწორედ ამ დროს გამოაღვიძებდა კუნძულს შაშხანების გრიალი.

იმპერიის დამსჯელობითი ექსპედიციის სარდალს გადაეწყვიტა: ასე, ხუთ-ხუთად დაეხვრიტა ასივე მსჯავრდებული.

ამ ნოველის ავტორმა დახვრეტის წინ ხუთი მგზნებარე

ოლაჭვათირელის ფიქრის აღდგენა სცადა, ფიქრისა სამუდამოდ რომ გაიბნა დროებით დამარცხებული კუნძულის ქარიან ცაში.

აი, მათი სახელებიც: ზაზა მარტვილელი, გოშა მცხეთელი, შიო კიკნაძე, კოკი ბაკურაძე, გიო ჭკირჭკიტია, აპოლონ გელათელი.

* * *

ზაზა მარტვილელი: „ნუთუ ყველაფერი დამთავრდა? ნუთუ ახლაც არ გაიღებს ხმას ოლაჭვათირე, ნუთუ მშვიდად მოისმენს იგი ჩემი გულისკენ დამიზნებული შაშხანის ხმას?

ნუთუ მართალნი იყვნენ ის სკეპტიკოსები, ნიადაგ ყურში რომ ჩამძახოდნენ: ნაადრევია შენი ყივილი, ჯერ ქვეყანა თავისუფლებისათვის მზად არ არის. ჯერ ოლაჭვათირეს ისევ სძინავს. ესეც არ იყოს, ეს გარდამავალი თაობა სულიერად უკვე წამხდარია და ვერ გამოგყვებაო.

ახლა მაინც მომშორდით, ახლა მაინც დამტოვეთ მარტო, ეჭვების კოდო-ბუზებო. ვერ წამახდენთ, ნირს ვერ შემაცვლევინებთ, ვერც ჩემს ერზე გამიტეხთ გულს.

მე უბედნიერესი კაცი ვარ.

რამდენიმე წუთიც და სასეგანათებული ჩავალ ქვეშეთს.

გმირი წინაპრები ცრემლიანი თვალებით და თანაგრძნობით შემომეგებებიან და გულისფიცარშენგრეულს დამიყვავებენ, შელოცვილ ბალახს ჩამიფენენ ჭრილობაში.

მე ჩემი საქმე გავაკეთე.

ცოტა ხნით ხომ მაინც შევხსენი ოლაჭვათირეს მონობის უღელი.

ცოტა ხნით ხომ მაინც გავახსენე კირთებში მიძინებულ ერს თავისუფლების გემო.

მე ისტორიის გაუკვალავ გზაზე ვიარე და, რა თქმა უნდა, ზოგ რამეში შევცდი.

ჯერ ერთი, ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ასე ძლიერ ფეთქავდა ხალხში თავკერძობის სინდრომი, თუ ასე ძალუმად

იყო გაფუვებულ-აღორძინებული ურდობლობის, ძმათა კვლის, შურის ბაცილა და ეჭვი სწორედ შენი მოძმის საქციელის გამო.

მეორეც; ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ იმპერიას ხინდისის ნატამალი არა ჰქონდა შერჩენილი და შეეძლო ასე ურცხვად, უმიზეზოდ მთელი მსოფლიოს თვალწინ დაეხაჯა თავისუფლების გაზაფხულისთვის სახემიშვერილი ოლაჭვათირე.

და ბოლოს ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ასე გულგრილი აღმოჩნდებოდა მსოფლიო ოლაჭვათირეს ბედის მიმართ. ამ ცოტა ხანში, რაც მე კუნძულს ვწინამძღოლობდი, უამრავი სტუმარი ჩამოვიდა, თითქოსდა აქ ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ ჩვენს სიმართლეში, თავს გვიქნევდნენ, გვეთანხმებოდნენ. წავიდოდნენ და ერთ სიტყვასაც არ ამბობდნენ ჩვენს სასარგებლოდ. რაშია საქმე? რატომ არ ამოგვიდგა მსოფლიო მხარში?

ნუთუ უძველესი ცივილიზაციის პატრონი ჩემი ხალხი არავის არაფრად უღირს ამ დუნიაზე?

თუმცა, ვისი იმედი უნდა გვქონოდა, როცა თვით ჩვენ ვერ შევძელით ქუდზე კაცის გამოყვანა. ერი, რომელიც ფინთიხივით არ იფეთქებს, ოთხ ოლაჭვათირელს ცეცხლზე რომ დაუწვავენ გადამთიელნი, თავისუფლების ღირსი არ არის.

დაამთავრებს ახლა ეს ვირთხისთვალება კაცი განაჩენის კითხვას, მერე, ალბათ, მღვდელი გვაზიარებს და დაგვხვრეტენ.

მე, კარგი, მთელი სიცოცხლე ვებრძოდი იმპერიას და კრაზანასავით მოხვენებას არ ვაძლევდი, მაგრამ ესენი ვინ არიან, ამათ რა დამსახურება მიუძღვით ჩემს გვერდით რომ ხვრეტენ ამ საცოდავებს?

ამ დახვრეტითაც დამცინა იმპერატორმა.

გოჩა მცხეთელი, ეს თავგასურებული, მოტლიკინე პოლიტიკოსი, „ყველაფრის მცოდნე", ნერვებს მიშლიდა მისი დაუფიქრებელი გამოსვლები, თვითმიზნური სწრაფვა ორიგინალობისკენ, რაც მხოლოდ ჩემთვის კრიჭაში დგომას ნიშნავდა, სხვას არაფერს. მე რომ „ალთას" ვიტყოდი, მას აუცილებლად „ბალთას"

უნდა ეთქვა, თუნდაც მისი „ბალთას“ თეთრის შავად გამოცხადება ყოფილიყო.

მიუხვდა ხალხი ამ პეპელა პოლიტიკოსს, დარწმუნდნენ ყველანი, რომ ცაში დაფრინავდა და მხარი არ დაუჭირეს. გაბოროტებული ღობე-ყორეს აწყდებოდა. გაღმა-გამოღმა დარბოდა დარეტიანებული. იქეთაც იყო და აქეთაც.

რა დამსახურებისათვის ხვრეტენ ჩემს გვერდით?

შიო? როგორ დავუკარგავ, ჩემი უერთგულესი კაცი იყო. რამდენჯერ გადამეფარა და ჩემთვის მოქნეულ ხანჯალს შეუშვირა ზურგი, მაგრამ შიო ხომ მხოლოდ ეს იყო, რაც ვთქვი და სხვა არაფერი. მე შევქმენი, მე გამოვიგონე. მეუბნებოდნენ თავს გჭრისო, ნუ გყავს გვერდით ეს ეშმაკის მოციქულიო, მაგრამ ბოლომდე არ მოვიცილე. თუმცა თავისი მოუხომავი გამოხვლით არაერთგზის ჩამაგდო უხერხულ მდგომარეობაში. ისე, როგორ დავუკარგავ, უჭკუო კაცი არ არის და ჩვენი საქმის ძაღლივით ერთგულია.

მაინც რატომ უნდა დახვრიტონ ჩემს გვერდით? რატომ უნდა გაინაწილოს ჩემი დიდება? სად მე და სად შიო?

კოკი ბაკურაძე, ეს ეგრეთწოდებული უპირველესი მწიგნობარი და ბრძენთაბრძენი კოკი. ამას მაინც რატომ ხვრეტენ, ეს ხომ პოლიტიკაში არ ერეოდა, პრაქტიკულად, მხოლოდ იმედებით „აპურებდა“ ხალხს. ხულ მაღიზიანებდა ბაკურაძის დაჯერებული ლაპარაკი და საბოლოო ჭეშმარიტების პრეტენზია. რა გააკეთა ლაპარაკის მეტი? ხათნოების სწავლება დამიწყო სწორედ მაშინ, როცა ზურგში დანა მქონდა დამიზნებული. ეჭვიც კი შემეპარა, ჩემს გასატყუებლად, ყურადღების გახაფანტავად ხომ არ არის მეთქი მოგზავნილი.

ვერ უარვყოფ, ჭკვიანი, ჩახედული კაცი და ხუფთა ხელებხინდისის პატრონია, მაგრამ პრაქტიკულ ცხოვრებაზე წარმოდგენა არა აქვს. ერთ კვირასაც ვერ გაძლებდა, ეგ რომ ჩემს ადგილას ყოფილიყო.

ამას მაინც რაღატომ ხვრეტს ეს ვერაგი იმპერია? რა

სოციალურად საშიში პიროვნება ეგა მყავს?

ჭკირჭკიტიაც აქ ყოფილა. ეს კბილის მატლი, ჩემი დაუძინებელი მტერი, მოლაყბე ჭკირჭკიტია.

ვაი, სირცხვილო, ნუთუ ამ გარეწართან ერთად უნდა დამხვრიტონ?

ორჯერ შევურიგდი, იქნებ ჭკუაზე მოვიდეს მეთქი, თუმცა იმთავითვე მჯეროდა, რომ შესაძლებლობის წუთშივე არ დამინდობდა. განდიდების მანიით შეპყრობილი ეს პოლიტიკური ხნობი რა მეთოდ-ხერხებით არ მებრძოდა. რა არ მომიგონა. გაიქც-გამოიქცა, იქნებ სახელი გავუტეხოვო, რას მიაღწია? მისი ლანძღვა-გინება თვითონვე უბრუნდება ბუმერანგივით.

დგას ახლა ხელჩაზვეული და თავაღერილი. ჩვენ თითქოსდა ვერ გვამჩნევს.

აფსუსი არ არის?!

აპოლონ გელათელი, ცრუ ნაპოლეონი, თავზე ხელს რომ ჩამოისვამდა, ხელისთითებს რომ დააცქერდებოდა და ერთსა და იმავეს ლაპარაკობდა გაუთავებლად ჩვენი იმპერატორივით, ურიგო ბიჭი როდი იყო, მაგრამ ცუდ წრეში იყო მოხვედრილი იმთავითვე.

მისი გამოყენება მართლაც შეიძლებოდა საერო დიდ საქმეში, მაგრამ გააბოროტეს და ახლოსაც აღარ გამეკარა, მიუხედავად იმისა, რომ არაერთგზის შევუთვალე; მოდი მეთქი.

ბავშვია და მაქსიმალისტია ყველა უმწიფარივით. იტყვის, ხვალ დილით ცას კიბე უნდა მივადგათო და არც აინტერესებს, სად ვიშოვოთ ამხელა კიბე, ან ვინ გამართავს ვარსკვლავებზე მისადგამ კიბეს. მთავარია, იმ წუთში ბრბოს ტაში მოსწყვიტოს.

რამდენჯერ ვუთხარი: რასაც შენ ამბობ, იცოცხლე, კარგი საქმე იყოს, მაგრამ ეგ საბოლოო მიზანია, იქამდე ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მივიდეთ მეთქი, მაგრამ დამიჯერა?

არა და მეცოდება, არ მემეტება ჩვენთან დასახვრეტად, ჯერ რა ნახა, ჯერ რა მოასწრო: ვერ შეძლებენ მისი სუსტი ბეჭები და უფრო სუსტი აზრები სიკვდილის შემდეგ ამხელა დიდების ტარებას.

მე... მე ამათთან რა მინდოდა.

ოღონდ ამათთან არ დავეხვრიტე და რა უნდოდა გამჩენს.

მე ცალკე დახვრეტის ღირსი ვარ, დიახ, ცალკე დახვრეტის!

გოჩა მეხეთელი: ჯერ ერთი ჩვენი დახვრეტის უფლება არცა აქვთ. ჯერ ჩვენი საქმე ხეირიანად გამოძიებულიც არ არის. გვაშინებენ ალბათ, და თუ გვაშინებენ, არც შეშინების უფლება აქვთ. ამ შეშინებაზეც კომისია უნდა გამოიყოს და პასუხი უნდა ვაგებინოთ.

ჩვენ ომის მდგომარეობაში ვართ მუმუმიის იმპერიასთან და ვალდებულნი არიან, ომის წესები დაიცვან. დიახ, ომს თავისი კანონები აქვს და ტყვეების აბუჩად აგდების უფლება არავის არა აქვს.

ჩემთვის რომ დაეჯერებინა ზაზას, ახლა ოლაჭვათირე საერთაშორისო სამართლის სუბიექტი იქნებოდა, მაგრამ არ დამიჯერა ზაზამ და ამიტომაც არ არის ოლაჭვათირე დღეს საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. სანამ აჯანყებას მოვაწყობდით, იმპერიისათვის ომი უნდა გამოგვეცხადებინა. ომს რომ გამოვუცხადებდით, იმპერია შეშინდებოდა; საიდან აქვს ამოდენა გამბედაობა, ჭიანჭველისხელა კუნძული ამხელა იმპერიას ომს რომ მიცხადებსო. ალბათ, ვიღაცის ზურგი აქვს და ფრთხილად უნდა მოვიქცეო. დიახ, ასე იტყოდა იმპერია და ფრთხილად მოიქცეოდა.

მედალს მხოლოდ ორი მხარე აქვს. მედალს სამი მხარე არა აქვს. მედალს რომ სამი მხარე ჰქონდეს, რასაკვირველია, აჯობებდა, მაგრამ რაკი მედალს ორი მხარე აქვს, ჩვენც იმ ორი მხარით უნდა დავკმაყოფილდეთ. მედლის ორი მხარე „დე ფაქტოდ" უნდა ვაღიაროთ და უნდა შევიგნოთ, რომ მედალს ჩვენი სურვილით არცერთი მხარე არც მიემატება და არც დააკლდება.

ახლა რაც შეეხება ამ დახვრეტას: ჩვენ ცალ-ცალკე პიროვნებები ვართ და ასე ერთად, ჯოგურად კი არა, ცალ-ცალკე დახვრეტა გვეკუთვნოდა, ასე არის ეს. მაგრამ იმპერიის

მხრიდან ეს უპატივცემულობაც ჩვენი ბრალია, ჩვენ დავიმსახურეთ. იმპერიის წინააღმდეგ უფრო დახვეწილი მეთოდებით უნდა გვებრძოლა და ისიც უფრო დახვეწილი მეთოდებით იბრძოლებდა ჩვენს წინააღმდეგ.

ზაზა მართალი კაცია, მაგრამ ამპარტავანია. თავისი თავის გარდა ყველა სულელი ჰგონია ამ ქვეყანაზე. მაგრამ სხვას, სულელიც რომ იყოს, სულელი ხარო არასოდეს არ უნდა უთხრა, თორემ შენ თვითონ გექნება ბოდიშის მოსახდელად საქმე. შიო კიკნაძე, რაც არის ეს არის. ფილოსოფიაში შეიძლება ერკვევა კიდეც, არ ვიცი, ვერც ამას დავამტკიცებ დაბეჯითებით, მაგრამ ამ საქმეში რომ ნამდვილად ვერ ერკვევა, ხატზე დავიფიცებ. კოკი ბაკურაძე ჭკვიანია, მაგრამ გადამწყვეტ წუთებში გაბედულება არ ჰყოფნის. ეგ რომ ჭკვიანურად მოქცეულიყო, ჩვენ ახლა მარტვილელის ხელში არ ვიქნებოდით და უფრო ჭკვიანურად წავიყვანდით საქმეს. პოლიტიკაში გაუბედაობა დამღუპველია. ბაკურაძეს მთელი დღე რომ ელაპარაკო და დაარწმუნო, ასე გააკეთოს, საღამოს მაინც დაგირეკავს და გეტყვის — თუ კაცი ხარ, მე ნუ გამრევ ამ საქმეში, არაა ეგ ჩემი საქმეო. ჭკირჭკიტია და გელათელი მაშინ შეცდნენ, არჩევნებს რომ ბოიკოტი გამოუცხადეს. პირიქით, რაც შეიძლება ენერგიულად უნდა ჩართულიყვნენ არჩევნებში. თუმცა მე თუ ენერგიულად ჩავერთე, რა ხეირი ვნახე. ხალხმა მხარი არ დამიჭირა. კინაღამ დეპუტატის მანდატის გარეშე დავრჩი.

ერთი სიტყვით, ეგენი ჩვენ ვერ დაგვხვრეტენ, უფლება არა აქვთ. შეშინებით კი შინ ბალღები დააშინონ, ურჩევნიათ. მაგათი შაშხანების და თვალების ბრიალის აქ არავის ეშინია. გამოიძიონ საქმე დაწვრილებით და, კი ბატონო, ვინ არის ხმის ამომღები. თუ დაგვიმტკიცებენ რომ დასახვრეტები ვართ, დაგვხვრიტონ. ასე არის ეს. ოღონდ უნდა დაგვხვრიტონ სათანადო წესების დაცვით. მუსიკის ქვეშ, ხალხის თვალწინ, დღისით-მზისით და არა ასე ქურდულად, ნაშუაღამევს, გამთენიისას. ჯერ ერთი,

თვითონაც წუხდებიან. ამ ჯარისკაცებს და ღვთისმსახურსაც აწუხებენ დილაუთენია. რაა საჩქარო. მამალი იყივლებს, გათენდება და ჰქენით, ბატონებო, თქვენი შავბნელი საქმე. რაო, ასე გეშინიათ გათენების?

შიო კიკნაძე: რა დავიძახო ახლა დახვრეტის წინ ისეთი, ორიგინალურიც იყოს და ჟურნალისტებმა (ჩვენს დახვრეტაზე რეპორტაჟებს რომ დაწერენ) წარამარა იმეორონ? შეიძლებოდა ამ საკითხზეც ლამაზად მომზადება. დიდ ადამიანთა, სამშობლოსათვის შეწირულთა უკანასკნელ სიტყვებს ჩავხედავდი. სულ ორი დღის საქმე იყო, მაგრამ ვერ გავითვალისწინე და ახლა გვიანია. არ ველოდი დახვრეტას. ნუთუ მართლა დაგვ-ხვრეტენ?. მაინც არა მჯერა. ისე ლამაზი სიკვდილი კია: ერის წინამძღოლებს იმპერია გვისწორდება. ჩვენს ღვაწლს, ჩვენს საქმეებს თაობები არ დაივიწყებენ.

სიცოცხლეზე გული მწყდება? რასაკვირველია. შიშიც მიპყრობს. ნეტა გაუწვალებლად მოვკვდებოდე. ტყვია გულში უნდა მომხვდეს და იმწამსვე გამათავოს.

არ უნდა მნახოს მტერმა აფართხალებული სიკვდილის წინ.

რა სენტიმენტალური ფიქრები მომეჯარა.

განა ყველაფერზე ძლიერი არ არის ჩემში ის იდეა, რისთვისაც ღირდა სიკვდილი — ოლაჭვათირეს თავისუფლება?

განა სიკვდილს არ ამარცხებს ზიზღი იმპერიის მიმართ, რომელიც თან მიმყვება?

განა ის შიო კიკნაძე არა ვარ, არაერთგზის რომ მცემეს ბნელეთის მოციქულებმა, მაგრამ ფეხზე დადგომისთანავე საავადმყოფოდან პირდაპირ მიტინგზე რომ გავრბოდი, რათა გვერდით დავდგომოდი ზაზას და ბადრის?

მგონი ნიცშეს უწერია სადღაც: სიკვდილი თავისთავად არაფერია, თუ ისე გაალამაზებ მას, რომ შენი ამ ქვეყნიდან წასვლა სალაპარაკოდ და მაგალითად იქცეს თაობებისათვისო. მართლაც და სწორედ ამგვარ სიკვდილზე არ ვოცნებობდი, როცა ბრძოლა დავიწყე? სხვას რას ველოდი? განა ეჭვი

მეპარებოდა, რომ ერთი ციცქნა ოლაჭვათირე მუმუმიის ბოროტ იმპერიას ვერ დაამარცხებდა?

ჰოდა, რაღატომ მიკვირს ახლა ასეთი სიკვდილი?

მარკუს ავრელიუსის თქმისა არ იყოს: კაცის მთელი ცხოვრება ხომ სიკვდილისათვის მზადებაა, ჰოდა, მეც უკვე მზადა ვარ სიკვდილისათვის.

ჩემი ხალხი მეცოდება. ბოლომდე მაინც ვერ შევუსრულეთ დანაპირები. ვერ გავიყვანეთ წყვდიადიდან სინათლეზე, საბოლოოდ მაინც ვერ დავაღწევინეთ თავი იმპერიის მღვიმეებიდან.

ცოტა მათი ბრალიც არის, ცოტა ჩვენი — წინამძღოლების და უფრო მეტად, ალბათ, ჩვენი უბედური ბედის ბრალია.

ჩემი თავი ჯანდაბას, ზაზა მებრალება. ზაზას ჯერ კიდევ შეეძლო ერისთვის სასახელო საქმეების გაკეთება. მე არასოდეს შევხვედრივარ თავისი ხალხისთვის ასე თავგადაკლულ, ფანატიკურად პატიოსან და კოლოსალური ანალიტიკური გონების პატრონ კაცს. ბედნიერი ვარ, მის გვერდით მუშაობა ცოტახანს რომ მაინც მარგუნა ბედმა.

გაყეყილს გატეხილი სჯობს; ბევრი რამ არ დამიჯერა. რომ დაეჯერებინა, იქნებ ასე არ წასულიყო საქმე. იმთავითვე ვურჩიე: ოლაჭვათირეს ყოფილი გუბერნატორი და მისი დამქაშები დავაპატიმროთ, თორემ ისინი იმპერიის ცენტრში გააღწევენ და იმპერიის ჯარებს ჩვენსკენ გამოუძღვებიან მეთქი. არაო, ისინი ახლა უძლური, პოლიტიკური ლეშები არიანო. ვთხოვე, შურისმაძიებელთა არმია შევქმნათ ოლაჭვათირეს მკვიდრი მიწიდან შუნები განვდევნოთ, თორემ ისინი იმპერიის ჯარებს მოუხმობენ მეთქი. არც ეს დამიჯერა, იმპერატორი თვითონ შავ დღეშია, ფეხებსაც ვერ მოგვჭამსო.

ო, რამდენი იქიჩმაჩეს, რა ღონეს არ მიმართეს შინაურმა ვირთხებმა ზაზასათვის რომ ჩემი თავი შეეძულებინათ. ეგაო, გამომწვევად იქცევაო, დემოკრატიას თრგუნავსო, თავს პატარა პრეზიდენტს ეძახისო. თავიდან მაგრად იდგა ზაზა ჩემდამი

ნდოზის ზასტიონზე, მაგრამ ბოლოდროს ვატყობდი, ტყდებოდა. უწინდებურად აღარ მეთათბირებოდა. შენიშვნას რომ შევბედავდი, დიზიანდებოდა.

ღმერთმა შეუნდოს ყველას თავისი ცოდვები.

უცოდველი არც მე ვარ, მაგრამ ჩემი შეცდომები მხოლოდ უნებლიე იყო, ჩემი თეატრალური ბუნებიდან მოდიოდა, თორემ გული, შენ მაინც ხომ იცი, უფალო, რომ ყოველთვის სუფთა და კეთილი მქონდა.

ფიქრმა გამიტყუა. მღვდელი პუტუნს სადაცაა დაამთავრებს.

ახლა მთავარია, რაიმე ისეთი ვთქვა სიკვდილის წინ, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

მტერმა ჩემს თვალზე ცრემლი არ უნდა ნახოს.

ისე, რა უბედურებაა სხვადასხვა შეხედულებისა და რწმენის ადამიანთა ასე ერთად დახვრეტა.

ოღონდ ჭვირჭკიტია აქ არ იდგეს ახლა და რა უნდა გამჩენს.

მთელი ცხოვრება სისხლს მიშრობდა.

დახვრეტით ალბათ ერთად დაგვხვრეტენ, მაგრამ საიქიოში მალევე დავშორდებით ერთმანეთს. მას ხომ აუცილებლად კუპრში უკრავენ თავს.

ჩვენ, მე და ზაზას სხვა გზა გვაქვს.

სხვა ნათელი გველის.

კოკი ბაკურაძე: ვამბობდი მე, სანამ იმპერია არ დაინგრევა, ოლაჭვათირეს თავისუფლება მხოლოდ მოჩვენებითი და დეკლარაციული იქნება მეთქი. სხვაა თავისუფლება გაზეთში და ტელევიზიაში და სხვაა რეალური თავისუფლება.

იმ წუთში, როცა კუნძულის დამოუკიდებლობას გამოაცხადებ, რასაკვირველია, გმირი ხარ, დარბაზის აღფრთოვანებასაც საზღვარი არა აქვს, მაგრამ გამოვა ქუჩაში ტაშით მკლავებ-დაწყვეტილი კაცი და იმპერიის თოფიან ჯარისკაცს რომ დაინახავს, მაშინვე მიხვდება, რა თავისუფალიც არის.

ამიტომაც იყო, რომ სიხარულის ეიფორიას დიდი სევდა მოჰყვა. უეცრად მოეშვა და მოიჩვარა ერი. სულ ესაა

დამოუკიდებლობა? ამისთვის მოვიკალით თავიო? ისევ სადგისი კისერში, ისევ იმპერიის ჯარი ქუჩებში, ისევ ცარიელი კუჭი...

სხვანაირადაც შეიძლებოდა. სხვა გზას უნდა დავდგომოდით, ჭკუა უნდა გვეხმარა და იმპერიის ნანგრევებში არ უნდა მოვყოლოდით.

დამოუკიდებლობის აღდგენის მეორე დღეს მსოფლიოს ერთი სიტყვითაც რომ არ გამოგვეხმაურა, მაშინვე მივხვდი, რომ ჩვენი საქმე წასული იყო. წავაგეთ თამაში იმპერიასთან.

ეფექტების ერი ვართ. თეატრალურობა პოლიტიკაში არ გამოდგება.

ჯერ შინაური მელა-ტურებისათვის უნდა მოგვევლო და თეთრ დათვს ბოლოს დავტაკებოდით. ოლაჭვათირეს დემოგრაფიულ ავგიას თავლას თუ არ გავწმენდდით, დამოუკიდებლობაზე ლაპარაკიც კი სისულელე იყო.

კიდეც რომ გაეშვა იმპერატორს თავის ნებაზე ოლაჭვათირე, დამოუკიდებლად მისი არსებობა (და საერთოდ არსებობაც) ას წელს ვერ გაატანდა. რატომ და, სულ რაღაც, ორმოცდაათ წელიწადში კურდღლებივით გამრავლებული ჩვენი სტუმრები, ჩვენზე, მკვიდრ ერზე უფრო მეტნი აღმოჩნდებოდნენ და მერე, რა მნიშვნელობა ჰქონდა დამოუკიდებლად გაქრებოდი ისტორიიდან თუ დამოკიდებულად.

ვესაუბრებოდი ზაზას, ჯერ შინაურ მტრებს მოვუაროთ, წამსვლელი თავის ქვეყანაში შევაცილოთ, თვისტომი დავაბრუნოთ და როცა არსებობის ხუთასწლიან გარანტიას მაინც მივიღებთ, როცა ამ ჩვენს კუნძულზე, ჩვენს სახლში, მასპინძლები ოთხმოცდაათი პროცენტი მაინც აღმოვჩნდებით, მერე გავუსვათ მეთქი ხმლის ვადას ხელი.

არ დამიჯერა. იმპერია ისე ბრიყვი როდი გახლავთ, როგორც ზოგიერთს ჰგონია. დაგვსაჯა „თავხედობისათვის". აგვიმხედრა სტუმრები და მერე, ვითომცდა მათს დასაცავად, დაგვესხა თავს. ეს ამბავი ერთხელ უკვე იყო ოლაჭვათირეს თავს. ამ საუკუნეში და ისტორიიდან მცირე გაკვეთილი მაინც უნდა გამოგვეტანა;

სრულიად დამსახურებულად მოიგო არჩევნები ზაზამ, ღირსეულად აირჩია ერმა გუბერნატორად, მაგრამ ძალაუფლება რომ ხელთ იგდო, მერე უფრო მართებდა სიდინჯე და მიმტევებლობა. ხშვას ვინ დაეძებს, მეც კი, ნიადაგ მისი მხარდამჭერი და ერთგული, კინაღამ იმპერიის აგენტად გამომაცხადა. რჩევისთვის მისულსაც კი ეჭვის თვალით უცქეროდა, ლაპარაკის დროს თვალებში არ გიყურებდა და თვითდაჯერებული „არა-ჭიდთი" საუბრის ხალისს გაკარგვინებდა. შთაბეჭდილებას ისეთს გიქმნიდა, თითქოს ჭეშმარიტების გასაღები მხოლოდ თვითონ ედო ჯიბეში და თვითონ იყო ერთადერთი და შეუმცდარი, ერის ბედის გამგებელი. ასე არ არის. დღეს, ამ უძნელეს ეპოქაში, ნურავინ დაიჩემებს ყველაფრის ცოდნას და წინასწარმეტყველების უტყუარ ალღოს.

ახლა ეს ყველაფერი, ჩვენი ბრძოლები, ჩვენი უთანხმოებანიც, უკან დარჩა.

ჩვენს შემდეგ მოსულნი განსჯიან, ვინ იყო მართალი და ვინ ცდებოდა.

ისტორია გაგვასამართლებს.

მეც ვარ დამნაშავე. უფრო აქტიურად უნდა მებრძოლა, უფრო ენერგიულად ჩავრეულიყავი.

ვერ ვიტყვი, რა არ მეყო: წლები? ჯანმრთელობა? გამბედაობა? ვიხდა დავუმალო, მებრძოლი პოლიტიკოსი არ აღმოჩნდა ჩემში. იმ დროს დავიხიე უკან და განდეგილის იერი მივიღე, როცა ხალხს ყველაზე მეტად ვჭირდებოდი.

ჩანს, მართალი იყვნენ ისინი, ვინც ამბობდა, რომ მე უფრო ბიბლიოთეკის, კალმის, წიგნის კაცი ვარ, ვიდრე ტრიბუნი და წინამძღოლი.

მე ვფიქრობ, ჩვენი სიკვდილიც შეასრულებს თავის როლს ეროვნულ მოძრაობაში. ხალხს გამოარკვევს, გამოაფხიზლებს, სიძნელეს გზისას დაანახვებს და გაასიგრძეგანებინებს..

იმპერიის ხომალდი იძირება, აფსუს, რომ ჩვენ ერთი დღით ადრე მივდივართ ამ ქვეყნიდან.

გიოჭკირჭკიტია – სად არის სამართალი? გაგიგია? გამარჯვებულს და დამარცხებულს ერთად ასამართლებდნენ? ხომ ვამბობდი, ეს გზა დაღუპავს ოლაჭვათირეს, ჯერ მუშუშიის ჯარები უნდა გავიყვანოთ და მერე ვილაპარაკოთ კუნძულის დამოუკიდებლობაზე მეთქი.

მეღავებოდნენ ჩემი ოპონენტები; რა სისულელესაა რომ ლაპარაკობ, ჯარს იმპერია არც ჩვენი სურვილით გაიყვანს და არც თავისი სურვილით, უნდა ვაიძულოთ – გაიყვანოსო. ხოლო იძულების ერთადერთი გზა მსოფლიოს პროგრესული ძალების ზემოქმედებაზე გადისო. შენ მართალი ხარ, ჯარის გაყვანა საბოლოო მიზანია, უამისოდ თავისუფლებაზე ლაპარაკი ზღაპარია, მაგრამ თუ ოლაჭვათირემ დამოუკიდებლობა არ გამოაცხადა, თუ მსოფლიოს ყურადღება არ მიიპყრო და საერთაშორისო სამართლის სუბიექტად არ იქცა, ისე, დანამუსებით, ან შეშინებით, ჩვენ იმპერიის ტანკების ჩრდილოეთისაკენ შეტრიალებას ვერ შევძლებთო.

შევძლებდით, როგორ ვერ შევძლებდით. ჩემთვის რომ დაეჯერებინათ, ყველაფერი რიგზე იქნებოდა. უნდა ჩაგვეტარებინა შიმშილობების და მიტინგების უწყვეტი აქციები წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბ-ბინასთან, გაგვეკრა ყველგან პროკლამაციები – „ოკუპანტებო, წაეთრიეთ შინ!“ ბოლოსდაბოლოს შერცხვებოდათ ოკუპანტებს და წავიდოდნენ.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ხალხი ბრბოა,. ქვევრია, რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს. ზაზამ დაგვაკარგვინა შუნის სამთავრო, ზაზამ ჩაგვაგდო შიმშილში და უხინათლობაში, ზაზამ გააძვირა მარილი და მაინც „ზაზა, ზაზას!“ ბღაოდნენ. მაინც ზაზას უჭერდნენ მხარს.

რითი მოუნუსხა ასე, რა ჯადო გაუკეთა თავის ერს, გასაკვირია პირდაპირ.

მე ხომ ვიცი, ვინ ვინ არის. მე მომატყუებენ ეგენი? რატომ არ გამოჰყვა, თუ ბიჭი იყო, ტელედებატებში? რატომ და შეეშინდა ჩემი მამხილებელი საბუთების. გამოვაქვეყნე ჩემს

გაზეთებში ის ხაბუთები, მაგრამ რად გინდა, ნახევარმა არ დაიჯერა.

მირეკავდნენ; შენ შეთითხნიდიო.

რა იღბალი აქვს ზოგიერთს.

ახლა? ახლა მაინც არ მოიფშვნეტს თვალებს და არ გამოიღვიძებს ოლაჭვათირე?

ახლა ხომ დარწმუნდება, რომ მე, გიო ჭკირჭკიტია, ყველაფერში მართალი ვიყავი.

ჩემმა თავმდაბლობამ დამღუპა. მოვაწყობდი გაფიცვას — სხვები მიიწერდნენ, მოვაწყობდი შიმშილობას — სხვები გამოაცხადებდნენ: ჩვენ მოვაწყვეთო, შევკრებდი მრავალათასიან მიტინგს — მაშინვე სხვები წაეპოტინებოდნენ მიკროფონს. გულუბრყვილოდ ვფიქრობდი: რა მნიშვნელობა აქვს ვინ დაიკოხებს დაფნის გვირგვინს თავზე, საქმე გაკეთდეს და არ დავეძებ მეთქი.

თურმე შენი წილი არაფერი არ უნდა დაიკლო.

ვისაც ტელევიზია უპყრია ხელთ, ხალხს ის ჰგონია შეუმცდარი და ბრძენი.

რაკი ჩვენი პოლიტიკური მოსაზრების გამო საბჭოურ არჩევნებზე უარი ვთქვით, მეორე დღესვე სანაგვეზე მოგვისროლეს ჩვენმა „მეგობრებმა“. მეორე დღესვე მუმუმიის აგენტებად და ხელმოცარულებად გამოგვაცხადეს.

ხაკადრისია ეეს?

როგორ მოვიქცეოდი, მე რომ აღმოვჩენილიყავი ხელისუფლების სათავეში? ამ ჩემს ფიქრს ხომ აწი ვერავინ გაიგებს და თავს მაინც უნდა გამოვუტყდე: ალბათ ისე, როგორც „ჩვენი მეგობრები“ მოიქცნენ. ყოველშემთხვევაში ზაზა მარტვილელს — თავის თავზე შეყვარებულ, განდიდების მანიით შეპყრობილ, ამპარტავან ზაზა მარტვილელს, ახლოს არ გავიკარებდი და, თუ ძალიან გამიხურებდა, შეიძლება ციხეშიც ჩამესვა.

რა იღბალი აქვს ზოგიერთს?!

მე ვიცი, დღეს გაზეთებში ამ ამბავს ასე დაბეჭდავენ: „დღეს, ჩვიდმეტ ნოემბერს, იმპერიის საველე სასამართლოს გადაწყვეტილებით, გამთენიისას, საგუბერნიო ციხის ეზოში დახვრეტილ იქნა ოლაჭვათირეს ეროვნული გმირი, ოლაჭვათირეს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ზაზა მარტვილელი და მასთან ერთად მისი თანმხლები პირებიო".

„თანმხლებ პირებში" მეც ვიგულისხმები.

გაიპე გულო!

ნეტა ჩქარა შემართონ შაშხანები და ჩქარა მოგვიღონ ბოლო. მეშინია დახვრეტამდე ბოღმისაგან გული არ გამისკდეს.

აპოლონ გელათელი: — მოდერნიზებული იმპერია თავის ბოლო დღეებს ითვლის. ოლაჭვათირეს თავისუფლება რომ უსისხლოდ არ მოვიდოდა, ეჭვი არ შემპარვია. მხოლოდ გულუბრყვილო პოლიტიკოსს შეეძლო დაეჯერებინა, რომ მართლა დამოუკიდებელი გახდა ოლაჭვათირე, რაკიღა გამოაცხადა: დღეის ამას იქით დამოუკიდებელი ვარო.

ახლა ჩვენი დახვრეტა, როგორც ჩანს, აუცილებელი კომპონენტია ჩვენი კუნძულის ეროვნული ბრძოლისა და ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ ტარიგად ჩვენ შეგვარჩია განგებამ.

ჩვენი დახვრეტის ამბავი მაშინ ვიწინასწარმეტყველე, როცა მოდერნიზებულ იმპერიასთან კომპრომისების ძებნა დავიწყეთ.

რაკი უღლის გადაგდება გადავწყვიტეთ, ბოლომდე უნდა გადაგვეგდო. ცალი ბეჭის შეთავისუფლება და უღლის ქედზე გადაადგილება მონობიდან თავის დაღწევას როდი გულისხმობს. ჩვენ სტრუქტურების სახელის შეცვლის გზით წავედით, მაშინ, როცა ძველი სტრუქტურები ერთბაშად უნდა დაგვემსხვრია.

ომში ჩათრეული ქვეყანა ომის მდგომარეობაში უნდა იყოს. ომი ყველა ძალის მობილიზებას გულისხმობს. ჩვენ კი, თათბირებზე, დალხინებული სალხივით, ხულ სხვა, მეორეხარისხოვან პრობლემებს და საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილების საშუალებებს განვიხილავდით მაშინ, როცა საჭირო იყო ერთ

სულ და ერთ ხორც გაერთიანება, ქუდზე კაცის გამოძახება, ყველა რესურსის ფრონტისაკენ მიმართვა.

თვეობით ებრძოდა მტერს მარტოდმარტო ოლაჭვათირეს ქირქველი ნახევარკუნძული მჩაბეთი და ისე შევატოვეთ ხელში მჩაბელთ ნახევარკუნძულის დაცვა გადამთიელთაგან, თითქოსდა ეს მხოლოდ მათი საქმე იყო. არავინ მოუწოდა მთელს ოლაჭვათირეს საერთო ძალით განვდევნოთ მომხვდურიო. მარჯვენამ როცა არ იცის, რას აკეთებს მარცხენა, მაშინაა სწორედ ცალ-ცალკე რომ გიყელებს და დაგიმორჩილებს მტერი.

მომხვდური შეიარაღებულია. ამ დროს შენ, მთავრობამ, ყოველი ღონისძიებით უნდა ეცადო შენი ხალხი შეაიარაღო, შენ კი იარაღიანი თვისტომისაგან შეშინებული (ჩემსკენ არ მომართოს იარაღიო) მოუწოდებ დიდსა თუ პატარას: იარაღი ჩაგვაბარეთო.

ამით ხომ მტრის საქმეს აკეთებ. მტერსაც ხომ ეს უნდა — განიარაღებულ ხალხზე ადვილი დასამორჩილებელი რა არის.

მშვიდობით, ჩემო დებო და ძმებო, მშვიდობით საყვარელო ოლაჭვათირევ! მე მშვიდად ვკვდები. ჩვენი თავისუფლების მოახლოვებული გუგუნი უკვე ყურებს აწყდება! ჩვენი გამარჯვება გარდაუვალია!

ისტორია გაგვამართლებს, მაგრამ ვაი რომ გვიან იქნება.

იქნებ აწი მაინც ჩავარდეს სწორ გულისხმაში ჩემი ხალხი.

ეს ეკლის გვირგვინი, მამულისათვის მსხვერპლად შეწირულის სახელი და დიდება ახლაც აქ, ჩვენს შორის ყველას არ ეკუთვნის.

მე და ჭკირჭკიტია ცალკე უნდა დავეხვრიტეთ! თუმცა იმპერიისათვის სულერთია, ალბათ, ვინ ვის რაში არ ეთანხმებოდა, რა განსხვავებული სტრატეგია-ტაქტიკა ჰქონდა. ჩვენ თავისუფლებისათვის ვიბრძოდით! — მორჩა და გათავდა.

თავზე ხელს ჩამოვისვამ და ღილებს შევიკრავ. მკვდარს სერიოზული სახე უნდა ჰქონდეს. თვალებსაც ჩემით დავიხუჭავ. თვალღია და კბილებდაკრეჭილი არ მოვკვდები, მტერს არ გავაცინებ!

* * *

ღმერთო, ღმერთო, სადა ხარ!

ამ ნოველის ავტორს მაინც რაღად აჭკიდე ამდენი ცოდვა, რაღა მას უნდა დაეწერა ეს ამაზრზენი უკანასკნელი სტრიქონები:

კედელთან გამწკრივებულებს, ოლაჭვათირეს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დამაშვრალ გმირებს ერთმანეთი სძულდათ.

## მე რომ მკითხო...

ამ ბოლო ორმა წელიწადმა ისე გამოგვცვალა ყველანი, რომ არც კი მახსოვს, ბატონო, რანაირები ვიყავით უწინ. რაზე ვლაპარაკობდით შეხვედრისას. ალბათ, ხულ უბრალო რაღაცეებზე. ერთი მომასმენინა უბრალო, კაპიკიან რამეებზე ლაპარაკი და მომკლა. მშვიდი მუსაიფი მომენატრა. დაწყნარებული ლაპარაკი, ისე, არაფრისთვის, სიტყვის მასალად. ახლა ყველანი პოლიტიკოსები გავხდით. ნერვიული და ხმამაღალი ლაპარაკი დაგვჩემდა. რა ყოფილა ჩემო ბატონო, რევოლუციების ეპოქა. როგორ წანაღება ყველაფერს ადამიანის ხულიდან ერთბაშად. მიჭიჭინებული ხარ გაზეთს, რადიოს. არიქა, აბა არაფერი გამომრჩესთქვა. დუღს და ბუყბუყებს მთელი მსოფლიო ცეცხლზე შედგმულივით. დაერია ერთმანეთს ხალხი. დაწყნარდება ვითომ ოდესმე ქვეყანა? დალაგდება ცხოვრება? გაწონასწორებული კაცი მეგონა ჩემი თავი აქამდე, ადვილად არ ავტროკდებოდი და არ ავყვებოდი ჭრელი სოფლის ყივყივს, მაგრამ ამ დრომ მეც ღონივრად ჩამითრია თავის ბრუნვაში, ჩამიყოლია და იმნაირი მუხტით დამმუხტა, რომ ხანდახან ქუჩაში გამოვდივარ, ნაცნობს თუ უცნობს პოლიტიკაზე რომ სიტყვა გავუცვალო. ეგ არაფერი, ჩემი თავი დავიჭირე იმაში,

რომ გულიც კი მწყდება, სადმე დაწყნარება-დამშვიდებისკენ რომ წავა საქმე. ისე გამიჯდა ძვალ-რბილში მიტინგობა-გაფიცვობია და დატაკებები, რომ მოწყენილობა შემიპყრობს, სადმე რია-რია და „მიდი-მოდი" რომ არ არის. მადლობა ღმერთს, დამშვიდების პირი რომ არ უჩანს ჯერ ქვეყანას. ღრმა ძილით ჩაძინებული რომ გვეგონა, ისეთმა ხალხებმა წამოყვეს თავი და წითელი ეშმაკის მოსაგერიებლად ქვას წამოუსვეს ხელი. ნეტა თუ უფროსობაში ისეთი რეგვენი, ამ სახელმწიფოს შეკვრა-შეკოწიწების იმედი რომ აქვს. არ შეგჭამოს ტარაკანამ. ამას აღარაფერი ეშველოს. მაინც რა მალე დაინგრა კაცო, ლენინის სუსულა. სამი წლის წინ რომ გეკითხა, სატზე დავიფიცებდი, მე ამის დანგრევას ვერ მოვესწრები მეთქი. ყოველდღე რომ იშლება და ნიავდება უყურებ შენ?

გულზე შემხეთქა ამ დილას მაწვნის რიგში ვიღაცამ. ფეხბურთზე ლაპარაკობდა. ახლა ორი კაცი ერთმანეთს ჩუმად აღარ ესაუბრება. კამათი ეხლა, ყველას გასაგონადაა. ჯერ ორი კაცი ელაპარაკებოდა ერთმანეთს, მაგრამ ხმას რომ აუწიეს, მივხვდით, ჩვენთვის იყო ეს კამათი და ჩავერიეთ. დავიღუპეთო, ერთი ამბობდა, ჩვენმა ფეხბურთის ფედერაციამ ეს რა გადაწყვიტაო. როგორ შეიძლება, საკავშირო ჩემპიონატში არ ითამაშოს თბილისის „დინამომ". ეს ხომ იმას ნიშნავს, შენი ნებით დისკვალიფიკაცია მისცე შენს თავსო. იმპერიის არხებით გადიოდა საერთაშორისო არენაზე ჩვენი ფეხბურთიო. ახლა ვისარშოთ და ვიყოთ ჩვენს წვენში? ესაა საქმეო? ნუთუ მართლა ფიქრობთ, რომ საინტერესო იქნება ჩვენთვის პატატვრანი ქართული გუნდების პაექრობაო. ჩვენაო, თბილისის „დინამოს" იმიტომ ვედექით ფარად, რომ ფეხბურთი მარტო სპორტი კი არა, ეროვნული ბრძოლის ფორმა იყოვო. ამით ჩვენს ძალებს ვსინჯავდით, ჩვენს თავში ვრწმუნდებოდით, და თუ გნებავთ, ანგარიშსაც ვუსწორებდით ზოგიერთებს ჩვენი ეროვნული დაჩაგვრისათვისო. ახლა რაღაი ფრთები შევაკვეცეთ ჩვენს გუნდს, ფეხბურთი დაღმა დაექანება საქართველოში.

რაში მაინტერესებს სიღნაღის გუნდი მოიგებს თუ თელავისა, ორივე ჩემია, ჩემი სისხლი და ხორციაო.

შენი ლაპარაკი იმას ამტკიცებს მეთქი, მე ვუთხარი, როგორ ვართ გამწარებული მეთქი ჩვენ, ქართველები, ჩვენი სახელმწიფო რომ არ გვაქვს და იმპერიის ჩექმა გვაჭერს კინკრიხოზე მეთქი. აბა თავისუფალი სახელმწიფოს თავისუფალი მოქალაქე ხომ არ იმსჯელებს ისე სპორტზე საერთოდ (ფეხბურთი იქნება თუ ლელობურთი), როგორც შენ მსჯელობ მეთქი. იმედიც კი გადაგიწურავს, რომ ჩვენ ოდესმე დამოუკიდებელი ვიქნებით მეთქი. რას უშლის ხელს დამოუკიდებლობას, ფეხბურთიც ხომ ეროვნული ძალების მოსინჯვის საშუალებაა, ბრძოლის ფორმააო. არ დაიჯერო მაგ ამბავი, ჩემო იმანო მეთქი. ჩვენ ერთადერთხელ, გათვლა რომ შეეშალათ და რაღაცა გამორჩათ მხედველობიდან, იმიტომ გავხდით ჩემპიონები, თორემ ვინ მიგიშვებს ფეხბურთის გვირგვინთან. ბრმა ბედმა გაგვიღიმა, კოჭი ალჩუზე დაგვიჯდა, თორემ ვინ გაგხდის ჩემპიონად ამ ვეშაპივით იმპერიაში. ენას გართმევდა პირიდან და ჩემპიონობას ვინ გაღირსებდა მეთქი. ჩვენი თამაში ჯერ, თვით ფეხბურთელების გლადიატორული ხოცვა იყო სულგაყიდული მსაჯების ხელში და მერე, სამი მილიონი ქართველის ნერვების გლეჯა მეთქი. რა ფეხბურთს გეთამაშებოდნენ ეს მაინც აღარ გახსოვს მეთქი? ყველაზე კარგ მოთამაშეებს პირველ სამ შეხვედრაში დაგვიმტვრევდნენ და ისხდნენ საწყლები ფეხ-მკლავ შეხვეულები წლიდან-წლამდე მეთქი. ახლა რომ გამოეცალე და აღარ ეთამაშები, ახლა გვყავს დამარცხებული სწორედ მეთქი. ამით დაუმტკიცე, რომ თავმოყვარეობა გაქვს და თვითმყოფადი ერი ხარ, რაღაც-რაღაცეებზე უარის თქმა შეგიძლია მეთქი.

არ ვარ მართალი? ერთი მეზობელი მყავდა ქუთაისში — ჭიკოია კაკალაძე. ახლა აღარ არის ცოცხალი საწყალი, ბაქოში დაფნა წაიღო შარშან გასაყიდად და ვიღაცა გადარეულს სომეხი ჰგონებია. სანამ მის ქართველობას გაარკვევდნენ, თხუთმეტი წლის ლაწირაკს ურეკია ლურსმანიანი კეტი თავში. თავის ქალა

ჰქონდა ამ თითის ხელაზე ჩატეხილი. ერთ თვეს აწვალეს ექიმებმა უბედურ დღეზე გაჩენილი, იმ ჭიკოიას ამბავს გიყვები. მაშხ ვთამაშობდით ქუჩაში მეზობლები, ჩვენ „დამკას" ვეძახდით. მიგებდა ჭიკოია მარა ისე ვერა, თავისუფლად, უჭირდა ძალიან, რომ იტყვიან, წინააღმდეგობას ვუწევდი. ჩემთან თამაში უხაროდა, კენჭს არ ვპარავდი, ალალად ვეთამაშებოდი და რა ვიცი რატომ: გაჭირვებით რომ მიგებდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც რომ მიგებდა, იმიტომ ალბათ. ცოტა ჭინჭყლი კაცი იყო. ხულ ჩხუბი ჰქონდა თამაშის დროს. „ფუკას" არ გათქმევინებდა, კენჭს ხელს რომ წაავლებდი, ის უნდა გეთამაშა აუცილებლად. ერთი სიტყვით, მომწყინდა ერთ მშვენიერ დღეს და ჭიკოიას გამოვუცხადე: მეტს აღარ გეთამაშები მეთქი. რა ვიყავით, თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ვიქნებოდი მაშინ. შევჯექი ჯორზე და არ ჩამოვედი. არ ვეთამაშები ჭიკოიას. გადაირია პირდაპირ. ჯერ მეხვეწა, მეორე დღეს ფაცერი მომიტანა, რიონში თევზს დავუგოთო, არ გამოვართვი, ასე მონდომებული და დასერიოზულებული ჭიკოია არ მინახავს. რა ღონეს არ მიმართა, რანაირად არ შემომიარა, მაგრამ არ ვეთამაშე. რაკი ერთხელ გადავწყვიტე, ჩემს სიტყვას არ გადავედი. რა იყო, რატომ გავჯიუტდი ასე, ახლაც ვერ გეტყვი ზუსტად და მაშინ ხომ არ ვიცოდი. მაგრამ, მე მგონი, მომწყინდა მისი ჭინჭყლობა და ზემოდან ყურება. მოგების სიამოვნება წავართვი და ამით დავსაჯე. შეიძლება არც კი იყოს შუაში, მაგრამ ეს ამბავი გამახსენდა, როცა თბილისის „დინამოს" ხწორ გადაწყვეტილებაზე ვფიქრობდი.

ასე მისხალ-მისხალ უნდა გამოვეცალოთ იმპერიას. დღეს ფეხბურთს არ გეთამაშები, ხვალ დისერტაციას აღარ გამოგიგზავნი დასამტკიცებლად, ზეგ მე თვითონ აღარ ჩამოვალ დასამტკიცებლად... თვითონაც არა აქვს ჭკუა, თორემ რას ებღაუჭება გასაქცევად გამზადებულ ხალხებს. დარჩეს მარტო რუსეთის ხახელმწიფოდ. რავა რესურსები დააკლდება, ტერიტორია არ ჰყოფნის თუ მუშახელი. სხვამ იკითხოს თორემ, რუსი კაცი

კუჭსაც უკეთ გამოიძლობს და საქმესაც მშვენივრად წაიყვანს თავისთვის.

მე რომ მკითხო, პირადად, მე ჩვენი რელიგიურ-გეოგრაფიული ბედის გადამკიდე, რუსთან ყოველთვის ძმაკაცურად ვიქნები. რუსის მომდურება, ღმერთი, რჯული, არ მინდა. ვიმეგობრებთ და ვიმეზობლებთ რუსებთან ქართველები, მაგრამ ასე არა, ამნაირ დაჩაგრულ მდგომარეობაში და ცალმხრივ ფედერაციაში არა, ჩემო ბატონო, მომწყინდა. ბოლოსდაბოლოს, კი უნდა ვიყო ღირსი მე, ქართველი კაცი, ჩემი სახელ-პასპორტი და ფული მედოს ჯიბეში და, ცხონებულის არ იყოს, ჩემი თავი მევე „მეყუდნოდეს“.

## მაჩვი

ცოტა ხანსაც ვაცლი. მაინტერესებს ხანამდე მივლენ.

მაინტერესებს, საით გაუტევენ, რას მოჩმახავენ და მოიმოქმედებენ.

მერე მე ვიცი. ერთბაშად დავუქნევ ხელს ყველაფერს და საჩივლელად კი არ გავიქცევი, მე თვითონ გავუსწორდები.

ავიწყვეტ ერთს და ვახათქუნებინებ იმ გასიებულ თავს თავის კაბინეტში, საკუთარ მაგიდაზე.

მერე, რაც უნდათ, ის მიქნან.

მერე მართლა ღირსი ვიქნები დასჯის.

ოღონდ იმას კი მოვასწრებ, მაგისი ლეღვის ფოთოლივით ყური მოვიგდო ხელში და ბუკივით გავუხადო ცხვირი.

ისე მოვუქცევ საქმეს, რომ საკუთარი ნათლია ვეღარ ცნობდეს და სხვისი გაგდების მოსურნე, თვითონ გარბოდეს უწაუწა.

გამეხარდა პარტკომის მოადგილედ რომ აირჩიეს, ეგ დამპალი. მე ვთქვი: სკოლის ამხანაგები ვართ მაინც რაც არ

უნდა იყოს, ჩემი კაცი მეყოლება პარტკომშიმეთქი. თურმე რა გიხარია.

გეტყვი, რას მოჰყვა ყველაფერი. თუ მტყუანი ვარ, გამამტყუნე.

პარტკომი ჩვენთან თხუთმეტი წელია ჭალაგანიძეა. ნორმალური კაცი. რაზეც შევსულვარ, უარი არ უთქვამს. რაზე შევდივარ მაგათთან, ისევ ინსტიტუტის და ლაბორატორიის საქმეზე თუ შემიწუხებია, თორემ რას ვთხოვ.

მე ჩემთვის ვარ, ისინი თავისთვის არიან. თუ რამეს დამავალებენ, პარტიაა და ვუსრულებ ხმაამოუღებლივ.

ბევრიც რომ ეკამათო, ბოლოს მაინც გაგაკეთებინებენ და, აწი, არ სჯობია, თავიდანვე გააკეთო?

ჩემისთანა მორჩილი პარტიის წევრი მაგათ არ ჰყავდათ აქამდე და რაკი გერონტია ბლუკუნას გულისათვის ამომიღეს გულიდან, კი ბატონო, ძალა აქვთ და მერევიან.

ჭალაგანიძისაგან მიკვირს, თორემ გერონტი ფეხალაძე არ ვიცოდი რა ჭუკი იყო?

დღეს ოცდაშვიდია ხომ? ზუსტად ოთხ ოქტომბერს იყო ეგ ამბავი.

უნგრეთიდან მოწვევა მივიღე. სიმპოზიუმია რაღაც. მოხსენება მოგვთხოვეს და შეუტანიათ ჩემი მოხსენება.

საზღვარგარეთ ბარე სამჯერ ვარ ნამყოფი. ულაპარაკოდ მიწერდა ჭალაგანიძე ხელს ყოველთვის.

ერთხელ, სანქაროვ იყო და ძველი ოქმითაც კი გამატარა. ვიცი მეო, წესიერი კაცი ხარ და არ დაამშავებ არაფერსო.

ჭალაგანიძეს ვიღაცა ჰყავდა კაბინეტში. თურმე მოვმეცადა, არ ჯობდა? მე ვთქვი, გერონტის მოვაწერინებ ხელს თან დაფასებად ჩათვლის, თან მივესალმები, მოვიკითხავ მეთქი.

ხვნეშით, კეფის ფხანვით, რაღაცა უგემურად ჩაიკითხა ეს ჩემი დახასიათება.

ვეხუმრები, ვითომ, ჩემი ჭკუით: მალე ქენი, მალე, არ უნდა მაგას ბევრი ჩითვა, სწორი სწერია ყველაფერი მეთქი.

სწორია ვითომ ყველაფერიო?

მგონია თვითონაც ხუმრობს.

რომელ პუნქტს არ ეთანხმები შენ მაგალითად მეთქი.

ისე სიტყვის მასალად, ხაქილიკოდ ვეუბნები. აიმრიზა, დაიღმიჭა, რაღაცა უგემურად.

— მორალურად მდგრადი რომ გიწერია, ხარ ვითომ მორალურად მდგრადი?

რას მატყობ ამორალურს, მე ვუთხარი.

— მე ვერაფერს გატყობ, მაგრამ იქ რომ რამე მოიმოქმედო, რა გარანტია მაქვს. მეო. რაღაცა რომ შეგეშალოს, მე ვაგო პასუხიო?

შენ მართლა ლაპარაკობ, თუ ხუმრობ გერონტი მეთქი.

არაფერსაც არ ვხუმრობ, მეო.

როდიდან გავხდი შენთვის არასაიმედო: პირველად ხომ არ მივდივარ. თუ არ გჯერა ჩემი, ნუ მოაწერ ხელს, ჭალაგანიძესთან შევალ, შე კაი კაცო, მე მეგონა, ვიცნობდით ერთმანეთს მეთქი.

შარზე რომ იქნება. კაცი. დამიწყო სიტყვაზე გამოკიდება. ლუღლუღებს უშნოდ.

რა შუაშია ცნობა. მერე რაა, რომ გიცნობ. შენ იმით მაბამ ახლა სკოლაში რომ ერთად ვსწავლობდითო? მოგიწეროს, ბატონო, ჭალაგანიძემ, მე ვერ ვაგებ პასუხს შენზეო.

კარგი, ასე იყოს ჩვენს შორის მე ვუთხარი. მე შენ დაგაფასე, მოგესიყვარულე, კაცად ჩაგთვალე, როგორც ჩემი ამხანაგი, თორემ ჭალაგანიძეს არასდროს არ უთქვამს ხელმოწერაზე ჩემთვის უარი მეთქი.

გავბრაზდი მეც, ცოტა არ იყოს.

რა უნდა შემეშალოს ბიჭო, ჩემი თავი და ჩემი პატიოსნება, როგორ ფიქრობ ნაკლებად მიყვარს მეთქი? მე, ჩემდა თავად, სანამ შენ აქ იჯდები, აღარ შეგაწუხებ არაფერზე და ღმერთმა ხელი მოგიმართოს მეთქი.

დავავლე ქაღალდს ხელი და შევურბენინე ჭალაგანიძეს. ჩაიკითხა. მიწერს ხელს.. რაზე მეტყვის უარს, ვის რა დავუშავე.

ხანამ წაიკითხავდა, ენამ წამისწრო და მოუყევი; ასე და ასე გერონტიმ, ჩემმა ჯგუფელმა, ხელი არ მომიწერა მეთქი.

დააჭირე ენას კბილი. რას ეუბნები, თურმე.

მომარჯვებული კალამი დადო და ხასეგამშრალმა შემომხედა.

რა მოტივით გითხრა უარიო.

არაფერი მოტივით, მე ვუთხარი. ან ხასიათზე ვერაა დღეს, ან რაღაცა ბოღმა ჰქონდა გულში ჩემზე. რა ვიცი, მიდღემდი არაფერი დამიშავებია. ყოველთვის კარგად ვიყავით. ალბათ, აუვარდა თავში პარტკომის მოადგილეობა მეთქი.

რა ვქნაო, ჭალაგანიძემ, არ მიხულიყავი პირველად გერონტისთან კარგი იყოვო. ახლა მე რომ მოგიწერო ხელი, არაკოლეგიალურობა გამოვაო. ვკითხავ, გავარკვევ და ხვალ გამოიარეო.

რა მაქვს გასარკვევი, ბატონო, მე ვუთხარი. თუ რამე იცით და მიმალავთ, მითხარით აგერ პირში ორივემ, თუ არა და მომიწერეთ ხელი. პრინციპის ამბავია, რატომ უნდა გაიტანოს გერონტიმ თავისი. სულ არ წავალ უნგრეთში, მაგრამ საქმე ადამიანობაში და კაცობაშია მეთქი. დაუძახეთ ახლავე. რა არის აქ ხვალისათვის გადასადები მეთქი.

ხხვათაშორის დაუძახა მაშინვე.

რატომ არ უწერ ხელსო.

შეურაცხყოფა მომაყენაო, ამ აქოთებულმა. მეო შენო დაგაფასე, კაცად ჩაგთვალე და იმიტომ შემოგიტანე დახასიათება ხელმოსაწერადო. თქვენ თუ გნებავთ, მოუწერეთ, მე ხელს არ მოვუწერ. არ ვაგებ პასუხს მაგის მორალურ მდგრადობაზეო.

ხომ აშკარაა ახლა რომ შარზე ყოფილა? თურმე ხძულხარ კაცს ჭირივით. შენ აინუნშიც არა ხარ, მომენტს გირჩევს, რომ ფეხი დაგიდოს.

რაკი ასე წავიდა საქმე, ჭალაგანიძემაც რომ ყოყმანი დაიწყო, ველარ მოვითმინე და მე ჩემი ვუთხარი, გერონტიმ მისი მითხრა. შემირცხვენია საზღვარგარეთ წასვლა და შენი კაცობაც მეთქი, ვუთხარი ბოლოს და გამოვიჯახუნე კარი.

ორ კვირაზე მეტი ხომ არაა გასული ამ ამბიდან, შენ გგონია დამთავრდა ყველაფერი?

თურმე ვისთან მქონია საქმე და არ ვიცოდი.

ორჯერ მომიგზავნა კომისია. ერთხელ ლაბორატორია შემიმოწმეს. ოქმები არ გაქვს წესრიგშიო, თანამშრომლები აგვიანებენო, დისციპლინა მოიკოჭლებსო, ამნაირი სისულელეები ჩაწერეს და წავიდნენ.

მეორეჯერ ვიღაცის ბატიფეხურით ნაწერი დამიდეს წინ. სულ წვრილად ეწერა თუ ვინმესთან მიჩხუბია ბავშვობაში, თუ პატარა სასიყვარულო ისტორიები მქონია, თუ სადმე შევმთვრალვარ და რამე მითქვამს. თურმე სადღაც გროვდება ჩვენი ნათქვამი თვითოეული სიტყვა, ყოველი ნაბიჯი, თორემ ერთი კაცი ამას ვინ აღნუსხავდა, ვის ეცალა ჩემთვის.

ახლა პარტკომზე ვარ ხამშაბათს დაბარებული. ჩემს პერსონალურ საკითხს იხილავენ.

ფეხი მომტეხოდა და არ შევსულიყავი იმ დღეს გერონტია მაჩვთან არ მერჩივნა?

1966 წ.

# შემკრთალი

არ დაგიმალავ, უბედნიერესი კაცი ვიქნებოდი ჩემს გულში, ახლა, მე ეს მანდატი რომ არ მიწვავდეს ჯიბეს. ოცდაორი წლის ბიჭი შევედი პარტიაში. მაშინ პარტიაში თუ მიგიღებდნენ, დიდი ღვთის წყალობა იყო შენს თავს. ცხოვრებაში გზა გახსნილი გქონდა. შენი არ ვიცი და მე ცოტაზე-ცოტა მეგულება, ვინც უარს იტყოდა პარტიაში შესვლაზე მაშინ. ხომ გვყავანან ისეთებიც, რომ არ შევიდნენო, გინდა მითხრა ახლა შენ. კი, ამის თქმა გინდა, ისეთ ირონიულ ღიმილს გატყობ თვალებში.

უმეტესი მათგანი,. გითხრა სიმართლე, არ მიიღეს. გამოუჩხრიკეს რაღაც-რაღაცეები და არ მიიღეს. ბევრი მათგანი, ახლა უპარტიობით რომ ამაყობს, თვალცრემლიანი მინახავს, ამ ოცდაათი წლის წინ. რა უნდათ, რას მერჩიან, რატომ არ მღებულობენო. უპარტიოებიდან ნახევარი პროცენტი, არ უნდა ლაპარაკი, თვითონ არ შევიდა. ასეთები სანთლით საძებარია, მაგრამ ამის გამომრჩევი თქვენ არა ხართ. ახლა თქვენს თვალში ყველა უპარტიო, გმირი და, როგორ იცით ხოლმე თქმა? „კრისტალური“ პიროვნებაა.

კაცის გაკეთებული საქმე უნდა შეაფასოთ, ბაბაია, და არა ის: მანდატი უდევს თუ არა ჯიბეში. კია კადნიერება, მაგრამ ჩემს თავზე გეტყვით, გინდა დაიჯერეთ გინდა არა: ერთი დღეც არ მქონია ცხოვრებაში, როცა ამათი მწამდა. ამ პარტიის და მარქსიზმის ბრმად მორწმუნე და ერთგული არასოდეს ვყოფილვარ. მთელი ცხოვრება ვცდილობდი, ამათ მარაქაში არ გავრეულიყავი. მე ფიზიოლოგი მეცნიერი ვარ და ვმეცნიერობდი ჩემთვის, ჩემს პატარა ლაბორატორიაში. ბიუროს წევრი მე არ ვყოფილვარ და პარტუჯრედის მდივანი, რომ დამასახელებდნენ რამეში, მაშინვე თავს ავიტკივებდი და აცილებას მივცემდი თავს. ჩემს საქმეში პარტია არ გამირევია, პარტიის წევრობა მარტო იმისთვის მინდოდა, წიგნის გამოცემაში და მეცნიერულ მუშაობაში ხელი არ შეეშალათ. იცი თუ არა შენ, რომ ლაბორატორიას არ მოგცემდნენ, თუ პარტიული არ იყავი, საზღვარგარეთ სიმპოზიუმში მონაწილეობის მისაღებად არ გაგიშვებდნენ, თუ პარტიის წევრი არ ბრძანდებოდი. დახასიათებაზე რაიკომი არ მოგიწერდა ხელს.

რა ფასი აქვს ახლა ჩემს ლაპარაკს, შენ თვალში ტყვილად ვასველებ ენას, ვგრძნობ მე. შენს თვალში რაც უნდა ვილაპარაკო, პარტიის წევრი ვარ, ესე იგი დაჯერებული კომუნისტი, რომელმაც პასუხი უნდა ვაგო იმ კომუნისტებთან ერთად, სამშობლოს მიწას რომ უცხო ტომზე ჰყიდდნენ. სინამდვილეში ჩემი „დანაშაული“ ის არის, რომ საწევროს

ვიხდიდი თავის დროზე. და შიგადაშიგ პარტიულ კრებებსაც ვესწრებოდი.

ახლა, რატომ არ ხდებ მანდატს, რატომ არ გამოეცლები ამ სახელგატეხილ პარტიასო, უნდა მკითხო შენ. ჩვენი ლაპარაკის ლოგიკა იქითკენ მიდის, რომ უნდა მკითხო. ამაზეც მაქვს პასუხი. ახლა პარტიიდან გასვლა, სახელისათვის მათხოვრობას წააგავს. ყურადღება უნდა მიიქციო, რა ყოჩაღი ბიჭი ვარო, რა გაბედული ვარო — ჰყვირი. კომპლიმენტები გინდა გამოსტყუო საზოგადოებას. გაბედული კაცის სახელი გინდა დაიგდო. უმეტეს შემთხვევაში ასეა. არ არის აჩე? ჰყვირის, ნამეტანი ჰყვირის ეს ამბავი. აქამდე სად იყავი, როცა პარტიიდან გასვლაზე არავინ პასუხს არ გთხოვს, როცა მანდატის დაგდებაზე არავინ გდევნის, პირიქით, ტაში შეგიძლია მოსწყვიტო, ახლა მოგეცა დიდი გული? არ მინდა ახლა ამ იოლი გზით სახელის შოვნა. არ მინდა გავხმაურდე. გავა ცოტა ხანი და დავდებ, აბა რას ვიზამ. ამ პარტიაში დამრჩენი ვარ მეე?

კიდევ ერთს გეტყვი საიდუმლოდ. სხვა მიზეზიც აქვს ჩემს თავშეკავებას. მეშინია, კიდევ არ მოიქნიონ ამათ კუდი. ესენი მორალურად გაკოტრდნენ, მაგრამ ძალა ჯერ კიდევ ამათ ხელშია. ციხე და დევნა რომ ამათი მოგონილია, თქვენ, მე მგონი, არ გეშლებათ ეს ამბავი. ჰოდა, რაღა მე ვიყო პირველი მსხვერპლი. შიშით კი არ მეშინია. მე, ახლა, სამოცსგადაცილებული კაცი, დღეს მოვკვდები თუ ხვალ, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რაღაც-რაღაცეები მინდა ბოლომდე მივიყვანო. ერთი-ორი ექსპერიმენტი მაქვს დასამთავრებელი და, ეხეც არ იყოს, ხომ შეიძლება მინდოდეს, ცოტა ხანს კიდევ ვუყურო ამათ სულისხდომას და იმპერიის ნგრევას. ამიტომ ნუ დამაჩქარებ, თუ კაცი ხარ, ჩემი საქმე მე ვიცი!

# იარა

– როგორა ხარ?

ქალმა გაუღიმა და ლამის დაუმარცვლა:

– არა მიშავს, შენ როგორ ხარ?

– ქმარ-შვილი ხომ კარგად?

– გმადლობთ. კარგად არიან.

– შენ, იცი თუ არა, რომ ათი წელი გავიდა.

– ათი წელი და თოთხმეტი დღე.

– საოცარია.

კაცმა სიგარეტს გამოცვალა და სიგარის საზელურსმოჭიდებულ თითებში იგრძნო, რომ ხელი უკანკალებდა.

– რა არის საოცარი?

– ისე ჩაჯექი ამ მანქანაში, თითქოს, ეს ესაა გადმოხვედი და პურის საყიდლად შეხვედი მაღაზიაში.

– ასეც იყო.

ერთხანს ორივენი ყუჩად იყვნენ.

– ყველაფერი ტყუილი ყოფილა? – განზე გაიხედა კაცმა.

– არაფერიც არ ყოფილა ტყუილი.

– ტყუილი ყოფილა, აბა რა. გესმის? ათი წელია არ მილაპარაკია შენთან.

– სამაგიეროდ, მე შენთან ყოველთვის ვლაპარაკობ.

– აღარაფრის აღარ მჯერა, სად წავიდა ის ცრემლი, ის ლოდინი, ის გაგიჟება, ერთ დღეს რომ არ გნახავდი...

– ეგ შენს თავს ჰკითხე.

– შენ გეკითხები.

– მე არაფრის შეცვლა არ შემეძლო.

– გეხვეწები, მითხარი, დამეთანხმე, რომ ყველაფერი სისულელე ყოფილა.

– არ დაგეთანხმები, რომ მოვკვდე არ დაგეთანხმები.

– მაგრამ გულის სიღრმეში შენც ასე ფიქრობ.

– არ ვფიქრობ.

– აბა, როგორ გასძელი უჩემოდ?

– მე არ წავსულვარ შენგან, შენ წახვედი.

– როგორ გასძელი მეთქი, ეს შენ არ მიცდიდი საათობით მანქანასთან?

– გიცდიდი. ახლაც გიცდი.

– სულელები ხართ ქალები, არ გინდათ საკუთარ თავს გაუტყდეთ, რომ თურმე ყველაფერი ქრება.

– არაფერიც არ ქრება. მე უბრალოდ ცხოვრების სტილი შევიცვალე, შენც ხომ ხედავ, შენს ცოლ-შვილში ხელს აღარ გიშლი.

– მე, ისევ მე ვარ. ეს შენა ხარ მოუცლელი და ქმარშვილით დაზუზღული ქალი. ეს შენ მითხარი ათი წლის წინათ, მე მგონი, ნოემბერი იყო მაშინაც. ძალიან გთხოვთ აქ მეტი აღარ დარეკოთო.

– გითხარი.

– რატომ?

– მე არასოდეს არ მოვატყუებ იმ კაცს, ვინც ჩემი შვილების მამაა. იგი ამას არ იმსახურებს.

– გიყვარს?

– ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. შენ ძალიან კარგად იცი, ვინც მიყვარს.

– მერე სად წავიდა შენი სიყვარული?

– არსადაც არ წასულა. იგი ჩემთან დარჩა. ყოველთვის, ყოველ საათს ჩემთანაა და თავს მახსენებს.

– როგორ მინდა მჯეროდეს.

– აღარავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს, შენ დაიჯერებ თუ არა. მთავარია, რომ მე მჯერა ჩემი სიყვარულის.

– რომ გაგიჩერე, ჩემთვის არც შეგიხედავს, ნომრებს შეავლე თვალი და უყოყმანოდ დაჯექი.

– ჰო.

– რა იცოდი ნომერი, შენ ხომ ამ მანქანაში არასოდეს მჯდარხარ.

– რა სულელი ხარ. სწორედ იმ წუთში ვფიქრობდი: აი, ახლა, სადაცაა, გამოჩნდება და მანქანას გამიჩერებს მეთქი.

– ამ ათი წლის განმავლობაში სამჯერ მოგკარი თვალი გაჩერებაზე. ეს იყო და ეს.

– და თუ გახსოვს, მე ყოველთვის შევბრუნდებოდი ხოლმე. რომ არ მოგექცია ყურადღება.

– დღეს?

– არაფერი, უბრალოდ თავს ვერ მოვერიე.

– სამსახური რატომ დატოვე?

– დრო აღარ მეყო. ბავშვები, ქმარი. სხვა მიზეზიც იყო.

– რა მიზეზი?

– არ მინდოდა, მბორკავდა, გულზე მაწვა შენი ნაშოვნი სამსახური. ასე მეგონა დილით სახლიდან რომ გავდიოდი, დანაშაულს ჩავდივარ მეთქი.

კაცმა გაიცინა.

– ხომ გითხარი, სულელები ხართ.

– რა ხდება, რა ამბავია შენს თავს?

– რა, ახალია რამე? შენ მაინც იცი, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ მაფია თავდასხმას მიწყობს. ახლა უკან დაიხევს და ახალი თავდასხმისათვის მოემზადება.

– არ მოსწყინდათ?

– არც მოსწყინდებათ.

– რა საშინელებაა.

– ახლა ვერ გავახარე, არ ავყევი, ძაღლადაც არ ჩავაგდე.

– როგორ მინდოდა იმ დღეებში შენს გვერდით ვყოფილიყავი, გამემხნევებინე, გიჟს ვგავდი.

– გამხნევებები არ მაკლდა.

– ჩემსავით მაინც ვერავინ გაგამხნევებდა. კარგად მოიქეცი, რომ იმათ დონეზე არ დაეშვი და არ უპასუხე.

– გეხვეწები, იმ სიბინძურეზე შენთან მაინც ნუ ვილაპარაკებთ.

– მართალი ხარ.

– შენ ეს მითხარი, გახსოვს ბაკურიანში ფეხი რომ მოვიტეხე?

— ოღონდ მოგონებები არ დაიწყო!

— არ გიყვარს მოგონებები?

— რისი მოგონებები! მე არავითარი მოგონებები არა მაქვს. ეს ყველაფერი გუშინ იყო, დღეს არის. მე იმ დღეებით ვცხოვრობ. ჩემთვის სხვა დღეები არ არსებობს, დამიწყე ახლა: „გახსოვს? გახსოვს?“. რას ჰქვია მახსოვს. რა მჭირს გასახსენებელი.

— მაპატიე.

მანქანამ ელბაქიძის დაღმართზე ჩაუხვია:

— ცოტა შესუქებულხარ, — თქვა კაცმა.

— შესუქება შენი იკითხე. ტელევიზიაში რომ გიყურებ, კისერი ყახაბს გიგავს.

— აღარ მოგწონვარ?

— მაგ შეკითხვის უმწეობა არასოდეს მიგრძვნია ისე, როგორც ახლა. რას ჰქვია მომწონხარ? ეგ უცხოს უნდა ჰკითხო. მე შენ სხვა თვალით, გარედან, ვერასოდეს ვერ გხედავ.

— რა ლამაზი ლაპარაკი იცი.

— კი, აბა, ლამაზად თქვენ ცდილობთ ილაპარაკოთ. თქვენი პროფესიის ხალხი. და სწორედ ყველაზე ყალბი მაშინა ხართ, რომელი საათია?

— ორი სრულდება.

— ჩიტის სკვერთან გამიყვანე.

— ?

— სკოლასთან, ბავშვი უნდა გამოვიყვანო.

— წახვალ ახლა და ათი წლით დაიკარგები, ხომ?

— აუცილებლად... რა კარგია, ათი წლით ისევ დავიკარგები. რა ბედნიერებაა... ღმერთო ჩემო... ნეტა მალე მოვიდოდეს სიბერე... მალე გათავდებოდეს ეს ყველაფერი... სიზმრებში ვცხოვრობ, ვაჟა მე სიზმრებში ვცხოვრობ. აქაურობას უკვე კარგა ხანია აღარ ვეკუთვნი... გამიჩერე... წადი ახლა და თავს მოუარე... მოიწი, ერთხელ გაკოცებ... არა შენ არა, არ მაკოცო... მე გაკოცებ... წავედი... აქედან ბაზარში უნდა გავიარო.

— გამოვიდეს ბავშვი, ბაზარში მე გაგიყვანთ.

— არა, არა წადი... ტაქსით წავალთ, არ მინდა შენს მანქანაში ჩავსვა, მერე კითხვებით ამიკლებს. ნახვამდის.

ჩავიდა. პლაშის საყელო აიწია, და ნიკაპი ჩამალა. ისევ ჩაძვრა თავის სულში, ფიქრებში. სკოლის კარებიდან გამოსულ კაცს რაღაც ჰკითხა: ალბათ „ზარი ხომ არ ყოფილაო". მანქანისაკენ მოიხედა, ხელი დაუქნია და სკოლის კარებში გაუჩინარდა.

ნელა, მძიმედ დაძრა მანქანა. მის ცხოვრებაში კაცმა პირველად არ იცოდა, საით წასულიყო.

## აღარ მენატრება

— შენ... შენ! ხვანურქუდიანო, შენ გეუბნები, საით იხედები, აგერ ვარ, გაზონებში, მომკიდე ხელი. მაგრად, მაგრად არ გამიშვა. მადლობელი ვარ... ცოტა ნახვამი ვიყავი, მაგრამ ყველაფერი მახსოვს. ხელი მკრა ვიღაცა ლაწირაკმა. არც მინახავს ამ ქუჩაზე. არ მიცნობდა, თვარა მე ხელს მკრავდა? ძაღლი და ღორი მიცნობს ამ ქალაქში. მთვრალი ვიყავი, მე, ხომ არ ვმალავ. გეჩქარება? სიგარეტი გექნება. კი კაცო... რავა არ მოვწევ. მთლად გაქაჩული მწეველი არც მე ვარ. გაღმა იყიდება, საქუდესთან რომ კიოსკია მოშე ურია ჰყიდის. პეტიამ გამომგზავნათქო, უთხარი თუ გინდა. თვარა შეიძლება არ გამოგიჩინოს. ეშინია იმასაც, რა ქნას. არ იცი რავარი დროა?

ჩვიდმეტი წლისაზე მეტის არ იქნებოდა. მთვრალი ვიყავი, არ უნდა ლაპარაკი, მარა გლახას რას ვაკადრებდი. მე ამნაირი ხასიათი მაქვს სიმთვრალეში, სიფხიზლეში—გუგული ვარ. უცნობ ხალხს ვერ ვიტან სიმთვრალეში. ოცდახუთი წელია ამ ადგილზე ვტრიალებ და ქუთაისელს ყველას ვცნობ სახეზე.

უცნობი რომ გაივლის, თუ მთვრალი ვარ, ეკალივით მესობა გულზე. რაღაცაზე შევლაპარაკდით, აღარ მახსოვს, მგონია ფული ვთხოვე. ფულს ვთხოვდი ალბათ. მთვრალი როცა ვარ, პასმელიის ფულის თადარიგს ვიკავებ. მტერს ნუ გამოაცდევინოს გამჩენმა, პასმელიაზე რომ ხარ და მანეთი არ გიჭყავის ჯიბეში. რესტორნები დილას დაკეტილია. სასადილოებს ქე წაართვეს არაყი. ხომ შეიმალე, პასმელიაზე ორასი თუ არ დოურტყი, კაცო, ჭკუაზე? პასმელიის მეშინია ძალიან. ამიტომ მე კი არ ვმალავ: სიმთვრალეში, კარგად რომ ვარ, მაშინ ვაგროვებ არყის ფულს, არ ვარ სწორი? აგაშენა ღმერთმა, მეც მაგას ვამბობ. ჩემი ჭკუით გამაქვს ეს ცხოვრება, თვარა უჭკუოს ექცა შავად და ბნელად, უჭკუობა მინდა მეე?

რა, მითხრა, ხომ იცი, იმ ჭკუანაღრძობმა ლაწირაკმა. ნუ მოგვაბეზრე, პეტია, თავი, წაი შენს სახლშიო. სად წავიდე, მე ვუთხარი, ცალკე არაყი და ცალკე სიბრაზე ერთად მომაწვა საფეთქელში. სად და საიდანაც ჩამოხვედი, იქით წადი, პეტიაო, შენ სამშობლო, შენი მიწა ხომ გაქვს შენო. მადლობა ღმერთს, რუსეთი იმხელაა, შენისთანას ორასმილიონს დეიტევს კიდევო.

ბოვში იყო, თავი არ უნდა გამეყადრებინა, მაგრამ რომ ვერ ვიცანი სახეზე, ამან უფრო გადამრია. ვის ეუბნები, შე ლაწირაკო მეთქი, ვუტრაკებ მეც. არ ეკუთვნის? ვინ წავიდეს, მე წავიდე, პეტია ჩემი ქუთაისიდან და შენ, ასფალტი რომ გუშინ ნახე პირველად, ფეხისგულები ეკლით რომ გაქვს სავსე და სავარცხელი რომ საჭმელი გგონია, იმნაირი ღლაპი დაგტოვო აქ მეთქი? მოვკიდე ხელი საყელოში და არ ვუშვებ. კაი ჩაფსკვნილი ბიჭი იყო, ცოტა ქე მეშინია მე და ვიხედები იქეთ-აქეთ. გამოჩნდება ვიღაცა და გაგვაზავებს*, აბა ახე ხომ არ იქნება. ზვარ დაგვასხოცინებენ ერთმანეთს მეთქი. მოკლედ, ახე იყო თუ ისე, ეს ბღლაძუნი იმით დამთავრდა, რომ მკრა

---

* გაზავება — ქუთ. ზავის ჩამოგდება. ჩასაფრებულ კრიტიკოსს „განზავებაში“ არ აერიოს.

ხელი და ამ გაზონებში გადამაგდო. მისი საყელო ქე შემრჩა ხელში. შეხედე, ე, ეგერ აგდია. ამას დავეძებ? კიდევ კარგი ხელი რომ არ დამარტყა. ჩემთვის ცხვირზე ხელის დარტყმა არ შეიძლება, ხუსტი ცხვირი მაქვს. სისხლდენა ვიცი ხანდახან ხუ უმიზეზოდ და, თუ სველი ტილო არ დავიდე მაშინვე, არ შემიწყდება.

გადავვარდი ამ გაზონებში, მთვრალი ვიყავი მეთქი ქე გითხარი და მიმეძინა. როცა ქუჩაში მძინავს, ჩემი გამღვიძებელი კაცი არ არის. სანამ არ გამოვიძინებ, კარგად, გემრიელად, უპატრონოდ ხმას ვერ მცემს ჩიტიანი. შენ შენ ქურდებს ხდიე, ჩემთან შენ საქმე არა გაქვს მეთქი, საზალზოდ ვუთხარი ერთხელ. მე ჩემი უბედურება მეყოფა, სადაც მინდა იქ დავიძინებ მეთქი. დამანება თავი. რა მოგებაა ჩემი წაყვანა მაგენისთვის. მანქანით უნდა მიმაცილონ გამოსაფხიზლებელში. დილას ცივი შხაპი მიმაღებინონ, ჩაი დამალევინონ და გამომიშვან. მე იმ რანგის და ასაკის კაცი აღარა ვარ, ხელწერილები მაწერიონ, მეტს აღარ დავლევ და მთვრალი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში არ გამოვჩნდები მეთქი, რომ დავპირდე მილიციას.

სად წავალ, ცოცხალი თავით წამსვლელი ვარ მე აქედან? ოცი წლის ბიჭი ჩამოვედი, ამ ოცდახუთი წლის წინ. ათი წელი ზეინკლად ვიმუშავე ავტოქარხანაში. ბინაც ქე მომცეს ერთოთახიანი, გამონაცვალი. ისიც ბოლო ცოლმა წამართვა და გამომაგდო, ახლა, ა, დიდი ხანი არ არის, ხუთი წელიწადიც არ იქნება, გარაჟში ვათევ, მანდ მწვანეყვავილაზე, ღამეს. გარეყანიძე ცხოვრობს, თუ იცი, კაი ბიჭი, ცხრა ნომერში. მანქანა არ აქვს. გარაჟი ბიძამისმა აჩუქა. სანამ მანქანას ვიყიდდე, იცხოვრე შით, პეტიაო. თვითონ მითხრა, სხვათა შორის. მე არც მითხოვია, არც ვიცოდი, გარაჟი თუ ჰქონდა.

ცოლი? სამი გამოვიცვალე, მარა სამივე გამექცა. არ ყრია მაგაშიც არაფერი, შენი ჰკუისას ვერ იშოვი და უბედურნახევარი თავზე საყრელადაა. „არ დალიოს" ძახილი და ტაბურეტის

პინპონგი მინდა ყოველდღე? ამ ბოლო ცოლმა, ტამბოველი გოგო იყო, ახე არ გინდა შენო და თვითონაც დაიწყო ხმა. თუ ერთნაირად ვიყავით მთვრალები, არაფერი, მტრედებივით ვეწყობოდით ერთმანეთს, მაგრამ, თუ ჩემზე მეტს დალევდა, მტრისპს, პირიდან ვეზუვის ვულკანი გადმოსდიოდა. მკრა პანღური ერთ მშვენიერ დღეს და გამომაგდო. ჩვენს შორის დარჩეს და მეც ეს მინდოდა. კაცი შენთვის უნდა იყო მარტო: ადამიანი მარტოობისთვის არის გაჩენილი. ბოლოშოლო ყველა მოსაწყენია, შენიანიც და სხვისიანიც.

ქუთაისში ვუყვარვარ ძალიან და მაფასებენ. ასეთი დაფასება, ტყუილია, მე არსად არ მექნება. ვიყავი იქეთ, ჩვენკენ, ვინ ჩამაგდო ძაღლად, ვინ მოგხედა, გაგიგონია? ას გრამს არ დაგალევინებს არავინ. მთელი დღე რომ უწრუწუნო. რატომ დაგალევინებს, კაცმა რომ თქვას, იმას იმ ასი გრამი ჰრაყის შოვნისათვის, ნაღველა აქვს ჩაქცეული ოჩერედში. ყელი მიშრებოდა, კინაღამ გარიაჩკა არ დამემართა. ბარე ორს ვსდიე, თუ ქუჩაში და თუ სადგურში, ხომ ჩემი ხალხია, ჩემი ხიხხლი და ხორცი, შენ არ მომიკვდე.

ქუთაისი ძალიან მაფასებს, რაც მართალია, მართალია, იცის ქუთაისმა კაცური კაცის დაფასება.

დავაკაკუნებ რომელ კარებზედაც გინდა და, ნიძლავს ჩამოვალ, ყელის გასახველებელი თუ დამამადლოს ვინმემ. რაიო? შენ გიცნობენო. ესე არი, რასაკვირველია, მარა აქანა მაინც სულ სხვაა. სხვა ხალხი ცხოვრობს. უცნობი იყავი თუ გინდა, დააკაკუნე კარებზე, ვინც გაგიღებს, იმის თვალწინ პირჯვარი გადაიწერე, ოჯახის კარგად ყოფნა უსურვე და პირდაპირ სთხოვე: შენი სადღეგრძელო დამალევინე ასი გრამი, თუ არ გეწყინებათქვა. შეტრიალდება ხელად და მეორე გამოსვლაზე ჵიქა-ბოთლით ხელდამშვენებული გამოდის. თუ შეყოყმანდა პატარა (ხომ არიან იშვიათად ამნაირებიც), იმწამსვე უნდა აჯახო: დღეს გამევედი ციხიდან, კაპიკის მოხერხებას არა ვართქო. არ უნდა მეტი ლაპარაკი. ფულსაც

გაჩუქებს, დალევითაც დაგალევინებს და, შეიძლება, იტიროს შენთან ერთად. ხაწყალი გულის პატრონია ქუთაისელი. ნამეტანი შებრალება იცის ადამიანიშვილის.

შენ არ გეგონოს, ეშლებოდეს რამე ამ ქალაქს. მეც ბევრი კარგი გამიკეთებია, ჩემნაირები კალოზე ბზედ არ ჰყრია, იცოდე შენც. ხანამ ხმას დავიწყებდი, ხომ ვმუშაობდი და ვმუშაობდი, ახლა ბაზარში ვარ დილიდან ხაღამომდე. მიყვარს ბაზარი. დღიურ მუშად ვიარე კარგა ხანს, მაგრამ ჯერ ერთი, არ მიყვარს ფიზიკური მუშაობა, მალე ვიღლები და მეორეც, რამეს რომ ვერ გაუკეთებ კაცს მოხაწონს, თავს გაგიტეხავს — შე შობელძაღლო, თუ ფინაჩი იყავი და არაფერი იცოდი, გეთქვა თავიდან, იხე, ტყვილად გაჩუქებდი ამ ფულს, ეს მახალა მაინც რაზე დამიოხრეო. ბაზარში ერთი-ორს წავუკრავ-წამოვუკრავ კაცს ხელს და ე „პოლიტრის" ფული ქე არის. მეტი მე არ მინდა. კაცი ვარ და იმიტომ მაფასებენ მეთქი, რომ გითხარი, თავის ქებაში არ ჩამომართვა. პატივს ვცემ ყველას, რაც შემიძლია. მენდობიან ეგენიც. რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა — ბაზრიდან კაცს მთელი ჩანთა ხანოვაგე გამოუტანიებია. მიხამართი უთქვამს მარტო და ფეხის ქირა უფეშქაშებია. ზოგს ხახეზე ვიცნობ, ხახელიც არ ვიცი. „პეტია მიიტანე ეს, ამა და ამ მიხამართზეო". მიაქვს პეტიას. ფიქრშიც არ გამივლია, ამოვაკლებ რამეს, რას გაიგებს, ან დავითესები მთლადთქვა. ყოფილა ღვინოც, ან რაც მთლად გადახარევია, არაყიც გაუტანებიათ, რავარი მიხატანია არაყი ხხვახთან. წელში წყდები, იხე გინდა დალევა, ხუნი ცხვირში გიღიტინებს, ერთი ყლუპი მოგნათლავს კაცს, მაგრამ არა! მიბარებული მგელმაც შეინახაო. მივუტან კაცს, მე ჩემსას გავაკეთებ და, მერე თუ დაგალევინებს, დაგალევინებს. თუ არა და ფული ხომ მოცემული აქვს, წადი და შენ დაურტყი ორახი, რას ემართლები. ახე ვცდილობ, რუხი კაცის ხახელი არ შევარცხვინო.

მშობლები? მყავდა კი. რიაზანიდან ვართ ჩვენ. მყავდა მეთქი, იმიტომ გეუბნები, რომ არ ვიცი, ახლა ცოცხლები არიან

თუ არა. მითუმეტეს, არც მათ ეცოდინებათ, მიდგას თუ არა ხული მე. ჩვიდმეტი რომ გავათავე და წამოვედი ხახლიდან, მის მერე წერილიც კი არ მიმიწერია. ნუ გიკვირს, ეს თქვენთანაა გადახარევი საქმე, თვარა ჩვენთან ჩვეულებრივი ამბავია. ჩვენთან ცოტა ხხვანაირი მამაშვილობა-დედაშვილობაა. გაგზარდა იმან შენ, თუ დააფასებ, ხომ კარგი, თუ არა და არც მაგაზე დაგემდურება. შვილს თავისი გზა აქვს, მშობელს თავისი.

მონატრებით არა, დამავიწყდა საერთოდ მონატრება. მე აღარავინ მენატრება. არა, ჩემს მეტი არ ჰყავდათ. ერთი შვილი ვიყავი, რომ არ დაგიმალო, მინდა ჩასვლა. ჯერ ერთი, მაინტერესებს, ცოცხლები არიან თუ არა. თუ ერთ-ერთი მათგანი ცოცხალია, გამოვჩნდები, თუ ორივე ცოცხალია, არა. პატარა ხანს ერთ თვეს მივდგებ-მოვდგები, ბინას გავყიდი, დედაჩემს ან მამაჩემს, რომელიც იქნება ცოცხალი, უპატრონო მოხუცთა თავშესაფარს ჩავაბარებ, ფულს ჯიბეში ჩავიდებ და ჩამოვლეხდები ჩემს ქუთაისში.

მე ხხვაგან ვერ ვიცხოვრებ. ტყუილია მაგ ამბავი. აქ უნდა მოვკვდე. ჩემისთანა მართალი და ნაღდი კაცის დაფასება აქ იციან, მეტი არსად. ხომ გეუბნები, შარშანწინ ვიყავი მეთქი იქეთ ჩვენსკენ. აჰა, რანაირადაა საქმე და ანგარიშები, ეგებ იქით ქერის ორმოშია ხალხი და მე ჰურში ვზივარ მეთქი. არ დაიჯერო, ვის უნდიხარ, ვის დაეკარგე, წამლად რომ გინდოდეს, ახ გრაპჰაც არავინ გამოგიწვდის.

# სად წაიყვან სადაურსა

დაჯე რა, მესაუბრე, თუ ძმა ხარ. ილაპარაკე რაზეც გინდა. თუ გაგეხარდება მაგინე კიდეც. ოღონდ ქართულად მაგინე. კახელი კაცი ვარ, არ მეწყინება და არც მეხამუშება. თუმცა

ვიღაც მეუბნებოდა: სხვა კუთხეებმა კახელს კარგა ხანია ჩამოართვეს გინებაში პირველობაო.

ამოდენა გზა გამოვიარე, საგზური მოვისისხლფასე, თავი მოვიკალ, საქართველოში უნდა დავისვენო, ქართველებში უნდა ჩავჯდე, ქართული ლაპარაკით უნდა გავძღე მეთქი. ჩამოველ და შენ არ მამიკვდე, სადღა არიან ქართველები, რუსებს გაუვსიათ აქაურობა.

თითო-ოროლა ქართველი დაჰკინკილაობთ ამოტელა სანატორიუმში და ისინიც რაღაცა რეტდასხმულივით, შელოც-ვილივით დაჰბუტბუტებით აქეთ-იქითა. ქართველები სადღა არიან მეთქი, ე ხომ საქართველოი კუროორტია მეთქი, ადმინისტრატორს ვკითხე დილითა. ჯერ ერთიო, ესაო საქართველოი მიწა არ არიო, აბშგზბჰუაი ავტონომიის მიწააო. მეორეც, ქართველებს ახლა დასასვენებლად არა სცხელათ, გამოყოფითვინ იბრძვიანო, მესამეც ვისაც დასვენება უნდა, აქ ჩამოსვლას ვერა ჰბედამს, ეშინია, პლაჟზე წამოწოლილს ვინმემ ქვა არა ჰდრუზოს ზურგშიო. ვაი ჩვენს თავსა, ე რა დღეს მოვსწრებივართ, კაცო! ჩვენს მიწაზე, ჩვენს სახლში გადამთიელი კეტს გვიღერებს და ხმა ვერ ამოგვიღია. ეტყობა არ ვვარგივართ ჩვენცა. თუ ერთმა-ორმა გარეწარმა ეგრე უკეთურად დაიქადნა, ქართველ შიშის ზარი როგორ უნდა დასცემოდა. ვინ მოგვიწონებს გულდედლობას და გაცლა-გარიდებასა. პირიქით, მთელი საქართველო უნდა წამაისულიყო, ვისაც აქეთ არასოდეს დაუსვენია, ისინიც უნდა ჩამაბრძანებულიყვნენ თქვენსავით და მოჰკიდებოდნენ აქაურობას, ჩამომსტარიყვნენ გაევსოთ პლაჟები, სასტუმროები — ამით აქაურ ქართველებსაც გულს გაუმაგრებდნენ და ავტონომიაგამოგონილ სტუმრებსაც დაანახვებდნენ, ვინა ვართ, რამდენი ვართ და როგორ ვეპატრონებით ჩვენს მიწასა. რას მიქვიან გაზეთური ენის სარსალი და მიტინგიგინებობია. პრაქტიკულად უნდა მიხვიდე და უნდა დაჯდე. ეგრე ჩანს, ამ ერთი მუჭა მწყემსებს უკვე მიუღწევიათ საწადლისთვინა — შიშის ქარი დაუბერამთ მუხლებში. შემკრთალი ქართველითვინ.

არაო, სხვა ჩავიდესო, ე აუტკივარი თავი რაზედ ავიტკივოო. ახალქართული სენი უნდა დავარქო ამ ფიქრსა, თუ ეს სენი არ განვაძეთ ჩვენი სულიდანა, არაფერი გვეშველება.

ნეტა ვინ არი ეგრე რიხით რომ ლაპარაკობს, ან ეგრე რამ მოანატრა ქართულიო, იკითხამ ჩემზე, რასაკვირველია. მე შარცხვენილი ვარ, ჩემს ჭკუაში ჩემი სამშობლოი წინაშე და იქნებ იმიტომაც ვლაპარაკობ ეგრე გულიტკივილითა. ოცდაორი წელი ტაშკენტში ვცხოვრობ. იქ დავიდე ბინა. დღეს ხვალ წამოვალ, დღეს ხვალ მეთქი და დავრჩი დღემდე. რაც ხანში შევდივარ, უფრო მეტად მტკივა და მაწუხებს ჩემი ეგრე ყოფნა. ამ წელ მაინც დავაყენებ რაც უნდა დამიჯდეს საშველს, თუმცა სჯობია, თავიდან გიამბობ, იქნებ არც ეგრე გამამტყუნო, როცა ჩემი იქ ყოფნაი მიზეზებ შაიტყობ.

ჯიქაანიდანა ვარ. ბართლომეშვილი გახლავართ. ჩემი გვარისანი უფრო მეტად, გარე კახეთში ცხოვრობენ, ქიზიყში ცოტანილა ვართ, კარგა ხანია მას შემდეგ, მაშინ მჟავანაძეობა იყო. სასოფლო ტექნიკუმი დავამთავრე ოცი წლის ბიჭმა და სამსახური შოვნაზე დავდივარ, მძიმედ დავგდივარ, არა ვჩქარობ, პაპაჩემმა დამარიგა, შვილო, თავის დროზე ყველაფერი იქნებაო. ერიჰაა, აღარ მოდის ე ჩემი „თავი დრო“. იმან იმასთან გამაგზავნა, იმან იმასთანა და ხომ იცი, უფულო კაცის ამბავი. ფეხი მოსაკიდი ადგილი აღარ აღმოჩნდა ჩემთვინა. ისეთი ფიქრი მაქვს, რომ მე აღარავის ვუნდივარ, აღარავის ვჭირდები. მა ეს დიპლომი რისთვის მამეცითმეთქი, თქვე კაი ხალხო, ან რად მინდოდა ხუთებზე რომ დავამთავრე, თუ არაფერში გამომადგებოდა მეთქი. იმუშავე კოლმეურნეობაში რიგით მუშად, თოხს და სასხლავს არავინ დაგამადლისო. მეც ავდექი და ვიმუშავე. კიდე კარგა ხანს ვიმუშავებდი, კაცო, ვინ ოხერი ითაკილებდა, მაგრამ დაიჯერებ? ხუთი წელი ვიოფლჭაპანე, ხუთი კვირის ხარჩიკ არ მაღირსეს, ეგრე ვირის მუშად ჩაილევა, გატყობ, ჩემი წუთისოფელი. არა და კაცი ვარ, ცოლ-შვილ ხომ უნდა მოვეკიდო, ჩემი ჭერი და ჩემი კერა-ცეცხლი

ხომ უნდა მქონდეს. მამაჩემი ღარიბი კაცი იყო. ერთი პატარა ფიცრული გვედგა და ხუთას ძირამდე ძველი ვენახი, რომელიც დაბერებულიყო და მოსავალს ეგრერიგად ვეღარ იძლეოდა. ორი ძმები ვიყავით, უფროსმა ცოლი შეირთო, ხამი შვილიც ღვთის შეწევნით, შეეძინა და გაქაჩე-გამოქაჩე, ჩემი ადგილი აღარ დარჩა იმ ორთვლიან, მამისეულ პატარა ფიცრულშია.

მივმართე სოფლის საბჭოს, განცხადებით: ასე და ასე, ოჯახი გამრავლდა, კომლი უნდა გაიყოს, და გთხოვთ გამამიყოთ მეთქი ჩვენს სოფელში საკარმიდამო, რათა სახლი დავდგა და საქმეს ვეწიო მეთქი. ცოლი შაირთე და მავიფიქრებთი. სასწრაფოდ ცოლი შევირთე, მაგრამ საქმეში ხარ? საბჭომ კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან გამგზავნა, თავმჯდომარემ რაიმიწათმომ-წყობთან, მიწათმომწყობმა ცივი უარი მტკიცა. რა სამოსახლო, რი სამოსახლო, ჩვენი რაიონი ისედაც მცირემიწიანიაო. მაშ, რა ვქნა მეთქი. ნუთუ ჩემი გაჩენის დღე ეგრე დაწყევლილია, რომ ჩემს სოფელში ერთი მტკაველი მიწაც არ მეკუთვნის მეთქი. თავში ქვა იქეც და ისა ჰქენიო, მიწათმომწყობმა. როგორც იქნა შევაღწიე რაიკომი მდივანთანა. გზირიშვილი იყო, კარგად მახსოვს, ზაქს ჰგავვდა შესახედავად. თქვენს სოფელშიო, საკარმიდამოს გაცემის საშუალება არა გვაქვსო, საკოლმეურნეო მიწას ხომ ვერ ჩამოვაჭრიო. მაშ, მე ვისი ვარ მეთქი, განა კოლმეურნეობაც ჩვენი არ არის, და მეც, განა, კოლმეურნეობაში არა ვმუშაობ მეთქი. რა ვქნაო, შენი დიდი ხათრი მაქვს, მაგრამა სახელმწიფო მიწას საკარმიდამოებად ვერ დავანაკუწებ, ამით სავარგულები შამცირდება, სავარგულები რომ შამცირდება, გეგმა აღარ შესრულდება და გეგმა თუ არ შესრულდა, მეორე დღესვე მომაძრობენ აქედანო.

იქნებ, სხვა სოფელში იყოს მეთქი, ახლომახლო საკარმიდამო. ჩემისთანა უპატრონო და ღარიბი კაცითვინა. ერთ კვირაში მოდი, გადავხედამო, ერთი წელი ისე გავიდა, რაიკომი მდივნითვინ მოსვენება არ მიმიცია. წამდაუწუმ ვაკითხავდი: როგორ არი მეთქი ჩემი საქმე. ერთი წლის შემდეგ, ჩანს

თავგაბეზრებულს ნერვებმა უმტყუნა და ყვირილით მაჯახა უარი: როგორ ვერ გაიგე, მართლა ქიზიყელი ხარ, განა ვერ უნდა მიხვდე, მეორმოცე მოსვლაზე მაინცა, უარს რომ გეუბნებიანო. არა მაქვს მიწა, წადი და მიჩივლე, სადაც გინდაო.

ჯერ ახლა სად უჩივლებ ეგეთ მამასახლისებსა და მაშინ მითუმეტეს, ჩივილით რას გაზდებოდი.

გავბრაზდი, როგორცა ჩანს, აქ ჩემი ყოილი ვერ იხარებს მეთქი, მოვკიდე ხელი ჩემს ცოლსა და ტაშკენტს გავფრინდი. გაგონილი მქონდა, ტაშკენტელები ჩასულებს ხელს არ ჰკრავენო. ერთი ჩვენუბნელი ბიჭი იყო იქა, წერილებ იწერებოდა: უზბეკ ძალიან უყვართ ქართველებიო. იმ ბიჭის (ვარდანაშვილი იყო) მისამართი მაქვს და ეგ არი, სხვა არავინ მიცნობს ტაშკენტში. როგორც იქნა, მივაგენი კითხვა-კითხვითა, მაგრამ ესეც ჩემი ბედი, ორი თვეა, რაც გადასახლდა ტაშკენტიდანა, მგონი ურალეთს წავიდაო, მეზობელმა.

იმ დღეს ის მოვახერხეთ, რომ იქვე, ვარდანაშვილის ყოფილი მეზობლის დახმარებით, ერთი პატარა ოთახი დავიქირავეთ. ჭიქაც არა გვაქვს წყლის დასალევი. ის პირველი ტაშკენტური ღამე ცხადად მიდგას თვალწინ. მასპინძელმა დიდი ჯამით ფლავი და მშრალად მოხარშული ბრინჯი შემოგვიტანა მთელი დღის უსმელ-უჭმელებს. დავწექით და გათენებამდე რულმიუკარებელნი ჭერს შევცქეროდით. „სადა ვართ“, „რა ხუშტურმა გადმოგვაგდო ამ სიშორეზედ“... ერთმანეთს ვაიმედებთ: „ნუ გეშინია, ხომ ხედავ, რა ღვთისნიერი ხალხია, რაც მთავარია ჯანმრთელები ვართ. ცოცხალი კაცი თავს ყველგან გაიტანს“.

მეორე დღეს გავვარდ-გამოვვარდი და რომ ვერა გავაწყვე რა, რკინიგზის სადგურზე ვაგონის გადმომტვირთავ დღიურ მუშად დავიწყე მუშაობა. კარგი ის იყო, ფულს საღამოს ხელზე გვაძლევდნენ, ხოლო ცუდი ის იყო, რომ ოფიციალურად არ გვაფორმებდნენ. არც შრომის წიგნაკს გვაძლევდნენ და ტაშკენტში ჩაწერაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

ორი კვირის თავზე, ეგრე ყოფნა არ გამამადგება მეთქი და ტაშკენტის ალმასკომს მივაკითხე. პირველივე კაბინეტში შევყავი თავი. ჩაფიქრებული მქონდა, ყველა კაბინეტს შემოვივლი და ვინმე მლმობელი გულისა როგორ არ შამხვდება მეთქი. ხწორედ ისეთ კაცთან შევხულვარ, როგორსაც დავეძებდი. მომისმინა, მუდმივ საცხოვრებლად ჩამახველ თუ ფულის გასაკეთებლად და გასაქცევადო. მუდმივ საცხოვრებლად მეთქი. ნასამართლევი ხომ არა ხარო. არა მეთქი. ძებნილი ხომ არა ხარო, ვაჟკაცურ სიტყვაზე გენდობიო. გეფიცები შვილს, რომელიც ჯერ არა მყავს, მაგრამ ალბათ მეყოლება მეთქი. ამ ფიცმა გაჭრა. სახე გაუნათდა უზბეკს. რა შაგიძლიაო, დავუდე წინ ტექნიკუმის ხუთებიანი ატესტატი.

გადარეკ-გადმორეკა ტელეფონით. კარგა ხანს ესაუბრ-ეკამათა ვიღაც-ვიღაცეებს, თავის ენაზე. მე, რასაკვირველია ინჩი-ბინჩი არ მესმის. ადგა და სამი მისამართი გამომიწოდა: აქ მიხვალ, სამსახურს მოგცემენ, აქ მიხვალ საერთო საცხოვ-რებელში მოგათავსებენ, აქ კიდე დროებით ჩაწერას გაგი-კეთებენო. კარებამდე გამომაცილა, მეო, სტალინის გულისათვის ომში სისხლს ვღვრიდიო და სტალინის სამშობლოდან მოსულ კაცს როგორ არ დავეხმარებიო.

გაზაპარატურის ქარხანაში მიმიღეს მუშად. მერე წავიდა და წავიდა, ორი წლის შემდეგ ჩემი დიპლომით სასოფლო ინსტიტუტში უგამოცდოდ ჩავირიცხე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბამბის ფაბრიკაში მოვეწყე და რიგითი ინჟინრიდან საამქროს გამგეობამდე მივაღწიე. ქალ-ვაჟი გავზარდე. ოთხ-ოთახიანი ბინა და საავარაკე ნაკვეთი მომცეს.

თვალში რომ ჩავუვარდე უზბეკებს, ხელს არ ამოისვამენ. ახე რომ, არა ვარ ცუდადა ტაშკენტში. ჩემს ბედს ბევრი შენატრის, მაგრამ...

აი ამ „მაგრამმა“ გამწყვიტა წელში. რაც დრო გადის, მოსვენებას ვკარგავ. ძილში ჩემი სოფლის შუკა-ხერზე დავაბიჯებ, შუაღამისას ქართული ძახილი მაღვიძებს. თითქოს

გრძელი სიზმარი იყო ეს ოცდაორი წელი. თითქოს სტუმრად, მივლინებით ვიყავ ჩასული სხვაგან და ყოველ დღეს საფრენ ამინდს ველოდებოდი.

ისე დაიზარდნენ ბალღები რუსულ-უზბეკურად, ისე გამითეთრდა თმები, ისე გაირბინა ყველაზე კარგმა წლებმა, რომ არც გამიგია.

რა საცოდავი ყოფილა ქართველი კაცი, გენაცვალეთ, რა მძიმე ჯაჭვით მივუბივართ გამჩენს ჩვენს მიწაზედა. ცხოვრობს ხალხი სხვაგან კარგად, მშვენივრადა. ვის სტკივა და ვის აწუხებს ეგრე სამშობლო. ბევრმა არც იცის, რას ჰქვიან სამშობლო, მიწის სუნი და კერიის კვამლი. ჩვენ საწყალი ხალხი ვართ. ჩვენთვის ჩვენი სამშობლო ყველაფერია.

რა ჭკუას ვემსახურებოდით ამ საბჭოურ წლებში, რამ დაგვიბინდა გონება ეგრე; გადამთიელებს რომ დავუთმეთ და ლამის გადავაქელინეთ ჩვენი ხელისგულისოდენა მიწა და ქართველ კაცს სამოსახლოზე უარს ვაზლიდით ცხვირში.

მოვალთ ოდესმე ჭკუაზე? შენ როგორ ფიქრობ?

## სამ მეტრში დავიწყებული სახელი

მენეჯერთა კურსების მსმენელს, ოცდათხუთმეტი წლის უცოლშვილო და უპარტიო ჩიმჩონ კამიკაძეს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ერთი გამონაკლისის გარდა, მშვენიერი მეხსიერება ჰქონდა. სიტყვა „უპარტიომ“ ჩვენს მღელვარე ყოველ-დღიურობაში სხვა მნიშვნელობაც შეიძინა. იგი ხომ აქამდე იმას ნიშნავდა, რომ მავანი პარტიის წევრი არ იყო, ახლა იმასაც ნიშნავს, რომ მავანი უპარტიოა, ეს იგი უპარტიოთაა, კიდევ ესე იგი – თავისი პარტია არა ჰყავს, ანუ არცერთი პარტიის ლიდერი არ არის.

ახლა იმას მოგახსენებთ, თუ რაში მდგომარეობს ჩიმჩონის მშვენიერი მეხსიერების ერთი გამონაკლისი: მენეჯერთა კურსების მსმენელს, რომელსაც ზუსტად შეეძლო აღედგინა, თუ რა ეწერა ორი კვირის წინათ ჩამოხეულ კალენდრის ფურცელზე, ხად რა პრიზი დაიმსახურა ფილმმა „მონანიებამ", რომელსაც ახსოვდა მარტო ახლობლების კი არა უბრალო ნაცნობთა ტელეფონის ნომრებიც კი, ავიწყდებოდა მხოლოდ ერთადერთი კაცის – საზოგადოება „ჭივჭავის" ვიცე-პრეზიდენტის – გურამ კალოშვილის სახელი და გვარი.

გურამი და ჩიმჩონი ორ დღეში ერთხელ საღამოობით ვაკის პარკში ხვდებოდნენ ერთმანეთს. ორ დღეში ერთხელ იმიტომ, რომ კამიკაძე ყოველ მეორე დღეს გადიოდა პარკში სასეირნოდ. ხან თავთავიანთ ჯგუფებში მიმავალნი ხელისაწევით მიესალმებოდნენ ერთმანეთს, ხან დომინოს წაითამაშებდნენ საერთო წრეში, ხან პოლიტიკაზე მოსაუბრეთ ჩაუგდებდნენ თითო სიტყვას. ერთი სიტყვით, აკეთებდნენ იმას, რასაც ვაკის პარკში ჰაერის გადასაყლაპავად საღამოობით ჩასული, პატიოსანი მშრომელები აკეთებენ.

აღარც კი ახსოვდათ, ვინ გააცნო ისინი ერთმანეთს.

სამ წელს აღარაფერი დააკლდებოდა, რაც ერთმანეთს ხვდებოდნენ.

გურამმა მშვენივრად იცოდა, რომ ჩიმჩონს ჩიმჩონი ერქვა და მენეჯერთა კურსების მსმენელი იყო.

ჩიმჩონმაც არანაკლებ იცოდა, რომ ეს ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი, საშუალო ტანის, არც ისე წყნარი, მაგრამ არც ხმაურიანი, გოგებაშვილის სტრიქონებზე ოდნავ უფრო ხშირი თმის პატრონი, ორმოცსმიღწეული კაცი საზოგადოება „ჭივჭავის" ვიცე-პრეზიდენტი იყო, მაგრამ სახელი ყოველ შეხვედრაზე ავიწყდებოდა და ამას ძალიან განიცდიდა.

ვერაფრით ვერ აეხსნა, რა ემართებოდა. კაცი კასაბლანკას როდის ნათამაშებ პარტიებს ზეპირად იმახსოვრებდა და სახელი გურამი ვერა და ვერ ჩაიბეჭდა გონებაში. „გაუმარჯოს

ჩემს ჩიმჩონიასო", ვიცე-პრეზიდენტი რომ დაუძახებდა, მომავალი მენეჯერი დარცხვენილი ახედავდა, „გაუმარჯოს, გაუმარჯოსო" ჩაილუღლუღებდა გულმოკლული და მთელი საღამო უგუნებოდ იყო.

რა სიამოვნებით უპასუხებდა – „გაუმარჯოს ჩემს გურამსო", მაგრამ ვერ პასუხობდა იმ სერიოზული მიზეზის გამო, რომ სახელი კვლავ ამოვარდნოდა მეხსიერებიდან.

გურამს რომ ჩიმჩონი ჰრქმეოდა, ან სხვა რამ უცნაური სახელი, თუნდაც დიოკლეტიანე, ჩიმჩონი უსათუოდ დაიმახსოვრებდა, მაგრამ გურამი ისეთი ჩვეულებრივი და გავრცელებული სახელი იყო, რომ გონების მოსაჭიდი არა გააჩნდა რა.

გურამი რომ საშუალოზე მაღალი ყოფილიყო, ან პირიქით, ჩიმჩონი მის სახელს აუცილებლად დაიმახსოვრებდა, მაგრამ გურამი ზუსტად საშუალო სიმაღლისა გახლდათ.

გურამი რომ გულჩახვეული და უბრი ყოფილიყო, ან დიდი მოკამათე და დაუმცხრალი მოლაქლაქე-მოლაპარაკე, ჩიმჩონის ბედს ძალლი არ დაჰყეფდა, უსათუოდ დაიმახსოვრებდა მის სახელს, მაგრამ გურამი სწორედ იმდენს ლაპარაკობდა, რომ მასზე არც ძალიან მოკრძალებული ითქმოდა და არც დიდი მოლაპარაკე.

გურამს რომ უფრო ხშირი და ჯიუტი (ბოლოსდაბოლოს ხვეული მაინც) თმა ჰქონოდა, ან სრულიად მელოტი ყოფილიყო, ჩიმჩონი მის სახელს უსათუოდ დაიმახსოვრებდა, მაგრამ გურამს (ესეც ბედის ირონია გახლდათ) პირველი კლასის გოგებაშვილის რვეულში რომ არის, სწორედ ისეთი სიხშირით ჰქონდა თმა თავზე განლაგებული.

და ბოლოს, გურამი რომ თუნდაც „ჭივჭავის" პრეზიდენტი ყოფილიყო, ჩიმჩონს რა უჭირდა, პრეზიდენტთა სახელებს ადვილად იმახსოვრებენ, მაგრამ გურამი მხოლოდ ვიცე-პრეზიდენტი იყო და ისიც ისეთი უჩინარი საზოგადოებისა, როგორიც „ჭივჭავი" გახლდათ.

ვერ გეტყვით, გურამი ხვდებოდა თუ არა, რომ ჩიმჩონს მისი

სახელი ავიწყდებოდა. ყოველ შემთხვევაში ვიცე გარეგნულად არაფერს იმჩნევდა. იგი კვლავ ჯიუტი თანმიმდევრულობით ესალმებოდა (ყოველ მეორე საღამოს) ჩიმჩონს შემდეგი სიტყვებით: „გაუმარჯოს ჩემს ჩიმჩონიას".

„გაუმარჯოს! გაუმარჯოს", პასუხობდა საკუთარ მეხსიერებაზე გამწყრალი, გულდაკოდილი უპარტიო.

მაშინაც ასე მოხდა. კიბე ჩაირბინა თუ არა, ნაყინის ჯიხურის უკან, ძოლგის ქვეშ მოჭადრაკეებს მოჰკრა თვალი. ამჯერად ჭადრაკული ვნებები ოთხ დაფაზე დასჯახებოდნენ ერთმანეთს.

უახლოვდებოდა სეროზას ჩიმჩონი და ფიქრობდა: „ეს ბატონი ანდრიაა, ეს ბატონი იური, ეს ბატონი ზაურია, ეს ბატონი აპოლონი, ეს კვიწინიაა, ეს მელენტი, ეს ბატონი სოკრატია, ეს ბატონი აკაკი, ეს, ეს... ეს" და მენეჯერთა კავშირის მომავალ იმედს კვლავ დაავიწყდა გურამის სახელი.

„თითქოსდა ენაზე მადგა, მეგონა დღეს მაინც გამახსენდებოდა. რა ჰქვია, ღმერთო? თამაზი? არა, ვაჟა? არა, ენვერი? გიგლა? ბადრი, გიორგი? ჰამლეტი, სოსო? ალეკო-ალექსანდრე? არა, შიო? შიო სულ არა".

დაიტანჯა ჩიმჩონი.

დრო გადიოდა. ჭადრაკს ჩაღრმავებულებმა და, მითუმეტეს, ირგვლივ შემოჯარულებმა რა იცოდნენ, რა ცეცხლი დუღდა კამიკაძის გულში.

სხვა დროს მას გურამის სახელის დავიწყებით გამოწვეული სტრესული მდგომარეობა მალე ესსნებოდა. ან ვინმე დაუძახებდა ვიცე-პრეზიდენტს — „საღამო ჩემო გურამო", ან ბატონი ანდრია ჰკითხავდა „როგორაა, გურამ, „ჭივჭავის" საქმეებიო", ან პარტნიორი შეახსენებდა „გურამ, შენი სვლააო" და იმ წუთში ყველაფერი თავის ადგილას დგებოდა. ჩიმჩონს თავი ქუდში ჰქონდა.

იმ საღამოს კი, რატომღაც, თითქოს შეთქმულიანო, ოდნავ შეთხელებული თმის პატრონს, ორმოცსმიღწეულ „ნაცნობს" სახელით არავინ მიჰმართა.

ჩიმჩონს ნერვები დაწყვეტაზე ჰქონდა.

„რა ჰქვია, რა ჰქვია, რა ჰქვია, რა უნდა ერქვას, რა ერქვა“.

რადიომ ხრიალი შეწყვიტა.

შადრევანი გამორთეს.

ვაკისპარკელები წავიდ-წამოვიდნენ.

ჩიმჩონი გაჩერებასთან დაეწია „ჭივჭავის“ წარმომადგენელს და სანამ ეს უკანასკნელი ახალჩამომდგარ ავტობუსში დურთავდა თავს, სასოწარკვეთილი ხმით მიაძახა:

– მიდიხარ აბა? ჩემო იმანო?! მაპატიე, შენი სახელი დამავიწყდა!

– გურამი, გურამი კალოშვილი, რავა რა იყო? – გაკვირვებით შემობრუნდა გურამი.

– არაფერი, ისე... მადლობელი ვარ! კარგად იყავი!

– კარგად, კარგად, ჩიმჩონი, საყვარელო – მიუგო გურამმა, რომელსაც წეღანდელი გაკვირვება ჯერ კიდევ სახეზე ეხატა.

* * *

„გურამი... გურამი... გურამი“, „გურამი...“

იმეორებდა იმ დღეს შინ მიბრუნებული, მეორე დღეს სამსახურში წასული და სამსახურიდან მიტინგსშეფარებული ჩიმჩონი.

აწი მაინც აღარ დამავიწყდება. აწი მაინც მაქვს ყურებში საიმედოდ ხელი ჩავლებულიო, ფიქრობდა. „გურამ“, „გურამი“, „გურამ“.

იმეორებდა საღამოს ვაკის პარკის კიბეებზე რომ ჩადიოდა.

აი, მოჭადრაკენიც.

„ეს ბატონი ანდრიაა, ეს ბატონი იური, ეს ბატონი ზაურია, ეს ბატონი სოკრატი, ეს ბატონი აპოლონია, ეს მელენტი, ეს... ეს... ეს!“

ნუღარ გამაგრძელებინებთ თხრობას, ძვირფასო მკითხველო. ბოლოსდაბოლოს მეც ხომ ადამიანი ვარ.

ვიწვი ჩიმჩონ კამიკაძის საცოდაობით.

აგერ ა, სამიოდე მეტრში დაავიწყდა გურამის სახელი.

# კეთილი მისიით

კარგი ლოთებიც არსებობენ. გალოთების მიზეზებს ახლა რკვევას აღარ დავუწყებ. ჩვენი „საამური“ ცხოვრება, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გიქმნის იმის პირობებს, რომ სასოწარკვეთილებაში ჩავარდე კაცი. სასოწარკვეთილებიდან კი ერთი ნაბიჯია გალოთებამდე.

კარგი ლოთებიც არსებობენ მეთქი. ღირსეულად, წყნარად, ამაყად რომ უჭირავთ თავი. ჭიქა ღვინისთვის არც სხვას დაამცირებენ და არც თვით დაიმცირებენ თავს. უცნობმა რომ შესთავაზოს, წავიდეთ, დავლიოთ, ერთს ეჭვიანად გახედავენ და უარს ეტყვიან – არა ვსვამთო. იციან, სად და ვისთან უნდა დალიონ. თანაც, საოცრად გაფაქიზებული აქვთ კოლეგიალობის, ურთიერთგატანის გრძნობა. ლოთი ლოთის ძმაა, სრული იმ სიტყვის მნიშვნელობით. პერანგს გაიხდის და ჩააცმევს, უკანასკნელ მანეთს არ დაიშურებს. იცის, რას ნიშნავს დალევის ჟინი.

ვადიმა გლახა ლოთი აღმოჩნდა. ვადიმასთანა ლოთებს თავმოყვარეობა დაკარგული აქვთ. გალახვიდან გალახვამდე დააროტებენ თითო-ოროლა, ამოჩემებულ, ვირეშმაკულ ნომრებს. სადაც ჭიქა გაწკარუნდება, იქ გაჩნდებიან და თავიანთი, უტიფრული ღიმილ-ხველებით, უადგილო გამოლაპარაკებებით კანში ძვრებიან, რომ ყურადღება მიიქციონ და ჭიქა არაყი „დაიმსახურონ“.

დასასვენებელი სახლი „ხულის ამოხდამდე“ დაბა ფიჭვისმთის ბოლოში იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის შემოგარენში მდებარეობს. ბაბაში ხუთიოდე თურქის ოჯახი ცხოვრობს და თურქებმა იმდენს მიაღწიეს, რომ საეჭვო ეროვნების გიდი, ექსკურსანტებს იოანე ნათლისმცემლის ეკლესიას თურქული არქიტექტურის ძეგლად აცნობს. ამ სტრიქონების ავტორს, თურქებისგან სხვისი ძეგლის მითვისება სრულიადაც არ უკვირს, რაკიღა მშვენივრად იცის, თუ როგორ გადააკეთეს თურქებმა მეჩეთად კონსტანტინოპოლის, მსოფლიოში ერთ-

ერთი უდიდესი ტაძარი. მაგრამ უცნაური ის გახლავთ, რომ ტურისტთაგან დღემდე ერთი კაცი არ აღმოჩნდა: ისპის წვენით მოსყიდული გიდისთვის ეკითხა, როდის შემდეგაა მუსულმანები ქრისტიანულ ეკლესიას რომ აშენებენო.

ეს ისე, სხვათაშორის. მე და ჩემი მეგობარი მევიოლინე გუბაზ ბარჯაძე სამი დღის ჩამოსულარი გახლდით დასასვენებელ სახლში და წინ ორგანიზმის გაკაჟება-განახლების მოსაწყენი, მაგრამ აუცილებელი დღეები გველოდა.

რა სათქმელია, მაგრამ, ცხოვრებაში პირველად, გადაწყვეტილი გვქონდა ჭიქა ღვინოც კი არ დაგველია და ჭამითაც, რაკი დასახვენებელი სახლის ადმინისტრაციაც ხელს გვიწყობდა, მსუბუქად გვეჭამა.

ჯერხანობით ყველაფერი კარგად მიდიოდა. თუმცა ერთფეროვანი და გრძელი გვეჩვენებოდა დღე, მაგრამ „აღთქმას" მტკიცედ ვასრულებდით. დილით საუზმემდე კისერზე პირსახოცგადაკიდებულნი ზღვისკენ გავრბოდით. საუზმის შემდეგ მზის ხეივანში გავივლიდით. მერე თავჩაჩიანები მზეს ვეფიცხებოდით გაძღებამდე. სადილის შემდეგ მეცამეტე სართულზე, უმეტესწილად ქართულ გაზეთებს ვგლეჯდით ხელიდან ერთმანეთს. აქ უნდა შევნიშნო, რომ დასასვენებელი სახლის ბიბლიოთეკარი პირადი ნაცნობობით და მთელი თავისი კონსპირაციული უნარის მოშველიებით ძლივს ახერხებდა ბიბლიოთეკისათვის ქართული გაზეთების მოპოვებას. ხოლო პირველ სართულზე გაზეთების ჯიხურში მხოლოდ რუსული და აფშხგწჭბზუური გაზეთები იყიდებოდა. თურმე ნუ იტყვით, აფშხგწჭბზუას ტომის თურქებს აუკრძალავთ დასასვენებელი სახლის ჯიხურში ქართული გაზეთების შემოტანა. ასე ხუთექვს საათზე ჩავდიოდით და ან წრებურთს ვთამაშობდით, ან ძელსკამზე ვიჯექით და პოლიტიკაზე ვსაუბრობდით. ვახშმის შემდეგ, საათნახევარს კინოს დახურულ დარბაზში ვიხუთებოდით, მერე ცოტახანს ეზოში ნაცნობ-უცნობთაგან ჭორად დარხეულ ახალ ამბებს ვისმენდით მცირე ერთა

ცხვირპირლეწვობის ციკლიდან და დაახლოებით თერთმეტ საათზე, მორიგე რომ გამოაცხადებდა, კარს ვკეტავო, ჩვენ ჩვენს ურადიო-ტელევიზორო, გაფუჭებულმაცივრიან ნომრებში შევიყუჟებოდით და დილამდე გვეძინა. გვეძინა ისე, როგორც ზღვაგან შეიძლება ეძინოს ცოლ-შვილ მონატრებულ წესიერ კაცს, რომელსაც სხვა ფიქრებთან ერთად იმის ფიქრიც აწუხებს: ჩემი ერთგული მეგობრები ჩემი არყოფნის ოცი დღის განმავლობაში, ე მანდ რაიმე მაზეს არ დამიგებდნენ და ხელმძღვანელობას სამსახურიდან ჩემი განთავისუფლების აუცილებლობაში არ დაარწმუნებდნენო. გვეძინა ალაგ-ალაგ, თხუთმეტწუთიანი გაღვიძებებით და ძილში ამოოხვრებით.

სამი დღის ჩამოსულები ვიყავით მეთქი, ზემოთ მოგახსენეთ, ვადიმა რომ გავიცანით. უფრო სწორად თვითონ გაგვეცნო.

ნასადილევს, გაზეთების მოლოდინში ფანჩატურში ბოლთას ვცემდი და გორბაჩოვზე ვსაუბრობდით. მე ვეუბნებოდი გუბაზს: რა იმედი მქონდა გორბაჩოვის და ვერ გამიმართლა მეთქი. რაში ვერ გაგიმართლაო, გუბაზი მეკითხებოდა, დააკვირდი მაგის ხელმწიფობის ხუთ წელიწადს – ჯერ უშრომელ შემოსავალზე და ალკოჰოლზე არქიმტერული კანონები გაიხსენე მეთქი, მერე საბჭოების პირველი ყრილობა მოიგონე, დეპუტატებს სიტყვას რომ აწყვეტინებდა და წამდაუწუმ რეგლამენტის შემხსენებელი, თვით სრულიად ურეგლამენტო, მიამიტურ კომენტარებს რომ ურთავდა სხვის გამოსვლებს მეთქი. ნახე, რა ბლიცკენჰისყრით გაძვრა პრეზიდენტად და, როგორ აქცია საპრეზიდენტო საბჭო ახალ პოლიტბიუროდ მეთქი. ნახე, რა დღეში აგდებს თავისი კატეგორიული აკრძალვა-გაუქმებებით ბალტიისპირეთს, ან რა მშვენივრად გადაუწყვიტა სომხებს ყარაბაღის პრობლემა მეთქი. რა ოსტატურად გაუშვა არქივში სობჩაკის კომისიის დასკვნა და რა თავაღერილნი დააბიჯებენ მის თვალწინ ცხრა აპრილის მკვლელები როდიონოვის წინამძღოლობით მეთქი. ყოველივე ამას დაუმატე ეკონომიკის სრული კრიზისის პერიოდში

პრეზიდენტის, არც თუ ღარიბული აგარაკის მშენებლობა მიუხერაში და დარწმუნდები, გაამართლა თუ არა გორბაჩოვმა ჩემი იმედები მეთქი.

გუბაზ ბარჯაძე გორბაჩოვის შეფასებაში მხოლოდ ნაწილობრივ მეთანხმებოდა. ნუ იქნები ასე კატეგორიულიო. ყოველთვის მაქსიმალისტი იყავი და მაქსიმალისტად დარჩიო. განა გორბაჩოვის დამსახურება არ არის იმპერიის ყოველ ქალაქში კვირაში საშუალოდ თერთმეტი მიტინგი რომ იმართება და მანეთიანი ანტიგაზეთებით გაივსო პრესის ბაზარიო. განა გორბაჩოვმა არ მიიყვანა დაშლამდე საუკუნის ურჩხული, ჩვენი შავ-ბნელი იმპერიაო. შენ გგონია, პრეზიდენტს არ უჭირსო? გაეცი პასუხი ლამის უფუნქციოდ დარჩენილ პარტიულ არისტოკრატიას, თუ ბიჭი ხარო. კონსერვატორები, იცოდე, ადრე თუ გვიან შურს იძიებენ რაისას მეუღლეზე თავიანთი ასე უღმერთოდ გაბითურებისათვისო. რაც შეეხება ყარაბაღს, იქნებ გულით უნდა ხომხეთს თავისი ღვიძლი მიწა დაუბრუნოს, მაგრამ ამით ხომ მთელ მუსულმანურ სამყაროს გადაიკიდებს და მუსულმანური სამყაროს გადაკიდება, ხუმრობა საქმე არ გეგონოსო.

ამ საუბარში რომ ვართ, ვიღაცა გამხდარმა, ნაცრისფერშარვლუკიანმა („შორტს“ შარვლუკა ვუწოდე ჩემი მოკლე ჭკუით), კოოპერატივ „მიდი მიდის“ მიერ შეკერილ ცალ მოკლე და ცალ საშუალოსახელოიან პერანგიანმა კაცმა ჩქარი ნაბიჯით ჩაგვიარა. ხუთ ნაბიჯზე რომ გაგვისწრო, შემოტრიალდა და ჩვენსკენ წამოვიდა. წამიც და თმაწარბბატისჭკუა, ნაოჭებადვილადდასათვლელი სახის მქონე, ორი დღის წინათ სუფთად გაპარსული კაცი იდგა ჩვენს წინ.

– ვაძიმ – გამოგვიწოდა ხელი.

ხელი ჩამოგართვით და ჩვენჩვენი სახელები ვამცნეთ, მაგრამ ძნელ ქართულ სახელებზე (მე ჯურხა მქვია, მეგობარს მოგეხსენებათ – გუბაზი), როგორც ჩვეულებრივ რუსებმა იციან, გაიმეორეთო, ვადიმას გამეორება არ მოუთხოვია.

აშკარად ჩანდა, ჩვენი სახელების დამახსოვრებაზე თავს არ მოიკლავდა.

ხომ ქართველები ხართო, გვკითხა და დადებითი პასუხი რომ მიიღო, როგორ დავუკარგავ, სახე გაებადრა. მერე უცებ მოიწყინა და ცრემლის ყლაპვით გვთხოვა: ვირუჩაიტე მენია რებიატაო.

„ვირუჩაიტე" არც კი ვიცი, ქართულად ზუსტად ითარგმნება თუ არა. „მიშველეთ" არ არის, არც მთლად „შემეწიეთ", „გადამარჩინეთ" ან „გამომიყვანეთ" გახლავთ. ალბათ, სადღაც ამ ოთხი სიტყვის შუაშია. ხოლო თუ რატომ არა გვაქვს ქართველებს ათასობით სინონიმ-ომონიმებში და არქაიზმ-იდიომებში მაინცდამაინც ეს სიტყვა, თუ მოვახერხე, ამ ნოველის ბოლოს შეიტყობთ.

რა გაგჭირვებიაო, ვკითხე.

რაო და მე და ჩემი მეუღლე წავლაპარაკდითო. მეორე დღეა ხმას არა მცემს, დარდისაგან ჩამოვხმი კაციო. არ წამომეყვანა კარგი იყო, მაგრამ რაღაი წამოვიყვანე, უნდა ავიტანო, სხვა გზა არა მაქვსო. მეცით პატივი, ნახევარ საათში ამოდით ჩემთან, რვაასცხრამეტ ნომერში ვცხოვრობთ, თითქოს დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს, მომიკითხეთ, დაჯექით ცოტა ხანს, ვიმუსაიფოთ. ეს ოხერი, სასმელი არაფერი გამაჩნია, თორემ გაგიმასპინძლდებოდით, თუმცა ქართველებს ეს არ შეგეშლებათ. თითო ბოთლი კონიაკი გამოაყოლეთ ხელს და შემარიგეთ ცოლთან, აგრემც ღმერთი შეგეწევათო.

ბოლო სიტყვებმა ცოტა არ იყოს დაგვაფიქრა, მაგრამ ისე გულწრფელად გველაპარაკებოდა ვადიმი, რომ ეჭვი ვერ შევკადრეთ. მოდი და დაუწყე ახსნა, გასაჭირში ჩავარდნილ კაცს, არ ვხვამთ, დაკლება გვინდა და სხვას მიმართეო.

ჩვენს ფუნქციაში მეტი სინათლის შეტანისათვის, ჩემდა თავად მაინც ვკითხე.

— შერიგებაზე რომ ჩამოვაგდოთ სიტყვა, ჩვენ საიდან უნდა გვცოდნოდა თქვენი ჩხუბის ამბავი. რომ მიგვიხვდეს ეშმაკობას

თქვენი მეუღლე, ვაიხუ უარესი აღმოჩნდეს მეთქი.

არაო, თქვენ მაგის ფიქრი ნუ გაქვთო, ჯერ ერთი, თქვენი სტუმრობით მიხვდება, რომ მისი ქმარი მთლად დაკარგული კაცი არ არისო, მეორეც სტუმრებთან საუბარში ძალაუნებურად ერთმანეთს გაველაპარაკებით და შერიგებაც ეს არისო.

გავვარდით ინკიტისპირა რესტორანში, ვიყიდეთ ორი ბოთლი კონიაკი და, შეთანხმებისამებრ, ვეწვიეთ ვადიმს რვაასცხრამეტში.

აღტაცებული შეძახილებით და შეხვედრის სიხარულით სავსე ვიზიტმა სათანადო შედეგი გამოიღო, ჩვენი „მეგობრის“ მეუღლე ენაწყლიანი, გულთბილი ქალი აღმოჩნდა. თანაც ისე ოსტატურად დაფარა ქმართან კონფლიქტი, რომ ერთი უკმაყოფილო ფრაზაც არ დასცდენია თავის თანამეცხედრეზე.

ჩვენ მხოლოდ ენას ვისველებდით „კონიაკით“, ცოლ-ქმარმა კი, ღმერთმა შეარგოთ, ორივე ბოთლს წირვა გამოუყვანეს.

გამომშვიდობებისას, როგორც მოყვარულ მეუღლეებს შეეფერება, ხელგადახვეულნი იდგნენ კარებში და გვიხაროდა რომ კეთილი საქმე გავაკეთეთ, ოჯახი დანგრევას გადავარჩინეთ, და მათს დასვენებას ხასურველ-სასიამოვნო ელფერი შევძინეთ.

ორი დღის განმავლობაში სასადილოსკენ ხელკავით მიმავალ ცოლ-ქმარს ტკბილად ვესალმებოდით, მესამე დღეს პლაჟზე მოგვძებნა აღელვებულმა ვადიმმა და გვაუწყა: ცუდადაა ჩემი საქმე, ვიღუპები კაცი, ამ დილით ცოლმა ისევ ამირიაო. თქვენი კეთილი გულის ამბავი რომ ვიცი, არ დაიზარებთ და დღესაც მეწვევითო, ვახშმის შემდეგ მოუთმენლად გელოდებითო.

კონიაკზე არაფერი უთქვამს. ჩვენ თვითონ ვიცოდით ჩვენი საქმე. ბოლოსდაბოლოს, „მეგობართან“ ხელცარიელი ხომ არ მივიდოდით.

ვერც ამჯერად შევატყვეთ ვადიმს და მის მეუღლეს ნაჩხუბრობა. ბოლო სადღეგრძელოში მაინც არ მომითმინა გულმა და ხაზგასმით შევახსენე ორივეს, თუ რა ფასი აქვს ურთიერთდათმობას მეუღლეებს შორის ჩხუბის დროს —

ერთმანეთს ცოლ-ქმარმა ნერვები არ უნდა მოუშალოს, მეუღლეობა მეგობრობას და სულიერ ნათესაობას ნიშნავს, ღმერთმა ამიერიდან, თქვენი სახლიდან მტრედთა ღუღუნი გამაგონოს მეთქი, დავლოცე ორივენი წამოსვლისას.

ცოლი, ცოტა არ იყოს, გაოცებული მიყურებდა; რა შერიგებაზე და დათმობაზეა ლაპარაკიო. მაგრამ ამას ახლა ვიხსენებ, როცა ვიცი, რაშიც ყოფილა საქმე, მაშინ, რასაკვირველია, ვერ ვხვდებოდი.

მესამე სტუმრობის შემდეგ, ვადიმის ცოლმა მთვრალი მეუღლე მიაძინა, ლიფტის კარებამდე გამოგვაცილა და გამოგვიცხადა:

თუ კიდევ მოხვალთ, იცოდეთ, დასასვენებელი სახლის დირექტორს, ან მილიციას შევატყობინებო. რაა ბოლოსდაბოლოს, ნამუსიც კარგი საქონელია, ხათრს რომ ვერ გიტეხავთ ჩემი ქმარი, ამიტომ უნდა გაალოთოთ მაინცდამაინცო? ამ სამი თვის წინ „ბელაია გარიაჩკა" ჰქონდა, მაგისთვის წვეთის დალევა არ შეიძლებაო. გასაგებია, თქვენ კეთილი ხალხი ხართ, მაგრამ ხომ არ მოგაკვლევინებთ ქმარს ბოლოსდაბოლოსო. უთქმელი კაცია, იმ დღეს გაეხარდა თქვენი ნახვა და დალია, მერე მთელი ღამე ცუდად იყო და დილით მითხრა, რა მეშველება, დავიღუპე, ქართველებმა ამოჩემება იციანო. ეგენი აწი აღარ მოგვშორდებიანო. ბოლოსდაბოლოს თქვენი გულისთვის ხომ არ შევწყვიტავთ დასვენებას და ხომ არ ავიკრეფთ გუდა-ნაბადს აქედანო. საწყენად არ გეუბნებით, თუ დაულევლობა არ შეგიძლიათ, სხვა „საბუტილნიკი" (არც ამ სიტყვას აქვს ქართული შესატყვისი) მოძებნეთ და ჩემს ქმარს თავი დაანებეთო.

დანა რომ დაგვერტყათ, სისხლი არ გამოგვივიდოდა, ისე გამშრალ-გალენჩებული ვიდექით ლიფტში.

მთელი საღამო ერთმანეთისათვის ხმა არ გაგვიცია.

# ვინ ვარ

ბატონო იუსტიციის მინისტრო,

თქვენამდე არ მინდოდა ამ ამბის მოტანა. მეგონა, აქ, სოხუმში, ადგილზე გადამიწყვეტდნენ საკითხს, მაგრამ, როგორც ვხედავ, თქვენი ჩარევის გარეშე არაფერი მეშველება. გუშინ მილიციის სამმართველოში საბოლოოდ გადამიწურეს წყალი. — გვარს რომ იცვლიდე, უარს არ გეტყოდით, რაკი ეროვნებას იცვლი, ვერაფერში დაგეხმარებითო.

რატომ? განა მოქალაქის უფლებებში არ შედის, თვითონვე გაარკვიოს, რა ეროვნებას ეკუთვნის მეთქი? არაო, მაგას ჩვენ ვარკვევთო.

მერე რატომ არ გაარკვიეთ; ჩემი გვარიც ქართულია (შენგელია ვარ), წინაპრებიც ქართველები მყავდა და, რა ქვა გავტეხე ასეთი, რომ პასპორტში ჩემი გვარ-ტომობა ვერ დავიბრუნო მეთქი.

დასაბუთებისთვის საკმარისი მასალები არ გაქვსო. საერთოდ, შენს ბაბუას მოთხოვე პასუხი, ათას ცხრაას ოცდარვა წელს აფხაზად რომ დაეწერაო.

ბაბუაჩემი ცოცხალი აღარ არის. ცხონებულმა ეს თავსატეხი დამიტოვა და წავიდა ამ ქვეყნიდან. დარწმუნებული ვარ, არ იცოდა, რა გენიაში მაგდებდა ამ სამოცდაორი წლის წინათ თავისი მოუხომავი, ანგარიშმიუცემელი ნაბიჯით.

პასპორტში ქართველი რომ მეწეროს და აფხაზობას გთხოვდეთ, მაშინ ხომ არ მომთხოვდით მეთქი დასაბუთებას, შევახურე პასპორტისტი.

ჩემი აფხაზობა რაღას გარგებთ. რაკი ერთხელ და სამუდამოდ ამოვიჭერი გულზე და დავადექ ჩემი წინაპრებისაკენ მიმავალ ბილიკებს, სულერთია, მე თქვენი ერთგული აღარ ვიქნები და რად გინდათ სათვალავში ძალად, ჩინოვნიკური საშუალებით გააფხაზებული ქართველი მეთქი.

ერთი ჭაღარამორეული, ფაფანაკიანი, წარმოსადეგი კაცი იდგა კუთხეში. ჩვენს კამათს, როგორც ჩანს, შემთხვევით

შეესწრო.

— თუ არ მიწყენთ, ბატონო, უნდა გითხრათ, რომ თქვენ ეროვნებას კი არ იცვლით სინამდვილეში, პასპორტში დაშვებული შეცდომის გასწორებას ითხოვთ. გითხრათ სიმართლე, თქვენ მართლა აფხაზი ხართ, ნამდვილი ქართველი აფხაზი. ხოლო ესენი კი, ვინც ახლა თქვენს „აფხაზად" დარჩენას ებღაუჭება, თვითონვე არ არიან აფხაზები, მთელი უბედურება მაგაშიაო. ჩრდილო კავკასიიდან საუკუნენახევრის წინათ ჩამოსულმა ადიღეველებმა თავს აფხაზი უწოდეს და ესაა სულ. ახლა ისტიბარს აღარ იტეხენ და აღარ უნდათ ადიღეველობას დაუბრუნდნენო.

დავიღალე მარჩიელობით. ერთნი ერთს ამბობენ, მეორენი სხვას. ნუთუ ასე ძნელი გასარკვევია, ჩვენი წარმომავლობა. ე მანდ, მართლა არა ვცდებოდე, წინაპართა წინაშე ცოდოს არ ჩავდიოდე მეთქი. ავიღე შვებულება და ჩავჯექი ბიბლიოთეკაში. შემოვიწყვე ირგვლივ ბერძენ, რომაელ, ქართველ, სომეხ, აფხაზ ავტორთა შრომები და ვცადე შემესწავლა, ჩემთვის დამედგინა და მცოდნოდა — 1) მართლა არსებობდა თუ არა ცალკე სახელმწიფოდ, ოდესმე, აფხაზეთი საქართველოსაგან განცალკევებით, მის მეზობლად. 2) თუ არსებობდა, ჰქონდა თუ არა აფხაზს ქართული ერისგან განსხვავებული ის ატრიბუტები, რითაც იგი სხვა ერად შეიძლება ჩათვლილიყო.

მაშ, ასე, ჩვენი ყურადღების ცენტრშია ანტიკური და ბიზანტიური პერიოდის დასავლეთ საქართველო; განსაკუთრებით ის ტერიტორია, რომელზეც დღეს „აფხაზები" ცხოვრობენ. ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე-მეხუთე საუკუნეების ავტორი ჰეკატე მილეთელი კოლხებს და კოლხეთის მთებს ისსენიებს. ამავე წელთაღრიცხვის მეორე-პირველი საუკუნის ავტორების — პლინიუსის და არიანეს თხზულებებში ვპოულობთ მითითებას იმის შესახებ, რომ კოლხიდაში, სხვათა შორის, ცხოვრობდნენ აფშილები, აბასგები და სანიგები. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში სტრაბონი ლაპარაკობს დიდ პიტიუნტზე

(ახლანდელი ბიჭვინთა), მაგრამ ეს ყველაფერი, რასაკვირველია, კოლხიდის სახელწოდების ქვეშ, კოლხეთის სამეფოში ერთიანდება.

გარბიან საუკუნენი. კოლხიდის სამეფოს სახელწოდება შეიცვალა და ეგრისი ეწოდა, მალე ეგრისიც გადაერქვა და სამეფოს, რომელიც ლამის, მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა, ლაზიკა ეწოდა. ლაზიკაში მცხოვრებ ტომთაგან ისტორიკოსებში ასახელებენ ეგრისელებს (მეგრელებს), ლაზებს, სვანებს, აფშილებს, აბაზგებს, მისიმიელებს, სანიგებს და სხვათა მრავალთა.

არის სადმე ნახსენები აფხაზები ან აფხაზთა სამეფო? არა, არ არის. სამაგიეროდ აფშილებს და აბაზგებს ჩაავლეს ხელი აფხაზმა და ცრუინტერნაციონალისტმა ქართველმა ისტორიკოსებმა და მოჰყვნენ ღაღადს, სწორედ ესენი არიან აფხაზთა წინაპრებიო.

კი ბატონო, იყვნენ. ამოვყვეთ ისტორიას ცოტა ზემოთ და აი, ჯუანშერთან პირველად წავაწყდებით; მერვე საუკუნეში მურვან ყრუს, სხვებთან ერთად, აფხაზებიც ებრძვიან. მაგრამ ვინ არიან ეს აფხაზები? რა ენაზე ლაპარაკობენ? ვარაუდით აფშილთა და აბაზგთა ენაზე უნდა მეტყველებდნენ ხომ? რაკი მათი შთამომავლები არიან. ვნახოთ, ვნახოთ.

მერვე საუკუნეა. როგორც კი დაიხსნა თავი საქართველომ ბიზანტიური მონობისაგან, იცით ვინ გახდა თავისუფალი ქვეყნის (დასავლეთ საქართველო იგულისხმება, რა თქმა უნდა) პირველი მეფე? აფხაზი ლევან ერისთავი.

კოლხიდის, ეგრისის და ლაზიკას მომდევნო სახელწოდება ამ ქართული სახელმწიფოსი გახლავთ აფხაზეთი, დედაქალაქი კი ქუთაისი.

ლევანს მოგვიანებით ტახტზე შეცვლიან მისი მემკვიდრენი – აფხაზთა მეფეები გიორგი მეორე და ლევან მესამე.

გაივლის ცოტა ხანიც და მეათე-მეთორმეტე საუკუნის ზღვარზე საქართველო ფაქტიურად გაერთიანდება. გაერ-

თიანებულ საქართველოს პირველი მეფეა ახევე აფხაზ მეფეთა შთამომავალი (დედის მხრივ) ბაგრატ მესამე ბაგრატიონი.

გაერთიანებულ საქართველოში, ბუნებრივია, აფხაზეთიც შედის. და ბაგრატ მესამის კვალზე მოსულნი თავს აფხაზთა მეფესაც უწოდებდნენ. ახე ნათობენ ისტორიაში თავისი მაღალი ჩინით აფხაზთა მეფე დავით აღმაშენებელი, აფხაზთა მეფე თამარი და სხვანი...

ესე იგი რა ეროვნებისანი ბრძანებულან, რა ენაზე მეტყველებდნენ აფხაზები? ქართველნი და მხოლოდ ქართულად. აქედან კი ის დასკვნა გამოდის, რომ ლევან ერისთავის წინაპრები – აფშილები და აბაზგები დიახაც რომ ქართველები იყვნენ.

თუ ერთი წუთით დავუშვებთ საწინააღმდეგოს; რომ ლევან ერისთავი აფხაზი გახლდათ (თანამედროვე გაგებით; ე. ი. ადიღეურ ენაზე მეტყველებდა), მაშინ უნდა დავუშვათ, რომ დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და სხვა აფხაზი მეფეებიც ადიღეველნი იყვნენ, „გალობანი სინანულისანი" დავით აღმაშენებელმა ადიღეურ ენაზე (თანამედროვე აფხაზური) დაწერა და მერე თარგმნა ქართულად. არაქართულ ენაზე მიმართავდა თამარი მხედრიონს, ქუთაისი ადიღეურ ენაზე მეტყველებდა, ხოლო მარტვილის, კუმურდოს, ბედიის, ლიხნის, ბიჭვინთის, მოქვის, გელათის, ბაგრატის და სხვა მონასტრები „აფხაზეთში" აფხაზთა მეფეებმა ააშენეს და აიხირეს: მოდი, ქართული წარწერებით დავამშვენოთ, რომ შთამომავლებს გზაკვალი ავურიოთო. ასეთივე მეცნიერული ხიტიზმით შეიძლება იმის დამტკიცება, რომ „ვეფხისტყაოსანი" თავიდან აფსუას ენაზე შეიქმნა.

სინამდვილეში აფხაზეთი იყო საქართველოს მკვიდრი ეთნიკური კუთხის სახელი და არსად არასოდეს არ არსებულა არც აფხაზი ერი, არც აფხაზური ენა და არც აფხაზური კულტურა.

ასე მოვდივართ მეოცე საუკუნემდე. აფხაზეთი საქართველოს

ერთი კუთხე იყო და აფხაზთა სამეფოს ცალკე, საქართველოსგან მოწყვეტილად, ერთ კვირასაც არ უარსებია.

ისეთივე წარმატებით, როგორც ახლა „აფხაზნი“ თავის ისტორიას სწერენ, შეიძლება დაიწეროს „არაქართული ერების“ – სვანი ერის, მეგრელი ერის, კახელი ერის, იმერელი ერის, რაჭველი ერის და გურული ერის ისტორიები. სხვათაშორის ისტორიაში ჩაღრმავებისას ამ „ხალხთა“ დამოუკიდებელ სამეფოდ არსებობის უფრო მეტ საბუთს მოძებნი კაცი, ვიდრე აფხაზეთისას პოულობენ გაფაციცებულნი აფხაზნი მეცნიერნი.

მაშ რა მოხდა? რამ გამოიწვია ეს დავიდარაბა და მეც რად ვდგავარ ახლა, მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების კაცი, ქართველობა-აფხაზობის გზაჯვარედინზე?

რა და წყეულმა საბჭოთა წყობილებამ, სხვათა შორის ერთი მშვენიერი მემკვიდრეობაც დაგვიტოვა: საქართველოს მტრებმა, საქართველოს დასაქუცმაცებლად და დასასუსტებლად საქართველოს ერთიანი ეროვნული სხეული ოთხ ნაწილად დაჭრეს: აფხაზეთად, ოსეთად, აჭარად და საკუთრივ საქართველოდ.

რაკი აფხაზეთის ავტონომია გამოიგონეს, აფხაზი ერის ცნებაც ხომ უნდა გამოეგონებინათ, აფხაზი ერის ცნება რომ გამოჩარხეს, ხომ უნდა დაესაბუთებინათ ისტორიულად? რაც შეეხება ისტორიკოსს. მარქსისტებს მისი ძებნა არ გაუჭირდებოდათ. რამდენიც გინდა, იმდენ სულგაყიდულ ისტორიკოსს მოძებნი, ბზეს ახლაც ხვავად რომ მოგახალებს.

ასე მოატყუეს გულუბრყვილო „აფხაზები“ და თავი ქართველთაგან განსხვავებულ ეროვნულ ფენომენად წარმოადგენინეს. სინამდვილეში ამ სიტყვის ისტორიულ-გეოგრაფიული გაგებით აფხაზია (აფხაზია ე. ი. ქართველია) ყველა დასავლეთ საქართველოში მცხოვრები იმერელიც, მეგრელიც, გურულიც, სვანიც, რაჭველიც, ლაზიც, ჭანიც და სხვა.

საიდან და რა ნიშნით დაასაბუთეს ბოლშევიკმა მეცნიერებმა აფხაზთა განსხვავებული ეროვნება?

აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდა თითზე ჩამოსათვლელი, რამდენიმე ათასი ადიღეველი („აფსუა“ იმ ადიღეველებს ახლა, გუშინწინ დაარქვეს), აი, სწორედ მათი ენა, ადიღეური ენის დიალექტი გამოაცხადეს აფხაზურ ენად, კომუნისტ დაკობას მეცადინეობით აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველებიც აფხაზებად ჩაწერეს და ადიღეურ ენას დაუმორჩილეს.

ამიტომაც ჰგონია სუფთა ქართული გვარის მქონე „აფხაზ ქართველს“ რომ ადიღეური მისი მშობლიური ენაა და თავის თვისტომს, ქართველს მუშტს უღერებს – შე უცხოელო სტუმარო, მომწყდი აქედანაო.

ესაა, ბატონო მინისტრო, რისი გაგებაც მე შევძელი.

ახლა დავრწმუნდი, რომ ის ფაფანაკიანი ჭაღაროსანი მართალი ბრძანებულა, მე აფხაზი ვარ, ისე როგორც იმერელი – იმერელია, მისი კუთხური წარმომავლობის ვიწრო მნიშვნელობით, ხოლო ეროვნება ჩემი არის ქართველი და ამიტომ პასპორტშიც ქართველი უნდა მეწეროს.

ჩემს მდგომარეობაში სხვანიც არიან. ზოგნი ორჭოფობენ ისტორიაში გაურკვევლობის გამო, ზოგიერთებს კი, რა დაგიმალოთ და, ეშინიათ.

რაა დასამალი. საქართველო ლტოლვილთა უძველესი თავშესაფარია, სხვათაშორის, საიმედო თავშესაფარიც, მაგრამ, როგორც ჩანს, სიცხადისათვის მაინც საჭიროა, ქართველს ქართველი ეწეროს პასპორტში, ხოლო ადიღეველს – ადიღეველი.

სხვა მხრივ კი, ღმერთმა, ყველა ერს ხელი მოუმართოს.

# თოჯინების თეატრი

ფერგაცრეცილი, შემკრთალ-შეშინებული, ხმამისუსტებული, ილაჯგაწყვეტილი, დაღლილ-გასავათებული დგახარ ახლა ჩემს წინაშე და ძუამაზეზე დაკიდებული შაშვივით მი და მო აწყდები.

დამთავრდა ყველაფერიო, ჩემი ცოდვა მიეცეს, ვინც ამ თონეში ჩამაყოფინა თავიო, არ ვიყავი გაჩენილი საამისოდ მეო, რა ვქნა ახლა, რა წყალში ჩავვარდეო.

არ გეკადრება, პოლიტიკაში ფეხჩადგმულ კაცს, ეგ ლაპარაკი.

არ გჭირს საკართაგენო ამბავი ჯერ შენ.

რომ ჩამოეკიდე ჯარს და პოლიციას, არიქა მიშველეთო, არც ეგაა ჭკვიანი მმართველის საქციელი.

ჯარის და პოლიციის დამყარებული წესრიგი უარყოფით რეაქციას იწვევს ხალხში და ხვალინდელი, უფრო დიდი არეულობისთვის განაწყობს.

ესეც არ იყოს, ისინი, ვისაც შენ მოწინააღმდეგედ თვლი, ჯარშიც და პოლიციაშიც ადვილად შეაღწევენ. ასე რომ, ხვალ და ზეგ შენი დამცველები აღარც სანდონი იქნებიან და ძალაც აღარ ექნებათ წესრიგის დამყარების.

მმართველის საქმე ცუდად მაშინ არის, სასოწარკვეთილ თვალებს დამსჯელ ექსპედიციებს რომ მიაპყრობს; გადამარჩინე, ვიღუპებიო.

გადამრჩენნი ამას მშვენივრად იმახსოვრებენ. შიშს რომ დაგიჭერენ თვალებში, ამით შენს სისუსტეს ჩაავლებენ და, თუ იმ დღეს გიხსნეს, მეორე დღეს შენსკენ მოაბრუნებენ იარაღს. გამოცდილია ეს.

ჯარს და პოლიციას ისე უნდა უყურებდე, როგორც შენი ნების, შენი ბრძანებების აღმასრულებელთ და მათთან სათათბირო მაგიდას არასოდეს უნდა მიუჯდე. სულ ერთია, ისინი ჭკვიანურს ვერაფერს გირჩევენ. გუშინდელი მაგალითიც მშვენივრად მეტყველებს ჯარის გენერლების ჭკუანაღრძობობაზე.

დაჯექი და მომისმინე ყურადღებით.

ცალ ფეხზე დგომა და წუწუნი ახლა არ გამოდგება. ჩაჯდომა და განსჯაა საჭირო.

მე იმისთვის მოვედი, რომ გიშველო. ჯერ ერთი ჩემს ხელში გაზრდილი ბავშვი ხარ და, სხვა არა იყოს რა, ვალდებული ვარ, განსაცდელს გამოგარიდო. მეორეც, მეც ვურევივარ შენს აღზევებაში და შენი დამარცხება ჩემი დამარცხებაცაა.

ისტორია, რასაკვირველია, გამამტყუნებს ამ ნაბიჯისთვის, მაგრამ მე სხვა გზა არა მაქვს. შენთვის ერთ დროს ხალათის ბოძება მაინც მე დამბრალდება.

ამას რომ თავი გავანებოთ, წლები აღარ მყოფნის სხვა ცხოვრების დასაწყებად.

იცოცხლე, კარგი იყო მეც და შენც სხვა საუკუნეში დავბადებულიყავით, მაგრამ რაკი საამეპოქოდ გაგვწირა განგებამ, რა გაეწყობა, უნდა გავძლოთ.

ჩემი ბედი შენსაზე ბევრად უარესია.

შენ, დამარცხებული თუ გამარჯვებული, შენს მიწაზე მაინც დგახარ, მე კი... ისეთი დრო მოდის, სამშობლოში დამარხვის ჩემი ანდერძის შესრულებაც, იქნებ, საეჭვო გახდეს.

მოვეშვათ ახლა ამ სევდიან ფიქრებს და რაც გვჭირს, იმას მივხედოთ.

ჩვენ არაფერ შუაში ვართ. გარემოებამ მოიტანა ყველაფერი. ერთ კაცს და მე გვადანაშაულებენ; ხალხს აპეურები უდროოდ შეხსენით, ქვეყანა დაშლა-დარღვევის კარამდე მიიყვანეთო, მაგრამ არ დაიჯერო, არ არის ეგრე.

მე, მადლობა ღმერთს, მიცნობ, დიდად გულჩვილი და ლიბერალი რომ არ ვარ. არც ის ჩემი ამხანაგია მაინცდამაინც დემოკრატი. დააკვირდი, როცა ოდნავ მაინც გაანერვიულებენ ცაა, ნახე, რა ელვა-კვესა უდგას თვალებში. ან რა რისხვა-ზიზღით უკანკალებს ყბასიფათი.

ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა. მოგვიგო მსოფლიომ ეკონომიური ომი. ვალებში ჩაგვითრია, მოგვაღორა და შიმშილის საფრთხის წინაშე მდგართ თავისი ნება გვიკარნახა.

თუ დემოკრატიას არ დაუშვებთ და ევროპას ხელს არ შეუშვებ, ბლოკადას მოგიწყობთო.

ჩვენ შიმშილზეც წავიდოდით ბოლოსდაბოლოს.

ჩვენს ისტორიაში შიმშილით მილიონების ამოხოცვის მაგალითიც გვქონდა, მაგრამ ახლანდელი შიმშილი სხვაა. რწმენადაკარგული იმპერია პირველს ჩვენ ჩაგვკიდებდა ხეებზე და, ამიტომ მივყევით დინებას.

მივყევით დინებას, მაგრამ ასე ღრმად შეტოპვა როდი გვქონდა გადაწყვეტილი.

ჩვენს მიერ მოგონილი სატყუარა პატარა, მოსაჩვენებელი რეფორმების ჩატარებისა, რისხვად და ნიაღვრად დაგვიბრუნდა.

მონაყოფილმა ერთბაშად მოინდომა გაცდენილი სამოცდაათი წლის გარბენა და კეისრის ტახტი. ჩვენ ამ პირველი შეცდომის, პირველი ელდის შემდეგ სწრაფად მოვეგეთ გონს და უკვე ვიცით, რაც გვინდა, რაც უნდა დაგვიჯდეს, ქვეყანა ძველი კალაპოტისკენ უნდა გავაჩოჩოთ, პარტიას და საბჭოთა უწყებებს გარეგნული იერი, ფორმა-სახელწოდება შევუცვალოთ და მართვის სისტემა იგივე დავტოვოთ.

ახლა, მალე, ახალ ხელშეკრულებას გავაფორმებთ და ყველაფერი რიგზე იქნება.

თუ ეკონომიურად ცოტა მაინც წამოვიდგით წელი და მთლად დასავლეთზე აღარ ვიქნებით დამოკიდებული, გაქცეულ ევროპასაც მოვუვლით, როგორც საჭიროა.

ჩვენ ჩვენი საქმე ვიცით, მაგრამ ოპოზიციამ ნამდვილად არ იცის, რა უნდა, რა გზას ეწიოს. დენზე ჩართულივით ბიგბიგებენ ნიადაგ და ხალხის ნდობაენერგიას ორკაპიკიან საქმეზე ხარჯავენ. პოლიტიკაში უთავბოლო ყვანცალი როგორ შეიძლება?

ისევ შორს გამიტყუა ფიქრმა. ქართველი კაცის ერთი ნაკლი ისიც არის, რომ ნიადაგ მსოფლიო პრობლემებზე უყვარს ბაასი და თავისი დარდი ჭიშკრამდეც არ მიჰყვება. მითუმეტეს, თუ სახელმწიფო ფრთები მიეცი ჩვენებურს, მაღლა და მაღლა აფრინდება და მაღლიდან ეს ჩვენი პაწაწინა ქვეყანა, ეს

დალოცვილი, ჩიტის ბუდედღა მოჩანს.

კარგად დამიგდე ყური და როგორც გირჩევ, ისე იმოქმედე, თუ გინდა, ასე ვიყოთო, რომ ქადაგებდნენ?

რა დაგვემართა? ყოველი ღონე იხმარეს საქართველოს ეროვნული მოძრაობის გასათიშავად. რა მოგვივიდა? ატარეს ყალბი, მოჩვენებითი ბლიცსესიები და ცრუმირაჟული დადგენილებების მეტი არაფერი მიუღიათ.

საკუთარი ერის ღალატი უფრო შორს ვერ წავა. რა მშვიდად საუბრობენ, რა მამა აბრამის ბატკნებივით წარმოაჩენენ თავს ტრიბუნაზე და როგორ ხმულთ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის შუბლზეოფლგადამდინარე, ყველა ჭეშმარიტი მებრძოლი.

ჩავლენ მოსკოვში და ჩამობრუნდებიან იქიდან ახალი „იდეებით" დატენილები, გულმოცემულნი.

აღუთქვამენ ერთგულებას პატრონს — ნუ გეშინია, ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა საქართველომ დამოუკიდებლობა არ გამოაცხადოსო.

ცრუდაპირებების ბანგით დავათრობთ ხალხს, შანტაჟის ხაპურველში გავახვევთ იმასაც კი, რაც ერისათვის მზესავით ნათელიაო.

იმპერატორიც თავზე ხელს გადაუსვამს, აბა თქვენ იცით, ჩემო ერთგულო გოშიებოვო. არ დამაქციოთ ჭერი თავზე, თქვენ რომ ბალტიისპირეთს მიბაძოთ, მთელი სამხრეთის რესპუბლიკები აგყვებიან და ვისღა ვუიმპერატორო მეო.

ჩამოდიან „დუმილის ბიჭები" და იმ დღესვე რიხით იწყებენ ლაპარაკს. თუ წასვლისას დაღლილ-დაუთოვებულები ჩანდნენ, ასე ვიზამთ და ისე ვიზამთო, დაპირებებს მარჯვნივ-მარცხნივ ყალბი ღიმილით არიგებდნენ, ახლა არც ეგრეა საქმე ფაზის გუდას ახადგისებენ და ნაცარს აფუტებენ, „წესრიგის დაცვის" თათბირებს იწვევენ, მამლაყინწაობენ.

ახლაც ასე მოხდა. არჩევნები კარზეა მომდგარი და საარჩევნო პლატფორმის გამოქვეყნებაზე უარი თქვეს, კომისიას მუშაობა შეაწყვეტინეს. რა ენაღვლებათ ახალი არჩევნები კიდევ

თუ გადაიდება, ხელს აძლევთ. ხელს აძლევთ კი არა, მათთვის მისწრებაა. კიდევ ცოტა ხნით გაიგრძელებენ თავიანთ ულიმღამო არსებობას.

ჯერ მოსაუბრება ვცადეთ, ისე გათავხედდნენ, რომ დიალოგზეც არ წამოვიდნენ. რა ბანგს ასმევენ მოსკოვში ასეთს, საინტერესოა. ერთმა მათგანმა მიღებაზეც უარი გვითხრა, ჩემი საქმე მე ვიცი და თქვენ ზედმეტ სტუმრობას დაანებეთ თავიო.

სტუმრობა როგორ უნდა, ახლა ვუჩვენებთ.

ათასნაირად გავზომ-ავწონეთ, მაგრამ ზემოქმედების სხვა ფორმა ახლა მათზე გავლენას არ მოახდენდა.

მიტინგების და შიმშილობების იმუნიტეტი აქვთ გამომუშავებული, უკვე აღარ ეშინიათ.

ახალი საარჩევნო სისტემით მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდება. ამ არჩევნებში კომუნისტები ერთ პარტიად მიიღებენ მონაწილეობას და, არა მგონია, დიდი გამარჯვება იზეიმონ. ყოველშემთხვევაში, სულგაყიდულ და ხალხის სისხლში ხელგასვრილ ერთეულებს მაინც აღარ მისცემს ერი ხმას. -

ასე რომ, თუ ნორმალური არჩევნები ჩატარდა (რაც საქართველოში 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ არ ჩატარებულა), ჩვენი უზენაესი საბჭო საკმაოდ ეროვნული საბჭო იქნება და საქართველოს ბედის საკითხებს რამდენადმე სადად მაინც განსჯის.

ჩვენ „ჭირვეული ბავშვები" არა ვართ, როგორც ზოგს ჰგონია. ყოველდღე იცვლება სიტუაცია. ჩვენ აჩემებული როდი გვაქვს საარჩევნო პლატფორმის სწორედ ორ-სამ დღეში გამოქვეყნება. იგი საჭიროა სწორედ რომ სასწრაფოდ, რათა მრავალპარტიული არჩევნები არ გადაიდოს, თორემ ვინ იცის, სვალ რას მოიფიქრებს იმპერიის ცუღლუტი გონება.

ამ სარკინიგზო აქციით ჩვენ სამი საქმე გავაკეთეთ: ჯერ ერთი, სესიის დროზე მოწვევას და საარჩევნო პრინციპების დაზუსტებას უსათუოდ მივაღწევთ, მატარებლებს ჰა, ჰა კიდევ ორ დღეს შეაჩერებს იმპერია და მერე ყოველგვარ დათმობაზე

წამოვა. გარდა ამისა, წამით ჩათვლემილი ერი ერთხელ კიდევ შევანჯღრიეთ და საბოლოოდ გამოვაფხიზლეთ, მესამე და მთავარი ის არის, რომ ჩვენს ძალაში დავარწმუნეთ ხელისუფლებაც და ჩვენი თავიც. ეს იყო სერიოზული გაფრთხილების ზარის შემოკვრა იმათ გასაგონად, ვისაც ჰგონია, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის შეჩერება ძალუძს.

ამოღებული ხმალი ქარქაშში აღარ ჩაიგება, მანამ, სანამ საქართველო სრულ თავისუფლებას არ მოიპოვებს. –

რაც შეეხება რეპრესიებს ჩვენს მიმართ, ეს პრაქტიკულად ძნელი საქმე არ არის. იმპერიას ამის ძალა ჯერ კიდევ გააჩნია, მაგრამ თუ იოტისოდენი ჭკუა მაინც შერჩა, ჩვენს დასაჭერად ხელი არ გაატოკოს, თორემ მაშინ დაიწყება, რაც დაიწყება.

ციხეში ჩვენს დამწყვდევას ხალხის მრისხანების ახალი, დამანგრეველი ტალღა მოჰყვება.

ახე რომ, ცოტაც უნდა მოითმინოთ, ბატონო.

თქვენ ის გაწუხებთ, რასაკვირველია, შაქრის, ბენზინის და პურისფქვილის მოწოდება რომ შეფერხდა, მაგრამ იმაზე არ გინდათ იფიქროთ, რა საქმე კეთდება ამ „შეფერხებით“, ხვალინდელი საქართველოსთვის.

მეტს ვერას გეტყვით. დავიღალე, პირი მიშრება.

# ქრისტეფორე

— ალო, გისმენთ ბატონო!

ყურმილში მოხუცის ხრინწიანი ხმა გაისმა.

— სამანასის ბინაა? ლევანი თუა შინ.

— არ გახლავართ ბატონო.

თქვენი ნახვა მინდოდა, თუ შეიძლება.

— მაპატიეთ, ვინ ბრძანდებით?

— მე თქვენ არ მიცნობთ, ყოფილი იურისტი — ქრისტეფორე შონია გახლავართ.

— ბოდიში უნდა მოგიხადოთ, ბატონო ქრისტეფორე, მუხლი მტკივა და ვწევარ. ვერ გეახლებით. თუ შეიძლება, ტელეფონი მიბოძეთ და ორ-სამ დღეში მე თვითონ მოგაკითხავთ.

— თუ ძალიან არ შეგაწუხებთ, მე თვითონ მოვალ. გადაყოლებული საქმისა ხომ იცით.

ძალიან ცხელა ბატონო, გაგიჭირდებათ.

— არაუშავს, მოვალ. თამარაშვილის თერთმეტია ხომ? რომელი სადარბაზოა?

— მეორე სადარბაზო, მეათე სართული.

— დიდი მადლობა. წამოვალ აბა, ნელანელა.

ერთ საათში მოვიდა, კაფანდარა, ხანდომიანი სახის ბერიკაცი. ხელში საქაღალდე უჭირავს. სულს ძლივს ითქვამს. სახეზე ოფლი ღვარად გადასდის.

დაჯდა და სახე ვენტილატორს მიუშვირა. ოფლი რომ შეაშრა, ვენტილატორი გამომართვევინა, გამაცივებსო. მეუღლემ ცივი ბორჯომი და ხილი შემოიტანა.

ბორჯომი დალია. ხილზე უარი თქვა, არ გეახლებითო.

— ხომ გითხარით, შეგაწუხებთ მეთქი. ამ სიცხეში რამ წამოგიყვანათ, ბატონო ქრისტეფორე.

— მართლაც ძალიან ცხელა. ეს ოხერი, ტაქსიც აღარ შემხვდა და ფეხით მომიწია წამოსვლამ. აქედან შორს არ ვარ, კეკელიძეზე ვცხოვრობ. მაგრამ მაინც კარგა მანძილია. ჩემი

შესაძლებლობა და ივლისი ვერ გავითვალისწინე. ასე თუ ცხელოდა, არ მეგონა. იქნება ახლა ასე, ორმოც გრადუსამდე.

— „მოამბემ" ოცდათვრამეტი გამოაცხადა.

— რაღა აკლია.

საქაღალდე მიიჩოჩა, გაშალა და მუხლებზე დაიდო.

— ბატონო ლევან, მე, როგორც გითხარით, ყოფილი იურისტი გახლავართ. ყოფილი იმ გაგებით, რომ კარგა ხანია აღარ ვმუშაობ, პენსიაზე ვარ. თქვენ რომ დაიბადეთ, იმ წელიწადს, 1940 წელს ხართ ხომ დაბადებული?

— დიახ, გამიკვირდა, საიდან იცის მეთქი.

— დიახ, 1940 წელს უკვე სამი წლის სტაჟი მქონდა მუშაობის, სამოცდათვრამეტის გახლავართ. მამათქვენი ხომ არის ცოცხალი?

— კი, ბატონო.

— რამდენის ბრძანდება?

— თითქმის მაგდენის.

— აგაშენა ღმერთმა, მამის ტოლი ვყოფილვარ. ყოფილი მეთქი რომ გითხარით, იურისტს ისე როგორც მწერალსა და ჟურნალისტს, ყოფილი არასოდეს ეთქმის, მაგრამ რომ აღარ ვმუშაობ, ყოფილს ვეძახი ჩემს თავს. ყოფილი ვარ, აბა რა. ორმოცდაათი წელი დავამრგვალე ამ პროფესიის სამსახურში. გამომძიებლობით დავიწყე, პროკურორის თანაშემწეც ვიყავი, პროკურორიც, მოსამართლეც, ბოლოს ადვოკატურაში ვმუშაობდი და ასე დავამთავრე ჩემი მოღვაწეობა. რატომ მოვედი ახლა თქვენთან, ბატონო ლევან.

— გისმენთ ბატონო, ყურადღებით.

— მე ოცდაჩვიდმეტგამოვლილი კაცი ვარ. ოცდაჩვიდმეტში დავამთავრე უნივერსიტეტი. სწორედ იმ წელიწადს ვიყავი პრაქტიკაზე რესპუბლიკის პროკურატურაში. შარვალგამოხეული, უღარიბესი, მეგრელი ბიჭი, რა ვიქნებოდი, სტუდქალაქს-შეფარებული, თბილისში ერთი შორეული ნათესავიც არ მყავდა. პრაქტიკის ბოლო დღეები იყო, პროკურორმა მიხმო. შონია

გინდა ჩვენთან მუშაობაო? პირდაპირ მკითხა. ასეთ ბედნიერებას მე ვინ მაღირსებს მეთქი. წადი აბა, თავისუფალი ხარ, მოვიფიქრებ რამესო. რესპუბლიკის პროკურორთან საქმე არ მქონია, მე, უბრალო პრაქტიკანტს, მასთან ვინ შემიშვებდა, არც მიცნობდა, რასაკვირველია, მაგრამ, ეტყობა, ვიღაცამ უთხრა, კარგი ბიჭიაო და დაინტერესდა. ახლა შევწყვიტოთ ამ თემაზე ლაპარაკი და ბოლოს დავუბრუნდეთ, თუ დრო დაგვრჩა. ახლა სჯობია, მე მგონი, პირდაპირ იმ საქმეზე გადავიდეთ, რისთვისაც მოვედი.

მე, თქვენ, ბატონო ლევან, დიდი ხანია თვალს გადევნებთ. ყველაფერს ვკითხულობ თქვენს დაწერილს. თქვენი პაექრობებიც და შეხლა-შემოხლებიც ვიცი. თქვენზე შინ ერთი დიდი საქაღალდე მაქვს. ლევან სანაძე აწერია. თუ არ გჯერათ, მობრძანდით ერთ დღეს ჩემთან და გიჩვენებთ. თქვენ რომ ლიტერატურაში ფეხი შემოდგით, მაშინვე ვთქვი, ამას დიდხანს არ დააცლიან და ყველაფერს, რასაც დაბეჭდავს, შევაგროვებ, ვინ იცის, ვის დაჭირდება მეთქი.

ოცდაათი წელია თვალყურს გადევნებთ და უკვე თქვენი აზრების ამოცნობის უნარი გამომიმუშავდა. უნამუსობა ზენიტს რომ მიაღწევს, უკვე ველოდები თქვენს გამოსვლას. ლევანი ამას არ მოითმენს მეთქი ვიტყვი და ერთ კვირაში მართლაც გამოჩნდება სადმე თქვენი ნაწერი. მერე უკვე ვიცი, მოვლენები როგორ განვითარდება. ორგანიზებულად თავს დაგესხმიან, გაგლანძღავენ, გაგთათხავენ (ვითომ მაგათი ჭკუით). მერე დრო გავა, ნიჭი თავისას იზამს და ისევ წამოტივტივდებით, ვერ გელევიან, ბოლომდე არ გწირავენ. თქვენი სიყვარულის გამო კი არ აკეთებენ ამას, ხალხის რისხვისა ეშინიათ. საზოგადოებრივ აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ახლაც, შვილიშვილებს გეფიცებით, დღედღეზე ველოდი თქვენს სიტყვას. თქვენც არ დააგვიანეთ. სხვა არავინ იყო ამის მთქმელი. ნუ მოჰყვებიან ტრაბახს გადახტომამდე. ყველა შემუდრულია თავის გალიაში მშვენიერ-კარგად. თქვენგან ამ

საქციელს ახლა გაბედულებაც აღარ ჰქვია. მე ვიცი ძალიან კარგად. თქვენ სხვანაირად არ შეგიძლიათ. ეს თქვენი ხასიათია, თქვენი ცხოვრების სტილია. გამოექომაგეთ უსამართლოდ დასჯილ მასწავლებლებს, აბა რა უნდა გექნათ. იცოდეთ, ბატონო ლევან, როგორც კი ეს უსახური დადგენილება გამოაცხადეს ტელევიზორში, გულის სიღრმეში ყველამ თქვენსკენ მოიხედა; საბანაძე რას იტყვისო. თქვენც რომ გაჩუმებულიყავით, ერის ღალატი იქნებოდა.

როგორ თქვა თქვენზე? კოჭი გაუგორაო. „კოჭის გაგორება" მაშინ იქნებოდა, აღზევებულს, თანამდებობიანს რომ მოეფერებოდით. თქვენ გაგდებულ, დასჯილ ხალხს გამოექომაგეთ, ეს რა კოჭის გაგორებაა, თუ ღმერთი გწამთ.

არ ვიცი, პასუხს აპირებთ თუ არა.

— ვფიქრობ! შეიძლება თავი არ გავუყადრო და ორიოდე სტრიქონით, ირონიულად ვუპასუხო.

— ერთი სიტყვით, თქვენი საქმე თქვენ იცით, მაგრამ მე, მოხუცებულმა იურისტმა, ჩემი თავი მოვალედ ჩავთვალე, მოვსულიყავი და ორიოდე რჩევა მომეცა.

— გისმენთ, ბატონო, წინასწარ დიდი მადლობა.

— ამ კოდექსებს დაგიტოვებთ, გვერდები ჩანიშნულია და ჩახედეთ. ჯერჯერობით ეს კოდექსები ძალაშია. ესე იგი მოქმედი კოდექსებია. თქვენ, ვიცი, სიტყვის კაცი ხართ, მაგრამ მაგნაირებს მარტო სიტყვით კი არა, კანონის ძალითაც უნდა ელაპარაკო. კანონი კი რომ ჩახედავთ, დარწმუნდებით, ასე ამბობს: პროფესიული ხაზით მუშაობის სამუდამო აკრძალვას ჩვენი მართლმსაჯულება არ ითვალისწინებს. ასე რომ, სამუდამოდ აეკრძალოთ პედაგოგიურ დაწესებულებაში მუშაობაო, რომ გამოუცხადეს იმ უბედურებს, ეს ბავშვური შეცდომა იყო. სასამართლოს შეუძლია განსაკუთრებულ გარემოებაში პროფესიით მუშაობის აკრძალვა მხოლოდ ორიდან შვიდ წლამდე. ჩვენს შემთხვევაში კი, გამოძიება-სასამართლო არ ჩატარებულა და განაჩენი ადმინისტრაციული ხაზით იქნა გამოტანილი. ამ

უკანასკნელი იურისტების ენით თანამდებობის ბოროტად გამოყენება ჰქვია და ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე. ხედავთ რაშია საქმე? ასე რომ, თუ პასუხს გასცემთ ცარიელი სიტყვებით მაგათთან ბრძოლა ამაოა. შეგონება მაგათთან არ გაჭრის. უკანონობას კანონი უნდა დავუპირისპიროთ. ახლა ისევ იმას მივუბრუნდები, რითაც დავიწყე. ოცდაჩვიდმეტგამოვლილი კაცი ვარ მე.

შენ, როგორც მწერალს, ბევრი საბუთი გაქვს ოცდაჩვიდმეტზე და დაგიწერია კიდეც არაერთხელ ამ საკითხზე. მე, ოცდაჩვიდმეტელი იურისტი, სუფთა ხელებით რომ არ ვიქნები გამოსული იმ წლებიდან, ამასაც მიხვდები. რასაკვირველია, პატარ-პატარა უსიამოვნებები (დიდი არა) მეც ჩამადენინეს, მაგრამ ერთ მთავარ კითხვაზე პასუხი არც თქვენ გაქვთ და არც სხვას, რამდენადაც ვიცი, გაცემული: კერძოდ, რატომ გახდა შესაძლებელი ეს მასობრივი რეპრესიები. რატომ გაკეთდა ოცდაჩვიდმეტი?

დამიგდეთ კარგად ყური. პირველი საქმე, რომელიც მე დამაწერეს, ინჟინერ ჭილაძის საქმე იყო. ორი სიტყვით გეტყვით: სამი კაცი, — ბრიგადირი, მუშა და ინჟინერი არიან ახლანდელი „დომსვიაზის“ სხვენზე. სხვენს არემონტებენ. შეხედეთო. ინჟინერს უთქვამს იმ ორისათვის, სასტუმრო რა მშვენივრადაა აშენებულიო, როდის ვისწავლით ჩვენ ასე შენებასიო. ორი ახალი შენობა დაიდგა რუსთაველზე, „დომსვიაზი“ და „ზარია ვოსტოკა“, არცერთი არ ზის არქიტექტურულად თავის ადგილზე, არც ერთი არ უქნია ღმერთსო. ესაა სულ ჭილაძის დანაშაული. იმ სამიდან ერთ-ერთმა დაასმინა, დაიჭირეს კაცი და ათწლიანი მუხლი მიუყენეს.

გავეცანი საქმეს, შევედი განყოფილების უფროსთან და ვეუბნები: მე აქ დანაშაულს ვერ ვხედავ მეთქი. რა მოხდა, კაცმა თავისი აზრი გამოთქვა მეთქი. განყოფილების გამგემ მიიხედ-მოიხედა, კარი ჩარაზა, მაგიდიდან ქაღალდი აიღო და გამომიწოდა, წაიკითხეო. ამ კვარტალში დამატებით გეძლევათ სამი ათასი ხალხის მტრის განადგურების ლიმიტიო, საკავშირო ში-

ნაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე წერდა ჩვენს მინისტრს [illegible]
ხედავთ? ლიმიტი იყო, დაგეგმილი იყო [illegible] დარღვევა.
ჩვენი განყოფილების გამგემ, საიდან მოვიყვანოთ ამდენი სა[illegible]
ხის მტერიო. თუ გეგმას ვერ შევასრულებთ, ერთ კვირაში [illegible]
გაგვაჩერებენ აქაო. კიდევ კარგი ჩვენს ლაპარაკს არავინ
ისმენდა, აქ რომ ახლა მესამე კაცი ყოფილიყო, ამ წუთში [illegible]
გამეცა შენი დაპატიმრების ორდერიო. წადი, ახლა და [illegible]
სისულელე მეორეჯერ არ წამოგცდესო. უნივერსიტეტში ნასწავ-
ლი სიბრიყვენი გამოიბერტყე თავიდან. ცხოვრება სხვაა და
წიგნი სხვაო.

გამოვედი. ადგილს ვერ ვპოულობ. რისთვის [illegible]
ათ წელიწადს. მე, ახალგაზრდა პროკურორმა, ნუთუ ჩემი პირ-
ველივე გამოსვლა სიკვდილით უნდა დავიწყო? ვიწრიალე, ვიწ-
რიალე და შევედი რესპუბლიკის პროკურორთან. ასეთ და ასეთ
საქმეზე ვარ, ათ წელს უსჯიან ამ დანაშაულისათვის და ბევრი
მეჩვენება მეთქი, თქვენ რას მირჩევთ, რამდენი [illegible]
მეთქი. [illegible] ნახავდი [illegible]
აქამდეაო.

ეგ ყოყმანი, როგორც ჩანს [illegible]
გასაკვირველად აუშვია, [illegible]
თავის [illegible]? [illegible]
ეკუთვნისო. [illegible] ეგ [illegible]

მეც ახლა მივხვდი. ერთი კვირის შემდეგ [illegible]
გამგემ ჩემზე შედგენილი საქმე [illegible]
პროკურატურიდან ჩემი [illegible]
ცობა, ლიბერალიზმი, ხალხის მტრების [illegible]
გამოჩენა. წავხედე საქმე. ჩემი კოლეგები [illegible]
ასე და ასეთ. თავიდანვე ვატყობდით, ჩვენს საქმეში რომ
გამოდგებოდაო. ზოგი შორს მიასწავლა და ჩემს [illegible]
მოითხოვდა.

ვდგევარ კოლეგიაზე ოცდახუთი წლის ბიჭი [illegible]
ჩიკჩიკებენ ჩემს დანაშაულზე ახალგაზრდა და [illegible]

პროკურორები. „შემარცხვენელი“, „საეჭვო ორიენტაციის მქონე“, რა არ მიწოდეს. ბოლოს რესპუბლიკის პროკურორმა მიხსნა. ჩემი პასუხისმგებლობით მივიღე შონია აქ სამუშაოდ. ეგ ხუთი წელიც ჩემთან კონსულტაციის შემდეგ მოითხოვა. ახე რომ, ქვეყანა არ დაუქცევია. ჭილაძეს იმ დანაშაულისათვის ხუთ წელზე მეტი არ ეკუთვნოდა, ნუ შევჭამთ ახალგაზრდა კაცს, არ დაუქცევია ქვეყანა, კვლავ ჩემი პასუხიმგებლობით ვტოვებ მას ჩვენთან სამუშაოდ და იმედია, ამ გაკვეთილიდან სათანადო დასკვნებს გამოიტანსო.

დამტოვეს. ალბათ, აღარაა საჭირო იმის თქმა, რომ „ჭკუანასწავლმა“ ვიცხოვრე და ვიმუშავე დარჩენილი წლები. რატომ მოგიყევით ახლა ეს, თუ იცით, ბატონო ლევან? არავინ ადგა პროკურატურის ასცხრამეტი თანამშრომლიდან რომ ეკითხა: რა დააშავა ასეთი შონიამო. ერთხმად გამწირეს და მოსაკვეთად გამამზადეს.

თქვენ ის კაცი ხართ, „ჭკუა რომ ვერ გასწავლეს“, ვერც კომუნისტებმა და ვერც ამათ. კომუნისტებს თქვენ ჭირივით სძულდით, მაგრამ დაგინდეს, არ გაგწირეს. ახლა სხვა დროა. ჰაერში, ახლა არც თუ სასიამოვნო სუნი ტრიალებს. თქვენ ის კაცი არა ხართ, რომელსაც ახსნა დასჭირდება.

მე მეგონა, ეს ბოლო სამი წელი საზოგადოების ნაღებს — ინტელიგენციას შეცვლიდა. თქვენც არ მომიკვდეთ. ვატყობ, დღესაც ისეთივე ინტელიგენციაა, როგორც ოცდაჩვიდმეტში იყო, დადედლებული, შეშინებული, დაცვედნებული.

როგორ ვიფიქრებდი, რომ ხმას არავინ ამოიღებდა.

როგორ წარმოვიდგენდი, გვერდით არც ამჯერად დაგიდგებოდათ არავინ [illegible] დაგტოვებდნენ.

ეს მოხდა ოცდაჩვიდმეტში, სხვა არაფერი. სხვამ სხვისთვის თავი არ გამოიდო და გათითოკაცებულ საზოგადოებას ადვილად მოუარეს.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, მაგრამ ძალიან მაშფოთებს თქვენი ბედი.

ახლა მე წავალ და ერთ რამეს გთხოვთ: ჩემი გვარი არსად გაამხილოთ. ცალი ფეხი სამარეში მიდგას და არ მინდა დარჩენილ ორ პარასკევს მათრიონ და მაჯანჯღარონ, ან საფლავი შემიგინონ.

თქვენ სხვა კაცი ხართ, მე მაგდენი აღარ შემიძლია...

თქვენი საქმე თქვენ იცით.

კარგად ბრძანდებოდეთ.

# მესამე საყვედურის მოლოდინში

ჩვენთან ბევრი ლაპარაკი არ უყვართ. ხინგავა ტელეფონს აიღებს და ორად-ორ სიტყვას ჩამოგვძახებს: – „გამოდის მესამე!", „მესამე" – კილაძეა.

მე, პირადად, კილაპის დაცვაში ვარ.

საინტერესო როგორ არ არის ჩვენი სამსახური, მაგრამ დამღლელია.

დღე არის, ცხვირს ვერ გამოყოფ ოთახიდან.

სახელმწიფო საიდუმლოებაა, მაგრამ დანაშაულს დანაშაულზე დავამატებ და გეტყვით, ხულ ოცდახუთნი ვართ.

შემინდოს ღმერთმა: ფიცი გავტეხე და დაცვის რაოდენობა გავამხილე, მაგრამ თავს იმით ვინუგეშებ, რომ კრემლის დაზვერვას უჩემოდაც მშვენივრად მოეხსენება, რამდენი ვართ და ვინც არ იცოდა და ახლა გაიგო, ეტყობა ისე დაბდური ვინმეა, ხულერთიია ვერაფერში გამოიყენებს.

ერთ დიდ ოთახში ვზივართ. ოთახის ნომერს, ფეხით რომ დამკიდოთ, არ გეტყვით. ადრე, როგორც ჩანს, ამ ოთახში ბიბლიოთეკა იყო. ეს იქიდან ვიცი, რომ როცა ვისვენ-ვთვლემთ, ცარიელ თაროებზე ფეხები გვაქვს შემოწყობილი.

მაღლა რომ ტელეფონს აიღებენ, ჩვენთან ზარის წკრიალი ისმის და წითელი ნათურა ინთება.

უნდა ვთქვა, რომ „მესამეს“ ხინგავა შედარებით დამცხრალი ხმით, ფაციფუცის გარეშე ამბობს.

მე, როგორც გითხარით, „მესამის“ დაცვაში ვარ.

დღეს მეორე საყვედური გამომიცხადა ხინგავამ.

„მესამე“ სახადილოდ წავიყვანეთ და რომ დავბრუნდით, მაგიდაზე ბრძანება დამხვდა — გამოეცხადოს ჭეჟიას საყვედური უტაქტობისათვისო.

მივხვდი, რაზეც მსჯიდნენ, ამიტომაც აღარ ავხულვარ ზევით დანაშაულის დასაზუსტებლად. მეტს მაინც არაფერს მეტყოდნენ.

ხალხი აბეზარია. ორი კვირის წინათ ცნობისმოყვარე ბრბომ „გამომამუშავებია“ საყვედური და გუშინაც.

პირველი საყვედური თეატრში „დავიმსახურე“. მეორე — საბავშვო ბაღში. ბუხაიძის ბაღს რომ ეძახიან, ძველთაძველი საბავშვო ბაღია — ვერაზე.

თეატრში რეპეტიციის დროს მივედით.

მე „გამსვლელი“ ვარ. „გამსვლელი“ იმას ჰქვია, რომ უფროსს წინ მივუძღვები და პირველი შევდივარ კარებში.

სათქმელად იოლია, მაგრამ კილაძესთან სწორედ „გამსვლელობაა“ ყველაზე ძნელი.

მანქანიდან გახრილილი ჭურვივით გამოვარდება ხოლმე. არც კი მიიხედ-მოიხედავს, პირდაპირ კარებისკენ გარბის.

წინა მანქანაში რაკი ვზივარ, შესასვლელს ცოტა ხომ უნდა გავცდე. მერე უფროსს კარებამდე მივასწრო და თანაც, ისე უნდა გავაკეთო ეს ყველაფერი, რომ ჩემი კენგურუს ნახტომები მაინცდამაინც შესამჩნევი არ გახდეს.

არა და ისე სწრაფია ეს დალოცვილი კილაძე, ხულის ამოთქმის საშუალებას არ გვაძლევს. ინსტრუქციით, ჩვენ რომ „პოზიციას დავიკავებთ“, მივიხედ-მოვიხედავთ, „საეჭვო ობიექტებს“ მხედველობა-კონტროლის არეში მოვაქცევთ, მერე უნდა შემოდიოდეს. შენც არ მომიკვდე, ვინ გაცლის ამდენს. ფხაკა-

ფხუკით გარბი-გამორბის. უშიშარი გახლავთ, მაგრამ ვინმემ თავდასხმა (პრავაკაციას ვეძახით), რომ მოუწყოს, პასუხს ჩვენ გვაგებინებენ.

ჯერ დირექტორის კაბინეტისაკენ წავიდა, ათიოდე ნაბიჯზე არმისული, შემოტრიალდა და პარტერში დურთა თავი.

შევყევით შვიდივე და როგორც წესია, დიდი დათვის თანავარსკვლავედისებურად განვლაგდით პარტერ-ამფითეატრში.

მე სცენიდან ჩამოსასვლელ კიბეს ვიცავ.

გამარჯობათ ბატონებოვო, კილაძემ, ნება მომეცით მოგესალმოთ ახალი ხელისუფლების სახელითო. ბოდიშს ვიხდი, რეპეტიციაზე რომ შემოგეჭერით, მაგრამ სხვა დრო ვერ მოვძებნე თავისუფალიიო. თუ საიდუმლო არ არის, რაზე მუშაობთ ასე გულდაგულო.

სათვალიანი, ლოყებფუნთუშა კაცი ზლაზვნით წამოდგა და კილაძისაკენ უხალისოდ წამოვიდა. არ მომეწონა მისი წამოსვლა, მაგრამ ჩემი ობიექტი არ იყო და ხელებში არ მივაცქერდი. ისე, მანძილი დავიჭირე, ყოველშემთხვევისათვის, ხელს თუ შემართავდა, ერთი ნახტომით დავაცხრებოდი და განვაიარაღებდი.

მეო, რეჟისორი ქოჩრუა გახლავართო, ედუარდო დე ფილიპოს ფილუმენა მარტირანოს ვდგამთო. ეს გვარები იმიტომ დამამახსოვრდა, რომ ჩვენი სამსახურის შემოსასვლელში აფიშაა გაკრული და მასზე აწერია. ამიტომ სანამ სამორიგეო ოთახში შევიდოდეთ, ბიჭები ერთმანეთს გავძახ-გამოვძახებთ ხოლმე: ერთი იტყვის „ “ედუარდო დე ფილიპო!“, მეორე – „ფილუმენა მარტირანო!“.

გიცნობთ, ბატონო, გიცნობთ, მთლად ასე ყრუები კი არა ვართო, ქოჩორი ნეკა თითით შეისწორა კილაძემ. მე ვინ მკითხავს თქვენს საქმეში ჩარევას, მაგრამ რა დროს ფილუმენაა, რა გვეფილუმენება ახლა ჩვენო. დროშა უნდა ფრიალებდეს ყოველ საღამოს სცენაზე და ედუარდო დე ფილიპოსთვის გვცხელა ახლა ჩვენო?

სანამ მთავრობა შეიცვლებოდა, მანამ გვქონდა გეგმაში,

დავპირდით იტალიელებს მარტირანოს დადგმაო. სამაგიეროდ ჩვენც გვიწვევენ კულტურის სასახლეების დრამატული ფოლკლორული კოლექტივების ფესტივალზე სექტემბერში და იქნებ გავაგიჟოთ იტალიელებიც, როგორც ფრანგები, ინგლისელები და ამერიკელები გავაგიჟეთო, რეჟისორმა.

აშკარად ვატყობდი, არ სიამოვნებდა უფროსს ქოფრუას ლაპარაკი, მაგრამ ბოლო შეკითხვა მაინც არ გამოტოვა. ამ შეკითხვას იგი ყოველ შეხვედრაზე აძლევს დამხვედრ საზოგადოებას.

ჩემთან ხომ არაფერი სათხოვარი გაქვთო, რაიმე დახმარების გაწევა ხომ არ შემიძლია თქვენთვისო.

ატყდა, მაგრამ რა ამბავი ატყდა, რომ იცოდეთ.

მაინც სად მოიყარა ამდენმა გაჭირვებულმა თეატრში თავი. ვინც პარტერში იყო, ხომ შემოეხვია, დანარჩენებმა პირდაპირ სცენიდან დააყარეს.

ქორდანიადან დაწყებული, ყველა მთავრობა დადიოდა თეატრში და თქვენ რა ფიცი გაქვთ დადებული, ქუდი რომ შემოგიგდონ, თეატრს არ ეკარებითო. სახელმწიფომ დოტაცია შეგვიწყვიტა და რეკვიზიტ-დეკორაციების დასამზადებელი ფულიც აღარ შეგვრჩაო. ყველას მოემატა ხელფასები, ჩვენს გარდაო. ოცი წელია თეატრის თანამშრომელს ბინა არ მიუღიაო. გვეგონა გვეშველებოდა, თქვენ მთლად იგნორირებას გვიკეთებთო. თეატრში ბევრი უმსგავსობა ხდება. ზოგს სამი საყვარელი ჰყავს, აქვე, ადგილობრივად, ზოგს არცერთიო. საზღვარგარეთ ერთი და იგივე სალხი დადის, ჩვენ ურლოოებმა ჯინსები სპეკულიანტისაგან ოთუსბირად უნდა ვიყიდოთო...

ყველა საჩივარი ვერ დავიმახსოვრე. კილაძე ბუტბუტით ისმენდა არტისტების საწუხარს და თანაშემწეს ხშირ-ხშირად შეახსენებდა ხოლმე – ჩაიწერეო. თანაშემწე თავს უქნევდა, კი ბატონოვო, მაგრამ არაფერს იწერდა.

როცა შეატყვეს თეატრის თანამშრომლებმა, კილაძე ჩვენს ნათქვამს ყურიდან ყურში ატარებსო, უფრო აგრესიულები გასდნენ.

ეს იმედი გვქონდა თქვენიო? სახალხო არტისტმა, თევზაძემ, ამისთვის მოგეცით ხმაო?

ჩვენ ხალხმა აგვირჩიაო, კილაძემ.

ჩვენ ხალხი არა ვართო?! იყვირა თევზაძემ.

თქვენ ხალხის წილი მთელი, წილი, წილი, წილი მეშვიდედი პროცენტი ხართ, ნუ გვამადლით თქვენს საეჭვო ხმებს. კიდეც რომ არ მოგეცათ ხმა, მაინც აგვირჩევდნენ. ჩვენი რეიტინგი ძალიან მაღალიაო, ვერ დავუკარგავ, ეს კი მართლაც კარგად უთხრა კილაძემ.

თუ ხალხმა აგირჩიათ, რატომ გეშინიათ ხალხისაო, ჩემსკენ წამოვიდა ახალგაზრდა, მათრახივით მოქნეული არტისტი გოგო. მე იგი სცენაზე არასოდეს მინახავს.

ვინ გითხრათ, ქალბატონო, რომ გვეშინიაო, მშვიდად მიუგო კილაძემ.

აბა, რად გინდათ შაშხანიანი დამცველებიო, შაშხანიანი კაცის თეატრში შემოსვლა ვის გაუგია, ხრულ ჭკუაზე ხომ ხართ თქვენო.

ესენი ჩემს დასაცავად კი არა, თქვენს დასაცავად მოვიდნენო, არ დაიბნა კილაძე.

ვისგან გვიცავენ, ბატონო, თქვენგანო?! – არც აცია და არც აცხელა იმ უტიფარმა და კიბეს მოუახლოვდა: – ყურში უნდა გითხრათ რაღაც, თუ შეიძლებაო.

კილაძეს შევხედე, ფეტვისფერი დაედო.

ფეხი არ ჩამოდგა, თორემ გაგათავე ადგილზე მეთქი, არ ვმალავ, ცოტა ხმამაღლა მომივიდა, მაგრამ იმ გოგოს ჩამოსვლის ხალისი კი დავუკარგე.

მე მეგონა ვიყოჩაღე მეთქი, დავბრუნდით სამსახურში და საყვედური მომაკერეს – უტაქტობისათვის.

დღეს მეორე საყვედური ავიკიდე, მესამეზე ალბათ, გამაგდებენ.

გუშინ ვერაზე საბავშვო ბაღს ვესტუმრეთ.

მშვიდად ვიყავი, შაშხანა ფეხზეც კი არ მქონდა შეყენებული.

აღსაზრდელი ხუთ წლისაზე მეტის არ არის, აღმზრდელს ხუთი თავი აქვს რომ თავდასხმა გაბედოს?

საბავშვო ბაღის მასწავლებელი, საერთოდ, პოლიტიკაში არ ერევა და ოპოზიციას ადვილად ვერ მოისყიდის. ასე რომ იყოს, საბავშვო ბაღიც არ იმუშავებდა. თუმცა ვინ იცის, ეშმაკს არ სძინავს.

ელაპარაკება ბაღის აღმზრდელ პერსონალს კილაძე: აბა, თქვენ იცით, დამოუკიდებელი საქართველოს სულისკვეთებით უნდა აღზარდოთ ბავშვებიო. მასწავლებლები გაფუჭებული პატეფონივით ერთსა და იმავეს ეუბნებიან: კარაქი და საპონი არა გვაქვსო, კილაძე კარაქსა და საპონზე ყურადღებას არ ამახვილებს, ისევ თავისას მიერეკება: ყველა თაობა გაფუჭებულია, ამათ გარდაო, ჩვენ საბჭოურმა ცხოვრების წესმა თავისი დაღი დაგვიტოვა სულზე, ჩვენ დიდები უკვე დამახინჯებული ადამიანები ვართო, ესენი კიო, თავისუფალ მოქალაქეებად უნდა აღიზარდონო.

როგორღა აღიზარდონ ჯანსაღ და თავისუფალ მოქალაქეებად უკარაქოდო. თავისას არ ეშვება ბულდოგისცხვირა მასპინძელი.

კილაძემ მწყრალად შეხედა და განაგრძო ლაპარაკი რესპუბლიკის განათლების სისტემის რეორგანიზაციაზე.

ამ დროს ბავშვების წრეს შავტუხა ბიჭი გამოეყო. სამ წლამდე არც იქნებოდა, თამაშ-თამაშით მიეპარა კილაძეს და პიჯაკის ჯიბეში პლასტმასის, წითელი სათამაშო—ჩანგალი ჩაუდო.

კილაძემ მწყრალად შემხედა. ჩანგალი ამოიღო ჯიბიდან, ბავშვს დაუბრუნა და თავზე ხელი გადაუსვა.

ყველას გაეცინა.

სანამ კილაძე ახალ წინადადებას დაამთავრებდა, ბავშვმა ახლა პლასტელინის კუ დააძრო უბიდან და ისევ იმ ჯიბეში ჩაუდო უფროსს.

კილაძემ ისევ მწყრალად შემომხედა, კუ ამოიღო, ბავშვს ხელი ჩამოუსვა თავზე და კუ, იქვე, ფარდაგზე მოისროლა.

ამჯერად მარტო უფროსებმა გაიცინეს, ბავშვებს არ გაზცინებიათ.

მესამედ აზეზარმა ბიჭმა საიდანღაც რეზინის დაჩუტული კენგურუ გამოჩხრიკა. ჯიბეში შეუმჩნევლად ჩაუცურა კილაძეს, თვითონ უკან დაიხია და რეზინის მილიან კენგურუს ბერვა დაუწყო.

ვეღარ მოვითმინე. ბიჭი თავის საბერველიანად ჩემსკენ მოვაჩოჩე და ყური გადავუწრიაზე.

იმ ეშმაკის ფეხმა უფრო განწირულად დაიჭყივლა, ვიდრე ველოდი.

კილაძე და მასწავლებლები ფეხზე წამოიჭრნენ.

შავტუხას, თითქოს ნიშანს ელოდნენო, სხვა ბავშვებიც აყვნენ.

ესეც მეორე საყვედური.

მესამეზე ალბათ, მომხსნიან.

არ ვნანობ, არა, ისევ რკინიგზას დავუბრუნდები და სპეციალობით დავიწყებ მუშაობას — მეისრედ.

# მეცხრე

იმპერატორი ფანჯარასთან მივიდა და მძინარე ქალაქს დააცქერდა.

კარგა ხანს ეძებდა ყორნისფერი ღამის ფრთებზე სინათლის კვალს, მაგრამ ვერ აღმოაჩინა.

იმპერატორი მაგიდას დაუბრუნდა, ქაღალდებს დაწვდა, მაგიდის ნათურა ახლოს მოსწია და კითხვა დაიწყო:

„საბჭოთა კავშირის გენერალურ პროკურორს“

ამხანაგო პროკურორო,

ამ განცხადებას ვწერ 1991 წლის 25 აგვისტოს, ვწერ ჩემი ხელით და სურვილით. ფიზიკურად ჯანსაღი და გონმრთელი.

ბევრი ვიფიქრე, დამეწერა თუ არა ეს განცხადება, რადგანაც იგი სამუდამოდ შეცვლის ჩემს ცხოვრებასაც და მსოფლიოს წარმოდგენასაც ჩემს პიროვნებაზე.

მე შემეძლო, ხვალ ტრიუმფალური გადადგომა გამეთამაშა, ტაშის კვრითა და მადლობით გამაცილებდნენ და სიკვდილამდე დამსახურებული პენსიის კავალერი ვიქნებოდი ჩემი ღირსების შენარჩუნებით.

ამ განცხადების, ამ ფარატინა ქაღალდის მეოხებით რამდენიმე საათში ვიქცევი სახელმწიფო დამნაშავედ და მსოფლიოს ერთხელ კიდევ გავაოცებ ჩემი სფინქსური ბუნებით.

ახლა მე შემიძლია ყველაფერში დავარწმუნო ჩემსირგვლივ მყოფნი. მე ისეთი მდგომარეობა მიჭირავს, რომ ჩემზე ნათქვამ ყველაზე საბუთიან სიმართლეს ერთბაშად ცილისწამებას დავარქმევ და დამიჯერებენ.

მაგრამ კმარა. აღარ მინდა.

ჩემს თავს ვეღარ ვერევი.

მეცხრე შეთქმული იმპერატორის წინააღმდეგ, თქვენ რომ ახე გულდაგულ ეძებთ, მე თვითონ ვარ.

დიახ, ჩემს წინააღმდეგ შეთქმულების ერთი მთავარი პერსონაჟი გახლავართ.

ვიღას დავუმალო, ჩემდაუნებურად, რუსეთის იმპერიის დამშლელის ხვედრი განმიმზადა ისტორიამ და მინდოდა ამ ხვედრს გავქცეოდი.

ჩემდაუნებურად მეთქი იმიტომ მოგახსენებთ, რომ თუ პრაქტიკულად გაკეთებულზე მიდგება საქმე, მე მთელის შესაძლებლობით ვცდილობდი საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას.

კეთილი ნების მსოფლიოს ვუპირისპირდებოდი, როცა უარს ვეუბნებოდი რუსეთის მიერ დაპყრობილ ერებს დამოუკიდებლობის მოპოვებაზე.

ეს მე დავსაჯე ურჩობისათვის ბალტიისპირეთი და

საქართველო, მოლდავეთი და სომხეთი...

მე ვიბრძოდი ახალი სამოკავშირო ხელშეკრულებისათვის და ამით იმპერიის ხელახლა შესაქუჩებლად.

მაგრამ ისევ და ისევ ჩემდაუნებურად გატარებულმა დემოკრატიულმა რეფორმებმა ჩიხში მომაქცია და რკინის ხელი მომაგონა.

ნუთუ ვინმეს დააეჭვებს ის ფაქტი, რომ ქვეყნის გადემოკრატიულება ჩემი სურვილით კი არა, ეკონომიურ ბრძოლაში გამარჯვებული დასავლეთის და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ჩვენთვის თავსმოხვეული ღონისძიება იყო?

თვითვე მათამაშებდნენ ტიკინასავით და თვითვე დაცინვით მაცხადებდნენ „დემოკრატიის ბურჯად".

არა და, რატომ აღმოვჩნდებოდი მე, კომკავშირის აღზრდილი, პარტიის სამუშაოებზე გამოჩენილ-გამოცდილი, დარწმუნებული ბოლშევიკი მიხეილ გორბაჩოვი დემოკრატი, ანდა ღმერთმა დამიფაროს, იმპერიის რღვევის მომხრე?

იმ სახელმწიფოს დაშლას მოვინდომებდი, რომლის იმპერატორიც გახლდით?

ამ ბოლო დროს, მოგეხსენებათ, ჩემთვის გასაგები მიზეზების გამო, ქვეყანა ლიბერალურმა ყაყანმა მოიცვა და ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო, ამოდენა სახელმწიფო ეკონომიური კატასტროფის წინაშე დადგა.

ისე წავალ ამ ქვეყნიდან, ჩემთვის ეგრემც გაუგებარი დარჩება, რა მიზეზებით მოხდა რომ რუსეთი ეკონომიურად უსუსური ქვეყნიდან ისტორიის უმოკლეს ვადაში მსოფლიოში ერთ-ერთ უმაღლეს ზესახელმწიფოდ იქცა და ასევე სწრაფად უომრად და დაუბყრობლად, ჩვენს თვალწინ დაიმშაგაქვალტყავდა.

მახრა რომ შეუძვრება ფესვებში ხეს, ჩამოღევს და ჩამოაჭკნობს, ისე ჩამოხმა, ჩამონელდა საბჭოთა იმპერიის სასიცოცხლო ხე.

ვგრძნობდი, დღითიდღე იზრდებოდა უკმაყოფილოთა რიცხვი და იმპერატორის დღეებიც დათვლილი იყო.

ძალაუფლება მხოლოდ ძალას, რკინის ხელს გულისხმობს და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ხალხის ხელისუფლება სისულელეა. ხალხი ბრბოა და ყაყანის მეტი არაფერი შეუძლია.

როცა ამას მივხვდი, ნელ-ნელა ჩამოვიშორე დემოკრატ-ლიბერალნი და მინისტრებად თუ პრემიერ-ვიცეებად რკინის მუშტის მომხრენი დავსვი. ამანაც ვერ უშველა წესრიგის დაბრუნებას, დიდი რღვევა დაწყებული იყო.

რაკიღა მე მსოფლიო დემოკრატიული გარდაქმნების მებაირახტრედ მაღიარეს, ჩემი უკან დაბრუნება და დიქტატორის როლში გამოსვლა აღარ მოხერხდება, ამიტომ ასპარეზზე გამოვა რვა ლიდერი, რომელიც შემოიღებს საგანგებო მდგომარეობას და ხალხს ჭკუას ასწავლის.

ისინი საბაბად ჩემს „ავადმყოფობას“ მოიმიზეზებენ და ქვეყანას ამცნობენ, რომ მე ჯანმრთელობის გაუარესების გამო ექვსი თვით ჩამოცილებული ვარ ქვეყნის მმართველობას.

დაამყარებენ ქვეყანაში წესრიგს, გაამაგრებენ ლიბომორღვეულ ეკონომიკას, ჭკუას ასწავლიან აბეზარ ელცინს და მერე, ექვსი თვის შემდეგ, მიხმობენ, რათა „გამოჯანმრთელებული, კვლავ დავუბრუნდე სახელმწიფოს საჭეს“.

ეს საიდუმლო ჩვენი, ცხრა კაცის გარდა არავის უნდა სცოდნოდა, ერთმანეთს შევეკარით და ოპერაცია ზუსტად დანიშნულ დღეს, 19 აგვისტოს დაიწყო.

ჩვენს უკანასკნელ შეხვედრაზე ყველაფერი გავიანგარიშეთ ერთი რამის გარდა. ერთმანეთი მკაცრად უნდა გაგვეფრთხილებინა: თუ დემოკრატიული ოპოზიცია წინააღმდეგობას გაბედავდა, გულჩვილობა არ უნდა მოგვრეოდა და ერთმანეთში უთანხმოება არ უნდა მოგვსვლოდა.

„ახალმა ხელისუფლებამ“ პრესკონფერენცია მშვენივრად ჩაატარა. გაკვირვებული მსოფლიო ის იყო ეგუებოდა საბჭოთა კავშირში ძლიერი ცენტრის მთავრობას, რომ ელცინმა თავისი

დემონსტრანტები „აამუშავა“ და შეშინებულმა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო, დაუმორჩილებლობა გამოაცხადა.

არა და ელცინის დღეები მართლაც დათვლილი იყო, მაგრამ ამ კაცს თითქოსდა პოლიტიკის ღმერთი - მფარველობს. კრუჩკოვი დაჟინებით მოითხოვდა ელცინის წინასწარ დაპატიმრებას. მე არ ვქენი, ხალხს ნუ გავაღიზიანებთ, ელცინის ჩაყუდებას ყოველთვის მოვასწრებთ მეთქი.

ვერ მოვასწარით. ელცინის „მოძრაობის“ დამლას ხუთი წუთი სჭირდებოდა. დიდი-დიდი ათი კაცი დაღუპულიყო „ჰყლეტაში“. მე ხომ ვიცი მოსკოველთა ამბავი, უკანალზე ჯარისკაცთა ბარ-ხელკეტები რომ მოხვდებოდათ, უწაუწა გაიკრიფებოდნენ.

„შეთქმულებმა“ ამ ნაბიჯის გადადგმის ნაცვლად სახელმწიფოს კვერთხი მოისროლეს, დაჰკრეს ფეხი და ყირიმში ჩამომაკითხეს – როგორ მოვიქცეთო?

მე რომ ისინი მიმეღო, ყველაფერი გამჟღავნდებოდა. გავწირე უნიათო კოლეგები და მოსკოვში ტრიუმფით შევედი.

კვლავ გავპრეზიდენტდი. გულუბრყვილო რუსეთი ტაშის გრიალით შემხვდა. ისე მიცქეროდა ხალხი, როგორც ხაიქიოდან მობრუნებულს. მხოლოდ ელცინი და მისი დამქაშები მიყურებდნენ ირონიულად და გამომწვევად.

ვგრძნობ, რომ უჯარო გენერალს ვემსგავსები და ჩემი ტახტი ოთხივე ფეხით კოჭლობს, ტორტმანებს.

ელცინმა, მე მგონი, ყველაფერი იცის.

ამიტომ გადავწყვიტე დავასწრო მოვლენებს და ყველაფერი ვაღიარო.

გთხრვთ მიიღოთ კანონით გათვალისწინებული ზომები“.

# ვარამი

ჩხამის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი გახლავართ, ბატონო. თომა მამაცაშვილია ჩემი სახელი და გვარი.

ყვირილას მარცხენა ნაპირზე ზევით, მთებშია ჩვენი სოფელი.

პატარა სოფელია. რუკაზე ხან არის აღნიშნული და ხან არა.

მიწისძვრამ ჩვენც დაგვაქცია და დაგვანელა, მარა გაზეთებში ჩვენს სოფელზე მაინცდამაინც ბევრი არაფერი დაწერილა.

რა ვიცი, რისი ბრალია. ჟურნალისტებმა მეტი ყურადღება მთავარგზისპირა სოფლებს მიაქციეს, ჩვენ ქე მივრჩით უყურადღებოდ.

ისე, ასორმოცდაათამდე მოსახლე ვართ ჩხამში და, რომ არ მოგატყუო, ასი სახლი მაინც იქნება პირწმინდად დანგრეული. კედლებდაბზარულ და კრამიტჩამოცვენილ სახლებს არ ვაგდებ სათვალავში.

ასი მოსახლე, სამ ბავშს გეფიცები, ან ბეღლებში ვათევთ ღამეს, ან კარვებში მესამე თვეა.

ე ზაფხული ხელად შემოგვადნება ხელში. მერე, სექტემბრის ბოლოს, გრძელი წვიმები დაიწყება და, წვიმებიც რომ არ დაიწყოს, ჩვენ ჩვენი პაწია ჭირნახულის დაბინავებას შევუდგებით ყველა. ორი ლუკმა თვარაფერი შევიმარაგეთ, მთავრობას ხომ არ შევაჩერდებით ხელებში. მთავრობას თუ რამე აქ, ქე გაჭმევს, თუ არა და ქე გეტყვის უარს. რავა, თუ არაფერი იქნა, მთავრობა კი ვერ დაგიხატავს სარჩო-საბადებელს.

ახლა იყო დრო, რამის გაკეთების და ჯერჯერობით ვერაფერი პირი უჩანს ჩვენს საქმეს.

მევიდა კომისია მაშინათვე. მეორედ რომ დაგვარტყა მიწისძვრამ, აღარ მახსოვს, რა რიცხვი იყო. ტვინი მაქვს დარდით და ფიქრით დამდღვლეული.

გაზომა, აწონა კომისიამ ზარალი. დაგვახარისხა დაქცეულ-

დანაყულები. ზოგი ახალი სახლის აშენების სიაში ჩაგვწერა, ზოგი შესაკეთებელში.

ახლაო, ერთ კვირაშიო, მასალას შემოვიტანთ და დავიწყებთ შენებასო.

თქვენ, მასალის დასაყრელი ადგილი მოგვინიშნეთ, მეტი თქვენგან არაფერი გვინდაო.

დანგრეულ სახლებს ხელი არ ახლოთ. რავარც არი, ისე იყოს, თვარა მეორე კომისია ჩამოივლის და, ეგება, ეჭვი შეიტანოს ჩვენს გადაწყვეტილებაშიო. ეზოს დაგვილ-დასუფთავებულს რომ დაინახავს, იტყვის, მიწისძვრა არაფერ შუაშია, მიწისძვრამდელი ამბავია ესო. რავა უმიწისძვროდ არ დანგრეულა ლიბომომპალი სახლიო? ასე იტყვის კომისია და ქე ამოგიღებს ახალი სახლის სიიდანო.

მესამე თვეა, გითხარი მისი არ იყოს, ვუცდით მასალას და ხელოსნებს. სალაცა-სალაცა ქე დაიწყეს მშენებლობა, გაღმა სოფლებშიო, ხმა გამოვიდა. ჩემი თვალით, გითხრა სიმართლე, არ მინახავს, მარა ამ ჩვენს სოფელში ჯერე წკირი რომ არ გადაბრუნებულა, ხატზე დავიფიცებ.

არაფერ შარში ჩავაგდოთ ე პატიოსანი კომისია თქვა და ვართ ჩვენც გულხელდაკრეფილები. ამ ნაშალ ქვა-ღორღს და დალეწილ ფიცრებს მაინც დავაწყობდი ცალ-ცალკე. ბალავრის თხრას მაინც დავიწყებდით ჩვენ თვითონ და პატარაზე წინ წევიგდებდით საქმეს, მარა არც ამაზე გვიშვებენ და ქე ვართ ასე.

არა და, რა უბედურნახევარი ყოფილა ე კარავი, ეს ოხერმუდრეგი, ვისაც შიგ არ უცხოვრია, ვერც მიხვდება.

სიცხეში სული გეხუთება, წვიმაში ნესტისაგან მუხლიტეხვა გეწყება. საბანს რომ გამოიტან მზეზე გასაფენად, ცხრა ფუთია.

ჩემს თავს არ დავეძებ, ბავშვები დამიავადდებიან.

გადაზამთრებამ რომ აქ მოგვიწიოს, გაზაფხულამდე სულს ვერ მივატანთ ვერცერთი.

ყოველ მესამე დღეს თათბირს ატარებენ დანგრეულ კულტურის სახლში თბილისიდან ჩამოსული უფროსები.

აბა, რავა არი საქმეო. შეფერხებები ხომ არ გაქვს მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარებაშიო. იკითხავს კომისიის თავმჯდომარე.

მომკალი თუ გინდა, სულ თეატრი მგონია, რაც იქ ხდება.

დგებიან რიგრიგობით საკრებულოების ენააალესილი თავმჯდომარეები და აცხადებენ:

ჩვენთან კაათ მიდის საქმეო. ორიათასი დანგრეული სახლიდან ათასშვიდასი ავაშენეთ უკვეო. მოპირკეთების შიდა სამუშაოებზე ვართ გადასული და მალე ჩავაბარებთ ახალ სახლებს პატრონებსო.

დახმარება ხვარაფერი გინდათო, ეჭვით იკითხავს თბილისიდან ჩამოსული მინისტრი.

არაფერი ბატონო, მადლობელი ვართ ყველაფრისათვისო.

არა მაინც, მაინც, ეგება შემოგაკლდათ რამე და გრცხვენიათ თქმაო.

რაღაი არ იშლით თქვენსას, სამიათასი ტონა ცემენტი გამოგვიგზავნეთ, მაინც ყოველიშემთხვევისთვის, მარაგად, ეგება შემოგვაკლდეს ბოლოშიო, ამოღერღავს მთხოვნელი.

სამიათასი ტონა ცემენტი, მაგას ხვალვეო! უბრძანებს გვერდით მდგომს კომისიონერი.

არ უნდა ლაპარაკიო, თავს უქნევს გვერდით მდგომი.

ხის მასალის საქმე რავა არიო, იკითხავს მთავარი არტისტი.

კაათ, კაათ ყველაფერი გვაქო! ერთხმად აყვირდებიან ინჟინერ-ბრიგადირები.

რაკი წუწუნის ხალხი არა ხართ, ორას-ორასი კუბომეტრი პოლის ფიცარი თითო სოფელს ჩემგან საჩუქრადო, გულუხვია სიტყვაში სამინისტროს წარმომადგენელი.

ეტყობა, გაკეთდა სხვა სოფლები და ე ჩხამი ქე გამორჩათ სიაში მეთქი და ავწიე ხელი.

წარმოადგინეთ თქვენი თავიო, თავმჯდომარემ.

თომა გახლავართ, ჩემო ბატონო, მამაცაშვილი ვარ, ჩხამიდან მასწავლებელი მეთქი.

აქით და იქით ქე მიგიყვანიათ ყუყზე ხაქმე და ჩვენ იხე ვართ, გეგონებათ, ნახევარი ხაათიხ მომხდარია მიწიხძვრა მეთქი.

რავაო?

რავა და ერთი ცალი აგური და ერთი „მეშოკი“ ცემენტი არ შემოუტანიათ ჯერ ჩვენთან მეთქი.

არც ჩვენთან, არც ჩვენთან! ტყუილია ეს ლაპარაკი აქანაო. ატყუებენ ერთმანეთხ ჩვენხ გახაგონად და ბოლოხ ჩვენ დავრჩებით მოღორებული, ვატყობთ ჩვენს იღბალს ჩვენო! აყაყანდა ხალხი.

თურმე ყველა ჩვენხ დღეშია და პირში წყალი აქვთ დაგუბებული.

იხე, გატყობთ კოჭებში, ბატონო, ჩვენი ხახლების აშენებელი თქვენ არ ხართ და ჩვენ მაინც მიგვიშვით ამ ჩვენხ გაუბედურებულ ხაქმეხთან მეთქი.

რახ გვთხოვთ, რა გინდათ, გვითხარით პირდაპირო, უჭირხ ქვეყანახ და ხომ არ წაგვიჭერთ ახლა ყელში ხელხო, იმან; ხვარაფერი გინდათ დამატებითო, რომ ყვიროდა.

ხოფელხ, ბატონო, ლუკმა-პური ქე აქვხ, ღვთიხ მადლით, ჯერჯერობით, ხამათხოვროდ და ხელიხგახაწვდენად არ გაგვხდომია ჯერ ხაქმე მაგ მხრივ, მეთქი. მადლობელი ვართ თქვენი ამ წამიწიხძვრალზე ხამჯერ დაგვირიგეხ ორ-ორი ბუხანკა პური, ფრანგული ხოხიხი თითო კონხერვი და ორ-ორი ბოთლი ჩვენი ლუდი. მადლობელი ვართ, რახაკვირველია, მარა შიმშილით არ მოვკვდებით ცოტა ხანხ. ჩვენი ჭირი და ხნება ე დანგრეული ხახლებია და, თუ რამე შეგეძლებათ, ამაში უნდა მოგვხმარებოდით მეთქი.

გლეხკაციხ მოტყუება ძნელი არ არი და ვერაფერ ხახელხ მოგიტანთ, აღდგომა და ხვალეო, უთქვამხ ჭკვიან კაცხ მეთქი.

მოგვეცით ხე-ტყიხ ლიცენზია, რამდენიც დაჭირდება ამ ჩვენხ ხახლებხ. აგვიზომეთ ფუნდამენტი, თუ ხადმე მოახერხოთ, ცემენტი მოგვაშველეთ, ქვა-ქვიშახ ჩვენ მოვაქუჩებთ რავარცხა

იქნება, ჩვენ თვითონ შევუდგებით ნადში ერთმანეთს და ევიყვანთ კედლებს. თითო ოთახში მაინც რომ შევასწროთ ზამთარს, უბედურებას მაინც ავიცილებთ და გაისად კიდევ რაღაც იქნება მეთქი.

დარბაზი გაისუსა.

რას იტყვით თქვენო, საკრებულოს წევრს მიუბრუნდა მინისტრის ამხანაგი.

ვაგზავნით ყველაფერს ბატონო, მარა რეკეტიორები და პიკეტიორები დგანან გზაში და ამიტომაც ბევრ სოფელში ადგილზე არ მიდის ჩვენი დახმარებაო, ხამაძეძემ.

გაიცინა ხალხმა, სიმწრის სიცილით.

ადრე რაიკომებს ვაბრალებდით ჩვენს გაყვლეფას, ახლა რეკეტიორებს ვაბრალოთ და ვიყოთ ასე. არაა ჩვენი საშველი, ქე ვხედავთ ჩვენო.

ადგა, ნირწამხდარი სტუმარი, არ გვინდოდა თქვენი შეწუხება, საჩუქრად უნდა მოერთმია ახალ ხელისუფლებას ახალი სახლები თქვენთვის, მარა რაღაი არ გამოდის, შევისწავლი ამ საკითხს, ვითათბირებთ ზევით და ორ დღეში, შემდეგ შეხვედრაზე, რავაც თქვენ გინდათ, ისე იქნება ყველაფერიო.

ორი კვირა სვალ სრულდება, რაც ეს სიტყვა თქვა. შენ არ მომიკვდე მეტად, ჩვენთან არაფერი მოეტანოთ და არც თათბირზე დავუძახოთვინმეს.

გეჩქარება ძალიან? საათზე რომ დაიხედე, იმიტომ გკითხე.

ვიცი ბატონო, სხვისი გაჭირვების მოსმენა, მითუმეტეს, როცა არ შეგიძლია შველა, ერთობ მძიმე რამეა. მეც იმიტომ გიყვები, გულს ვიოხებ თქვენთან, თვარა მეტი რაი. რომც დაწერო ეს ამბავი, მაინც არაფერი შეიცვლება.

ჯერ ერთი, შენ დაგიწყებენ კბენას, ცილს გვწამებს, აბა როდის არი ასე გლახად საქმეო. გამეიგონა ტყვილი და ვითომ ეს გამოუჩნდა ახალ ქომაგად ახლა გლეხსო. თავის გამოჩენა უნდა, მეტი არაფერი მაგასო.

შენ ხომ შენსას დაგმართებენ, არც ჩვენი საქმე წეიწევა წინ.

„კლაოზნიკი“, უმადური ხალხი ნაცხოვრება ჩხამში და რა ჩიტსაც დეიჭერენ, მაგნაირი ენაჭარტალით, ნახონ მაგათმაო, იტყვიან უფროსები.

ამიტომ წუწუნ-ჩივილის ფირფიტას გამოვიცვლი ახლა და სხვა ამბავს მოგიყვები ამ მიწისძვრასთან დაკავშირებულს.

ჩვენზეით მიწისძვრამ და მეწყერმა ოსების სოფელი რომ დეიტანა, გეცოდინება. წყავი ერქვა სოფელს. აქედან სულ თოთხმეტი კილომეტრია, პირდაპირ თუ გადაჭრი, ბილიკ-ბილიკ, მთაზე. ორმოცდაოთხი მოსახლე ისე ჩაინთქა ქვესკნელში, რომე ნასახლარიც აღარ დარჩა. სამი ბავშვი გადარჩენილაო, მაშინ თქვეს, სკოლა გოუცდენიათ და ტყეში ყოფილან საშურდულე თხილის მოსაჭრელად წასულებიო. ი სამი ბავშვი ჯავაში წაიყვანეს ნათესავებმაო, ხმა გამევიდა მერე. სად არიან ახლა, ამ წუთში, ვერ გეტყვი, ვერ მოგატყუებ.

ამ ერთი კვირის წინ, გედევიკიდე ზურგჩანთა. ჩავაწყვე შიგ ხუთი სანთელი, ყველი, პური, ერთი ბოთლი ღვინო და გოვუდექი გზას წყავისაკენ.

მე, ჩემდა სასირცხვილოდ, ერთხელ ვიყავი ჩამოვლით მარტო (მჟავე წყლებიდან ვბრუნდებოდი) ამ რვა წლის წინ ნამყოფი წყავში და, ვერ დევიტრაბახებ, არც ნაცნობ-მეგობარი მყავდა იქ ვინმე.

ფეხით გადავედი მოკლეზე, მარა კაი გვარიანათ შემაგვიანდა. ხამად ვიყავი იმ გზაზე და ტყემ მხარის აქცევა იცის, მოგეხსენება.

ახალშეღამებულზე ჩავედი სოფელში.

სოფელში მეთქი გეუბნები, მარა, თუ ნამეტანი დააკვირდება კაცი მეწყრისპირა ჩაქცეულ შუკაზე და ალაგ-ალაგ შერჩენილი ღობის ნაშთზე თუ შეატყობ კაცი, რომ ნასოფლარია, სხვაზე ვერაფერზე.

უშველებელი აკლდამა. ამობრუნებული მიწა და ქვესკნელში ჩატანილი სიცოცხლე-სოფელი. უარესს ნახავს კაცი რამეს?

ჯოჯოხეთის კალო დატრიალებულა და ეს არის.

ჩამოვჯექი ქვაზე და ვიტირე.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიჯექი. მთვარე რომ დამადგა თავზე, ზურგჩანთიდან სანთლები ამოვიღე და იქვე, გადატეხილი წაბლის ხის ფუღუროში დავანთე. ერთი ლუკმა ყველ-პურით წავიხემსე, დანარჩენი გაზეთზე დავდე, ღვინოს თავი წავუქციე და ისიც, პატარა ჰიქიანად, ბებერი ხის შავ ქერქს მივაყუდე, გამოვტრიალდი და მოვდივარ.

ასიოდე მეტრიც არ მექნება გავლილი, ჩემს ყურთან ქვამ გაიწუილა და იქვე კბოდეზე ჩაგორდა.

შევჩერდი.

მეორე ქვამ კინაღამ ყური წამაცალა. წავხტი და ჯირკს ამოვეფარე.

– ვინ ხარ! რას მერჩი?!

ხმა არავინ გამცა.

საფარიდან სიბნელეს მოვავლე თვალი. ჩემგან ოციოდე მეტრში თხრილში ლანდი ირხევა.

ხელი აღმართა და ორჯერ გადაიშხუილა ქვამ ჩემს თავზე.

ეს არ ხუმრობს მეთქი, ზურგჩანთა შემაღლებულზე დავდე და ხოხვით გავუწექი. გზაზე ხელში მოყოლილი თოხისტარისხელა ჯოხი ამოვიღლიავე, უკნიდან მოვუარე, ხანგარში ჩავუხტი და დავუყვირე:

– ხელები! თვარა გაგათავე!

არ მომკლაო იბღავლა.

ვინ ოხერი ხარ! რას დაეხეტები ამ შუაღამეზე, ქვა ახე გამეტებულად რომ მესროლე, რომ მომხვედროდა, შენ მირჩენდი ოთხ შვილს მეთქი?! ამოდი ახლავე, უნდა წაგათრიო, ხადაც ადგილია მეთქი.

თხრილიდან ამოფორთხდა, შემომხედა. უკან დავიხიე, ფეხებში არ მსტაცოს მეთქი, მუხლებზე დაეშვა, თავი ხელებში ჩარგო და აქვითინდა.

ვაცალე ტირილი და მერე გამოვკითხე ყველაფერი წვრილ-წვრილად.

აქაური ვარო, პარასტაშვილი, ბადო მქვიაო. ცხენის ჩამოსაყვანად ვიყავი სათიბზე, როცა ცამ დაიქუხა და მიწამ რყევა დაიწყოო. ცხენის ჭიხვინმა ყური კინაღამ გამიხვრიტა, დაჭკრა ქუსლი და მინდორს ისე გაუწვა, ქარიც ვერ მიეწეოდაო. მიწა რომ დაწყნარდა, ბაწრით ხელში გამოვტრიალდი და სოფელს რომ გადმოვადექ, თვალში სინათლე დამეკარგა, რეტი დამესხა, ყვირილი მინდოდა, მაგრამ ყელიდან ხავილის მეტი არაფერი ამომივიდაო.

ორი შვილი, ცოლი და სამოცდაათი წლის დედა ჩამიყლაპა მეწყერმაო.

მარტო ვარ დარჩენილი ტყის ნადირივით, სად წავალ, ამ ადგლს როგორ მოვშორდები, ჩემიანი ყველა აქააო ჩამარხული.

ქურდი მეგონე და ქვა დაგიშინე. არ მომკლა, თორემ დიდ ცოდვას ჩაიდენ, ამ სოფლის ერთადერთი გადარჩენილი კაცი ვარო.

წავიყვანე და წაბლის ფუღუროსთან მივიყვანე. ჩემი დანთებული სანთლები ისევ ბჟუტავდნენ. ესა და ეს კაცი ვარ მეთქი. რისი ქურდი, რა ქურდი, დაქცეულ სოფელს სანთელი დავუნთე. ჩხამიდან ვარ, ამისთვის გამოვიარე ამხელა გზა და შენ, განუკითხავად, ქვა კინაღამ მდრუზე ზურგში, სული კინაღამ გამაფრთხობინე მეთქი.

ღვინისჭიქა გავუვსე და მივაწოდე.

დალია. ჭიქას ფსკერზე აკოცა. ხელი ჩამომართვა, მხარზე მემთხვია; მერე მოწყვეტილივით დაეშვა მუხლებზე, ფუღუროს თავი სამჯერ მიარტყა და აზლუქუნდა.

დავამშვიდე, ვითომ ჩემი ჭკუით, რა უნდა ვუთხრა ასეთ დროს კაცს, მაგრამ მაინც ცოტა მოვასულიერე, მუშტებით ცრემლი შეიმშრალა და წამოჯდა.

სანამ კარგად არ აცივდა, ვიჯექით დამეხილ წაბლზე მხარიმხარმიდებულები და ვმუსაიფობდით.

ჩხამში ჩამოვიყვანე.

სამ დღეს ჩემთან იყო.

მისი საცოდაობით იწვებოდა მთელი სოფელი. სამი დღის მერე ცხინვალს წახვლა მოიგუნება.

დავბან-დავასუფთავეთ (წვერი არ გაიპარსა), დიდი აბგა ტანსაცმლით გავუვსეთ, საგზალი გავუმზადეთ და წავიდა.

დავბრუნდებიო, გინახულებთო, დაგვიბარა.

ღმერთმა სულისდგმა ნუ მოაკლოს.

## რა იციან მეზობლებმა

თუ დაკვირვებიხარ, რა საყვარელი რამეა შინაური ცხოველი, ძროხა ავიღოთ თუ გინდა, მაგალითად. ნეტა რამდენი ათასი წელი დასჭირდა ადამიანს, ძროხა რომ ისეთად ექცია როგორიც არის. მე პირადად სასწაული მგონია, სოფელში რაც მინახავს: ბალახობს მთელი დღე ტყეში, ღრეში, აღმართზე, დაღმართზე. ძშინავს, მუშაობს თავისთვის მშვიდად, არავის ერჩის. ჩიტმაც რომ შეარხიოს ტოტი და შეიფრთხიალოს, თავს აწევს, მიაყურადებს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ყურებს გრამაფონის ძაბრივით მიუშვერს ხმაურს. რომ დარწმუნდება, ქვეყანა არ იქცევაო, ორი-სამი ნაბიჯით გაეცლება იმ ადგილს და ბალახობს დინჯად, საქმის ცოდნით, ერთგულად. „ორ-სამ ნაბიჯს მეთქი“, რომ გითხარი, ალბათ მთლად სწორი არა ვარ. ძროხის ნაბიჯზე თუ დაფიქრებულხარ. ნაბიჯად ოთხივე ფეხის გადადგმა ითვლება, თუ მარტო წინა ორი ფეხის? რა გაცინებს, ცოდნა უნდა ყველაფერს.

მოსაღამოვდება. როგორც თქვენ, მწერლები იტყვით ხოლმე, მზე სხივებს შეიკეცავს, ძროხა ბალახ-ბალახობით ეშვება სოფლისაკენ. როცა ბინდი მოერევა მიდამოს, ფეხს აუჩქარებს და გულდაგულ მოდის სახლისაკენ. მოდის გამაძღარი, თავაწეული, ულამაზესი. თითქოს არავინ და არაფერია ირგვლივ, ყურადღებას არ აქცევს. თუ გაჭირვებული ძაღლი კანჭებთან დააცხრება,

კისერს შემოიქნევს და თავ-რქის ავი შეთამაშებით აგრძნობინებს მურიას: მომშორდი, საქმე ნახე, არა ვარ ის სულიერი მე, შენი ყეფის რომ მეშინოდესო. მურია დაქშენ-დაბღვერით შეცბუნებული, განზე გასტება წკავწკავით, მაგრამ ისტიბარს არ იტეხს. ახლა შედარებით უფრო ფრთხილად, ყეფა-ღრენით მიაცილებს სოფლის ბოლომდე, რათა მობრუნებულმა პატრონს კუდი გაუქიცინოს: ხომ ხედავ რა ერთგული ვარ, რამდენს ვწვალობ, მე რომ ამდენი არ მეფხიზლა, ვინ იცის ეხლა რა მოხდებოდაო.

მიადგება თავის ჭიშკარს ძროხა. აქ შეიძლებოდა მეთქვა პატრონის ჭიშკარს მეთქი, მაგრამ რაკიღა „თავის ჭიშკარს" წამომცდა, იყოს ასე, ქვეყანა არ დაიქცევა. თავისი ჭიშკარია, აბა რა არის. დაიზმუვლებს საყვარლად, შინაურულად, რაღაცნაირი სითბო აქვს ჩამდგარი ხმაში. იქიდან ხბო რომ გამოეხმაურება, გული საგულეს ჩაუდგება. და დგას სანამ ჭიშკარს გაუღებენ. ჭიშკრის გაღება თუ დაუგვიანეს, ერთს კიდევ შეახსენებს თავს პატრონს. თუ მაინც არ გაუღეს, დგას, ფეხს არ მოიცვლის. იცის, რაკი კარს არ უღებენ, ალბათ ასეა საჭირო.

რატომ გითხარი იცი ეს ყველაფერი? აქ, რა თქმა უნდა, ახალი არაფერია, მაგრამ მინდოდა შემედარებინა ერთმანეთისთვის ურთიერთობა ადამიანსა და შინაურ ცხოველს შორის და ურთიერთობა ადამიანებს შორის. რა მარტივია კაცისა და ძროხის დამოკიდებულება. რა ერთგულებით სავსე, რა ძალადაუტანებელი და ბუნებრივი. ახლა აქეთ გადმოვიდეთ. ხომ უფრო გამარტივებული უნდა იყოს ერთი შეხედვით? რატომ და პირველ შემთხვევაში ადამიანსა და პირუტყვს შორის დამყარებულ ურთიერთობაზეა ლაპარაკი. ორი სხვადასხვა სამყარო, ორი სხვადასხვა პოლუსი. ერთ მხარესაა ცივილიზაციის საუკუნეებგამოვლილი, ნაკითხი და განვითარებული, სამყაროს გვირგვინი — ადამიანი და მეორე მხარეს, არც მეტი, არც ნაკლები ცხოველი, პირუტყვი. მეორე შემთხვევაში ადამიანის ურთიერთობა ადამიანთან. ურთიერთობის ეთიკური ნორმები

დაწერილიც რომ არ იყოს და კანონით განმტკიცებული, ისედაც საქმე გაქვს შენს ანატომიურ წრესთან, შენს ფიზიოლოგიურ დონესთან, შენს ფერხორცთან, ამ სიტყვის ფართო გაგებით. და, მიუხედავად ამისა, რამდენი გაუგებრობის ჯამია ჩვენი ყოველდღიურობა. ჩვენი წუთისოფელი ხომ ურთიერთობის რკვევას მიაქვს. სულ შემართული უნდა იყო, სულგაფაციცებული. არ გაპატიებენ ერთ გადასხლტოლ სიტყვასაც, ჯვარს გაცვამენ ერთი შეცდომის გამო. ამას რომ თავი დავანებოთ, შეიძლება უფრო გაგამწარონ უთქმელმა საყვედურებმა. შენს გვერდით ისე შეიკვრება მძულვარე ადამიანთა წრე, რომ ვერც კი გაიგებ. ბეწვის ხიდზე გადის ადამიანი ყოველდღე. დამუხტულ ავაზასავით შემართული უნდა იყო. დილას კიბეზე შეხვედრილ მეზობელს თუ გემრიელი გამარჯობა არ უთხარი, სახლი რომ გეწვოდეს, შეიძლება ვედრით წყალი არ მოგაწოდოს.

ერთ ამბავს გიამბობ ადამიანთა ურთიერთობის სირთულესთან დაკავშირებით საიდუმლოდ. საიდუმლოდ იმიტომ, რომ არ მინდა გახმაურდეს და იმ პატიოსანმა ხალხმა გაიგოს, ვისაც შეეხება. ისეთი არაფერია, მაგრამ ხვალ-ზეგ შეიძლება ჩემს გულწრფელობაში ეჭვი შეიტანონ. პირველად შენ გიყვები ამ ამბავს მეთქი რომ გითხრა, არ ვიქნები მართალი. შენამდე ერთი-ორ კაცს მოვუყევი, მაგრამ არცერთმა არ დაიჯერა. ხუმრობა-ლაზღანდარობად ჩამითვალეს. შეიძლება, არც შენ დაიჯერო, მაგრამ გიამბობ. ესეც ურთიერთობის სირთულის ამბავია. ბოლომდე რომ არ ვენდობით და არ ვერწმუნებით ერთმანეთს. თორემ რა დაუჯერებელი ეს არის, კაცმა რომ თქვას!

ლისის ტბის ზემოთ, მუხათწყაროში, პატარა აგარაკი მაქვს. ჩემთვის ვბუჯურობ ხანდახან შაბათ-კვირას. ცოლ-შვილს საქმეს ვურჩენ მიწასთან. ვითომ ბოსტანი უნდა დავთესოთ, ვითომ ნერგები უნდა მოვრწყათ. მაღალი, ხრიოკი ადგილია და სასურსათო პრობლემის გადაჭრის იმედს ხეების ზრდის ტემპით და მარცვლეულის დათავთავების მასშტაბით თუ ვიმსჯელებთ, უახლოეს ოც წელიწადში არ იძლევა, მაგრამ რომ იტყვიან, ჩემს

ჭიას ვახარებ. ჭილოფის ქუდი მახურავს, ჯინსის გადაჭრილი შარვალი მაცვია და ახალბედა ფერმერს ვთამაშობ. ესეც საქმეა.

არ ვიცი, შვეიცარიაში როგორაა აგარაკთა გაქურდვის საქმე, მაგრამ შემიძლია ხატზე დავიფიცო, რომ ჩვენთან მოწოდების სიმაღლეზეა. მე მგონი საქართველოში არ არის სააგარაკო სახლი, ერთხელ მაინც რომ არ იყოს გაქურდული. ბევრი თვითონ არ ახმაურებს. არ უნდა გაქურდულის სახელი და ხალხის ყბაში ჩავარდნა. მოპარულს მაინც ვერავინ დამიბრუნებს და რაზე ვაჭორაო-ვაჭარტალო ხალხიო. თანაც ჩვენებური კაცის ამბავი ხომ იცი: სარაია-ჯიხური რომ გაგიტეხონ, და ერთი წერაქვის მეტი არაფერი მოგპარონ, ხმას დაყრიან, დაუღუპავთ მავანი, სოფლად მისი კოტეჯი-ქარვასლა (ან სრა-სასახლე) გაუტეხავთ და ორი ბატისკვერცხისხელა მარგალიტი, შვიდ კილომდე ფული და ოქროთი სავსე ხელჯოხი წაუღიათო.

სამი წელია, რაც ამხანაგობის წევრებმა ტიპიური საბოსტნე-სააგარაკე სახლები ჩავდგით ჩვენ-ჩვენს დაქანებულ ნაკვეთებზე და სამი წელია მოთმინებით ველოდით მძარცველებს. ამ ზამთარს წერტილი დაესვა ჩვენს მოლოდინს. თებერვლის პირველი შაბათი იყო რომ დამირეკეს, მუხათწყაროში სახლები გაუტეხავთო. ავედი, მართლაც გაეტეხათ ჩემს სამეზობლოში ხუთი სახლი.

სანამ სხვების ზარალს დავათვალიერებდი, რა თქმა უნდა, გულისბრაგუნით ავირბინე ჩემი სახლის კიბე. კარები საღ-სალამათია. არც ფანჯრებია ჩატეხილი. ისეთი წესიერი ქურდები სადღა არიან დღეს, სახლი გაგიქურდონ და მერე კარ-ფანჯარა გამოიკეტონ, ე მანდ ხელმრუდი არავინ შევიდეს და რაც ჩვენ დავაკელით, არ მოუთავოსო.

ერთი სიტყვით, გადარჩენილი ვარ. ხუთი რჩეული მეზობლის კარები ლომითაა შემტვრეული (ერთი ხელწერაა), რაც ხელში მოხვდათ, ხომ წაიღეს (თვით ძველი სააგარაკე ტელევიზორებიც კი); ლეიბ-საბნები დანით დაუსერავთ, ეჭვგარეშეა ფულს და ოქროულობას დაეძებდნენ. ვაცხადებ! რესპუბლიკაში და რეს-

პუბლიკის გარეთ „მოღვაწე“ ყველა ქურდის გასაგონად: არცერთი ჭკუათმყოფელი მოაგარაკე ფულს და ოქრო-ვერცხლს საგარაკო სახლში არ შეინახავს და ღვთის ანაბარა არ მიატოვებს. განსაკუთრებით შეძლებულნი ძვირფასეულობას კედელში დატანებულ უჩინმაჩინურ სეიფებში ინახავენ, ან სარდაფში ჩამარხულ თითბრის კუბოებში. ხოლო დამწყები მილიონრები ფულს სამლიტრიან ქილებში პრესავენ და გარაჟის (საკუთარი, ან სხვისი) უკან მიწაში მარხავენ. ამიტომაც ნუ გაირჯებით, გეთაყვა და ლეიბ-საბნებს ან გლობუსებს დანით ნუ დაჭრით, არ გეკადრებათ.

* * *

საღამომდე ვიტრიალე გაქურდულ მეზობლებს შორის. ცოტა არ იყოს, მრცხვენოდა ჩემი მდგომარეობის. რაღა მე ამიარეს გვერდი, ნუთუ ასე დაქცეულად მიმიჩნიეს, რომ ჩემთან ვერაფერს იპოვნიდნენ-მეთქი წასაღებს. მივუსამძიმრე, ვისაც მისამძიმრება ეკუთვნოდა. გავამხნევე გასამხნევებელი, ნუ გეშინია, ხდება ხოლმე მეთქი. თვითონვე განიცდის, ალბათ, სინდისის ქენჯნას შენი სახლის გამტეხავი მეთქი. არმად შეერგოს შენთვის წართმეული ლუკმა. ასეთები დიდხანს ვერ მოსძლევენ, მალე დაიჭერენ და შენს ნივთებს უკლებლივ დაგიბრუნებენ მეთქი.

ჩამთავრდა თითქოს ეს ამბავი, მაგრამ, შენ წარმოიდგინე, მოსვენება დავკარგე. შაბათ-კვირას ავდივარ მუხათწყაროში, რაღაცნაირ სინდისის ქენჯნას განვიცდი. რაღა ჩემი სახლი გაუტეხავი. ვინ იცის, რას ფიქრობს ეს ხალხი. ზოგმა, შეიძლება, ისიც კი იფიქროს; რაკი მაგისი სახლი არ გატეხეს, შეიძლება რაღაცაშია საქმეო. ან ქურდობის ხელშემწყობია, ან იცოდნენ ქურდებმა ტელევიზიაში რომ მუშაობს, განთქმული კაცი რომაა და პატივი სცეს, სახლი არ გაუქურდესო. პირველ შემთხვევაში ხომ დამარხული ვარ, არც მეორე შემთხვევაში ვარ უკეთეს მდგომარეობაში. არავის უნდა მეზობლად თავისზე უკეთესი.

გამიგე რაშია საქმე? შეიძლება შესძულდე მეზობელს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იძულებული ხდება შენი უპირატესობა აღიაროს. არავის არავისზე ნაკლებად არ მოაქვს თავი და როცა შენი სახლი ძარცვის რეიდის დროს ხელუხლებელი რჩება, გაძარცვულს ჯერ ეჭვი უჩნდება, მერე შურის გრძნობა და ბოლოს ზიზღი შენს მიმართ. ბოლოსდაბოლოს, რითი მჯობია, რაკი ტელევიზიაში არ ვტლიკინებ ყოველ საღამოს, ამიტომ სხვაზე ნაკლები ვარ, ვითომ მეო?

ჩემი ეჭვი ნელ-ნელა მართლდება. მეზობლები თვალს არ მისწორებენ. განზე ყურებით ცივად მელაპარაკებიან, ვერ იქნა და ვერ გაიბა ჩვენს შორის უშუალობის ის ძაფი, გაძარცვამდე რომ კეთილგანწყობილ, შეხუმრებულ, ერთ მუჭად შეკრულ კოლექტივად გვაქცევდა.

ვიფიქრე, ან უნდა გადავსახლდე აქედან, ან რაღაც უნდა მოვიმოქმედო, ამ კრიზისიდან თავის დასაღწევად მეთქი.

ვიპოვე გამოსავალი: ოცდაშვიდ აპრილს, შუაღამისას, ვეწვიე ჩემს ხაავარაკო სახლს. ნაჯახით (შედარებით ფრთხილად, ისე, რომ ზიანი არ მისდგომოდა) გავტეხე ბოქლომი, ჩემოდანში ჩავყარე, რაც ხელში მომხვდა. დანა დავუსვი ლეიბ-ხაბანს, მეტი დამაჯერებლობის მისაცემად ოთახები, როგორც უყურადღებო ქურდებმა იციან ხოლმე, მივანგრ-მოვანგრიე და თავქვე დავეშვი.

მეორე დღეს კვირა იყო. ვიცოდი, მეზობლები ადგილზე იქნებოდნენ. ავედი მუხათწყაროში, ახე, თორმეტ საათზე და შეტყობინ-შეცხადება არც კი დამჭირვებია. თანამოაგარაკეებს ღია კარი ჩემს მოსვლამდე შეემჩნიათ და ეზოში ფუსფუსებდნენ.

პირველმა ზურაბ გაგუამ მომისამძიმრა: გაუტეხავთ, მაგრამ არ შეგეშინდეს, ბევრი არაფერია წაღებულიო.

მილიციისა და, უფრო მეტად, მეძებარი ძაღლის მოყვანაზე, მე თვითონ ვთქვი უარი.

შეგეხარბება, ისე სიამტკბილად ვართ ახლა მეზობლები ერთმანეთში.

# გამგებიანნი

რუსებს სხვა მშვენიერ სიტყვათა შორის ერთი სიტყვაც აქვთ – „სოობრაზიტ“. ეს სიტყვა ლექსიკონებში განმარტებულია „მოსაზრებად“, „მიხვედრად“, „ურთიერთგაგებად“, „შეთანხმებად“, „აზრთა აწონ-დაწონვად“. როგორც ხედავთ, ქართულში ზუსტი შესატყვისი არ გაგვაჩნია.

მიუხედავად ამისა, „სოობრაზიტ“ რუსულში საკმაოზე უფრო ხშირად იხმარება და, როგორც ენათმეცნიერები ამტკიცებენ, ამ ხუთი წლის წინათ უფრო ხშირად იხმარებოდა.

„ეი, პარენ, სოობრაზიმ ნა ტრაიხ!“, მომესმა გიორგობისთვის ერთ სუსხიან დილით საჯარო ბიბლიოთეკისაკენ თავჩაქინდრულად, გამალებით მიმავალს.

შევჩერდი.

რომ არ დამავიწყდეს, ახლავე მოგახსენებთ, რომ მოქმედება ხდება მოსკოვში, ვოროვსკის ქუჩაზე, №111 გასტრონომის წინ.

მოსკოვში რა მინდოდა და დისერტაციის დასაწერად მივლინებით გახლდით. თუ მკითხავთ, შენ ხომ დისერტაცია აკაკი წერეთლის სატირულ ჟურნალებზე გქონდა, მოსკოვში რა მიგარბენინებდაო, ამჯერად კონკრეტული და ამომწურავი პასუხისაგან თავს შევიკავებ, რათა ჩემი ზნეობრივი სახე უნებლიეთ ხასწორზე არ შევაგდო.

ჩემს წინ ასევე ორი ჩემსავით ხელჩანთიანი და ინტელიგენტურად ჩაცმული, ხამამულო წარმოების მოსასხამიან-შლაპოსანი კაცი დგას.

ჩემი შეტყობით ოცდაათისანი ჯერ არ არიან და არც ბევრი არაფერი უკლიათ.

ეს მომართვა პირველად გავიგონე მეთქი, რომ გითხრათ, არ ვიქნები მართალი. მოსკოვში ბარე ერთი თვის ჩამოსული ვიყავ და გასტრონომთან გავლისას ხშირად მესმოდა. ისიც ვიცოდი,

რას ნიშნავდა, მაგრამ აქამდე თუ „სპასიბო, ნეკაგდათი“ ვიმორჩებდი, იმ დღეს, რატომღაც, შევჩერდი.

ხელში ხაგულდაგულოდ დაკეცილი მანეთიანები ეჭირათ და „უფროსი ძმები“ ერთდროულად მთხოვდნენ „შეთანხმებას“, „ურთიერთგაგებას“, „მიხვედრას“, „აზრთა აწონ-დაწონვას“.

უჩვეულო ჟინმა შემიპყრო. მოდი, ერთხელ მაინც არ გავაწბილებ ამ სერიოზულ ახალგაზრდებს. დავყვები მათს ნებას. სამი მანეთი გინდ იქეთ იყოს, გინდ აქეთ, ასორმოცდაათი გრამიც ვერაფერს მიშამს; ცოტა შევხურდები და უფრო ენერგიულად ვიმუშავებ მეთქი ბიბლიოთეკაში.

ამოვიღე სამმანეთიანი და გავუწოდე.

„ქდი ზდეს!“ დამიგდეს და საქმიანი სახე-ნაბიჯით გაუჩინარდნენ გასტრონომის მბრუნავ, ცხლადმქშინავ კარებში.

ვდგავარ, ველოდები. ფეხს ფეხზე ვაბაკუნებ. ასე იქცევა ყველა გარეთ მცდელი. რუსული ყინვა გინდა-არგინდა აგაცეკვებს. მალე გამოჩნდნენ ჩემი კოლეგა-შემთანხმებლები.

ძირს დაშვებულ ჩანთებზე, ყურებამდე ჩამოფხატულ შლიაპებზე და ბოლო ღილამდე შეკრულ მოსასხამებზე ვიცანი.

დაბალს მკერდთან მარცხენა ხელი აქვს გამობურცულ ადგილას მიჭერილი. ეს იმას ნიშნავს, რომ „ნადავლი“ სახეზეა. ახლა განზე გავდგებით და ჩვენ-ჩვენს წილ არაყს დავურტყამთ.

გვერდით ჩამიარეს და არც კი შემომხედეს.

მათი ეს, ცოტა არ იყოს, უცნაური საქციელი, კონსპირაციას მივაწერე. ალბათ, არ უნდათ, მე, ქართველ კაცს სახელი გამიტეხონ მეთქი.

მივყევი.

ოციოდე ნაბიჯი რომ გადადგეს, მოიხედეს და რაკი დარწმუნდნენ, მოგვყვებაო, ფეხს აუჩქარეს. კიდევ ერთხელ მოიხედეს და სირბილზე გადავიდნენ.

— ეი! ეი! რებიატა პადაჟდიტე! — მივდევ და მივძახი.

შენც არ მომიკვდე. უკანალზე ქუსლებს ირტყამენ ისე ხწრაფად გარბიან.

ყველაფერი გასაგებია. ჩემი გაცურება-მოტეხვა გადაწყვიტეს. შემატყვეს, რომ ამ საქმეში ხამი ვარ და ხამი მანეთი ამწაპნეს, არაყს კი არ მიწილადებენ.

ხიბრაზისაგან ყურები ამეწვა.

მე თქვენ გიჩვენებთ მეთქი, გულში ვამბობ, როგორ უნდა ალალი კაცის მოტყუება და აბუჩად აგდება. საფლავის კარამდე ჩაგხდევთ, ჩემს წილ არაყს არ შეგარჩენთ, თუ კაცი ვარ მეთქი.

არაყზე კი არ მწყდება გული, არაყი წაუღია ცეცხლს, მე იმაზე ვბრაზობ, რა რქიანი მნახეს, რომ ჩემი გაბითურება-გაცუცურაკება გადაწყვიტეს.

ხირბილში ერთმა მეორეს შლიაპაც მოხადა და ჩანთაც გამოართვა. არყისბოთლიანი წინ გარბის მკერდზეხელმიჭერილი. უბოთლო უკან მისდევს. ორი ჩანთა ერთად ამოუღლიავებია, შლაპაზე შლაპა ჩამოუმხვია და თავზე ხელით ამაგრებს, მიხტუნავენ კენგურუსავით, უკან მოუხედავად. რაღა მე და რაღა ბუზი, თითქოს და ჩემი სამმანეთიანი არც იდოს იმ არაყში.

ხადარბაზოში შეცვივდნენ და კარი მოიჯახუნეს.

მივვარდი, ვაკაკუნებ, ვაჯანჯღარებ ხის კარებს, ლამის შევანგრიო.

— ატკროიტე! — ვყვირი — ატკროიტე, ია ვამ გავარიუ, ატკროიტე სიჩასჟე!

გაგიგონია?

მივაყურადე. ლიკლიკით ჩადის ჩემი არაყი ჰიქაში. მომეყურა თუ ნამდვილად ასე იყო, ამას ჩემი გაცოფებისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

დავაჭირე თითები ღილაკებს. ერთბაშად აზმაურდა მთელი ხაზლი;

— ვამ კტო?

—გავო ხატიტე?

— ვი კუდა?

— კტო ვი!

— ხლუშაუ!

– ატვეჩიატე ეე!

– ატკროიტე ია ვაშ დრუგ, ნედავნო პრიეხალ მეთქი, მაგრამ ახლა ახალი ტალღა წამოვიდა სართულებიდან „ვინ ხარ“, „ვის დაეკარგე“, ვისთან ჩამოხვედი“, „მოშორდი მაქაურობას, თორემ მილიციას დავუძახებთო“.

მილიციის გაგონებაზე ფრთები შემესხა.

მთელი ძალით დავაბრახუნე და ჭუჭრუტანაში ჩავბღავლე:

– ატკროიტე სიჩასჟე, ა ტო მილიციუ პაზავუ!

გაჭრა.

კარი გაიღო. ღრიჭოში ჭიქიანი ხელი გამოჩნდა. არაყი ნახევარზე ცოტა მეტი ასხია.

– ნა, პეი! ზარაზა!

ჭიქა გამოვართვი. ხულმოუთქმელად გადავკარ. დავუბრუნე და კარებს მოვშორდი.

ჩემი თავმოყვარეობა გადარჩენილია. მოძალადეებს თავისი ხომ მაინც არ გავატანინე. ხომ ვერ დაიტრაბახებენ; კავკასიელს დღეს ხამი მანეთი შევაწერეთო.

მოვდივარ უკან გახარებული, გალაღებული, თავაწეული.

გასტრონომთან ორი შლაპოხან-ჩანთოხანი ახალგაზრდა კაცი დგას.

დაბალს მკერდზე აქვს პლაშის შიგნით არაყი ჩაბღუჯული.

დამინახეს და მაშინვე მომცვივდნენ.

– ვოტ ჩუდაკ, გდე ტი? ცელიი ჩას იხშემ!

ისინი არიან ნამდვილად, ვისაც ხამი მანეთი მივეცი. „სოობრაზიმ ნა ტრაიხ“-ის პასუხად.

თურმე წეღან სხვა რუსებს გამოვკიდებივარ.

რას ვემართლებოდი უკან რომ მივსდევდი და, თუ არ დამალევინებთ, მილიციას დავუძახებთ მეთქი, რომ ვემუქრებოდი!

აი ყოფილან გამგებიანი ბიჭები?

საკუთარი არაყი მიწილადეს.

არ მინდა ბიჭებო, თქვენ დალიეთ, რაღაც ვერა ვარ კარგად მეთქი, სიცილს ძლივს ვიკავებ.

ტი მტოვო, პირის შლა ვის გაუგია, ასეთ საქმეშიო, ახლა შენი სამი მანეთი სადღა ვიშოვოთო, შეწუხდნენ.

არ მინდა, ბიჭებო, სამი მანეთი, ღმერთმა შეგარგოთ, ალალი იყოს თქვენზე, მეთქი, ხელი ჩამოვართვი ორივეს და ვოროვსკს თავდაღმა დავადექი კალინინსკისაკენ.

„ვოტ ჩუდაკ“, — მომესმა. მოვიხედე. დგანან და შემომცქერიან.

# ნუ ხტუნავ

ნუ ხტუნავ, ნუ ტრიალებ ტანაჯორივით. საქმე არსად არ გაიქცევა. ვიცი გადარეულ დროში ვცხოვრობთ, მაგრამ თუ ტემპი არ დავაგდეთ ჩვენ თვითონ, ცუდ დღეში ჩავვარდებით. რაც მეტ სიჩქარეს გთავაზობს ცხოვრება, მით მეტად დაუმძიმდ-გაუნაზდი შენც. წამდაუწუმ საათზე მაცქერალი და გამქცევი კაცი ვერ დაქარგავდა ნიკორწმინდის ჩუქურთმებს.

განსაკუთრებით ორ რამეს არ უხდება სიჩქარე — ჭამას და, მოწიე ყური... სხვა რომ აღარაფერი ვთქვა. ამ გაუთავებელი ძიგძიგ-ცურცუკით იმდენს ვიზამთ, რომ მთავარ საქმეს წავაზდენთ და მერე უყარე კაკალი.

ჭამას გავს ახლა შენი ჭამა? თან ჩაის წრუპავ, თან გაზეთში გაქვს თავი წაყოფილი, თან საათს მიჭიჭინებულს კარისკენ გაგირბის მზერა. შეგერგება ასე მორთმეული რამე?

ჩვენი წინაპარი ჭამის წინ ქუდს მოიხდიდა, პირჯვარს გადაიწერდა და იტყოდა ლოცვას. ეს რიტუალი შეგამზადებდა, დაგაწყნარებდა, დაგამშვიდებდა. ცალ ფეხზე ხტუნვით, შენ რომ სადილობ ახლა, შეიძლება ჭამა?

ერთ პატარა ამბავს მოგიყვები; ჭამის დროს სიჩქარემ როგორ შემარცხვინა ერთხელ. მე პირადად, იმ შემთხვევის მერე, ფაცხაფუცხით ჭამა მივატოვე. ქვეყანა რომ იქცეოდეს,

სანამ არ დავრწმუნდები, რას ვჭამ, სად ვჭამ და ვისას ვჭამ (ხო ხო ვისას ვჭამ, ნუ გეცინება), მანამდე საჭმელს არ გეკარები.

სანამ იმპერია დაინგრეოდა და ჩვენთვის, ცალკე გავიდოდით, მოსკოვში ხშირად მიწევდა მივლინებით ჩასვლა. ფონდებს მოსკოვი გვიმტკიცებდა და მოსკოვი გვინაწილებდა. შენს მოწეულ ყურძენ-მანდარინს და შენს ჩამოსხმულ „ბორჯომს“ ხელს ვერ ახლებდი უმოსკოვოდ. ამნაირი უბედური დრო იყო. ხანდახან ისე, არაფრისგულისთვის დაგვიძახებდნენ მოსკოვში, უსაქმოდ, ზოგადი ლაპარაკის მოსასმენად, ჭკუის დასარიგებლად. ახლა რომ ვუფიქრდები, ამას იმიტომ აკეთებდნენ, რომ არ დაგვვიწყებოდა ცენტრი და თავისუფლებაზე ფიქრი არ მოგვსვლოდა თავში.

მოსკოვში ვარ მივლინებით. ერთი თათბირი დამთავრდა, მეორე იწყება. ნახევარსაათიანი სასადილო შესვენება გამოცხადდა. ბუფეტში იმსიგრძე რიგი გამწკრივდა (მაინც როდის ასწრებენ, რა კოხტად მიუდგებიან ერთმანეთს და გაჭიმავენ უშველებელ რიგს), რომ ჩაი და სასისკი მესამე შესვენების დროსაც არ მომიწევს. არადა გაპარვა არ გამოდის. სიას კითხულობენ და, შეიძლება, სიტყვის სათქმელადაც გამომაცხადონ. ამას მაშინ ადგილებიდან „ამხანაგების“ ინფორმაცია ერქვა. შენი აზრები და წინადადებები არავის აინტერესებდა. ხელმძღვანელო იდეებს მხოლოდ მოსკოვი იძლეოდა.

კიბე ჩავირბინე, ქუჩაში გავედი და სასადილოს მივაშურე. ხალვათობა, რასაკვირველია, არც იქ იყო, მაგრამ, გაჭირვება მანახე და გაქცევას გაჩვენებო, მარიფათს მივმართე. ხელში ცხრილებით და ფაქტებით („მონაცემებს“ ეძახიან კანცელარიულ ენაზე) სავსე საქაღალდე მეჭირა, მაგიდასთან, სკამზე დავდე. ამით მაგიდა „დავიბევე“, მერე ურიგოდ ჩავიგდე პლასტმასის ლანგარი ხელში. ვიღაც ღვთის-მადლიანმა (ჩანს სხვაში შევეშალე) თვალი ჩამიკრა, წინ ჩამიყენა. პირველი კაცი ვარ – ბორში, კატლეტი და თქვენ წარმოიდგინეთ, კომპოტიც კი

ციმციმ მივიტანე მაგიდასთან, დავაწყვე და ლანგარი თავის ადგილზე (საიდანაც ავიღე) დავაბრუნე. მაგრამ დამლაგებელი ქალის მრისხანე ხმა მომესმა: ლანგარი სამრეცხაოს ჩააბარეთ!

ვითომ მე არ მეხება მეთქი, წავუყრუე და ჩემი მაგიდისაკენ წავედი.

დამლაგებელი დამეწია და ხელი ჩამავლო.

– თქვენ რა, ყურში არ გესმით?

რაშია მეთქი საქმე?

– თქვენი ნახმარი გობ-ქილით სხვამ ისარგებლოს?

სუფთაა, წვეთი კერძიც არ დამქცევია მეთქი.

– მაგას არა აქვს მნიშვნელობა, რაკი გამოიყენეთ, სამრეცხაოს უნდა ჩააბარდესო.

არ ღირს ამათთან კამათი. მოვძებნე ჩემი გობქილა და სამრეცხაოს სარკმელში შევჩურთე.

დავბრუნდი. რას ნახავ უარესს. ჩემს სადილს ზანგი მიჯდომია, ბორში გადმოუღია და მადიანად მიირთმევს.

გავბრაზდი, მაგრამ არ შევიმჩნიე. ზანგი კი ხარ, შე ოჯახაშენებულო, გულში ვამბობ, მაგრამ გეთხოვა მაინც, ასე უბოდიშოდ სხვის სადილს რომ დაეპატრონე მეთქი.

ჭამოს, რა ვუყო ახლა, ვინ იცის, როგორ უჭირს. ქართველი კაცი ვარ, ბორშის გულისთვის კაცს ხომ არ ვაწყენინებ მეთქი.

გადმოვიღე კატლეტი და შევუდექი ჭამას.

ზანგმა თავისი თეთრსკლერიანი შავი თვალები გაოცებით გამომაყოლა.

როგორც ჩანს, კატლეტიც გსურდა, მაგრამ ვერ მოგართვეს, რა ვქნა, ძმაო, მეც მშიერი ვარ და ძალიან მეჩქარება.

ზანგმა ბორშის ჭამას მოუჩქარა, თან თვალს არ მაშორებს.

მეც ელვისსისწრაფით ავითვისე კატლეტი და ჩვენი ხელები თითქმის ერთდროულად მიწვდნენ კომპოტს. რა თქმა უნდა დავასწარი, კომპოტიც წინ დავიდგი და დაჩემების ბეჭედი დავასვი – ცოტა მოვსვი.

ზანგი წამოხტა და ფაცხაფუცხით მოუხვა კარებისკენ.

შვებით ამოვისუნთქე.

კომპოტი ნახევარზე რომ დავიყვანე, ჩემი საქაღალდე გამახსენდა.

სადღაა საქაღალდე.

ეჭვი არ არის – ზანგმა სტაცა ხელი და წაიღო. კაცმა სხვისი კერძის ღლისით-მზისით მიტაცება არ ითაკილა და საქაღალდეს ხელს დააკლებდა? ვინ იცის, იფიქრა, ფული ექნება შიგო.

წამოვხტი და კარებისაკენ გავიქეცი, მაგრამ ზანგი თითქოს, მიწამ ჩაყლაპაო. არსად ჩანს.

გულმკვდარი, ადუღებული შემოვბრუნდი სასადილოში. მიწა გამსკდარიყო და ის საქაღალდე არ დამკარგვოდა, სამმართველოს მთელი დოკუმენტაცია შიგ მედო.

შემოვედი სასადილოში, ერთხელ კიდევ მოვავლე თვალი მაგიდებს და:

აგერ არ დევს ჩემი საქაღალდეც და ხელუხლებელი ჩემი სადილიც?!

## ცხედარი

„კრიტიკის" რედაქტორი ვარ. ჩემს კაბინეტში ჰილოფისქუდიანი, მოსასხამიან-ულვაშებიანად გაწუნებული, სკვინჩასავით დალეული, დიდპორტფელიანი კაცი შემოვიდა. დაჯდა, პორტფელი მუხლებზე დაიდო და მიყურებს.

– ვერ მიცანი, მგონია, რეზო.

– მაპატიეთ, ძალიან ნაცნობი სახე გაქვთ.

– რევაზ მიშველაძე ხომ ხართ, ქუთაისელი, სხვასთან ხომ არ მოვხვდი?

– არა ბატონო, მე ვარ ნამდვილად.

– მერე მე ვერ მიცანი? ჯიმშერი ვარ, საპანაძე, მწერალი.

„უი, დამიდგეს თვალი, როგორ ვერ გიცანით“-მეთქი. არ მითქვამს, არ შემიცხადებია; „ახლა რომ დაილაპარაკეთ, თანდათანობით გცნობთ, კარგა ხანია არ მინახავხართ, ხომ მშვიდობით ბრძანდებით მეთქი“. ვერ დავმალავ, მართლაც გამახსენდა. ჩემი სიყმაწვილის დროსაც ზუსტად ასეთი იყო. ამ ორმოცი წლის წინათაც ამ ქუდით და პლაშით დადიოდა და უშველებელ პორტფელს დაათრევდა. მე მისი არაფერი წამიკითხავს, მაგრამ რაღაც-რაღაცეებს წერსო, მაშინაც ამბობდნენ.

– სერიოზული საქმე მაქვს, ჩემო რეზო, შენთან.

– შენი ხმალი და ჩემი კისერი.

– ცხედარი ჩამოვიტანე და შენ უნდა უპატრონო, შენს მეტი არავინ მყავს მე აქანა.

ფეხზე წამოვდექი.

– მონაწილე ვარ ბატონო ჯიმშერ, როდის მოხდა ეგ ამბავი?

– დღეს, ა, ამ დილით პირდაპირ მოვდივარ მატარებლიდან, შენ უნდა მიშველო და დამიბინავო, რავარც წესი და რიგია.

– კი ბატონო, რაც შემიძლია, ვისი ცხედარია, ბატონო ჯიმშერ? – შევწუხდი გულწრფელად.

– ვისი იქნება, ჩემი ცხედარი ჩამოვიტანე, რავარც იქნა.

ყოველ შემთხვევისათვის მარმარილოს საშრობი, ხამელნე და ქაღალდების დასამძიმებელი ტყვიის მედალიონი გადავაჩოჩე უჯრაში.

– ეგ კი გასაგებია, ბატონო ჯიმშერ, მაგრამ თვით ცხედარი ვისია, რა არის თქვენი?

– ჩემი ცხედარია, საკუთარი, რავა კი არ მომიპარავს.

კარებისკენ წასვლას და მდივნის გაფრთხილებას ვერ გასწრებ. ყურმილი რომ ავიღო და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დავრეკო, ვაი თუ აღგზნებულია და თავს დამესხას.

–– დამშვიდდით, რას იზამთ, ესე იგი თქვენი ცხედარია?

– ჰო, ჩემი. კაცო, მოთხრობაა – „ცხედარი“, შენ უნდა დამიბინავო და უპატრონო, არ უნდა ამას ლაპარაკი.

სავარძელში ჩავეშვი და ისე დიდხანს და ხმამაღლა

გზარზარებდი, რომ ჩემი მოადგილე გრიგოლ ჯულუხიძე შემოვარდა. რაკი მე მოყოლის თავი აღარ მქონდა, სტუმარს ჰკითხა:

– რა უთხარით ამნაირიო.

„ცხედრის“ პატრონი იჯდა და გაკვირვებით მოგვჩერებოდა ხან მე, ხან გრიგოლს.

# კაცია და გუნება

ლამაზად ლაპარაკობ, ჩემო იმანო, მარა მაინც ვერ დაგიკრავ კვერს ყველაფერზე და არ გეწყინოს. კი, მართალია, ადამიანი დიაკვნის ჯორივით ყველა კართან არ უნდა ჩერდებოდეს, თავისი სვე-ბილიკი უნდა ჰქონდეს და იმას ერთგულებდეს, მარა მომიძებნე კაცი, ამ დუნიაზე, მთელი ცხოვრება ერთ აზრ-ჭკუაზე გაევლოს. გუშინ ასე თქვა და დღეს იმას ამბობს, ამნაირებს ვერ ვენდობითო, რომ იძახი, აბა შენს გულში ჩაიხედე? შენ არ გადაგითქვამს და არ გადაგივარავს? ადამიანი ცოდვის შვილიცაა, მარტო ანგელოზის მოვლენილი როდია ამ ქვეყანაზე. რა იცი, როდის რა ქარ-ბორია აწვება მის ჭკუა-ხაქციელს. ეგებ ხულ არ ჰქონია თავში და სხვისი ხათრით წავიდა იმ საქმეზე. ეგება ვიღაცამ აწყენინა და წყენა, ხომ იცი, რა ოხერია, თეთრს შავად მოგაჩვენებს. მე მაინც იმის მომხრე ვარ, რომ მეტი პატიება-შენდობა იდოს ამ ხელისუფლების სასწორზე და კაცის ყადრი ვიცოდეთ. ნამეტან ბევრს ვყვირით ამ ბოლო დროს; არ დავინდობთ, ასე და ასე ვუზამთ, გვეყო, რაც კოჭი ვუგორეთო. ისიც ხომ ამას იძახდა, ის გადარეული. არიქა, დაერიეთ ერთმანეთს, ამხილეთ, გააპვრეთ ტყავიო. არ შეიძლება ამდენი დევნა-მუქარა, ბატონო. როგორც თქვენ გეტკინებოდათ ტყავის გაძრობა, ისე ტკივა სხვასაც. ადამიანი,

მოგეხსენება, ბლის ხე არ არის, ორჯერ და სამჯერ გატყავება რომ შეიძლებოდეს. რაც არ უნდა გაგვიჭირდეს, შურისმაძიებლებად ნუ ვიქცევით და ხალხს ნუ გავამწარებთ. იმ უნახავებს ნუ დავემსგავსებით. თქვენ წაქცეულები უკვე იყავით და წამოდექით ხომ? მთავრობაშიც პირველად და ხამად არ ხართ, ამიტომ, მამაჩემსა აქვს ცხონება, ნუ დაუჯერებთ მჩხავანა მრჩევლებს — ისინი კარგს არაფერს ჩაგძახებენ. წაქცეულს სანამ ადგებოდეს, მეორედ ვერავინ წააქცევს, ხომ მართალია? თუ წაქცეული წამოდგომას ცდილობს და ბორძიკობს, ნუ მივარდები და წიხლს ნუ ჩააზელ — იგი შენი ურგები ძმაა და დააცალე ცოტა, იქნებ — იმიტომ დგება, რომ ხელი ჩამოგართვას და თავის გზას ეწიოს. რა მოხდა, შე კაცო. ნუ ამოიღებ შენს სისხლს და ხორცს გულიდან, მითუმეტეს, თუ, ისეთ ცოდვას არ სჩადის, შენ რომ არ ჩაგიდენია.

ერთი მეგრული ანდაზა ამბობს: ძაღლს გიდელში ძალით ვერ ჩადენიო. ძალით დამორჩილებული შენი ერთგული ბოლომდე ვერ იქნება. მოგეხსენება, ძალით წართმევა შეიძლება, მიცემა კი არა. დამიჯერეთ, ტკბილი სიტყვით უფრო მოიგებთ, ვიდრე მათრახის ტკაცუნით და მაუზერის ტრიალით. ბოლოს და ბოლოს ჩვენ ყველას ჩვენ-ჩვენი ხიკვდილი გვკიდია ზურგზე და ნუ ვათქმევინებთ თავმოზეზრებულ კაცს — ვაიას ნასახლარზე უია დაესახლაო.

კაცი გუნების შვილია და, თუ მომისმენ, გიამბობ, გუნებაგანწყობილებამ, ერთხელ ჰიტლერის დამცველის როლშიც რომ გამომიყვანა. რა გეცინება, ჰო, არც მეტი არც ნაკლები — ჰიტლერს გამოვესარჩლე.

ეს ამბავი ათას ცხრაას ორმოცდარვა წელს მოხდა. მერვე კლასის მოწაფე გახლდით. ცხრა მაისის ზეიმზე კომკავშირლებმა სახიობა გავითამაშეთ. მოგეხსენება, მაშინ, ყველაფერი ჰიტლერზე ჩვენს გამარჯვებას უნდა დაკავშირებოდა. ჰიპოკრატე რევიშვილისაგან ორთვალა ვინათხოვრეთ. გამხმარი თხილის წნელები მოვზიდეთ. ორთვალა გალიად გადავაკეთეთ. ჩვენი

კლასელი ავთოია ჯღამაძე ჰიტლერულად გამოვაწყვეთ, ქოჩორი მარჯვნით ჩამოვუშალ-ჩამოვუვარცხნეთ, ნახშირით ორთითა ულვაში დავახატეთ და გალიაში შევსვით. მე და ერთი ბიჭი ხის თოფებით გვერდით მივსდევთ ორთვალას. კოფოზე კომკავშირის მდივანი ხანდუხაძე ზის და გავუყევით ქუთაისის ქუჩებს. ჰიტლერი-ჯღამაძე ტუსაღი ყურებჩამოყრილი მიყრდნობია წკნელის კედლებს. რომ შეხედო, გამოხოხებული ჰიტლერია. ხანახაობამ, რომ ველოდით, იმაზე მეტი ეფექტი გამოიწვია. გალიაში შეყუჟულ რაიხსკანცლერს სტვენა-გინებით ხვდებოდა ხალხი. ჩვენს ბადრაგ-ბალაგანს უამრავი ხეირის მოყვარული მოსდევდა. ექსტაზში შესული მაყურებლები ჯოხებსა და ტალახის გუნდებს ესროდნენ, ენას უყოფდნენ, დედ-მამის სულს უხსენებდნენ ჭკუანაღრძობ ფიურერს. ჩვენ, საბჭოთა სასამართლოს გუშაგები, რაც შეგვეძლო, ვიცავდით ტყვეს, მაგრამ მაინც მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. ბიძაჩემი, ავსტრიიდან 1947 წელს დაბრუნებული (კონცლაგერიდან გაქცეულიყო და სამი წელი ავსტრიულ სოფელში ვიღაც ღვთისნიერი ქალი მალავდა თურმე) ბახვა ჩაჩანიძე, ცალხელა, კონტუზირებული აზმახი საიდან წამოგვეპარა, ვერ გავიგეთ. თვალისდახამხამებაში ორთვალაზე შეხტა, ხიმწრით მოწნული გალია გადმოანგრია-გადმობარჯღა, ჰიტლერ-ჯღამაძეს საყელოში ჩაავლო ხელი, გადმოათრია, ძირს დასცა და საშინელი გინებით წიხლებით შესდგა. აირია მონასტერი – მიშველეთო, ყვირის ჯღამაძე. მივცვივდით, ვექაჩები ცარიელ სახელოში ბიძაჩემს, მარა გაგიგონია? ისეა კაცი გამწარებული, რომ, ვერ იქნა, ვერ მოვწყვიტეთ. შევუვარდით წელში მე და მეორე გუშაგი, გადმოხტა კოფოდან მდივანი ხანდუხაძე, წამოგვეშველნენ სხვებიც და, როგორც იქნა, გავარიდეთ ბიძაჩემი მსხვერპლს. წარმოდგენის ჩაშლას ვინ დაეძებს, ისე იყო ნაცემ-ნაგვემი უდანაშაულო ჯღამაძე, რომ თვალ-პირი გაერთიანებული ჰქონდა და ორ თვეს სკოლაში არ მოსულა.

გითხრათ სიმართლე, ჯღამაძეზე უფრო მე გავბრაზდი

ბიძაჩემზე. ბაზვას უტაქტო საქციელი, რატომღაც, პირად შეურაცხყოფად ჩავთვალე. იმ საღამოსვე ვეასელ ბიძას და ცხელ გულზე ცოტა მეტიც მომივიდა; რა დაგიშავე, რომ სკოლაში თავი მომჭერი მეთქი, რას ერჩოდი საწყალ ჯღამაძეს, რა დაგიშავა ასე რომ გაიმეტე მეთქი.

მეო, ჯღამაძეს კი არა, გარეწარ ჰიტლერს მოვკიდე ხელი ყანყრატოშიო. შენ, რა იცი, ვინ იყო ჰიტლერიო, შენ იქ არ ყოფილხარ და გაქცეულს არ იმასგიქნაო. გაქცეულს რომ იმასგიქნიაო, მაშინ ამას არ მეტყოდიო. დამიწყეს თეატრობია ამგენმა აქანაო. რავარი საყურებელია ჩემთვის ეს, მარტო იმან იცის, ვინც ჩემ დღეში ჩავარდნილაო. ეს ხელი რომ მკიდია ნიფხვის ტოტივით, რავა ფიქრობ, დაბადებიდან ასე კი არ დამყოლიაო. თქვენთვის თეატრი და ღადაობაა ჰიტლერი და ჩემთვის ბედისწერა იყოვო.

არ ვიცი, რა ეშმაკი შემიჩნდა, ჯღამაძეს თავი გავანებე და ახლა ჰიტლერს გამოვესარჩლე. შე კაი კაცო, გალიაში ტურასავით შემწყვდეული კაცის ცემა რა ვაჟკაცობაა მეთქი. ხომ ხედავდი, იმას სამაგიეროს თავი რომ არ ჰქონდა მეთქი. ჯერ ერთი ჰიტლერს, რავა, შენი — ბაზვა ჩაჩანიძის ყინი კი არ ჰირდა მეთქი.

თუ არ გინდოდა მაგ ხელის დაკარგვა, რას მიძვრებოდი იმ ტყვიის წვიმაში მეთქი. ჰიტლერმა ქე იცოდა, ვისაც ებრძოდა, შენ ვისი ტიკი-ტომარა იყავი მეთქი. რუსს შენი დახმარება რაში უნდოდა მეთქი. რავარც ჰიტლერმა დეიკავა ევროპა, ნუ გეშინია, მასე აქვს დაკავებული რუსეთს ნახევარი ევროპა და ნახევარი აზია მეთქი. შენ შენს ეზო-ბუდეს მიხედე, რა შენი საქმეა ჰიტლერისთვის ჭკუის სწავლება მეთქი. ახლა აღარ მახსოვს, სხვაც ბევრი ასეთი სისულელეები ვუთხარი მაშინ ბიძაჩემს.

ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ხელი მომკიდა, უსიტყვოდ ჭიშკართან მიმიყვანა, შემაბრუნა და იმნაირი პანღური მრეკა, ვენახზოლომდე თვალებიდან სულ წინწკლები მცვიოდა.

# ჩვენ

ნუ გიკვირს ნურაფერი. ქართველი რომ არ ჩაიდენს ის გაგიკვირდეს, თორემ, რასაც ჩაიდენს ნუღარ გიკვირს. ნუ გაზომავ ჩვენს საქციელს ჩვეულებრივი საზოგადოებრივი საზომებით. აბა დააკვირდი, სამოცდაათი წლის განმავლობაში ნახევარი მსოფლიო ცდილობდა ყალიბში ჩვენს მოქცევას, მაგრამ ვერ შეძლო. თუ ვინმე ურღვევდა მყუდროებას საღათას ძილით გათანგულ იმპერიას, სწორედ რომ ქართველი იყო. რაღაცა გვჭირს ნამდვილად, სხვებს რომ არ ვგევართ – ფაქტია. შეიძლება არცა ვართ მაიმუნის ჩვეულებრივი ევოლუციის გზით გაჩენილები, შეიძლება, მართლა სხვა პლანეტიდან ჩამოსულები ვართ. აბა რა იყო, რამ დაბადა ცივილიზაციების ზამთრის ძილის პერიოდში „ვეფხისტყაოსანი“? რამ გააჩინა აგერ ა გუშინ გალაკტიონი ლექსის გაღარიბების მეოცე საუკუნეში სწორედ რომ ქართველად? საიდან მოვიდა ეს მარადიული ეროვნული უძილობა და პიროვნული დაუკმაყოფილებლობა სწორედ რომ მეოცე საუკუნეში?

რიო-დე-ჟანეიროში ორი ქართული ოჯახი ცხოვრობს და ერთმანეთს ემდურიანო, შენ ჰყვებოდი წეღან. იქნებ მანდაც რაღაც მაგიური იმალება? იქნებ ეს ურთიერთქიშპით კი არა, პირიქით, ურთიერთ დიდი სიყვარულით და მომთხოვნელობით მოსდით? იქნებ ყოველთვის იმაზე მეტს ითხოვს ჩვეულებრივ თვისტომისგან ქართველი, ვიდრე სხვა ერის წარმომადგენელს შეუძლია მოსთხოვოს თავის თანამოძმეს? ესეც აუხსნელია, ისე, როგორც ბევრი რამ ქართველი კაცის ხასიათში.

ქართველი ხომ უხსოვარი დროიდან გამოვიდა ჯოგური, ტომური ურთიერთობების მღვიმიდან. მისთვის ადამიანური ურთიერთობების ინტენსივობა სხვა პარამეტრით იზომება და სხვა კანონებით დგინდება.

ერთ მაგალითს გეტყვი: მე პოლიტპატიმარი გახლდით. თერთმეტი წელი ვიჯექი ნორილსკის მახლობლად, მეთვრამეტე

არქიპელაგში. ჩვენს ბანაკში სხვადასხვა ენა-რჯულის პატიმრები იხხდნენ. მოკლედ, მაშინდელი ტერმინი რომ ვიხმარო, ინტერნაციონალური ბანაკი იყო.

დილით სპილენძის საბადოებში სამუშაოდ გავყავდით, საღამოთი დაღლილ-დაქანცულებს ბადრაგით გვაბრუნებდნენ. ვაკვირდებოდი სომხებს; ხომ ჩვენი მსგავსი, ჩვენი ძმა ხალხია. საღამოს, თუ ერთი პატიმარიც დააკლდებოდათ (ან ზედამხედველი დახჯიდა გაობახტით, ან ვინმეს შემოელახებოდა და სანპუნქტში გაამწესებდნენ), ვახშამს პირს არ დააკარებდნენ. მოიყვანეთ ან შეგვატყობინეთ სად არის, თორემ შიმშილობას გამოვაცხადებთო. ასე იქცოდნენ სხვებიც, ერთი შეხედვით, ცოტა თვისტომისადმი გულგრილი ბალტიისპირელებიც კი. ქართველებს არ იკითხავთ? შვიდი პატიმარი ვიყავით არქიპელაგში და არცერთხელ არ მახსოვს ერთმანეთი მოგვესაკლისოს, ერთმანეთი გადაგვეთვალოს. ჩვენს ერთმანეთის გატანაპორწიალით თავს არავის ვაცოდებდით და არც იმის ილუზიას ვქმნიდით: ხომ ხედავთ, როგორი მონდომებულები ვართ ერთმანეთის გადარჩენისთვისო.

რა იყო ეს? ეროვნული სიამაყე? მტრისთვის თვალის ახვევა?

იქნებ ორივე ერთად?

თორემ სიყვარულით ერთმანეთი, ღმერთო, სიყვარულით ერთმანეთი როგორ არ გვიყვარდა.

ღამ-ღამობით თავ-ფეხთით დაწოლილები ერთმანეთის გალიგვებულ ფეხებს გულში ვიკრავდით და მახორკის ბოლო ნაფაზს ერთმანეთს ვაწვდიდით, ოღონდ ისე, ხხვათაშორის, ხხვას რომ არ შეემჩნია.

# მეტეორი

სისულელეების ჟამი იყო ჩემი სიყმაწვილე და ასე სისულელ-სისულელეებით გავედი ბოლომდე. შენ არ მომიკვდე, მე დაჭკვიანება და დაბრძენება არ მეგრძნოს.

შეცდომების ჟაჭვი ყოფილა ადამიანი, მეტი არაფერი. – ახალგაზრდობა იმიტომაა ყველაზე ლამაზი ასაკი, რომ ანგარიშებით არ გაქვს თავი დამძიმებული... ამკრძალავ ნიშნებს მაინცდამაინც დიდ პატივს არა სცემ. გაბედული ხარ... ჟიქურ ასკდები ცხოვრების ბარიერს. სიფრთხილისა და წინ-დახედულების ბორკილი ვერაფერს გაკლებს.

ახლა? ჩემს ასაკში? დამანებე თავი, თუ კაცი ხარ. „ეს არ შეიძლება“, „ეს არ მეკადრება“, „ეს დაგვიანებულიამ“ ლამის შემჭამოს და სული ამომართვას.

ამ ორი კვირის წინათ ისეთი სისულელე ჩავიდინე, დარ-ჩენილ ორ პარასკევს რომ მეყოფა საკვნესად და სანანებლად. გიამბობ ისე, გულის დასაბერტყად, თორემ შველით რას მიშველი.

დეკემბერი იწურებოდა.

უსიამოვნო, ქარყინვიანი ამინდი იდგა.

ტროლეიბუსიდან ჩამოვედი, ტალახიან გვირაბში გავძვერი და ჩვენი კანტორისაკენ მივაბიჯებ. თავჩაქინდრული, რომ იტყვიან, მხრებაწურული.

ვფიქრობ, რა გაძლებს მეთქი ამ სიცივეში ჩემს კაბინეტში რვა საათს. რაც მოსკოვმა გაზი და ელექტრონი შეგვიწყვიტა, მოგეხსენება, არსად არაა წესიერი გათბობა და ჩვენთან იქნება? ძველთაძველი შენობაა, ომამდე დამონტაჟებული მილგაყვანილობა და რადიატორები უდგას.

კიბე რომ ამოვიარე, მაშინვე შევნიშნე ქერათმიანი, დიდტუჩება ლამაზი გოგო. ბუკლეს ჭრელი პალტო ეცვა და ქუდი, რასაკ-ვირველია არ ეხურა.

პურის მოგრძო ნაჭერი ჩაებღუჯა და ისე მადიანად ჭამდა, თვალს ვერ მოწყვეტდი. ჭამდა თავის სილამაზეში, თავის თვალმოუწყვეტლობაში დარწმუნებული. თითქოსდა აზარბებდა ქვეყანას თავის ოც-ოცდაორ წელს. ჭამდა თამამად და უფრო თამამად აყოლებდა თვალს გამვლელ-გამომვლელთ. ადრე არასოდეს შემინიშნავს. არც სიცივე აწუხებდა, არც, ჩემი შეტყობით, დიდი რამე დარდ-საზრუნავი.

იდგა ახალი ადამიანი, საზოგადოებას შემატებული ლამაზი გოგო, თითქოსდა იმ თავაწეული თამამი დგომით და ხუფთა თვალებით მთელ ქალაქს აფრთხილებდა, მოვედი მე და ანგარიში გამიწიეთო... ჩემი წილი, რაც მეკუთვნის ამ ცხოვრებიდან, კეთილი ინებეთ და გამომიყავითო, თავის ადგილს ითხოვდა, მეტს არაფერს.

თქვენ ვერ წარმოიდგენთ რა სილამაზეა... ერთი და იგივე ხალხით გაბეცებულ, გახუნებულ ქუჩაზე უეცრად რომ გამოჩნდება ახალი სახე, ახალი პიროვნება. გუშინ იგი ბავშვი იყო და ვერ ვამჩნევდით. შეიძლება აქაც ბევრჯერ შეგვხვედრია მოწაფის ჩანთით და წითელი წკაპუნებით. ახლა ერთბაშად წამოიმართა ჩვენს წინაშე და. ბიჭი ხარ, არ შეხედო, თვალი არ გააყოლო. თუ მოინდომა ტვინს გადაგიბრუნებს და ფეხს აგარევინებს.

შევხედე და ჩავუარე. მეტი რა. მე ორმოცდაათი წლის კაცი ვარ. სხვა არაფერი მეხება.

ჩემი წილი სისულელეები ჩადენილი მაქვს.

თვალს ხომ არ გავუსწორებ ოცი წლის ანგელოზს და სასაცილო მდგომარეობაში ხომ არ ჩავიგდებ თავს.

იგი სხვა გაზაფხულებს მოჰყვა. სხვა თაობას ეკუთვნის. თავის ჩანჩქერებს ათამაშებს.

ვტუცავ ახლა ჩემს კარებში თავს და ვაჩხაკუნებ საღამომდე ჩემი მოწყენის ჩოთქს.

ეს ყოფილა ჩემი ბედი.

კარებამდე ათიოდე ნაბიჯი არ მექნებოდა გადადგმული, რომ მკლავზე ვიღაც შემეხო.

— თქვენ, თქვენ... — მოვიხედე, ის არის. ცალ ხელში პურის დარჩენილი ნაჭერი უჭირავს, მეორეთი ჩემს ძველთაძველ, გაცრეცილ ხელთათმანს მაწოდებს.

— მე მგონი, თქვენ დაგივარდათ.

— დიდი მადლობა, ხაყვარელო, — რა ჯანდაბამ ამოაგდო, ჯიბეში მედო, გამოვართვი...

არ მიდის. პურს ჭამს, ისევ ისე, მადიანად და გემრიელად.

— ნახეთ, მეორეც ხომ არ დაკარგეთ.

ჯიბე მოვიჩხრიკე.

— მეორეც ამომვარდნია, ეს ოხერი. იქვე იქნება, ეს სად იპოვნეთ?

გვერდით მომყვება, ჭადრებთან არ ჩანს ჩემი ხელთათმანი. იქნებ გვირაბში დამივარდა.

მოვიხედე, მომყვება.

— არა უშავს. თქვენ წაბრძანდით, ვიპოვნი როგორმე. თუ არა და თქვენი ჭირი წაუღია, ტროლეიბუსში ისეთი ქიჩაობაა, ხული არ შეგრჩება კაცს. შეიძლება ტროლეიბუსშიც ამომივარდა.

ავიარეთ გვირაბი. გაჩერებამდე მივედით. და უკან გამოვტრიალდით.

შეწუხებული სახე აქვს.

— რას უზამთ ახლა ამ ცალ ხელთათმანს?

დავაკვირდი, ხომ არ დამცინის.

— რა უნდა ვუყო, გადავაგდებ.

— ჯერ ნუ. იქნებ აღმოჩნდეს — გაიცინა — ხზვათაშორის, ერთხელ, დედაჩემმა ცალი საყურე დაკარგა. უბრალო ბიჟუტერია იყო, მაგრამ ძალიან ლამაზი. ისე მიყვარდა ის საყურე. ეძება, ეძება და რომ ველარ იპოვა, ადგა და მეორეც გადააგდო. ერთი კვირის შემდეგ ბებიაჩემის ოთახს რომ ალაგებდა, არ იპოვა ის პირველი დაკარგული? რაღას იზამდა, იქნებ ვინმემ... ან იქნებ სახლში დაგრჩათ.

— გამორიცხულია, — ამოვიხვნეშე.

— ძალიან გცივათ ხელებზე?

ეს უკვე მეტისმეტია. ნამდვილად დამცინის.

— არც ისე.

— ცალ ხელზე რომ გეკეთოთ და ცალი ჯიბეში ჩაიდოთ? — იღიმება.

— რაღაცას მოვიფიქრებთ. ცალი ხელთათმანი შარშან დავკარგე და, თუ ძალიან გამიჭირდა, ცალ-ცალს გავიკეთებ.

— გენიალურია! — აღტაცებული თვალები შემომანათა, — თქვენ იუმორის გრძნობა გაქვთ. რა ფერისაა ის ძველი, ცალი ხელთათმანი?

— მწვანე!

— გენიოსი ხართ! დედაა! ასეთი ტონკი მამაკაცი არ შემხვედრია, — გულიანად იცინის — მაშ მწვანეა? არაუშავს, ხხვათაშორის, ორიგინალური იქნება შავი და მწვანე ხელთათმანი! ერთი სული მაქვს, ხანამ ამ ამბავს დალის ვუამბობ...

— დალი ვინ არის?

— ჩემი დაქალია. სამნი ვართ ჩვენ, სამი დაქალი, მე — თამთა, დალი და ქეთი. ქეთი ყველაზე ჭკვიანია ჩვენს შორის.

— რაზე ატყობთ ხოლმე გოგოები, რომელი უფრო ჭკვიანია თქვენს შორის?

— რა ვიცი... ვატყობთ... ქეთი მაგალითად, ყოველთვის უფრო ჭკვიანურად ლაპარაკობს და კიდევ მომენტებში ჩვენსავით არ იბნევა. ხულ იცის, რას რა მოჰყვება.

— ააა... ჰოოო... წავედი ახლა მე, თამთა, დიდი მადლობა ყველაფრისათვის.

ხელი გავუწოდე.

— აქ მუშაობთ?

მოიწყინა.

— ჰო.

— რაზე?

— ბუღალტერი ვარ.

გაიცინა.

— სატინის სამკაულები გიკეთიათ ხოლმე?

— შიგდაშიგ.

— ახე მგონია, ძალიან მოსაწყენი პროფესიაა მეთქი.

— საერთოდ კი. დღეს, ალბათ, მოწყენილი არ ვიქნები.

— რატომ?

— გამახსენდება, რომ ქვეყანაზე არსებობს ერთი ლამაზი გოგო, რომელიც ძალიან შეაწუხა ჩემი ხელთათმანის სავალალო ისტორიამ.

რა მერომანტიკულებოდა, მაგრამ, ხანდახან, მეც ვიცი ხოლმე მაღალფარდოვანი ლაპარაკი. იმ წუთში ცამდე მართალი ვიყავ. გულიდან მოდიოდა ეს ფიქრი, მაგრამ ახლა რომ ვუკვირდები, არ უნდა მეთქვა. და საერთოდ, რატომ არ უნდა თქვა კაცმა, ის, რასაც ფიქრობ?

ბევრი რომ არ ვიფილოსოფოსო, ეს ფრაზა საკმარისი აღმოჩნდა, რომ თავი მორცხვად ჩაექინდრა და ფეხის წვერი ნაზად გაესვა ასფალტისათვის. გაესვა რაღაცნაირად, ტანის ლამაზი რხევით, როგორც ამ ასაკის გოგოებმა იციან.

ჩანთა გახსნა და ლურჯი უბის წიგნაკი ამოიღო.

— თუ შეიძლება, თქვენს ტელეფონს ჩავიწერ.

— რად გინდათ?

— დაგირეკავთ.

— და რას მეტყვით?

ეშმაკურად მოწკურა თვალი და განზე გაიხედა.

— გკითხავთ, ხელთათმანი ხომ არ იპოვეთ მეთქი.

— მეტს არაფერს?

— როგორ ბრძანდებით მეთქი.

— ო, ეს უკვე საქმეა. ჩაიწერე: „ოცდაცხრა ნოლ რვა ოცდათექვსმეტი“.

ჩაიწერა, ბლოკნოტი ჩანთაში ჩაიდო.

— აბა ნახვამდის, თამთა, მოიწერე ხოლმე.

მომწვანო-მოთაფლისფრო თვალები გაოცებით შემომანათა...

— რა მოვიწერო?

— არაფერი. ეს სიტყვები აჩემებული მაქვს. ოსტაპ ბენდერი

ხომ გახსოვს, – „მოიწერეთ ხოლმეო“ და მისამართს არავის უტოვებდა.

თვალებში შევატყვე, რომ ოსტაპ ბენდერმა დიდად არ დააინტერესა.

უბრალოდ ვერ გაიგო. ნახვამდისო თავი დამიქნია და წავიდა. მე საათზე დავიხედე და მაშინვე კარებში ვტუცე თავი, ამიტომაც, ცოდვას ვერ დავიდებ; არ დამინახავს, როგორ მიაბიჯებდა.

არ მიყვარს გოგოებისათვის თვალის გადევნება.

მიდიოდა ალბათ ჩანთის ქნევით, ლამაზად, ოღონდ ცოტა უფრო დაფიქრებული, ვიდრე ამ ოცი წუთის წინ. როცა პურის ნაჭერს მადიანად ჭამდა და თავისი ფართო, ქართული თვალებით მთელ ქვეყანას ზედ აყოლებდა.

მეორე დღეს არაფერი და მესამე დღეს დამირეკა.

თამთა ვარო.

რომელი თამთა მეთქი.

გითხრა სიმართლე აღარც ის გოგო მახსოვდა და, მითუმეტეს, აღარც ხელთათმანი.

როგორ რომელი. ასე ბევრი „თამთები“ გყავთო?

ცოტა არ იყოს გულმოსულად, პრეტენზიულად მითხრა; აქაოდა, ეს როგორ მოგივიდა, ასე ჩქარა როგორ დაგავიწყდიო.

ჭადრებს ქვევით, ტელეფონის ჯიხურთან ვდგავარ, ძალიან მოწყენილი ვარ, თუ შეგიძლიათ, გამოდით, გელოდებითო.

ხელში პურის ყუა თუ გიჭირავთ მეთქი.

არაო, გაიცინა.

ერიჰაა! მოწყენილია „ქალბატონი“ და გამრთობი მოუნდა. საათს დავხედე, სამს აღარაფერი აკლია.

ახლა მე გაგანია მუშაობაში ვარ, ვინ გამომიშვებს მეთქი.

რომელზე ამთავრებთო?

საერთოდ, ხუთზე მეთქი.

კარგი ხუთამდე დაგელოდებითო.

ყურმილი დამიკიდა ისე, რომ ჩემს პასუხს არც დაელოდა.

ოთხზე თოვა დაიწყო. ჯერ წვიმაში ურევდა, მერე ისე ზვავრიელად წამოუშინა, რომ ჩემს ფანჯრებთან ნაძვის ტოტებს თეთრად წაეფარა პირველი წვრილი, ხოშკაკალასებრი თოვლი.

დამინახა თუ არა ჩემსკენ გამოიქცა, ჯერ ხელებზე შემავლო თვალი, მერე – როგორ ბრძანდებით, დღეს ბევრი იმუშავეთო? ისე, ზრდილობის გულისთვის მკითხა.

ფეხი ავითრიე.

აქეთ პანსიონატის ეზოში, ან ვარაზისხევში ჩავისეირნოთ, ხალვათობაა მეთქი...

გაგიგონია?

არაო. მე სწორედ აქეთ, რუსთაველისკენ მინდა გავლა. ბოლოსდაბოლოს ხომ დავიმსახურე, ორი საათია ამ სიცივეში გელოდებითო.

კი ბატონო, მაგრამ თქვენთვის ვამბობ, დაგვინახავენ და ჭორს მეტი რა უნდა მეთქი.

სინამდვილეში ჩემი გასაჭირი მაქვს, რუსთაველზე ხელკავით ანგელოზივით გოგოს მიჰყვებოდაო, ამის გაგება უნდა ჩემს ცოლს?

დანარჩენს შენ თვითონ მიხვდები და აღარ გაგაცდენ.

იყო, ყველაფერი იყო.

კინოებში ჯდომა და თავის მხრებზე ჩამოდება, ჩემი უცოლო კოლეგებისათვის ორი საათით ოთახის გასაღების ჩამომათხოვრება, რეკვები და ცრემლის ღვრა. გადარეული მონატრება, ეჭვიანობა და ყველაფერი, რაც მოპარულ სიყვარულს მოჰყვება ხოლმე.

ახლა იმას გეტყვი, რა სისულელეზე ვამბობდი წეღან და რომელ შეცდომათა წყებაზე მოგახსენებდი.

ჩემი თავი მეზიზღება, რომ გამახსენდება, რა სერიოზულად ვარიგებდი: ძალიან ბავშვური ხმა გაქვს და სამსახურში ხშირად ნუ მირეკავ, ეჭვს აიღებენ, შინ კი მითუმეტეს აღარ დარეკო – ჩემს ცოლს ვერაფერს გამოაპარებ მეთქი.

რაც მე თამთას „ჩემო ვაჟა“ და „ჩემო სოსო“ ვუძახე

ტელეფონში, რაც მე ხზდომები და თათბირები ვიმიზეზე, რაც მე საქვეყნო საქმეები დავიბრალე: ხვალ არ მცალია, ზეგ ქალაქში არ ვიქნები, მაზეგ განახავთ მეთქი.

მერედა რისთვის, რატომ?

ღმერთო, რა საქმე მქონდა მაშინ, კატეგორიული ტონით რომ ვსაყვედურობდი:გოგოებს, საერთოდ, ცოტა ჭკუა გაქვთ და უნდა დამიჯერო, თორემ მეტს აღარ განახავ. სულ შენს გვერდით ხომ არ ვიქნები, საერთოდ, რა წესია სამსახურში მოკითხვა, საიდანა გაქვს ეს ავანტურული ჩვევები მეთქი.

მძულს ჩემი თავი, როცა მახსენდება, ცალი ხელით რომ ვეფერებოდი და მეორე ხელს საწოლს მიღმა, სკამისაკენ ვაპარებდი: რომელი საათია, „მოამბეს" ხომ მივუსწრებ მეთქი.

როგორ შეიცხადებდა; ავდგეთ, ჩავიცვათ, დამაგვიანდა მეთქი, როცა ვიტყოდი.

ენას რატომ არ მიხმობდა ღმერთი და ხელს რატომ არ მიქვავებდა, მე თვითონვე რომ ვპასუხობდი ტელეფონზე, ხვაგან მოხვდით მეთქი.

ორთვენახევარი ვხვდებოდით ერთმანეთს.

მერე, თავის დაქალებთან რომ წარმადგინა, და, ჩემთანაც, სამსახურში კანტორის მოლაყბეებმა ერთი-ორჯერ რომ ჩამომირაკუნეს: ვიცით, ვიცით შენი გატაცების ამბავიო, გავბრაზდი და ამ ორი კვირის წინათ პირდაპირ განვუცხადე:

– ნუ დამღალე თამთა. შენ მოტლიკინე გოგო ყოფილხარ. მთელ ქვეყანას მოხდევი ჩვენი ამბავი. ბოლოსდაბოლოს, მე ოჯახი მაქვს და არავითარი სურვილი არა მაქვს, ქვეყნის ყბაში ჩავვარდე მეთქი.

იტირა, იტიტინა, გამამტყუნა, მეჩხუბა, მომეფერა, ისევ მეჩხუბა, თუ ეგ იყავი სულ, თავიდანვე გეთქვაო. ყველაფერს გაპატიებ მამაკაცს მშიშრობის გარდაო.

ადგა და წავიდა.

ორი კვირაა არ დაურეკავს.

რა მოვიგე?

ტელევიზორთან ჩაძინებები, პოლიტიკაზე ენის მოტეხვამდე უსაქმო კამათი, გულისამრევი ერთფეროვნება, თვალდაბერილი გაღვიძება, ტროლეიბუსში ჭყლეტა და ჩოთქის ჩხაკუნი.

დუმს ტელეფონი.

ცხოვრებამ დაგიძახა, ხიცოცხლემ მოგაკითხა ამ შენს დამცხრალ შემოდგომაზე და ვერ შეიშვნე, შე უბედურო, ვეუბნები ჩემს თავს.

მუხლებზე უნდა მოხვეოდი, ფეხის ტერფები უნდა დაგეკოცნა, ყველაფერი უნდა გადაგედო. მგლის მუხლი უნდა გამოგება, ნაბიჯზე არ მოშორებოდი, არ უნდა გაგეშვა, ჩაბღაუჭებოდი, გულში ხუტებით გონს მოსვლის, განზე გახედვის საშუალება არ უნდა მიგეცა.

განა რამდენი გაზაფხული დაგრჩა კიდევ, ნამდვილი ცხოვრების რამდენი საათი?

ეჰ...

## ოინი

ახლა მოხდა ეს ამბავი, ამ გარდამავალ პერიოდში, ძველ ამბავს როდი გიყვები. თურქეთიდან ჩემზე მოგებული კაციშვილი არ ჩამოხულა.

ერთხელ კიდევ რომ მოვახერხებდე თურქეთში წასვლას და გავიმეორებდე ჩემს ოინს, გავკეთდები შავი დედალივით. თუ არა და, არც ამით ვემდური ბედს.

„იკარუსში“ იქეთობას რამდენჯერმე წამოიწყო გიდმა ლექცია, მაგრამ შეატყო რომ არ უსმენდნენ და სამხუნამდე ხმა არ გაუღია.

მე მგონი ექსკურსანტებმა ყველაფერი იცოდნენ. ბოლოს და

ბოლოს რა ცხრა მთის გადაღმიდან ჩვენ ვიყავით. ავტობუსი კარგა ხანს ჩვენს მიწას, ბებერი ტაოს გზებს მიუყვებოდა.

ისტორიული ძეგლებისადმი ჩემი „კოლეგების“ უყურადღებობა, ასე თუ ისე, ავხსენი, მაგრამ ვერაფრით ამეხსნა მათი გადაჭარბებული ყურადღება მძღოლების მიმართ.

ორი მძღოლი გვახლდა — რატი და შიო. რატი რომ საჭეს უჯდა, შიო „მასებში იყო ათქვეფილი“ და კითხვა-პასუხის გრძელ საღამოს ატარებდა. იყო ერთი გადაპატიჟობანა სავარძლიდან სავარძელზე. გადაძახილ-გადმოძახილი. „ახლა ჩვენ გვათხოვეთ შიო, ცოტა ხანს, ნამუსიც კარგი საქონელიაო“.

როცა შიო მიუჯდებოდა საჭეს, რატიზე იკლავდნენ თავს. რატი კი ისე გათამამდა, რომ ერთი გამოცხადება მიკროფონშიც გამოაცხადა: სამსუნამდე არაფერი გაყიდოთ, აქეთ ტყვილად უნდათ ყველაფერიო.

სამსუნში საღამოს ჩავედით. სასტუმრომდე ასიოდე მეტრი ფეხით უნდა გაგვევლო.

ჩემი დაჩუტული ზურგჩანთა მხრებზე მოვიგდე და რაინდობის დემონსტრირება გადავწყვიტე, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ; ჩვენი საექსკურსიო ჯგუფის წევრ ქალთაგან ჩემოდნისთვის ხელი არავინ დამაკარებინა. გმადლობთ, ბატონო მიხა, მსუბუქია, სხვას მიეშველეთო.

დილით ათზე უნდა გვესაუზმა და თერთმეტზე სტამბულის გზას დავადგომოდით.

ძილბურანში კაკუნი მომესმა. გავაღე. კარებში ასტრონომიის მასწავლებელი (ასე გაგვეცნო) კელენჯერიძე დგას და იღიმება:

ძილი გყვარებია, ბატონო მიხა, ადექი, შე კაცო, გაკეთდა ქვეყანაო.

საათს შევხედე. შვიდს აღარაფერი აკლდა.

სწრაფად ჩავიცვი და ჩავირბინე.

ჩვენი სასტუმროს წინ გრანდიოზული ბაზრობა იყო გამართული.

ჩვენები, მთელი გზა მოწყენილი და ფლეგმატური ექსკურ-

ხანტები, ერთ ზაზზე გამწკრივებულიყვნენ, წინ საქონელი დაეწყოთ და გამალებით ვაჭრობდნენ. მუშტარი ბუზივით ეხვიათ.

რა გინდა, ხულო და გულო, გასაყიდად რომ არ გამოეტანათ: ფოტოაპარატი „ზენიტი“, ხერხი „დრუჟბა“, წნევის აპარატი, ელექტრობურღი, პატეფონის ნემსი, ჯიბის საათი, მზის სათვალე, თერმოსი, შალაშინი, მეტრმზომი... ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ჩვენში კარგა ხანია აღარ იშოვება.

ჩამოვუარე რიგს და თვალებიდან კურცხალი წამცვივდა. რამდენი ხანია დავეძებ თბილისში, რასაც ჩემი თანამემამულეები ახლა ჩალის ფასად ჰყიდიან თურქეთში.

დაღონებული დავბრუნდი სასტუმროში და ლიფტში ისეთი აზრი მომივიდა, სიხარულისგან შევხტი და შემოვტრიალდი.

ნომერში შევვარდი. ცარიელ ჩანთას დავავლე ხელი და თვალის დახამხამებაში ბაზრობაზე გავჩნდი.

– კარგი თურქი გავიცანი, რაღაც-რაღაცეები უნდა.

– არიქა, მიშველე!

– სად არის?!

– მიხა, არ დამღუპო!

ხეტყვასავით დამაყარეს აქეთ-იქიდან.

– ვერ გამოვჩნდებიო. რა ვიცი, რატომ, თავისი საქმე თვითონ იცის. დამაბარა, მიყიდეო, ფასიც თვითონ მითხრა.

ჩემს ირგვლივ ქართველ ვაჭარ-დებიუტანტთა წრე შეიკრა.

– ელექტრობურღში ათ დოლარს იძლევა! – გამოვაცხადე.

– ა, ბატონო.

– ხომ მუშაობს, არ მომჭრა თავი, – ბურღი ხელში შევათამაშე.

– წყალი არ გაუვა.

ჩანთაში ჩავდე.

– ფოტოაპარატი ოცდაათადო.

– აგერ მაქვს.

– ეგ არა, „ზენიტი“.

– ა ბატონო, ორმოცს არ მისცემს?

– ოცდაათი მითხრა, მეტი არ მიღირსო.

– მიეცი ჯანდაბას. მეორე აპარატიც ხომ არ უნდა? შევყოყმანდი.

– არა, ერთიო.

– წნევის აპარატი ვის ჰქონდა? – თავი ავწიე, ჩემს თავზე წნევის აპარატიანი რამდენიმე ხელი აღიმართა.

– ორი აპარატიო, ორ-ორ დოლარად.

– თერმომეტრებზე არაფერი უთქვამს?

ცრემლგამშრალი ხმით მკითხა ასოციაცია „მარტორქის" ყოფილმა პრეზიდენტმა; ყოფილმა დისიდენტმა დემურიამ.

– თითო დოლარად სამი ცალი.

– ექვსი წაიღოს ხუთ დოლარად.

– ექვსი რა ჯანდაბად უნდა, სახლში ამბულატორიას კი არ ხსნის, – დემურიამ, სხვამ არ დამასწროსო, მეყსეულად გამომიწოდა სამი თერმომეტრი.

მერე ორ დოლარად ჯიბის საათი ვიყიდე ჩვენებიდან, დოლარნახევრად რკინის ხერხი, სამ დოლარად თერმოსი და ორ დოლარად ელექტროქამარი წელკავიანისათვის.

ჩანთა ძლივს ავიტანე ნომერში. ნასაუზმევს ფული დავარიგე და ამოვისუნთქე. ჩემი საექსკურსიო სამოცი დოლარიდან ოთხი დოლარი დამრჩა. იმ ფულით სტამბოლში ქუჩის გამყიდველისაგან თბილისური შანდალი შევიძინე.

თურქეთიდან რომ დავბრუნდი და ჩემი ნავაჭრი ჩემოდნიდან ამოვალაგე, მეუღლემ ჯერ ცხვირი აიბზუა, მაგრამ ყველაფერი რომ ვუამბე, აღტაცებული დარჩა.

ახლა მთელს სადარბაზოში წნევის აპარატი და ელექტრობურღი მარტო ჩემს ოჯახს აქვს.

„ზენიტზე" აღარაფერს ვამბობ.

# დამცემი

ხანამ დამიჭერდნენ, ბევრისაგან გამიგონია; ციხეში აუცილებლად „კრუხს“ ჩაგისვამენო. კრუხი ჩვენთან კვერცხებზე მჯდომ დედალს ჰქვია. წიწილების დაჩეკვის მერეც კრუხს ეძახიან დაფრთიანებამდე.

„ნასედკად“ უხმობენ ადამიან-კრუხს რუსები.

არ ვიცი, პატიმრის გამოსატეხად ჩამოსმულ ჯაშუშს კრუხი რატომ დაარქვეს, რა კავშირი აქვს დედა-ფრინველთან გარე-წარს. შეიძლება იმიტომ, გაუთავებელი კრუხუნ-ქოთქოთით თავს რომ გამოგილაყებს და ხანამ სიმართლეს არ დაგაცდენინებს, არ მოგეშვება.

ეგებ, შენც „ნასედკა“ ხარ, რა ვიცი. ჯვარს რომ მაცვან, მე ჩემს პირველ ჩვენებას არ გადავალ. დივიზიის საწყობიდან საკოლექციო მიზნით, არადანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად, იარაღის მოპარვის მუხლით გავდივარ და ამ მუხლით გავალ ბოლომდის. „საკოლექციო მიზნით“ იმას ჰქვია, რომ კაცის მოსაკლავად არ გამომიყენებია. ვითომ იარაღის მოყვარული ვარ და კოლექციას ვაგროვებდი.

თუ კარგი დამცველი ვიშოვე, შეიძლება ტრიბუნალიდან მოვახსნევინო და სამოქალაქო სასამართლოში გადავატანინო საქმე. თუ ეს მოვახერხე, გავკეთდი და . ეგ არის.

თუ არაფერი გამოვიდა, უნდა გავაყიდვინო ჩემს ცოლს სახლი ადა მივცე მოსამართლე-პოლკოვნიკს.

ფულს ძალა აღარა აქვს ამ დასაწვავს და ოთუსბირს ითხოვენ.

რა ვქნა, რა მეტი გზა მაქვს, უნდა მივცე. გამოვალ ორ წელიწადში და ავაშენებ სახლს, აბა რა იქნება.

ჯანმრთელობა იყოს და ცოცხალი კაცი ყველაფერს მოესწრება. მთავარია, მშვიდობა იქნეს ქვეყანაზე.

ორი კალაშნიკოვის ავტომატი, ერთი მარგოლინის სისტემის

რევოლვერი და ხუთასსამოცი ხელყუმბარის მოპარვა-გატაცება მბრალდება დივიზიის საწყობიდან.

გჯერა შენ ეგ ამბავი? ვინ მოგაპარიებს სამხედრო საწყობიდან იარაღს?!

სამხედრო საწყობი „ემტეესის" ფარდული კი არ არის, გარედან გაყრილი ლომით რომ ჰქონდა ჩვენს ბავშვობაში დაკეტილი ჩიმჩონია კვარკვახიძეს და მთვარის შუქზე მისივე ვედროთი რომ ვპარავდით ყოველღამე სახუქს მე და ჩემი ძმა.

რაც შეეხება დაცემას და იარაღის გატაცებას, ეს ხომ სასაცილოზე სასაცილო ამბავია.

დაეცი აბა, დივიზიის საწყობს, რავარი ბიჭი ხარ. სავარჯიშო დრუბლის კაცს არ მოხვდება სასროლეთზე იმდენი, შენ რომ დაგათვლიან ბეჭებში ტყვიებს.

ვინ გაგატანს სამ ავტომატს და ხუთასსამოც ხელყუმბარას. ბნელა?

სხვათაშორის, მე ისე ვატყობ, ამათაც იციან, რომ არ მოგიპარავს და არც ძალით წამიღია. გუშინ, საღამოს, დაკითხვაზე კატისულვაშა მაიორმა; ახლა მაინც მითხარი, მე და შენ, ვართ მარტოვო. როგორ დაცინცლე საწყალ ჯარისკაცებს იარაღიო.

ნასვამს არ ჰგავდა, გასეთქილი მთვრალიც რომ ყოფილიყო, მაინც არ ვენდობოდი.

რას ჰქვია, დავცინცლე, მე ვუთხარი, დავცინცლე რა, კოჭი ვეთამაშე, თუ ნიძლავში მოვუგე. მოვიპარე, მორჩა და გათავდა-მეთქი.

კარგი, რაკი ეგრე გირჩევნია, კი ბატონო, მე რა, შენ იკითხე, რომ გაზეხინებენ კაი ათ წელიწადსო.

რა ვქნა ახლა, რაც მეკუთვნის მივიღებ, დამნაშავე ვარ და უნდა დავისაჯო მეთქი.

ბოლოს ამოღერღა — გაუგებარი, გამოუცნობ-ჯადოქმნილი ხალხი ხართ თქვენ, ქართველებიო.

ამას რომ ამბობდა, თვალში ცრემლი უბრწყინავდა.

ვინ დაგიფასებს, ვინ გაგიგებს იმას, რასაც შენ აკეთებ ახლაო. შენ თუ გგონია, გაახსენდებათ ამ ღლაპებს დემობილიზაციის მერე, შენი სიკეთეო. ნუ ცხოვრობთ ასე შტერულად, რაინდების და დევების სამყაროდან ჩამოდით ძირს, სხვა დროა ახლა, მეოცე საუკუნეა, გეთაყვა, მეოცე საუკუნეო.

თუ „ნასედკა“ ხარ, შენს სინდისზე იყოს, რასაც გიამბობ.

თავი არ შეიწუხო და არ მიიტანო არსად ჩემი ნათქვამი.

შუაზე გაზერხვა რომ დამიპირონ, მაინც არ დაგიმოწმებ. ვიტყვი თვითონ მოჩმახა მეთქი და შეგარცხვენ იცოდე.

თუ მართალი კაცი ხარ, გახსოვდეს ეს ამბავი.

რა იცი რა გველის ხვალ. ციხეში მყოფს კი არა, გარეთ მყოფს არა აქვს დღეს იმედი, რომ თავს არ გაუტეხავენ.

რომ გავდიოდი სახლიდან ყოველდღე, ცოლი ისე მაცილებდა, თითქოს ომში მივდიოდი. იცოდე მაინც სიმართლე, ყოველშემთხვევაში. შენ ჩემზე ადრე გახვალ აქედან და უამბე ვინმეს, ვისაც კაცობას შეატყობ. ადამიანი ყოველთვის კი არ არის სიმართლის ღაღადის ხასიათზე. ჩვენ, ყველანი, ჩვენ-ჩვენი საიდუმლოებების აბლაბუდაში ვართ შეხვეულ-შეყუჟული. გულახდილნი ზოგჯერ მაშინაც არა ვართ, აღსარების თქმის დრო რომ დაგვიდგება.

დაიწყო ასე: ძველი „ვოლგა“ მყავს. პირველი გამოშვების „ვოლგა“. რომ არ დაგიმალო, ოცდახუთი წელი შეუსრულდა ახლა ა, ერთი კვირის წინ, ოცდაშვიდ ენკენისთვეს. ჩამომართმევენ ალბათ, ნასახამართლოებს, ქონების კონფისკაციის დროს. დაუღუქავთ ჩემი დაჭერის მეორე დღეს. ოღონდ ის მოაცილონ ჩემს ოჯახს და მე ეგე ამბავი არ ვიდარდო, მანამ არაფერი გეტკინა. ჯაბახანაო, რომ იტყვიან, ისაა სწორედ. იმ მდგომარეობაშია; სამი დღე არემონტებ, ერთი საათი რომ გატარო.

სათადარიგო ნაწილები ჩვენთან ჯერ ახალი მანქანის სადაა, ძველის რომ იყოს. სისხლი მქონდა გამშრალი. ვიღაცამ მიმასწავლა; სამხედრო ნაწილში მიდი, თუ სადმე ექნებათ, მანდ

ექნებათო. მახსოვს, მაშინ წინა მარჯვენა თვლის ბურთულ-საკისარი იყო ჩაშლილი და ყველგან ჩამოვიმათხოვრე, მაგრამ ვერსად წავაწყდი.

პარასკევი დღე იყო. შარშანდელ ამბავს გიყვები. ტყემლობა კაი ხნის ჩამთავრებული იყო. რიონის პირას ღელეჩემის ბოლოში რომ სამხედრო ბანაკია, იქ მივედი.

კარებში ავტომატიანი ჯარისკაცი დგას და, რასაკვირველია, არ შემიშვა.

საწყობი ხომ გაქვთ აქ, გექნებათ რა თქმა უნდა, იმ საწყობის კაცი მინდა მეთქი.

ჭორფლიანმა მოკლეხელება ჯარისკაცმა, საწყობი რომ ვუხსენე კარი გამოაღო და ვიღაცას უხმო.

კარგამოღებულში ვხედავ: სერჟანტი წამოწოლილა და ფანჯარაში ფეხები აქვს გაყოფილი.

შემოვიდესო, ჯარისკაცმა მანიშნა და შევედი.

სერჟანტი გადმობრუნდა და უფრო მოხერხებულად გააწყო ფეხები სარკმელში.

რა გინდაო, მკითხა.

ძველი ვოლგის ბურთულ-საკისარი, „პადშიპნიკი“ მეთქი.

სხვა არაფერიო? დანის წვერით აიწია ქუდი შუბლზე.

ხომ არ დამცინის მეთქი და უპასუხოდ დავტოვე.

ეი! სიდოროვს დაურეკეო, ჯარისკაცს შეეხმიანა.

ჭორფლიანმა ყურმილს ჩასძახა.

– სიდოროვ! სიდოროვ! გამოდი, გელოდებიან.

გამოვიდა ჩემი დამღუპველი სიდოროვი. ნამძინარევივით თვალებდასივებული, მხედაკრული, წაქისფერთვალება, იხვნისკარტა ხემდეგი. მხარზე ძველი ძმაკაცივით გადამდო ხელი და გარეთ გამომიყვანა.

რა გაგჭირვებიაო.

ახე და ახეა ჩემი საქმე მეთქი. „პადშიპნიკს“ ვერსად ვშოულობ. გამიხერხე, თუ ძმა ხარ, და არ გაწყენინებ მეთქი.

კეფა მოიფხანა, ხუთი მანეთი დაჭირდებაო.

ექვსი იყოს მეთქი და ორ სამმანეთიანს ვუკუჭავ ჯიბეში.

არ გამომართვა.

ხომ არ გაგიჟდიო, აქ ფულს როგორ გამოგართმევ, გვითვალთვალებენო.

მაშინ ცხრა აპრილი ხულ ორი-სამი თვის ამბავი იყო და ჯარისკაცები არ გვენდობოდნენ მაინცდამაინც.

წადიო ხიდოროვმა, ეზოს ბოლოში ალვის ხეს ხომ ხედავ, იქო, გამონგრეულია კედელი, იქ გამოგიტან „პადშიპნიკს". შენ შორიდან მიყურე, მე რომ გამოვტრიალდები, მიდი, აიღე და ფული, იქ თეთრი ხიპის ქვა რომ დევს, იმის ქვეშ შეჩურთეო.

ასეც მოვიქეცი. არ გაუვლია ხუთ წუთს. ხიდოროვი ხის ყუთს მოათრევს. დადო ხვრელთან და გატრიალდა.

თვალს რომ მიეფარა, მივედი ყუთი სავსეა სხვადასხვა ზომის საკისრებით. ზედ წერილი დევს. „არ ვიცი, რომელი „პადშიპნიკი" გინდა. წაიღე ეს ყუთი, ოღონდ ქვის ქვეშ თუმანი დატოვეო. სხვა დროს თუ რამე დაგჭირდება, კარებთან ნუ მოხვალ, ტელეფონზე (1-39-3-27-15) დამირეკე, ოღონდ ტელეფონში არ მითხრა, რაც გჭირდებაო".

ვინამუსე და თუმანი კი არა, თხუთმეტი მანეთი შევდე ქვის ქვეშ. გავიდე მხარზე ყუთი და მომაქვს.

რატომ შვიდი თუმნის საქონელი არ მომაქვს. ეს რა ქერის ორმოს მიეაგენი, გახარებული ვარ. ფრენა-ფრენით მოვედი შინ.

რომ აღარ დაგღალო, თუ რამე მანქანის ნაწილი დამჭირდებოდა, დავურეკავდი ჩემს ხიდოროვს და თავი ქუდში მქონდა.

გაუჩენელს გამიჩენდა. ამ ჩემს ბებრუხანას კეთილი ზემდეგის წყალობით კარბურატორი, „ტიაგები", „კარდანნი ვალი" რეზინები და ძრავის „კლაპნებიც" კი გამოვუცვალე.

გამომრჩა ერთი დეტალი; მეოთხე მისვლაზე ხიდოროვმა შემომაპარა; ფულს ჩვენ არაყი გვირჩევნია და კარგი იქნება, ამ ფულის ანგარიშზე არაყს თუ გაახერხებო.

მაშინ ჯერ კიდევ იყო მაღაზიებში არაყი და ვშოულობდი. მერე, არაყი რომ გაქრა, შინნახად ჭაჭას ვთავაზობდი ხიდო-

როვს. ერთი სიტყვით ჩვენი გაცვლა-გამოცვლის საშუალებად, ფული არაყმა შესცვალა.

მერე ეს ამბები რომ დაიწყო, ხალხი რომ აირია, ყველამ მიწის წართმევა და დაჩაგვრა რომ მოგვინდომა, აფხაზი, ოსი და ლეკი-თათარი მუშტს რომ გვიღერებდა, მე ვთქვი, ახე არ გამოვა, მტერი შეიარაღებულია და ერთი კაციანი ფიშტოც არ მედოს სახლში, არ ივარგებს მეთქი.

გავიწყვიტე შუბლის ძარღვი და მივადექი ჩემს ხიდოროვს.

პირველად რომ ვაჯახე, ავტომატი მინდა მეთქი, შეყოყმანდა, მაგრამ ისე არა, რომ ქვა აეგდო და თავი შეეშვირა.

მომიცადე აქაო.

გაუჩინარდა და თხუთმეტ წუთში, ვხედავ კიტელმოხურული, მეზღვაურისმაისურიანი ლეიტენანტი მოდის ჩემსკენ.

მომიახლოვდა, ამხედ-დამხედა, რა გინდაო მკითხა.

არაფერი, ნაცნობს ველოდები-მეთქი.

დაიხარა და მუჭში ჩაახველა.

ავტომატს შენ ელებო?

რის ავტომატი, რა ჭირად მინდა ავტომატი, კაცს ველოდები რძის ბალონს დამპირდა მეთქი.

გამიგონე, ხიდოროვმა გამომგზავნაო.

ორასი მანეთი უნდა ამ საქმესო.

მე მაშინ ფასი არ ვიცოდი და ორასი მანეთი მეძვირა. ვიუარე.

რა ამბავია ორასი, რა ცეცხლი უკიდია, ხვაგან ასად გვაძალებენ მეთქი.

ასად ალბათ, გაფუჭებულს გაჩეჩებენო. სხვისი ავტომატი და ჩემი ერთიაო? მე რომ მოგყიდი, იმას წყალი არ გაუვაო. ხიდოროვის ძმაკაცი რომ ხარ, გენდობი, თორემ ამისთვის რომ გამიგონ, ციმბირს აქეთ დამატოვებინებენო. ამხელა რისკზე მივდივარ შენი სიყვარულით, რა ვქნა; მეც ხარჯები მაქვს. ეს ორასი მანეთი მთლად მე კი არ მრჩება, ას მანეთს პოდპოლკოვნიკს ვაძლევო.

ამ ლაპარაკში კინაღამ გადავიფიქრე. რა ჯანდაბად მინდა ავტომატი. რომ მინახოს ვინმემ, ტყავს გამაძრობენ მეთქი, მაგრამ ისე გულით უნდოდა ლეიტენანტს თავისი საქონლის გაყიდვა, რომ შემრცხვა და პირი ვერ ვუშალე.

მეორე დღეს, როგორც მოვილაპარაკეთ, გამოიტანა ლეიტენანტმა კალაშნიკოვის ავტომატი, ცოტა ხანს იჯდა გამონგრეული კედლის ხიახლოვეს, მერე, ვითომ დარჩა იარაღი ფუღუროში, კიდევ ერთხელ მიიხედ-მოიხედა და ხტვენით შებრუნდა.

მეც ხტვენით მივეახლე ღობეს, ავტომატი ჩავიქამარ-შარვალპიჯაკე და ორასი მანეთი ქვას შევატოვე. ვითომ დამრჩა მეც ქვის ქვეშ ორასი მანეთი.

არ გაუვლია ერთ თვეს, მანქანის წინა ფარი დამჭირდა და, ვის შევაწუხებდი ხიდოროვზე უკეთესს.

ხადა ხარო, გექებო, მითხრა ორ საათზე გამოდი, აბანოსთან გელოდებიო.

ფარხაგი რამ არ იყოს მეთქი და ცელოფანში გულდაგულ გახვეული ავტომატი ეზოში კორკიმელის ძირას დავმარხე, ბავშვები სკოლაში იყვნენ, თორემ რას გამოაპარებდი.

შევხვდი, რასაკვირველია, იმ დღეს, ორ საათზე, ხიდოროვს; ჩემი ძმაკაცი ავტომატს ჰყიდის და ხომ არავის უნდაო.

ნეტავი ეს ერთიც არ მქონდეს, ორი რა ჯანდაბად მინდა მეთქი. მე წინა ფარზე გირეკავდი მეთქი. იყიდე და გედოს ხახლში. რა იცი, როდის დაგჭირდებაო.

კატეგორიული უარი ვტკიცე.

იყიდე, იყიდე, მამაჩემსა აქვს ცხონება, მერე აღარ გვექნება. ეს ისეთი საქონელია, ფასი უფრო მოემატება. არ შეიძლება შენი ამხანაგებიდან ვინმეს არ ჭირდებოდესო.

გავიგებ და ორ დღეში დაგირეკავ მეთქი.

ჩვენთან, სამსახურში, ვისაც ვკითხე, ხელები გაახავსავა, ავტომატში გადავყრი ფულს, მეტი საქმე არა მაქვსო. ჩემს სიძეს შევაძენინე, რომ არ დაგიმალო, ხულ ბუზღუნ-ბუზღუნით

დამთანხმდა. კალაშნიკოვის ავტომატია ხზვისი არ გეგონოს, ოქროს რამეა მეთქი, ორი საათი ვუქებდი, კალაშნიკოვი ვნახე ამოდაგული, მე შენი ხათრისთვის ვყიდულობ, ბავშვებმა არ მიაგნონ და ერთმანეთი არ დაამარცხონო.

ამ მეორე ავტომატის პატრონი, ტყუილს ვერ ვიტყვი, არ მინახავს, თვითონ სიდოროვმა გამოიტანა, კაპიტნისააო. სამახი დამიფასა, მაგრამ ძველი ძმაკაცობით, ორასად მომცა.

დამშვიდობებისას, ჩემი ტელეფონი და მისამართი ჩაიწერა. ხანდახან მომენატრები ხოლმე და მრცხვენია შენი ასავალ-დასავალი რომ არ ვიციო. არყის საქმე გვაქვს ცუდად. ამასწინათ ბატალიონის კომისარი შემოვიდა, რომ ვერაფერი დავალევინე, დახვრეტით დამემუქრაო. შენი ნებართვით შეგეხმიანები ხოლმე არყის საკითხზე, მეც თუ რამეში დაგჭირდე, არ მომერიდო, ძმად მიგულე, რაც საწყობში მაბადია, შენთვის არ დამენანება, ხზვაში რაში გამოგადგები, ძვალი არ იჭმევა ჩემი და ხორციო.

თურმე მაშინ დავუშვი გამოუსწორებელი შეცდომა, მისამართ-ტელეფონი რომ მივეცი სიდოროვს. კვირაში ხომ შვიდი დღეა, ცხრაჯერ მაინც მირეკავდა.

ჯერ იყო და სამ ბოთლ არაყში მარგოლინის ნაგანი „მაჩუქა", „მარგოლინი" სპორტული იარაღია, მაგრამ შვიდი ტყვია მიდის და ხორცზე რომ არაფერი ვთქვა, სამსანტიმეტრიან ფიცარს ხვრეტს ოცდახუთ მეტრში. სპორტული უძახე შენ.

ერთხელ შინ მომაკითხა, მოსკოვიდან მივლინებით ოფიცრები ჩამომივიდნენ, ერთი ბოცა ღვინო და ორი ბოთლი არაყი ჰაერივით მჭირდებაო.

უარს ვეტყოდი მე. ქართველი კაცი, ღვინოზე კარზე მომდგარ რუსს?

სანამ ღვინო-არაყს გამოვუტანდი, გაზეთში კოხტად შეხვეული რაღაც რომ ეჭირა, აივანზე სავარძელში ჩადო.

ეს რა არის მეთქი.

კაი ერთი თუ კაცი ხარ, მცირე საჩუქარია, ოჯახში პირველად ვარ, ხელცარიელი ხომ არ შემოვიდოდიო.

ჭიშკრამდე რომ გავაცილე, შემოვბრუნდი, და საჩუქარს ქაღალდი შემოვაცალე. ოთხი მშვენიერი ხელყუმბარა „ეძლვნა“ ზემდეგს.

მოგაწყინე თავი ხომ? დანარჩენი ხუთასორმოცდაცხრამეტი ხელყუმბარაც დაახლოებით ამ გზით აღმოჩნდა ჩემს ოჯახში.

თავგაბეზრებული მეოთხე დარეკვაზე ვიღებდი ყურმილს, თუ არ ავიღებდი, შინ მომაკითხავდა. როგორც ჩანს შენი ტელეფონი არ მუშაობს, მთელი დღეა გირეკავო.

აქეთ მოსვლით რომ აღარ შემეწუხებინა, იქეთ ვეახლებოდი ხოლმე; ორი ხელყუმბარა „დარჩებოდა“ სიდოროვს ქვიტკირის ღობის ღრიჭოში, მივიდოდი, ვიტუცავდი ჯიბეში კომშისხელა ხელყუმბარებს და თეთრ ქვას მივუდგამდი გაზეთში შეხვეულ ორ ბოთლ არაყს.

რად გინდოდა ამდენი ხელყუმბარაო, მკითხავ, არ უნდა ლაპარაკი. რად მინდოდა და არაფრად. ძველი, გაბზარული ქვევრი მქონდა ბაბუაჩემის ჩანაგდები, გაუქმებული ქვევრი სარდაფში და ვაწყობდი შიგ.

გითხრა სიმართლე, არ მინდოდა არყის მთლად ტყვილად მიცემისთვის მიმეჩვია სიდოროვი. თვითონაც თავმოყვარე ბიჭი იყო, უფასოდ მიცემულ არაყს ითაკილებდა. ეხეც არ იყოს, ვფიქრობდი, გამიელევა ხელყუმბარები და დამანებებს თავს მეთქი.

ბოლოს თვრამეტ დარეკვაზე, იმანუელს გეფიცები, უარს ვეუბნებოდი. აღარ მაქვს არაყი, გამითავდა მეთქი. როგორ არ მქონდა, მაგრამ მინდოდა როგორმე ჩამომეცილებინა, ჩემთვის და არყისთვისაც, ორივესთვის ერთნაირად ერთგული მეგობარი..

ნოემბრის მიწურულს ხურდო შემეყარა და ვწევარ. მესამე დღეა, სამსახურში არ გავსულვარ. ბარემ გამოვშუშდები, არ შემაბრუნოს მეთქი.

დარეკა სიდოროვმა, არაყის საშუალება ხვაფერი გაქვსო.

რისი არაყი, რა არაყი, დამანებე თავი, თუ კაცი ხარ, გაცივებული ვარ, ვწევარ-მეთქი.

საერთოდ, კარგადაც რომ ვიყო, ვერაფერში დაგეხმარები. არაყს აღარ ვსვამ. ალერგიული გავხდი და ექიმებმა ამიკრძალეს არყის გამოხდა მეთქი.

არ გაუვლია ნახევარ საათს და სიდოროვმა, ერთმა თავზხოტორა ჯარისკაცმა და ჩემმა ნაცნობმა ლეიტენანტმა (ავტომატი რომ მომყიდა) მინახულეს.

იქეთურ-აქეთური, მოვიკითხეთ ერთმანეთი, სასთუმალთან ჩამომიჯდნენ. ჩანდა, გულგრილი არ იყვნენ ჩემი ჯანმრთელობის მიმართ. მეო, თავზხოტორამ ხურდო რომ შემეყრებაო, მაყვლის მურაბიან არაყს ვსვამო, უებარი წამალიაო.

მეო, ლეიტენანტმა, სამ კოვზ იელის თაფლს ვურევ არაყში და კიტრივით ვარ მეორე დღესო.

არყით დაიზილე ტანი და არყის საფენები დაიდეო, სიდოროვმაც არაყს რომ გაუსვა ხაზი, ხელები ავწიე დამარცხების ნიშნად.

თავზე ჩაჩი დავიხურე, ხალათი მოვისხი, ცოლს სუფრა გაგაწყობინე და ჩავუჯექით.

მეცხრე სადღეგრძელოზე ლეიტენანტმა სტეპის გრძელი, ომახიანი სიმღერა წამოიწყო, სანამ არ ჩაათავა, ჭერისთვის თვალი არ მოუცილებია. მერე კისერი მომიგრიხა, ტუჩებში მაკოცა, მომიცილა ღონიერი ხელებით (ყურებისთვის ხელი არ გაუშვია), ისევ მიმიზიდა, სულისშეგუბებამდე მკოცნა და ცრემლმორეულმა მკითხა:

„ბტრ"-ს ჰყიდის ერთი პოლკოვნიკი კარგ ადამიანზე იაფად, შენისთანა საყვარელი კაცისთვის ნახევარ ფასად დავათმობინებ, რას იტყვიო.

ტანკი მაკლია ახლა მეთქი, გამეცინა.

დამიჯერე, არ წააგებ, შეამხანაგდით რამდენიმე მეზობელი და იყიდეთ ბტრ-ი. მალე ისეთი დრო მოვა, უბეტეეროდ მაღაზიაში პურს ვერ იყიდი. თქვენ ისეთ განედზე ცხოვრობთ, ქართველები, რომ ყოველ მეხამე მოხახლეს ჯავშნოსანი უნდა ჰყავდეს, თქვენი უბეტეერობა არაფრით არ შეიძლებაო.

ამ ხტუმროზიდან ერთი კვირის თავზე, გამთენიისას დამადგა სიდოროვი; დავიღუპე, რევიზია დამეცა. ტრიბუნალი არ ამცდება. შეიძლება დამხვრიტონ კიდეცო. ჩაიკეცა ბუხართან და აზლუქუნდა: ცოლის თხოვა მაინც მომესწრო, რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდეო.

გული დამეწვა მაგ ბიჭის საცოდაობით, წაიღე და დააწყვე, შეაპარე როგორმე საწყობში, აქ მაქვს ყველაფერი მეთქი.

დალუქულია საწყობი უკვე, ნემსს ვეღარ შევიტან აწი. განწირული ვარ, აღარაა ჩემი საშველიო.

კარში რომ გადიოდა, ისე დაფიქრებით შემომაცქერდა, უკვე ვიცოდი, რასაც აპირებდა.

წავიდა და იმ საღამოსვე დამიჭირეს.

მერე ის იყო, მესამე დღეს გენერალმა ტელევიზორში გამომაცხადა; სამხედრო საწყობიდან საშურა მიქაუტაძემ ორი კალაშნიკოვის ავტომატი, ერთი მარგოლინის ნაგანი და ზუთასსამოცი ხელყუმბარა გაიტაცაო.

## გერა და მე

უბედნიერესი კაცი ხარ, ჩემო გერა, შენ. „გვეშველება რამეო"? წელან მკითხე. მე ვიკითხო, თორემ შენ რა გიჭირს, ნაშველი გაქვს და ეგ არი. ჩვენი კლასიდან მხოლოდ შენი მეხარბება, ხზვისი არავისი. მარტო შენ აღმოგაჩნდა ჭკუა და გამჭრიახობა პროფესიის არჩევაში. ჩემი ფანჯრიდან ხელის-გულივით ჩანს შენი სტადიონი. რამდენჯერაც შეგავლებ თვალს, კეთილი შურის ჟრუანტელი გამივლის თავიდან ფეხებამდე. იყოს მეთქი, გულში ვიტყვი,ეს ერთი მაინც იყოს მეთქი ლაღი და ბედნიერი. ხომ არ დამცინიო? ეს მარჯვენა გამიხმეს მაშინ

და ენა რეზინად მექცეს. რას ქვია დაგცინი. ვერაფრით ვერ დავიჯერებ, არ იცოდე შენ, რა ბედნიერი კაცი ხარ. გამოდიხარ დილით ათ საათზე სტადიონზე. გამოფრთხიალდებიან პინგვინის. მართვეებივით კოხტად ჩატრუსიკებული ბიჭები და გოგოები: „ორი წრე ძუნძულით, თხუთმეტი წუთი რაზმინკა და სიგრძეზე ხტომა გაზომვით!" – გასცემ განკარგულებას ჩამოჯდები გრძელ სკამზე, სუფთა ჰაერს ყლაპავ. დატყაპუნებენ ბავშვები ირგვლივ. თორმეტ საათზე შეხვალ ფიზკულტურის ინსტიტუტის ბუფეტში, უშაქრო ჩაის დალევ, გამოხვალ პირველზე. თუ მოვიდა მეორე ჯგუფი, ხომ კარგი, თუ არა და თვლემ შემოდგომის მზეზე, კოხტად, ლამაზად. მზეგადახრილზე მეტრმზომს დაახვევ, „ხელყუმბარებს" საწყობში შეყრი, დარაჯს დაუბარებ, სტადიონზე ძროხა არ შემოვიდესო და გასწევ სახლისკენ. ნელა, დინჯად, თავაწეული, სახედაწყობილი.

აბა ახლა ჩემი დღე ნახე: დილას ექვს საათზე კოშმარული სიზმარი ნჯღრევით გამომაღვიძებს. თვალებდაბერილი და პირდაგლაშებული ერთ საათს ტრანზისტორს ვატრიალებ. „თავისუფლების" ქართული გადაცემები მიწევს წნევას და ხულს მიხუთავს. არავითარი ახალი ინფორმაცია. ორი კვირის წინანდელ, უნიჭო ინტერვიუს, ვინ იცის, მერამდენედ იმეორებენ. კიდევ ერთხელ ვიტყვი: ხვალიდან შენს მომსმენს ექცა დღე შავად მეთქი, მაგრამ „ხვალ" ყველაფერი მეორდება. რვაზე ვდგები, პირს ვიხოკავ-ვიტყავებ და მაგიდასთან ვჯდები. კარგა ხანს პირდაღებული შევყურებ კედელზე გაკრულ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუკას (1918-21), ერთა ლიგის მიერ ცნობილ საზღვრებში". მერე გუშინდელ ნოველას სამ-ოთხ უნიჭო სტრიქონს ვუმატებ, კიბეზე ჩავდივარ და ბენზინგაწყალებული „ჟიგულის" დაქოქვას ვცდილობ. ათ საათზე „თვისტომში" მივფართხუნდები. ვლადიკავკაზიდან გამოქცეულ ქართველებს ვშველი ვითომ, ჩემი ჭკუით. რიგში ჩამდგარ მთხოვნელთაგან პირველ შვიდკაცს ვღებულობ, დანარჩენს ბოდიშს ვუხდი და ხვალისთვის ვიბარებ. ვწერ შუამდგომლობებს

პრეფექტებთან: ესა და ეს კაცი ლტოლვილია, სახლი გადაუწვეს, საქონელი წაართვეს, ცოლ-შვილი ცის ანაბარა უყრია, იქნებ თავშესაფარი მისცეთ, თავის ქვეყანაში ქართველ კაცს მიწა მიუზომოთ მეთქი. ზოგი პრეფექტი გულისყურით ეკიდება ჩემს შუამდგომლობას, ზოგი ფეხებზე იკიდებს.

„თვისტომიდან“ „ღიმილის“ რედაქციაში გავრბივარ. მორიგე რედაქტორის (მეორე თვეა სამსახურში არ მოსულა) ჯანმრთელობის ამბავს ვკითხულობ, კარებთან მდგარ ერთ-ორ გრაფომანს ვატყუებ, შემდეგ ნომერში იქნება მეთქი, სტამბაში ყოველ მეორეს ვეჩხუბებ-ვეფერები და ასე თორმეტისთვის გამომცემლობაში ვარ. გულადუღებული ვუსმენ „ქაღალდი არ არი“, „ფორმატი არ არი“, „ფული არ არი“, ათასჯერ გაგონილ მელოდიას, ოთახიდან-ოთახში გავდი-გამოვდივარ, იქნებ ვინმეს საიმედო რამ წამოვაცდენინო მეთქი და მერე ხელჩაქნეული მწერალთა კავშირს მივადგები. პირველად ბუღალტერთან შევდივარ, გულისფანცქალით ვეკითხები: მუხრან მაჭავარიანს ჯერ ხომ არ მოვუხსნივარ მეთქი კონსულტანტის ნოლ ოცდახუთი შტატიდან. ჩემთვის ყველაზე საყვარელ დარბაზში, მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკაში ახალ გაზეთებს ფეხზე დამდგარი ვათვალიერებ და უნივერსიტეტისკენ გამოვრბივარ.

ჯერ ლექციების ცხრილს მივვარდები. ცხრილში ჯერ ისევ ვარ. მერე გალაკტიონის კაბინეტის კარებთან ლაბორანტობის მთხოვნელთა ჯგუფს ცრუ დაპირებით ვისტუმრებ, ლექციას წამდაუწუმ საათზე ყურებით, ხზაპასხუპით ვკითხულობ, სტუდენტებს, საქართველოს თავისუფლებისთვის მებრძოლი მარო მაყაშვილის მაგალითს შევახსენებ და დეკანატში გავრბივარ. ოპოზიციის წმენდა ხომ არ დაწყებულა მეთქი ვეკითხები კორნელს, ჯერ არაფერი უთქვამთო, მამშვიდებს. გარეთ გამოსული კიბეზე შექუჩებულ ორატორებს ვხვდები, ჩანს, დღესაც მიტინგობენ.

გუშინ ხომ იყო მიტინგი, დღეს რაღა საჭიროა მეთქი ვეკითხები ჩემსკენ მობრუნებულ ლიდერს, ბრძოლის რაიმე

ახალ ფორმას მივმართოთ, თორემ მოსწყინდა ხალხს ერთი და იგივეს ლაპარაკი მეთქი. ხვამ ვინ გამიგონა და დამიჯერა, რომ ამან დამიჯეროს.

ენაგადმოგდებული, ძალაგამოცლილი ვბრუნდები სახლში და „მოამბის" მოლოდინში ტელევიზორთან ვგდივარ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

# ჭკირჭკიტია

კუნძული ჭკირჭკიტია სამხრეთ განედის ოცდაცხრამეტ გრადუსსა და ჩრდილოეთ განედის ორმოცდაერთ გრადუსს შორის მდებარეობს. გეოგრაფიაში თუნდაც ცალი თვალით ჩახედული კაცი, იოლად მიხვდება, რომ ამ განედზე ჰავა უზომოდ ცხელსა და ზომიერად ცივს შორის მერყეობს. ამიტომაც ჭკირჭკიტიაზე მცხოვრებ ადამიანებს მსოფლიოს სხვა, მშვიდობისმოყვარე ხალხებთან შედარებით ტემპერატურა ხუთი გრადუსით აწეული აქვთ, ჯანმრთელებზე მაქვს ლაპარაკი, ძვირფასო მკითხველო, რაკიღა ავადმყოფთ ისედაც აწეული ან დაწეული აქვთ ტემპერატურა, იმის მიხედვით აქეთ, სიცოცხლისკენ აქვთ პირი მოქცეული, თუ იქით, მიქელ-გაბრიელისკენ.

გარდა ტემპერატურის ამპლიტუდური უკიდურესობებისა, ჭკირჭკიტიას მდებარეობა იმითაცაა ნიშანდობლივი, რომ სამი კონტინენტის გასაყარზე მდებარეობს და ხომალდთა — საქარავნო გზიდან შეიარაღებული თვალით კარგად მოჩანს. „თვალის შეიარაღებაში", ამჯერად, იმ ცალპირა დურბინდ-მუნდშტუკსაც ვგულისხმობ, რითაც ნაპოლეონი ვატერლოოს

გასცქეროდა. ეჭვი მაქვს, იქნებ ხომალდთა საქარავნო გზისპირას დგომაა იმის მიზეზი, რომ ჭკირჭკიტია ამ უკანასკნელი ორი ათასი წლის განმავლობაში შვიდჯერ იქნა აღმოჩენილი. გარდა პირველაღმომჩენისა (ბელგიელი მეზღვაური კ, ჰ, იტსრუპი) ყველა აღმომჩენმა იცოდა, რომ ჭკირჭკიტია აღმოაჩინა. კ, ჰ, იტსრუპმა არ იცოდა, რადგანაც იგი კუნძულ ოჰაიოს აღმოსაჩენად მიიჩქაროდა და სამი წელი ადგილობრივ რთულ ენაზე მოლაპარაკე ხალხთან ისე გაატარა, რომ ეგონა, ოჰაიო აღმოვაჩინეო. თავისივე აღმოჩენით საზეგაბადრული ყოველ შეხვედრაზე კუნძულის მცხოვრებთ ამაყად უცხადებდა: ხომ კარგი ვქენი, რომ აღმოგაჩინეთო. ჭკირჭკიტიელები ღიმილით კვერს უკრავდნენ, კამათს ხომ არ დაუწყებდნენ. სტუმართან კამათი ჭკირჭკიტიაზე არც მაშინ, ათასხუთასი წლის წინათ ითვლებოდა კარგ ტონად.

მეზღვაურ კ, ჰ, იტსრუპს უკან, ბელგიაში დაბრუნებამდე ოცდაშვიდ დღეზე ცოტა ნაკლები რჩებოდა, როცა ჭკირჭკიტიულ ანბანს, როგორ იქნა, დაეუფლა და ჭკირჭკიტიას საქალაქო დეპარტამენტის ყოფილი რეზიდენციის (ახლანდელი პიონერთა სასახლე, რ. მ.) ფასადზე ამოიკითხა „კუნძული ჭკირჭკიტია".

გაბითურებელმა იტსრუპმა, როგორც მეცნიერები გადმოგვცემენ, იმ ღამესვე, მწუხრის ლოცვიდან სულ რაღაც ნახევარი საათის შემდეგ, ერთჯერადი მეზღვაურული დამბაჩით თავი მოიკლა და ბუნებრივია, ამ არც თუ უბრალო, მიზეზის გამო ვერ შეძლო უკან, ბელგიაში დაბრუნება.

შვიდგზის აღმოჩენილ ჭკირჭკიტიაში უკანასკნელად ჰუსები ბატონობდნენ. რა არ იღონეს ჰუსებმა ჭკირჭკიტიელთა გასაჰუსებლად, მაგრამ არ გამოუვიდათ.

ენა რაა, ენაც კი ვერ დაავიწყეს კუნძულის მცხოვრებთ მშობლიური და ჰუსურზე ვერ ააჭიკჭიკეს.

რაც შეეხება ჭკირჭკიტიელებს, ნიჭიერი ხალხი გახლავან და თვითონვე გაუგეს მუდამი ჰუსებს. კუნძულის გასაჰუსებლად ჩამოსულ ჰუსს ტკბილად დახვდებოდნენ, თვენახევარში

გაალოთებდნენ და ჯერ ჰუსი რაა საერთოდ, გალოთებული ჰუსი კი, მოგეხსენებათ, რა ხეირს დააყრიდა ჰუსურ პოლიტიკას.

იქამდე მივიდა ჰუსების იმპერატორი, რომ, ერთ მშვენიერ დღეს, მთელს ჰუსეთში ალკოჰოლიანი სასმელები აკრძალა, იქნებ ეს საიმპერიო კანონი ჭკირჭკიტიასაც მიწვდეს, რათა ჩემი ერთგული მოხელეები ვეღარ გამილოთონო.

აჩეხეს ვენახები, დახურეს ღვინო-არაყის ქარხნები, ჰუსი მოურავები სახლებში უვარდებოდნენ მშვიდობიან მოქალაქეებს და არყის სახდელ, მოუკალავ ქვაბებსაც კი ართმევდნენ.

ვერც ამ ხერხმა გაჭრა, ანუ გაზეთების ენით რომ ვთქვათ, „ვერც ამ ღონისძიებამ გამოიღო სასურველი შედეგი".

ბოლოს იმპერატორმა ჰუსების დამორჩილების ერთ ვერაგულ-ჭკვიანურ საშუალებას მიმართა. იმპერატორის მწირი გონება ამ საშუალებას ვერ მიმართავდა, რომ ეს საშუალება მისთვის ჭკირჭკიტიიდან გამოქცეულ იმპერატორთან დაახლოებულ, გაჰუსებულ ჭკირჭკიტიელს არ ესწავლებინა. ხომ მოგეხსენებათ ანდაზა „რკინის ცული ვერას დამაკლებდა, შიგ ჩემივე ძმა რომ არ ერჩებოდესო".

ჭკირჭკიტიელთა ეროვნული თვისება — პირველობისაკენ დაუოკებელი სწრაფვა კარგად უნდა სცოდნოდა მრჩეველს, რომ ერის დასამორჩილებლად მსოფლიოში ჯერ გამოუყენებელი ამ ხერხისთვის მიეგნო. გაჰუსებული უჭკუო კაცი არ იყო და აკი მიაგნო კიდეც თავისი ხალხის საზიანო მანქანას. „თავისი ხალხი" აქ მწერალმა პირობით იხმარა, მოგეხსენებათ, გაჰუსებულთ თავისი ხალხი ისე ახსოვთ, როგორც ცაზე გუშინ გადავლილი ღრუბელი, სერგო ორჯონიკიძის ცხოვრების მაგალითით კი კაცობრიობამ ერთხელ და სამუდამოდ ირწმუნა, რომ იმპერიის სამსახურში შესული კაცი ნემსის ყუნწში ძვრება, რათა პატრონთა ნდობა დაიმსახუროს და, თუ საქმემ მოიტანა, ნემსის ყუნწში ძვრომის ძველ გზაზე საკუთარ მამასაც არ დაინდობს.

მომწყინდა გაჰუსების პოლიტიკაო, გამოაცხადა იმპერატორმა

(მაინც არაფერი გამოდისო, გულში დაამატა). დღეიდან თავისუფლება მიბოძებიაო. ოღონდ თავისუფლებაც არის და თავისუფლებაც, ერთმანეთი რომ არ დაჭამოთ, ჩემს ჯარს ვტოვებ თქვენთან. კარგი იქნება, თუ ამ ჩემს ერთგულ, და ერთ დროს თქვენს გამათავისუფლებელ არმიას, დამპყრობელ ჯარს არ უწოდებთ, არ არიან ცუდი ბიჭები და ეწყინებათო. თუ თქვენსას არ დაიშლით და მაინც უწოდებთ, უწოდეთ, რა გიყოთ ახლა. ჯარის გულისთვის ჩემს საყვარელ ჭკირჭკიტიელებს ხომ არ მოვიმდურებთო.

ამოირჩიეთ თქვენი პატარა იმპერატორი, რომელიც მე, დამორჩილებით თუ არ დამემორჩილება, ცოტა ანგარიშს მაინც გამიწევს, რაც არ უნდა იყოს, დიდი იმპერატორი ვარო. ამოირჩიეთ საყოველთაო, მრავალპარტიული, პროპორციული, დიფერენციალური, მაჟორიტარული, ჰორიზონტალური და ვერ-ტიკალური არჩევნებით, ვინც თქვენ გაგეხარდებათ და იცხოვრეთ, როგორც გინდათ. ოღონდ ათასში ერთხელ მაინც, ყვარყვარეს თქმისა არ იყოს, მეც დამიკარით თავიო.

დახეთ იმპერატორის და უფრო მისი ჭკირჭკიტიელი მრჩევლის მზაკვრობა-ვერაგობას, ძვირფასო მკითხველო.

ჭკირჭკიტიაში ათას რვაას ოთხმოცდაათი წლის ოცდარვა გიორგობისთვეს მცირე იმპერატორად გაბრიელ პირველი აირჩიეს.

კუნძულმა თითქმის ერთხმოვნად მისცა ხმა გაბრიელ პირველს და ისტორიული ჭეშმარიტება მაიძულებს განვაცხადო, რომ არც შემცდარა. გაბრიელი მართლაც ჭკირჭკიტიასთვის თავდადებული, უშიშარი და მართალი კაცი იყო.

იმპერატორს კი ყველაფერი გათვლილი ჰქონდა.

ჭკირჭკიტიაზე ცხოვრობდა დორითე მეორე. დორითეც გაბრიელივით სახელგანთქმული და ნატანჯ-ნაციხარი იყო.

მილიციელების ტალღამ რომ ჩაიარა და ქვეყანა თითქმის კალაპოტში ჩადგა, მცირე იმპერატორი თავისი მოვალეობის შესრულებას თამამად და რისხიანად რომ შეუდგა, დიდმა

იმპერატორმა შეშფოთებით გადახედა თავის ერთგულ მოხელეს.

რა ხდება, ევხლოგი, ესაა შენი პროგნოზიო?

მაცალეთ ცოტა ხანს, თქვენ ჯერ არ იცნობთ ჭკირჭკიტიელებსო, შეჭკადრა გაჭუსებულმა.

ცოტა ხანიც არ გასულა, რომ დორითე მეორე სევდამ შეიპყრო. რა ამბავია, რა მოხდა ყველგან გაბრიელი გაჭქუხს. რა იღბალი აქვს ზოგიერთს. ზოგს მთელი-თხა-და-მე არც თხის თავ-ფეხიო? არ გამოვა ასე, განა მე ცოტა სისხლი მიღვრია გამათავისუფლებელ მოძრაობაშიო.

ადგა და შიმშილობა გამოაცხადა.

პირველ დღეს მარტო შიმშილობდა, მეორე დღეს კი ცამეტი ძმაკაცი მიუჯდა გვერდით საშიმშილოდ. საერთოდ ჭკირჭკიტიაში „ზა კამპანიუ“ ძალიან მოდაშია.

გაბრიელ პირველს იმ საღამოსვე მოახსენეს, დორითე მეორე საშიმშილოდ დაჯდაო.

შიმშილობა საერთოდ ჭკირჭკიტიაში ახალი ხილი არ იყო. მესამე წელი თავდებოდა, რაც შიმშილობის ეპიდემიას შეეპყრო კუნძული. შიმშილობდნენ მისაღებ გამოცდებზე ჩაჭრილი სტუდენტები, უიმედოდ შეყვარებულები, სიძისაგან შეურაცხყოფილი სიდედრები, მსაჯების უკმაყოფილო სპორტსმენები, ყველისტალონდაკარგული მოსამსახურეები, ეჭვიანი ცოლები და სახლმმართველზე გაჯავრებული მობინადრენი, მაგრამ დორითე მეორის შიმშილობამ, ცოტა არ იყოს, გააკვირვა გაბრიელი.

რა მოთხოვნებს აყენებსო, იკითხა.

რას მოითხოვს და იმპერატორის სავარძელსო, უპასუხეს.

მეტს არაფერსო?

არაო.

აბა, უშიმშილია კაი ხანსო, დაასკვნა მცირე იმპერატორმა.

მეოთხე დღეს პარკში, სადაც დორითე და მისი ამხანაგები შიმშილობდნენ, უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. მოშიმშილეთა სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა. გარბი-გამორბოდნენ თეთრ-

ხალათიანები, ცისფერ თვალებს აპაჭუნებდნენ სასწრაფო დახმარების მანქანები.

ხალხი რომ დაგვეხოცოს, თავი მოგვეჭრება, არ ღირს ეს სავარძელი იმად, რომ კაცი შიმშილით კვდებოდეს, გაჯიუტებას აზრი არა აქვს, უნდა გადავდგეო, გაიფიქრა გაბრიელმა და შიმშილობის მეხუთე დღეს სისრულეში მოიყვანა თავისი განზრახვა გადადგომის შესახებ.

დორითე გამცირეიმპერატორდა.

აყვავდნენ დორითეს მეგობრები, ყურები ჩამოყარეს გაბრიელის ძმაკაცებმა.

ბოლოს და ბოლოს რა ნამუსია ესო, შესჩივლეს გაბრიელს, ჯერ ხეირიანად არც დაგვეწყო მუშაობა და უკვე გვაიძულეს გადავმდგარიყავითო. რამდენი კარგი ჩანაფიქრი გვქონდა, დორითეს და მისი თანამზრახველების იმედზე რა ხეირი დაეყრება ჭკირჭკიტიასო.

შეძახილმა ხე გაახმო და გაბრიელის მეგულიანებამაც გამოიღო შედეგი.

დორითეს შიმშილობით მოპოვებული მცირეიმპერატორობის გემოც კი არ გაესინჯა, რომ აზიმ-ვეზირებმა მოახსენეს:

გაბრიელ პირველმა შიმშილობა გამოაცხადაო.

დორითემ ჯინუნშიც არ ჩააგდო მცირეიმპერატორადყოფილის შიმშილობა, მაგრამ მოტყუვდა.

შიმშილობის მეხუთე დღეს რომ მოახსენეს, შიმშილობამ ტოტალური ხასიათი მიიღოო, გაბრიელის მომხრენი ღელავენ, ხოლო თვით გაბრიელს შიმშილისაგან კუჭისფერი ადევსო, დორითემ აინუნშიც ჩააგდო ეს ამბავი და მეტიც ქნა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

გაძალიანება აღარ გამოდიოდა, დარბაზმა ერთხმად ურჩია გადადგომა დორითეს.

კვლავ გაბრიელი გაბრწყინდა მცირეიმპერატორის ტახტზე.

დაისვენა ქვეყანამ ნერვიულობისაგან. გალაღდა და გაიხარა. მაგრამ ნაადრევი გამოდგა ქვეყნის სიხარული.

17 ქრისტეშობისთვეს დორითე მეორე თავისი ამალით საშიმშილოდ დაჯდა.

ამჯერად დორითე მეორის ბლოკის მოთხოვნები მოკრძალებული გახლდათ: „შეწყდეს პრავაკაციები კუვეიტის წინააღმდეგ“, „გადადგეს გაბრიელ პირველი“.

გაბრიელ პირველი მძიმე დღეში ჩავარდა. საქმე რთულდებოდა. „აიწონა დაიწონა“ თამაშის ფინალი კარგს არას უქადდა მოქიშპეთ. გაბრიელი ჭკვიანი კაცი იყო და მიხვდა, რომ ერთ დღეს ჭკირჭკიტიას მოსწყინდებოდა მოქიშპეთა კინკლაობა და გაბრიელსაც და დორითესაც ორივეს ერთად მოისვრიდა.

იფიქრა, იფიქრა გაბრიელ პირველმა და დორითე მეორის შიმშილობისადმი პროტესტის ნიშნად უვადო შიმშილობა გამოაცხადა.

დანტე ალიგიერის პროსპექტის თავსა და ბოლოში ორი ლიდერი იჯდა და შიმშილობდა. აღარას ვამბობ იმაზე, რომ მოშიმშილეთა რიცხვი გეომეტრიული პროგრესიით მატულობდა.

ორივეს, გაბრიელსაც და დორითესაც, ღვთის მადლით, მომხრენი და გულშემატკივრები ბლომად ჰყავდათ.

მშვიდობიან მოშიმშილეებს დროდადრო თავს დაესხმოდნენ პოლიტიკაში წვივჩადგმული ქალები და აწიოკებდნენ.

ყოველდღე, ოთხ საათზე ორივე მხარე ერთდროულად მართავდა მიტინგს. კაიროს ბაზრის ყაყანი მონაგონია, იმ მიტინგებიდან რომ რიარია ისმოდა.

ხომ გეუბნებოდიო, მოახსენა გაჭუხებულმა მოხელემ დიდ იმპერატორს.

მერამდენე დღეა შიმშილობენო, იკითხა დიდმა პოლიტიკოსმა.

მეშვიდე. უკვე საკმაოდ არიან მოფამფალებულიო.

ესე იგი შეიძლება დავიწყოთო?

ყოფილმა ჭკირჭკიტიელმა თავი დაუქნია.

და 1890 წლის 24 ქრისტეშობისთვეს ჭკირჭკტია მეხამედ დაიპყრეს ჰუსებმა.

ჰუსურმა გაზეთებმა დაწერეს: ანარქიით თავგაბეზრებული

მოხახლეობა ჯარს ყვავილებით შეეგებაო.

ეს, რა თქმა უნდა, მართალი არ გახლავთ.

გაზეთები მაშინაც იტყუებოდნენ.

## რანაირად, რა სინდისით...

რანაირად, თუ ძმა ხარ, რა ხინდიხით დამიწყებ აწი შენ შენი ხალხის ხიყვარულზე ლაპარაკს? ჩაიხედე, აბა, გულში, დაეკითხე ხაკუთარ ხინდიხს, რა იცვლებოდა? შენ ხომ მაინც იცი, რასაც ხხვას აბრალებდი, შენივე მოგონილ-შეთითხნილი რომ იყო. მეო, თქვენი გათავისუფლება მინდა, ამათო თქვენი მონობაში დაბრუნება უნდათო. გაჰყვიროდი. იყო ახე? არ იყო. პირიქით შენს ოპონენტებს მართლა ხურდათ ხალხის და ქვეყნის თავისუფლება, შენ კი იმის მიხედვით იცვლიდი ხახიათს, ხაით დაუბერავდა ქარი შენს ხავარძელს, აბა, კარგად გაიხხენე? ორჯერ გაგიჭირდა და ორივეჯერ ხელი გაიშვირე დამპყრობლებისაკენ — არიქა, მიმიღეთ თქვენს მარაქაში, მოვაწერ ხელს რაზეც გინდათ, ოღონდ მიხხენითო. ახე რომ, არაფერი იცვლებოდა ერთი რამის გარდა; შენ გთხოვდნენ, პირადად, რომ ხკუპი გექნა იმ ხკამიდან, რაზეც ხალხმა შეგხვა და იმ ხალხხვე ოთხი თვის მერე ერთ ღამეში ხუთჯერ გაუმასპინძლდი ცეცხლითა და მახვილით. არ აღმოგაჩნდა შენ ქვეყნის ხამართავად ხამყოფი ჭკუა, ადამიანის ხიყვარული, მოთმინების და მიტევების უნარი და გადადექიო გიკიჟინებდნენ; შენ, მხოლოდ შენ, ერთ კაცს.

მე როგორც ჩანს, გულუბრყვილო კაცი ვარ და ახალი წლის წინა დღეებში რუსთაველზე თოფ-ზარბაზნების პათქა-პუთქი რომ გაიხმა, ომობანას თამაში, ხაახალწლო კარნავალი მეგონა. გვატყუებენ, გვებურჭალებიან, თორემ ერთმანეთს როგორ დახოცავენ მეთქი ქართველები.

შეიძლება, შენც ასე გეგონა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი პრეზიდენტობის ხანმოკლე დროის განმავლობაში ნერვები მოვუშალე, სული მოვუწამლე ხალხს და ერთმანეთს წავკიდე, მაინც არ გამწირავენო, ფიქრობდი.

პირველი ბიჭი რომ მოკლეს შენს თვალწინ?

მოვეშვათ, ახლა ბევრ ტლიკინს და დავუშვათ, რომ აქამდე ყველაფერში შენ იყავი მართალი. თავმოყვარეობის საქმეა, რატომ უნდა გადავდგეო, ყელყელაობდი.

მაგრამ, შენი დაცვის უწვერულ ანგელოზთაგან პირველი ბიჭი რომ დაეცა შენს ფერხთით? რა გულმა გაგიძლო შენ, შვილების პატრონ პრეზიდენტს გეთქვა: ბოლომდე უნდა ვიდგეთ, დაე, ყველანი დაიხოცონ კანონიერი პრეზიდენტის დასაცავად, მათ სახელს სამშობლო კეთილად მოიხსენიებსო.

რამ გათქმევინა, ასეთი რამ!

შენ ხომ იცი, რომ ის მოტყუებული ბიჭები სამშობლოსათვის კი არა, შენთვის, შენი სკამისთვის იბრძოდნენ. შენ ხომ მაინც იცოდი, რომ შენი გადადგომით სამშობლოს საფრთხე არ ემუქრებოდა.

რა გული გიძლებდა, ყოველდღე შუბლგახვრეტილ და თავგაჩეჩხილ ბიჭებს რომ ჩაატარებდნენ საკაცით შენს თვალწინ, რა გულმა გაგიძლო, საყელო რომ არ გაიგლიჯე და არ დაიყვირე: ბავშვებს ნუ დამიხოცავთ, უარს ვამბობ პრეზიდენტობაზეო!

ამის ნაცვლად პირიქით, ტელევიზორში ვიხილეთ; როგორ იდექი დაქირავებულ ხნაიპერთა ზურგსუკან და ამხნევებდი — აბა ჰე, არ ააცილო კარგად დაუმიზნეთ, შიგ გულში მოახვედრეთ მტრებსო.

რომელ მტრებს გულისხმობდი? შენს სისხლსა და ხორცს — ქართველებს. ვთქვათ, ყოველთვის გეგონა, რომ ღვთიურ მისიას ასრულებდი და მართლა შეუცვლელ კაცად წარმოიდგინე თავი. როცა ესოდენ მედიდურობით თამაშობდი ომობანას და იმპერატორობანას.

მაგრამ პირველივე ბიჭი რომ დაეცა, შენი მიზეზით

გულგანგმირული და მისი რძეშეუმშრალი ბაგეებიდან სისხლმა იფეთქა?

განა ღირდა ერთი ქართველი ბიჭის სიცოცხლედ შენი გამოგონილი პრეზიდენტობა კი არა, თუნდაც ერთად აღებული, ყველა მეფის ტახტი ამ ცოდვილ დუნიაზე?

## თითქოს ცარცი მეჭამოს

როგორც კაცი და როგორც მწერალი, მე კომუნისტური რეჟიმის დროს ჩამოვყალიბდი. ვისაც გამოუცდია, მხოლოდ მან იცის საფუძვლიანად, როგორი იყო მწერლის ბედი საბჭოთა იმპერიაში. ისეთ მწერალზე მოგახსენებთ, ვისაც არ შეეძლო, სიმართლე არ ეწერა, თორემ სხვანაირი მწერლებიც არსებობენ და, ვისლა დავუმალოთ, მშვენივრად გრძნობენ თავს.

ხელისუფლება ჩვენგან სიმართლის თქმას (და მითუმეტეს, სიმართლის აღწერას) არ მოითხოვდა. ათასნაირად გვეძიძგილავებოდა, რათა ხელი შეეშალა ჩვენი ნაწერის გამოქვეყნებაში, თუ ღმერთი გაგვიწყრებოდა და სიმართლეს დავწერდით.

და გვქონდა ფარული თუ აშკარა ომი მთავრობასთან. ამ ომში ორივე მხარე გამოიბრძმედა. ხელისუფლებამ მშვენივრად ისწავლა ჩვენი დამუხრუჭების, „განზე გაყვანის“, ხელიდან კალმის გაგდებინების მეთოდები. ჩვენ ვისწავლეთ ნართაულად, გადატანით, სტრიქონებს შორის აზრის ჩადებით, მინიშნებებით, ეზოპეს ენით წერა. რა ანგარიშით დამთავრდა ეს ორთაბრძოლები, ისტორიამ არკვიოს, ჩემდათავად კი თამამად შემიძლია ვთქვა, რომ რაღაც-რაღაცეების თქმა მაინც მოვახერხეთ, ცოტა სიმართლე როდი გავაპარეთ ჩვენს წიგნებში. ყოველ შემთხვევაში, შევეცადეთ, მწერლის სახელი არ შეგვერცხვინა.

კომუნისტურმა წყობილებამ მწერლებთან ამ ბრძოლა-

ჯაჯგურში ახლებური მკითხველიც მოვა. მკითხველიც ჩვენთან ერთად გამოიქექა და სხვანაირ კითხვაში გამოიბრძმედა. იგი, ხშირად, შეუცდომლად ხსნიდა ჩვენს მიერ ცენზურის თვალისასახვევად დახურულ ფრჩხილებს, ხვდებოდა გადაკვრითა და მინიშნებით ნათქვამს, გონების თვალით წვდებოდა ჩვენს მიერ გამოტანჯულ მრავალწერტილებში ჩაწერილ აზრებს. ჩვენი უადგილო „აბზაცების“ გადამკიდემ ზოგჯერ ისიც კი იცოდა, სად რა იყო წიგნიდან ამოღებული და როგორ დაამთავრებდა მწერალი ნაწარმოებს, თავისუფლად წერის და ფიქრის ნება რომ ჰქონოდა.

სხვებისა არ ვიცი და მე, პირადად, ძალიან მიყვარდა მკითხველებთან შეხვედრა. ამ შეხვედრებს გარეგნულად მოსაწყენი, ერთფეროვანი იერი ჰქონდა (მოხსენება, სიტყვები, ქება-დიდება, შეკითხვები, ბანკეტი), მაგრამ მე დიდ სიამოვნებას მანიჭებდა იმათ პირისპირ დგომა, ვისთვისაც ვწერდი, ვისთვისაც ცენზურას სალტო-მორტალეს ვეთამაშებოდი და წლებზე ფეხს ვიდგამდი, რომ ჩემი სიმართლე „გამეტანა“.

ჩვენ, ამ შეხვედრების დროს, ერთმანეთისა მშვენივრად გვესმოდა. დარბაზში მჯდომი აგენტების მოსატყუებლად (რასაც, უმეტეს შემთხვევაში ვერ ვახერხებდით, მაგრამ მათ შორისაც იყვნენ ისეთნი, თავს რომ იტყუებდნენ საქვეყნო საქმის სასარგებლოდ) იყო ძვირფასი სტუმრისთვის წითელი ყელსახვევის გაკეთების, საპატიო პრეზიდიუმად პოლიტბიუროს დასახელების და სუფრაზე პირველ სადღეგრძელოდ პარტიისა და ხელისუფლების კარგად ყოფნის ხაზგასმის შემთხვევები, მაგრამ შევცქეროდით ერთმანეთს და მეჩვენებოდა, რომ იქეთაც და აქეთაც კარგად ვიცოდით ამ პომპეზური მონტაჟისაგან რა უნდა დაგვეჯერებინა და რა არა. ესეც არ იყოს, მკითხველს რომ თვალებში შევცქეროდი, უკეთ ვახერხებდი რაღაცაზე მინიშნებას, შეთქმულის განდობას, დაფარულის გამხელას ხან მიმიკით, ხან ინტონაციის შეცვლით, ირონიითაც...

თითქოსდა ერთგვარი სპორტული ინტერესიც ჰქონდა

ხელისუფლებასთან კატა-თაგვობანას თამაშს. მკითხველი მტრედის გუნდივით დაგვდევდა. მწერალთან ყოველი აზრიანი შეხვედრა ერის შეკავშირებისაკენ, ეროვნული ლაშქრის მოხალისე წევრთა გამრავლებისაკენ გადადგმული ახალი ნაბიჯი იყო. ამიტომაც, რეჟიმის დამცველები ხალისით როდი ეკიდებოდნენ ამგვარ შეხვედრებს. დაწყებამდე, ხზვათაშორის, ჩაგიკრავდნენ: იმედია, პოლიტიკაზე არ გვექნება ლაპარაკი, დარბაზში მსხდომთ პოლიტიკაზე უფრო თეთრი ლექსის და ვერლიბრის, რომანისა და ნოველის ჟანრული საკითხები აინტერესებთო. შენც, კულისებში, რასაკვირველია, თავს უქნევდი რაიკომის მდივანს: რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, პოლიტიკა რა ჩვენი საქმეა, ლაპარაკი იქნება, ძირითადად, ლიტერატურაზე და ორიოდე სიტყვით უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის არნახულ გამარჯვებებზაც შევეხებიო, აღვუთქვამდი. რაიონის ხელმძღვანელი, რა თქმა უნდა, არ გენდობოდა. თვითონ შემოგყვებოდა სცენაზე, თვითონ გახსნიდა შეხვედრას, თვითონ გადაარჩევდა დარბაზიდან გამოგზავნილ შეკითხვებს და, არა მარტო ბანკეტს უთამადებდა, ვაგონამდეც კი მოგაცილებდა უშიშროების ხელმძღვანელისა და მილიციის უფროსის თანხლებით. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ე მანდ გაუთვალისწინებელ პირს არ გამოლაპარაკებოდი და რაიონში მომხდარ უმსგავსობათა შესახებ სიმართლე არ გაგეგო.

რაღა ბევრი გავაგრძელო, საქმე მაინც უფრო მარტივად იყო, ვიდრე ახლაა. იცოდი, რომ ორი მხარე, ორი ქვეყანა არსებობდა. ერთი, ვისთვისაც იბრძოდი და ვისაც შენი ესმოდა, მეორე — ვისაც ებრძოდი და ვინც ყოვლის ღონისძიებით ცდილობდა შენს მიერ დარეკილი ზარის ხმა მოეგუდა, შენს მიერ დანთებული კოცონი ფეხით გაეთელა, ნაღვერდალზე წყალი დაესხა.

ამ-ღრომტრიალში და სიმწრის კბილთაღრჭენაში დიდი დრო გავიდა. ერთ დღეს სხვა საქართველოში აღმოვჩნდით.

არ შევუდგები იმის ახსნას, როგორია ეს საქართველო. ეს

პოლიტიკოს-ეკონომისტების და სოციოლოგ-ისტორიკოსების საქმეა. უბრალოდ მოგიყვებით, ამ ბოლო დროს, მკითხველებთან ჩემი შეხვედრის ერთ ეპიზოდს.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მკითხველებთან შეხვედრა ძალიან მიყვარს, მაგრამ ორი წელი ისე გავიდა, რომ შეხვედრაზე არსად გავსულვარ. რა ვიცი, სხვა ვითარებათა გამო, თუ არავინ არსად მიმიწვია. დარბაზს მონატრული სიამოვნებით დავთანხმდი ულსხის პრეფექტს, რომელმაც ვინ იცის, იქნებ, სიტყვის მასალად მითხრა, ჩვენსკენ ხომ არ გამოისეირნებდით, ბატონო რევაზ, მკითხველებს თქვენთან შეხვედრა უნდათო. ვიღას სცალია ახლა, ჩემო ქაიხოსრო, მწერლისთვის და წიგნისთვის-მეთქი, მოვითავმდაბლე, მაგრამ ჩასვლის დღე და საათზე მაინც შევუთანხმდი. რომ იტყვიან, სიტყვაზე დავიჭირე.

ის იყო მექანიკური (ჯაჭვი) თუ ელექტროდამცველებით („სეკრეტი") ჩემი ბებერი ჟიგულის დაბმას მოვრჩი და ულსხის ცენტრში რაიკომის ყოფილ შენობას (ახლა პრეფექტურაა მოთავსებული) გავხედე, რომ ჩემსკენ წამოსული ორი, შუბლზექუდჩამოფხატული ჯინსიან-ტყავისკურტკიანი ბიჭი შევნიშნე. სანამ მომიახლოვდებოდნენ, რამდენჯერმე უკან მიიხედეს და მთხოვეს, თუ არ შევწუხდებოდი, ისევ მანქანაში ჩავმჯდარიყავი.

– რაშია-მეთქი, ბიჭებო, საქმე?

– ორი სიტყვა გვაქვს სათქმელი, არ შეგეშინდეთ, პატივცემულო, – გამიღიმა მარჯვენაშეხვეულმა, შავწვეროსანმა ბიჭმა.

კარი გამოვაღე და საჭესთან დავჯექი. უცნობები უკან ჩასხდნენ.

– დღეს შეხვედრაა თქვენთან კულტურის სახლში.

– დიახ, რა ვიცი... არის ახლა შეხვედრების დრო? – წავილუღლუღე.

– შეხვედრაში თავისთავად ცუდი რა არის, ბატონო, რევაზ, მაგრამ თქვენგან კი ნამდვილად არ მოველოდით, – მაღალ,

ხელშეხვეულ ახალგაზრდა კაცს ცხვირზე გარდიგარდმო ნაჭრილობევი აჩნდა და ყიყინა ხმა ჰქონდა.

— რაზე, ბრძანეთ?

— თქვენ, თქვენი წარსულის კაცი ამათთან როგორ ხართ. ამათთან თქვენ რა გესაქმებათ. ეს იმედი გვქონდა თქვენი?

— „ამათში“ ვის გულისხმობთ?

— პრეფექტს და კამპანიას.

— რაზე შემატყვეთ ამათთან ყოფნა, თქვე კაი ხალხო. მე არც ამათთან ვარ და არც იმათთან. მე ჩემს თავთან ვარ და, თუ მიცნობთ, ახე მარტო ვიყავი ყოველთვის, ამ მთავრობის დროსაც და იმ მთავრობის დროსაც — არ შევეპუე.

— რომ გიცნობთ, სწორედ იმიტომ მოგახსენებთ. გაგვიკვირდა.

— თქვენი სახელითისარგებლებენ, ესენი, ეს ქვეყნის ამომგდებნი: აიო, ხომ ხედავთო, რევაზ ჩაფიჩაძე ჩვენთან ჩამობრძანდაო, ჩვენთან არისო.

— უბრალოდ, ამ ორი კვირის წინათ ქუჩაში შემხვდა თქვენი პრეფექტი — ქაიხოსრო. ხეირიანად არც კი ვიცნობ. მთხოვა, უარს რატომ ვეტყოდი.

— ხომ გითხარი, — მაღალმა ხელშეხვეულს გახედა.

— ჯერ კიდევ ეშველება ამ საქმეს. სწორად გაგვიგეთ, თქვენი პრესტიჟის გადარჩენა გვინდა. ახლავე შევატრიალოთ მანქანა და სოფელში ავიდეთ. ბლეთი ჰქვია ჩვენს სოფელს, მაღლაა. აქედან სულ ხუთ კილომეტრშია. ჩვენი რაზმის წევრები შეგხვდებით, მთელი სოფელი მოვა.

— მაპატიეთ, კი ვერ ვიცი, ვისთან მაქვს საუბრის პატივი.

— ჩვენ საზოგადოება „ლამბერტის“ წევრები ვართ. ბოდიშს ვიხდით თავიდანვე რომ ვერ წარგიდექით.

— რა არის იცით, კარგო ბიჭებო? ახლა უხერხულია. კაცს დავპირდი. მობრძანდით თქვენც, კულტურის სახახლეში. ვისაუბროთ. შევეცდები, არ შეგარცხვინოთ, მკითხეთ, რაც გნებავთ. თქვენ არ გაგიჭირდებათ იმის მიხვედრა, სად ვდგევარ და ვის წისქვილზე ვასხამ წყალს.

ჯერ ერთმანეთს გადახედეს, მერე ხელშეხვეულმა ავტომატის ჯერივით მომაყარა.

– როგორ გეკადრებათ, პატივცემულო. ჩვენ იმათ დარბაზში შევალთ და იმათთან ერთად დავჯდებით?

– რატომ, ჩემო იმანო, ისინი რა, კეთროვნები არიან?

– უარესი, – ყვრიმალები წითლად დაებერა მაღალს. – ისინი ჩვენი და საქართველოს მტრები არიან. ხომ ჩაგვექცა ტვინში ხიხნლი, იმათ გვერდით რომ სადმე აღმოვჩნდეთ და იმათი ჰაერით ვისუნთქოთ.

– დაგიხოცავთ, აბა, ერთმანეთი და ეგაა.

– არც უმაგისობა იქნება. სანამ დაგვასწრებდნენ და ჩვენს ხიხნლს დალევდნენ, უნდა ვიმარჯვოთ და ჩვენ ჩვენი უნდა გავაკეთოთ.

– ბევრნი ხართ? – ლამის ყურში ვუთხარი, თითქოსდა შეთქმულების დასტურს ვაძლევდი.

– ყოველ შემთხვევაში, იმათ ვეყოფით! – ვერ მიმიხვდა.

– დაბეჯითებით გთხოვთ, – მთავარ საქმეს დაუბრუნდა მაღალი, – თქვენი იმათთან გამოჩენა და შეხვედრა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ეს თავის მოჭრა იქნება მთელი მწერლობისთვის.

– რა გაეწყობა, რაკი ასე ფიქრობთ, ჩემო ძვირფასებო – ხმაში ხრინწი გამერია და ჩავახველე, რომ მღელვარება დამემალა, – აქამდე არ მომიჭრია მწერლობისთვის თავი და ახლა რა ღმერთი გამიწყრება. გაიგებთ ხვალ ჩვენი შეხვედრის ამბავს და თუ რამე შემეძლება, მერე ვილაპარაკოთ. ახლა, თქვენ გაგებული ბიჭები ხართ და უნდა წარმოიდგინოთ ჩემი მდგომარეობა. ჩამოვედი. თქვენს გარდა სხვამაც ხომ დამინახა. როგორი საქმე იქნება, დავიმალო და ხალხს არ გავესაუბრო.

– ეგენი რა ხალხია. ეგენი მონები და პრავაკატორები არიან. ხალხი ჩვენ ვართ! – ხმას აუწია მაღალმა ნაჭრილობევცხვირიანმა.

– ჩვენ ჩვენი გვითქვამს და თქვენი საქმე თქვენ იცით. ვინძლო წინ არ დაგხვდეთ დღევანდელი აქ ჩამოსვლა. იცოდეთ,

მაგათ დიდი დღე არ უწერიათ და მერე არ შეგრცხვეთ ჩვენი.

მანქანიდან ფრთხილად გადავიდნენ. ცოდვას ვერ დავიდებ, მანქანის კარი არ გაუჯახუნებიათ. ქუდები ჩამოიფხატეს, პრეფექტურის შენობას გაზედეს და ყოფილი ლენინის ბაღის შუაგულისკენ გააბიჯეს.

– პრეფექტი რომელ სართულზეა-მეთქი – ვკითხე კარებში მდგარ, მაშხანიან გვარდიელს.

რომ არ მეკითხა, ყურადღებასაც არ მომაქცევდა, რაკი ვკითხე, ჩემი ვინაობით დაინტერესდა.

– ვისთან მიბრძანდებით?

– პრეფექტთან!

– საბუთი?

გავუწოდე. დიდხანს ათვალიერა. როგორც იქნა დამიბრუნა და ამოღერღა.

– მიბრძანდით!

– არის თუ იცით?

– წეღან იყო, თუ უკანა გასასვლელიდან არ გავიდა. აქ ნამდვილად არ გამოუვლია. მოიცათ, მანქანა აქა დგას. აქ იქნება.

– რომელ სართულზეა?

– მესამეზე.

– თქვენთან ლიფტი არ არის, ხომ?

ჩანს, თავი მოვაბეზრე ჩემი ცნობისმოყვარეობით. ეს ბოლო შეკითხვა უპასუხოდ დატოვა და ზურგი შემაქცია.

პირველი სართულის კიბე რომ ავათავე, ვიღაცამ მკლავში გამომდო ხელი და ყურში ქალის ნაზი ჩურჩული ჩამესმა:

– ბატონო, რევაზ...

ჩემს წინ სქელტუჩება, თმებჩამოშლილი, თეთრმოსასხამიანი შუახნის ქალი დგას.

– ალბათ, არ გახსოვართ. აქ ვმუშაობდი აღმასკომში. ამ ხუთი წლის წინ რომ ბრძანდებოდით, მაშინ შეგხვდით პირველად.

– გიცანით, როგორ არა. – დაბნეულად შევხედე.

— ფანჯრიდან გიყურებდით, — ხმას დაუწია და ისე რომ ხელკავი არ მოუცილებია, დერეფნის ბოლოსაკენ გამატარა — „ლამბერტის“ ბიჭები გელაპარაკებოდნენ. რა უნდოდათ?

— რა ვიცი. რაღაც თავიანთ გასაჭირზე მითხრეს. ისეთი არაფერი.

— იცნობდით მაგათ ადრე?

— აბა საიდან? პირველად ვნახე.

— ბატონო რევაზ, არ დაუჯეროთ მაგათ არაფერი. ეგენი ჩვენი მოსისხლე მტრები არიან.

— ვისი თქვენი?

— მე საზოგადოება „ქართველი დედის“ წევრი გახლავართ. ეგ ბიჭები, თქვენ რომ გესაუბრებოდნენ, ხალხის აკლებისა და ბანდიტობის მეტს არაფერს აკეთებენ. ფული აქვთ შეწერილი კომერციულ მაღაზიებზე. ფაქტები მაქვს. ჩემმა დამ საფირმო მაღაზია გახსნა საწყალმა, ფული დროზე რომ არ მიუტანა, კარები დაუცხრილეს.

— ეს თქვენი პრეფექტი როგორიღაა?

— ოო, ქრისტეს ფეხის მკვნეტელი, გველი, ნამდვილი გველი... ერთ ნაბიჯზე არ ინდობა, თავისი ხალხით გაავსო რაიონი. ღლეტვის მეტი არაფერი ესერხება. დიდი ჯიბე დაიკერა და რა ენაღვლება, პარსავს რაიონს.

— თქვენი სახელი?

— ქუქუნა!

— ხვა... კიდევ რა ხდება თქვენთან?

— „ლამბერტზე“ და პრეფექტზე ხომ გითხარით. რაიონს შავი ჭირივით შეესია სამქველმოქმედო საზოგადოება „თეთრი მტრედი“.

— ეს ახალია რამე?

— არა, ახალი არ არის. თბილისის ფილიალია, შეიარაღებული დადიან. ვერავინ ახლოს ვერ ეკარება. გუშინ მეხამლე ჭავლაძეს მაკე ღორი წაართვეს. ჭკუიდან შეირყევით, თქვენ რომ აქაური ამბები იცოდეთ. ყაჩაღობს უთოფოც და თოფიანიც, ყველა, ვი-

საც არ ეზარება. თქვენ გგონიათ საზოგადოება „მგალობელი“ წესიერად იქცევა? ეგენიც გაფუჭდნენ, საავაძის ძეგლისთვის ფული შეაგროვეს და შეჭამეს. გვატყუებენ, თეთრი მარმარილოს ფული გავატანეთ უგანდაში კაცს და აფერისტი აღმოჩნდაო. არც „ანგელოზ-დემოკრატთა“ პარტია გვაკლებს ხელს. იარაღის შესაძენად გვინდაო და, კვირა არ გავა, ფულზე რომ არ ჩამოიარონ. ამასწინათ, მეღვინე ცერაძეს დაეცნენ. შეკრეს და მილიონამდე წაართვეს. ამბობენ, მაგათი გაკეთებულიაო... რომელი ერთი ჩამოგითვალოთ. ვიღუპებით და ეგაა. თქვენ რაზე შეწუხდით?

– რა ვიცი, შეხვედრაო... არ მომეშვა პრეფექტი. დღესაა ხუთ საათზე, კულტურის სახლში.

– ო, ეგ ბელი, ეგა. ეგ თითლიბაზი. იცის ვინ მოიწვიოს. თქვენისთანა ხალხთან ურთიერთობით უნდა თავი მოგვაწონოს. არ უნდა დათანხმებულიყავით, არ უნდა ჩამოსულიყავით. მაგის გვერდით დასადგომად არ მემეტებით ხწორედაც. მაგის დღეები დათვლილია, მალე დააპატიმრებენ.

– ვითომ?

– ახპროცენტიანია. წყალი არ გაუვა.

საათზე დავიხედე. ახლა თუ ქალბატონ ჟუჟუნას დროზე არ მოვშორდი, გული შემიწუხდება.

– აბა, კარგად! გამოიარეთ ხოლმე, თბილისში რომ ჩამოხვალთ!

– კარგად, კარგად, – ისევ დამეწია და ხელკავით ისევ დამიჭირა, – თქვენი ტელეფონი არ ვიცი!

– ოცდასამი-ოცდაექვსი-ოთხმოცდასამი.

– მოიცათ, ჩავიწერ; ზეპირად ვერ დავიმახსოვრებ, – ჯიბე მოიქექა, – კალამი გაქვთ?

ამოვიღე და გავუწოდე.

– ქაღალდიც გექნებათ.

– არა, სამწუხაროდ.

– მოიცათ, ახლავე, – კედელს, კარის კუთხეში შპალერი

აახია, – ოცდასამი?-ოცდაექვსი-ოთხმოცდახამი.

– გმადლობთ, ჩვენი საუბრის შესახებ არავის უთხრათ.

– რაზეა ლაპარაკი. თუ შეიძლება...

– ბატონო?

– კალამი დამიბრუნეთ, მჭირდება!

– უკაცრავად... ა ბატონო!

– აბა, კარგად!

– კარგად ბრძანდებოდეთ!

ხულმოუთქმელად ავირბინე კიბე. პრეფექტის მისაღებში ხალხი ირეოდა. ისე შემომაჩერდნენ, როგორც ჯეირნები მარილკლდეხთან დაშვებულ უცხო ფრინველს. ერთი-ორმა მიცნო კიდეც და სანამ ჩემს ირგვლივ ცნობისმოყვარე-მომჩივანთა წრე შეიკვრებოდა, მდივანს მივვარდი.

– ჩაფიჩაძე არის-თქო თბილისიდან. სასწრაფო საქმე მაქვს. იცის თვითონ!

ორიოდე წუთში პრეფექტის კაბინეტში ვიჯექი. პრეფექტი – ქაიხოსრო კერძაძე დაბალი, ჩასკვნილ-ჩაგრეხილი, სუფთად გაპარსული, ყბებფართო, ელამი კაცი – ყოფილი არქეოლოგი და ყოფილი პატიმარი, ცოტა არ იყოს, შემცბარი, ნირწამხდარი მეუბნებოდა:

– სხვანაირად არ მიიღოთ... ზემოდან არავის უთქვამს... ჩვენ თვითონ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება... ახლა ასე აჯობებს... რაიონი ჯერ მზად არ არის თქვენთან შეხაზვედრად... შეიძლება სხვანაირად გამოიყენონ. აქ სხვა სიტუაციაა. მტრები, მოგეხსენებათ, თქვენც ბევრი გყავთ. იმედია, სწორად გაგვიგებთ და არ დაგვემდურებით... ეს საკითხი დღის წესრიგიდან არ მოგვიხსნია... უბრალოდ...ახლა სიტუაცია მყარი არ არის... სხვა დროისთვის გადავდოთ... მე თვითონ შეგატყობინებთ... თქვენი ტელეფონი არ პასუხობდა... გუშინაც გვინდოდა დაგვერეკა... დღეს სახლიდან გამოგვასწარით... ახლა მიღებას დავამთავრებ და წავიდეთ, ერთად ვისადილოთ... ბენზინის პრობლემა ხომ არ გაქვთ?

– გმადლობთ... არ არის საჭირო... ყველაფერი რიგზეა. კარგად მენახეთ... ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

– მოითმინეთ... ახლავე კაცს გამოგაყოლებთ!

– არ არის საჭირო!

* * *

ნოემბერი იწურება.

მზეს ძალა მხოლოდ დაკეტილ ფანჯრებს მიღმა აქვს.

ჩემს „ქიგულში" ქარი უსტვენს და წვივებს მიცივებს. თბილისში რომ ჩავალ, მანქანის ღუმელის ძრავი უნდა გამოვაცვლევინო, თუ ვიშოვე. მარტში გადამეწვა და მიმრჩა, გადამავიწყდა.

პირში უხიამოვნო გემო მაქვს, თითქოს ცარცი მეჭამოს.

საფეთქელზე მირტყამს შიშნარევი ფიქრი:

„რა დაგვემართა... რა დაგვემართა... რა დაგვემართა..."

# სახელი

ჩვენი არეული ცხოვრება ყოველდღიურად ათას პირობას გიქმნის, შენს თავზე რომ გული გაგიტყდეს, ან, საერთოდ, დაიბნე კაცი. იმ ხამახხამოცდაექვსი ათასი პირობიდან, ერთი, ასეთი გახლავთ: შეგხვდება კაცი და შეძრწუნებული სახით შემოგჩივლებს: „დავიღუპე, სკლეროზი დამეწყო, დღეს სიყრმის ამხანაგი შემხვდა და სახელი ვერ გავიხსენე". თქვენც ბევრი შეგხვდებოდათ ასეთი ნაცნობი და, რასაკვირველია, თვითონაც არაერთხელ აღმოჩნდებოდით სიყრმის ამხანაგის სახელის ვერგამხსენებელთა როლში.

მერედა ზოგი მათგანი რა ჯიუტია. შეგხვდება, გადაგეხვევა,

გადაგკოცნის. შენი სახელი მშვენივრად იცის, შენ არა და არ გახსენდება, რა ერქვა; თუნდაც, ამ ოცდაათი წლის წინათ. რაღაცას ლუღლუღებ, თავს ქალას ატან, მორცხვად შეჰყურებ – როგორა ხარ, რას შვრები, რამდენი წელი გავიდა...

ისიც, თუ მთლად „გაუგებარი" არ არის, მიხვდება რომ არ გახსოვს მისი სახელი და დახმარების ნაცვლად ცეცხლზე ნავთს გისხამს:

– მგონი ვერც კი მიცანი, რეზიკო, შენ?

– როგორ ვერ გიცანი, არ გრცხვენია. ჯერ არც ეგრე დავბერებულვარ, შე კაცო.

– აბა, თუ მიცანი, რა მქვია და სად შევხვედრივართ ჩვენ ერთმანეთს?

საშინელი წუთები დგება. უხერხულობისაგან ყურები გიბჟუის და ენა გიშრება. ის კი ღიმილით და ნიშნისმოგებით შემოგყურებს. თანაც სრულიად გარკვეული უპირატესობის გრძნობითაც. აქვს კიდეც მიზეზი – თვითონ თავისი სახელი მშვენივრად იცის, შენ ხარ შავ დღეში.

შერცხვენილი და თავდახრილი ღობე-ყორეს ედები.

– როგორ არ მახსოვხარ... იქ... მაშინ... იმის იმაზე... ხაერთოდ, როგორ არა... კონკრეტულად... გულზე გადამვარდა... ენაზე მადგას... იმის დროს არ იყო?

მეც მაქვს შემთხვევები, ჩემო მკითხველო, შევხვდები კაცს, ველაპარაკები და ვგრძნობ, რომ ჩემი სახელი აღარ ახსოვს. რა მოხდა მერე, ასეთ დროს ძველ ნაცნობს გამოცდას კი არ ვუწყობ, ან ტუქსვას კი არ ვუწყებ, ჩემი სახელი როგორ დაგავიწყდა მეთქი, ისე ოსტატურად შევაპარებ საუბარში ჩემს სახელს, რომ შენი მოწონებული:

„შვილო, რეზოვო, დედაჩემი მეუბნება ამ დილით, ძალიან დაღლილი სახე გაქვსო, მშიერი იქნები, მოგიკვდა ჩემი თავიო. არა-მეთქი, დედაჩემო, მშიერი როგორ ვიქნები, შენ და მამაჩემს რომ პენსია გაქვთ, სამი იმდენი მაქვს ხელფასი. ესეც არ იყოს, პროფესორ კაცს მშიერს ვინ დამტოვებს-მეთქი".

ან,

„ბატონო რევაზო, ამასწინათ ერთმა მკითხველმა მომწერა, დაისვენეთ აწი და ჩვენც დაგვასვენეთ. აღარ შეგვიძლია ამდენი ნერვიულობაო. მიჰყევით მშვიდად ცხოვრებას, რომ ხედავთ, მაინც არაფერი გამოდისო“.

ამით ჩემს გულმავიწყ ნაცნობს არა მარტო ჩემს სახელს ვუგდებ ხელში, სხვა იმგვარ რაღაცეებზეც მივანიშნებ, დაკვირვებული მკითხველი რომ უკვე მიხვდა და დიდი იმედი მაქვს, განდიდების მანიად არ ჩამითვლის.

არსებობს გამოუვალი სიტუაციებიც და ერთ ამგვარ შემთხვევაზე მინდა გიამბოთ.

უნივერსიტეტში, ჩემი კაბინეტის კარი, ამ ორიოდე თვის წინათ, ასე, ჩემი ხნის, უულვაშო, გრძელკისერა სათვალიანმა კაცმა შემოაღო. თუ არ მიწყენს, როცა ამ ნოველას წაიკითხავს, იერსახით ძალიან ჰგავდა უცხოური მულტფილმების პერსონაჟს – კეთილ, სათვალიან კუს. ხელში პორტფელი არ ეჭირა და არც მაკინტოშის მოსასხამი ეცვა.

ხელი ჩამომართვა და, ცოდვას ვერ დავიდებ, განსხვავებით ზემოთხსენებული ნაცნობებისაგან, გამოცდა არ მოუწყვია. შეიძლება ვეღარც კი მიცანი, ჩემო რეზოვო, თქვენს უკან ორი კლასით ვიყავით, მეც ქუთაისის ყოფილი ქალთა მეორე (ამჟამად მეოთხე) სკოლა დავამთავრე. კაი ხნის წამოსული ვარ, შენი არ იყოს. ცოლ-შვილს გვიან მოვეკიდე. კოოპერატიულ ბინაში ვცხოვრობ, ვარკეთილის მასივშიო. ჯერ, ალბათ, არცერთ ქართველ კაცს არ უთქვამს, ამგვარი შესავლის შემდეგ: ვერ გიცანი, არ მაგონდები და... საერთოდო...

მე რა გამონაკლისი ვიქნებოდი.

გიცანი, ახლა ნელნელა მოვდივარ აზრზე. მაშინ უფრო გამხდარი იყავი და (თმაზე შევავლე თვალი, ბავშვობაში ფანქრის სათლელში მოხვედრილივით წაწვეტებული თავი და შავზე კარგა ხნის გამარჯვებული ჭაღარა აქვს) თმაში თეთრიც არ გერია-მეთქი.

გარბის დრო, ჩემო რეზოვო. ისე, მიხარია შენზე ბევრი კარგი მესმის. ხანდახან ცუდიც, მაგრამ არა უშავსო. რაზე მოვედი ახლა, თუ იციო.

გისმენ-მეთქი. ყურადღებით.

შენ მილიონი შემწუხებელი გეყოლება, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს. ბავშვი აბარებს ჩემი და თუ რამეს დამეხმარები, ხომ კარგი, თუ არა და არც მაგაზე დაგემდურები. პრაქტიკას მაინც მიიღებს წელს, გაისად ვამეცადინებ და რაღაცა იქნება, უსაშველო ვის დაემართაო.

რა ფაკულტეტზე აბარებს-მეთქი.

მითხრა, რა ფაკულტეტზეც აბარებდა.

ქალია თუ ვაჟი-მეთქი.

ქალიაო.

ასეთ შემთხვევაში, თითქმის, სტანდარტული პასუხი მაქვს. რაკიღა კარგად ვიცი ჩემი შესაძლებლობანი და მისაღები გამოცდების სიმკაცრე.

მე-მეთქი, გამოცდებში არ ვმონაწილეობ. ჩემი კათედრის წევრები იქნებიან და ვთხოვ, თუ საშუალება ექნათ, უარს არ მეტყვიან. საერთოდ, მარტო მე ნუ დამეყრდნობი, იქნებ უფრო საიმედო ვინმე მოძებნო. მე, ჩემის მხრივ, რაც შემიძლია დაგეხმარები. ისე, ძნელი ფაკულტეტი ამოგირჩევია. მანდ ყოველთვის დიდი კონკურსია-მეთქი.

ბავშვი ამ სპეციალობაზე იკლავს თავს, სხვა ფაკულტეტის ხსენებაც არ უნდა, თორემ ჩემთვის სულერთიაო.

ამოვიღე ქაღალდი. ხომ უნდა ჩავიწერო, რომ მერე თავის დროზე გავაფრთხილო ერთი-ორი გამომცდელი ფიცში ჩასაყოლებლად.

რა ჰქვია-მეთქი გოგონას?

თამრიკო ჰქვიაო.

მერე მეთქი? მგონია გვარს და მამის სახელსაც მოაყოლებს. მოგეხსენებათ, სახელ-გვარ-მამის სახელ-ფაკულტეტსაც რომ ჩაუწიკწიკებ, გამომცდელები მაშინაც ძნელად ეხმარებიან და

ოდენ „თამრიკო“ მათთვის ვერაფერი ნუგეშია.

რა მერე, ჩემი ქალიშვილია. დანარჩენი, ჩემი სახელი და გვარი ქე იციო.

არ ვიცი, აღარ მახსოვს, არც სკოლაში სწავლის დროს ვიცოდი მეთქი, უნდა მეყვირა, მაგრამ დავუშვი მიუტევებელი შეცდომა და, როგორ არ ვიცი-მეთქი, მივუგე.

ქაღალდი დავკეცე და ჯიბეში ჩავიდე.

ახლა ერთი სული მაქვს, არ ადგეს და არ წავიდეს. როგორმე სახელი და გვარი უნდა დავტყუო.

მადლობა ღმერთს, არ ჩქარობს.

ვიხსენებთ სიყრმისდროინდელ ქუთაისს. ყველაფერი, ღვთისმადლით, კარგად ახსოვს. მთასა და ბარს ედება, ვინ არ მოიგონა, რა გვარები არ ჩამომითვალა, მაგრამ თავისი სახელი და გვარი არ წამოსცდენია.

კაბინეტში ჩემი თანამშრომელი, დოცენტი მერი შერვაშიძე შემოვიდა.

მომენტს როგორ დავკარგავ.

გაიცანით, ქალბატონო მერი, ჩემი მეგობარია-მეთქი!

„მერი შერვაშიძე“, ნაზად, მაგრამ ამაყად ჩამოართვა ხელი ქალბატონმა მერიმ. ყურადღება დავძაბე, ახლა ალბათ თავის სახელსა და გვარსაც ეტყვის.

„სასიამოვნოა, ქალბატონო“.

მეტი არაფერი.

ახლავე მოვალ-მეთქი. გავვარდი და რუსთაველის კაბინეტში დენის დგებუაძეს შევჩივლე. ასე და ასეა ჩემი საქმე. სამი საათია კაბინეტში სიყრმის ნაცნობი მიზის. შერცხვენილი ვარ, სახელი და გვარი ვერ მოვიგონე, შემოდი, გაგაცნობ, იქნებ გაცნობის დროს მაინც წამოსცდეს მეთქი.

დენისი ფეხდაფეხ შემომყვა.

კაი კაცი უნდა გაგაცნო. ჩემი მეგობარი, ნიჭიერი მეცნიერი დგებუაძე, შევღიმილმთვარე სტუმარს.

– დენის დგებუაძე! – ხელი გაუწოდა დენისმა.

ისევ არაფრისმთქმელი:

„სასიამოვნოა, სასიამოვნოა".

რაღა გავაგრძელო. მომდევნო ოთხმა ცდამაც უშედეგოდ ჩაიარა. ზურაბ კუტალეიშვილმა, გაცნობიდან ოთხი წუთის შემდეგ, ჩემი დაჟინებული თხოვნით მკითხა:

– ბოდიში, წეღან თქვენი სახელი ვერ გავიგონეო, – მაგრამ თამრიკოს მამამ ამჯერადაც წაუყრუა და საუბარი გორბაჩოვის გადაყენების წარუმატებელ შეთქმულებაზე გადაიტანა.

ხუთის აღარაფერი აკლდა, ცნობისმოყვარეობისაგან სულშეხუთულს რომ გამომემშვიდობა ჩემი სტუმარი.

სხვათაშორისო, წასვლის წინ მითხრა, მანდ ჩემი ტელეფონიც მიაწერე, იქნებ ბავშვის ჩვენება გახდესო საჭირო.

ქაღალდი დავაძვრე.

– 42-17-69

ჩავიწერე.

ვის სახელზეა-მეთქი ტელეფონი?

უკანასკნელ იმედს ჩავებღაუჭე.

ჩემს სახელზეო.

რაღას ვიტყოდი.

მოვედი თუ არა შინ, მაშინვე ტელეფონს ვეცი.

– ალო!

კარგია თვითონ აიღო. ნაცნობი ხმაა.

– ორმოცდაორი-ჩვიდმეტი-სამოცდაცხრაა? – ვეკითხები.

– გახლავთ.

– რომელი ბრძანდებით?

– თქვენ ვინ გნებავთ?

რა ჯიუტი ვინმეა.

– ვისი ბინაა?

იქნებ გვარი მაინც მითხრას.

– თქვენ სად რეკავთ?

მაპატიეთ-მეთქი, ჩანს ნომერი შემეშალა.

ყურმილი მაშინვე არ დამიდევს. ალბათ ისეთი სახე მქონდა,

როგორც ნაპოლეონს ვატერლოოს შემდეგ.

იქნებ ქალს მაინც გაუმხილოს-მეთქი ვინაობა და ერთი საათის მერე ჩემს ცოლს დავარეკინე.

თქვენც არ მოგიკვდეთ. ცოლთანაც იგივე დიალოგი განმეორდა.

ამ ორი დღის წინ დამირეკა:

მე ვარო.

ხმაზე ვიცანი, მაგრამ რომელი ხარ-მეთქი, მაინც ვკითხე.

ივნისში რომ ვიყავი, თუ გახსოვს, ქუთაისიდან, შენი სკოლელიო. ბავშვი ქართულში ჩაიჭრა, მაგრამ არ გემდური. მისი ბრალია. სამიანზეც ვერ დაწერა, არ იყო წელს მზადო. მომავალში შეგაწუხებ, კარგად იყავი, ჩემო რეზოვო.

სახელი არც ამჟამად უთქვამს.

# ქარწვიმაძე

მატარებელი ზესტაფონის სადგურში გაჩერდა.

ორმოციოდე წუთში ქუთაისია.

კარგ გუნებაზე ვარ. ვაგონის დგანდგარ-ჭრიჭინში, მგონი, პირველად ჩემს ცხოვრებაში, გამოძინებაც მოვასწარი, პირზე წყლის შესხმაც და კოსტუმ-შალსტუხში გამოწკეპილი ვდგავარ ახლა ფანჯარასთან.

დილის სადგურის ორომტრიალს ვათვალიერებ.

მარჯვნივ, ახლოს, ხმამაღალი ლაპარაკი მომესმა. მივაყურადე. ჩვენი ვაგონის კონდუქტორს იმერულქუდიანი, გალიფეშარვლიანი, ხელკალანჩხიანი კაცი ცხვირწინ ბილეთს უტრიალებს.

— ბილეთი არ არი ესი? არ არის ბილეთი?

— კი, ბატონო, მაგრამ ამ ვაგონის ბილეთი არ არი.

— ამ მატარებლის ხომ არის, შე კაი დედმამიშვილო? ამიშვი

და გავალ ჩემს ვაგონში. შენ იქით მდენი, იმან აქეთ გამომდენა, ღმერთი არ გწამთ?!

– ეს საერთაშორისოა, მოქალაქე, აქ არ შეიძლება!

– არ ვარ ბატონო, მოქალაქე. ზემოუბნიდან ვარ. ნამყოფი იქნები ჩემს სოფელში შენე.

– არ ვყოფილვარ.

– რაღაი არ ყოფილხარ, ვირბინო ახე სინაზე გაბმული მაღლივით, წინდაუკან, ბილეთიანმა კაცმა?

– როგორც გაგეხარდებათ.

– მე „როგორ გამეხარდება“, ქე ვიცი, მარა ხადაა ღონე და ხანძრაობა. მე მოგივლიდით თქვენ, ასე რომ არ წახულიყო საქმე! რაც მეტს გააწვალებთ ადამიანს, ფულს გიმატებენ, ალბათ, ამაში. სად ჯანდაბაშია ე ჩემი ვაგონი. რა ბილეთი მომცა ამნაირი იმ ხახლკარდახაქცევმა!

ამ ბუზღუნით წინ ჩამირბინა ზემოუბნელმა.

რომ არ გამოველაპარაკო, გული გამისკდება.

– მომენტ! მომენტ!

შეჩერდა და დამაშტერდა.

– მე მეძახი, ბატონო?

თავი უცხოელად უნდა მოვაჩვენო. ასე უფრო ეფექტური იქნება.

– არ იუ ფრომ?

საიდან ხარ მეთქი, ინგლისურად ვეკითხები. ინგლისურის მცოდნე მკითხველთან ბოდიშს ვიხდი, ქართული „ფ“-ს სპეციფიური ფონეტიკური ხმოვანების გამო.

– ვერ გევიგე, ბატონო, არ მესმის თქვენი ენაი!

– არ იუ ფრომ, პლიის?

ყურთან მარცხენა ხელი მიიტანა და ჰაერში გაარხია.

– არ მესმის, არა, პატივცემულო.

უმწეოდ მიიხედ-მოიხედა და თავ-თავისი ვაგონის ძებნის მარათონში გამართულ, ზურგტომრიან, ოფლში გახვითქულ მგზავრებს გასძახა.

– არ ხართ ქრისტიანი რომელიმე? არ გესმით ამის ენაი? რაღაცას კარგს მეუბნება და ვერ გევიგე ვერაფრით.

თითქოს არავის გაუგონია.

ჯიბიდან ქაღალდი ამოვიღე და ჩავხედე. ვითომ იქ ამოვიკითხე.

– საიდან ა ხარტ?

აწკეპილულვაშიანი, თაფლისფერვალება, თუთიყუშისცხვირა სახე გაებადრა.

– მე, ბატონო? აგერ ვცხოვრობ, სულ ახლოს. ზემოუბანი ქვია სოფელს. შვიდ კილომეტრს სწორ გზაზე მანქანით რომ გეივლით, მერე სამი კილომეტრი საურმე გზაა და კილომეტრ-ნახევარი ჩემ სახლამდე ფეხით არი სასიარულო. ვინც გზა იცის, სულ არაა შორს!

ერთი სული მაქვს სიცილი არ წამსკდეს და ამ დილაუთენია ხუმრობისხასიათზე დამდგარი ჩემი ახირებული ბუნება ძალაუნებურად არ გავამჟღავნო. წარმოიდგინეთ, რა ადგილას უნდა ცხოვრობდეს, მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში მის ჭიშკრამდე საურმე გზაც რომ არ მიდის.

ისევ ჩავხედე ქაღალდს.

– სად მიდიხარტ?

– მეე, ბატონო? მოყვრებში მივდივარ. ქუთაისთან ახლოს გოდოგანი არი სოფელი. ცოლოური მყავს იქანა. წესათ მაქ ასე. თვეში ორჯერ-სამჯერ თუ არ ჩააკითხე მოყვარეს, მეტი კი არაფერი არი ნათესავი. ქე დაავიწყდები ხელათ. გოდაბრელიძეები არიან გაღმა გოდოგანში ჩემები. კაი ხალხია ნამეტანი. ქარწვიმაძე გახლავართ მე თვითონ.

– რატომ მიდიხარტ? – კვლავ ქაღალდს ჩავცქერი.

– აკი გითხარით, ბატონო, სტუმრად მივდივარ მოყვრებში, წესად მაქვს ასე. ხელდამშვენებული მივდივარ, ქე ხედავთ, ალბათ. ძღვენი მიმაქვს პატარა. ჩვენში მოსაკითხს ეძახიან. რავა, თვითონ კარაფერი აკლიათ. საჭმელ-სასმელი ქე არავის უკვირს დღეს, მარა, ხომ მოგეხსენებათ, ირემმა ირემს ბალახი

გაუწოდაო. მოკითხული მაინც უხარია კაცს. წესად მაქვს ასე: ხელცარიელი ვერ მივადგები, რომ მოვიკლდა, ალავერდაშვილის ოჯახში.

ვხედავ, როგორ არ ვხედავ, მარჯვენა მკლავზე ჩამოკიდებული, გამტყდარ სახელურზე თოკშემოხვეულ კალათში ერთი მაწაწინა, ნახევრადგაპუტული, ფეხშეკრული ვარია ჩანს, კაი ვაჟკაცის ხელისგული რომ დაფარავს, იმხელა ყველი და ცელოფნის პარკში, ასე კილოსნახევარი იქნება, წვრილხეწვრილი ახალი ტყემალი. ესაა სულ ქარწვიმაძის მოსაკითხი.

გადაკეცილი იმერული ქუდი ვირის ყურებივით აფენია მხრებზე. ორთავე მხრებზე დაკერებული, ერთჯიბიანი ბლუზა-ხალათი აცვია, შარვალზე გადმოშვებული, მუხლებზე-ფერგადასული ჩალისფერი გალიფე და ნავისცხვირიანი წუღები.

კვლავ ჩავხედე ჩემს „სასაუბროს".

– კმაყოფილი ხარტ ცხოვრებიტ?

კიდევ უფრო დახერიოზულდა, წელში გასწორდა, კალათა მარცხენაში გადმოიტანა და წეღანდელზე უფრო ხმადაბლა, მაგრამ ხაზგასმულით მომაყარა:

– ნამეტანი კმაყოფილი ვარ, ერთობ კაი ცხოვრება მევიდა, უნდა ვთქვა სიმართლე. სამუშევარი ბევრი არაფერი არი, ე სასმელ-საჭმელი ქე ლეკურაშა ჩეჩქივით. თუ ჭამა-სმა და ქეიფი შეგიძლია, სწორედ ამის დრო არი ახლა. მართლა ადამიანის პატრონი მთავრობაა, რომ ინატრებდი კაცი, ის მევიდა სწორედ. ჯერ რა უნდა გაგიჭირდეს კაცს ამ დროში, მარა, თუ რამე გაგიჭირდა, მიხვალ პრეფექტთან და ხელათში გაგიჩენს სამართალს. თქვენ სტუმარი ადამიანი ბრძანდებით და არ გეწყინოთ, იმდენად ეგება ქე ვერ დეინახოთ, რა სიკეთე დაგვმართა ახალმა მთავრობამ, რავარც ჩვენ ვხედავთ, აქაურები. რომ ასე მალე გაასწორებდნენ ლარ-თარგზე ყველაფერს, არ ვფიქრობდი, სიმართლე გითხრა. ნამეტანი კაათ აგვიწყო ცხოვრება, ვიღას დოვუმალოთ, ამ მრგვალმა მაგიდამ!

ვერ მოვითმინე:

— ისე დაგეწყო თავზე ბალანი!

სიტყვა პირზე შეაკვდა. გაშრა, გახევდა. ქუდი იშვლიპა და ასფალტს დაჰკრა, კალანჩხა მოიცილა და ძირს დაანარცხა, შუბლზე ხელი იტკიცა და ქორის თვალები შემომანათა:

— ქართველი ხარ შენე?!

თავი დავუქნიე.

ამასობაში მატარებელი დაიძრა.

ვაგონს ფეხდაფეხ მისდევს და მომძახის:

— შენც მე დამცინი, შენც მე მაგლახავებ, შე უნამუსო? შენც იმნაირი იქნები, გეტყობა ხახეზე. კაცი ხარ შენე?! ქვას ვერ ვპოულობ ვერსად, თვარა ჩამოგაგდებდი მაქიდან ყვავივით. გაგიტეხავდი თავს! დევიქეცით, დევიღუპეთ! უპატრონოდ და უსახსროდ დაგვაგდეს სოფელი! ჩემი გაჭირვება მეყოფა კაცს; ბოვშვს ჩაფულა არ მიცვია და ცოლს კაბა. ზესთაფონის ბაზარში ქე მრცხვენია დადგომა. მოვაკელი ბოვშებს ხარჩო, ეგება ქუთაისის ბაზარში გავყიდო და ორი კაპიკი მოვიგდო ხელშითქვა. მეტი არევა არ იქნება, ჩვენ რომ ეგვერია ცხოვრება! მე ვთქვი, უცხო კაცია, რაზე ვეტყვი ძვირს ჩვენს მთავრობაზე-თქვა. ქართველი ხარ შენე? კაცი ხარ შენ ამის მერე, ჩემს მეტი საგლახაო ვერავინ ნახე?! მეტი გვეკუთვნის თქვენგან! რავა არ შეგხვდები სადმე, მოსაფურთხებელ მანძილზე თუ დაგიგულე, მე ვიცი მერე შენი პატივისცემა. შე უნამუსო შენ! ახლა დაცინვაც დაგვიწყეთ? ეს გვაკლდა სწორედ. უცხოელი მეგონე, თვარა მრგვალ მაგიდას მოუკვდა პატრონ-მყვარებელი- ორი აგური უნდა მოგაბას მაგ გალხტუკზე კაცმა და ჩაგიშვას წყალში. არ ჩაგაღწევინოს ღმერთმა, სადაც მიდიხარ, იქანა!

ახია ჩემზე! ლამის ქვეყანა დაიქცეს, რა მეხუმრება.

1991

# რა გვჭირს?

ამასწინათ „ნიანგში" ასეთ ნახატ-ხუმრობას წავაწყდი. „რატომ სცემ მაგ ძაღლს კირილე? — სტუმარს უკბინა ფეხზე. — მერე? მე კაცო, უწყრები კი არა, შუბლზე უნდა აკოცო, ამ გაჭირვებაში სტუმარი არ გამიგია, მე!"

ჯერ გამეცინა, მერე სევდა შემომაწვა გულზე და კრიჭა შემიკრა. რა მწარე სატირაა. რატომ უნდა გაჩენილიყო ასეთი ხუმრობა სწორედ საქართველოში — ქვეყანაში, სადაც სტუმარს ღვთის გამოგზავნილად თვლიდნენ და ფართო ტაბლას უდგამდნენ. ნათქვამია, გაქცეული თევზი დიდი ჩანსო, მაგრამ მე იმ საქართველოს მისტირი, რომელიც წავიდა.

შიმშილმა ქამრის მოკლეზე გახვრეტისა და საბნის გაწვდომაზე დახურვის გარდა, როგორც ჩანს, ერთი ცუდი ზნეც გვასწავლა: თუ გამოუვალი მდგომარეობა არ არის, სტუმარს ან თვალს ავარიდებთ ხოლმე, ან, თუ ქუჩაში შეგვხვდა, კალთას აღარ ვაგლეჯთ ძველებურად.

ღმერთო, შენ გვიშველე! გამჩენო, ნუ დააკარგვინებ ქართველს მამაპაპეულ, გამორჩეულ ნიშანთვისებას.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ამასწინათ, ჩემს უწყალო და უმოსავლო აგარაკზე სამი ისეთი მყვარებელი დამეცა, უღვინისჭიქოდ მათი გაშვება სახელის სამუდამოდ გატეხვას ვინ ჩივის, ცოცხლივ ჯოჯოხეთში ჩაგდების ტოლფასი რომ გახლავთ. არა და, სააგარაკოდ წაღებული ნახევარი წველა ყველი და ამოსულ-ამოკვირტული ორიოდე კილოგრამი კარტოფილი უშველის ამ საქმეს? ღვინო, ვენაცვალე, ჩემს გურჯაანელ მეგობარს — დავით თვალმიხელაშვილს, მისი ნაფეშქაშევი ღვინო მაქვს, მაგრამ მისაყოლებელი არ გინდა? ვაჟიშვილს სტუმრების ნარდით გართობა დავავალე, ცოლს ვუთხარი — სამზარეულოში მოსაჩვენებლად აზმაურე ტაფა-ქვასანაყი მეთქი, ჩავიკუჭე ჯიბეში ზაფხულის ხელფასსგადარჩენილი ოთხასიოდე მანეთი და ვეცი ჟიგულს.

ჩვენი, ჯერ უსახელო, უტყეო უდაბნო-აგარაკ-დასახლების ზემოთ, მდინარე ფრანის პირას პატარა ქართული სოფელია (ახლახანს ცოტნიაური დაარქვეს, ადრე რა ერქვა, ვერ გეტყვით). ცოტნიაურში, თურმე, ამ რვაასი წლის წინათ კოხტასთავის შეთქმულების ორი, დაჭერას იღბლად გადარჩენილი, მონაწილე იმალებოდა. ტყუილია-მართალია ვერ გეტყვით. ზემოთ ამ ფრანისპირა სოფელთან დაკავშირებით „ქართულს" იმიტომ გავუსვი ხაზი, რომ ცოტნიაურის მარცხნივ, ოდნავ ზემოთ, გაღმა, თუნუქის სახურავებით ალაპლაპებულ-აელვარებული, მჭიდროდ დასახლებული აზერბაიჯანული სოფელი — აღჯაბადი მოჩანს.

ცოტნიაურში ჯვარგადახრილ მწვანე საყდარს გავცდი და პირველივე მოსახლეს დავუსიგნალე.

როდისროდის შავთავსაფრიანი მოხუცი ქალი გამომეგება. ჯერ ჟიგულს დააკვირდა, მერე მე, და რომ ვერ მიცნო, შებრუნება დააპირა, მაგრამ მანქანიდან გადმოვხტი და შევეხმიანე:

— ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო, უხერხულ საკითხზე გაწუხებთ, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს. სტუმრები მეწვივნენ მოულოდნელად, მე, ქვევით, განათლების სამინისტროს ნაკვეთები რომაა, იქ ვისვენებ. პატარა აგარაკივით მაქვს. ერთი სიტყვით, ყიდვა მინდოდა რაღაც-რაღაცეების.

— რისი მაინც? შემობრძანდით ეზოში, პატივცემულო.

— შემოსასვლელად, გმადლობთ, არ მცალია. ა (პიჟამოზე დავიხედე), ასე ვარ წამოსული. მინდა ვიყიდო, ერთი სიტყვით, თუ გასაყიდად გაგემეტებათ: ერთი ვარია, ცოტაოდენი ყველი, კვერცხი, მწვანე ლობიო, თუ ვინმეს ექნა.

ღობესთან სკამი გამომიტანა. დაბრძანდიო, დაჟინებით მთხოვა, მაგრამ შორს დავიჭირე. მერე თავშალი მოიხსნა, ისევ შემოიხვია წვრილად დავარცხნილ თეთრ თმაზე, შუბლთან ლამაზად შეიკეცა და უკან ჩვეულებრივზე მაგრად შეიკრა.

— მე, პატივცემულო, ეს ორი კვირაა ჩამოვედი, შვილთან ვარ

ქალაქში და კრუხი ახლა დავსვი, ჯერ არც გამოუჩეკია. ძროხა, სიმართლე გითხრათ, არა მყავს. რომც მყავდეს, ზამთარში ვის დაუკუტრავს, ყველას თავისი თავი უჭირს. ვარიკი ზებედაშვილის ქვრივს ჰყავს გასაყიდი ზევით, მაგრამ ძალიან ძვირს აფასებს. რა ვიცი, ჰკითხეთ მაინც, მოსახვევთან დიდი მსხალი რომ დგას, იქვეა მისი ჭიშკარი. მწვანე ლობიო ჯერ არ ვარგა, ახალი გამოსულია ყვავილიდან, თორემ როგორ დაგიკავებდით. ისე, ამას, ყველაფერს, გადმა იშოვით აზერბაიჯანელებთან. კარგი ხალხია, ვერ დავმალავ და არც მეძვირეები გახლავან. რამე რომ დაგვჭირდება, ჩვენც მათგან ვყიდულობთ. ისე, რაკი მოსული ხართ, შეუყევით ზევით სოფელს იქნებ რამე იშოვოთ. რა ვიცი, მე დიდი იმედი არა მაქვს. ზებედაშვილებთან მაინც ხომ უნდა მიხვიდეთ.

მადლობა მოვახსენე და მანქანაში შევძვერი.

ზებედაშვილის ქვრივმა, მაღალმა, ბოხხმიანმა დედაკაცმა: ხუთი ვარია მყავდა და გუშინ გავყიდე დეზერტირის ბაზარზეო. არა ღირს დღეს ფრინველების მოშენება, იმდენი წვალება უნდა, საკვების ფულსაც ვერ ანაზღაურებსო. ზევით ტყუილად წახვალთ. ძროხა ორ მოსახლეს ჰყავს მარტო — კამლიძეს და ხახალეიშვილს. კამლიძის ძროხა მაკეა, ხოლო ხახალეიშვილთან იმდენი სულია (ახლა ქალაქიდან ძმის შვილიშვილებიც მოემატნენ), რომ ძველი გასაყიდად კი არა, გამაგრებასაც არ აცლიან, ახალამოყვანილზე ჰყინტად იჭმება მაგათ ოჯახშიო. ზევით, გორაშვილებს, მესამე წელია ჭიშკარი არ შეუღიათ, მიატოვეს აქაურობაო. კვერცხი ერთ ადგილას მეგულება, მაგრამ ხუთს არ აკლებს და ხუთად ქალაქშიც ქე იშოვითო. რატომ არ გინდათ აღჯაბადში ასვლა, ყველაფერი აქვთ და ყიდვისას ნუ შეგრცხვებათ, შეევაჭრეთ, არაფერი უჭირთ, კეთილი ინებონ და დაგიკლონ. ჩვენს მიწაზე ცხოვრობენ და ჩვენი ბუნების მადლით მდიდრდებიანო.

გამოვემშვიდობე ზებედაშვილების ქვრივს და ზემოთ აღარ წავსულვარ, აღჯაბადისკენ შევაბრუნე მანქანა.

ცოტნიაურის აღმართი ავათავე და ასფალტიც გაწყდა. ნახევარ კილომეტრამდე ოღროჩოღრო, ქვიან-კოლბოხებიან გზაზე ვახტუნავე მანქანა და თავდაღმართზე რომ დავეშვი, ისევ დაიწყო ასფალტი. ალჯაბადის შესასვლელიდან ასფალტიანმა გზამ მარჯვნივ გაუხვია. ისევ მტვერში შევყავი თავი.

პირველი, რაც თვალში მეცა ალჯაბადში შესვლისას, ის გახლავთ, რომ სახლები აზლოზანლოდ უდგათ და ქუჩები დიდად მოვლილ-დასუფთავებული არ უნდა ჰქონდეთ. ყოველ შემთხვევაში მანქანიდან ასე ჩანს. გზის პირზე გადმოკიდებულ ბოსლებქვეშ საქონლის ყორე დახვავებულა და ორღობეში შავური ხუნი დგას. ყოველ ნაბიჯზე ბალღები დატანტალებენ. შავტუხა, მკვირცხლთვალება თათრის ბავშვები მანქანას მონუსხულივით შემოაჩერდებიან და „გამარჯობა“, „გამარჯობას“ ძახილით ფეხდაფეხ მოსდევენ. ლურჯ-წითლად ჩამჭკნარ-ჩაქიშმიშებული თავ-ბიბილოების წინწაგდება-ღივილით სოფელში უცხო კაცის გამოჩენისადმი პროტესტს გამოხატავენ გაფხორილი ინდაურები. ხოლო შუკაში მოსისინ-მოყიყინე ბატებს ოციოდე მეტრზე რომ მიუახლოვდები, სწორედ მაშინ მოუნდებათ მეორე მხარეს გადასვლა. მიიზუზლ-მოიზუზლავენ, კისრებს წაიგრძელებენ და ფრთების ოდნავ გაშლით, პარტ-ყაპურტყით, ისე დაწყობილად და წესრიგიანად გადადიან, რომ შემირცხვენია მათთან ნებისმიერი, ქართული, როგორც ჟურნალისტები იტყვიან ხოლმე — „არაფორმალური საჯარისო გაერთიანება“.

შუა სოფელში, წყაროსთან დავამუხრუჭე. ორი გრძელკაბა-თავსაფრებში გულდაგულ შეფუთული ახალგაზრდა ქალი წყაროსთან ჩამუხლულა, ერთი ხის განიერ ვარცლში თეთრეულს რეცხავს, მეორეს კოკა შეუდგამს რკინის მილისთავის და დოინჯშემოყრილი დასცქერის.

— სალამ ალეიქუმ!

მრეცხავმა პასუხის ნიშნად ტუჩები ააცმაცუნა და, თუმცა ქალს კაბა სამჯერ უფრო ფართო ეცვა, ვიდრე საჭიროება

მოითხოვდა, მაინც ყოველშემთხვევისათვის ჩაისწორ-ჩაიფინა, კოკიანმა კი ჩაიღიმა და, თითქოს აქ არაფერიაო, კოკას ხელი შეაშველა. მანქანიდან გადმოვედი და შორიახლო გავჩერდი.

– ხომ არ იცით მკვირფახებო, ვინ ყიდის აქ რამეს, საერთოდ, რახაკვირველია, კვერცხი მინდოდა და ცოტა ყველი, ლობიო თუ გეშოვებათ, ერთ ქათამსაც ვიყიდდი ხელსაყრელ ფასში, რა თქმა უნდა,

ჯერ საქმიანსერიოზული ოთხი ლამაზი თვალი ერთდროულად შემომენთო, მერე ვარცლიდან თეთრი ქსოვილი ამოცურდა, ორივემ ღონივრად გაწურეს და დახვეული ქვაზე რომ დადეს, ერთმანეთში დინჯი, აუჩქარებელი მუსაიფი გააბეს.

– თურჩიფთიაჯიბაშბაშლულუ? – ჰკითხა მრეცხავმა.

– ქაფშუშჯამრე – მიუგო უფროს ახალგაზრდა და ტანკენარმა, კოკა თემოზე შემოიდგა და წყაროს ფილაქნიდან ჩამოორსაფეხურდა.

– კვერცხი, ყველი, ქათამი და კიდევ რა? – მკითხა შვიდპირ დიბა-ატლასში გახვეულმა და ვარცლი გადმოაპირქვავა.

– ლობიო.

– თურთურქიფჩანბოლშლუწუჯუ!

– ქურქურზუთუ – ფეხი მიწას მორცხვად გაუსვა და კოკას ხელი შეუნაცვლა ლამაზმა. ისე, კაცმა რომ თქვას, რად ავიხირე ეს „ლამაზმა“. ორივენი საოცრად ლამაზები და რაც მთავარია, კდემით აღსავსენი ჩანან.

– აი, ამ გოგოს დედამთილი აქვს ყველაფერი. იქეთ, ფირდაფირ, ორსართულიანი აგრის სახლი ცხოვრობენ. მიდი, აიღე – მითხრა უფროსმა ქალმა და გაწურული ზეწარი ცარიელ ვარცლზე დააგდო.

– ზემოთ კაკალი რომ ჩანს?

– იმის იქეთ, მეორე პატარა კაკლი და ფირდაფირ ამისი სახლია.

ამასობაში „გოგო“ დაწინაურდა. კოკას ორივე ხელი მოხვია და ოდნავ გადახრილი კოხტად მიაბიჯებს.

— თვითონაც ხომ შინ მიდის?

— კი.

— ჩაბრძანდეს, ბარემ, მივიყვან კიდეც და გზასაც მასწავლის.

— ფირქირღუღუ?! — გასძახა.

კოკიანი შეჩერდა. მოიხედა, გაიცინა.

— თურშალფე.

— ეშინია, — განმიმარტა ვარცლთან ჩამუხლულმა.

— როგორ გეკადრებათ. ორ ნაბიჯზეა... ეხეც არ იყოს, ვგავარ ისეთ კაცს?

— ქაფჩქუ! — გასძახა.

ამასობაში მანქანა ზედ კოკათეშოსთან გავუჩერე.

უკანა კარი გამოსწია. ჯერ კოკა ჩადგა.

— რა გქვიათ? — ტირიფებთან გადავუხვიეთ თუ არა, ვკითხე.

— ბაჯი.

— რა ლამაზი ხარ, ბაჯი.

— ე, ე, აბა, აბა, გააჩერე! ფეხით წავალ!

— რატომ, რა დავაშავე?

— ჩემი დედამთილი, აგეთნაირი ლაპარაკი არ უყვარს. თუ დამნახამს! — ბაჯიმ ორივე მუშტი ერთმანეთს მიარტყა და გაიცინა.

რამდენიც არ უნდა მიმტკიცოს ჩიჩი გვილავამ, ხატზე დავიფიცებ, რომ ლამაზი ქალები ყველგან ერთნაირად კეკლუცები და მაცდურები არიან.

ბაჯიმ თავის ჭიშკართან მაინც არ მიმიყვანა. აქეთ, ორმოციოდე ნაბიჯზე გამაჩერებინა მანქანა.

მეც კოკიანად წინ გავატარე. მადლიერად შემომხედა, გამიძღვა, ეზოში შესვლისას თავშალი შუბლზე ჩამოიწია და გამიღიმა.

მალე ბაჯის დედამთილი ორმოცდაათიოდე წლის, მზედაკრული, თეთრკბილება, თეძოგანიერი ქალი იდგა ჩემს წინ.

წვრილად ავუხსენი მოსვლის მიზეზი. არც ის დამიმალავს,

ხად ვაგარაკობ და რა პატივსაცემი სტუმრები მყლიან შინ.

– არის, არის, ყველაფერი არის... მეზობელი ყოფილხართ. აბა ფულზე რა ლაპარაკი არის, სირცხვილია, მაგრამ დღეს ყველაფერი გაძვირდა და რა ვქნათ, ჩვენი ბრალი არ არის. ახლავე. ამ წუთში.

– ჯოშმალარე! – შუშაბანდს გასძახა.

ცისფერსაწმერთულიანმა გოგომ გამოიხედა.

– კვერცხი რამდენი? – მკითხა მასპინძელმა.

– ოცდაათი, რას აფასებთ?

– ქალაქში ხუთი ღირს, თქვენთვის ოთხი იყოს...

ცოტა შეყოვნება რომ შემატყო:

– ჰა, სამნახევრად აიღე.

– ყველი?

– ერბომოხდილი თუ არ არის.

– იოხ, იოხ, არა, ჩვენ ყველი არ ყიდით, მარტო რძე და მაწონი. ამას ჩვენთვის აკეთებთ, საჭმელად. ნახავთ. თუ არ მოგეწონებათ, ნუ იყიდებ. მეტი?

– ქათამი ერთი.

– იახში, იახში, დიდი ქათამი თუ ახალგაზრდა ქათამი?

– საშუალო.

– იახში. ქერჩფერკუფუ ბიჭუათქუთა! – გასცა განკარგულება.

გოგონამ კისრიტეხით ჩაირბინა კიბე და სახლისუკან გაუჩინარდა.

სანამ ბაჯის დედამთილს ჯალაბობის რაოდენობა-სიმრთელეს ამბავს გამოვკითხავდი, შვილიშვილები გარსშემოგვეწყვნენ.

საწმერთულიან, შვლის ნუკრივით თვალცისკარა გოგოს ყველი ეჭირა, თეთრთავსაფრიან თექვსმეტიოდე წლის მზეთუნახავს ცელოფნის პარკით – კვერცხები, ფეხშიშველა თმაგადახოტრილმა, გარუჯულმა ბიჭმა ქათამი მოაბათქუნა.

სახლისაკენ თვალს ვაპარებდი. ლამაზი ბაჯი აღარ გამოჩენილა.

სანამ მასპინძელს ვევაჭრებოდი, მეზობლები მოგროვდნენ. ერთმა ვარიები გამოიყვანა, მეორემ გობზე დაწყობილი

გარგარი ჩაარბენინა, მესამემ კარტოფილი. შურიანად დადგნენ. აქაოდა, ჯერ ბაჯის დედამთილთან გაასწოროს ანგარიშიო.

ნავაჭრს მანქანის საბარგულში რომ ვალაგებდი, ლერწამტანა, წრიპინახმიანმა, ჭადაბმულწარბებიანმა გოგომ, რომელსაც ცხვირის ნესტოები ოფლისაგან დაცვაროდა, ვედროთი მწვანე ლობიო ჩამოარბენინა და თვითონ ჩამიდგა მანქანაში.

— წავედი აბა, გმადლობთ, ნახვამდის!

ყასიდად გავიღიმე და შევტრიალდი. ვნახოთ ერთი რა ხაზეს მიიღებენ მეთქი. ზოგჯერ ვიცი ხოლმე, ასეთი უადგილო ხუმრობა.

— ე! ე! ფული! ფული! — დაიძახა ლობიოს პატრონმა და უფრო მეტად რომ აეხსნა, თითები ერთმანეთის ლამის ჩემს ცხვირწინ გაუსვ-გამოუსვა.

ვიანგარიშეთ. ბაჯის დედამთილმა ფასები ლამის გამინახევრა, მაგრამ ჩემი ოთხასი მანეთი მაინც არ მეყო.

გენდობითო, მითხრა ახლა ლობიოს გოგომ გაისტუმრეთ და ეს დანარჩენი მერე ამომიტანეთ, მეზობელი ხართ, ბოლოს-დაბოლოს, გამქცევი ხომ არ ხართო. თუ არ მოიტანეთ, მე წყევლა არ ვიცის, არ შეგეშინდესთ. შენი ფეშქაში იყოსო.

რომ ჩავივაკე, ცრემლგამშრალმა გავხედე ჩახავსებულ-ჩათითოდედაბრებულ ქართულ სოფელს და მყუდროება არ დავურღვიო მეთქი, ასაქცევი მოვძებნე.

ვალი, რასაკვირველია, მეორე დილითვე ვაახლე ბაჯის დედამთილს. ამას ისე, ზედმეტად ცნობისმოყვარე მკითხველისთვის ვწერ, თორემ ნოველისთვის რა მნიშვნელობა აქვს.

# უცნაური ქორწილი

— მიტუამ იცოდა ხოლმე თქმა, ცხონებულმა, იდაყვიც ახლოხაა, მაგრამ ვერ აკოცებო.

— როგორ „ცხონებულმა“?

— მიტუა ხომ გახსოვს? წყაროდან მარცხნივ, მეორე ჭიშკარი მისი იყო. ეზოში დიდი კაკალი ედგა.

— მახსოვს რომელია. განა ერთი და ორი ჭიქა მიგვიჭახუნებია აქაც და იქაც, მის მარანში?

— ჰოდა, ეგა, შემოდგომი მიწურულს, მგონი ნოემბრი ბოლო დღეები იყო, თუ დეკემბერი დაწყებული გახლდათ, ერთი სიტყვით, შენი ჭირი წაიღო.

— რამ მოკლა კაცო, მიტუა, საღ-სალამათი კაცი. ოხუნჯი და ენატკბილი, მიტუა?

ჩემმა ნათლიმამამ, მგონია, ცოტა ჩაიღიმა კიდეც, თუ მომეჩვენა.

— რა ვი, აბა. ყველანი ხიკვდილი შვილები ვართ. იხე, კაცმა რომ თქვას, საათივით რომააწყო საქმეი, სწორედ მაშინ მოკვდა.

— როგორ, რანაირად?

— სულ უბრალოდ. დაიძინა და აღარ გაიღვიძა.

მიტუა. ახლაც თვალწინ მიდგას ხმელ-ხმელი, დაძარღვულ-ძელებიანი, მკვირცხლთვალება მიტუა — ხშირ ჭაღარაში ლამის შეზრდილ-შეხუნებული განუყრელი კახური ქუდით, სქელი, მოუვლელი ულვაშებით და სწორი, ლამაზი ცხვირით. წამდაუწუმ ხუმრობდა და სიცილის დროს ჩაწიკწიკებულ თეთრ კბილებს აელვებდა.

— რა იქნებოდა ჯერ მიტუა?

სამოცდახუთისა იმ კვირაში შესრულდა. ტოლები ვიყავით. ეგ მარტში იყო დაბადებული, მე აპრილში. ძალიან დაგვაკლდა. რაღაცნაირი მადლი ჰქონდა იმ დალოცვილს, სადაც

გამოჩნდებოდა, ეშხი და ღიმილი შეჰქონდა, მიტუას გვერდით ვერ მაიწყენდით. ცოტა უცნაურად კი მოკვდა...

და ჩემს ნათლიმამას ისევ შეეპარა ღიმილი წეკოსაგან გაყვითლებულ, დამჯერე ულვაშებში.

— ჰო, აბა, აბა.

— მიტუას რჯულიერი დედაკაცი. შენ, აბა როგორ დაიმახსოვრებდი, მაშინ იქ იყო, ერთი უბრალო, შეუხედავი, მაგრამ გამრჯე და მუყაითი ქალია. ველისციხიდან არის გამოთხოვილი. გვარი აღარ მახსოვს. ხომ გაგიგონია — ბუ შეუხედავია, მაგრამ გული კეთილი აქვსო, სწორედ ქალბატონ ლუბაზეა (ლუბა ჰქვიან) ზედგამოჭრილი. განგებამ ბალღები არ მისცათ და ცხოვრობდნენ მარტონი. ამ წუთისოფლი ორომტრიალში, როგორც ილია იტყოდა, თუ მარტომყოფი ეთქმის გლეხკაცსა.

ყველა კაცი თავის ჭკუაში პატარას ეშმაკობს და მიტუასაც ჰყავდა თავისი ოფოფები — რომ იტყვიან, ქალები უყვარდა. ჯეელობაში ხშირად დაქორმწევრობდა ალაზნი გაღმა-გამოღმა ჭალებში. თუ სადმე საკბილო დედაკაც მოიხელთებდა, ტყუილია, არ გაუშვებდა.

არ გესწავლებათ ყოველ სოფელსა ჰყამს თითო-ოროლა (თუ მეტი არა) ლამაზმანი, კახპაი.

ბევრჯერ სდრუზეს კეტი წელში წუწკსვადობითვინა შენს მიტუას, მაგრამ თავისას არ იშლიდა.

ბოლოს, ხანში რომ შევიდა, როგორც ყველა და ყველაფერი — მიტუაც დაცხრა, დადინჯდა, მაგრამ ყელყირმიზა და გავათიმთიმა ქალებისკენ თვალები ყოველთვის გაურბოდა. რაკი სანადირო-საშლიგინოდ მუხლი ძველებურად აღარ მოსდევდა, ლიზაზე შეჩერდა. ლიზა ხევგაღმა ცხოვრობდა, ჭინჭრიანს ვეძახდით, ხიდს რომ გადახვალ პირდაპირ სკოლაა. სწორედ ამ სკოლი წინ ცხოვრობდა ლიზაი. მარტოხელა ქალი იყო. მშობლები ადრე დახოცოდა და გათხოვება ველარ მაეხერხებინა. ხომ იცი, მუღამყისმათი უნდა ყველაფერსა.

არავინ იცის, როდის შეუჩნდ-შეუჩორდა და რა დროიდამ

დაიდო ლოგინი მიტუამ ლიზას ჭერქვეშ. ჯერ, როგორც ხდება ხოლმე, ჩუმად, ქურდულად შეიპარებოდა. მერე სოფელი თვალსაც აღარ ეპუებოდა.

ბევრიც რომ ეცადო, ეგეთ საქმეს სოფელ ვერ დაუმალავ. სოფელს დიდი თვალი აქვს, ხელათში ჩაგავლებს და საქვეყნოდ გამოგაჭენებს. ტაშტი გატყდა, ხმა გავარდაო, ნათქვამია. ჭორს ერთი თვისება აქვს — აფუვდება, აფარფატდება, აქეთ-იქით მიაწყდება და მალევე ჩაქრება გაზაფხული ქარივითა. გაზაფხულის ქარი დიდხანს არა ჰქრის, გრძელი ქარები შემოდგომამ იცის. მოკლედ ჭორმა იჭორა, იქარიძრომიალა და ჩაცხრა. მიტუა ძველერთგულად, კვირაში ორჯერ-სამჯერ მაინც შეაღებდა ლიზიკოს კარებსა. ნანდაურს მოეფერ-მოესურვილებოდა და შეღამებულზე გამოსწევდა შინისაკენ. ბოლო წლებში კარგა შეცვერთხილ-შებერებული ჩვენი გმირები სოფლის გულსახეთქად აივანზე ისხდნენ და ჩაის შეექცეოდნენ.

ამ სიყვარულის ამბავი გაღმა-გამოღმა სოფელში, მე მგონი, ყველამ იცოდა, თავად „დაზარალებულის“ — ლუბას გარდა. ეგეც ძალიან მეეჭვება... აბა, მტერ-მოყვარეში ერთი მაინც როგორ არ გამოჩნდებოდა, ლუბასთვის არ ჩაეყაჭა — ქმარი გღალატობსო. მაგრამ რაც არ ვიცი, ვერ დავიჩემებ, გარეგნულად ცოლ-ქმრის ცხოვრებას არაფერი ეტყობოდა.

ლამის ოცი წელი ისე ჩაიფურცლა ლუბასა და მიტუას სახლიდან ხმამაღალი ლაპარაკიც კი არავის სმენია. ერთიც ვნახოთ, შარშან ნოემბრის ბოლოს ჩემი ცოლიძმა (ფოსტალიონია) მეუბნება:

მიტუამ ლიზიკო ცოლად მოიყვანაო.

ეგ რა სისულელე ჩაუდენია, ამ სიბერეში, მაგ ღმერთგაწყრალს მეთქი, რა დროი ჩვენი ცოლის შერთვაა, მიქელ-გაბრიელის სიაში ჩვენი რიგი გვიახლოვდება და ბრინჯსა და ჯონჯოლს უნდა გვიმარაგებდნენ სახარჯოდ მეთქი. ლუბას რაღა უყო მეთქი, მაგ უმადურმა, ეგ ღვთისნიერი ქალი ქუჩაში ხომ არ დატოვა-მეთქი ამ სიბერის წლებში?

არაო, შენ ჯავრი ნუ გაქვს, იცის ბიჭმაო, ორივე შინა ჰყავსო.

ერიჰაა, ე რა კომპლიმენტი შამახუდა ჩვენს სოფელში და მე კიდევ ჩიტი-ნიბლიას მსგავსად ჩამქინებია მეთქი. ეგ საუბარი ჩემს ცოლისძმასთან ნასადილევს შედგა, სადამოთი კი თვითონ სიძე ბატონი — მიტუა მომადგა ქიშკარზე და ჩამწმამაღალა:

— გივო, ხვალ სადამოს ჩემსა გადმოდი, პატარა ვახშამი მაქვს და ძველებურად მოვილხინოთო.

რა ზეიმ-მეჯლისი გესტუმრა, თუ საიდუმლო არ არი მეთქი, ვკითხე, მითამ არა ვიცი რა. ცოლი შევირთეო. თვალს მარიდებს. შენ ხომ არ შეურიკინე ზედა სართულებში, ჭკუა ხომ არ შეგიმსუბუქდა, მა ლუბაი მეთქი? ორღობეში გავყევ ლაპარაკ-ლაპარაკითა. როგორ მოვშორდები, — სანამ სიმართლეი არ გავიგებ.

— ყველაფერი ლუბას თანხმობითა და კურთხევით მოხდაო. დავუჯექ და წვრილად ვაუწყე; ჩემო საყვარელო და ტკბილო ლუბა მეთქი, იგრე და იგრეა საქმე, დიდი ხანია, შეიძლება, ყურიც მოგიკრავს, ჩალიანთ ლიზიკოსთანა ერთგვარი მეგობრობა-ამხანაგობა მაქვს მეთქი. ურიგო ქალი არ არი და შენც ძალიან უყვარხარ მეთქი. ახლა ამ ჩვენს ყოფას რო ვაკვირდები, ცხოვრები საქმეი უკან-უკან მიდის და ჩვენც ღრმა სიბერეში შევდივართ მეთქი. სიბერე კიდე ისეთი რამეა, როსტომსაც კი ქედი გაჰღრიკა მეთქი. მე, შენც მოგეხსენება, ის მიტუა აღარა ვარ და შენ ხომ მიყვარხარ და მიყვარხარ, ის ლიზიკოც ძალიან მეცოდება. მარტოხელაა, ჩვენს მეტი (ჩემ ბეხრეკ თავს ვგულისხმობდი), ხელის წამომკრავი არავინ ჰყავს მეთქი. მე უკვე იმი მუხლები აღარ მაქვს, ამ დანჯღრეულ ბონდის ხიდზე გავიდე და ყოველ მესამედღე იქით-აქეთ ათი ვერსი ვაკეთო, ლიზიკოი მოსანახულებლად მეთქი. არა და ამ სიბერეში ადამიანის მიტოვება უმადურობაა, რახაც შენი მოწყალე გულის ამბავი რომ ვიცი, შენც არ მოიწონებდი მეთქი. თუ არ გეწყინება, მოვიყვანოთ აქა, შენც ძალიან გამოგადგება, ხმის გამცემი გეყოლება, ამ ვაზის ფურჩნა-აკვრაში მოგეხმარება,

მორიგეობით ძროხებსაც მოაძოვებს და იხვებსაც მიხედავს მეთქი.

იყურა, იყურა ჩემმა ლუბამ და როდის-როდის ჩამომარცვლა — რა ვქნა, რაკი ეგრეა, როგორც შენმა კაცურმა ჭკუამ გაგიჭრას, იგრე ჰქმენო. მააშ.

მესამე დღეა ლიზიკო ჩვენსა გადმოსახლდა. როგორც შეხმატკბილებული გვრიტები ისე არიან ერთმანეთშიო, იცინის მიტუა, ხვალ ამასთან დაკავშირებით ხბო-ცხვარს ვჭკლავთ, კარგი ხაშლამა-ჩაქაფული გველის და შარშანდელი რქაწითელისა ჭურში ორკოკამდე მისხია. იგეთია, ცუდ კაც არ დაელევინებაო.

ჩავედით, მოვილხინეთ, მიტუაც ისე „უდარზე“ იყო, იმტოლი, მგონი, ჩემ სიცოცხლეში ერთად არ მიცინია.

მოთხუზე თუ მეხუთე დღეზედ, კარგად აღარ მახსოვს, ძილში გაპარულიყო.

ლუბაც და ლიზიკოცა ორივენი თავთით უსხდნენ კუბოსთან და ისე ალალგულით, ისე სულმდუღარედ სტიროდნენ, გული მოგიკვდებოდა.

ახლაც ორივენი ერთად ცხოვრობენ, ერთად დაფუსფუსებენ მიტუას ნაკვდავ ვენახში და აღდგომას ერთად უგორებენ კვერცხს თავიანთ სულკურთხეულ, საზიარო ქმარსა.

## სტალინი

მამაჩემი ათას ცხრაას ორმოცდაოთხ წელს დაბრუნდა ომიდან კონტუზირებულის საბუთებით. დაჭრილი არსად იყო, ტყუილს ვერ ვიტყვი, კონტუზია მაქვს მიღებულიო, ამბობდა. სიმართლე გითხრათ, მაშინ ხომ არ ვიცოდი და არ ვიციოდი, ახლაც ვერ გეტყვით, კონტუზირებულში რა იგულისხმებოდა.

ფრონტზე რომ წაიყვანეს, მე თორმეტისა გახლდით,

ყველაფერი კარგად მახსოვს, წასვლაც და ჩამოსვლაც.

წასვლამდე რიონჰესის უბნის უფროსი იყო. ქუთაისში ელექტრონინჟინერი მაშინ სანთლით საძებნი გახლდათ. ახლა, მადლობა ღმერთს, ქვა რომ ააგდო, ინჟინერს დაეცემა.

ბოლოს უნგრეთში ვიბრძოდი და კონტუზია იქ მივიღეო. ყვებოდა კიდეც მამაჩემი რა ვითარებაში და როგორ მიიღო კონტუზია, მაგრამ ახლა აღარ მახსოვს. მაშინ ყურადღებით ვუსმენდი და დეტალურად ვიცოდი. მერე იმდენჯერ მოვისმინე მამაჩემისგან კონტუზიის მიღების ამბავი, რომ გადამავიწყდა. თურმე ხშირად რომ მოისმენ ერთსადაიმავეს, ქრვევა მეხსიერება და აღარ გამახსოვრდება. მოკლედ, კონტუზია, არ გამცინო და რაღაც სახადივით მგონია. ერთხელ და სამუდამოდ რომ შეგეყრება და ველარ მოიცილებ.

ფრონტიდან ჩამოჰყვა ერთი მწვანედ შეღებილი ხის ჩემოდანი, ახალთახალი ჩექმები და პატარა პირსაპარსი „ბრიტვის" საპარსს რომ ეძახიან, უსაფრთხო სამართებელი თუ რაღაც ენის მოსატეხი ჰქვია ქართულად. „ბრიტვა" იმ დროს ჩვენს ქუჩაზე ახალი ხილი იყო. მანამდე პირის პარსვა მე მხოლოდ დანასამართებლით მენახა. ქამარს ჩამოკიდებდა კედელზე წვერიანი. გულდასმით გალესავდა ღვედზე სამართებელს და იპარსავდა. იქვე ჰქონდა მომზადებული გაზეთის ნაგლეჯები ლოყის იარების დასაწებებლად.

მამაჩემმა მოითხოვა რიონჰესზე თავის ძველ ადგილას დაბრუნება, მაგრამ უარი უთხრეს, კონტუზირებული ხარო და დენთან შენი მუშაობა არ შეიძლებაო.

მგონი სხვა ადგილები შესთავაზეს, მაგრამ გაბრაზდა და უარი თქვა.

სიკვდილამდე აღარ უმუშავია.

ბედის სამდურალი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან, ოჯახის წევრებთან, არასოდეს დასცდენია. ეგ იყო მხოლოდ, ათასში ერთხელ რომ დათვრებოდა, ქუჩისკენ პირს იზამდა და ფანჯარასმომდგარი ყვებოდა — თქვენი გულიზა სისხლს

ვღვრიდი, მე იქანა, ასე დამიფასეთ, ხალხი ხართ თქვენი?!

კონკრეტულად არავის ასახელებდა სიმთვრალეში თავისი წუწუნის მიზეზად. რომ გამოფხიზლდებოდა, აღარც ახსოვდა და ჩვენც აღარ ვახსენებდით.

ფრონტიდან ერთი ახირებული თვისება ჩამოჰყვა. შეიძლება წასვლამდეც ჰქონდა ეს თვისება, ვერ გეტყვით. დედაჩემს ვკითხე და არ შემიმჩნევიაო — სტალინი უყვარდა გაგიჟებით.

სტალინის სურათებს გაზეთებიდან ჭრიდა და ინახავდა. სტალინის ლოზუნგებს, ბრძნულ შეგონებებს, ციტატებს ერთ დიდ რვეულში იწერდა. ეს არაფერი, ამას სხვაც არაერთი აკეთებდა, მაგრამ მამაჩემი თვითონ სტალინს სწერდა წერილებს და დეპეშებსაც უგზავნიდა.

ჩვენ ეს ამბავი მისი ჩამოსვლიდან მეხუთე წელს გავიგეთ. თვითონ წამოსცდა სიმთვრალეში, თორემ ვერც მაშინ გავიგებდით. მეო, სტალინს მივწერეო, ტიტოსთვის დროზე უნდა მოგვეგრიხა კისერიო.

აი, თურმე ვის წერდა, მეთქი გავიფიქრე და დედაჩემს გავანდე ჩემი ფიქრი. საერთოდ მამაჩემი ხშირად იჯდა მაგიდასთან და დიდხანს წერდა. მერე წერილს კონვერტში ჩადებდა, გულდასმით დაწებავდა, კონვერტს მეორე მხარეს ვარსკვლავს დაახატავდა და ფოსტაში მიჰქონდა. ალბათ, ფრონტელ მეგობრებს წერილს წერს მეთქი ვფიქრობდი და, ჩემდა სამარცხვინოდ უნდა ვთქვა, იმაზეც კი არასოდეს დავფიქრებულვარ, რომ პასუხს თითქმის არასოდეს ღებულობდა.

ამასობაში მე უმაღლესი (ქუთაისის პედინსტიტუტი) დავამთავრე და ქიმიის მასწავლებლად ვმუშაობ ქალთა მეორე საშუალო სკოლაში. მამაჩემი ნელ-ნელა ბერდება. წერილებს და დეპეშებს ძველებურად გზავნის, მაგრამ ჩვენ, ოჯახის წევრები მის საქმეში არ ვერევით. საერთოდ მამაჩემი სიტყვაძვირი კაცი გახლდათ.

ერთ დღეს, კარგად მახსოვს, ათას ცხრაას ორმოცდაათი წლის 8 ოქტომბერი იყო კაგებეში დამიბარეს. უშიშროებაში

დაძახებაზე დიდი ზაფრა იმ დროს არ არსებობდა. დამიძახეს, რას ჰქვია; სკოლაში მომაკითხა ახალგაზრდა კაცმა. გაკვეთილები დავამთავრე. ცარცი და ჟურნალი სამასწავლებლოში მიმქონდა და დერეფანში შემაჩერა. აქედან და აქედან ვარო, არ შეგეშინდეთ, სერიოზული არაფერია, ჩვენთან უნდა წამობრძანდეთ, უფროსი გიბარებთო.

არ შეგეშინდეთ კაია, გაგონილი მქონდა, კაგებეში თავიდან ყველას ასე იბარებდნენ, უბრალო საქმეზე, არ შეგეშინდეთო, ტკბილად ეტყოდნენ და მერე ჭირისუფალს განაჩენს მაინც თუ გააგებინებდნენ, დიდი პატივისცემა იყო.

მუხლები მიკანკალებს. კაგებეს უფროსი მელოტი, ცქვიტი ორმოცდაათიოდე წლის კაცი კარგ ხასიათზე შემხვდა.

დაბრძანდითო. მდივანს გასძახა, სანდუხაძის პაპკა შემოუტანეთო. შემოუტანეს საკმაოდ სქელი საქაღალდე.

გაეცანითო, უფროსს მეტი არაფერი უთქვამს.

გავშალე. მამაჩემის, — გრიგოლ სანდუხაძის წერილებით და დეპეშებითაა სავსე. ვის წერს? — სტალინს. არც მეტი არც ნაკლები. „კრემლი, იოსებ სტალინს“.

აქებს, ადიდებს, ამხნევებს. ახალ-ახალ გამარჯვებებს ულოცავს, მსოფლიოს მხსნელად მიიჩნევს. ხანდახან თავის ამბებსაც გამოურევს (არსად საყვედური, არსად გულისწყრომა იმის შესახებ, რომ უმუშევარია), მეო, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შენი ერთგული ვიქნებიო. ქების კორიანტელსა და დაბადების დღეების მილოცვათა შორის აქა-იქ ისეთი წერილიც გამოერევა — რჩევის ელემენტებს რომ შეიცავს. მაინც ფრთხილად იყავი, არაფერი გიხიმანდრონ რუსებმაო. ბერიას ენდე ბოლომდე, მართალი და შენი ერთგული კაციაო. გმირობა, ჩვენში დარჩეს, ბევრმა იმნაირმა მიიღო, მაინცდამაინც რომ არ ეკუთვნოდაო. ზოგ წერილში უფრო შორს მიიწევს მამაჩემი, და დიდ თანამდებობაზე დასანიშნთა კანდიდატურებსაც სთავაზობს. საქართველოში ეს გამოუშვი, უკრაინაში ის გამოგზავნეო და ასე შემდეგ.

ხამი ხაათის განმავლობაში ვიკითხე. შიშმა თანდათანობით გამიარა. ისეთი არაფერია, რომ ოჯახი დაგვიწიოკონ.

„მე რა შუაში ვარ მეთქი" შევბედე უშიშროების დამცველს.

„იქნებ იმოქმედოთ ოჯახშიო. საგანგაშო არაფერია, მაგრამ ნამეტანი ხშირად აწუხებს სტალინს და, ხანდახან, შენც ქე ნახავდი, ნამეტნავად ეშინაურებაო", უფროსმა.

„მერე აგერ ხართ და თუ ისეთი რამე მოგეჩვენოთ, იმ წერილს და დეპეშას ნუ გაგზავნით კრემლში მეთქი". ახლა მეცინება ჩემს მაშინდელ გულუბრყვილობაზე. რა ვიყავი — ოცდასამი წლის ბიჭი ვიყავი, მეტის კი არა.

— შენ მაგის ფიქრი ნუ გაქვს, ზოგიერთს კი არა, არცერთს არ ვაგზავნით მარა დევიღალეთ ჩვენც, იქნებ დაგვეხმაროთ, რამენაირად მოაკლებინეთ წერისთვისო, გამიცინა კაგებეს ხელმძღვანელმა და გამომემშვიდობა.

არც ისე საშიში ყოფილა აქ შემოსვლა, გავიფიქრე გარეთ გამოსვლისას და გულში მადლობელიც კი დავრჩი ჩვენს ოჯახზე მზრუნველი კაგებეს სამსახურის.

რაც შეეხება მამაჩემს, ცოტა ვიმოქმედე, რაც შემეძლო, ისე რომ თვითონ ვერაფერს მიმხვდარიყო, მიკიბულ-მოკიბულად, მოარაკებით, სხვაზე გადატანით, დაახლოებით ასე — „სტალინს ბევრი სწერს, ალბათ, წერილს, სად სცალია იმ კაცს, რას აწუხებენ, რაზე აცდენენ, იმან მიწაში რაა ის იცის და უბრალო კაცის რჩევა რაში ჭირდება მეთქი".

ვერ გეტყვით, მამაჩემმა რა დასკვნები გააკეთა ჩემი „შეგონებებიდან". ყოველ შემთხვევაში, კაგებეს მეტი აღარ შევუწუხებივართ.

მამაჩემი, გრიგოლ სანდუხაძე ათას ცხრაას ორმოცდათერთმეტი წლის ივლისში გარდაიცვალა. გუშინდელ დღესავით მახსოვს, იმ დღეს გაგლეჯილი მთვრალი მოვიდა, კაპიტნის ფორმა ეცვა. ორმა სამოქალაქო ფორმიანმა ახალგაზრდამ „ვილისით" მოაცილეს. დედაჩემს და მე დაგვიბარეს: თხუთმეტ დღეს წყალტუბოსკენ ნუ გამოუშვებთო.

მახსოვს, ღამის სამ საათამდე ფანჯარასთან იდგა კონტუზი-რებული კაცი. ლოგინს არ მიეკარა, სიტყვა არ გვათქმევინა. იდგა და ლუღლუღებდა:

„რა იყო, შე კაი კაცო. კი... მესმის... ისვენებ, აბაზანებს ღებულობ, მარა მე შენი ნახვა, ხომ იცი რად მიღირს... ერთი წუთი, რა იყო... ერთ სიტყვას გეტყოდი, მოგეფერებოდი. ვიცი, ჩემს წერილებზე პასუხის გასაცემად ვერ მეიცლიდი, მარა ერთ წუთს ნახვას რა უდგია წინ. სათხოვარი არაფერი მქონია. ახლოსაც არ მომიშვეს. შენს სიახლოვესაც არ გამაკარეს... მიცნობს მეთქი, პოლკოვნიკს ვეუბნები, მე გრიგოლ სანდუხაძე ვარ... ჰკითხეთ, თუ გინდა მეთქი... არაო, ვერ ვკითხავთო... ავადაა კაცი და ნუ აწუხებ... მოშორდი აქაურობასო. მე რა, მე კარგად ვარ, შენ გგონია?.. არც მე ვარ ბედაურივით... პატარა ამბავი... პატარა ომი გადევიტანეთ? არ მომიშვეს შენთან, მადლობის სათქმელად, წყალტუბოდან უწაუწა გამომაქციეს“.

ამ ამბიდან დიდხანს არ უცოცხლია, ერთ კვირაში გარდაიცვალა.

სტალინი ჯერ კიდევ წყალტუბოში იყო.

## ბაღდადური ცოლიკაური

სახლში რა დამაჯენს. სახლში ჯდომა სიკვდილია ჩემთვის. მოვლენ სამსახურიდან და შეიყუჟებიან ბინებში.

ერთი იმის ტურად გადამაქცია, რა აქვთ ამდენი სალაპარაკო ოჯახის წევრებთან.

„დაბრუნდნენ სკოლიდან?“

„მე ხვარავინ მიკითხა?“

„საჭმელი გაქვთ რამე?“

ა, ეს შეკითხვები მაქვს ცოლთან, მეტი რა ვარკვიო.

პოლიტიკაზე დაუვუწყებ ცოლს კამათს, ან, თუ გინდა, ფეხბურთზე? ჯერ ერთი, რა იცის მაგან და მერე – სად ცალია საწყალს, მაქვასავით ბრუნავს დღე და ღამე.

ქუჩა სხვაა. ქუჩაში რომ ხარ, ცოცხლდები კაცი. რაღაცა საქმე გაქვს. ჩამვლელს სალამზე მაინც ხომ უნდა უპასუხო ვინმემ. უცხო კაცს ავტობუსის გაჩერება ხომ უნდა მიასწავლოს ვიღაცამ.

მტრისას ქალაქი გაჩერებული კაცის გარეშე. ყველა რომ დაცუხცუხებს – ჭიანჭველების ბანაკია. ადამიანი იმიტომ ხარ ადამიანი, რომ ხანდახან უნდა გაჩერდე და ქვეყანას გადახედო.

ესეც არ იყოს, არ შეიძლება, ქუჩაში, რა გლახა დღეც უნდა იყოს, რაღაცა არ მოხდეს, რამე საინტერესოს არ წააწყდე, პატარა სალაპარაკო მაინც არ იშოვო მერე ღამისთვის.

მთლად უბრალო ამბავს გეტყვი. როდის იყო? ამის წინა პარასკევს არა, იქეთა პარასკევს, ახალშეღამებულზე, ვდგევარ ასე, სასტუმროსთან და აგურისფერი „ჟიგული“ გამიჩერდა ცხვირწინ. გადმოვიდა ასე ორმოციოდე წლის ბიჭი და სახვეწნი რომ ექნება კაცს რამე, ისნაირი სახით შემომაჩერდა.

ვერ ვიცანი, სიმართლე გითხრა.

მაპატიეთ, ბატონო, ერთი საჩოთირო სათხოვარი მაქვს თქვენთანო.

ბრძანეთ მეთქი.

რას ვეტყოდი სხვას.

მე თქვენ არ მიცნობთ, მარა მე გიცნობთ შესახედავად, მინახიხართ ბევრჯერ აქანაო.

შესახედავად მთელი ქუთაისი მიცნობს ალბათ. აქანა დევიბადე და აქანა დავბერდი მეთქი.

გაგიკვირდებათ, მარა უნდა გითხრათ მაინც ჩემი გაჭირვებაო. სიდედრი მყავს გლახათ. დილამდე, იგება, ვერც გაატანოსო.

მერე მე რომელი პროფესორ-დასტაქარი მნახე. მე ვუთხარი.

ორ საავადმყოფოში ვიყავი და კაციშვილი ვერ ვნახე. სახლში წასულა ყველა ექიმი ჩემდა იღბლადო. მორიგე არ

წამომყვა, დაჭრილეში ელოდებიან ხოშიდანო. თუ არ გაწყინება, ჩავჯდეთ აგერ, წამომყევი, ვითომ ექიმი ხარ, ჩემი ოჯახობა მაგას ვერ მიხვდება და სიდედრს ამ ქვეყნის კაიხანია აღარაფერი ეყურება. მაჯას გოუსინჯავ, სიცხეს გოუზომავ და მეტს ნამდვილი ექიმიც არაფერს შერება. ცოლის ჯაჯღანიდან ამომიყვან, მადლს იზამ, წლევანდელი დაწურული ცოლიკაური მაქვს, ბაღდადიდან მძახალმა ჩამომიტანა, თითო ჭიქას ვიტყვით, ჭადი-ყველს გავტეხავთ და საათში, საათნახევარში მე თვითონ ამოგიყვანთ გნებავთ აქ და, გნებავთ, სადაც გაგეხარდებათ.

თავიდან, გითხრა სიმართლე, უარის თქმა დავაპირე, მერე ვიფიქრე: ვინ იცის, რა ოჯახობის პატრონია, ხომ შეიძლება, გარდაიცვალოს სიდედრი და ცოლს ეგონოს, უექიმობამ მოკლა მეთქი. ხომ შეიძლება, ამ ნიადაგზე აყვნენ ერთმანეთს და ოჯახი დაინგრეს მეთქი. წავალ, ცოდნას რავა დავამადლი კაცს, ბაღდადურ ცოლიკაურსაც დავაჭაშნიკებ მეთქი. ერთი სიტყვით, დავთანხმდი.

ნინოშვილის ქუჩაზე გადავუხვიეთ, ქორქოქაა ხახალეიშვილი და ხულიკოვა შეზუკე ჩევისვით და გოვუყევით გზას.

ავადმყოფი სიდედრის პატრონი ბაკისუმელი მამაგეიშვილი აღმოჩნდა. იქვე ნაცხოვრება არჩვაძის. გიორგაძეების ბადრიჯნის ყანის ბოლოში.

მანქანის ხმა რომ გაიგონეს, სიდედრის თავმდგომები აივანზე გადმოდგნენ.

დოცენტი შევიყვანე, ოპერაციისათვის დავანებებინე თავი, მიხედე იქით საქმეს, ოთხ კაცზე გაშალეო, შეუკვეთა მამაგეიშვილმა ცოლს და სიდედრის ოთახში შეგვიძღვა.

ჯერ ტაბურეტზე დაწყობილი წამლები შევათვალიერე სათითაოდ, ეს კარგია, ეს რაღ უნდოდა მეთქი ჩავილაპარაკე. რავარც ექიმებმა იციან. მერე სიძეს მოვაყოლე, რა აწუხებდა ავადმყოფს. სიძეს ისიტყვა რომ, ცოლი სამზარეულოში ფუსფუსებდა, ხოლო თვითონ ავადმყოფს სამქვეყნო პირი აღარ ჰქონდა. ენა წართმეოდა და ძლივს ფეთქავდა.

ასე და ასე და ასე და ასეო, ჩამოჭიკჭიკა ხიძემ. დარდით აღარ ვართ ხალხიო. მესამე წელია ლოგინზეა მიჯაჭვული, მარა ქე იყო კარგად, ამის ენას გაჩერებულს ვერ ნახავდითო. ეს სამი დღეა ჭამა შეწყვიტა და გუშინ საღამოს ცნობაც დაეკარგაო.

ხიცილი კბილით მიჭირავს. არა და მამაგეიშვილი უბედურ-ნახევარი ჰყავს გამჩენს. ისე გულწრფელად, მუდარით მეუბნება – შენი იმედი გვაქვს, ბატონოვო, რომ შემირცხვენია მესხიშვილის თეატრის არტისტები.

ჩემსას ვეცდები, ცოტა დაგვიანებული კია, მარა ცდას არ დავაკლებ. თუ რამე ვუსაშველე, ხომ კარგი, თუ არა და ღმერთი რომ არ ვარ, ქე გეცოდინებათ მეთქი.

ავადმყოფს მაჯა გავუსინჯე, ხიცხე გოვუხომე (ოცდათოთხმეტი ჰქონდა), ხელები დავიბანე და სახტუმრო ოთახში გაველი.

ყორყიკია და ხულიკო მაგიდას უსხდნენ ახლომახლო. შევედით თუ არა, ნარდი დაკეცეს და წამოდგნენ.

რავაა ხაქმეო, ყორყიკიამ.

თვალს არ ახამხამებს.

ჩემზე დიდი აფერისტი რავაა ყველა თქვა, გულში გამეცინა.

თამადად მებუკე დავსვით. მოკლე ხუფრებზე მებუკეს უკეთესად გამოსდის თამადობა.

მესამე-მესამე ბოთლს ვაყუმბარებთ, ხაათმა ის-ის იყო პირველისკენ გეიწია, რომ ხიდედრის ოთახში ჩრდილები აფათურდნენ.

წამოვდექი, ბოდიში მოვიხადე, ამ წუთში გეახლებით, ავადმყოფს დავხედავ, ხომ იცით ჩემი პროფესიის ამბავი, ჩემს თავს არ ვეკუთვნი მეთქი.

ჭირისუფლები მივწი-მოვწიე.

არ შეიძლება ასე, ერთად ნუ ადგებით, ამას ახლა ხიმშვიდე და ჰაერი სჭირდება და ხაერთოდ, ამდენი ადამიანი ნუ ხართ ამ ერთ ოთახში, ზოგმა აივანზე მოიცადეთ, ან ჩვენთან გამობრძანდით ხუფრაზე მეთქი.

მოვკიდე ხელი მაჯას, ვიშვლიბე საათი. ხადაა მაჯისცემა.

წუთში ხამი დარტყმა არც კი აქვს.

გამოვედი ბიჭებთან და ზორგეს ჩურჩულით ვეუბნები თამადას.

– გადადი ხულიკო დიდ ჭიქებზე, თვარა კვდება, მე მგონი, ეს დალოცვილი მეთქი...

ნუ გეშინია, ბატონო, მაგი მახეა მეხამე დღეაო, მამაგეიშვილმა.

მე რიხი მეშინია, გულში ვამბობ, შენ გეშინოდეს ზვალიდან ბრინჯზე და თევზზე რომ იქნები გახაქცევი მეთქი.

პატარა ზანში მამაგეიშვილის ცოლმა გამოგვაკითხა.

კვდება, ბატონო ექიმო, გვიშველეთო.

აზლა არ ნაზა ამ წუთში? ექიმმა უფრო იცის, თუ შენ უფრო იცი, რახ შვრება, დაგვაყენეთ ცოტა ზანს, არ მოკვდება, ნუ გეშინიათო, ხიძემ.

რაღაცა ოთზი ხადღეგრძელო გვქონდა დარჩენილი. ვთქვით. დავამრგვალეთ ხუფრა და ჭიშკარხ რომ გამოვცდით, კივილი მოგვესმა.

ნირი არ წაზდომია მამაგეიშვილხ. ხათითაოდ გადაგვკოცნა და გამოგვაცილა. თქვენს პატივისცემას ვერ გადევიხდი, თქვენ აგაშენათ ღმერთმა, რაც დღე და ხაათი ჩემხ ხიდედრს დააკლდა, ახჯერ გამრავლებულად შეგმატოთ გამჩენმაო. დახაფლავებაზეც უნდა დამაფახოთ, ბარემამ ბოლომდე მცეთ პატივიო. ჩვენი აწი ერთმანეთის დაკარგვა არ გამოვა ნამდვილადო.

ქელეხზე ხზვა ღვინო ჰქონდა. იმახაც არა უშავდა, ოფშკვითური ხაფერე იყო, მარა ბაღდადის ცოლიკაური ხულ ხზვაა. მზის ხუნი და გემო აქვს იმ დალოცვილს.

# წარღვნისწინა ზარი

ოცდაოთხში ვარ დაბადებული. სამოცდარვა წლის ქალი ვარ. სამოცდარვა წელი არაა ცოტა. ორმოცდაათი წელია საქართველოში ვცხოვრობ. ასე რომ, ყველანაირი საქართველო მინახავს და, არ გეწყინოს, შეიძლება შენ არ იცნობდე ისე კარგად საქართველოს, მე რომ ვიცნობ. რატომ? ჯერ ერთი ორმოცდაათის სულ არ იქნები შენ, მეორეც, ქართველი ხარ გეტყობა და ქართველს არ შეუძლია უცხო თვალით, გარედან შეხედოს თავის ქვეყანას. არ შეუძლია, დამეთანხმე. რა უშლის ხელს და, ქართველობა. ქართველის შეფასებულ საქართველოს ცოტა გადაჭარბება ყოველთვის ახლავს, ან ზედმეტი სიყვარული, ან წრეგადასული გაბოროტება. ეს უკანასკნელიც სხვაზე მეტად გეხერხებათ თქვენ, ქართველებს.

მე მინახავს ომისდროინდელი საქართველო, მაგრამ სხვა იყო, სულ სხვა. უკეთესი, რასაკვირველია, უკეთესი. თუ შიმშილზეა საქმე, შიმშილი მაშინ იყო თუ იყო, ახლა რა შიმშილია, მაგრამ მოუვიდოდა ვინმეს თავში ეკლესიიდან ხატი მოეპარა და გაეყიდა? სამრეკლოსთვის გუმბათი აეგლიჯა და თურქეთში წაეღო? ასეთი რამ, როგორც ვიცი, მონღოლებს და სპარსელებსაც არ უკადრებიათ. სპილენძი ჯანდაბას, მოუვიდოდა ომის დროს ვინმეს თავში ადამიანის მოტაცება? არა, არა, რაღაცა სასწაული მოხდა, რაღაცა სნება შეგეყარათ თქვენ, ქართველებს. გიყურებთ და სულ ტირილი მინდა. ნუთუ, ეს ის ჩემი საყვარელი ხალხია – ტკბილი, მშვიდი, კეთილი, უშურველი და უბოროტო ჩვიდმეტი წლის გოგომ რომ შევიყვარე ამ ორმოცდაათი წლის წინათ? ზაპოროჟიედან გახლავართ. ევაკუაციის დროს, 1941 წლის თერთმეტ ივლისს ჩამოვედი ზუგდიდში. მარტო. მამა ომში გახლდათ. დედამ ჩემს წამოსვლამდე ორი კვირით ადრე მიმატოვა. ვიღაცას გაჰყვა. – ტანია, მე გავთხოვდი, შენ უკვე დიდი ხარ, თავს მიხედეო,

დილაუთენია გამაღვიძა, ბარგი შეკრა და წავიდა. გარეთ ორთვალა ელოდებოდა. მამინაცვლის ზურგსლა მოვკარი თვალი.

მალე ევაკუაცია დაიწყო და ზუგდიდში ამოვყავი თავი. ხნვებიც იყვნენ ჩვენი ხუტორიდან, მაგრამ ისე მოხდა, რომ ზუგდიდში ზაპოროჟიელი მარტო აღმოვჩნდი. ისე, ლტოლვილები ბლომად იყვნენ რასაკვირველია. ჩაიში მუშაობა არ მოეწონათ ჩვენებურ ქალებს, დაჰკრეს ფეხი და ქუთაისში გაიქცნენ. მე დავრჩი. ჩაი არც მე მეხატებოდა გულზე, მაგრამ არ გამცინოთ და ერთი ბიჭი მომეწონა, სართანია გვარად, კომორგი. იმის ხათრით დავრჩი.

სართანია ჩემთვის პირველი მამაკაცი არ ყოფილა, ტყუილს ვერ ვიტყვი. პირველად ოდესელ მეზღვაურს მივენდე. საევაკუაციო ვაგონის გამცილებელი იყო, ცალფეხა. ვაგონში ერთმანეთზე მიყრილ, გატანჯულ მგზავრთაგან, რატომღაც მე ამომარჩია და თავის „საპრაქტიკო კუპეში" ჩაიზე დამპატიჟა. მთელი ღამე მის მკლავზე ვიწექი. მახსოვს, ვეხვეწებოდი, ოღონდ აქ დამტოვე, ვაგონებს დაგიკრიალებ, თავზე შემოგევლები, მთელს სიცოცხლეს აქ, ამ კუპეში შენს გვერდით გავატარებ მეთქი.

ორი კვირის ჩამოსული არც კი გახლდით ზუგდიდში, სართანიას რომ ჩავეხუტე. იქვე, დღისით, მზისით ჩაის პლანტაციაში. ისეთი მოხდენილი, ციხფერთვალება ბიჭი იყო, ეშმაკს შეაცდენდა. გუშინდელივით მახსოვს, პური და ხმელი ტარანი დაგვირიგეს შესვენებისას. ქალებმა ცივი წყალი მოისურვეს. წამოვიდეს რომელიმე, წყაროს გზას ვასწავლიო, კომსორგმა. ყველაზე უმცროსი მე ვიყავ და გავყევი. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ წყლის მოძლოდინეთ არაფერი შეუტყვიათ. ლოყებაფაკლულ-ატკეცილი რომ მოვბრუნდი, ეჭვით გამიშხედეს. მეტი არაფერი.

ამ ამბიდან თვეც არ იყო გასული, სართანია ომში წაიყვანეს. ფეხმძიმედ დავრჩი. პირველი ბავშვი სართანიასაგან მყავს. სანამ სამი წლისა გახდებოდა არ ვიყავი დარწმუნებული, რომ

სართანიასგან იყო. იმ ცალფეხა ოდესელის მეგონა. სართანია ომში დაიკარგა. შეხედლო, მის მშობლებთან მივსულიყავი და მეთქვა ყველაფერი, მაგრამ ვერ გავბედე. ჯერ ერთი, დარწმუნებული ვიყავი, რომ სართანია დაბრუნდებოდა. მეორეც, ჩვენ ცოლქმრობაზე ლაპარაკიც არ გვქონია. და ახლა მის მშობლებთან გამოცხადება შანტაჟს ჰგავდა, რაც არ ვიკადრე.

რა დიდებული ხალხი ცხოვრობს ზუგდიდში. მაშინ ასე იყო, ახლა ვერაფერს გეტყვით, ორმოცი წელია ზუგდიდში არ ვყოფილვარ. ბავშვი რომ შეეძინა, მთელი უბანი თავს დამტრიალებდა. მიწა გამომიყვეს და ოროთახიანი ფიცრული შემიჭედეს, თურქის ღუმელი და შეშა გამიჩინეს, რა საჩუქრები, რა საოჯახო ნივთები, ვინ არ მოდიოდა, რა არ მოჰქონდათ. ქალები გულში მიკრავდნენ და ტიროდნენ. რა იყო იცით? ყველა ოჯახიდან იყო წასული თითო-ოროლა ჯარისკაცი და ჩემს „უკანონო“ ბიჭს გულში ყველა თავის შვილიშვილად თვლიდა, თავისი ყმაწვილის ნაეშმაკარად მიიჩნევდა. ამიტომ უფრო არ გავაცხადე ბავშვის მამის ვინაობა — სიმართლე თუ გინდა ეს არის.

ჩაის კრეფამ, თუ ხშირმა აბორტებმა ზუსტად ვერ გეტყვით, თირკმელი დამიზიანა. მეტი ბავშვის გაჩენის საშუალება არ მქონდა. ომი იყო. მამაკაცზე, ვიდას დავუმალო, უარს აღარ ვამბობდი. დასამალიც არაფერი მქონდა. მარტოხელა დედის მდგომარეობა მოგეხსენებათ, ყველა კაცი მუშტრის თვალით შეჰყურებს. ეშხიანი ქალი ვიყავი და თუ ვინმე კაცად ვარგოდა ზუგდიდში, ჩემს ბალიშზე ერთხელ მაინც ჰქონდა თავი დანადები. მრუში არ გეგონოთ. ეს არც თუ ბევრია. სად იყო კაცი. ყველა ფრონტზე იყო.

ორმოცდათერთმეტში ბორჯომის საგზური მომცეს, თირკმელს უმკურნალეო. ჩამოვედი და ბორჯომი ისე მომეწონა (თანაც მომიხდა), უკან აღარ დავბრუნებულვარ. ერთოთახიანი ბინა მომცეს. სხვადასხვა სანატორიუმებში ვმუშაობდი მიმტანად. სამი შვილი გავზარდე: ორი ბიჭი და ერთი გოგო. პირველი

ბიჭი, უკვე გითხარით, ვისგანაც მყავს. მომდევნოები – არ ვიცი. არც მაინტერესებს. პირველი ფარულავაა. ზუგდიდში დაბადების მოწმობას რომ მაძლევდნენ, რეგისტრატორმა ქალმა გვარი მკითხა, ჩაწერე რომელიმე მეგრული გვარი მეთქი. ფარულავა ჩამიწერა. ასეთი გვარი მაშინ პირველად გავიგონე. მომდევნოები (გოგო-ბიჭი) ხუთიძეები არიან. გოგო გათხოვდა, უფროსი ბიჭი თბილისში ცხოვრობს, მაცივრების ხელოსანია. უმცროსი ჩემთანაა. ორი გოგო ჰყავს. ერთ ოთახში ვერ ვეტევით, მაგრამ მშვიდობა იყოს და აღარაფერს დავეძებთ.

ადრე გვპირდებოდნენ ბინას, ახლა ვინღა მოგვცემს, ქვეყანა დაიმშა და აირია.

რას მოვაყოლე ეს ამბავი? ჰო, კარგად ვიცნობ მეთქი ქართველებს და საქართველოს. ახლა კარგს ვეღარაფერს ვამბობ. რა დაგემართათ, რა მოხდა, რა ღვთის რისხვა დატრიალდა თქვენს თავზე, ვერ გამიგია.

ასე უცნაურად თითქოს ჯადოსნური ჯოხი დაგკრესო, ასე ერთბაშად როგორ შეიცვალეთ. ადამიანის სახეები აღარა გაქვთ. საიდან მოვიდა ამდენი ნერვიული ქართველი, რამ ამოაგდო კალაპოტიდან, რა ბზიკმა გიკბინათ.

ყოველ საღამოს თქვენთვის სანთელს ვანთებ. ღმერთო, შენ უშველე მეთქი საქართველოს, ღმერთო ავი თვალი აარიდე მეთქი.

მეშინია თქმა, მაგრამ წარღვნისწინ რომ ზარი დაირხევა, იმ ზარის ხმა მესმის ახლა საქართველოში.

სადღაც, ქვესკნელში, გუგუნებს იგი და ჩემს გულზე რომ გადმოდის, უფრო მეტად მიკვირს თქვენი – ნუთუ თქვენ ვერ ხედავთ და არ გეყურებათ?

## აბგა

– ჩადი ახლა, რუქაია!

– გეიგონე, რაც გითხარი?

– კიე. ჩადი ახლა, სადაცაა წავა მატარებელი.

– ოთხი „მესტა“ გაქვს. არ დაგრჩეს ვაგონში ჩასვლის დროს. ოთხი, დეიმახსოვრე. ეს ჩანთა, სანამ სახლში მიხვიდოდე, ტაქსი გააჩერებინე და მამიდას აუტანე. წამლები და წნევის აპარატი ესქარება. ბაბაიას უთხარი, ველოსიპედის ხპიცებს ცალკე არ ყიდიან და ბორბლებიანად ნამეტანი ძვირი ღირს თქვა. იმ ხუმკაში ანდროს რაღაცეებია. ქუდის კალაპოტები არ არის არსად. სპეციალური მაღაზია ყოფილა, საცხა, ხარფუხში, მარა ვერ მივაგენი. იმ მწვანე ჩემოდანში შენი ფეხსაცმელები და კოსტუმია, არავინ მოგპაროს. შენ წაყვინთვა იცი მატარებელში, გესმის? რავარც ძილი მოგერიოს, ყურის ბიბილოები დაიხრისე, ან ფანჯარაში გაყავი თავი. ცივი ჰაერი გამოგაფხიზლებს, გესმის შენე?

– კიე. ჩადი ახლა.

– წამოსვლისას დეპეშა გამომიგზავნე, დაგხვდები.

– რა დახვედრა მინდა.

– თუ ბარგი გექნეს, გამოგზავნე დეპეშა და, თუ ცარიელი იქენი, ნუ გამოგზავნი.

– მახე ვიზამ, ჩადი ახლა.

– წავედი აბა, ჭკვიანად, იცოდე!

– კარგად იყავი!

რუქაია ჩავიდა. ხუხამ ბარგი, ყოველშემთხვევისათვის, ახლოს მიიჩოჩა და ძმას ფანჯარაში გახედა.

წამოწვიმა.

რუქა ქვევით ფანჯარასთან იდგა და ვაგონს ამოსცქეროდა.

– წადი, წადი, დასველდები! – ხელი დაუქნია ხუხამ – რათ მინდა შენი აქანა დგომა, ქალი ხვარავარ!

რუქაია წავიდა.

ხუხამ საათზე დაიხედა. განრიგით მატარებელი თხუთმეტი წუთის გასული უნდა ყოფილიყო.

ვაგონი, რომ იტყვიან, პირთამდე იყო სავსე.

ქვევით, კიბესთან, ერთი ვაი-უშველებელი იდგა. გამცილებელი, გავახქელი, ზონზროხა დედაკაცი ამაოდ ებრძოდა მგზავრებს.

– არაა, ბატონო ადგილი! ფეხზე დახადგომი ადგილიც აღარაა. ბოლო ვაგონი თავისუფალია. რაღა აქ მოაწყდით ყველა!

მგზავრებმა მშვენივრად იცოდნენ, რა თავისუფალიც იყო ბოლო ვაგონი, ამიტომ ჯიუტად არ იცვლიდნენ ფეხს და იმედი ჰქონდათ, რომ ბოლო წუთებში მაინც გატყდებოდა გამცილებლის ნებისყოფა.

– არ მივდივართ, თუ იცი? – ჰკითხა ხუხამ ყაბალახიან, ქლაქწვერიან მგზავრს, რომელსაც თავდაღმადამხობილ გოდორზე ფეხები შეეწყო და გაზეთ „დემოკრატს“ ათვალიერებდა.

– მე მკითხე რამე? – გაზეთი დაკეცა ყაბალახიანმა.

– არ მივდივართ, თუ იცი თქვა?

– შეიძლება, ხულ არ წავიდეთ, წიფის ტუნელს იქით ხოცავენ ერთმანეთს.

– ახალია რამე?

– ხობის ამბავი არ გაგიგია?

– მაგი გუშინწინ თქვა რადიომ, მე ვთქვი, ახალია რამე თქვა.

– გუშინწინ ხომ გარეკეს, წუხელ კიდევ მობრუნებულან.

– აღარაა საშველი.

ამ კითხვა-პასუხიდან ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, რომ მგზავრები ერთბაშად წამოიშალნენ და გასახვლელს მიაწყდნენ.

ხუხამაც წამოავლო ჩემოდანს ხელი, მეორეში ანდრო ბიძიას აბგა დაიჭირა, მამიდასთან მისატანი ტყავის ხუროგატის მძიმე ჩანთა იღლიაში ამოიჩარა და რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, მიხვდა, რომ ყველაზე მძიმე, ველოსიპედისნაწილებიანი ტომარა

დარჩენოდა. მობრუნდა, იქნებ ტომარა ფეხით გამოვაჩოჩოო, მაგრამ ვერ შეძლო.

– იმანო, რა მოხდა, ფარცაგი ხვარაფერია?!

ზურგით მდგარმა მელოტმა კაცმა პასუხი დაამადლა:

– რადიოს უნდა დოუგდო, ბიჭია, ყური! ეს მატარებელი დეპოში შედის. გოუფუჭდა რაცხა. გაათავისუფლეთ ვაგონები და დაგვიცადეთო.

– ხანამდე გვიცადეთო?

– არ უთქვამს. დაგველოდეთ, ან ასე გადავწყვიტავთ საკითხს, ან ისეო. იზამენ რაცხას, ისე რავა იქნება.

ხუხამ ინანა, რომ ქმის წასვლა დააჩქარა. ყოფილიყო აქ, მატარებლის გასვლამდე, რა ვუყო ახლა ამ ბარგსო.

ის იყო მელოტი ვაგონის კიბეს ჩაადგა, რომ მატარებელი დაიძრა.

– მომაწოდე ეს ჩემოდანი! – დაუგდო მელოტმა და გადახტა. ყოჩაღად გადახტა, მაგრამ რაღ გინდა, წაიფორხილა და კინაღამ წაიქცა.

ხუხამ ჩემოდანი სწრაფად ჩააწოდა, მაგრამ ძლივსგამართულ მელოტს გამორთმევის თავი აღარ ჰქონდა.

– გადმოაგდე! გადმოაგდე ნუ გეშინია, გასატეხი არაფერია შით!

ხუხამ გადააგდო.

ვაგონში შემობრუნდა ბედს დამორჩილებული.

დეპომდე მატარებელი სამჯერ გაჩერდა. ხუხამ იფიქრა, სადგურს ნამეტანი ვშორდებით, იქნებ ჩასვლა მოვასწრო და ვინმე ღვთიან-მადლიანმა ბარგი ბაქნამდე მიმატანინოსო.

გაჩერდა თუ არა მატარებელი, გადააგდო ანდრო ბიძიას აბგა და მამიდამისის ჩანთის გადაგდებაც დააპირა, მაგრამ კიდევ კარგი, რომ არ გადააგდო. მატარებელი დაიძრა და წეღანდელზე უფრო სწრაფად გაუტია.

ხუხა სამუხრუჭე სახელურს ეცა, მაგრამ სახელური კარგა ხნის ჩამოწეული იყო.

აზგა თვალდახელშუა პატარავდებოდა და ბოლოს სულ გაქრა.

მატარებელი დეპოში შერიხინდა.

დეპოში ხამარისებური სიჩუმე იყო.

წვიმდა.

ღამდებოდა.

ხუხა ვაგონიდან ჩამოხტა. გაიქც-გამოიქცა, დაიყვირა კიდეც: ვინ ხართ პატრონიო, მაგრამ არავინ გამოეპასუხა.

ვაგონზე ავიდა. დარჩენილ ბარგთან ჩამოჯდა და მწარე ფიქრებს მიეცა.

მალე კაკუნი მოესმა.

გაიხედა. ბაქანს ორნი მიუყვებოდნენ. ერთს ფარანი ეჭირა, მეორეს ჩაქუჩი. მიანათებდა ერთი ფარანს, დაიხრებოდა მეორე, რკინის ბორბალს ჩაქუჩს ორჯერ შემოჰკრავდა და გზას განაგრძობდა.

რას ამოწმებდნენ ამ მეთოდით, ხუხამ, რასაკვირველია, ვერ გაიგო.

— ბოდიში, პატივცემულო!

მუშები უხალისოდ შეჩერდნენ. ცარიელ მატარებელში მგზავრის აღმოჩენა სრულებით არ გაკვირვებიათ.

— აზგა გადავაგდე იქით, აქე ნახევარ კილომეტრში.

— ვის გადაუგდე? — ჰკითხა მაღალმა.

— არავის. ჩასვლა მინდოდა და ვერ მოვასწარი.

— რა იყო შიგ? — დაბალი დაინტერესდა.

— ბიძაჩემი მკერავია და მისი რაღაცეები იყო. ზუსტად ვერ გეტყვით, არ ვიცი. ჩემს ძმას დააბარა. ფული გამოატანა. აბა ჩემს ძმას სად ჰქონდა იმის საყიდელი ფული.

— ჩვენთან რა გინდა? — განზე გაიხედა მაღალმა მუშამ. რომელსაც აშკარად ეტყობოდა, დაბალზე უფრო მაღალი კვალიფიკაციისა იყო, რადგანაც ფანარი სწორედ მას ეჭირა.

— ხომ არ ნახა მეთქი ვინმემ, შემთხვევით.

— ჩვენ არ გვინახავს.

— ეს მატარებელი წავა საერთოდ?

— სად მიდიოდი?

— იანეთში.

— ან ეს წავა, ან ის, მეოთხეზე რომ დგას. უფრო მე მგონია, ეს წავა.

— რამდენ ხანში წავა?

— ვერ გეტყვი, შეიძლება, ყოველ წუთში გავიდეს.

— ვერ მოვასწრებ აბგის მოტანას?

— ძალიან მეეჭვება.

ამ ლაპარაკში დაბალი არ მონაწილეობდა. ამასობაში მან ოთხ ბორბალს მაინც დაარტყა ჩაქუჩი და კმაყოფილი იყო, რომ ოთხივე სხვადასხვა ხმას გამოსცემდა.

„ყოველ წუთს გასვლის“ მტანჯველი მოლოდინი ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.

უკან რომ გამოიარეს, ხუხა ხიბნელეში გულდასმით ათვალიერებდა იმ, არც თუ ისტორიულ ადგილს, სადაც ბიძამისის აბგა გადააგდო, მაგრამ ანდრო ბიძიას ნივთი ვერსად შენიშნა და რომც შეენიშნა, კიდევ ერთხელ დაწყდებოდა გული და მეტი არაფერი, გადახტომა და ამოტანა გამორიცხული იყო.

მატარებელს გაჩერება არ აცალეს, თვალის დახამხამებაში გაივსო ვაგონი. ჯერ კონდუქტორი ქალი ამოხტა, ხუხას გახედა და როდის ამოხვედიო, ჰკითხა.

— არ ჩავსულვარ, დეპოში გავყევიო.

— ჭკუა გიხმარია, — მოუწონა კონდუქტორმა.

ხუხას დაკარგულ აბგაზე არაფერი უთქვამს. შეატყო, ხონზროხა კონდუქტორი ბიძამისის დანაკარგს დიდად არ ინაღვლებდა.

როგორც იქნა, დაიძრა მატარებელი.

ბოლოსდაბოლოს რკინის რაშმა (როგორც პირველ მსოფლიო ომამდე ეძახდნენ) ყველა დაიტია, რაკილა ბაქანზე მტვირთავების და ჯიუტად ერთგული გამცილებლების მეტი არავინ დარჩა.

ხუხა უხალისოდ გასცქეროდა ხიბნელეში უკან გაქცეულ ლამპიონებს.

ფიქრობდა იმ უხიამოვნო წუთზე, როცა ანდრო ბიძიას ყველაფერს გულწრფელად უამბობდა და გაწბილებული ბიძა უხერხული, მძიმე პასუხის შემდეგ უეჭველად ეტყოდა:

– რაღა ჩემი აბგა გადააგდე, ხუხაია, შენი ჩემოდანი გადაგეგდო.

– რა ვიცი, დასწყევლოს ღმერთმა, შენი აბგა შემრჩა მაინცდამაინც ხელშიო, – უპასუხებდა ხუხა, მაგრამ ეს პასუხი ანდრო ბიძიასათვის დიდი ვერაფერი ნუგეში იყო და არც დამაჯერებლობით გამოირჩეოდა.

# ტერორი

ჰურიის რაიხსკანცლერი გაზეთ „ჰურიის რესპუბლიკას" კითხულობდა.

ჰურიაში ცხელოდა.

საჰარიდან ქარხვატს უდაბნოს მტვერი და მომთენთავი, ყელგამშრობი სიმხურვალე მოჰქონდა.

კანცლერის ორმაგი ფანჯრიდან გრანიტითფენილი ქუჩა მოჩანდა. ქუჩაზე თეთრი კაბების ფრიალით დააბიჯებდნენ ფეხშიშველა მეძავები, ქოქოსის გამყიდველები, პოლიციის გადაცმული აგენტები და დივერსანტები.

ეს უკანასკნელნი სუნთქვაშეკრულნი ჩაუვლიდნენ შაშხანიან პოლიციელებს, ლიქნური ღიმილით თავს დაუკრავდნენ და ხიდების ახაფეთქებლად მიეშურებოდნენ.

კანცლერმა კარგად იცოდა დივერსანტთა ვინაობა, მათი ადგილსამყოფელიც დადგენილი ჰქონდა საიდუმლო სამსახურს, მაგრამ თუ ბანდიტ-ექსტრემისტები თავისუფლად დადიოდნენ, ამას სახელმწიფოს თავისთვის გასაგები, მაგრამ უბრალო

მოქალაქეთათვის სრულიად გაუგებარი მიზეზები ჰქონდა: ჯერ ერთი არჩევნები მოახლოვებულიყო და მთავრობის მეთაურს არ სურდა დამნაშავეთა სამყაროს გაღიზიანება, მეორეც, ძალიან უნდოდა თავისი საზღვარგარეთელი მეგობრების თვალში გულჩვილი, მიმტევებელი კაცის რეიტინგი შეექმნა, და ბოლოს დამნაშავეთა იზოლირებაზე უარის თქმის ერთ-ერთი დამაჯერებელი მიზეზი ისიც გახლდათ, რომ ეკონომიურად დაქვეითებულ ჰურიის სახელმწიფოს პატიმრების გამოკვება ძალიან უჭირდა. ასე განსაჯეთ, ციხე სამეურნეო ანგარიშზე გახლდათ და სპონსორების მიერ შემოწირული ორიოდე კაპიკი ციხის მოსამსახურე პერსონალის შენახვას ძლივსღა ჰყოფნიდა.

კანცლერმა მდივან ზანგს ბაობაოს ტკბილი წვენი შემოატანინა, ცხვირტუჩში გაყრილი ოქროს რგოლი ხელით გადასწია, ცივი წვენი მოსვა და ვინ იცის, მერამდენედ გაიფიქრა, — ეს ოქროს რგოლი უნდა მოვიხსნა, მართალია, მამა-პაპური რელიქვიაა და მენანება მაგრამ, ჯერ ერთი, ჭამაში ხელს მიშლის და მეორეც, არცერთ იმპერატორს აღარ უკეთია, ტომის ბელადებსღა შემორჩათო.

გაზეთ „ჰურიის რესპუბლიკის“ ბოლო გვერდზე ჟურნალისტ ჰიჰეჰიჰეს სურათი და ჰურიის ახლანდელი ვითარების ვრცელი მიმოხილვა იყო დაბეჭდილი.

იმპერატორმა სულმოუთქმელად წაიკითხა ჰიჰეჰიჰეს სტატია და როცა დაამთავრა, შვებით ამოისუნთქა. „მრისხანე ჟურნალისტი“ ლანძღავდა წინა ხელისუფლებას, ხოლო ახალს ქებითა და იმედით იხსენიებდა. კანცლერს მიესალმებოდა, ჰურიის უკეთესი მომავლისათვის ფრიად საჭირო მესაჭედ თვლიდა და თავის მხრივ რამდენიმე რჩევასაც თავაზობდა.

კანცლერს ჰიჰეჰიჰე არ უყვარდა.

მისგან ახალგაზრდობაში რამდენიმე წკიპურტი ახსოვდა და ვერაფრით დაევიწყებინა.

წერილი ხელმეორედ (ამჯერად უფრო ყურადღებით) წაიკითხა და აღმოაჩინა, რომ არც მთლად ისე იყო საქმე.

როგორც თავდაპირველად მოეჩვენა, ავტორი, მართალია, რამდენიმე ზოგადი ფრაზით კეთილად მოიხსენიებდა ხელისუფლების ახალ ფიურერს, მაგრამ ერთი შეხედვით უწყინარი სურვილების სახით ისეთ სამოქმედო პროგრამას უსახავდა, რომლის შესრულებაც კანცლერის „პოლიტიკურ კრედოში" ვერ თავსდებოდა.

ესეც არ იყოს, სტატიაში დაკვირვებული თვალი თუ შეამჩნევდა იმ ფარულ პოლემიკას და სტრიქონებს შორის ჩადებულ, დრამატიზმით გაჯერებულ მინიშნებებს, რითაც წლების განმავლობაში ხასიათდებოდა ჟურნალისტისა და იმპერატორობის მაძიებლის ურთიერთობა და რისი გაგებაც მხოლოდ იმპერატორობაგანაღდებულ, აწ უკვე გაღმა გასულ მმართველს შეეძლო.

კანცლერმა გაზეთი გადასდო, სკამის საზურგე გადასწია, კონდიციონერს სახე მიუშვირა, თვალები დახუჭა და ფიქრებს მიეცა.

„გიცნობ, კარგად გიცნობ, ჭიჭეჭიჭე. ამ სტატიაში ჩამცხრალი ჩანხარ, თანაც ექსიმპერატორისადმი წყრომა ისე ძლიერ გამჯდარა შენს სულში, რომ ჩემს აღზევებას იმედით შეჰყურებ. ეგეც გასაგებია „ნაკლები ბოროტების" ცნობილი იდეით. მაგრამ ვერ მომატყუებ, შენ ჩვენი ერთგული ვერ იქნები იმიტომ, რომ ჩვენი მატარებლები სხვადასხვა მიმართულებით მიეშურებიან. გულის სიღრმეში შენ კარგად იცი, რომ „შენ რომ გგონია, ის არა ვარ" და მაინც ჩემს შემობრუნებას, ჩემს აღზრდას ცდილობ. არ გამოგივა.

დავიწყებ თუ არა ჩემი გეგმის ხორცშესხმას, პირველი შენ მიმიხვდები და სამკვდრო-სასიცოცხლო პაექრობას გამიმართავ. როცა პოლემიკის ისრებს დამიშენ, მერე გვიან იქნება, კინძაძ ბუზიც რომ აგიფრინოს, მე დამბრალდება. ახლა, ახლა უნდა მოგიარო, სანამ წინა ხელისუფლების ბნელი აჩრდილი დადის და ჭექა-ქუხილსაც მისი მიზეზით ხსნიან.

ჩემს მმართველობას შენისთანა პირში მთქმელი და „ცხვირზული

მოკალმენი“ არ დასჭირდება. მე კარგად ვიცი შენი ძალა. იმ უბედური, შეჭმული იმპერატორის მთავარი შეცდომა სწორედ ის იყო, შენისთანა მოუსყიდავ-მოუთოკავები რომ დაიტოვა თავისი მმართველობის დროს. შენისთანა ქედუხრელების ადგილი პანთეონებში და ისტორიის ფურცლებზეა. შენ ახლა ხელს გვიშლი და მეტი არაფერი.

ნუ გეშინია. პატივ-დიდებით დაგასაფლავებთ. ზარის გუგუნით ვამცნობთ მსოფლიოს, რომ მოლა-მოლას დედაქალაქიდან გამოგზავნილმა ტერორისტებმა ჩვენი საამაყო ჭიჭეჭიჭე იმსხვერპლეს. ხალხის რისხვის ახალ ტალღას ავზვირთავ მოწინააღმდეგეთა ბანაკის წასალეკად. ამით ორ კურდღელს დავიჭერთ; შენგანაც გავთავისუფლდებით და გაფრენილ იმპერატორსაც უფრო შევაძულებთ საზოგადოებას.

– სწორედ ახლაა საჭირო ამის გაკეთება. დღესვე. რაკიღა ამ სტატიით თავიც შეგვახსენე და, ჩემზე ორიოდე თბილი სიტყვის თქმით, ერთგულება გამომიცხადე. ამ წერილით გააღიზიანა ყოფილი და ტერორი მოუწყვესო, ხმა გავარდება. ჩვენი ალიბის დამატება და ყალბი საგამოძიებო საქმის შედგენა აღარ იქნება საჭირო“.

რაიხსკანცლერი ფანჯარასთან მივიდა. ტანშემოშხმარ, მხოლოდ წვერმწვანე პალმებს ერთხანს უყურა, მერე საქმიანად შემოტრიალდა, მაგიდასთან მობრუნდა და შვიდი ღილაკიდან ზედა, წითელ ღილაკს დააჭირა თითი.

სალიკვიდაციო სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ორმეტრიანი, უკისრო ზანგი შემოვიდა.

ბელადმა ფანქარი აიღო. გაზეთში ჭიჭეჭიჭეს სურათი შემოხაზა, ერთგულ მოხელეს წინ დაუდო და უთხრა:

– იმ სიას ესეც დაუმატეთ.

ზანგმა თავი დაუქნია და გაუღიმა.

– თავისუფალი ხართ.

მტერთა სალიკვიდაციო კომიტეტის ნაცადი ხელმძღვანელი გავიდა.

იმპერატორმა გაზეთი დაჭმუჭნა. ბუხარში შეაგდო და იაპონური სანთებელით (რომელიც გაზიხა გახლდათ და ორი იეროგლიფი ამშვენებდა), ცეცხლი წაუკიდა.

ა. ჩ. ყ. ხ. წლის რვა ივლიხი იყო.

გრინვიჩიხ დროით — თოთხმეტი ხაათი და შვიდი წუთი.

## საქართველო რუსის თვალით

ხაქართველოში მეორედ მოვდივარ. პირველად ამ ათი წლიხ წინათ გახლდით, ყვარელთან ხიდს ვამონტაჟებდით.

შემდუღებელი ვარ. მივლინებით ვიყავით ხამნი.

ოთხიოდე კვირა დავყავით, მეტი კი არა.

ეხ იყო ხულ ჩემი ნაცნობობა ხაქართველოხთან.

მივლინებით ხად არ ვყოფილვარ, მაგრამ იხე არაფერი ჩამრჩენია გულში, როგორც ხაქართველო ჩამრჩა.

არ გეგონოხ, ხიმთვრალე მალაპარაკებდეხ. ორახ გრამში ვზივარ, მეტში არა.

თქვენ, ქართველებმა, ხაქართველოხ ფახი არ იცით. ცხოვრობთ ხამოთხეში, ხვამთ ხასწაულ ღვინოხ, ხუნთქავთ დამათრობელი ჰაერით, ეფიცხებით ხაქართველოხ მთებთან ახლოხ, ყურისძირში დაკიდებულ ცხელ მზეხ და თითქოხ არაფერი, თითქოხდა ახე უნდა ყოფილიყო.

ერთი მე მკითხე? ხაქართველო ღამით მაბოდებს, ძილშიც არ მასვენებს. შავ კაცს რომ დავინახავ ქუჩაში, ვაჩერებ და ვეკითხები, ქართველი თუ ხარ მეთქი.

ხამი კვირა რა არიხ. ღვინო და ჭაჭა გამოულევლად გვქონდა ოთახში. გამოფხიზლდები — ჩამოასხი-დალიე, წაუძინე, გაიღვიძებ, ისევ ჩამოასხი — დალიე. ახე მხოლოდ ზღაპარში ხდება. ჰოდა, ზღაპარივით მახსოვს საქართველო.

არ დაიჯერებ, როგორ ვბორგავ და ვწუხვარ, თქვენთან რომ საქმე აირევა. ტელევიზორი საქართველოს ინფორმაციას იტყვის თუ არა, ვთიშავ. დანარჩენი აღარ მაინტერესებს. გაზეთში პირველად საქართველოს ამბავს ჩავხედავ ხოლმე. თუ საქართველოზე არაფერს სწერს, ის გაზეთი აღარ მაინტერესებს.

მე გამონაკლისი არ გეგონო, ჩემსავით იცი რამდენია რუსეთში? არ ვიცი, ამას, მე მგონი, ახალი ავადმყოფობა – საქართველოთი დაავადება ჰქვია.

ამჯერად არც არავის მივუწვევივარ, არც მივლინების საბუთი მაქვს, ჩემით გადავწყვიტე წამოსვლა. მეტი ვეღარ შევძელი გადადება. თანაც გუშინწინ „ნოვოსტიმ" წაილაპარაკა – მალე საქართველო დამოუკიდებელი გახდება და რუს კაცს ვიზის გარეშე აღარ ჩაესვლებაო. საქართველოს დაკარგვის შიშმა უფრო დააჩქარა ჩემი წამოსვლა.

თქვენ ხომ არ გაგიჟდით? შეიძლება ნამდვილი რუსი უსაქართველოდ? მე, მაგალითად, სიკვდილი მირჩევნია იმის ფიქრს, რომ რუსეთი თავისთვის იქნება და საქართველო სადღაც თავისთვის. რანაირად?

აი, მოვდივარ ახლა, სამი-ოთხი ძველი მისამართი მიგდია ჯიბეში. კონკრეტულად არავისთან და არაფერზე მოვდივარ. საქართველოში უნდა ჩავიდე, მორჩა და გათავდა. დამიმალოს ვინმემ, თუ ბიჭია.

საზღვარი და ვიზა მინდა მე საქართველოსთან?

გამიგეთ სწორად, საქართველო ეს ხომ ჩემია, ჩემი სულის ნაწილია, ჩემი სევდა და ცრემლია. სიყვარული მხოლოდ საქართველოსი შეიძლება – ისე პატარაა, ტკბილი და მოსაფერებელი. ეს ჩემი აზრია, თავზე არავის ვახვევ.

საქართველო ხომ ერთადერთი ქვეყანაა დედამიწაზე, სადაც ქუჩაში ჩავლილს, სრულიად უცნობს, სუფრიდან თუ თვალი გკიდეს, დაგიძახებენ და ჭიქას მოგაწვდიან. რომელს ინებებთო, გკითხავენ, ღვინოს თუ არაყსო. ეს, არსად სხვაგან არ მოხდება. არყის მდინარე რომ ჩაუდიოდეს, სხვა რჯულის კაცი, გარდა

ქართველისა, არ დაგიძახებს და არ ჩამოგისხამს.

ეს ერთი ხიაშოვნება გვქონდა და იმასაც გვიშლით?

წლიდან წლამდე მთელი რუსეთი იმისათვის მუშაობდა, ორი კაპიკი დაეგროვებინა და ზაფხულში საქართველოს სწვეოდა. ეგ იყო ჩვენი სულის მოსაბრუნებელი ადგილი. ახლა რაღა რჩება? ფიქრშიც არ შემიძლია დავუშვა, რომ საქართველო თუ მომენატრება, ვიზა უნდა ვეძებო და მესაზღვრეს ვეღრიჯო: თუ კაცი ხარ, საქართველოში შემომიშვი მეთქი.

ან თქვენ როგორ გაძლებთ უჩვენოდ? ხომ წაგლეკათ ჭაჭის ნიაღვარმა. რამდენს შეინახავთ, ბოლოსდაბოლოს პურჭელიც არ გეყოფათ. ვინ დალევს ჩვენს გარდა ჭაჭას? ეს ამდენი ჭაჭა, ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა დაილიოს, თორემ საქართველო ჭაჭის ცისტერნებით გაივსება და ფეხის დასადგმელი ადგილიც აღარ დარჩება.

თქვენ ხომ არყის სმა არ შეგიძლიათ, თქვენ მარტო ღვინოს სვამთ და ისიც, ნელ-ნელა, გრძელი ლაპარაკით, წრუპწრუპით, საათიანი ქადაგება-სადღეგრძელოებით თქვენს უძნელეს ენაზე. დამიჯერეთ, არ გაბედოთ ეგ ამბავი, თორემ დაიღუპებით, თქვენ ჭაჭას ვერ სვამთ და ვერც ვერასოდეს მიეჩვევით, ჭაჭის ფასი მხოლოდ ჩვენ ვიცით.

უწინ, იცი თუ არა, როგორ იყო, თურმე? შეიძლება, არც კი იცოდე. თქვენი ისტორია თქვენზე უკეთ ჩვენ ვიცით; უწინ, საუკუნეების იქეთ, თუ მოქეიფე ქართველებს ახლომახლო ჩაუვლიდი, დაგიძახებდნენ და სუფრაზე მოგიწვევდნენ. თუ არ მოხვიდოდი, გამოგეკიდებოდნენ და ძალით მოგათრევდნენ სუფრასთან. ღვინოს ან არაყს ჩამოგისხამდნენ. და თუ ღმერთი გაგიწყრებოდა და არ დალევდი, მოგკლავდნენ თურმე.

დიახ, ჩვეულებრივად, თავს ხანჯლით წაგათიბავდნენ და ხრამში მოგისროდნენ.

ხრამი იქვე ჰქონდათ. საერთოდ, ამ ტრადიციის ძახილით ქართველებს დღესაც ხრამის პირას უყვართ პურის ჭამა.

— შეიძლება არ მოეკალით, მაგრამ დაგასახიჩრებდნენ, —

სერიოზული ღიმილით ჩავურთე.

– სულ ერთია. ეგ იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, როგორ გუნებაზე იქნებოდნენ. თუ არ დალევდი, თურმე თვალს ამოგთხრიდნენ. ან თავს მოგიწრიაზებდნენ ისე, რომ კისრის ძარღვების ნახევარს დაგაწყვეტდნენ. საქართველო ასეთია... მკაცრია, მაგრამ სამართლიანი. რატომ არ უნდა დალიო, მე არ მესმის. თუ იმდენი შესძელი, რომ მოგზაურობ და ლხინს შეესწარი, ან ახლოს ჩაუარე, კიდეც უნდა დალიო, თუ არა იჯექი სახლში. თავიც კისერზე შეგრჩება და ხელსაც არავინ გახლებს...

ფეხზგაუხდელად წამოწვა და თვალები ზედა ნარს ააწება.

ცოტა ხანს კიდევ იბორგ-იმონოლოგა. მერე ხმას თანდათან დაუწია. ბოლო სიტყვებს მხოლოდ ლუღლუღებდა, გაურკვევლად ისროდა ფრაზებს. გადაბრუნდა, ბალიში ზემოდან, მარჯვენა ყურზე წაიდო და ჩაეძინა.

მატარებელი სტეპში მიჰქროდა.

ფანჯრიდან ბუჩქის ძირას შერჩენილი თოვლი და ყვავები ჩანდნენ.

## თვითონვე

მეოთხე დღეა სახლიდან არ გამოსულა. მილიციის კაპიტანმა, რომელმაც მის კარებზე მიმაგრებული ხელყუმბარა უვნებელჰყო, მკაცრად გააფრთხილა: სახლიდან შეიარაღებული დაცვის გარეშე არ გახვიდეთ, შეიძლება ქუჩაში თავს დაგესხან, რაკი აფეთქების ოპერაცია ჩაეფუშათო.

დაცვაზე კატეგორიული უარი თქვა. თუ ჩემს ქვეყანაში, მე, მწერალს, თოფიანი კაცის დაცვა მჭირდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემს სიცოცხლეს აზრი არა აქვსო.

სამი დღე გაძლო შინ. ისიც იმიტომ, რომ ცოლ-შვილს ხათრი ვერ გაუტეხა. ამ დილით შვიდის ნახევარზე გაეღვიძა. ახალჩაძინებულ მეუღლეს გადახედა. ქალს ფერმიხდილი, განაწამები სახე ჰქონდა.

წამოდგა და ფეხაკრეფით გამოაბიჯა სასტუმრო ოთახში. ცოტა ხანს გაზეთები ათვალიერა, მერე ჩაიცვა და ქუჩაში გამოვიდა.

ჯერ სადარბაზოს შესასვლელთან მიიხედ-მოიხედა. მერე გზა გადაჭრა და კუს ტბის აღმართს შეუყვა.

სად მიდიოდა, რატომ მიდიოდა, თვითონაც ვერ გეტყოდათ, მაგრამ გრძნობდა, ერთი საათიც რომ დარჩენილიყო შინ, უსათუოდ გული გაუსკდებოდა.

გარეთ გამოსულს სადღაცარი სიმშვიდე დაეუფლა. თავისუფლად სუნთქავდა. სიმარტოვე საერთოდ უყვარდა. რა ბედნიერება იყო ტელეფონი რომ განუწყვეტლივ არ რეკავდა და მეათასედ რომ აღარ მოუწევდა ეპასუხა — რა მოხდა, როგორ მოხდა, როდის მოხდა.

მალე ისევ შეიპყრო ნერვიულობამ.

ირგვლივ ყველაფერი ესხვაფერებოდა, ისიც კი, აქამდე ყურადღებას რომ აღარ აქცევდა, ახლა სხვა სახით, იდუმალებით მოსილად ეჩვენებოდა მის გაფაციცებულ მზერას.

ეგონა ყველა ხეს მისი მკვლელი ეფარებოდა, აგერ აგერ გაუხსნიდნენ ბუჩქიდან ცეცხლს.

და სადღაც, გულის სიღრმეში ამოტივტივდა სურვილი, რომ ყოველივე ეს ბარემ ახლავე მომხდარიყო, არ გაჭიმულიყო უსასრულოდ მისი წილი სიკვდილის მოლოდინი.

მაინც ვინ გაიმეტა ასე? სისხამ დილით პურის საყიდლად ამდგარმა ცოლმა, კარი ცოტაზე რომ გამოსწია, შენიშნა, თითქოს კარგად არ იღებოდა. დააკვირდა და სახელურზე გამობმულ ძაფს მოჰკრა თვალი.

პოლიცია ჩქარა მოვიდა. სამი ფორმიანი ყმაწვილი გამოვიდა ლიფტიდან, კარის გვერდზე, გაზის მილსგამობმულ ნაღმს

დააკვდა მათი მზერა, მერე ტყაპატყუპით უკანვე შეცვივდნენ ლიფტში და ორიოდე წუთში, ტელეფონი აწკრიალდა: „ჩვენ პოლიციიდან გართ, დაგვინახეთ ალბათ, კარის ოდნავი შეხება და ნაღმი აფეთქდება. პიწკზეა „კრუჩოკი!". არაფერს ახლოთ ხელი! „საპიორს" მოვიყვანთ!"

თხუთმეტიოდე წუთში ისევ აჭრიალდა ლიფტები. ერთი ლიფტიდან ისევ იმ სამი პოლიციელის შეშინებული სახეები გამოჩნდა. მეორედან მარტო გადმოვიდა ხაკისფერტანსაცმლიანი „საპიორი". წუთიც და ღლავი დაჭერილი იყო. ოსტატს თავმოხრაზნილი ხელყუმბარა „ეფ-1" ეჭირა. „რომ აფეთქებულიყო, მინიმუმ, ორმოცდაათ მეტრში ყველაფერს დაანგრევდაო", მენაღმემ.

მერე დაკითხვები. ამ შემთხვევის ტელევიზორში გამოცხადება, გაუთავებელი რეკვები და სამდღიანი შინაპატიმრობა.

მეტის ატანა ველარ შეძლო. გამოიპარა სახლიდან და კუს ტბისაკენ მიდის. ყველაფერი უნდა გააანალიზოს, აწონდაწონოს.

რატომ გასწირეს ასე? ვინ ჩაიდინა ეს? პირად მტერთაგან ისეთი ვერავინ გაიხსენა, ამოდენა ცოდვას რომ აიკიდებდა. ჩნებოდა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთაგან ანგარიშის გასწორების აქცია. ამ ბოლო დროს გაზეთებსა თუ რადიოტელევიზიაში ხშირად ჩანდა და თავის აზრს დაუფარავად ამბობდა; საქართველოს საზღვრების მთლიანობას იცავდა, ქართული ეროვნული ფენომენის გაძლიერებისათვის იბრძოდა, პიროვნების თავისუფლებას ქადაგებდა. ეს იყო და ეს. სხვა „დანაშაული" არ ჩაუდენია.

ნუთუ მისმა, თუნდაც მცდარმა, ორიენტაციამ განაპირობა ამგვარი სისასტიკით მისი დასჯა? ჯერ ერთი, ხელყუმბარას შეეძლო ემსხვერპლა სრულიად უდანაშაულო ადამიანები (ცოლი, შვილი), ან კარებთან სრულიად შემთხვევით მოსული სტუმარი. რა შუაში იყვნენ მეზობლები შეძკრთალი თვალებით რომ იცქირებოდნენ ამ სამი დღის განმავლობაში თავიანთი კარების ღრიჭოებიდან?

იქნებ ეს შანტაჟის, დაშინების მცდელობა იყო? მწერალს თავისი შეხედულებები რომ ერთბაშად შეეცვალა, ან უკიდურეს შემთხვევაში საერთოდ გაჩუმებულიყო?

ჰგავდა იგი თავისი ცხოვრების წესით ისეთ სუსტ და უნებისყოფო კაცს, ამგვარი ფათერაკები რომ გადაახვევინებდა არჩეული გზიდან?

იქნებ ამგვარ შთაბეჭდილებას სტოვებდა საერთოდ და სწორედ ამ შთაბეჭდილებამ შეაგულიანა მოწინააღმდეგენი მის „აღსაზრდელად“?

მოეჩვენა, რომ ეს დაგვიანებულ განსჯას ჰგავდა, უკეთესი იყო იმაზე ეფიქრა, რა მოხდებოდა ნაღმზე სწორედ თვით რომ წამოგებოდა და აფეთქებულიყო.

ორი რამ მოჰყვებოდა ამგვარ სიკვდილს: ჯერ ერთი ახალი ძალით იფეთქებდა სიძულვილის ტალღა დაპირისპირებულ მხარეთა შორის, ექსპრეზიდენტისა და ახალი ხელისუფლების მომხრეთა შორის უფსკრული კიდევ უფრო გაიზრდებოდა, ამას თავისთავად ახალი მსხვერპლი მოჰყვებოდა და მეორე (არანაკლებ მთავარი) მთელ მსოფლიოს მოედებოდა ცნობა, რომ საქართველოში პოლიტიკური შეხედულებების გამო მწერალი მოჰკლეს.

„ღმერთო, რა საშინელება იქნებოდა ეს, ყოველივე. ამ ბოლო დროს საერთაშორისო არენაზე, ცოტა არ იყოს, სახელი გაგვიტყდა. ენაჭარტალა, ოსპის წვენს დახარბებული უცხოელი ჟურნალისტების წყალობით ბევრმა ირწმუნა, რომ არც თუ ცივილიზებული, შუასაუკუნეობრივი პრინციპებით მცხოვრები, აგზნებული და აგრესიული ერი ვართ. ახლა მწერლის მოკვლის სავალალო საბუთით ლამის ველურ ტომად გამოგვაცხადებდნენ“.

მან რა უნდა გააკეთოს? რისი შეცვლა შეუძლია?

რაკი ნიშანში ამოიღეს, შეიძლება დღეს თუ ხვალ შეისრულონ სურვილი მკვლელებმა, სადმე მოსახვევში, ან სადარბაზოში გააგორონ.

იქნებ დაასწროს მომხვდურთ სროლა? მერე და ამით რა

შეიცვლება? თვითონ ცოდვით დაიმძიმებს სულს, მტრებს კი უფრო მეტად გააბოროტებს.

არის გამოსავალი; თვითონვე უნდა ააცილოს თავის ქვეყანას ახალი ორომტრიალი, ააცილოს საქართველოს კიდევ ერთი სირცხვილი!

ნაპირამდე ორი საკმაოდ მოზრდილი ქვა მოათრია. ქურთუკი გაიხადა. ქვები გულმოდგინედ შეახვია. ქურთუკს ღილები შეუკრა რომ წყალში ქვები არ ამოცვენილიყო. ქურთუკი მხარზე მოიგდო, სახელოები კისერზე გაინასკვა და ჩაეშვა წყალში.

## ხელოვნება

ბავშვთა მეოთხე ქორეოგრაფიულ სკოლას, მოგეხსენებათ, როგორც სხვა ქორეოგრაფიულ სკოლებს, თავისი შენობა არა აქვს.

წარსულში განთქმული მოცეკვავე ხაშურა გენძეხაძე რეპეტიციებს კაპიტან ბუხაიძის ქუჩაზე, კალათბურთის დარბაზში ატარებდა.

ქალაქში ახლა ბევრი კერძო ქორეოგრაფიული სკოლაა, მაგრამ ჩვენ ხაშურასთან ვარჩიეთ ბავშვების მიყვანა. ჯერ ერთი, ადამიანი სახელმწიფო დაწესებულებას რატომღაც უფრო ენდობა (თუმცა ფულს აქაც კარგა ბლომად გვასხდევინებენ, სამეურნეო ანგარიშზე ვართო), მეორეც: გენძეხაძის კარგი ცეკვა გვახსოვს, ახალგაზრდობიდან და, ესეც არ იყოს ხაშურა გამცდენ-გამგულავებელი კაცი არ არის.

მინიმუმ ორ თვეში თითო ცეკვას დგამს.

საწყენად არ ვამბობ და ზოგიერთი კერძო ქორეოგრაფი შიგა და შიგ, გახსენება-გახსენებით დადის რეპეტიციებზე.

წარმოიდგინე კალათბურთის დარბაზი.

ერთ კუთხეში დამკვრელები, შუაში ქორეოგრაფი და ქორეოგრაფს მიჩერებული ჩვენი მოხტუნავე შვილები – ანსამბლ „ნერგის“ წევრები, დარბაზის ირგვლივ სათადარიგო სკამებზე ჩამომსხდარი, ხელისგულზე ნიკაპჩამოდებული მშობლები.

ზოგიერთი ქორეოგრაფი გარეშე პირებს კი არა მშობლებსაც კი არ ასწრებს რეპეტიციაზე.

ვერ გეტყვით, რა მიზეზით.

სამურა ამ მხრივაც სამაგალითო გახლდათ; არა თუ გვიშლიდა, გვავალდებულებდა კიდეც, მივსულიყავით და ჩვენი თვალით გვენახა, რა ნიჭის პატრონი იყო ჩვენი პირმშო.

ერთი სიტყვით, ვესწრებოდით რეპეტიციებს ხელოვნების მოყვარული დედები და მამები. „ხელოვნების მოყვარული“ მეთქი იმიტომ ვთქვი, რომ შენც კარგად იცი, ხელოვნების მიმართ ყრუ კაცი შვილს „არ გააცდენს“ და ქორეოგრაფიულ სკოლაში არ მიიყვანს. მითუმეტეს ამ ჩვენს კომერციულ დროში.

ადგება და ნორჩ მენეჯერთა სკოლაში მიაბარებს, ან სულაც ნორჩ სტატისტიკოსთა წრეს მიაკითხავს.

დოლის ბრაგა-ბრუგით და ჯდომით რომ დავიღლებოდით მშობლები, სპორტსკოლის პატარა სკვერში გამოვიდოდით ჰაერის ჩასაყლაპავად.

– რა არი ახლა ვითომ. ასე ძნელია გახმა? – თქვა ერთ მშვენიერ დღეს მეექვსე კლასელ ლერი შალიკაშვილის მამამ, მეაკვნე ბუხუტი შალიკაშვილმა და მე მგონია, იქიდან დაიწყო ყველაფერი.

რა ყველაფერი? ახლავე შეიტყობ.

ეს რომ თქვა ბუხუტიმ, მოხრილი მარჯვენა მაღლა შემართა, გამართული მარცხენა მხრებს გაუსწორა, წელში გასწორდა, „ერთი! ორი!“ – დაიძახა და ბალახს გაუსვ-გამოუსვა რეზინისძირიანი, მოსკოვის პატენტით გამოშვებული „ადიდასები“.

ბუხუტის შეთამამებამ ქორეოგრაფიულ ხელოვნებასთან მშობლების საერთო სიცილი გამოიწვია, მაგრამ თურმე სწორედ

ისეთი ხიცილი, შალიკაშვილის მისაძვის ხურვილი ყველას რომ დაუნთოღ გულში.

– ბრმა ნაწლავი არ გაგეხკვნას ბუხუტი, რავა დახუთულ ხბოხავით აძიგძიგებ ფეხებს, „გასმა" ასე უნდა ა! – თქვა დათუნა ეძგვერაძემ და მისი ჭკუით „კლასი" გვიჩვენა.

რომ აღარ გავაგრძელო, ხათითაოდ ყველა მშობელმა ვცადეთ ბედი საერთო ხიცილ-ძიგძიგში. რაც მთავარია, მორცხვობის ზვარი გადავლახეთ და, ცოტა არ იყოს, გავმხიარულდით კიდეც.

– მე მგონია, ტანს არ უნდა არხევდე „გახმის" დროს, ქალს თვალს არ უნდა აშორებდე. ფეხის წვერი აწეული არ უნდა გქონდეს, პირიქით ქუსლებით უნდა აშორდე იატაკს და სახეზე შეშფოთება არ უნდა გეწეროს. დააკვირდით, ასე ა...

ლალი სიხარულიძის მამას ვაჟა სიხარულიძეს ამ „თეორიულ ექსკურსს", რასაკვირველია, არ დავუჯერებდით, ცოდნა პრაქტიკულად რომ არ დაემტკიცებინა. იმ დღეს ვირწმუნეთ, რომ ვაჟა ჩვენს შორის ყველაზე კარგი „გამსმელი" იყო, ხოლო მოგვიანებით, თვითონ გამოგვიცხადა, სანამ პედაგოგიურში მოვეწყობოდი, კულტმასობრივი სასწავლებელი დავამთავრე ქორეოგრაფიული განხრითო.

იმ დღიდან ვაჟას არ მოვშორებივართ. საშურა რომ რეპეტიციას დაიწყებდა, პირველ თხუთმეტ წუთს ვისხედით „შტრაფნოიზე", მერე გვერდით კრივის დარბაზს გამოვეფინებოდით და ახლა ჩვენი რეპეტიცია იწყებოდა.

– ნახე ვაჟა!

– ახლა მე შემომხედე!

– „გაჭრას" სწორად ვაკეთებ?!

– ვაჟა!

– გამოიხედე, გეხვეწები! მთიულურის შემოსვლა ასეა?

– „განდაგანას" ილეთი ნახე?!

ქალი-მშობლები თავიდან მორცხვობდნენ, მაგრამ მერედამერე, როგორც ეს ქალებს საერთოდ ჩვევიათ, სითამამეში ჩვენ – მამაკაცებს ბევრად გადაგვაჭარბეს.

ვერ წარმოიდგენ, რა მოხდა. ცეკვის ინტერესი ყველას ძვალ-რბილში გაგვიჯდა. მოწყენილი მშობლები გამოვცოცხლდით, რეპეტიციებზე ჩვენს სიარულს მარტო აზრი კი არა, მიმართულებაც მიეცა.

მეტსაც გეტყვი, ზოგიერთის შვილმა დაანება ცეკვას თავი, მშობელი კი ჩვენთან ისე ერთგულად დადის, გეგონება, თავის მთავარ საქმეს მიაგნოვო.

სამი-ოთხი თვის შემდეგ საშურა გენძეხაძეს რომ ვაჩვენეთ ჩვენი ხელოვნება, გაოცებისაგან პირი დააღო. ნამუშევარი მოგვიწონა. ვაჟა სიხარულიძის ნახაზში ერთი-ორი პატარა დეტალი შეასწორა, მეტი არაფერი.

იმ კვირას საკონსერვო ქარხნის კლუბში პირველი კონცერტი გვქონდა. თუ სპონსორი ვიშოვეთ, საზღვარგარეთ გასვლასაც ვაპირებთ. შენთან რისთვის მოვედი, იცი? იქნებ ანსამბლის სახელის შერჩევაში დაგვეხმარო. „მშობელთა ანსამბლი" რაღაცა საშეღავათოდ ჟღერს. საპენსიო ფიქრს აღუძრავს მაყურებელს. „ვეტერანთა ანსამბლი" ნამეტანი გაცვეთილია. ეგებ ისეთი სახელი მოვიგონოთ, მნახველსაც რომ მიიზიდავს და ჩვენც პროფესიონალების დონეზე არ მოგვთხოვენ ცეკვას. რამე ისეთი, ცოტა სალაღობოც და ეროვნულიც, რასაკვირველია.

## მსმენელნი

აღარ დადის მსმენელი, ჩემო რევაზ, ვის დავუმალო. თავს არ ვუტყდები – ხან ომს ვაბრალებ, ხან უტრანსპორტობას. ერთი პირობა, ვიფიქრე, ალბათ, ბილეთი ეძვირებათ მეთქი. პირი მოვჭამე კულტურის სამინისტროს, სპონსორი გამოვაჩხრეკინე და შაბათობით, პირველ საათზე უფასო კონცერტებს ვმართავთ. მაინც არავინ მოდის. პირველი რომ შესრულდება

და ცარიელ დარბაზს გადავხედავ, გული მისკდება. წარმოიდგინე ოთხმოცდაცხრაკაციანი ორკესტრი. ოთხმოცდაცხრა შავპიჯაკიანი მუსიკოსი მონდომებული, ხერიოზული სახით მიუჯდება ნოტებს და ინსტრუმენტებს. არის ამ ღვთიური ლარ-საგნების მომართვა-მომზადება; ერთჩანგს, ოსტატის ნებას დამორჩილება. მერე კონცერტმაისტერი გამოაცხადებს და მე კლასიკურად თმაგაჩეჩილი, ფრაკითა და პეპელაჰალსტუხით მორთულ-მოკაზმული, ვერლენის შავი ყორანივით შემოვფრთხიალდები სცენაზე. გადავავლებ პარტერს თვალს და მეშინია, არ წავიქცე – ჩვენი ორკესტრის ოჯახის წევრები და უახლოესი მეგობრები სხედან, სხვა არავინ. ყველა მათგანს სახეზე აწერია – ნუ გეშინიათ, ჩვენ არასოდეს გიღალატებთ, ჩვენ მაინც მოვალთ, ქვეყანა ნიაღვარმა რომ დაფაროს და ფილარმონიის ეს ძველი შენობა ნოეს კიდობანივით რომ ტივტივებდეს წარღვნაშიო.

აღარ მჯერა მატყუარა ჟურნალისტების – „სიმფონიური მუსიკა ფართო მასებს აღაფრთოვანებდაო“ რომ ტლიკინებენ; შოსტაკოვიჩის მეშვიდე სიმფონია რომ შესრულდა, დარბაზი ხალხს ვეღარ იტევდა, მეომრები ფანჯრის რაფებზე და იატაკზე ისხდნენ და ტიროდნენო. ორკესტრი რომ დაცხრა, ფრთაშესხმულმა ჯარისკაცებმა პირდაპირ ბრძოლის ველს მიაშურესო. აღარ მჯერა, აღარა. როგორც ჩანს, მართალი იყო ის დალოცვილი, ვინც თქვა: როცა ზარბაზნები მქუხარებენ, მუზები სდუმანო.

რა მოხდა, ვერ გავრკვეულვარ. რატომ მოვწყინდით ასე ადამიანებს. რატომ გაუტყდათ ჩვენზე გული, ეს მკაცრი დრო მარტო მათთვის ხომ არ არის, ჩვენც ხომ მათსავით ვიზარშებით სიკვდილისა და შიმშილის ამ ღადარში.

რა გველოდება, მაგრამ ერთ პატარა ამბავს გეტყვი, საშენნოველოა.

ჩვენს მსმენელებს ყველას სახეზე ვიცნობ მეთქი, წეღან გითხარი. რა დამახსოვრება უნდა, რვა-ცხრა კაცს. ამასწინათ ორი ხანშიშესული შემოგვემატა. ეს უკვე პროგრესია (რას

მოვესწარი). მეხამე შაბათია ესწრებიან კონცერტს. კაცს ასფალტისფერი პალტო აცვია, ხელჯოხი მაჯაზე აქვს ჩამოკიდებული, აქლემის ქედივით გრძლად ჩაშვებულ კისერზე მოჭადრაკული კაშნე აპეურივით ჩაჰკიდებია, მაგრამ ნახევარზე მეტი კისერი მოღიავებული აქვს ჩინური ქათამივით. ცოლი უფრო ყოჩაღადაა. ბერეტიან თავს წამის მეათედის შუალედებით ამოძრავ-აქიცინებს და უწარბო, მკვირცხლი სახე-თვალით ბებერ კვერნას წააგავს. ამოივლიან კიბეებს. დასხდებიან სადაც მოუხერხდებათ და შიგდაშიგ მისწევენ აზლოს წაწვრილებულ კისრებს საჩურჩულოდ, თორემ ძირითადად სულგანაბულნი გვისმენენ.

მეხამე შაბათსაც რომ მოვიდნენ, გული გამითბო მათმა ჯიუტმა სიყვარულმა სიმფონიური მუსიკისადმი. ამ ხნის ხალხი, ვინ იცის, საიდან მოდის და გვესწრება, მარტო ამათთვის ღირს დაკვრა მეთქი. თვალზე ცრემლი მომადგა. რაღაცნაირი მოწიწება ვიგრძენი ამ დარბაისელი მოხუცებისადმი.

სანამ კონცერტი დაიწყებოდა, გავბედე და ფოიეში მდგართ გამოველაპარაკე.

მე დირიჟორი გახლავართ მეთქი. უკვე მეხამე კონცერტზე გხედავთ და მთელი ორკესტრის და პირადად ჩემი სახელით მადლობა უნდა გითხრათ კლასიკური მუსიკის დაფასებისათვის მეთქი. ნეტავ თქვენს კვალს გამოჰყვებოდნენ ისინიც, საეჭვო საქმეებზე რომ დაქუსქუსებენ ან დილიდან საღამომდე ქუჩაში დაყიალობენ მეთქი.

ვერ ვიტყვი, შეიფერეს მეთქი. რას ბრძანებთო, კაცმა, სად წასვალ კაცი უკეთეს ადგილზეო, კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ქალმა – ბურუსისფერმა ბებერმა კვერნამ დაასწრო, – ჩვენო, ყოველ შაბათს მოვალთ, თუ არ გაგვიწყრებით, პატივცემულოვო, შვილიშვილი დაგვყავს აგერ, გვერდზე, ნორჩ მენეჯერთა სკოლაში და მაინც აქ უნდა ვიყოთ შაბათობით ორი საათიო. მოხუცებულები ვართ, რა გაჩერდება ქუჩაში ამ სიცივეშიო. ამ ჩემს ქმარს თავიდან არ უნდოდა შემოსვლა,

ახალგაზრდობიდანვე ეხარებოდა ორკესტრის პრუწუნ-პრუწუნით. ძალით შემოვიყვანე და ახლა კმაყოფილია ძალიანო. ჯერ ერთი, ძვირფასი, დარბაზია და თქვენ დამკვრელები ნამეტანი თავაზიანი და კარგი ხალხი ხართო.

გულში თითქოს რაღაც ჩამწყდა, ნაბიჯი ძლივს გადავდგი. პირგამშრალი, ცრემლჩამდგარი და პირმოკუმული ვიქნევდი დირიჟორის ჯოხს ორი საათის განმავლობაში.

## გეხვეწები, არ ჩამოხვიდე

*ვუძღვნი აფხაზეთში დაღუპულ ჩვენი შვილების ხსოვნას*

„მამა!

მე ამ წერილს სოხუმიდან გწერ.

ჰოსპიტალში ვწევარ. დაჭრილი ვარ ბარძაყში და მუცელში – მარჯვენა მხარეს.

ერთი ოპერაცია გამიკეთეს, მაგრამ რაღაცა დაჩირქდაო და მეორეც უნდა გამიკეთონ.

ჩემზე არ იდარდო. მე კარგად ვარ.

ფეხის თითებს ჯერჯერობით ვერ ვამოძრავებ, მაგრამ ექიმი ამბობს, მალე ყველაფერი კარგად იქნებაო.

აქ ყავარჯნებს დამპირდა ერთი. თუ მიშოვა და ფეხზე დგომა თუ შევძელი, გადმოვფრინდები თბილისში და მანდ გავაგრძელებ მკურნალობას.

აქაც კარგი ექიმები არიან, მაგრამ თბილისში უკეთესი საშუალებებიაო.

რომ ჩამოვალ, გეხვეწები, ჩხუბი არ დამიწყო.

შენ კაცურად უნდა გამიგო.

დედას ამ წერილს ნუ აჩვენებ.

არ დამავიწყდეს:

ამ წერილს მიშკას ვატან. ხომ გახსოვს მიშკა ჩემი კლასელი. ვიცოდი რომ აქეთ იყო, მაგრამ ჩამოსვლის დროს ვერ ვიპოვე. ტამიშთან კანტუზია მიუღია და სანიტარულ ბატალიონში გადაუყვანიათ.

ჰოსპიტალში შევხვდით.

დაჭრილი რომ მნახა, თავიდან ცოტა შეეხარბა, მერე ცოტა შეეშინდა და სასთუმალთან არ მომცილებია.

პატივი ეცით. მაგასაც ჩემსავით ლიმონათი და ბლინები უყვარს.

ორ დღეს იქნება თბილისში და მერე ჩამოვა. იცოდე, შენ არ ჩამოყვე, თორემ ხმას აღარ გაგცემ ჩემს სიცოცხლეში.

აქ მშობლების გამოჩენა არ შეიძლება.

ერთ დაჭრილს დედამ ჩამოაკითხა და მთელი ჰოსპიტალი დასცინოდა.

მიშკა რომ წამოვა, გამოატანეთ ძველი სათამაშო ხელის კომპიუტერი. ახალი არ გამოატანოთ, თორემ აქ მომპარავს ვიღაცა და, კიდევ, გამოატანე შენი სქელი, სანადირო ორენიანი ქამარი.

ხომ იცი, მაგ ქამარს რამდენი ხანია გეხვეწები. შენ რაღად გინდა. აწი შენ სანადიროდ მაინც აღარ დადიხარ.

მიშკას პატივი ეცით.

ახლა ჩემი დაჭრის ამბავი:

ჯერ იყო და თბილისიდან ძლივს გამოვფრინდი. ამ რეისით მოხალისეები არ მიგვყავსო, უკან დამბრუნებელი მე არ ვიყავი და სიბრაზისაგან გული კინაღამ გამისკდა.

არ გეწყინოს, რომ გამოვიპარე. სულერთია, შენ მაინც არ გამომიშვებდი.

ეშმაკობა აქაც გამომადგა.

გვარდიის მაიორს ფუთა გამოვართვი; მე აგატანინებ მეთქი და ლაპარაკ-ლაპარაკით ავყევით ტრაპს.

თვითმფრინავი გულრიფშში დაფრინდა.

იქ კაციშვილს აღარ შევუმოწმებივართ. სადაც გაგეხარდებოდა, იმ ოცეულს შეუერთდებოდი.

ავტობუსით მიგვიყვანეს ეშერის ხაზამდე.

იქ თითო კონსერვი და შავი პური დაგვირიგეს და კარვებში დაგვანაწილეს.

კარავში ჩემს გარდა „თეთრი გიორგის“ რვა ბიჭი იყო.

ავტომატს როდის მომცემენ მეთქი, რომ ვკითხე, სიცილი დაიწყეს. აქ ავტომატს ვინ მოგცემს, თბილისიდან უნდა წამოგეღოო.

სიბრაზისაგან კინაღამ ტუჩი მოვიჭამე.

მივედი ოცმეთაურთან, შენი ნასტუდენტარი აღმოჩნდა — სინაურიძე.

აქ როგორ მოხვდიო.

როგორ და კარგად, მოხალისე ვარ მეთქი.

სროლა იციო?

ვიცი მეთქი. ავტომატის სროლას რა ცოდნა უნდა. თითი დააჭირე და თვითონ გარეკავს.

რა გიყო ახლა. წინა ხაზზე შენი გაშვების უფლება არა გვაქვსო.

ჩვენი ბიჭები არ იჩივლებენ და აფსუა-ჩეჩნები, მე მგონია, ჩემს მეტრიკაში არ ჩაიხედავენ მეთქი.

ჯერ აქ იყავი, გამოჩნდება რაღაცა. იარაღი უნდა შემოიტანონ, გვპირდებიან, ერთი სიტყვით, უიარაღოდ არ დაგტოვებთო.

პირგამშრალი დავბრუნდი კარავში.

შუაღამემდე არაყი ვსვით. ღამის თორმეტ საათზე მორიგეობა უწევდათ. გასვლის დროს მაქედან წამოღებული შენი ბებუთი (არ გეწყინოს და დავკარგე სადღაც. შეიძლება, რომ დავიჭერი, მაშინ ამაცალეს) ჩამოვიკიდე და მივყვები!

შენ დარჩი. უიარაღო ხარო, სერჟანტმა.

მთვრალი იყო.

მაინც წამოვალ ვიმორიგევებ, აქ რა ვაკეთო მეთქი.

დაიძინეო.

არ მეძინება მეთქი.

მართლა არ მეძინებოდა.

თეთრგიორგელმა ხელაძემ თავისი ავტომატი დამითმო; ჩემს მაგივრად იმორიგევოს. მე თავი მტკივა და დავრჩები. ერთხელ მაინც გამოვიძინებო.

რვა-რვა ნაბიჯზე, მანდარინის ბაღში ჩავჯექით და ეს იყო სულ ჩვენი მორიგეობა.

ერთმანეთს გადავძახ-გადმოვძახებდით. ვხუმრობდით.

რაც იმ ღამეს მანდარინი ვჭამეთ.

გამთენიისას ცოტა ჩამთვლიმა და ავტომატის ჯერმა გამომაღვიძა.

ჩემგან მეოთხე მანდარინის ბუჩქიდან ვიღაცამ ჰაერში ისროლა.

იქეთა მხრიდანაც ავტომატით გვიპასუხეს.

ახე არ უნდაო და ბათქა-ბუთქი ავტეხეთ.

ვესროდით ემერისკენ – ხეს, ბალახს, მინდორს. კაცს ვერ ვხედავდით, ვერ მოგატყუებ.

სინაურიძე (შენი ნასტუდენტარი) მოვარდა და სულ დედის გინებით ჩაგვაჩუმა. სადა გვაქვს ტყუილად დასაწვავი ტყვია-წამალიო.

დილით ჩვენმა ცვლამ ერთი საათით დაიგვიანა.

რომ არ დაეგვიანა, არ დავიჭრებოდი.

სანგრიდან სამნი გამოვედით და სიგარეტს ვეწეოდით. თურმე მტერი გვხედავდა.

მერე მითხრეს, ჩვენგან მეტრნახევარში დავარდნილა ყუმბარა.

ერთი ბიჭი, ვინც ჩვენთან იდგა, მაშინვე მომკვდარა საწყალი – გელანტია თბილისიდან, მითხრეს ტელევიზორშიც გამოაცხადესო.

მე და მეორე ბიჭი გადავრჩით.

ის ჩემთან შედარებით მსუბუქადაა. ქუთაისში წევს. წერილი მინდა მივწერო, მაგრამ სახელი არ ვიცი. გვარად ზურციძეა.

მე გრძნობა დამიკარგავს და მეორე დღეს მოვსულვარ აზრზე.

სისხლს და კიდევ რაღაც-რაღაცეებს მისხამენ ვენაში. ხანდახან წამალი ალერგიას მაძლევს და ნემსს მიკეთებენ.

როგორც კი ნემსს გამიკეთებენ, ტანზე ფორეჯები და სახეზე სიწითლე მიქრება.

ეს არის სულ ჩემი ამბავი.

მიშკას პატივი ეცით.

ეს წერილი დედაჩემს არ აჩვენო.

ნათიამ თუ დარეკოს, უთხარით უნივერსიტეტიდან ახალციხეში პრაქტიკაზე წაიყვანეს-თქო.

მისამართი და ტელეფონი ჯერ არ ვიცით-თქო.

შენ არ შეგეშინდეს.

ახლა კარგად ვარ.

ჩემს თავს. გაფიცებ, არ ჩამოხვიდე.

მიშკას წერილი გამოატანე".

## ვერ მოვისვენებ...

ლხინისთვის უკეთესი მიზეზი რა უნდა ყოფილიყო, გალაკტიონს ასი წელი შეუსრულდა.

ამინდიც, რომ იტყვიან, საქეიფო და საზუსრო გახლდათ.

დილიდან წვიმდა. ნაშუაღამევს თოვლიც გაურია.

თეატრიდან რომ გამოვედით, ცარიელ ქუჩებში ქარაშოტი მეჩხერ თოვლს ჰაერში წაღმა-უკუღმა ატრიალებდა.

მერე ქარი უცებ ჩაცხრა და დინჯად, წაფენით თოვა დაიწყო.

ხანამ ჩვენი მასპინძლის – გორქელ ლუარსაბიშვილის სახ-

ღამდე ვივიდოდით, სახურავები და ქუჩის ნაპირები გადათეთრდა.

ამ ქესატობის დროს სუფრაც მშვენიერი გაეშალათ.

გამგებელმა თამადობა სხვას დაუთმო.

ჩემს წინ იჯდა, გადახსნილ პიჯაკში რევოლვერის ბუდის ღვედი მოუჩანდა. ხშირად ნერვიულად გაიხედავდა კარებისაკენ. დროგამოშვებით დგებოდა, ბოდიშს იხდიდა და გადიოდა.

ყოველ შემოსვლაზე ვეკითხებოდი:

ახალი ხომ არაფერია მეთქი.

არაო, არაფერიო, ყველაფერი რიგზეაო, მიპასუხებდა და, ჩემს არყოფნაში რა სადღეგრძელო დაილიაო, ხომ არ ჩამოვრჩიო, მხნედ, ხმამაღლა მკითხავდა.

ოციოდე კაცი ვუსხედით მაგიდას.

მე ხომ თბილისიდანვე უგუნებოდ ვიყავი, ვერც სხვებს ვატყობდი ქეიფისა და ხმაგრიალის დიდ სურვილს.

სტუმრებიცა და მასპინძლებიც ღვინოს ვეძალებოდით, იქნებ ღვინომ ცოტა ხნით მაინც დაგვავიწყოს ჩვენი ყოფის საშინელი სინამდვილეო.

არ იქნა და არ დათბა სულში. მელანქოლიისაგან თავი ვერ დავიხსენით.

ბოლოს ვიღაცამ, ეტყობა, ჩვენი ხათრით და დიდი თხოვნის მერე სიმღერა წამოიწყო.

უსიამოვნოდ გამბურძგლა ტანში, თმა-ბეწვი ამეწვა.

ჩემს სიცოცხლეში, მგონი პირველად მომეჩვენა სიმღერა სრულიად უადგილოდ და ზედმეტად.

ახლავე მოვალ მეთქი, გვერდით მჯდომს დავუგდე.

ჩქარი ნაბიჯით გავიარე დარბაზი და ჩემს ზურგს უკან კარი რომ მიიხურა, მხოლოდ მაშინ მივეცი შეგუბულ სუნთქვას გასაქანი.

ლაფაროში, თუნუქით გადახურულ სათავსოსთან მივდექი და შავ-თეთრად დალარულ შუკას მივაჩერდი.

ყურქუდიანი, მაზარამოხურული წვეროსანი კაცი გამომყვა.

— ხომ არ დაიღალეთ, ბატონო რევაზ?

— არა, გმადლობთ. ამ ბოლო დროს ხმაურს ვერ ვიტან. ცოტა ხანს ჰაერს ჩავყლაპავ და ახლავე შემოვალ.

— გასეირნება თუ გნებავთ, აქეთ მხარესაა, უკანა ეზოში, მიგაცილებთ.

— არა, არა გმადლობთ. აქაური ბრძანდებით?

— ცხინვალიდან.

— რა ამბავია, თუ ძმა ხარ, მითხარი ერთი. დავკარგეთ სამაჩაბლო?

— ჯერჯერობით ეგრეა.

— რანაირად, თუ ღმერთი გწამს, რამდენი ხანია რაც არ ყოფილხარ იქით? ლტოლვილი ხარ?

— სიტყვა „ლტოლვილი“, გითხრა სიმართლე, ჭირივით მძულს. რანაირად შეიძლება ორმოცდაორი წლის კაცი, მე, ლტოლვილი ვიყო. გვარდიაში ვარ და ვიბრძვი, თითქოს, ჩემი ჭკუით.

— რატომ „თითქოს“?

— რატომ „თითქოს“ და ეს ბრძოლა არ არის. ეს სხვა რაღაცაა. რა არის, მე თვითონ ვერ გავიგე. მომისმენთ ცოტახანს რომ გითხრათ, რა ხდება აქეთ? ვიცი, გაინტერესებთ, ჩემნაირი გლეხური სიმართლე, იქნება, სხვისაგან ვერც მოისმინოთ. ამ ბოლო დროს ისეთი აზრი გამიჩნდა, რომ იქ, ზემოთ, თქვენ, ყველანი, ერთმანეთს ატყუებთ, ანდა თავს იტყუებთ, ეგ სულერთია.

ცერაძე გახლავართ. ცხინვალში დავიბადე და გავიზარდე.

მამაჩემი, აცხონოს ღმერთმა, მეზურნე იყო. მეც მეზურნე ვარ, მაგრამ მეზურნეობით ახლა ქალაქში თავს ვერ შეინახავ და ბოლომდე მეტაბელედ ვმუშაობდი ლუდის ქარხანაში.

შარშანწინ, ეს ამბები რომ დაიწყო, ცოლ-შვილი გორში გამოვხიზნე. მეუღლე გორელი მყავს. ტანი მიგრძნობდა, რაღაც კარგი არ მოხდება მეთქი.

ისტორიას არ მოგიყვებით, ისტორიები თქვენ ჩემზე უკეთ

გეცოდინებათ, მე, აი სუფთად. რაც ჩემი გლეხური თვალითაც ვნახე და გამოვცადე, მხოლოდ იმას გეტყვით.

მამაჩემსა და დედაჩემს ხომ წასვლას ვერ უხსენებდი და მეც გაქცევაზე არ მიფიქრია. მე ვთქვი, თუ ჩემთვის ვიქნები, ვისთვის რა დამიშავებია, ჩემთან ვის რა ხელი აქვს მეთქი.

საქმე, იცით, როდის გაფუჭდა? მილიცია რომ გაიყვანა ზვიადმა ცხინვალიდან.

ფაქტიურად ჩვენს მილიციას ქალაქში წესრიგი დამყარებული ჰქონდა. უბატონოდ ხმას ვერავინ გცემდა. ერთ-ორ ქუჩაზე იყვნენ ოსები შეკუჭულები და იქიდან დავლავებდნენ. კულუმბეკოვ-ჩოჩიევები იჭაჭებოდნენ ოცდაათკაციან მიტინგებზე. რუსები კიდე მაშინა, პირველადა „ნე ვიჟუს“ აკეთებდნენ. ეგ იყო და ეგა.

გაილალა ჩვენი მილიცია ცხინვალიდან და დაიწყო:

საიდან, რა ჩირგვებიდან გამოძვრნენ, რა გული მიეცათ, რა დამალული კატის ბრჭყალები გამოაჩინეს — ვერ გაიგებდი.

ჩემი კარის მეზობლები, კაცო, ჭიქა-ლუკმა რომ გაუყოფელი გვქონდა, ღამით დაწვნენ და დილით აფთარებად ადგნენ.

როდემდე უნდა ცხოვრობდეთ ჩვენ მიწაზე, აღარ წაეთრევით აქედანაო?! ჩემმა ნათლიმამამ, ქიმიის მასწავლებელმა თხაპსაევმა მომაძახა ჭიშკართან ატუზულს. შევარცხვინე იმის მასწავლებლობა.

ეგ ჯერ კიდევ გასარკვევია, ვისი მიწაა მეთქი.

მოგივლით, ყველას მოგივლით, სათითაოდაო. ეგეთი შელაპარაკება ხან ხუმრობით და ხან ნახევრადსერიოზულად სხვა დროსაც გვქონია, მაგრამ ანგარიში არ მიმიცია.

თურმე გაყიდული ვყავარ თხაპსაევს თხასავით.

საღამოთი დამაპატიმრეს. დილამდე გამეტებით მირტყეს. არავითარი ბრალდება არ წამოუყენებიათ. დილით დალურჯებულ-დარეტიანებულს ვედროთი წყალი გადამასხეს. აიკარ. გუდა-ნაბადი და ოცდაოთხსაათში მოუსვი ცხინვალიდან. თორემ ცოცხალს არ დაგტოვებთო. პანღური ამომკრეს და გამომაგდეს.

მოვედი შინ. მშობლებმა ძლივს მიცნეს.

ეგრეა ჩვენი საქმე, აღარა გვაჩერებენ და უნდა წავიდეთ მეთქი.

მე არსადაც არ წავიდოვალო, მაპაჩემმა. ჩემი მამა-პაპა აქ დაბადებულ-დამარხულა, აბა, ერთი გამაგდონ აქედანაო.

ვეხვეწე, ველმერთე, ვემუდარე, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

წამოველ. მერე დაიკეტა ცხინვალი და კარგა ხანს მათი აღარაფერი გამიგია.

აგერ ა, აპრილში ტყვეღჩავარდნილმა ოსმა მოხალისემ ამბავი გამოიტანა: შენი სახლ-კარი გადამწვარია და ბებრებისას, ვერ მოგატყუებ, ვერაფერს გეტყვიო.

ალბათ, ცეცხლმა შთანთქა ორივენი, თორემ ცოცხლები რომ გადარჩენილიყვნენ, აქამდე ხომ ხმას მომაწვდიდნენ.

ლამის ორი წელია ვიბრძვი. ქორივით ირგვლივ ვუვლი ცხინვალს, მაგრამ, ჩემდა გულგასახეთქად, შიგ ვერ შევდივარ.

ვინ უფრო გვიშლიან ხელსა: ოსები თუ ჩვენები, ვერა ვერ გამიგია.

მე მთავრობის საქმეში არ ვერევი. უბრალო კაცი ვარ. მშვიდობა იქნება – ბარს მოვკიდებ ხელსა, ომი არი და თოფი მიჭირავს. ეგაა ჩემი საქმე-საბძელი.

ზვიადი, რბილად რომ ვთქვა, ნერვიული იყო, შევარდნაძე ჭკვიანია.

მე არცერთთან აზლოი არა ვყოფილვარ და არცერთთან პური არ გამიტეხია, მაგრამ ტელევიზორში მინახავს ხოლმე ორივენი და იქიდან ვასკვნი ჩემს გლეხური გონებითა.

გამსახურდია ხო სუ ქუჩაში იყო. აბა, ქვეყნის პრეზიდენტს, როგორ უნდა ეცალოს მუდამ საქუჩაო-სამიტინგოდა?!

ხალხი მტრედის გუნდივით ეხვია. ჯერ ნელა დაიწყებდა, მერედამერე, აყვირდებოდა, ჰაერს მუშტებს დაუშენდა. ეგ არი, გეგონებოდა, ახლა იყვირებს: ჰკა მაგასაო.

ცხინვალი მაშინ დავკარგეთ, როცა პრეზიდენტმა მილიცია ცხინვალს მააშორა და ოსების სათარეშოდ გაგვწირა.

შევარდნაძე ნერვებდაწყობილი და დინჯი კაცი ხჩანს. როგორ დავუკარგავ, მშვიდად, დალაგებულად ლაპარაკობს. არც ვისმე აშინებს და, მე მგონი, არც თვითონ ეშინია. ეგ არი, ნამეტან რომ გააგულისებენ, ათასში ერთხელ წამოწითლდება და დაიჩივლებს: მე აქ არავის ჩამოვუყვანივარ და მამაჩემსა აქვს ცხონება, მომიარეთ, თორემ გაგექცევითო.

ღმერთმა ნუ ჰქნას ეგ გაიქცეს, მაშინ ხომ სულ მგლების ხათარჯმოდ დარჩება ეს ობოლი ქვეყანა.

მაგრამ ერთი თხისკენ და ერთი ცხვრისკენო, ნათქვამია.

მე გლეხი ვარ და არ გეწყინოს, თუ ხშირად ხელიგულებზე ვიხედები. გლეხებ კი ეგეთი ანდაზა გვაქვს: რახაც წამისვამ ხელზეო, იმას მოგისვამ წვერზეო.

რაც ზვიადი გაიქცა, ვიბრძოდით ჩვენ თვითონ ჩვენი ხამაჩაბლოსთვის, ავად თუ კარგად, ქართველები. ისინი თუ ცეცხლითა და ნავთით გაგვიმასპინძლდნენ, არც ჩვენ დავაყარეთ კარგი დღე.

იმათ თუ გამოგვაქციეს, ჩვენც ცოტანი როდი გავაქციეთ და ვიყავით ეგრე ხელის გადაწევ-გადმოწევაში.

ბოლოს, უდანაშაულო ბიჭები რომ ცოცხლად დაგვიწვეს, მოთმინების ფიალა აგვევსო და შავუბერეთ, როგორც შეგვეძლო.

ეგ იყო ყარყარაშვილის ხარდლობით ცხინვალში შევდიოდით, რომ თბილისიდან უმკაცრესი ბრძანება მოვიდა: სწრაფად უკან დაიხიეთ, ცხინვალში შესვლა არ გაბედოთ, ოსები ჩვენი ძმები არიანო.

რას გვერჩოდნენ, რატომ დაგვადედლ-დაგვაცვედნეს თბილისიდან ამ გაუგონარი ბრძანებითა?

ჩვენს უკან დახევას ის მოჰყვა, რომ „ოსი ძმები" გამოენთნენ ქართულ სოფლებსა და ქვა-ქვაზე აღარ დატოვეს.

მაშინ რომ ხიმწრისაგან თუ სინანულისაგან მუშტზე ვიკბინე, აი, ნახეთ, დღესაც მაჩნია.

მაინც წამოვიდგით წელი, კიდევ ერთხელ მოვიკრიბეთ ღონე და ახლა დაგომისის ხელშეკრულებამ დაგვცხო თავში.

სამშვიდობო ქალებიო, შეერთებული სამშვიდობო ჯარები შემოდიანო.

ჯერ ასეთი რამ, რაც საქართველო მტერს ებრძვის, მე მგონი, არ გაკეთებულა.

მარტო მოფიქრება არ გინდოდა?

სამშვიდობო ქალები თურმე იმას ჰქვია, რომ ოსის, რუსის და ქართველის ჯარები გაერთიანდეს საქართველოს წინააღმდეგ. რა გაცინებს, ეგრე არ არი?

ჩვენ ვებრძოდით ოსებსა და რუსებსა ხომ?

რისთვის ვებრძოდით ხომ ცნობილია: ჩვენი სახლებიდან გამოგვყარეს და სამაჩაბლოს გვართმევდნენ, არა?

ჰოდა, რანაირად შეიძლებოდა გაერთიანება მტრებთან – ოსთან და რუსთან და ამისთვის სამშვიდობო ქალების დარქმევა?

კვდებიან ახლა, ალბათ, ოსები და რუსები სიცილით: რა კარგად მოვაღორეთ ეს ბრიყვი ქართველებიო.

სამშვიდობო ქალების წყალობით სამაჩაბლოში ოცის ნაცვლად სამოცი ათასი ოსი შემოვიდა, ჩვენ კი შვიდი ქართველი ლტოლვილის დაბრუნება ვცადეთ ზნაურში და ავტობუსი კინაღამ დაგვიწვეს: წაეთრიეთ აქედანაო.

გამოვბრუნდით კუდამოძუებულები, რა უნდა გვექნა.

ეგ არი, შენი სამშვიდობო ქალები? ეგეთი მშვიდობით გამიკარ ხელები, რომ სამაჩაბლოში მტერი პარპაშებდეს და მე ცხინვალში ვერ შევდიოდე ჩემი დამწვარი მშობლების ძვლების შესაგროვებლად და ერთი მუჭა მიწის მისაყრელად?

შვილი ვარ მე? კაცი მქვიან ამის შემდეგ?

სიკვდილს ვეძებ და სიკვდილიც აღარ მოდის. ოთხჯერ ვარ დაჭრილი. ცალი ფილტვი დახურული მაქვს და მაინც დავღანღალებ ამ დუნიაზე.

ხუერთია, მე სანამ პირში სული მიდგას, არ მოვეშვები. სანამ საქართველოს წართმეულ მიწას არ დავიბრუნებ და ცხინვალში ჩემს გადამწვარ სახლს არ გადავხურავ, ვერ მოვისვენებ.

მაპატიეთ, ალბათ თავი მოგაწყინეთ ამ გაცხარებული საუბრით. რას ვიზამთ, აი, აქა გვაქვს ყველას. თქვენც განა ამიტომ არ გაუნაპირდით სუფრასა?

ნათქვამია: რომელი მორევიც დამაღრჩობს, ჩემთვის ყველა ზღვააო.

ჩემი ბოლო სიტყვა ეგ არი.

## ლეკვი

გულახდილად გეტყვი, პატივცემულო, რომ მცოდნოდა, ამდენხანს მოგვიწევდა ლტოლვილობაა, თუ რას ეძახიან ამ ჩვენს უბედურ მდგომარეობას, არავითარ შემთხვევაში არ გამოვიქცეოდი. ვიქნებოდი იქ და, რაც მომივიდოდა — მომივიდოდა. დაგვხოცავდნენ და დაგვხოცავდნენ მეტი ხომ არაფერი. იქვე, ჩემს ეზოში სადმე მივიმალებოდი და ერთ ქვას მაინც ვდრუზავდი ზურგში მოქმსტარ, უნამუსო გადამთიელს.

მე რა ვიცოდი, რა ნელ ცეცხლზე ხარშვა ყოფილა გამოქცეულის და ხიზანის მდგომარეობა. რანაირადაც არ უნდა ეცოდებოდე, ახე კი არ გიყურებს ის კაცი. შენც გეტყოდნენ ალბათ, ჯერ თუ ვერ გაგიბედეს, აწი გეტყვიან. ჩვენ ბევრჯერ გაგვაგონეს და იმიტომ ვამბობ, მე კი არ მომიგონია ეს, ჩემი ორი ობოლი მომიკვდეს მაშინ. რამდენ ხანს შეიძლებაო სასტუმროში მაგნების ყოფნაო. დააოხრეს ეს ძვირფასი სასტუმრო, ადამიანს აღარ შემოესვლება, რა არის ბოლოსდაბოლოსო.

ვისაც ამ სასტუმროს ფოიეში თვალგამოლამებულს და ხელგაწვდილს უხაროდეს ჯდომა, შინ მიბრუნება არ აღირსოს გამჩენმა, მარა ვინ იცოდა, ვის უნდოდა ეს.

ჩემი ქმარი და მამამთილი ეზოში ნარდს თამაშობდნენ, სროლა რომ ატყდა. შეიყვანე სახლში ბავშვები და ჩაკეტე

შიგნიდან კარები. არ შეგეშინდესო, ამის დაძაზება მოასწრო მამამთილმა და მერე აღარ მინახავს — არც ქმარი, არც მამამთილი. დაზოცილები იქნებიან და ჩაყრილი სადმე, რად უნდა ამას ლაპარაკი. მიჯერებული ვარ დღედაღამე ტელევიზორს, ეგება, სადმე მოვკრა-მეთქი თვალი ან ერთს, ან მეორეს (დედამთილი არ მყავს. ჩემს მოყვანამდე გარდაიცვალა ცხოვნებული). მეტი არაა ჩემი მტერი, მე ისინი ვეღარ ვნახო. ერთი უნდა გითხრათ კიდევ, რა გაუჭირდა ჩვენს მთავრობას, სამი თვე, ნიუქელი, ერთი სურათი ვერ გადაუღო გაგრას, ტელევიზორში ერთი წამით მაინც რომ ეჩვენებინა. აქ თვალით მნახველი არავინაა, ვატყობ სახეზე, ზოგი ამბობს — ყველა ქართველის სახლი დაწვესო, ზოგი — ყველა არაა დამწვარიო. ვკითხულობ, სიტყვაზე, მაგალითად — შეიძლება სამი თვე ვერ გაიგო ადამიანმა სახლი დამწვარი გაქვს თუ არა?

ამდენი ხნით კი არა, მე მეგონა სამი-ოთხი საათით გავრბივართ, დამთავრდება ეს ჩხუბი და მოვბრუნდებით უკან, ჩვენ ვინ რას გვერჩის მეთქი.

იმას ვყვებოდი: ჩავკეტე ბავშვები სახლში. ვარ ყურმიდებული კარებზე. ისმის სროლა და გრუხუნი შორს. შორს მეგონა მე და აგერ ყოფილა ყურისძირში.

დამიბრახუნა მეზობლის ქალმა: მარგუშა, გამოდით საას-წრაფოდ, გამოიყვანე ბავშვები. მოვიდნენ უკვე, გავრბივართ ყველანიო.

არიქა! არიქა! საით გავიქცეთ, რა წავიღოთ, საიდან მოდიან?! ვსტაცე ხელი ვითომ, რაც მომხვდა ხელში. დავრბივარ გადარეულივით. დამსდევენ ბავშვები, ბიჭი შვიდისაა, გოგო — ხუთის. ყველი და პური ჩავიგდე ტომსიკაში. ბავშვებმა იციან მოშივება და სანამ მოვბრუნდებოდეთ, ვაჭმევ მეთქი.

გავაღე ჭიშკარი. გარბის ხალხი ტკაპატკუპით. ჩანთები, ჩემოდნები, ხურჯინები მიაქვს ზოგს. შემოვტრიალდი, საქათმე გავაღე და გამოვუშვი ქათმები. ისე, ა, დაბნეული რომ იქნები, თორემ რამ გამახსენა ქათმები.

ჩქარა, ჩქარაო, ყვირიან მეზობლები და უკან იყურებიან, იქით, ქუჩის ბოლოში, ორ-სამ ადგილას ცეცხლი ავარდა.

რას წამოიღებ. შევირბენ სახლში, შევფუთავ ტანსაცმელს, მოვირბენ ჭიშკრამდე. რად მინდა ეს ტანსაცმელი მეთქი. მივირბენ უკან. გადავყრი ტანსაცმელს, ჩავყრი ფუთაში ხახვს, ყველს, ნიორს...' ვის უნდა ნიორი, სადაც მივალთ, იქ ექნებათ მეთქი, მოვბრუნდები, ისევ მოვხვეტავ რაღაცას. ყველა ოჯახშია ცოტა რამე. პუდრი მედო სარკესთან და ის წამომიღია. რა მეპუდრებოდა. ასე იცის შიშმა და სიჩქარემ.

მივრბივართ მგლის დაფეთებული ნახირივით. კვნესის ეს გოგო, თან პლაშის ქვეშ რაღაცას მალავს. რა არის მეთქი, გოგო, ეს? ლეკვი გვყავდა, ბროლია, სამი თვის არც იყო ჯერ, ამოუღლიავებია და მოათრევს. გადააგდე ახლავე, შე არ-დასაცალებელო, ლეკვის თავი გვაქვს ახლა ჩვენ-მეთქი? დავუცაცხანე და ქიჩავ-ქიჩავით გადავაგდებინე,რავარც იქნა. ამის სახე რომ გენახათ მაშინ, სახურათე იყო პირდაპირ. ისეთი იღრიალა, მოუკვდეს დედა, რომ შემეშინდა, პირი არ გაეხეს მეთქი.

დღემდე ვერ მოუნელებია. დღემდე იმ ლეკვს მისტირის. ლამაზი კი იყო საწყალი.

ქუჩის პირას გაზონში დავსხვით, მარა იქ ხომ არ გაჩერდებოდა, ვერც სახლში მიბრუნდებოდა. პატარა იყო.

ნახავდა ვინმე და წაიყვანდა, ან, შეიძლება, ფეხიც კი დააბიჯეს და გასრისეს სირბილში და რია-რიაში.

# ნეტავ, მომაგონა

პარიზში ბაცი, გაცრეცილი, თეთრ-ლურჯი ამინდი იდგა.

გერასიმე დადიანის გარდა რომ არავინ დაგვხვდა აეროპორტში, არ გამკვირვებია. ვინ დაგვხვდებოდა, გერასიმესაც ძლივს მივაწვდინეთ ხმა მისი დისშვილიშვილის – ქალბატონ ელისაბედის მეშვეობით. დამოუკიდებელი საქართველოს წიაღისეულ სიმდიდრეთა სამინისტროს დელეგაციას სამნი წარმოვადგენთ: მე – მინისტრი შიო ხუნწარია, ჩემი თანაშემწე ბადრი მორჩაძე და თარჯიმანი (იგივე მდივან-მემანქანე) ლუიზა გელეყვა.

ბედნიერი კაცი ვარო, გვითხრა გერასიმემ თავის ძველთაძველ „ოპელში“ რომ ჩაგვსხა და ცენტრისკენ წაგვიყვანა, ძველი დრო რომ ყოფილიყო, ვინ მანდობდა მე, „სამშობლოს გამყიდველ“ გერასიმე დადიანს ქართველ მინისტრსო. ლიზიკომ რომ დამირეკა გუშინწინ, ცას ვეწიე სიხარულით, გასკდებიან გულზე აქაური ქართველები, რომ შეიტყობენ ამ ამბავსო. კიდევ კარგი, დღევანდელ დღეს ჩამოხვედით, თორემ გუშინ და გუშინწინ ვერაფრით ვერ მოვახერხებდი დახვედრასო. სამშაბათი და ოთხშაბათი ოფისის დღეები მაქვს და თავის მოსაფხანად არ მცალიაო. მენეჯმენტი ვარ ხელობითო. გაჭირდა ცხოვრება ამ დახაქცევში. ძველი პარიზი რომ გინახავთ, სადღაა ისეო. ბენზინი ნამეტანი გაძვირდა და გადასახადებმა მოიმატა. პატიოსან მენეჯმენტს ნემსის ყუნწში გაძვრომა უწევს, თავი რომ გაიტანოს დღესო.

თქვენ, ალბათ, სასტუმრო „დიპლომატში“ გაჩერდებით, დელეგაციები მანდ ჩერდებიან საერთოდო. ძველი, მყუდრო სასტუმროა და, რაც მთავარია, ცენტრშია, აქვეა, კონკორდიას მოედნიდან ორ ნაბიჯზეო.

პარიზში ამ ათიოდე წლის წინ გახლდით „სპუტნიკის“ ხაზით და, ჩემი დელეგაციის წევრებთან დიდი უპირატესობა

მქონდა. „ეს მონმარტრის ტაძარია, ეს ლუვრია, ეს ნოტრდამი მეთქი“, ვანათლებდი ბადრის და ლუიზას, მაგრამ ეიფელის კოშკს რომ ჩავუარეთ, ეს ეიფელის კოშკია-მეთქი აღარ უნდა მეთქვა. ხომ არ შეიძლება საათზე აღმოჩენასავით გამოაცხადო: ეს საათია, დროს უჩვენებსო. ხომ არის რაღაც-რაღაცეები, ახსნა რომ არ სჭირდება.

პარიზში დილის ათიდან თორმეტამდე კიდევ შეიძლება მანქანით მოძრაობა ასე, დაახლოვებით, საათში ოცი-ოცდაორი კილომეტრით, სხვა დროს ნურას უკაცრავად. შუქნიშანზე გაჩერებულს შეგიძლია გადმოხვიდე, ყავა დალიო და დაბრუნდე. სანამ მანქანას დაძრავდე, ერთი გაზეთის გადასათვალიერებელი დრო კიდევ დაგრჩება.

როგორც იქნა (ყავის სამჯერ დალევით), მოვაღწიეთ „დიპლომატამდე“, ჯერ გერასიმე გადავიდა, კარგა ხნის შემდეგ მიხმო. სასტუმროს პატრონს — მუსიე ბონუა შავიროს ოქროსფერი სათვალეები ეკეთა და აბრეშუმის ქუჩქუჩა პერანგს შავი მერცხალ-ჰალსტუხი უმშვენებდა.

დავსხედით. მასპინძელმა გერასიმეს რაღაც უთხრა.

ბატონო მიო, თქვენი ჩამოსვლის ამბავი თუ იცოდა საფრანგეთის მთავრობამო.

დეპეშა გამოვგზავნეთ, მე მგონი, უნდა სცოდნოდათ-მეთქი.

გერასიმემ უთარგმნა.

მუსიე ბონუა ტელეფონს დასწვდა და დარეკა. კარგა ხანს გულწრფელად უხსნიდა რაღაცას. მერე ხულ ბოდიშ-ბოდიშ დადო ტელეფონი. უჯრიდან თხელი, ვერცხლისფერყდიანი წიგნი ამოიღო და, რომ არ მოგატყუოთ, რიგრიგობით, ხუთ ადგილას მაინც დარეკა. ყველგან პირველსავე ზარზე იღებდნენ ყურმილს და, ჩანს, ძალიან მშვიდად ელაპარაკებოდნენ, რადგანაც მუსიე შავიროს „მერსი-ბონჟურს“ თვლა აღარ ჰქონდა.

რეკვა რომ დაამთავრა, გერასიმეს ნაღვლიანად შესჩივლა რაღაც.

ბატონო შიო, მუსიე ბონუა ნამეტანი შეწუხებულია, თქვენი ჩამოსვლის შესახებ არავინ არაფერი იცისო.

რას ვიზამთ, ჩანს, სადღაც გაეჩხირა ჩვენი დეპეშები. ასეთი რამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხდება-მეთქი, თითები თითებში გავიყარე და მარჯვენა მუხლს შემოვაჭდე.

იქნებო, თქვენს საელჩოს მიმართოთო?

რომელ საელჩოს, საქართველოს საფრანგეთში ჯერ საელჩო არა აქვს მეთქი.

გერასიმემ უთარგმნა.

სასტუმროს თავმა რაღაც უთხრა.

რუსეთის საელჩოსო.

რა საქმე მაქვს რუსეთის საელჩოსთან მე, დამოუკიდებელი საქართველოს მინისტრს-მეთქი, ცოტა არ იყოს გულმოსულად მივუგე.

გერასიმემ რომ უთარგმნა, მასპინძელმა სულ ბოდიშები მიხადა, მაგრამ სახეზე ეტყობოდა, მთლად კარგად როდი ჰქონ-და წარმოდგენილი, რაზე მიხდიდა ბოდიშს.

როგორ მოვიქცეთ, რას ვუცადოთ, თუ არა აქვს თავისუფალი ნომრები, სხვა სასტუმროში წავიდეთ-მეთქი.

არაო, რას ბრძანებთო, ამას უთარგმნელად თავისი ინიციატივით მეუბნება გერასიმე, ადგილები როგორ არა აქვს, მაგრამ იმაზე სწუხს, რომ ისე ვერ გხვდებათ, როგორც თქვენს მაღალ თანამდებობას შეეფერებაო. მინისტრის დონეზე, ოფი-ციალურად ვერ გღებულობთ სათანადო ეტიკეტის დაცვით, მზარეულ-პირისფარეშებით და ლიმუზინ-ესკორტებით, თორემ ჩვეულებრივი დიპლომატის (და ცოტა უკეთესის) დონეზე მიღებას თუ დათანხმდებით, სიხარულისაგან ცას ეწევაო. თვითონაც კმაყოფილი დარჩება, ნახევარი სასტუმრო ცარიელი აქვსო. სხვათაშორის, აქ მხოლოდ დიპლომატები ცხოვრობენო.

წამოვდექი და დაბნეულ ბონუას ხელი ჩამოვართვი: მაგან დაგაღონა მუსიე შავრო-მეთქი? შენ კარგად იყავი და ჩვენ, ქართველები, უბრალო ხალხი ვართ-მეთქი. რა ნომრები უნდა

გქონდეს ამ მეფურ, ქათქათა სასტუმროში ისეთი, ჩვენ რომ არ მოგვეწონოს მეთქი. მე, პირადად, სამი წელია ეროვნულ მოძრაობაში ვარ. ამ სამ წელიწადში ტანთგაუხდელად ხშირად მეძინა კონსპირაციულ ბინაზე და მინისტრად სულ რაღაც ორი თვეა ვმუშაობ. ისე რომ, გაკვირვებით არაფერი გამიკვირდება-მეთქი.

რატომღაც ჩემი ეს გრძელი სიტყვა გერასიმემ სახეგანათებულ მასპინძელს ძალიან მოკლედ უთარგმნა.

სიტყვა რომ აღარ გავაგრძელო, ეს საქმე მოგვარდა. გენერლებივით გამოწყობილმა ბიჭებმა ჩვენი ჩემოდნები ლიფტში შეიტანეს. მასპინძლებმა მე, როგორც ჩანს, ვერ შემომბედეს, მაგრამ ბადრის და ლუიზას პასპორტები მოსთხოვეს. აქ მოხდა მცირეოდენი გაუგებრობა, მაგრამ რაკი ყველაფერს დაწვრილებით ვყვები, ამასაც აღარ გამოვტოვებ. ადმინისტრატორმა ქალმა ჩემი თანაშემწეების პასპორტებს უსიტყვოდ დაავლო ხელი და უკანა ოთახში გაიტანა, რამდენიმე წუთში ჟირაფისკისერა, უსათვალო ფრანგი მოადგა ადმინისტრატორის დახლს.

გერასიმეს პასპორტები გაუშალა და რაღაც ჰკითხა.

ბატონო შიო, ესენი ხომ რუსეთის მოქალაქეები არიანო (პასპორტებს ამაყად ეწერა: სსსრ, ობშჩეგრაჟდანსკი, ზაგრანიჩნი პასპორტ"), საქართველოს მინისტრს რატომ მოჰყვებიან რუსეთის მოქალაქეებიო.

ყველაფერი რიგზეა. აუხსენით მუსიეს, რომ ჩვენ ახალგათავისუფლებული ქვეყანა ვართ და ჩვენი პასპორტები ჯერჯერობით არა გვაქვს-მეთქი, მორცხვობაგარეული ღიმილით ჩავჩურჩულე გერასიმე დადიანს და ღვთის წინაშე, ისიც კი დავუმალე, რომ ჩემი პასპორტი თუმცა მუქი იისფერი იყო, მაგრამ მასშიც „გრაჟდანინ სსსრ“ ეწერა.

გერასიმემ აუხსნა, რაშიც იყო საქმე.

ჟირაფისკისერამ კიდევ ერთხელ მოგვიხადა ბოდიში, გავიდა და ცოტა ხანში ნაცრისფერი ხავერდის გრძელ პიჯაკში და

მოჭადრაკულ ფართე შარვალში გამოწყობილი, მცირეოდენი (მაგრამ შუაზე გულმოდგინედ გაყოფილი) შავი, ბრიოლინით-აზიმზიმებული თმის პატრონი, პირშისიგარაგაჩრილი კაცი გამოიყვანა.

სიგარიანმა რაღაც უთხრა გერასიმეს.

ფულს ვინ გადაიხდისო, მომიბრუნდა დადიანთა სახელოვანი გვარის უკანასკნელი მოჰიკანი.

ფიქრი ნუ აქვთ, ფულს ნაღდ ანგარიშზე ვიხდით და თანაც დოლარებზე, ამხელა გზაზე სხვისი ხელის შემყურედ ხომ არ წამოვიდოდით, სპონსორებმა დაგვაფინანსეს-მეთქი ამაყად განვუცხადე გერასიმეს და მაშინვე ვიგრძენი, რომ სიტყვა „სპონსორი" არ უნდა მეხსენებინა. „სპონსორზე" მასპინძლები უსიამოვნოდ შეიშმუშნენ.

აღარ გაგაცდენთ იმაზე ყურადღების გამახვილებით, რომ მგზავრობით დაღლილებმა დიდებულ ნომრებში სული მოვითქვით და ის საღამო ქართულ რესტორან „ოქროს საწმისში" გავატარეთ გულაჩუყებულ თანამემამულეთა შორის. თქვენ მაინც პატრიოტ ქართველ მკითხველებს, არ დაგჭირდებათ წარმოდგენა, რა სიხარული იქნებოდა მრავალნატანჯ, უტკბილეს მოხუცთათვის (დღემდე რომ „ქაქუცას ბიჭებს" ეძახიან თავს) და მათ გაფრანგებულ, მაგრამ ქართულთვალება შთამომავალთათვის რუსეთის იმპერიის ნაწილის კი არა, აწ მკვდრეთით აღმდგარი საქართველოს სახელმწიფოს მინისტრთან პურობა. რა სადღეგრძელოები ითქვა, რა ცრემლი დაიღვარა. ღმერთო, ალბათ, რა ნათელი ადგა იმ ღამით ლევილის სასაფლაოს... მაგრამ ეს ცალკე ნოველის თემაა და თუ ღმერთმა დამაცალა, იქეთა კვირას ვააზლებ ამავე გაზეთის მრისხანე, მაგრამ თავაზიან რედაქტორს.

მეორე დღეს, ცხრას აღარაფერი აკლდა, ჩემი დელეგაციის წევრებთან ერთად გერასიმეს მრავალნაცადი „ოპელით" საფრანგეთის მთავრობის რეზიდენციისაკენ რომ გავემართეთ. ოთხსართულიანი, თეთრი, დაზუჟუჟებულ სვეტ-ფანჯრებიანი

შენობის თავზე საფრანგეთის რესპუბლიკის დროშა ფრიალებდა.

მანქანით ჭიშკარს არ მივდგომივართ. გერასიმემ შორიახლო გააჩერა. ჩვენო, დიპლომატიური ნომრები არა გვაქვსო და არ გაგვატარებენო.

ჭიშკართან, ცისფრადშეღებილ ჯიხურში ერთადერთი, დეგოლისქუდა მოხელე იჯდა. ჩვენ რომ მივესალმებოდით, მერე თავი დაგვეღუნა და საქმიანი ნაბიჯით შევსულიყავით ეზოში (შესვლის ქუთაისური მეთოდი!) იგი ხმის ამომღები არ იყო, მაგრამ გერასიმემ იმდენი უარა ირგვლივ და იმდენი ევედრ-უქახა „მუსიე, მუსიეო", პატიოსანი მორიგე, როგორც იქნა, დააეჭვა ჩვენი ვიზიტის სამართლიანობაში. ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ ორი სამოქალაქოფორმიანი ფრანგი მოგვეახლა. ახლაც ეჭვი მაქვს, ისინი საფრანგეთის საიდუმლო პოლიციის გულმოდგინედ გადაცმულ-შენიღბული თანამშრომლები უნდა ყოფილიყვნენ.

გერასიმესთან მოკლე, მაგრამ შინაარსიანი საუბრის შემდეგ მე მომიბრუნდნენ.

მორიგეობით მიხსნიდნენ რაღაცას, ჩანს, გერასიმემ ვერ მოასწრო ეთქვა, რომ ფრანგული მე კი არა, თარჯიმნად გაფორმებულმა ჩვენმა მომხიბვლელმა ლუიზამაც არ იცოდა.

რატომ წინასწარ არ ჩაგვაყენეთ საქმის კურსშიო, ასეთი ვიზიტები ჩვენთან მინიმუმ ორი დღით ადრე იგეგმებაო, გერასიმემ მითარგმნა.

ჩემი პირადობის მოწმობა ამოვიღე და ერთ-ერთ მათგანს გავუწოდე. მოწმობაზე წმინდაგიორგისგამოსახულებიანი საქართველოს რესპუბლიკის ოქროსფერი გერბი ეხატა. შიგნით კი მრგვალბეჭედდასმული ჩემი სურათი შემოგანათებდათ ჩემივე ხელმოწერილი „არის საქართველოს რესპუბლიკის წიაღისეულ სიმდიდრეთა მინისტრი, მოწმობა ძალაშია 1992 წლის 1 იანვრამდე". ეს ყველაფერი ქართულად ეწერა. ძალიანაც კარგი. საბუთი ამით მეტ დამაჯერებლობას, თვითმყოფადობას და უცხოელთა თვალში გარკვეულ იდუმალებასაც იძენდა.

გადაცმულმა ჩინოვნიკებმა თავაზიანად მთხოვეს, თუ არ შეწუხდებით, ხუთიოდე წუთით გვანდეთ თქვენი პირადობის მოწმობა, ახლავე დავბრუნდებითო. ჩემი თანხმობისთანავე მათ შორის შედარებით დაბალმა, მკერდზეჩამოკიდებულ, პოტისთავა მიკროფონს რაღაც ჩაულაპარაკა და ორივენი მათი სამსახურისთვის სრულიად შეუფერებელი, ზედმეტად მსუბალეტური ნაბიჯით გაუჩინარდნენ სასახლის ნახევრადღია კარებში.

ოციოდე წუთში მე და გერასიმე სასახლის კომენდანტის მოადგილის კაბინეტში ვიჯექით. ბადრი და ლუიზა გარეთ, სკვერში დავტოვეთ.

მერე, რატომღაც რუსულად დაიწყო მასპინძელმა, ოფიციალური პირი ვარო, მიღების საკითხებს მე ვაწესრიგებო. კეთილი იყოს ქართველი მინისტრის მობრძანება პარიზშიო. მე რუსული როგორც ხედავ, ცოტა მესმის, როგორ ინებებთ, რუსულად წარვმართოთ საუბარი, თუ ფრანგულადო.

ფრანგულად მეთქი, არც დავფიქრებულვარ.

ყავის სმას რომ მოვრჩით, მასპინძელმა კიდევ ერთხელ ღიმილით შემომხედა და რაღაც გულში ჩამწვდომი მითხრა.

ფრანგებს ძალიან გვიყვარს საქართველო, რით ვემსახუროთ, ბატონ მინისტრსო.

გადაეცით, პრემიერ მინისტრთან აუდიენციას ვითხოვ-მეთქი, გერასიმემ გადასცა.

პრემიერ-მინისტრი, სამწუხაროდ, პარიზში არ გახლავთ, სხვასთან ხომ არ ისურვებდა ვიზიტს, ბატონი მინისტრიო.

გადაეცით რომ რომელიმე ვიცეპრემიერს შემახვედროს-მეთქი.

ვიცე პრემიერი ორი გვყავს, ერთი შვებულებაშია, მეორემ თიაქრის ოპერაცია გაიკეთა და საავადმყოფოშიაო, საეჭვოდ ჩქარა, მაგრამ შეწუხებული ხაზით ჩამოკაკლა მოადგილემ.

გადაეცით, იქნებ საგარეო საქმეთა მინისტრმა გამოძებნოს დრო ჩემთან შესახვედრად-მეთქი.

არც ამ თხოვნაზე პასუხისთვის დასჭირვებია კომენდატურის

მოხელეს ჯიბეში სიტყვების ქექვა – საგარეო საქმეთა მინისტრი აქ არის, ახლა თავისუფალია და მიღებაზე უარს არ გეტყოდათ, მაგრამ მოგეხსენებათ, თქვენი აუდიენცია მასთან საერთაშორისო სკანდალს გამოიწვევს. ჯერ რუსეთს საქართველოს მიმართ თავისი დამოკიდებულება არ გამოუხატავს და, ვაი თუ, ამ მოუზომავმა საქციელმა მსოფლიო ომი გამოიწვიოსო.

ეგ თქვენი აზრია, თუ მინისტრის-მეთქი.

მაპატიეთ, მაგრამ რაც აქ ვმუშაობ, მინისტრი ანალოგიურ პასუხებს იძლევა ანალოგიურ შეკითხვებზეო.

ჰკითხეთ, მაინც, ან ეს პირადობის მოწმობა აჩვენეთ-მეთქი.

ვერაო, გაიღიმა, უფლება არა მაქვსო.

იქნებ საფრანგეთის წიაღისეულის მინისტრმა მაინც ინებოს და მიმიღოს, რაღაც საქმიანი გარიგებანი მინდა შევთავაზო-მეთქი.

წიაღისეულის მინისტრი თვენახევარია გადადგა და ჯერ ახალი არ დაგვინიშნავსო. ჩვენს შემდგომ შეკითხვებს აღარ დაუცადა: პირველ მოადგილეს დამბლა დაეცა და სამკურნალოდ სეიშელის კუნძულებზე (თეთრ ქვიშაში) ჰყავთ, ხოლო მეორე მოადგილეს სიძე რაღაც სკანდალურ ისტორიაში აღმოჩნდა ჩათრეული და დღეს სასამართლო აქვსო.

მწუხარე სახეებით შევცქეროდით ერთმანეთს.

თუ სურს ბატონ მინისტრს წიაღისეულის მინისტრის თანაშემწესთან მოვუხერხებ ზეგ დილით შეხვედრასო, სიჩუმე დაარღვია მასპინძელმა.

მადლობა გადაეცით კეთილ მუსიეს, მაგრამ მე მინისტრის თანაშემწესთან შესახვედრად ჩემი თანაშემწე მახლავს, რომელიც აქ არ შემოუშვეს და სკვერში სუფთა ჰაერს ყლაპავს მეთქი. ესეც არ იყოს, ჩვენმა პრეზიდენტმა მთხოვა ვიზიტის ჩაწყობა და რა პასუხი ჩავუტანო. თანაშემწის დონის კაცი ვარ მე მეთქი?

გერასიმემ უთარგმნა.

ახლა გამახსენდა, თანამემწეც არ გახლავთ პარიზში, საგანგებო დავალებით ამ დილით უგანდაში გაფრინდაო, ბრძანა კომენდანტის მოადგილემ, ჩემს პირადობის მოწმობას ერთხელ კიდევ დახედა, რა ლამაზი შრიფტი გაქვთ ქართველებსო, ღიმილით მითხრა და მოწმობა დამიბრუნა.

გამოვბრუნდით გაწბილებულ-დაოსებულნი.

ჩვენმა თავისუფალმა გაზეთებმა ამ შეხვედრაზე, მართალია, არც თუ ჩემი დახმარების გარეშე, დაწერეს: ქართველმა მინისტრმა ორი საათი დაჰყო მიღებაზე საფრანგეთის მთავრობის სახლშიო, მაგრამ სიმართლე ეს იყო, რაც ახლა გიამბეთ.

იმ საღამოს ჩემს ხუთოთახიან ნომერში ოთხივენი გულისდარდის გადასაყრელად ფრანგულ შამპანურს მივეძალეთ.

დავიწყეთ ჩვენი უმწეობით და უპატრონობით, ჩვენი ხიმცირით და სიდარიბით;

თავიდან ცრემლგარეულ სადღეგრძელოებს ვსვამდით, მერე გავთამამდით. ძალიან მოეკიდა ფრანგული შამპანური. ბოლომამ ლამის თავის ქალა ამხადა. დავთვერი და შევუზერე.

რესტორანში რომ გამოველი და პირდაღებულ დიპლომატებს მაგიდები რომ შევაერთებინე, მახსოვს.

მერე, რა მოხდა, ვერ ვიგონებ.

## ეცადეთ, არ მოკვდეთ

უქმური, თოვლჭყაპიანი, მტირალა ამინდი იდგა.

გზას ორივე მხარეს ეხატა ყვითელ მიწახა და თოვლში აზელილი მუხლუხოების კვალი.

ტალახი ისე გაბატონებულიყო ეროვნული გვარდიის N (სამხედრო საიდუმლოება!) ბატალიონის ყაზარმების ირგვლივ, რომ მენანებოდა ციდან, ლამის, თეთრ ფარდადდაშვებული

თოვლი, ხაზურავებზე და მაგნოლიების ხველ ფოთლებზედა რომ იკიდებდა ფეხს.

ხანამ მოგროვდებიან, ცოტახანს აქვე გავივლი-მეთქი, ვუთხარი ჩემს გამყოლ მავწვერა მაიორს და აღარ დავაზუსტე, რომ „ბტრ“-ის თეთრმა კვამლმა ბევრი მანქანის სალონში რომ ტრიალებდა, თავბრუ დამახვია.

ნაპირს ხუთინი ამოჰყვნენ. ტურისტთა ყოფილ კლუბს რომ დაუახლოვდნენ, ავტომატები აქამდე რომ შეშის ნაჭრებივით ეჭირათ, მხარზე გადაიკიდეს, კოზიროკიანი, რუხმწვანე ქუდები გაისწორეს და ვერცხლისფერ ცისტერნასთან შემდგარს მშვიდად მომაჩერდნენ.

— გამარჯობათ, ბიჭებო.

— სალამი.

— რა ამბავია იქეთ?

— ამ დროს არ ისვრიან... საერთოდ... შუაღამისას ან ალიონზე.

ახლოს მივედი და სათითაოდ ხელი ჩამოვართვი.

— რამ შეგაწუხათ?

— მწერალიაო, რაღაცას გვეტყვის ალბათ.

— კაი ერთი თუ ძმა ხარ, საქმე არ ჰქონდა? რა დროს მწერალია ამ ყიამეთში.

— რატომ... რამე ახალი ეცოდინება. გამოვყრუვდით ამ ბათქა-ბუთქში.

ნახევარი საათიც და კლუბში ორმოციოდე მებრძოლი მოგროვდა.

სხედან ისინი ჩემს წინ, ავტომატების ტარზე ნიკაპებ-დაყრდნობილები. დაღლილი, გაწამებული სახეებით. თუ უხდება ვინმეს შავი წვერი ისე, როგორც სხემოღვრემილ ქართველ ვაჟკაცს ეწევიან, ახველებენ. მშვიდად, მდუმარედ შემომცქერიან. ხველი მაზრების მქისე სუნი დგას ირგვლივ. რა ვთქვა ახლა. რითი დავიწყო. „ნება მომეცით ქართველი მწერლების სახელით მოგესალმოთ...“ გაცვეთილი და პათეტურია.

„თქვენ ჭეშმარიტი გმირები ხართ, თქვენში გაცოცხლდა გიორგი სააკაძის და სამასი არაგველის სული!“ – მყვირალა და თეატრალურია.

პირველი ფრაზის თქმა-ასე ჯერ არ გამჭირვებია.

კარგა ხანს მდუმარედ შევცქეროდით ერთმანეთს და ბოლოს თავდასხრილმა, ყელგამშრალმა ამოვილაპარაკე:

– აბა, რა გითხრათ. ჩემი გვარი მიშველაძეა. პატარ-პატარა ნოველებს ვწერ, თუ სადმე მოგიკრავთ თვალი... ლამაზად ლაპარაკის დრო არ არის ახლა. თქვენი საქმე თქვენ იცით. მე ერთადერთი სათხოვარი მაქვს: ეცადეთ, როგორმე არ მოკვდეთ, ბიჭებო!

ვიღაცამ გაიცინა. და იმ წამსვე მოგუდა სიცილი. ვიღაცამ ამოიოხრა. ვიღაცა მაგას ვერ დაგპირდებითო, ჩაილაპარაკა. და ერთბაშად დათბა დარბაზში. თითქოსდა, უეცრად ახლოს მოვედით ერთმანეთთან. რომ იცოდეთ, რა უცხო ვიქნებოდი მათთვის თავი რომ ამეღირა და: აბა თქვენ იცით, არ დათმოთ არცერთი გოჯი სამშობლოს მიწა-მეთქი რომ მეთქვა.

მერე ერთი-ორი ეპიზოდი გავიხსენე ჩემი აბურდული ცხოვრებიდან. რაღაც-რაღაცეები მკითხეს, გაირკვა, რომ მე უფრო მეტი მაინტერესებდა მათ შესახებ და დავღალე მასპინძლები შეკითხვებით. ბოლოს ტელეფონები ჩამაწერინეს: აქა და იქ დარეკე, მოკითხვა გადაეციო. ცოტა გავიხუმრეთ, ცოტა წავიკამათეთ და დავიშალეთ.

კართან გამწკრივდნენ. ჯერ თქვენ გაბრძანდითო. ვისაც მივწვდი, ხელი ჩამოვართვი. ღერეფანში გამხდარი, მიმინოსცხვირა, თვალებბადქცეული ბიჭი გამომყვა:

– მადლობელი ვარ, პატივცემულო. არ მოკვდეთო არავის არ უთქვამს ჯერ ჩვენთვის. მე, მაგალითად, ცხრამეტი წლის ვარ. ცოლი არ მყავს. არც საცოლე მყავს ჯერ. ჯგერენაია ვარ სენაკიდან. ტყვედ ვიყავი გუდაუთაში და მეცინიან ხანდახან ბიჭები. ვინ იცის, რანაირად გექცეოდნენო, უშნო ხუმრობა იცის ზოგმა. ვერ ავიფეთქე თავი და რაკი არ მოვკვდი, არ ვარ

არაფერი? ისე ნამდვილად გეტყვით, გლახად არ მოგვქცევია არავინ. ვიყავით ტყვეები და ხომ არ მოგვეფერებოდნენ, მარა დამცირება არ დაუწყია იქ არავის. ახლა ერთი ხათხოვარი მაქვს თქვენთან. ეგება ტელევიზორში გამოაცხადებინოთ: „ნანული ხხულუხიას მებრძოლი ხვიჩა ჯგერენაია დაბადების დღეს ულოცავს-თქო“. აქ წერია ყველაფერი. ამ ორ-სამ დღეში თუ გამოაცხადებენ თვარა, მერე აღარა აქვს მნიშვნელობა.

– აკი საცოლე არა მყავსო? – თვალი ჩავუკარი და წერილი უბეში შევინახე.

– არის ერთი. ჯერ თვითონ არაფერი არ იცის. ვერ მოვასწარი თქმა.

მეორე დღეს დავბრუნდი თბილისში. აეროპორტიდან პირდაპირ ტელესტუდიაში გამოვიარე. ჩემს ყოფილ სტუდენტს, გულისხმიერ ჟურნალისტს გია პაპუაშვილს (მორიგე იყო) შევეელმერთე: ამაღამ როგორმე ეს უნდა გამოაცხადოთ-მეთქი და წერილი გადავეცი. გიამ პირობა მომცა და სიტყვა არ გატეხა.

გავიდა ათი დღე და „მარადიული ხსოვნის“ რუბრიკის ქვეშ ცხრამეტი წლის ბიჭის სურათი დაიხატა ეკრანზე. ეს ნაღვლიანი თვალები, ეს მიმინოს ცხვირი. ღმერთო, საიდან მეცნობა.

„ხვიჩა ჯგერენაია ვაჟკაცი იყო და ვაჟკაცურად წავიდა. მსუბუქი იყოს მისთვის მშობელი ქვეყნის მიწა!“

ღმერთო!

# იმ ქარბუქიან ღამეს

ბორჯომ-ხაშურის გზაგასაყართან ავტოინსპექციის ჯიხურის წინ დავამუხრუჭე.

თოვდა.

საათს დავხედე, პირველს აღარაფერი აკლდა.

მორიგემ ზარმაცი კაცის თვალებით შემომხედა და თავით კარებისკენ მანიშნა.

შევედი.

არც ახლა წამომდგარა. ფეხებშუა გავარვარებულსპირალიანი, კუსტარული ელექტროღუმელი მოექცია და ხელისგულები მიეშვირა.

— კაი გამარჯობა!

— იცოცხლე.

— დიდი ხანია თოვს აქეთ?

— შეღამებულზე დაიწყო. ახლა მოუმატა. საიდან მოდიხარ?

— ქუთაისიდან.

— იქეთ?

— სიმშრალეა. გუშინ ქარმა წამოუბერა, მეტი არაფერი. მაინც რა უბედურებაა. ორი-სამი მანქანა თუ შემხვდა ამხელა გზაზე. ცარიელია ტრასა.

— ზამთარია, ბიძაჩემო. უბენზინობა, სიცივე.

ოცდასამი-ოცდახუთი წლის ჯეელია. წამდაუწუმ შუბლს ისრესს. მარჯვნივ, მაგიდაზე, ქუდი და მაკაროვის სისტემის რევოლვერი უდევს.

— ჭირივით მეზარება ღამე სიარული. არ ეწყობოდა საქმეს გაჩერება, თვარა ფეხს არ გამოვადგამდი.

— თუ გეჩქარება, ჭკუით მოქცეულხარ. რა იცი, ხვალამდე რას იზამს.

— დადებს?

— უეჭველად. მშრალად თოვს.

— აბა, ხვალ იქნება ჯახაჯუხი.

— არ უნდა ლაპარაკი. „სალიარკაც“ აღარ არის. ტრაქტორებიც ვერ იმუშავებენ.

— გორის გადასასვლელზე ხომ არ ვიბუქსავებ, თუ იცი?

— ჯერ არა მგონია. მუხრუჭს „რეზკათ“ არ დააწვე. ძილის საქმე როგორ გაქვს;

— მაგის არ მეშინია.

— აბა, მენახე მშვიდობით!

— კარგად, კარგად. მე ბოდიში. ბენზინი ხომ არ გექნება ერთი-ორი ლიტრა?

— ნახევარზე ნაკლებს უჩვენებს. თუ გადმოასხამ, სამი ლიტრი შენი ფეშქაში იყოს. მე მგონი, თბილისამდე მეყოფა.

— არა, არა. დიდი მადლობა. „კანისტრაში“ თუ გაქვს-მეთქი, თორემ „ნოლ დევიტიდან“ გადმოსხმა ქვის კოდვაზე უარესია. იმ დღეს საათნახევარი ვიწვალეთ.

— თუ კანისტრაში მქონდეს და უარი გითხრა, სამ ბავშვს გეფიცები.

— ღმერთმა სამივე გაგიზარდოს. როგორ გეკადრება ბავშვების დაფიცება.

— არაფერია... არ მიყვარს კაცის გაწბილება. ისე, აქეთ რეკეტიორების საქმე რავაა?

— მიაწვნენ ძალიან ამ ბოლო დროს. კარგა ხანია, აღარ ყოფილა შემთხვევა.

— დაწყნარდნენ, აწი, დროა. ცოტა იშოვეს? რაც მაგათ ხალხი გაამწარეს. აბა, კარგად!

— კარგად, კარგად.

წრესთან, ცოტა არ იყოს, მანქანამ ბოლო მოიქნია, ერიჰაა! ფრთხილად უნდა ვიყო. მშრალ ასფალტს ახალი თოვლი ჯერ არ დაჰკრობია და ცურავს. ცოტას რომ მოყინავს, მოდება ხრეშივით ექნება და მერე საშიში აღარ არის.

ბაზართან, მარჯვნივ კოცონს ორნი შემოსხდომიან. ასეთი ალიკვამლი მხოლოდ საბურავს ასდის.

მივუსიგნალე. ხელი ამიწიეს.

შორმნათი ჩავრთე და მესამეთი მივაწექი აღმართს.

დაშვების დროსაც მესამეთი დავეშვი. არ გამჭირვებია.

იკარუსმა მომაკივლა. გზა მივეცი. დალოცვილი მანქანაა, არც მოსრიალების ეშინია, არც გადაბრუნების.

უკანა სავარძლიდან, პარპრიზსმოფარებულ თუნუქის ნაჭერს „ოზურგეთი- თბილისი“ აწერია.

ასახვევთან „ვოლგა“ წამომეწია. ანთება-ჩაქრობით გამაფრთხილა: სვლა შევანელე და მარჯვნივ გადავიწიე. გამეტებული სიჩქარით ჩამიქროლა.

ისევ ჩამოწვა სიჩუმე და უკუნეთი გზაზე.

წვრილად, ზვავიანად, დაზვყულად თოვს.

სანამ გადასახვევთან მივიდოდი, ხიდსგამოსცდარმა, ხრამისკენ გაქცეული ბორბლების კვალი შევნიშნე. რა მიხვედრა უნდოდა: „იკარუსის“ საბურავებისა არ არის, გადასასვლელთან რომ გამასწრო, სწორე ის „ვოლგა“ გადავარდნილა. მუხრუჭი ნელ-ნელა შევაპარე, უკანასვლით მოვადექი ხრამს. ნამქერში ჩაკიდებული, ცალგვერდზე აყირავებული მანქანა ძლივს მოჩანს. წინა და უკანა ფარების წითელ-ყვითელი შუქიდა ჰკვეთს ნამქრის სუდარას. წუთის დაკარგვა არ შეიძლება. ტრასაზე უკუნეთი ჩამოწოლილა. იქნებ ცოცხალია.

— გესმის?! — ჩავბღავლე.

ხმა არავინ გამცა.

ბუჩქს მოვეჭიდე, მაგრამ ტოტი შემაწყდა და ხელში შემრჩა. ჩავჯექი და თოვლზე ჩავსრიალდი.

მარჯვნიდან მოვუარე და მთელი ძალით მოვაწექი მანქანას, მაგრამ ამაოდ. მძღოლის მხარეზე რომ არ იყოს გადაბრუნებული, უფრო ადვილია ამოყვანა. დაღმართიდან თოვლ-ღორღი რომ გამოაცალოს, ვაითუ დაგორდეს და მეც ქვეშ მოიყოლოს.

— პარპრიზიდან!

ქალის ხმაა.

— ცოცხალი ხართ!

— ჯერჯერობით კი. ვაი დედა!

მე თვითონ როგორ ვერ მივხვდი, რომ წინა პარპრიზი ჩამტვრეული აქვს და აქედან უფრო ადვილია ამოყვანა.

ზემოდან გადავცოცდი და წინა სავარძელთან ჩავეკიდე.

— ნუ გეშინია, გადარჩენილი ხარ! თავს ძალა დაატანე და ხელები გამომიწოდე!

— მარცხენა ძალიან მტკივა. რულსა და სავარძელს შუა მაქვს თეძო ჩაჭედილი. ვაი დედა!

— ნუ გეშინია... ნუ გეშინია... თავს ძალა დაატანე ცოტა კიდევ, ამოიწიე, ჰო ეგრე... დამეყრდენი.

— ვაი დედიკო! მარჯვენა მუხლი მეწვის! ცოტა ნელა, გეხვეწები. გამიშვით, გამიშვით, მე თვითონ... იქნებ ეს რული თქვენსკენ გაქაჩოთ. ეყოფა. ახლა აშწიეთ!

— ოო... ყოჩაღი გოგო ხარ. აწი ნუღარ გეშინია, სისხლი ხომ არ მოგდის სადმე?!

— მე მგონი არა.

— გულ-მუცელში ხომ არ გრძნობ ტკივილს?

— რა ვიცი... ცოტას.

— გრძნობა ხომ არ დაგიკარგავს?

— არა. ყველაფერი მესმოდა. მაგრამ შიშისაგან ხმას ვერ ვიღებდი. მტკივა, მტკივა, გამიშვით! ვაი დედა. მარცხენა ხელი მოტეხილი მაქვს. არ უნდა ლაპარაკი!

ფეხები ბუჩქს მივაბჯინე და მხარიღლივ, ნელი ქაჩვა-რხევით გულზე გადმოვიწვინე.

ახლა მთავარია, როგორმე გზაზე ავიყვანო.

ჩქარი ხუნთქვა-კვნესით მეხმიანება, მისი თბილი სუნთქვა მარჯვენა ყურ-კისერზე მელამუნება.

ცალი ხელით პალტოს საყელოში ჩავავლე, მეორეთი ბუჩქს ჩავეჭიდე და თოვლზე გავასხოხე, მაგრამ ფეხი ვერაფერზე მოიკიდა და შევუშვი თუ არა ხელი, ისევ მანქანამდე ჩასრიალდა.

— თოკივით რამე ხომ არა გაქვს საბარგულში?

— ნახეთ, შეიძლება ბუქსირის ბაწარი იყოს. ვაი დედა!

საბარგულამდე მივჩოჩდი, მაგრამ ვერ გავაღე. დაკეტილია. მანქანას წინიდან შემოვუარე, გასაღები გამოვაძრე და, როგორც იქნა, მოვარგე საბარგულს.

– ვაი დედა, ხელის თითები ჩემი აღარ არის.

– ნუ გეშინია, ცოტაც მოითმინე, თითები დაიორთქლე.

– ადვილი სათქმელია, მარცხენა ხელი პირთან ვერ მიმაქვს.

თოკი გულმკერდსზემოთ, მხრებში ჩავაბი. ზემოთ, ხეს გამოვედე და დავქაჩე.

– ვაი, დედა!

– გამოედო რამეს?!

– არა, არა. ცოტა ნელა, გეხვეწები.

– თუ გამოედო, მაშინვე დამიძახე.

ასე სვენებ-სვენებით ავათრიე ზემოთ. ბევრი ვიწვალე, მაგრამ მანქანის სავარძელზე ვერ დავსვი. მუხლს ოდნავ დაატანა ძალა და კივილი მორთო. ხელში ავიყვანე და მანქანის საბარგულში ჩავაწვინე. ქურთუკი გავიხადე და თავზე გადავაფარე.

– გადარჩენილი ხარ. აქვე, საავადმყოფოში მიგიყვან და ყველაფერი რიგზე იქნება.

– თუ შეიძლება იმ დასაწევავ მანქანაში პატარა ჩემოდანი მიდევს, იქნებ როგორმე ამოიტანოთ.

საავარიო თოკს ჩავყევი და ჩემოდანიც ამოვათრიე.

გავითოშე, სუნთქვა მეკვრის.

საჭეს მოვუჯექ და მანქანა მოვატრიალე.

გადასახვევთან ავტოინსპექციის ჯიხურში სინათლე ენთო, მაგრამ ახლომახლო კაციშვილი არ ჭაჭანებდა.

ორჯერ მივუსიგნალე და რომ არავინ გადმომხედა, თავქვე დავეშვი.

საავადმყოფოს დარაჯი „ტელეგრეიკიანი" მოხუცი ძლივს გავაღვიძე.

– დაყრუვდით?!

– ჩამძინებოდა, ქს. ოხერი.

— ნაავარიევი გოგო მოვიყვანე. ექიმი ჩქარა!

გაფათურდა და ორიოდე წუთში თეთრხალათიან ქალთან ერთად დაეშვა.

— საკაცე არა გაქვთ?

— ჩაკეტილი აქვს მნეს, ვერ გავაღეთ, ვერაფრით.

— საკაცეს რა ჩაკეტვა უნდოდა, ვინ მოიპარავს.

— ახლა ყველაფერს იპარავენ.

გოგო ხელში ავიყვანე და კარებისაკენ წავედი.

— რა ჩაბნელებულია აქაურობა.

— მესამე დღეა, სინათლე არა გვაქვს.

— საითაა საოპერაციო?

— მეორეზეა, მარა, აქეთ შეიყვანეთ, მეოთხე პალატაში. შედარებით სითბოა. საოპერაციოში გაიყინება ეგ უბედური.

— აქეთ, აქეთ, კედელთან დააწვინეთ. ეს ადიალა გადააფარეთ. ახლავე ლამპას შემოვიტან.

— რა საშინელებაა. პაპუასებივით ვცხოვრობთ. ძალიან გტკივა?

— გაჩერებულზე იმდენად არა. ოდნავ გავანძრევ თუ არა, გულზე მომდის.

— ნუ გეშინია, ახლა სამშვიდობოს ვართ.

ქალმა ლამპა შემოიტანა და პირველად ვნახე სინათლეზე ჩემი „პაციენტი“. მოკლედთმაშეჭრილი, თვრამეტი-ცხრამეტი წლის გოგოა, ლამაზცხვირა და ფართოტუჩება. სუნთქვის დროს ცხვირის ნესტოები ისე ეკეცება, როგორც რიყეზე ამოგდებულ თევზს ლაყუჩები.

თეთრხალათიანმა ლამპა სკამზე დადო და ავადმყოფს ფერხთით ჩამოუჯდა.

— მოტეხილი აქვს, თუ იცით რამე? სად გტკივა, შვილო?

— თქვენ ექიმი ბრძანდებით, ქალბატონო? — კითხვა შევუბრუნე.

— არა, ექთანი ვარ.

— ექიმი არ არის?

— არ არის. დილით გამოიარა, მერე აღარც მოსულა.

— თქვენს ამარაა, აბა, საავადმყოფო?

— ცარიელია, ბატონო. ვინ გაჩერდება ამ ყინვაში საავადმყოფოში. ვერ მოვახწარი თქმა — თბილისში წაიყვანეთ მეთქი.

— რომელი საათია?

— ოთხია დაწყებული.

— არც რენტგენი გაქვთ?

— რენტგენი არის, მაგრამ ვინაა გადამღები. უნდა მოვითმინოთ ამაღამ და დილით მოვლენ.

— როგორ გეკადრებათ, ქალბატონო, იქნებ დილამდე, რა ხდება.

— რა ვიცი... როგორც გადაწყვეტთ... ისე მაინცდამაინც არ კვნესის და, საშიში რომ იყოს რამე, ძალიან ეტკინებოდა. გული ხომ არ მიგდის, გშვილო?

— არა, დეიდა. მუხლთან მტეხავს ძალიან და მარცხენა ხელს ვერ ვწევ, იდაყვთან.

— მე რაც შემიძლია, ეს არის. ტკეჩს დავადებ ნატკენ ადგილზე და შევკრავ მაგრად: მეტს ამაღამ ექიმიც ვერაფერს მოგიხერხებდათ. ისე... რა ვიცი... გადაწყვიტეთ მერე... თქვენ თვითონ შეატყობთ.

— კეთილი ქალბატონო. ტკეჩი მოიტანეთ, ბინტი ხომ გაქვთ?

— კი უნდა იყოს.

ექთანი რომ გავიდა, მისი ადგილი დავიკავე საწოლთან.

— რა გქვია?

— ლია, ვაი დედა!

— საიდან მოდიოდი, ლია?

— ზესტაფონიდან.

— როგორ მოვიქცეთ. მოითმენ დილამდე, თუ წავიდეთ თბილისში.

— არა, არა. ახლა ისევ მანქანაში ყანყალის თავი აღარ მაქვს. მოვითმენ, რა ვქნა, დილამდე, თქვენ, თუ გეჩქარებათ, წაბრძანდით.

– რა სათქმელია, როგორ მიგატოვებთ.

– როგორი მადლობელი ვარ თქვენი.

შემომხედა და თეძოსთან საზანი შეიკეცა.

– თუ გადავრჩი, საჭეს აღარ მივეკარები.

– სად გეჩქარებოდა, როგორ შეიძლება ასე სიარული, გორის ასახვევთან რომ გამასწარი, ჩაგისიგნალე. ვიცოდი რაღაც მოგივიდოდა, მართვის მოწმობა გაქვს?

– არა.

– ვისია მანქანა?

– მამაჩემისაა. თვითონ როსტოვშია. რაღაც პირად კოოპერატივი აიტეხა და, ვითომ, კვერცხის შესაძენად წავიდა. ორი კვირაა გზაზე სადღაც გაიჭედა და ვერც იქეთ მიდის, ვერც აქეთ. ჩემი დაქალი მიუტაცნიათ. დედამისმა დამირეკა. დავჯექი უცებ და გამოვვარდი.

– მერე, შე ქალო, რა წამაუცილებელი იყო შენი ასე ნაუცბათევად გამოქცევა.

– დედამისმა, ვაი დედა, სასწრაფოდ ჩამოდიო. მე ვიცნობ იმ ბიჭს. არაა, სხვათაშორის, გლახა ბიჭი.

– ჰოდა, დაქალის გაბედნიერებაზე შენ რომ იღუპავდი თავს, საქმეა ეს? მაინც სული ყელში გაქვთ ახლანდელ ახალგაზრდებს.

– რა ვიცი, ვაი დედა, ალბათ, ბედი უნდა ყველაფერს.

ექთანმა ორორმტკაველიანი პლასტმასის ფირფიტები შემოიტანა. გარეთ გასვლა დავაპირე, მაგრამ გადავიფიქრე, ბოლოსდაბოლოს-მეთქი, ჩემს თავს ვუთხარი, ექთნისთვის ხომ არ მითქვამს, რა არის ეს გოგო ჩემი.

თაგვისფერი, წითელკოპლებიანი სვიტრი აცვია. თავი ბალიშის გვერდით, პირდაპირ ლეიბზე უდევს და ჭერს ასცქერის, თითქოსდა მას არც კი ეხებოდეს, რას ვსაქმიანობთ მის სხეულზე ქვევით, ჩვენ, აქ, „ექიმები“.

იქნებ ამოვარდნილი აქვს მარცხენა იდაყვიო, ჯერ ხელით მოსინჯა, მერე გამართულად ფრთხილად ასწია, ქვეშ ბალიში ამოუდო და ხელის მტევანი ნელ-ნელა გაუქაჩეო, მომიბრუნდა.

მოვქვიდე მის ლამაზ, თიბილნაზ თითებს და ოდნავ რომ გამოვწიე ლიამ იმხელა იყვირა, მე, ჩემდა თავად, გული კინაღამ ამომიხტა ბუდიდან.

ამოვარდნილობა ხელით არ ისინჯება, ვეჭვობ ან მოტეხილი აქვს, ან მაგრად აქვს სახსარი შეშინებული.

„ტკეჩები“ ირგვლივ მჭიდროდ შემოუვლაგა და ბინტით სქლად, ღონივრად შეუკრა. საწოლის თავის პარალელურად გაუსწორა მარცხენა ხელი და გააფრთხილა, ასე გედოს შვილო, დილამდე, თუ ძალიან შეგაწუხოს, თითები და მაჯა აამოძრავე იდაყვის სახსარი არ გაანძრიოო.

მერე ლარივით სწორი, ყავისფერჩექმებიანი ფეხები გაუსწორა. ჯერ ორივე მუხლი შეადარა ერთმანეთს. მარჯვენა ოდნავ შესივებულიაო. კვირისთავი ხელით მოსინჯა, როცა გაარკვია, რომ კვირისთავი დამსხვრეული არ ჰქონდა, მიულოცა — კვირისთავი მთელი გაქვს შვილო, კოჭლობისგან დაზღვეული ხარ, ნუ გეშინია, ან მენისკი იქნება გაწყვეტილი, ან ძვალი გატეხილი ან, რაც უფრო ხშირად ხდება ასეთ დროს, კუნთია დაზიანებულიო შემომხედა.

რა არის ეს კაცი შენიო, ლიას ჰკითხა.

ლიამ წამით ამავლო თვალი და — ბიძააო ისე მშვიდად და ანგარიშმიუცემლად მიუგო, რომ ერთხელ კიდევ ვირწმუნე: ქალები კაცის ნეკნისაგან შექმნილი კი არა, სრულიად სხვა, ზეციური არსებებია. ჩვენზე უფრო ჭკვიანები და სხარტი გონებისანი. ჩემთვის რომ ეკითხა, რას ვუპასუხებდი? ჯერ დავიბნეოდი, რაღაცას წავილუღლუღებდი. მერე ვეტყოდი, სიმართლეს, აბა რას ვიზამდი; არაფერიც არ არის, მე მგზავრი ვარ, შემთხვევით გადავაწყდი გზაზე. პირველად ვნახე მეთქი. ასი წელიც რომ ვიცოცხლო, ვერასოდეს ვერ მივხვდები, რატომ უთხრა დამტვრეულმა გოგომ საავადმყოფოს ექთანს ჩემზე, უცნობ მამაკაცზე „ ბიძააო. უპატრონო რომ არ ჰგონებოდათ და მეტი ყურადღებით მოქცეოდნენ? თუ რაღაც სხვა მოსაზრებით, რას გაუგებ ქალს.

მუხლს ზემოთ, რბილ კუნთს რომ დაადო ხელი — მტკივა, სწორედ მანდ მტკივაო, დაიკვნესა ლიამ.

კუნთის ამბავია, შეიძლება გაგლეჯილიც კი იყოსო. ექთანმა, ჩექმები გავაძრიოთო.

მარცხენა ფეხზე იოლად გავაძრე. მარჯვენაზე გამიჭირდა. ტკიოდა ოდნავ რომ დავქაჩავდი. ჩექმის წვერ-ქუსლის ნელი, მორიგეობით რხევარხევით, როგორც იქნა, გავხადე. ჩექმის ყელიდან თბილი ორთქლი და რაღაცნაირი, მხოლოდქალური ოფლის სუნი დაიფრქვა ოთახში.

რენტგენი უნდა გავხადო, შევიდო, ჯერ ერთი, მაინტერესებს დალურჯებულ-შესიებული რა ადგილას გაქვს და მეორეც, ტკეჩი რენტგენისგარეშეც ფეხს მჭიდროდ არ მიეკვრება, იმოძრავებს, საერთოდ ტკეჩიც და თაბაშირიც შიშველ კიდურზე კეთდებაო.

ლიას პასუხი არ მიუცია, ჭერს ასცქეროდა.

ექთანმა შალითის ჯიბიდან, წელის არეში შეუყო ორივე ხელი, ცოტა ხანს აფათურა, ბოლოს როგორც იქნა, იპოვა ხვანჯარი, და დაქაჩა. ლამპის მქრქალ შუქზე ულამაზესმა, ჭკუიდანშემშლელმა ბარძაყებმა რომ გამოანათეს, წამოვდექი და ფანჯარასთან მივედი.

მედიცინის დამ ერთხანს აცერ-ამტკაველა ლიას მუხლ-ბაყვები. ხან აკვნესა, ხან გააყუჩა ავადმყოფი, ბოლოს მიხვდი — ტკეჩები დამიჭირეო. ორივე ხელი შემოხსალტული მაქვს თვრამეტი წლის გოგოს ბარძაყებზე და სანამ ექთანი ბინტს დაახვევდეს, ჩემი მყარითება. ვნაბიანი სითბო და სპილოს-ძვლისფერი ფეხების ნერვსატოკვა ტკეჩში ატანს და სხეულზე ალაგ მეკიდება.

ექთანი თავის საქმეს რომ მორჩა, ლიას ანალგინი დაალევინა. ქვევით, მორიგის ოთახში ვიქნებით; თუ დაგჭირდეთ, დამიძახეთ. გათენებამდე ბევრი აღარ დარჩა, დილით დარაჯს გავაგზავნით ექიმთან, ეცადოს დაიძინოს, ეს ბოლო სიტყვები რატომღაც მე მითხრა, კარგად იყავითო და გავიდა. კარებთან მოტრიალდა,

თუ შეიძლება, ლამპას წავიღებო. მადლობა მოვახსენე, დერეფანში დავეწიე, ჯიბეში ფული ჩავუკუჭე (ვერ გეტყვი რამდენი, ასე ასი-ასორმოცდაათი მანეთი იქნებოდა, თუმნიანებად მეწყო შარვლის ჯიბეში), ძალიან ყურადღებიანი ქალი ბრძანდებით, თქვენი ვალიდან ვერ ამოვალთ-მეთქი.

მარტონი დავრჩით.

ცოტა ხანს წელის გასამართავად წამოვწექი, მაგრამ უცრო შემცივდა.

საწოლზე ვზივარ. ლიას, რასაკვირველია, არ სძინავს.

– როგორ ხარ. იქნებ დაგეძინოს... გტკივა?

– ანალგინმა ცოტა გამაბრუა... თქვენ რომ არ შემხვედროდით, რა მეშველებოდა.

– უსამველო ღმერთმა ნუ დაგმართოს, ერთი საშიშროება ის იყო, რომ თოვლზე მანქანის გადავარდნის კვალი წაიშლებოდა და დილამდე ვერავინ გიპოვიდათ.

– დილამდე ალბათ გავიყინებოდი.

– ცუდ რამეზე ნუღარ ვილაპარაკებთ, რაც მთავარია, გადარჩი.

– მანქანა ძალიან იყო?

– ძალიან არა. მოსრიალების დროს ხეს დაეცა გვერდულად. იმ ხემაც გადაგარჩინა, თვარა, შეიძლება ქვეშ მოყოლოდი.

პაუზა.

– რა გქვიათ, ბიძია? ამ დაბნეულობაში, მე ბოდიში, სახელიც არ მიკითხავს.

ვუთხარი, რაც მქვია, მაგრამ მომეჩვენა, რომ „ბიძია“, თითქოსდა ხაზგასმით, გაპიანურებით, თუ ერთგვარი ირონიითაც წარმოთქვა.

ისევ პაუზა.

– ხომ არ გცივა?

– ცოტა, ფეხის თითებზე.

საწოლთან ჩამოვუჯექი. მარჯვენა (ჯანმრთელი) ფეხი მუხლზე დავიდე. მარცხენა (ტკეჩიანი) საწოლის ნაპირისაკენ

გამოვაჩოჩე. ხელისგულებში მოვიმწყვდიე მისი უსაყვარლესი და უაზლესი, ჩიტის ბარტყივით თბილი და მოძრავი ფეხის თითები.

კარგა ხანს მეჭირა. ხან თითებით ვჯღვლემდი, ხან ხელის-გულებს იქეთ-აქეთ ვუსვამდი, როგორც იასამნის ღეროს ვატრიალებთ ხოლმე მისი ღვთაებრივი სიმრგვალის ხილვა რომ მოგვესურვება. მერე წვივებს მუხლებისკენ ავყევი და ტუჩით დავეკონე მუხლისზემოთ იქ, სადაც ცივი და უცხო ტკეჩის თავი მთავრდებოდა.

— რას შვრებით, ექთანი შემოვა.

წამოვხტი. კარი შიგნიდან არ იკეტება.

ბუდეში გასაღები არ არის. პატარა რკინის ურდულიდან ძილაკი გამომძვრალია.

დერეფანში ვიფათურე, როგორც იქნა მსხვილი ლურსმანი ვიპოვე და გავუყარე კარებს. ... თუ დაკვირებიხართ ზამთარში მამლები, თითქოსდა, სხვა ხმაზე, უფრო მოგუდულად და ზარმაცად ჰყივიან, ვიდრე გაზაფხულზე.

თავი მიდევს ლიას თბილ მუცელზე, ცოტა ჭიპისქვემოთ. ხელს ნაზად ვუსვამ უკვე ტკეჩაყრილ მუხლისთავზე და ბარძაყებზე.

ფანჯარაში მქრქალად იხედება ლურჯ-თეთრი ციაგი, ულამაზესი ზამთრის დილა.

# პეტრე

ჩემთვისო. ერთი რამ გაუგებარიაო, შენ მეუბნები, როგორც ჩანს, რაღაცნაირი ცხვრული საზოგადოება იყავით, თორემ როგორ მოითმინეთ სამოცდაათი წელი სოციალისტური წყობილებაო. თითო-ოროლა კაცის გარდა ყველას წილი გიდევს ხალხის დაბეჩავება-დაბრიყვებაშიო. რანაირად დაისვით მთელმა თაობებმა, ამ სერიოზულმა ხალხმა, კისერზე გაათახსირებული კომუნისტებიო.

ერთი შეხედვით, შეიძლება, ასეც ჩანს, მაგრამ არ იცი, შვილო, შენ, რა ქვეყანაში, რა დროში ვცხოვრობდით. აქედან, დღევანდელი დღიდან იჭვრიტები წარსულში და გიკვირს. ამ დღეების კაცი მართლაც ვერ წარმოიდგენს, დილით მეზობელთან ხუმრობით გეთქვა, რად უნდა ამხელა ულვაშები ბუდიონისო და საღამოს კუტუზკაში ამოგეყო თავი.

ჩვენ ხომ მოქალაქეები არ ვიყავით, ჩვენ ხომ პიროვნებებად არ გვთვლიდნენ.

ათეული წლების მიღმა რომ არ გატარო, აგერ, ა, გუშინდელ მაგალითებს დაგისახელებ.

შენც უნდა გახსოვდეს. პატარა მყავდი მაშინ, მაგრამ არ შეიძლებოდა ყური არ მოგეკრა:

აგარაკი, მთელი სამოცი წლის მანძილზე, სსრკ-ში ბურჟუაზიულ გადმონაშთად ითვლებოდა. ამ ათი წლის წინათ ნავსი გატეხეს და ცხვარიჭამიაში მისცეს თბილისელებს საგარაკო მიწები.

გაიხარა ხალხმა.

ცოტა შიშით და უნდობლობით, მაგრამ მაინც გაიკეთეს პატარ-პატარა საგარაკო სახლები. ადამიანური ცხოვრება იწყებაო, იფიქრეს.

მე, ვიცოდი, ვისთანაც მქონდა საქმე და არ ავყევი ამ აჟიოტაჟს.

არ შევყავი თავი ჯანჯალში.

იცი? რა ოინი უწყვეს მოაგარაკეებს?

ცეკამ დადგენილება გამოიტანა „კერძომესაკუთრული ინსტინქტების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ", მოუსვეს ხელი და დღისით-მზისით უნამუსოდ, აგარაკები წაართვეს, პირდაპირ გარეთ გამოყარეს და დაუმუქრნენ: ხმა არ ამოიღოთ, თორემ ისედაც გაძეძგილ ციხეებში როგორმე თქვენს ადგილსაც მოვძებნითო.

„მთლად გაუკვირდათ თავს, აგარაკებშიც კი მოინდომეს რიგითმა საბჭოთა მოქალაქეებმაო", იცინოდნენ გულში წყნეთის სამთავრობო აგარაკების ჟანგბადით ფილტვებგაჯერებული სახელმწიფოს თავნი.

დაიჯერებ ახლა შენ, რომ საკუთარი სააგარაკე სახლის წართმევისთვის ჩივილისაც კი ვერსად იჩივლებდი?

რომ სასამართლო შენს საჩივარს არ მიიღებდა და თუ ძალიან გაჯიუტდებოდი, სამსახურიდანაც გამოგაპანღურებდნენ?

იცი შენ, რას ჰქვია არაშრომითი შემოსავალი?

გაგიგია ხელისუფლების ამ ისტორიული დადგენილების შესახებ?

თავისუფალ დღეს კერძო საქმეზე ორი კაპიკის შოვნას თუ გადაწყვეტავდი, შიშით უნდა გაზერილიყავი, არ მომისწრონ და ტყავი არ გამაძრონო. მაღაზიაში ცოტა ძვირიანი ნივთის ყიდვას თუ გადაწყვეტდი, ცნობა უნდა წარგედგინა, საიდან გქონდა ფული?

წარმოგიდგენია? ადამიანის უფრო დიდი დამცირება?

გაგიგონია? მოსვლია ასეთი რამ თავში რომელიმე ფორმაციის დროს, რომელიმე ქვეყანაში, რომელიმე მონათმფლობელს?

ჩვენ პატიმრები ვიყავით და საბუთებში ჩვენ-ჩვენი ნომერი გვეწერა. აგერ, ა, გუშინ იყო ალკოჰოლის წინააღმდეგ ბრძოლა რომ გააჩაღეს და სახლში ეჩრებოდნენ, აწიოკებდნენ, თუ ვინმე შინ მორჩენილი ხილით, ან შაქრით არყის გამოხდას დააპირებდა.

რატომ ითმენდითო, შენ ამბობ, ვინ გითხრა რომ ვითმენდით?

მოთმენის შედეგი იყო ოცდაერთი, ოცდაოთხი, ოცდაჩვიდმეტი,

ორმოცდათექვმეტი, სამოცდათვრამეტი, ოთხმოცდაცხრა, ოთხმოცდათერთმეტი?

შენ რომ ახლა მიტინგზე აყვირდები, მერე სახლში წახვალ და მშვიდად დაიძინებ, დიდ გაბედულებად მიგაჩნია.

გაბედვა იმას ერქვა, რაც იმ წლებში გაბედეს ბიჭებმა, ამ წუთას რომ ჩამოგითვალე.

ყველამ ყველაფერი კარგად იცოდა. კომუნისტებისადმი ბრმად მინდობილი არასოდეს ყოფილა ქართველი კაცი.

თუ მთლად ხინდისგარეცხილი არ იყო, თუ რეჟიმის მათრახს არ ატკაცუნებდა და თავისი ერის დამთრგუნველის ეპოლეტები არ ეკეთა დამპყრობელი რუსის მიერ ბოძებული, პროტესტს რაღაც ფორმით მაინც გამოხატავდა.

გმირად, მოგეხსენება, ყველა არ იბადება და ის პატარა პროტესტიც საქმე იყო მაშინ.

რა? მაგალითად? რა და მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიაში შესვლის გულისათვის საეჭვოთა სიაში მოხვდებოდი, ბევრი შედიოდა და სანთელს ანთებდა.

ზოგი საპირველმაისო და საშვიდნოემბრო პარადებზე არ გამოვიდოდა. წელს შეიხვევდა და შინ დარჩებოდა, თუმცა მეორე დღეს ამისთვის ახსნა-განმარტებით ბარათს დააწერინებდნენ.

ზოგი კრებებს არ ესწრებოდა და თუ ძალად დაასწრებდნენ, პირმოკუმული იჯდა, არც ტაშს უკრავდა და სიტყვითაც არასოდეს გამოდიოდა.

მას შემდეგ, რაც ყალბ არჩევნებში მონაწილეობის მიუღებლობისათვის აღარ იჭერდნენ, თავს არ იმცირებდა და საარჩევნო ურნასთან არ მიდიოდა ბიულეტენით ხელში.

საღამოს ჩამოივლიდნენ ოლქის აქტივისტები და ჩამოხიკავდნენ ბარათებს.

ზოგიერთი პროტესტს იმით გამოხატავდა, რომ სპორტის სასახლეში რომელიმე დიდი სტუმრის პატივსაცემ აღლუმზე ჰიმნს რომ გვამღერებდნენ, პირს აღებდა და ხმას არ უშვებდა.

რადიოს რომ არ უსმენდი, ესეც პროტესტი იყო. დაბეჯითებით

შემიძლია ვთქვა, ჩემს თაობაში ასიდან სამი კაცის გარდა არ ჩართავდა რადიოს. მარტო ფეხბურთის დროს თუ მივუჯდებოდით.

ასე რომ, ვინაც როგორ შეეძლო ისე გამოხატავდა პროტესტს. უკმაყოფილო კი თითქმის ყველა იყო. ამ „თითქმისში" უმაღლეს პარტიულ ბოსებს არ ვგულისხმობ. თუმცა ზოგი მათგანიც კი მოდიოდა ჭკუაზე, რაც მაღალ სკამიდან ჩამოაზტუნებდნენ და ზოგჯერ კალიმას ხანაზებსაც კი დაათვალიერებინებდნენ.

ქუთაისში ერთი მეზობელი მყავდა – პეტრე ჩიბურდანიძე. მაღალი, სქელულვაშა (ულვაშები ზღვის ბალახივით ურჩად და უხვად ეყარა), გრძელხელება, ლამაზცხვირა კაცი იყო. მარტოხელა გახლდათ, მეთერმეტე კლასში ვიყავი რომ გარდაიცვალა. დამთვრალიყო და მატარებელი დასჯახებოდა წყალტუბოს გადასასვევთან.

რაზე გავიხსენე ახლა პეტრე? ჰო, არ ვიცი რა მოხელე იყო, დილით წავიდოდა და საღამოს ბრუნდებოდა. რაღაც უბრალო საქმეზე იყო. შავი, მკლავზე აკეცილი სატინის ხალათი და გალიფე შარვალი ეცვა.

ორმოცსგადაშორებული იყო. მშობლები ადრე დახოცვოდა. ცოლი არ ეთხოვა და ყველა ამ თემით იწყებდა მასთან ლაპარაკს.

– არ შვები ხომ, პეტრეია სიკეთეს, აღარ დაადგა შენს დაოჯახებას საშველი?

– რავა დეიბერე, ბიჭო თავი, შენ რა გითხრა მე. გლახა მაინც იყო, რა ღმერთი გაგიწყრა.

– კიდო უცოლოთ ხარ, მეტრე? არ გრცხვენია, კი˘მარა?

პეტრეც ხერიოზულად უღიმოდა, ისმენდა მეზობლების საყვედურებს და დაამშვიდებდა:

– კი, კი, მართალი ხარ შენე. მიმრჩა ეს საქმე. ამ შემოდგომაზე უნდა ვქნა რაღაცა. შემოდგომას არ გადავაცილებ.

ერთხელ მთვრალი მოვიდა. საღამო იყო. ჭიშკარსიან მდგარს მომიახლოვდა.

– რამხელა გახდი, ბიჭო რეზოია, გახსოვს ბებიაშენი წაქიანი ჭიქით რომ დაგხდევდა ქუჩაში?

წაქით გაზრდილი შენ ხარ-მეთქი, ვიწყინე.

რავა, წაქი, გლახა კი არ არი, ხადაა თვარა სიამოვნებით დავლევ პახმელიაზეო. შემოდი ჩემთან, თუ გცალია, ვილაპარაკოთ ცოტაო.

შევედით. დეკემბერი იყო. თუნუქის ღუმელი დაანთო. ვიჯექით ჩუმად, მაინცდამაინც ვერ ავაწყვეთ მუსაიფი. შიგა და შიგ ჩაეძინებოდა და თავს ჩამოკიდებდა.

რატომ დარჩი უცოლოდ, ცოლს რატომ არ თხოულობ, პეტრე-მეთქი. ისე, სიტყვის მახალად ვკითხე. თორემ ეს კითხვა ბევრჯერ მქონდა მეზობლებისაგან მოსმენილი და პეტრეს „დამაიმედებელი" პასუხიც.

შემომაჩერდა. თვალები მოჭუტა, ფანჯარასაც კი გახედა, ხომ არავინ გვისმენსო და თითქოს საიდუმლოს მანდობსო, იდუმალი ჩურჩულით მითხრა:

– რათ მინდა, რეზოია, ცოლი. არ იცი, ჯერ შენ, სად გძინავს და ვის ქვეყანაში ხარ. ბოვშვს გოვუჩენ და მოქალაქეს გოვუზრდი ამგენს? არ შეგჭამოს ტარაკანამ...

მაშინ ამ სიტყვებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. თურმე რა „მეამბოხე" მჯდარა პეტრეში.

ხედავ, რას ჰქვია ილაჯგაწყვეტილი კაცი?

## ძიგლი, ძიგლი, მამალო!

გაწვალდა ოპაოპას ხელისუფლება.

ქვემოდან, საოპოზიციო მღვიმეებიდან, რა მშვენივრად ჩანდა ბუნკერში ადრედამალე ჩასარეკი მთავრობის შეცდომები.

ხალხი რომ ნერვებზე მოშალოს, განგებ ქმნის კანონიერი

ხელისუფლება „პრობლემებს“, თორემ როგორც წვიმს, ისე არა ჰქუხს, კეთილი ინებოს; აგენტებზე ლაპარაკს მოეშვას, ტვინს წიხლი დააჭიროს, ცოტა ხელი გაანძრიოს და ეშველება ქვეყანასო.

ერთხანს უმწირა ოპოზიციამ კუნძულ ოპაოპას მშვენიერ პროსპექტზე ერის მოღალატეების წინააღმდეგ გამართულ მიტინგებს, რომ იტყვიან, აცალა კანონიერ ხელისუფლებას. მერედა მერე, მთავრობის სასახლის წინ გამართულ გამარჯვების აღლუმებზე აღტკინებულ დედაკაცთა ბრაციბრუცი არ მოეწონა (ილეთების ესთეტიკური დონე დაბალიაო), მიაყენა ნანათხოვარი ტანკები და კუდით ქვა ასროლინა ხალხის ხიყვარულით გაბრუებულ ხელისუფლებას.

კუნძულ ჩაჩანიდომდე ძლივს მიიტანა სული განდევნილმა კანონიერმა ხელისუფლებამ. სული რომ მოითქვა, საქვეყნოდ გამოაცხადა: სისხლისღვრას მოვერიდე, თორემ რა მჭირდა გასაქცევი, ერის ოთხმოცდაშვიდი პროცენტის მხარდაჭერით გალაღებულს ერთი მუჭა ოპოზიცია ვერ მომერეოდა, მაგრამ ძმათა სისხლისღვრას მოვერიდე და დროებით სტუმართმოყვარე ჩაჩანიდოს ხიზანი მქვიაო.

ნერვებსუსტმა დევნილმა ხელისუფლებამ დამალა, რომ ბარე თექვსმეტი დღე გმირულად უმკლავდებოდა შემოხულ მტერს და ბუნკერიდან ოპტიკური (მოხვეული) ბინოკლით რომ უმზერდა რუსთაველს: უკვირდა, ხად შეძვრა ჩემი ამომრჩეველი ხალხი, ოთხმოცდაშვიდიდან შვიდი პროცენტი მაინც რად არ ექომაგება თავის საყვარელ მთავრობასო.

სისხლით მომხვდურებმაც და დამხვდურებმაც უხვად რწყეს ბრძოლის ველი და შთამომავლობას ისეთი სამარცხვინო სიუჟეტი დაუტოვეს ისტორიის ფურცლებზე დასაგვირისტებლად, რომ ათასი წელიც რომ გავიდეს, ამ გულისამრევი სპექტაკლის მონაწილენი თავს ვერასოდეს გაიმართლებენ.

გაიქცა ძველი; მოვიდა ახალი და, როგორც პოეტი იტყვის: გულს იმედი ჩაგვესახა.

ფული არა გაქვთ? მაგაზე ადვილი რა არის, დავბეჭდავთ ინგლისის ერთ-ერთ ფულსტამბაშიო.

სამაჩაბლოს გართმევენ გადამთიელნი? არ დაღონდეთ, სამშვიდობო ძალებს შევიყვანთ და დაგვიბრუნებენო.

ფქვილი არ გყოფნით? თქვე კაი ხალხო, მაგან დაგაღონათ? დახმარებას შემოვიტანთ, რად გვინდა, აბა, ეს ჩვენი მსოფლიო სახელი და გამავლობაო.

რუსი აფხაზეთს იპყრობს? ეგ საქმე ჩვენ მოგვანდეთ, თავის დროზე ელცინი ჩვენი მხარდაჭერითაც გაპრეზიდენტდა, ვთხოვთ, ხელი აიღოს აფხაზეთის მიტაცებაზე და ელცინიც ხელს აიღებსო.

გავიდა ხანი.

ოპაოპას ახალმა ხელისუფლებამ ფული ვერ დაბეჭდა. ფულის მაგივრად კუპონი შესთავაზა ხალხს. კუპონი ცუდი როდია, მაგრამ ბაზარში არ გადის. სახელმწიფო მაღაზიებში კუპონით ყველაფრის შეძენა შეიძლება, მაგრამ სახელმწიფო მაღაზიებში კუპონით ვერაფერს შეიძენ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სახელმწიფო მაღაზიებში შესაძენი კარგა ხანია არაფერია.

ოპაოპას ახალმა ხელისუფლებამ სამაჩაბლოში სამშვიდობო ძალები შეიყვანა. სამშვიდობო ძალა, იციცხლეთ, კარგი რამ იყოს, მაგრამ სამშვიდობო ძალების გამოჩენის შემდეგ ოპაოპელებს სამაჩაბლოში ფეხსაც არ ადგმევინებენ. სამაგიეროდ, თუ სადმე ოსი ცხოვრობდა, როკის გვირაბში გამოძვრა და სამაჩაბლოში დამკვიდრდა, აქაოდა „გაერო“ იმას როდი ანგარიშობს, ისტორიულად ვისი იყო მიწა. „გაერო“ პირველ რიგში კითხულობს — ახლა ვისიაო. დავსახლდებით სამაჩაბლოში ხიზნები და მერე არკვიონ დოყლაპია ოპაოპელებმა, სად იწყება ოსეთი და სად მთავრდება ოპაოპაო.

მსოფლიო სახელის მქონე პოლიტიკოსების აღზრდისათვის ოპაოპას ბეიკერმა და გენშერმა მშვენიერი სადღეგრძელოები უთხრეს, მაგრამ დახმარებით იმაზე მეტი ხორბალი ვერ მისცეს, რაც ხალხთა საპყრობილედან ახალგამოშვებული სხვა ხალხე-

ბისათვის იყო განკუთვნილი. მოწყალებაც მხოლოდ იმიტომ გაიღეს, თავისუფლებისაგან დაბრმავებულ და შიმშილისაგან გაბრუებულ ყოფილ საბჭოთა ადამიანებს მაძღარი ევროპელნი უნებურად არ შემოჰქმოდათ.

ვერც აფხაზეთი დაუბრუნა ოპაოპას მმართველობამ ოპაოპელებს. რაც უფრო ყელგამოწვდით თხოვდნენ ელცინს, დასთმე აფხაზეთიო, რუსეთის იმპერატორი უფრო მეტად უმატებდა სოხუმის დაბომბვას. ოპაოპელთა სასოწარკვეთილებით აღსავსე ნოტა-გაფრთხილებებს იმპერატორი სადისტური ღიმილით და თაგვდაჭერილი კატის ცინიზმით პასუხობდა.

ამას კიდევ გაუძლებდა კაცი, მაგრამ სხვა მხრივაც გაწვალდა ოპაოპას ხელისუფლება.

კუნძულ ჩაჩანიდოდან დროდადრო „კანონიერნი“ ჩამოდიოდნენ და აწ უკვე დამწვარ, მაგრამ მათს კანონიერ სკამებს ითხოვდნენ.

რა გინდათო, ეკითხებოდნენ ახალი მასპინძლები.

ჩვენ კანონიერი ხელისუფლება ვართო, დაგვიბრუნეთ ჩვენი სკამები და კაბინეტ-კონდიციონერებიო, გაჰყვიროდნენ ყოფილნი.

ჩვენც ხომ კანონიერნი ვართო, სასოწარკვეთილად კითხულობდნენ მეორედ მოსულნი.

ჩვენ თქვენზე ადრე ვიყავით კანონიერნიო, თავისას არ იშლიდნენ ჩაჩანიდოელნი.

მერეო?

რა მერე, ძალით გაგვრეკეთო.

რაკი თქვენი გარეკვა შევძელით, ჩანს, არ ყოფილხართ მყარად მდგარნიო.

მაგას ისტორია გაარკვევსო.

გაარკვიოს, ვინ უშლისო.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ეს მშვიდობიანად დაწყებული საუბრები ჩაჩანიდოელთა ცემით მთავრდებოდა.

გამრეკ ხელისუფლებას, ცოდვას ვერ დავიდებ, გარეკილთა ცემა დიდად არ სიამოვნებდა, მაგრამ, სხვა თუ არაფერი, [illegible]

ნიერი ხელისუფლების სავალალო გადენვას მათთვის მკაცრი გაკვეთილი მიეცა:

ძალაუფლება თუ არ დაიცავი, წაგართმევენ და უხვეწარს სახვეწრად გაგიხდიან.

ჩაჩანიდოელნი ჯიუტნი აღმოჩნდნენ.

ისინი ქვას და გუნდას როდი ისროდნენ, ჩამოდიოდნენ ოპაოპაში და გაიძახოდნენ: დაგვითმეთ წართმეული ხელისუფლება, თორემ გადატრიალებით წაგართმევთო.

ვისაც გადატრიალება უნდა, საკუთარ საწოლში გადატრიალდესო, მწარედ ხუმრობდნენ ახალყოილნი, მაგრამ გარეკვანაგემართ სულაც არ ეხუმრებოდათ.

ცემდნენ.

ნაცემ-ნაგვემნი დგებოდნენ და, გადაგატრიალებთო, მშვიდად იმუქრებოდნენ.

ისევ სცემდნენ.

ისევ დგებოდნენ ნაცემნი და გადატრიალებას უქადდნენ აწ უკვე კანონიერ ხელისუფლებაზე უფრო კანონიერ (97%) ხელისუფლებას.

გაწვალდნენ ოპაოპას თავნი.

რა ვქნათ, რა წყალს ვეცეთო.

თუ რამე არ ვიღონეთ, გარეკილნი თავს არ დაგვანებებენო.

რა ღონეს და რეზინკეტებს არ მიმართეს, მაგრამ ამაოდ.

და ბოლოს, არც თუ მოულოდნელად, ახალი კანონიერი ხელისუფლება უკანონოდ გადადგა.

აღარ შეგვიძლია, შეგვჭამეს პირდაპირ, ისეთი არც შავი ვოლგები გვინდა და არც სამინისტრო სავარძლებიო.

გაწვალებულ-გადამდგარი ხელისუფლების ადგილას მოვიდა ორი წლის წინათ კუნძულ ჩაჩანიდოზე გარეკილი, ლოდინით დაღლილი, მაგრამ შედარებით მოსვენებულ-მოღონიერებული ხელისუფლება.

გადამდგრებმა პირველი ხუთი ღამე მშვიდად, ნეტარებით გაატარეს.

აღარავინ თხოვდათ პასუხს ფულის დაუბეჭდავიბისაითვის.

აღარ აგებდნენ პასუხს, სამაჩაბლოში ოპაოპელებს რომ აღარ უშვებდნენ გალიფრებული ოხი ხიზნები.

აღარ იმტვრევდნენ თავს ფქვილის მარაგის შევსებაზე და ყბის ძარღვები არ უთამაშებდათ, დახმარებით დატვირთულ გემებს ზღვაში რომ შეაგვიანდებოდათ.

წყენით როგორ არ სწყინდათ, ცხელდაბომბილ სოხუმს რომ უცქეროდნენ ტელევიზორში, მაგრამ გულის სიღრმეში, სადღაც. უხაროდათ, რომ თვითონ არ იყვნენ უწაუწად გახაფრენი და ხელი არ ჰქონდათ სათითაოდ ჩამოსართმევი დაჭრილ-გაწამებული, ძველი და ახალი ხელისუფლების მიერ ლამის განწირული მეომრებისათვის.

ცოტა ხანს იყუჩეს, სული მოითქვეს და ორიოდე თვეში დაიწყეს ყველაზე ადვილი და სარფიანი საქმე – კანონიერი ხელისუფლების ჩამოგდებისათვის ზრუნვა...

ჯერ გაუბედავად, ნარმაცად, მერე მათთვის ჩვეული ენერგიით გაშალეს სამიტინგო მოძრაობა.

გამოსცეს ოპოზიციური გაზეთები „არადანი მე“, „დემოკრატიის სამრეკლო“, „ეხეც-ივერია“...

რამდენიმე თვეში ისე გაძლიერდნენ, რომ მთავრობის სასახლის მოედანზე გადაინაცვლეს და...

დაიწყო ახალი, რევოლუციური სპორტმეჯიბრი – ავტობუსების გადაქაჩვა.

წინა კვირას ოთხშაბათს, კუნძულ ოპაოპას განაპირა სოფელ იმეიმეში, შუაცეცხლმინავლულ, ისლით დახურულ სამზად სახლში ორი კაცის მუსაიფი ერთვოდა, შეცრეცილ კვამლთან ერთად, გამჭვარტლულ ზეცას.

ბინდდებოდა. ნახესხები გავლილი იყო, მაგრამ ყინვისაგან შეშინებულ გაზაფხულს წელი ვერ წამოედგა. დილით და საღამოობით ცივი ქარი თოვლის ფანტელებივით დააფარფატებდა მოტყუებულ ტყემლის ყვავილებს.

მოხუცები ხამფეხა კედლაზე ზურგშექცევით იხხდნენ.

ერთს იმერული ფაფანაკი დაკეცილად ედო მუხლზე, მეორეს გამოხუნებული, ცალყურმიჭრილი ყაბალახი ბეჭზე გარდიგარდმო ეფინა.

– რავა იტყვი, რავა ვქნათ ახლა ჩვენე.

ყაბალახიანმა ღადარს იმ ხმით ჩაულაპარაკა, რომ მხოლოდ გვერდით მჯდომს გაეგონა.

– რაის?

– ამ ჩვენი საქმის, ვუყუროთ, აბა, ასთე ჩვენს დაფსებას?

– ნუ უყურებ. გადაახტი, აბა, შენს დამჭკნარ ყვერებს, თუ შეგიძლია. ჰე, მიდი... შეძლებ? ვერ გადაახტები. მორჩა და გათავდა.

– ნუ მეარაკები, თუ კაცი ხარ, მიდგომ-მოდგომა უნდა, თვალები უნდა მევისრისოთ. თუ უხაშველოა, გამევიწეროთ საზღვარგარეთიდან. ვიქირავოთ, ან ვინათხოვროთ, ან რამე ჯანდაბა ვქნათ.

– რა გამევიწეროთ, რა ვინათხოვროთ, იმანო?

– რაი და წეხიერი მთავრობა.

– ნუ გლახაობ, თუ კაცი ხარ. მაგნაირმა უპრაგონო ღადავმა დაგვაქცია და დაგვანელა ჩვენე. ხადაა გამოსაწერი მთავრობა. ვისა აქვს ახი თავი. ვინ მოკიდებს ხელს შენს ჩაოხრებულ საქმეს.

– ვიჯდეთ აპა ასე და ვიხვნეშოთ? იმის ტურად გადამაქცია, რას იზამდა ამფერ დროს ბაბუაჩემი...

ჯარგვალში ხიჩუმე ჩამოწვა.

ფაფანაკიანმა, ჩანს, არ უწყოდა რას იზამდა ასეთ დროს მისი თანამეცეცხლურის ცხონებული ბაბუა.

კარდალაზე შეხაზელადგამზადებული ღომი პარტყალებდა.

მამლის პირველ ყივილამდე წინ გრძელი და ცივი ღამე იდო.

# ბალადა „ჭონქა“

1993 წლის ოცდასამ თებერვალს, დილის ცხრა საათზე, საყოველთაოდ ცნობილი მიზეზის გამო მხუზუქად დაცხრილული მწერალთა კავშირის შენობის წინ ხუთი პოეტი შეიკრიბა.

ხუთივე ცნობილი და, რომ იტყვიან, ნავალი პოეტები გახლავან: ტორონჯაძე, ეგუტია, კვალაძე, ფანდურაშვილი და ჭინჭარაული. ორი მათგანი მწერალთა ყოველწლიური პრემიის ლაურეატია. ერთი შიო მღვიმელის პრემიაზე იყო წარდგენილი და, თუ ვერ მიიღო, მხოლოდ პირად მტრებს და შურს აბრალებს.

ასე თუ ისე, ჩვენისთანა პატარა ერისთვის ხუთი ცნობილი (ცოცხალი) პოეტი ცოტა არ არის, ძვირფასო მკითხველო.

ათი რომ შესრულდა, პოეტმა ეგუტიამ კიბის თავზე მოთავსებული საყარაულო ჯიხურის სარკმელში მორიგე ქალს ტელეფონის აპარატი გამოადგმევინა და ავტობუსების საქალაქო გაერთიანებაში დარეკა.

– ალო, ავტობუსებია?

მეშვიდე ზარზე სასმოსიმებსალაგალაგმოდებულმა ხმამ უპასუხა: დიახ, ბატონო, ავტობუსების ყოფილი გაერთიანების, ამჟამად კომერციული ფირმა „გარეკეს“ დისპეტჩერი გისმენთო.

– რას გვიშვრებით, მეგობარო, გვღუპავთ? თქვენგან ოთხი დღის წინ „რაფი“ გამოვიწერეთ. მე თვითონ რომ არ ვყოფილიყავი, ასე გულდაჯერებით არ გეტყოდით, გამოვიწერეთ-მეთქი. ქვითარი აგერ მაქვს. ცხრაზე ავტობუსი უნდა მოსულიყო. ათია ახლა.

– ხვალ რომ იყოს, ბატონო? ვიცით ეს ამბავი, მაგრამ, ცოტა არ იყოს, ბენზინზე შეგვეშალა ხელი.

ეგუტიამ გაიფიქრა, ასეთი ხმა მხოლოდ ყელში ბატისჭონამოსხმულ მამაკაცებს აქვთო.

– რას ჰქვია ხვალ, მეგობარო, ჩვენ სათამაშოდ და

საექსკურსიოდ კი არ მივდივართ შარვანაში (თბილისიდან ორმოც კილომეტრში მშვენიერი, მაგრამ ღარიბი სოფელია, ავტორი), შეხვედრა გვაქვს, პოეზიის საღამო უნდა ჩავატაროთ. ხალხი მოუთმენლად გველის. იცით თქვენ, რას ნიშნავს ჩვენი ჩაუსვლელობა დღეს? ახლა, მე, აქედან მუქარას არ დაგიწყებთ, მაგრამ თქვენი კორპორაციაა თუ რაღაცა, შეიძლება გადაყვეს ამ ამბავს. ჩვენ რომ არაფერი ვთქვათ, შარვანელებს ვინ აუკრავს პირს. აბა, თქვენი თავი წარმოიდგინეთ, პოეტებს ელოდებოდეთ და არ ჩამოვიდნენ. რა ჭკუაზე დადგებოდით, როგორ ხასიათზე იქნებოდით...

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, თერთმეტზე პოეტები ავტობუსში ისხდნენ.

დაღლილი, გაწამებული სახეები ჰქონდათ, მაგრამ გულის სიღრმეში კმაყოფილებას გრძნობდნენ, რომ მკითხველების გაწბილებამ არ მოუწიათ, რომ სოფელში, ხულ რაღაც, ერთ საათში იქნებოდნენ და პოეზიის სურნელს ადგილზე აზიარებდნენ შეხვედრებსდანატრულ შარვანელებს.

ტორონჯაძემ: ლექსების წამოღება დამვიწყნია და, თუ არ გეწყინებათ, ჩემს სახლთან გავიაროთ, ერთ წუთს შევირბენ, ლექსების ბოლო წიგნს წამოვიღებო.

პოეტები უკმაყოფილოდ შეიშმუშნენ, მაგრამ ტორონჯაძემ ისე დამაჯერებლად დაასაბუთა, ჩემს ლექსებს ზეპირად ვერ ვსწავლობ და შევრცხვები მილეთის ხალხშიო, რომ უარი ვეღარ უთხრეს.

რაფმა არსენა ოძელაშვილის ძეგლს რომ ჩაუქროლა, თორმეტს ათი წუთი აკლდა.

წვიმდა.

ზედაზნის ქედსღა შემორჩენოდა ძველი, სითბოსგაჯიუტებული თოვლყინული.

— გაკვირვებული ვარ, „ქონქას თავგადასავალს“ რომ ვკითხულობ, უფრო მეტ ტაშს ვღებულობ. „ქონქა“ უფრო მოსწონთ რატომღაც. უკეთესები რავა არ მაქ,-ა, თუ გინდა,

„მთვარის გადმოფრენა“ ავიღოთ, ან „ჩემი ოდე“. რას გეიგონებს კაცი უკეთესს. თუ გინდა, რიტმის თვალსაზრისით. მარა ე „ჭონქა“ უფრო მოხწონთ. ისე მაქვს ჩემის გასავარჯიშებლად დაწერილი, მეტი ბალადა არც დამიწერია. „ჭონქა“ წავიკითხო, ვითომ, დღეს? რავა იტყვით თქვენ? თუ „თოვლის საზლის“ ციკლიდან წავიკითხო, რომელიმე, ვთქვათ, „სტვირი“, მაგალითად? — ალალად, გულუბრყვილოდ, მაგრამ სხაპასხუპით ლაპარაკობდა პოეტი კვალაძე.

— „ჭონქა“ წაიკითხე, „ჭონქა“ აჯობებს — გრძელი პაუზის შემდეგ მშვიდად მისცა დასტური ჭინჭარაულმა. თუმცა მას „ჭონქა“ არასოდეს წაეკითხა, არც მოესმინა და, რაც მთავარია, „თოვლის საზლის“ ციკლზე წარმოდგენაც არ ჰქონდა.

პოეტებს იმდენად უყვართ ერთმანეთი, რომ ე მანდ ერთმანეთზე გული არ გაგვიტყდესო და ერთმანეთის ლექსებს არ კითხულობენ.

— ამასწინათ — დაიწყო ფანდურაშვილმა, — ჩუღარაულის ქუჩაზე წიგნის მაღაზიაში შევედი. ჩემი წიგნი მინდოდა მეყიდა, ეს ბოლო წიგნი — „მწყერები“. ვერ მივუსწარი. არ ვიყავი თბილისში და უცებ გაიყიდა. თქვენც ვერ მოგეცით. სხვაც ბევრი მოვიმდურე. ვიყიდი, მივარდნილ ქუჩაზეა მაღაზია და, ეგებ, შემორჩათ ერთი-ორი ცალი-მეთქი. შევედი, გამყიდველი, ასე ჩემი ხნის ქალი წინდას ქსოვს, ფანდურაშვილის ლექსები ხომ არ დაგრჩათ-მეთქი. თვალი ჩამიკრა, კიო, ერთი ცალი შევინახე ჩემთვის, მაგრამ დაგითმობთო. ორმოცი მანეთი უნდაო. დახლის ქვემოდან გამოიღო. მიჭირავს ხელში, რავა მივცე ჩემს ხუთმანეთიან წიგნში ორმოცი. ღმერთი არ არის? პორტრეტიანი წიგნია „მწყერები“, გეცოდინებათ. გადავმალე ჩემი ხურათი მოვიზომე სახესთან და ვეუბნები გამყიდველს, ამ პოეტს მამსგავსებენ და შემხედე ერთი, თუ და ხარ, მართლა ვგავარ ფანდურაშვილს თუ არა-მეთქი. ჯერ პორტრეტს დააცქერდა, მერე მე ამკრა მზერა და ცხვირაბზუებით გაიხედა განზე. გავუმეორე შეკითხვა: ცოტათი მაინც თუ ჩამოვგავარ ამ

ფოტოს-მეთქი. გამოგლიჯა წიგნი ხელიდან, შეაგდო დახლში და ჩამიჩხავლა: — წადი, კაცო, საქმე ნახე! შენ წიგნის მყიდველს არ გავხარ! მე სამასხაროდ არ მცალია. ფანდურაშვილს თუ არ შეადარე მაგ გამხმარი თავი, არ გაჩერდე, შენ გგავს აპა, როგორც იტყვი, შენსას უგავს ცხვირპირი და გავლა-გამოვლაიც!

რა მექნა. გალახულივით გამევიძურწე მაღაზიიდან. მეგონა, ჩემს თავს მაინც ვგავდი.

ფანდურაშვილმა რომ დაამთავრა, თვითონვე გულიანად გაიცინა, იმ იმედით, სხვებიც ამყვებიანო, მაგრამ ოთხი პოეტიდან სამი არ უსმენდა (ფიქრებმა გაიტაცეს), ხოლო ვინც უსმენდა (ჭინჭარაული), ფანდურაშვილის ნაამბობში სასაცილო ვერაფერი აღმოაჩინა. ჭინჭარაულს იუმორის გრძნობა მოზღაგვებული ჰქონდა.

სოფელ შარვანას შესასვლელთან, ბოგირზე, თუშურქუდიანი, გრძელფეხება კაცი იდგა. ხელში კომბალი კი არა, უბრალო წკირიც არ ეჭირა.

პოეტებმა რაფი გააჩერებინეს. ტორონჯაძემ თავი გადაჰყო და ჰკითხა — სოფლის გამგებელი სად ზის, ხომ არ იციო.

არაო, განზე გაიხედა დამხვდურმა.

აქაური არ ბრძანდებითო? ტორონჯაძეს ეგუტია წაეხმარა.

რა, არა ვგევარ აქაურსაო? — ხუმრობის გუნებაზე დადგა თუშურქუდიანი, — აქაური ვარ, მა ტრაპიზონიდან ხომ არ ვიქნებიო.

— აბა, თუ აქაური ხარ, გამგეობის შენობა, სოფლის ცენტრი, კლუბი როგორ არ იცი, შე კაი კაცოვო, ტორონჯაძემ.

მა რა ვიცი, თუ ეგეც არ ვიცი, თქვენა ჩემთვის ეგ არ გიკითხუვთო, — თავი იმართლა მასპინძელმა, მეც იქით მოვდივარ და ბარემამ გასწავლითო.

ამოვიდა და ჭინჭარაულის გვერდით, თავისუფალ ადგილზე დაჯდა.

— მაშ, კლუბში მობრძანდებით? ნეტავ ხალხი შეგროვილი იქნება? — ჰკითხა ჭინჭარაულმა.

– ვერ გეტყვით, თავი გააქნია უხელჯოხომ, – რაზე უნდა შეგროვილიყვნენ?

– არ იცით? პოეზიის საღამოა, აბა თქვენ, რისთვის მიბრძანდებით?

– მე ჩემ ცოლისძმასთან მივდივარ. ძროხას ფაღარათი დაჰმართნია და მარგანცოვკით კუჭი უნდა გამოვურეცხოთ.

– ეგეც ურიგო საქმე როდია, მაგრამ, პოეტებთან შეხვედრაზე არ გაუფრთხილებიხართ? – ბზარი შეეპარა ხმაში ჭინჭარაულს.

– სხვები, იქნებ, გააფრთხილეს კიდეც, მაგრამ მე არ გავუფრთხილებივარ. რომც გავეფრთხილებინე, აბა სად მოვიცლიდი. ხომ გითხარით, რა საქმეზეც მივდივარ.

ჭინჭარაულს მეტი შეკითხვა აღარ დაუსვამს ცოლისძმასთან ფრიად პიკანტურ საქმეზე მიმავალი მგზავრისთვის.

გამგეობის შენობა მიტოვებულს ჰგავდა.

პოეტებმა კიბე აირბინეს. გამგებლის კაბინეტთან, ძელსკამზე, „წოლკიანი" გოგონა იჯდა. ცალ ფეხზე ლაკის ტუფლი გაეხადა და ქუსლის ადგილს გამეტებით ურტყამდა ქვას. უცხო კაცები რომ დაინახა, ბოდიშიო, წამოხტა, ქვა მიაკუთხგორა, ტუფლი ჩაიცვა და კოჭლობით მიირბინა მისაცდელში მდგარ სალათისფერ მაგიდასთან.

– გამგებელი არ არის? – ჰკითხა ეგუტიამ.

– არა, ბატონო – გოგონას სახეზე ეტყობოდა, რომ ოპერაცია „ლურსმანი" წარმატებით ვერ დამთავრებულიყო.

– დილით იყო? დაბრძანდით.

– დილითაც არ ყოფილა, – გოგონა დაჯდომას არ აპირებდა.

– რა ჰქვია?

– ვარლამი, ვარლამი ჯუღთიძე.

– ჰო... ბატონ ვარლამს ჩვენზე არაფერი უთქვამს? არ გველოდა?

– ვერ გეტყვით, ბატონო, მე ახალი ვარ – შეწუხდა გოგონა (თუკი მას, ფეხსაცმელში ამოჩრილი ლურსმანის გადამკიდეს, შეწუხება აქამდე აკლდა).

– იცით რა, გენაცვალე, – ჩაერია კვალაძე, – ჩვენ პოეტები ვართ თბილისიდან. ჩვენზე ელაპარაკნენ ბატონ ვარლამს მწერალთა კავშირიდან. ორზე აქ უნდა ვყოფილიყავით. ახლა ხამის თხუთმეტი წუთია. არც აფიშაა. არც ხალხი ჩანს გაფრთხილებული. რაშია საქმე?

– ვერ გეტყვით ვერაფერს, ბატონო. მე ახალი ვარ, – გაიმეორა გოგონამ – იქნებ გააფრთხილა კიდეც. იქნებ არ გაუფრთხილებია. თუ იცოდა, აუცილებლად გააფრთხილებდა. ასეთი რამეების დავიწყება არ იცის ხოლმე.

– კლუბი სად არის? – ყრუ ხმით ჰკითხა ფანდურაშვილმა.

– მეორე სართულზე. რომ ჩახვალთ, ხელმარჯვნივ.

მეორე სართულზე ხელმარჯვნივ, კლუბი, მართლაც, აღმოჩნდა, მაგრამ პოეტთათვის, არც თუ მთლად მოულოდნელად, გაირკვა, რომ კლუბი გულისმომკვლელად ცარიელი იყო.

დაბნეული, შემცბარ-შეცბუნებული პოეტები დაეშვნენ და რაფის მორიახლო, ცაცხვის ქვეშ, ხავსიან მორზე ჩამოსხდნენ.

– რაღაცაშია საქმე... რაღაცაშია ნამდვილად – მერამდენეჯერ იმეორებდა ტორონჯაძე.

– იცი ნამდვილად, გაფრთხილებული რომ იყო? ელაპარაკა გონერი ნამდვილად? – ჩაჰკითხავდა შეეჭვებული ეგუტია.

–ველაპარაკეო.

– შენ იქ არ ყოფილხარ?

– ლაპარაკს არ შევსწრებივარ, ველაპარაკეო, ორჯერ მითხრა. ამხელა კაცი ხომ არ მომატყუებდა. რაში ჭირდებოდა ჩემთან ტყუილი, რაღაცაშია საქმე.

ორ საათზე მეტ ხანს ისხდნენ სტუმრები სოფელ შარვანის გამგეობის ეზოში ხავსიან მორზე.

ამ ხნის განმავლობში გზაზე ორად ორმა მგზავრმა ჩაიარა. ერთს – შავოსან ქალს, ქოლგა ეჭირა, მეორეს – წელში მოხრილ ბერიკაცს, გაკეცილი ტომარა ჩამოემხო თავზე. ორივენი იმით ჰგავდნენ ერთმანეთს, რომ გამგეობისაკენ არცერთს არ გამოუხედავს.

— წაიღეთ, რაღას ვუცადოთ, მომსვლელი აქ დღეს აღარავინ არი, — გამშრალი ხმით თქვა ტორონჯაძემ.

პოეტები ერთიმეორის მიყოლებით, უხალისოდ უგუნებოდ ალაგდნენ „რაფში".

ბებერ კაკლის ხესთან, ამ სოფელში პოეტთა ერთადერთი ნაცნობი, თუშურქუდიანი გრძელხელება იდგა.

ამჯერად, ეგუტიას გვერდით არ დამჯდარა. ალუმინის მილს

— რა ჰქენით?!

— ხალხი არ შეგროვდა, — რამდენადაც მოუხერხდა მშვიდად უპასუხა ტორონჯაძემ.

— როგორ არის თქვენი პაციენტი? — დაინტერესდა ფანდურაშვილი.

— ვინა? — თუშურ ქუდს თითები შეაყოლა და კეფა მოიფხანა.

— აი, ძროხაზე რომ ბრძანებდით. მარგანცოვკის ხსნარით მკურნალობის შესახებ.

— არ დასჭირდა.

— აგაშენა ღმერთმა, — ისეთი აღტაცებით თქვა კვალაძემ, გეგონებოდათ, მსოფლიოს ეთნოკონფლიქტების დაწყნარების უტყუარი ხერხი აღმოაჩინაო.

— ახლა თბილისს ბრუნდებით?

— დიახ, თუ აპირებთ თბილისში, გვიმსახურეთ, წაგიყვანთ.

— არა, გმადლობთ. სათბილისოდ ხადა მცალია. ეგ არა და, თუ მიკადრებთ ღარიბ კაცს, იქნებ ჩემსას ჩამომხტარიყავით ორიოდ საათით. ჰედილას დავკლავდი. მარმანდელიც მისხია ჰურში ორიოდე კოკა. ძალიანა გთხოვთ. ჩემს ოჯახში ჯერ პოეტი არ შემოსულა. კარგი ოჯახობა მყავს. სირცხვილს არ გაჭმევთ.

რას იტყვითო, — იკითხა ტორონჯაძემ, — გულით გვეპატიჟება — დავაფასოთ ეს პატიოსანი კაციო.

რას იტყოდნენ.

# ასეა?

– პატივცემულო! ეს ადგილი თავისუფალია?

– ბატონო!

– ეს ადგილი თავისუფალია-მეთქი?

– არ მესმის, ხმამაღლა მითხარი!

– აქ ვინმე ხომ არ ზის-მეთქი!

– არ მესმის, არა! თუ დაჯდომა გნებავთ, დაბრძანდით!

„სულ არ ესმის ამ ოჯახაშენებულს, ასე ყვირილი მინდა სამტრედიამდე?“

– ბიძია, ვიინმეეს ხომ აარ დაუკაავებია-მეთქი ეს ადგილი?!

– არ მესმის, ბატონო, მარა რა მნიშვნელობა აქვს, მგზავრი ხარ ხომ? თუ დაჯდომა გინდა, დაბრძანდი, ეგ ჩემოდანი იქ შემოდევი მაღლა და ამით დამთავრდება ეს საქმე. სამი პროცენტი მესმის მარჯვენა ყურში და მარცხენაში სულ აღარ მესმის. რვა წელიწადია ასე ვარ. ვიარე ექიმებთან: ხან ამომირეცხეს, ხან აპკი გამიქლიბეს, მარა არაფერი მეშველა და თავი დამანებეს. ვითომ ასაკის ბრალიაო, რა ვიცი. ჩემზე ხნიერებიც არიან და ესმით ბევრს. მე რა ღმერთი გამიწყრა. ყურის ბარაბანია გაქვავებულიო. ძველდება ყველაფერი, ბატონო. ხამოცდაცხრამეტის ვარ, ბავშვი კი აღარა ვარ. რაღაცეები გამოვა თანდათანობით მწყობრიდან, სულ ხომ არ გამიძლებს. ღმერთს ვუმადლი, რომ არ დამაბრმავა, თვარა დაყრუება იმდენად არაფერია. ნაკლი რავა არაა, მაგრამ დიდი უბედურება ნამდვილად არ არის. ყურის აპარატი გამომიწერეს. მიშოვა ჩემმა შვილმა. ორნაირი ყოფილა. ერთი – ყურში ჩასადები – ტყემლის კურკის ოდენა, მიკროფონით და ჯიბის კოლოფით. მეორე – ყურზე ჩამოსაკიდია, პატარა და ლამაზი. ზევიდან უნდა ჩამეიდო ყურზე და ორ დღეში ერთხელ ბატარეა უნდა დატენო. სულ არაა ძნელი – ღამე შეაერთებ და დილით უკვე მზად არის. ეს მეორე მომიტანა ჩემმა შვილმა. იქნებ

გაგიგონია, კიდეც ჩემი შვილი — კაპანაძე ხერგო. ხიდქვეშ რომ პროფილაქტიკაა, დილმის ხიდზე გეუბნები, იქვე მარცხნივ იმის მთავარი ინჟინერია. მანქანიანი ვინცაა, ყველა იცნობს და უმანქანოს რაში სჭირდება. მე ქუდი რომ შემიგდონ, არ შევალ პროფილაქტიკაში. რა მინდა, რომ შევიდე. არ დამიჯერებ, ერთი დღე მეკეთა შარშან ყურის აპარატი და მთელი დარჩენილი სიცოცხლე სანანებლად დამრჩა. იმ ერთმა დღემ, მე მგონია, ოცი წლის სიცოცხლე მომაკლო. შვიდი წელი არ მესმოდა და ბედნიერი კაცი ვყოფილვარ. ავედი ტროლეიბუსში, მზუის ეს ჩემი აპარატი პატარა გახაუბრებაზეც. ოდნავ გადალაპარაკებასაც იჭერს. ღმერთო, რა სიტყვები მესმის, რა ქვეყანა მოსულა ჩემი სიყრუის ამ შვიდ წელიწადში. ნერვებმოშლილი ხალხი რანაირად ელაპარაკება ერთმანეთს. გინება, წყევლა-კრულვა, ზურგსუკან ქირქილი. წასულა ბატონო, ჩვენი საქმე, დაავადმყოფებულა ქვეყანა. სადაა ჩვენი დროის — „ბრძანე, ჩემო ბატონო", სადღაა „შენი ჭირიმეს" და „შენ გეხუტუნეს" ლაპარაკი.

მოანგარიშედ ვმუშაობდი, მე, ზევით, სოლოლაკში, დავითაშვილზე, „წყალკანალში". ვაკეთებდი წყნარად ჩემს საქმეს. ჩემი სიყრუით საქმე არ წამისდენია. ტვირთად არავის დავწოლილვარ და პენსიაზე გასული ვიყავი, მარა, მაინც ვმუშაობდი ნახევარ შტატზე.

მივედი იმ დილით. არ ვეუბნები არავის, თუ აპარატი მაქვს ყურში. ვაი, ჩემს მოსწრებას. თურმე ჭურში ვზივარ. თურმე ჩაუვლია ჩემს ცხოვრებას და ვიღაცის ადგილს ვიჭერ. რაც მე იმ დღეს გავიგონე, მოსასმენადაც საშინელებაა. თურმე, ვის უნდიხარ. თურმე წასულა შენი მატარებელი.

სხვა დროს შევიდოდი ჩვენს ოთახში, მივესალმებოდი მოანგარიშეებს, მივუჯდებოდი ჩემს მაგიდას, შესვენებაზე ერთად ვისადილებდით, იმით, რაც გაგვაჩნდა სახლიდან წამოღებული და, სადამოს დავიშლებოდით. მეგონა, ყველაფერი წყნარად და ჩვეულებრივად იყო.

ქე ვითხარი, არ შევიმჩნიე აპარატი რომ მაქვს ყურზე მორგებული და ყველაფერი რომ მესმის. ვაი, ჩემს მოხწრებას. ისე მოვმკვდარიყავი, არ მომესმინა, რაც ჩემზე თქვეს და ბედნიერი კაცი ვიქნებოდი. დამღუპა ჩემმა შვილმა.

არ არის თქვენთვის საინტერესო, რას იტყოდნენ. გაუგონარი და წარმოუდგენელი არაფერი უთქვამთ, მარა რაც თქვეს, ჩემი გულის გასაგლეჯად საკმარისი იყო.

– მოვიდა ბუხუტია, შენი ძმაკაცი...“, „რა ბიჭია, გააცდენდა?!“, „ტყვილად ელი ნარგიზა შტატის გამრთელებას, ნაზე როგორ ყოჩაღად არი...“, „მაგი ჩვენ გაგვისტუმრებს ყველას პენსიაზე და თვითონ აქ იქნება...“, „ყვავს ძაფი შეაბა თურმე ბავშვობისას და ვაკვირდებიო, უთქვამს, მართლა სამას წელიწადს იცოცხლებს თუ არაო“, „ცოლს ითხოვს რომ მიუშვა“... „ნეტავი თუ შეუძლია რამე ა? რავა იტყვი ბაბუცა?“, „მეტი არ იქნა ჩემი მტერი“, „მაგი კი არა, მგონია, მე ჩამომწერენ ქალები ხადაცაა“... „ისე, ბაბუცა დეიდა, გლახად გათვალიერებს შენ ამ ბოლო დროს“, „განსაკუთრებით გარეთ რომ გადიხარ მაშინ, თვალს გაგაყოლებს“... „ხომ იცი, მაგი ისეთ ასაკშია, მაგის ნერვიულობა არ შეიძლება“... „ისე, ქალბატონო ბაბუცა, ჩვენს შორის დარჩეს და, რომ რამე იყოს, კარგ მაღარიჩად? ერთადერთხელ ჩვენი ხათრით?“, „გადაშენდი იქით, შენ შემოგეყარა გულზე, მაგი მაკლია ახლა“...

ა, ამნაირი და ამაზე უარესი მესმოდა შეხვენებამდე. არაფერი წმინდა, არაფერი ვაჟკაცური. ერთი ხიტყვაც არ დასცდენია არავის ჩემს დასაცავად. უბრალოდ არ თქმულა: „ამ ხნის დამსახურებული კაცია, რა თქვენი დასაცინიაო“, თურმე ვისთან ვიჯექი, ვის ვესალმებოდი, რა ხალხთან მქონია საქმე. თუმცა მე კი არა, ერთმანეთს არ ინდობდნენ. ვინც სხვაზე ადრე გავიდოდა, ახლა იმაზე მოდიოდა ჭორისა და გაქიაქების სეტყვა. შუადღემდე გავძელი, როგორც იქნა, შესვენებაზე იმათთან როგორ გავტეხავდი პურს, ჩავედი დირექტორთან, გათავისუფლების განცხადება დავუწერე და მეორე წელია, აღარც

გამიხედავს ჩვენი ხამსახურისაკენ.

ა, ეს მიქნა თქვენმა ყურის აპარატმა.

ის დღე და ის დღე, ყურთან არ მიმიტანია. მიგდია ხადღაც მაგიდის უჯრაში. შვიდჯერ მაინც ვუთხარი ჩემს შვილს, წაიღე და დააბრუნე; ვინმე ჩემზე გაჭირვებული იქნება და მისცემენ მეთქი.

არ მჭირდება, ბატონო, არა. რისი გაგონებაც მინდა, ჩამყვირებს ის კაცი და რავარცხა იქნება, გავიგონებ. რად მინდა ზედმეტი რაღაცეების გაგონება.

ა, ახლა შემობრძანდი ვაგონში შენ. დაბრძანდი. კაი კაცი ჩანხარ. ღმერთმა წაღმა გატაროს. რაც უნდა ვუთხრათ ჩვენ, პირველად შეხვედრილებმა, ერთმანეთს, მილიონჯერ მაქვს მოსმენილი. რა იქნება ახალი. ალბათ არაფერი. შენ მკითხავ – „შორს მიბრძანდებითო?“ მე გიპასუხებ – „არა, აგერ ხამტრედიამდე-მეთქი“. შენ მკითხავ – „იქაური თუ ბრძანდებითო?“, მე გიპასუხებ – „არა, ძროხისდასამაკებელი ბუღა მყავს მოხძებნი-თქვა“. შენ მკითხავ – „ძროხა რატომ არ მოგყავთო?“, მე გიპასუხებ – „ჯერ ბუღა უნდა შევიგულო და მერე ჩამევიყვან, თვარა, ტყვილად ხვარ ვათრევ ამხელა გზაზე ატეხილ ძროხას-თქვა“.

ან ასე უნდა ვილაპარაკო გულახდილად, ან უნდა დავუმალოთ, რაც უფრო ხშირად ხდება, ერთმანეთს ჩვენი საქმე და გასაჭირი. რად მინდა, ზედმეტი ლაილაი მინდა მეე? ახალგაზრდა კაცს უხარია უცნობთან გამოლაპარაკება და მე ბავშვი ხომ აღარ ვარ, რად მინდა, რაში მჭირდება.

ჩემი ნაცნობების უმრავლესობა წასულია იმ ქვეყნად. ახლა მატარებელში გაცნობილი და დამგზავრებული კაცი შემხვდება ვითომ მეორეჯერ ამ ჩემს დარჩენილ ორ-სამ წელიწადში?

ასე რომ, ღმერთი სიბერეში რომ გაყრუებს ნელ-ნელა, ხწორედ იქცევა. ღმერთმა მშვენივრად იცის თავისი საქმე. ბერდები და ის ნერვები აღარ გაქვს ამ წუთისოფლის ბევრი სისულელე რომ მოისმინო. იმდენ ხმენას ქე გიტოვებს, რომ რაც

აუცილებელია, გაიგიგო და თავი გაიტანო, გააჯაჭვირო ბოლომდე შენთვის მოზომილი სავალი.

ხელოვნურად, რაღაც აპარატ-მანქანებით არ უნდა ჩაერიო ღმერთის საქმეში, ჩემო ბიძია, არ არის ასე?

# გამდიდრების ექვსი გზა

გაჭირდა ცხოვრებაო, აღარ ვიცი, რა ქვა გავტეხო, რა წყალს ვეცე, შიმშილი კართან ამტუზებია, ცოლ-შვილს მაინც არ მოვკიდებოდიო. ჩემი თავი ჯანდაბას, ბაღნები რითი ვარჩინო, რა შეუბრალებელი და მკაცრი დრო მოდის, გავტურამგელდით ერთმანეთს ადამიანები, ასე მგონია, ხიდისთავშიც რომ დავჯდე და ქუდი მოვიდვა გვერდზე, მოწყალებასაც არავინ გაიმეტებსო, შენ მეუბნები.

არ გრცხვენია შერმადინ? მე რომ მკითხო, გამდიდრება ახლა როა, ასე ადვილი არასოდეს ყოფილა. აგერ ჩამოგითვლი ფულის შოვნის რამდენიმე უებარ ხაშუალებას და თვითონ მიხვდები, რომ ცოტა ხელის განძრევაა საჭირო და სხვა არაფერი. თავის განძრევა საჭირო არ არის. ყველაზე ადვილი გზებიდან დავიწყებ და ზევითზევით შევყვები, შენ რომელიც მოგეწონება, ამოირჩიე და მიყევი საქმეს. რამდენი მოხვიდე და მლოცო ერთი თვის მერე, იმდენი გახარება ჩემს ნაგრამ-ნაშიერს.

პირველი: ცარიელი ყუთის შოვნა არ გაგიჭირდება, ამოუჭედე თავი, ფულის ჩასაგდები ღრიჭო დაუტოვე, დააწერე დიდი ასოებით „დაეხმარეთ იზოლ ბავშვებს" და დადგი რომელიმე ხალხმრავალ ქუჩაზე. უკეთესია ტროლეიბუსის გაჩერებასთან, ან მეტროს ამოსასვლელთან. შენ ახლომახლო გაჩერდი. რატომაა, თუ იცი, საჭირო შორიახლო შენი გაჩერება? ჯერ

ერთი, ობოლი ბავშვების რომელიმე გულშემატკივარს, შეიძლება, ფულის დახურდავება დასჭირდეს, მეორეც, იქნებ ისეთმა ხვადაგმაც გამოიაროს ობოლი ბავშვები ფეხებზე რომ ჰკიდია, მიიხედ-მოიხედოს და, თუ შენ – ობოლთა დამხმარე საზოგადოების წარმომადგენელი, ვერსად დაგლანდა, ამოიღლიავოს ყუთი თავის წარწერა-თანხიანად, წაიღოს, გაიტაცოს, რათა თავის წვრილმან, საზოგადოებისთვის სრულიად უსარგებლო, მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გამოიყენოს.

საღამოისხანს წაიღე ყუთი შინ, ობოლ ბავშვთა მოყვარულებს გულში მადლობა შესწირე და დილით ცარიელი დააბრუნე. უმჯობესია ყუთს ხშირად ადგილი შეუცვალო, ისე, ყოველშემთხვევისათვის.

მეორე: მოძებნე სადმე ქუჩის პირას ნახევრად მიტოვებული ან, უფრო უკეთესი, მთლადმიტოვებული სარდაფი. კარის თავზე (ცოტა მარჯვნივ) გააკარი მუყაოს ქაღალდზე დიდი ასოებით დაგვირისტებული წარწერა: „გვარდიას სცივა, გვარდიას შია, შენ არ ეხმარები?!“ დაიდგი სარდაფის შუაგულში ერთი მაგიდა, გვერდით დამაჯერებლობისათვის კომპანიონი (ეს უკანასკნელი, უმჯობესია, მშვენიერთა სქესის წარმომადგენელი იყოს) მოისვი და შემოწირულობათა დავთარში გატარება არ დაგავიწყდეს. ორ დღეში ერთხელ სარდაფი უნდა დააცარიელო და შემოწირულობანი შინ წაიღო. გვარდიაზე გული ნუ დაგწყდება, გვარდიას შენზე უკეთესი პატრონები ჰყავს.

მესამე: პირველ და მეორე გზას, შენც შეატყობდი, ცოტა უხერხულობები ახლავს, ჯერ ერთი, ობოლ ბავშვებს ზოგიერთები კუპონებითაც ეხმარებიან და, შენ წარმოიდგინე, ხუთკუპონიანს ან, რაც უფრო გულსაზეთქია, ზოგჯერ ერთკუპონიანსაც აღმოაჩენ ყულაბაში. წვრილი, თითქმის გამოუდეგარი ფულის სუროგატების თვლა, ჩემგან რა გესწავლება, მოსაწყენი საქმეა. ასევე შეცივებული გვარდიელების დასახმარებლად ზოგმა აზირებულმა შეიძლება გაცვეთილი, მისთვისაც კი სრულიად უვარგისი „ბატინკები“ შემოგთავაზოს, რაც არ მოგეწონება

უკან ხომ ვერ გაატან – „გვარდიელები ამას არ მიიღებენო“, სხვა გზა არ არის, უნდა აიღო და ჟურნალშიც გაატარო. ასე რომ, გვარდიელებისათვის შემოწირული კონსერვ-ხამლ-ტალავარის ბაზარზე გასაღებაც არ არის იოლი საქმე, ამიტომ მესამე, უფრო სუფთა გზას შემოგთავაზებ: წეღან რომ მუყაო გიხსენე, ის მუყაო გადმოაბრუნე და უფრო დიდი ასოებით დააწერე „ოქრო მხოლოდ სამშობლოს გასათავისუფლებლად“. შენ და შენმა კომპანიონმა (ამ შემთხვევაში არა მარტო „უმჯობესია“, არამედ აუცილებელია ქალი იყოს) ინათხოვრეთ აფთიაქის ან ოქრომჭედლის სასწორი, მოიდგით გვერდზე და დაელოდეთ საქორწინო ოქროს ბეჭდებს, ან ძვირფასი თვლებით მოოჭვილ სამაჯურებს, სამშობლოს გათავისუფლების საქმეს, არც თუ მცირეოდენი ყოყმანის გარეშე, რომ შესწირავენ ღარიბები და ნახევრადღარიბი ადამიანები. ოქრო აუცილებლად უნდა აიწონოს, ძვირფასი თვლის სახელწოდება ზუსტად ისე უნდა ჩაიწეროს, როგორც შემომწირავი ბრძანებს. გახსოვდეთ, შემომწირველს არ ეკამათებიან; ზოგმა, იქნებ, გამეტებული თვალი უფრო ძვირფასად მოგასაღოთ, ვიდრე სინამდვილეშია, მერე რა, ბოლოსდაბოლოს ხომ არ ყიდულობთ, ხოლო სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დიდსა თუ მცირე განძეულს თავისი ადგილი აქვს. ეჭვი რომ გაიფანტოს, ხანშიშესულ შემომწირველს ერთსა და იმავე ჟურნალში ორ ადგილას მოაწერინეთ ხელი და გასვლისას ეროვნული ხელისუფლების სახელით მადლობა გადაუხადეთ, თანაც აცნობეთ, რომ მის წვლილს თაობები არ დაივიწყებენ. ყოველ საღამოს შემოწირული ოქრო-ვერცხლი „აქ დატოვება საშიშიას“ მოტივით შინ წაიღე და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს. ეროვნული მოძრაობა? შენ დარდი ნუ გაქვს, იგი საქართველოში უახლოეს ორას წელიწადს არ განახლდება.

მეოთხე: ბანკის შექმნაზე ადვილი ახლა არაფერია. შენც დააარსე ბანკი სახელწოდებით „მხოლოდ თქვენს მოსაგებად“. რეგისტრაციაში ნუ გაატარებ, აუცილებელი არ არის. ჯერ ერთი,

გადასახადს შეგაწერენ და მეორეც, შეიძლება, საქმე გაგისლაფორთდეს. გაზეთებში განცხადებები გამოაქვეყნე (კარგი იქნება თუ ქუჩაში გააკრავ): ბანკი „მხოლოდ თქვენს მოსაგებად“ ერთად ერთი ბანკია მსოფლიოში, რომელიც მხოლოდ მეანაბრეთა მოგებისათვის ზრუნავს. თვით ბანკს თქვენი კაპიკიც არ ჭირდება-თქო. შემოიტანეთ თანხა, რამდენიც მოგიხერხდებათ, ჯერ ერთი, საიმედოდ შეგენახებათ და რაც მთავარია, ორ წელიწადში გაოთხმაგებით (ინფლაციის გარეშე) დაგიბრუნდებათ-თქო. თვალე ფულები და აწყვე უჯრაში. მეანაბრეს, თუ მაინცდამაინც, ქვითარი გამოუწერე. სხვა არაფერი, თორემ ქვითრები იაფია საკანცელარიო მაღაზიებში. ქვითარი თვითმიზანი როდია, მაგრამ მაინც გამოუწერე და ხელი გაკვრით, გაურკვევლად მოაწერე. რა გენაღვლება, ადამიანებს ქაღალდებისა ჯერ კიდევ მტკიცედ სჯერათ. შენ მეტყვი, ანალოგიურ საქმეზე ამასწინათ ხომ ჩავარდნენ სხვებიო. გეთანხმები, მაგრამ იმ „ბანკირებმა“ სულსწრაფობა გამოიჩინეს; სამ თვეში გაგისამმაგდებათ ფულიო. სამი თვე ცოტა დროა; შენ ორ წელზე ნაკლები არ დაუთქვა გულუბრყვილო მომხმარებელს გაოთხმაგებული ფულის მისაღებად. ორ წელიწადში, იქნებ, ღმერთმა ნუ ქნას და არც ეს ხელისუფლება იქნეს და არც გამოძიებამ მოკიდოს ხელი სოკოებივით გამრავლებულ პინგვინ-მოტყუებულთა ასეთ საქმეებს.

მეხუთე: გატყობ, ჩემო შერმადინ, რისკიანი კაცი არა ხარ, შიში გაილანდა შენს თვალებში. მერე მე არაფერი მომივაო? დაგეწერა მაგ საყვარელ სახეზე. ახლა, რაკი ასეა, მეხუთე და მეექვსე მთლად უხიფათო გზებს შემოგთავაზებ.

ახალგაზრდა ქვრივთა და გასათხოვარ მანდილოსანთა, ასევე დაჯერებულ, უიმედო უცოლო მამაკაცთა გასამხნევებლად დააარსე კლუბი სახელწოდებით „მხოლოდ გაცნობა“. იცოდე, შინაბერებს ყველაფერზე მეტად ოჯახის შექმნისა ეშინიათ. ამიტომაც სარეკლამო ფურცლებში გასაგებად ჩაწერე: ჩვენი კლუბი სხვა მსგავსი კლუბებისაგან განსხვავებით, მოპირდაპირე

სქესის პიროვნებასთან გაცნობის დაგვირგვინებას ოჯახის შექმნით არც ერთ მხარეს არ ავალდებულებს-თქო. „მხოლოდ გაცნობის“ უამრავი მსურველი მოგაწყდება. შენ, დირექტორმა და შეთავსებით მთავარმა ადმინისტრატორმა, ფეხი ფეხზე გადაიდე, კლუბში შესასვლელი ბილეთი გამოცდილ გამცნობელთათვის თანდათანობით გააძვირე, და რჩევის სახით (ნუ შეგრცხვება) შესთავაზე: მამრობითი სქესის მომხმარებელმა, სასურველია, გაცნობისათვის საჭირო ალკოჰოლიანი (გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება უალკოჰოლოც) სასმელი თან მოიტანოს-თქო. გაფრთხილებ, თექვსმეტ წლამდე მომხმარებელს კლუბში ნუ შეუშვებ. ზედა ასაკს ნუ განსაზღვრავ. ამის გარდა მხედრიონელთა და გვარდიელთათვის შესვლა უფასო იყოს, ქველმოქმედებაში ჩაგეთვლება. საერთოდ ფორმიან კაცს რომ დაინახავ, მოწიწებით ელაპარაკე, ხომ შეიძლება, მართლაც მხედრიონელი, ან გვარდიელი, ან უკიდურეს შემთხვევაში პოლიციელი აღმოჩნდეს. სამხედრო ფორმა ყაჩაღების გარდა, ზოგჯერ ზემოთხსენებული სამსახურების ჭეშმარიტ წარმომადგენლებსაც ხომ აცვიათ.

სხვა მხრივ საშიშროება არაფერი გელის. ჰყიდე ბილეთები და ხარჯე კლუბის ჯანმრთელ სტუმართაგან შემოსული ალალი, დაუყვედრებელი ფული.

მეექვსე: გამდიდრების ამ გზებიდან მეექვსე ყველაზე უსაფრთხოა. ბიოველით მკურნალი გახდი. რომელიმე ნამდვილ ექიმს ჩამოათვლევინე ყველაზე გავრცელებული დაავადებანი, იმ დაავადებას შენი ინიციატივით დაუმატე კიბო და გამოაცხადე: შიდსის გარდა ყველა დაავადებას ვარჩენ-თქო. შიდსის მორჩენას ნუ დაიბრალებ. ამ სახით პაციენტი მაინც არ გეყოლება. შიდსით დაავადებულნი სამკურნალოდ არ დადიან. თუ ბევრი პაციენტი მოგაწყდა, სეანსი ჯერ უკიდურესად შეამოკლე, მერე ფსიქოთერაპიაზე გადადი. დიდი დარბაზი დაიქირავე და დუმილით მკურნალობის სეანსები ჩაატარე. მდუმარე დარბაზში (მითუმეტეს როცა ცხელა) ნახევარზე მეტს,

თვით შენი დახმარების გარეშეც ჩაეძინება, ახალ-გამოღვიძებული კი ცოტა ხანს მაინც მხნედ გრძნობს თავს. ესეც შენი ფსიქოთერაპია. საერთოდ ექსტრასენსობა შეითავსე. მკურნალობის ამ სამ (ბიოველი, ფსიქოთერაპია, ექსტრასენსი) სახეს შორის დიდი განსხვავება არ არის. თუ ავადმყოფებმა თავი მოგაბეზრონ, დისტანციურ მკურნალობაზე გადადი. სამწუხაროდ, ტელემკურნალობა და რადიომკურნალობა აიკრძალა, მაგრამ დარჩა, მანძილთმკურნალობის ორი ფორმა: წერილმკურნალობა და ფოტომკურნალობა. გამოაცხადე გაზეთში: წერილით მაუწყეთ დაავადების შესახებ და ოჯახის იმ წევრთა სახელები გარკვევით ჩაწერეთ, რომლებიც მკურნალობას საჭიროებენთქო, ჰონორარი განკურნების შემდეგ გამოაგზავნეთ, ოღონდ უმორჩილესად გთხოვთ, მკურნალობის გაადვილების მიზნით, თითო წერილში ხუთი პაციენტის სახელზე მეტი ნუ იქნებათქო. ამას წერილმკურნალობა ჰქვია. ფოტომკურნალობა წერილმკურნალობის გაუმჯობესებული და უფრო გარანტირებული ფორმაა: კონვერტში პაციენტის სახელთან ერთად მისი ფოტოსურათიც უნდა იდოს. ფოტოსურათის ზომას მნიშვნელობა არა აქვს.

გამდიდრების ამ ფორმასაც ახლავს, ჩემო შერმადინ, ერთი მცირე გაფრთხილება: მკითხავ-ვარდოობა და გულთმისანწინასწარმეტყველობა არ დაიწყო. არ გინდა სახელის განთქმის ამგვარი მისნობა-მიხვედრანი: „მავანსა და მავანს გუდაუთაში კარგა ხანია ვერ ვხედავ, თვენახევრის გარდაცვლილია და მოსკოვის ერთ-ერთ მორგ-მაცივარში ინახავენ"... ხომ იცი, ტელევიზიას დიდი თვალები აქვს. გადაიღებენ წალკოტში მჯდომს, მხნედ მოსაუბრე, მაცივრიდან გამოყვანილ შენს გმირს და შერცხვები. რატომ იტკივებ აუტკივარ თავს. ოქრო ხელობა გაქვს; ბოლოსდაბოლოს უნიკალური ფსიქოთერაპევტი, ბიოველიანი მკურნალი და ხწორუპოვარი ექსტრასენსი ხარ.

თუ გამდიდრება-ლაღი ცხოვრება მოგწყინდეს და როგორც ქართველთა უმეტესობას სჩვევია, მთავრობისაკენ გაგიწიოს

გულმა, ერთ საიდუმლოებასაც გაგიმხელ: ჩამოწერე ათი-თორმეტი ნათესავ-ძმაკაცის გვარი. ახალი პარტია შეიქმნა-თქო, გაატარე რეგისტრაციაში. პირველი ხუთი გვარი (იმ თორმეტიდან) არჩევნებში დეპუტატობის კანდიდატად დაასახელე. შენ, რასაკვირველია, ნომერ პირველი იქნები. მართალია, დეპუტა-ტობისათვის საკმარის ხმებს ვერ მოაგროვებ, მაგრამ კომპენსაციის მეთოდით (ახალ პარტიას გული არ დავწყვიტოთო, იტყვიან) შენ და შენი მომდევნო მეორე ნომერი უეჭველად გახვალთ დეპუტატებად.

მერე ქე მიხედე შენს თავს. ამ ბოლო გზას ჩემთვის ვიტოვებდი, მაგრამ ისე მონდომებით მისმენ, ვერ დავმალე და გაგიმხილე. ახლა, რაკი აქამდე მოგიყვანე და გაგადეპუტატე, ერთ რჩევასაც მოგცემ, პარლამენტის სხდომებზე მაინცდამაინც ნუ იაქტიურებ.

რაც ნაკლებს ილაპარაკებ, ნაკლებ სისულელეს იტყვი.

* * *

შერმადინმა თეთრი, კეპიანი ქუდი მოიხადა, დაცვარულ შუბლზე გაისვ-გამოისვა, წარბებამდე ჩამოიფხატა, წამოდგა და მოწყენილი ხმით მკითხა:

– რომელია შენთან?

საათიანი მაჯა ვუჩვენე.

– ნახე, სათვალე შინ დამრჩა.

– ოთხი სრულდება. მეტი მეგონა. სწორია?

– არ ვემდური. შიგდაშიგ რჩება ხუთი წუთით.

– იცის... კარგად აბა... დიდი მადლობა.

– კარგად იყავი.

ტროლეიბუსის გაჩერებასთან გააბიჯა. იქნებ მეჩვენება, მაგრამ ფეხებს ისე მიათრევს, თითქოს მძიმე ტვირთი უმძიმებსო ბეჭებს.

ცხელა.

ეს ორი დღეა ზაფხულმა იზაფხულა. აქამდე თითქმის

ყოველდღე წვიმდა. რაღაცნაირი უსიამო, ცივი გაზაფხული გადავიტანეთ.

შინ ნაშუადღევს დავბრუნდი.

მაღალი სახლების ჩრდილს გარაჟებსშუა ჩაჭეჭკილი ეზოები ბოლომდე ამოევსო.

სადარბაზოში შესულს წრიპინი მომესმა.

ჩამოგდებულ საფოსტო ყუთთან შიმშილისაგან ღონემიხდილი, ფერდებჩაცვენილი ვირთხა ჩაცუცქულიყო და თავისი ვირთხული თვალებით, ვირთხისათვის სრულიად შეუფერებელი სითამამით მიმზერდა.

## ყაჩაღები

ახალი დაწყებული გვქონდა ეს საქმე მე და კაკაჩიას მაშინ. ერთად ვმუშაობთ მე და კაკაჩია სამი წელია. კაკაჩიას ბევრი ლაპარაკი არ უყვარს და მაგიტომ შევეჩვიე. არც ნაშოვნის მოტეხვა იცის და, რაც მთავარია, უჩემოდ, მარტო არ გავა ტრასაზე. სანამ არ დავამთავრებთ საქმეს, „ეს ჩემი და ეს მე მინდა“ არ მოდის ჩვენს შორის. სიხარბე დამღუპველია ჩვენი ხელობის ხალხისთვის.

დიდი გამომგონებლობით არც ახლა გამოვირჩევით მაინც-დამაინც და მაშინ უბრალო მუღამი გვქონდა. შიშით არავისი გვეშინოდა და რათ უნდა ბევრი ფილოსოფია ყაჩაღობას. მთავარია, არ დაიბნე და „კლიენტი“ არ ააყვირო. მთლად ღორიც არ უნდა იყო მაინცდამაინც. თუმცა ზოგი ისეთი მათხოვარია, უბრალო ფრენჩის გულისთვის თავს შემოგაკლავს. ვის უნდა მაგის ოფლიანი ფრენჩი, მარა რაკი შეაყენე ოფსტოპზე, რაღაცა ხომ უნდა გახადო. ისე, კაცის მოკვლას ყოველთვის ვერიდებით მე და კაკაჩია. თუ აქეთ არ აგვიტეხა

სროლა, იქეთ არ ვესვრით არაფრით. აქეთაც რომ გესროლოს, არც მაშინ უნდა გაიმეტო კაცი მოსაკლავად. ზოგმა სროლა არ იცის და ისე გესვრის ა, შესაშინებლად. ეგება გაიქცნენ და დამანებონ თავიო. შიშის გამო გესვრის ის კაცი და შენ, აქაო და სროლა ვიციო, არ უნდა დაუმიზნო შუბლში. არაა ეს კაცობა.

იმას ვამბობდი: ახალი დაწყებული გვქონდა მაშინ. პერევალზე ვმუშაობდით, გვირაბიდან ასე სამ კილომეტრში. იქვე გადახახვევია ტყეში, რომ დაგვჭირდეს მაინც, ყოველშემთხვევისთვის. მილიციის არ გვეშინოდა, რასაკვირველია, მილიციამ იცოდა, სად ვიდექით და მიწა რომ გაგვეხეთქა, არ გვეკარებოდა ახლოს. თავისას იღებდა მილიცია და რა ენაღვლებოდა, რას ვიზამდით. კაცი არ მოკლათო, ღვთის წინაშე ტყუილს ვერ ვიტყვი, მილიციაც გვეხვეწებოდა. არავის უნდა კაცის მოკვლა, ხლაფორთია მაინც. რაც არ უნდა იყოს.

დილაა — ასე შვიდის ნახევარი იქნება. ახალი ნაწვიმარია და ნელა დადიან მოსახვევში მანქანები. სწორედ ისეთ ადგილას ვდგავართ, მაშინამ ნელა რომ უნდა მოუხვიოს და გამოცვალოს სიჩქარე. „ჟიგულის“ (წართმეული იყო ვიღაცის, ძველი იყო ძალიან და მივუგდეთ პატრონს ორ თვეში. სულ ტყვილად მივეცით, ორი ათას რუსულ მანეთად. არ ჰქონდა მეტი იმ ქვტარძალს. სულ რომ არაფერი მოეცა, მაინც დავუბრუნებდით, გაგვაწვალა ძალიან) კაპოტი ახდილი გვაქვს. კაკაჩია ყასიდად მოტორს ჩაჰკირკიტებს, მე — ნასოხით ხელში მანქანებს ვაჩერებ. დილას და ღამით ვმუშაობთ ჩვენ ძირითადად. სხვა დროს ბევრი დადის მანქანა და ვის უნდა ბევრი თვალი. მე, მაგალითად, ღამეს, ადრე დილით გამოსვლა მირჩევნია. ღამით ვერ ხედავ მგზავრებს კარგად, შეიძლება მიმალული იყოს ვინმე მანქანაში და შენ რომ მგზავრებს ამოიკებ, ქე გესროლოს ზურგში. რავა გიცნობს, პატივს გცემს, თუ რაი. შენ მისთვის ყაჩაღი ხარ, მეტი არაფერი.

„მოყვა ბადეში“ ვოლგიანი ბიძა კაცი. გააჩერა. გადმოვიდა. მაღალმაღალი, წარმოსადეგს რომ ეძახიან ისეთი კაცია. რა

გაგჭირვებიათ, ბიჭებოვო. რა ვიცი, ჩაგვიქრა ეს ოხერი და აღარ იქოქება, არა და გვეჩქარება, საავადმყოფოში უწევს სიმამრი ამ ჩემს ძმაკაცს. მანქანის მიტოვებაც გვიჭირს, ათასი ქურდია ამ გზაზე-მეთქი.

მოდი, ერთი, ჩავიხედოთო, ბევრი არაფერი მესმის „ჟიგულის“, ვოლგა რომ იყოს, კიდევ მოვახერხებდი რაღაცას. თუ გაჭირდა, გამოგიბამთ ბუქსირზე და ბუქსირით გაგწევთ ზესტაფონამდე. თუმცა შორაპანშიც არის კარგი პროფილაქტიკაო.

მოვიდა, ჩაიხარა მოტორთან და მივადევი კიდეც ყურისძირში მარგოლინი. ფული გექნება შენ და ხმა არ ამოიღო, თვარა ბოლო იქნება ამ გზაზე შენი გამოვლა-მეთქი. გაიღიმა მწარედ. თავი არ გაუტოკებია, მარა ვერც შიში შევატყვე მაინცდამაინც. კაი ბიჭებო, რაზან ასეა და არ იშლით. თქვენმა აიღო, როგორც ვატყობ, მარა არ შობით კარგ საქმეს, არ მიცნობთ მეო. ჩვენ არავის არ ვიცნობთ და არ დაგვიწყო გამოცნაურება ახლა აქო, მოუჭრა კაკაჩიამ. არ უნდა ამას ბევრი ლაპარაკიო.

ყველაზე უფრო შეყენების პირველი წუთი არ მიყვარს. ესა და ესა ვარ, ამას და ამას ვიცნობო. თუ ალაპარაკე კლიენტი, მორჩენილია ის საქმე. იმდენ ახლობელს დაგისახელებს, გაძარცვა კი არა, იქით მისცე, შეიძლება, რაც გიშოვია იმ დღეს.

კოსტუმი კიდია მანქანაში, მილიონი რუსული მანეთი მაქვს შიგო. ესაა სულ, კოსტუმს და მანქანას თუ არ წამართმევთ, კარგს იზამთ, თუ არა და, წაიღეთ ეგეცო.

მე ლულას არ ვაშორებ, მივიდა კაკაჩია. ამოიღო ფული მანქანიდან. თვალებით ვუგებთ ჩვენ ერთმანეთს. კაცი არც უნდა დაამცირო და არც უნდა გაალიზიანო ნამეტანი. კარგად შენახული „ვოლგაა“ და წავიღებდით „ვოლგასაც“, მარა ცოტა ხანს კიდევ ვაპირებდით მუშაობას ტრასაზე და გადავიფიქრეთ. „ვოლგის“ წართმევა ყვირის ნამეტანი. „ვოლგას“ თუ წაიყვან, უნდა მოშორდე იქაურობას.

ჩაჯექი და წადი, მე ვუთხარი. გაფრთხილება არ დაგჭირდება შენ, ცოლშვილის პატრონი იქნები. ჩვენ აქ ვართ, ფეხს არ

მოვიცვლით აქედან. მაგრამ თუ ვინმესთან კრინტი დაგცდა, შენს თავს დააბრალე, რაც მოგივა-მეთქი.

არ ამოუღია ხმა. ნელა მივიდა მანქანასთან. გამოაღო, ჩაჯდა. თვალს არ გვაცილებს და ჩვენც ფეხზე გვაქვს იარაღი, რასაკვირველია. ხელს აფათურებს ბარდაჩოკში და გვიყურებს ა, ისე, რაღაცნაირად, უაზროდ. დიდი გაბრაზებაც არ ეტყობა. მშვიდადაა ვითომ, მისი ჭკუით. გვიყურა, გვიყურა, დაქოქა მერე მანქანა, კარგად იყავითო და მოწყვიტა ისე უცებ, თვალიც ვერ მოვკარით.

წავიდეთ აქედან. სხვანაირი კლიენტი ჩანდა ეგო, კაკაჩიამ.

სხვანაირი რო იყო, იმიტომაც არ ღირს წასვლა. თავმოყვარე კაცი ჩანდა, არაა მილიციაში გამქცევი ეგ. კიდეც რომ იყოს, სად წავა, მილიცია მაინცაა ჩვენი, სხვა თუ არავინ-მეთქი.

გავერთეთ ლაპარაკში. ათ-თხუთმეტ წუთზე მეტი არ გასულა, უკან მოდის „ვოლგა". ცალი ხელი მოჭრილივით აქვს გადმოკიდებული მანქანის კარზე და რაღაც შავი უჭირავს კი ნამდვილად. გავხტით კატებივით იქეთ-იქეთ. ხეს ამოვეფარეთ. დაამუხრუჭა, გადმოვიდა.

ახლა გარკვევით ჩანს. რევოლვერი უჭირავს ნამდვილად. რისი იმედი აქვს, ამ უბედურს. თავს წააგებს, მეტი არაფერი.

არ შეგეშინდეთ, ბიჭებოვო, ხეებს გამოსძახა, გლახა არაფერი მაქვს გულშიო.

ჩვენ ხმას არ ვიღებთ.

ცოტა ხანს გაყუჩდა და ალაპარაკდა ისევ:

ეს რევოლვერიც წაიღეთ, თქვენი ფეშქაშიც იყოსო. მედო მანქანაში, მარა არ ვყოფილვარ ამის ღირსი მეო. არაა ხროლა ჩემი საქმე, ვატყობ მეო. ხელი ამიკანკალდა წეღან. ქე შეატყობდით თქვენცო. გქონდეთ ძმაო, მე მაგის ჩამდები აღარა ვარ ჯიბეშიო.

დადო ბალახზე და მანქანისაკენ წავიდა.

გამოვედით ხაფარიდან.

მოიცა ბიჭო, დაუძახა კაკაჩიამ. აიღე იარაღი და გადმომიგდო.

ჟიგულის საბარგული ახსნა, ქაღალდში შეხვეული თავისი ფული ფანჯარაში დააწია სტუმარს.

ა თქვენი ფული, ღმერთმა კეთილად მოგახმაროთ და ამ „მაკაროვს“ (ახალთახალი „მაკაროვი“ იყო) ვიჩუქებთ შენგან, თუ არ გეწყინებათო.

არ გვართმევდა ფულსაც. ძალით შეუგდო კაკაჩიამ მანქანაში.

ეს იყო სულ.

## მარინა

რუსი რომ გვჯობია კულტურით, რათ უნდა ამას ლაპარაკი. ამასწინათ, მევედი სახლში სადილობაგადაცილებულზე. სადაა ძღაბი-თქვა, ცოლს ვკითხე. წეხათ მაქვს, პირველ რიგში მანანას მევიკითხავ. თვრამეტი წლის გოგოა. ახლაა მაგი საზდევი და სამწყემსარი. მეცადინეობენო, ზალისკენ მიმითითა. შევაღე კარი. მიუჯენია ჩემს გოგოს გვერდით მისი ტოლი ყვინჩილა ბიჭი და ზეპირობენ რაცხას (დამავიწყდა მეთქვა, ტექნიკუმში სწავლობს სამენეჯეროზე). „გამარჯობა ბიძიაო, მე მანანას ჯგუფელი ვარ, გამოცდისთვის ვემზადებითო“. ზრდილობიანი ბიჭი ჩანს, ცოდვას ვერ დევიდებ. „აბა თქვენ იცით, რავა მეემზადებით-მეთქი“. ამ ბოლო სიტყვას კბილით დავაწექი. შემოვუარე მაგიდას და გამოვედი. იქვე მივჯექი ლოჯში, ტელევიზორთან. გამევედი თუ არა, მოხურეს კარი. ეკლებზე ვზივარ. რავარი საქმეა, ჩემი გოგო კარმიხურულში ვინცხა ქოჩორა ლაწირაკთან. შევვარდი. ორივე კარი მოვაღიავე. „კარს რატომ კეტავთ, კარის მოკეტვა რათ უნდა მეცადინეობა-მომზადებას-თქვა“, „ტელევიზორი ხელს გვიშლისო“, ჩემმა გოგომ. „ტელევიზორი არა და, რაცხა გიშლიყენ ხელს, ქე ვიცი მე და, თუ მეცადინეობთ, ასე ქენით, ბაბაია, ორივემ. არ უნდა მაგას ბევრი ლაპარაკი თქვა!“ მოკლედ, წეიმეცადინეს, ვითომ. ღია კარებს არ მოვშორებივარ. გამეგვემშვიდობა წყნარად,

ზრდილობიანად ქოჩიცრა ბიჭი და გოუყვა თავის გზას. „გოგო ვერ ნახე, გოგო შენ. სამეცადინოდ ე მამლაყინწა რომ მომიყვანე აქანა-მეთქი?!" დოკუბრიალე თვალები ჩემს გოგოს. სანამ ის ბიჭი იყო, გლახა არაფერი მიკადრებია. „რა მოხდა მამა, ჯგუფელია, კონსპექტები არა აქვს და შემეცოდაო". „იმ მაითრახს ხომ უყურებ კედელზე", მე ვუთხარი, ბოვშობაში არ გამილახიხარ და ახლა არ ამაჭრელებიო კანჭები, მამაჩემსა აქვს ცხონება-მეთქი. უყურე ამას, შეცოდებია თურმე ჯგუფელი. შენ ვინ შეგიცოდებს, ბაბაია, ვინ გიხაითრებს, საქმე საქმეზე რომ მიდგება, თუ იცი-მეთქი. პირველია და უკანასკნელი იყოს სამეცადინოდ ბიჭის მოყვანა აქანა-მეთქი". მეტჯერ აღარ მოუყვანია. რუსი იზამდა ამას? არ იზამდა. ვერ გეტყვი, ახლა, კაი ვქენი, გლახა ვქენი, მარა სხვანაირად რომ არ შემეძლო იმ წუთში, ფაქტია.

ახლა რუსის ამბავს გეტყვი და შენ შეადარე ეს ორი ამბავი ერთმანეთს. კამათსაც ნუ დევიწყებთ. შენ თვითონ იცოდე, გულში გქონდეს შენი აზრი. ახლა, ამ დაწყნარებულ გუნებაზე რომ ვუფიქრდები, ჩემი მოკლე ჭკუით, რუსს მეტი კულტურა და მეტი გაგება აქვს. შენგან დათანხმებას არ მოვითხოვ. ისე გიყვები — ყოველიშემთხვევისთვის.

ჯარში ნამყოფი კაცი ვარ. მოსკოვთან იდგა ჩვენი დივიზია. სტროიბატში ვიყავი. საღორე მეურნეობას ვაშენებდით. ხელფასი ოცდათხუთმეტი მანეთი მქონდა. კარგად ვიყავი, არა მიშავდა. მაკლდა მხოლოდ ის, რაც ყველა ნორმალურ ჯარისკაცს ყოველთვის აკლია — გოგო.

ერთხელ სტუდენტები მეიყვანეს ექსკურსიაზე და იქ გავიცანი. მარინა ერქვა. რავარი იქნებოდა სტუდენტი რუსის გოგო, შენ ამის ახსნა არ უნდა დაგჭირდეს. არა ძმაო, არა, მსოფლიოში ყველაზე კაი ქალები რუსებს ჰყავთ; რუსის ქალი ქალი კი არ არის, ციდან ჩამოსული ანგელოზია, ტალახიდან კი არა, რძე-სანთლისაგანაა ნაძერწი და ნერწყვი კი არა, თაფლი დაუდის ტუჩ-კბილზე.

მომაკითხა მეორე დღეს. კომბატი დაძმაკაცებული მყავდა. რა ჩურჩხელა-ჭაჭასაც მამაჩემი მიგზავნიდა, ნახევარს მაგას ვაძლევდი. ერთი ღამით კი არა, თუ შევეხვეწებოდი, სამი სუტკით გამიშვებდა.

არაყი, ძეხვი, პური (ნეტავ იმ დროს, იშოვებოდა და, რაც მთავარია, კაპიკები ღირდა) ვიყიდეთ და ტაქსში ჩავჯექით. „სად მივდივართ-მეთქი“, „რაო, ქართველო, ხომ არ გეშინიაო, აქედან თხუთმეტ კილომეტრში ვცხოვრობ, ჩემთან წავიდეთო“, მარინამ.

ქვესკნელში არ წავყვები?

მოსკოვგარე დაბაში მივედით. რუსები პასიოლოკს ეძახიან. საათს დავხედე, თერთმეტის ნახევარია. ჰყინავს უბედურად.

სანამ მეხუთე სართულზე აგვიყვანდა ლიფტი, მარინამ მოასწრო ეთქვა: „მე და ჩემი უფროსი ძმა ვცხოვრობთ აქაო. მშობლები თვითმფრინავის ავარიით დაგვეღუპნენ ამ ათი წლის წინათო. ნუ გეშინია, ჩემი ძმა შინ არ არის. ლუბლინოში საცოლე ჰყავს — ბავშვიანი ქალი და იმასთან ათევს ღამესო. თვეში ერთხელ თუ მომაკითხავს-გამიხსენებსო“.

სანამ მარინა გასაღებს აჩხაკუნებდა, კარს იქიდან ბოხი ხმა მოისმა:

— კტო ტამ?!

— ესეც ოინი. ჩემი ძმა მოსულა. რა ჯანდაბამ მოიყვანა ამ ყინვაშიო, მარინამ.

ფერი მეცვალა. გაქცევა დავაპირე. არ გინდა ამ ყიამეთში ტაქსის შოვნა?

„მე ვარო, მარინამ, სტუმარი მახლავსო“.

ღია კარებში ორმეტრიანი, ოცდაათიოდე წლის რუსი დგას. მაიკა-ტრუსისამარა. ცოტა არ იყოს, მწყრალად შემომხედა. „ბოდიშიო“, თქვა და ზურგი გვიჩვენა.

მარინა ფეხდაფეხ მიჰყვა. ძმამ გაუსვა ფეხიფეხს და შეგორდა ლოგინში.

ქართველიაო, ჩემი მეგობარიაო. სვერდლოვსკიდან ტრანზიტით

მოფრინავს, ნელიოტნი დღე შეხვდა, ხვალ უნდა გაფრინდეს ქუთაისშიო. სასტუმრო ვერ უშოვია. დამირეკა. შემეცოდა და წამოვიყვანეო, ჭიკჭიკებს მარინა.

თვალით მანიშნა, იქესაა ოთახში შედიო. ოროთახიანი ბინა ჰქონდათ. გასასვლელოთახებიანი. ოთახებსშორის კარი არ ეკიდა.

შემკრთალ-გაბუსხუნებული ვზივარ მაგიდასთან, მაზარა გაუხდელი.

როგორც იქნა, წამოჯდა მასპინძელი, შარვალი ჩაიცვა, თვალების ფშვნეტით მომიახლოვდა, ხელი გამომიწოდა: – „ბორია“, მაზარა კარის გვერდზე დაჰკიდე, რანაირი ქართველი ხარ, ასეთი მორცხვიო“.

ორი ბოთლი „პშენიჩნაია“ მედო, იქეთ-აქეთ ჯიბეში. დავაძვრე და დავარტყი მაგიდაზე. მარინამ ძეხვი და პური ამოიღო ჩანთიდან.

ჩოვუჯექით. რუსი თუ დალევაზე გამოგყვა, ჩათვალე რომ ძმაა შენი.

ვსვამთ. ერთ ბოთლს მოვუძებნეთ ფსკერი. მე ჩემი მიჭირს: არ დათვრეს და არ გამაგდოს ამ ყინვაში სახლიდან. ახლა ქეა გვრიტივით, მარა რა ვიცი, რავარი სიმთვრალე აქვს. თანდათან დავმშვიდდი და სიმხნევე შემემეტა. ეს დალოცვილი ბორია სვამს და ვითომც არაფერი. ამის დამთრობი ვარ მეე? არა და ვერ ვსვამ, ვიღას დოვუმალო, არაყი თავიდან არ მიყვარდა. არც ღვინის სმაში ვყავარ გამჩენს გულბაათ ჭავჭავაძე.

თანაც თავიც ქე მინდა ფხიზლად შევინახო. რომ ადგეს და დასვიდანია დარაგოი, ზახადიტე პაჩაშეო, მითხრას, რა ქვა გავტეხო, რა წყალში ვდურთო თავი.

აშენდა ბორიას შემქმნელ-გამზრდელი, ჩემს ჭიქას ხელი დააფარა: მეტი აღარ დალიო, ღამე შეგაწუხებს, ვერ ხართ არყის ხალხი თქვენ, ქართველებიო. დაიხხა „ბუდემ, ნე ზაბუდემო“, თქვა გადაჰკრა და ბოდიში მოგვიხადა, დავიძინებ, დილით ადრე ვარ ასადგომიო.

მარინამ საიდანღაც შეზლოგინი დაითრია, თვალი ჩამიკრა და ბორისის ოთახში შეიტანა. აქ გავუშლი, შენს ოთახშიო, ნებას სთხოვს.

რატომ მაინცდამაინც ჩემს ოთახშიო? ეკითხება ძმა თავის სტუმართმოყვარე დაიკოს.

რა ვიცი, კაცია მაინცო, იღიმება მარინა.

შენი სტუმარია და შენს ოთახში დააწვინეო, ბორისმა.

მარინა, ეტყობა ელოდა კეთილი ძმისაგან ამგვარ პასუხს. შეზლოგინი აქეთა ოთახში გაშალა, თავისი საწოლის გვერდით. რომელზე გირჩევნიათ, მოსვენება სტუმაროვო, მკითხა.

ჩემთვის სულერთია-მეთქი.

სინათლე ჩავაქრეთ. დავწექით. მე შეზლოგინზე, მარინა თავის საწოლზე. ხუთი წუთის დაწოლილები არ ვიყავით, მარინა ადგა, ჩემი ჩექმები და პარტიანკები სააბაზანოში გაიტანა.

ვწევარ პირაღმა, ყასიდად თვალდახუჭული.

რა დამაძინებს.

ბორიას ხვრინვას მაინც გავიგონებდე, ცოტა გულზე მომეშვება.

„ტი ჩტო, სპიშ?“ მარინას ჩურჩული ზედ ყურისძირში ჩამესმის.

„ნეტ-მეთქი“, შეთქმულივით სწრაფად ვუპასუხე.

ხელი გამოჰყო და ჩემი შეზლოგინი ახლოს მიიჩოჩა.

„პრადვინსია ნემნოჟკო“ – ჩემს გაწევას აღარ დაუცადა, ერთი გახედა ძმის ოთახის ღია დარებს, საბანი ელვისსისწრაფით ასწია და გულზე ჩამომერგო – თბილი, ტკბილი, დამათრობელ-სუნიანი, ვნებისაგან აკანკალებული.

მოვიქციე კბილებში მისი ლამაზი, დაბერილი ტუჩები.

– ჩჩჩ...!!! ოსტოროჟნო სუმასშედში...

ვისაც შეზლოგინზე უმუშავია, დამეთანხმება რომ შეზლოგინი მთლად მოსახერხებელი საწოლი არ არის და, რასაც გვერდიგვერდ წოლა ჰქვია, სწორედ რომ თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ე

მანდა ორი არსებისაგან აკუწულმა საწოლმა ბორია არ დააეჭვოს-მეთქი და მარინას შევთავაზე:

რამენაირად... ასე გვერდულად მოვაწერწოთ, შენც თუ მოინდომებ შევძლებთ-მეთქი. ბორიას არ გაეღვიძოს, მეშინია, ეშმაკს თვალი არა აქვს-მეთქი.

შენ ხომ არ გაგიჟდი. თავს გავიწვალებ, მეტი არა მაქვს საქმეო. რა დროს შიში და მორიდებააა, ძლივს ლოგინში ვართ ორივენიო. შენ ფიქრი ნუ გაქვს, არ იცი, რა დუშკა ძმა მყავსო.

რაც მომივა, მომივა-მეთქი და ავიწყვიტე. ცოტა შეზმუვლება ვიცი იმ დროს, მარინასაც ასე ხცოდნია. ერთმანეთის რიგრიგობით ვაფარებდით ტუჩებზე ხელს. ნამეტანიც არ შეიძლებოდა.

გამთენიისკენ ლოგინზე ავჩოჩდით. დაცლილ-გასავათებულებს, ერთმანეთისთვის ტუჩკბილმიშვერილებს, ერთმანეთის სუნთქვით მთვრალებს, ისე ჩაგვეძინა, არ გაგვიგია.

ვიღაც მანჯღრევს. ოთახი სინათლეს გაუჩახჩახებია. ბორია მადგას თავზე. მარინა კედლისკენ გადაბრუნდა. წამოვიწიე. ვაი თუ დამიშვას ცხვირპირზე ეს ფუთიანი მუშტი-მეთქი. ტანში გამცრა.

– დასვიდანია. პრასტი ჩტო, რაზბუდილ. უჟე ვოსემ ჩასოვ. სკაჟი ეტოი დურე, ჩტობი ნა ლეკციაზ ნე ოპაზდალაო". წუხელის მორჩენილი არაყი ჭიქაში ჩასცალა, „ნუ"-ო თქვა და გადაჰკრა.

არ ადგეთ, კარს მე თვითონ ჩავკეტავო, გამიღიმა და ხელი დამიქნია.

მერეც კაი ხანს ვატრიალე ლოგინში წაღმა-უკუღმა მარინა, გემრიელი და გადასარევი როგორ არ იყო, მარა მთლად ისეთი ვერ იყო, როგორიც ღამით. ჯერ ერთი, მოთენთილი იყო, ეძინებოდა და, მეორეც, საერთოდ დილით არ არი ქალი ისეთი... თუ აკრძალული ხილი უკეთესია... არ ვიცი. შენ უკეთ გეცოდინება. მე ამ საქმეში დიდი გამოცდილება არა მაქვს.

# დამშოშმინებელი

ვიცით ყველაფერი, ვიცით არც ჩვენ გეხატებით გულზე, მაგრამ ახლა ბუტიაობის დრო არ არის. სამოქალაქო ომის ზღურბლზე ვდგავართ. უნდა წამოხვიდე და აფოფრილ ხალხს სიტყვა უნდა უთხრა. სწორედ შენა ხარ საჭირო. გაფიცულები შენისთანა გაშუალედებულ, ორივე ხელისუფლებასთან ოპოზიციაში მდგომ კაცს უფრო მოუსმენენ. იქნებ დააშოშმინო. უკვე მეხუთე მოქალაქე ჩამოაგდეს ტრიბუნიდან. დარწმუნებული ვართ, შენ მოგისმენენო.

დაფიცებული მქონდა ამ ხელისუფლების სასარგებლოდ თითს არ გავანძრევ-მეთქი, მაგრამ ფიცი იმიტომ გავტეხე, რომ საქმე სისხლისღვრის აცილებას შეეხებოდა. თუ ჩემი გამოსვლით აქოჩრილ, უკმაყოფილო ხალხს ხუთიოდე წუთით ჩავაფიქრებ, ესეც დიდი მიღწევა იქნება და თავს როგორ დავზოგავ-მეთქი.

გზაში დიდხანს ვფიქრობდი, როგორ დამეწყო სიტყვა. ჩვეულებრივ, როგორც სხვები იწყებენ — „თანამემამულენო, საშიშროება კარზეა მომდგარი. ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას. ცეცხლს ნუ ეთამაშებით!“ — აქ არ გამოვა. მაშინვე სტვენას მოჰყვებიან და შემაწყვეტინებენ. რაღაც ახლებურად, სხვანაირად უნდა დავიწყო. პირველ ფრაზას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ამ ქალაქში უცხო როდი ვარ. ბავშვობა აქ გავატარე. ბოლო ხუთი წლის მანძილზე ორჯერ თეატრში შემოქმედებითი საღამო მქონდა. ორივეჯერ ზღვა ხალხი მოვიდა. რა ტაში, რა ყვავილები. მთელი ცხოვრება მის მზეს ვფიცულობდი და რატომღაც მეგონა, ჩემი სიყრმის ქალაქში სხვაზე მეტად ვუყვარვარ-მეთქი.

ოთხს აღარაფერი აკლდა წყალწითელას აღმართი რომ ავიარეთ და ზედ თეატრის მოედანზე დავეშვით.

მანქანიდან პირდაპირ ტრიბუნისაკენ გამაძვრინეს მასპინძლებმა.

– უნდა გვიშველო ბატონო თორნიკე, რამე ისეთი უნდა უთხრა ხალხს, თქვენ რომ იცით, თქვენა ხართ ჩვენი იმედი, თვარა წასულია ჩვენი საქმე! – ყურში ჩამძახოდა ქალაქის გამგებელი და შემოჯარულ ხალხს განზე სწევდა – გაატარეთ, გაატარეთ, ბატონი თორნიკე ჩამობრძანდა, სიტყვა უნდა თქვას.

მიტინგის წამყვანმა ჩემი გვარი რომ გამოაცხადა, დაახლოებით ხუთიათასი კაციდან ხუთიოდემ უგემურად გაუტყაპუნა ხელისგულები ერთმანეთს.

ნერვიულობისაგან ენა გამიშრა.

ოღონდ პირის გაღებამდე არ მისტვინონ, იმდენი პატივი მაინც მცენ, ორწუთიანი სიტყვა ჩამამთავრებინონ და ალარაფერს დავეძებ. ჩემს ჭკუაზე რომ ესენი აღარ გაივლიან – ფაქტია და რა უნდა ვუთხრა, კაცმა რომ თქვას, ამ გუნებაწამხდარ ხალხს – რომელი სოლომონ ბრძენი მე ვარ ან ილია ჭავჭავაძე?

და მაინც, რაკი ჩემი წიგნები ამ ქალაქში ყოველთვის უსწრაფესად ხაღდება, რაკი კრიტიკაც ხშირად შენიშნავდა, თორნიკე თევზაძემ თავისი ნოველებით თავის ქალაქს ძეგლი დაუდგაო, რაკი, სულ რაღაც გუშინ, საყვარელ მწერლად მიხმობდნენ, არ შეიძლება ჩემი არ სჯეროდეთ, თუ ბოლომდე არა, იმდენად მაინც, რომ მომისმინონ. ასე დავიწყე:

– მეგობრებო, დარწმუნებული ხართ თუ არა, რომ მე თორნიკე თევზაძე სულელი არა ვარ?!-

ერთწამიანი პაუზა.

მართლაც რომ ორიგინალური დასაწყისი მოვიფიქრე. ზრდილობით სავსე ქალაქია. „როგორ გეკადრებათ, ბატონო, თქვენზე ვინ იტყვის მაგას: სხვა სხვა არის და თქვენ თქვენ ხართ. გისმენთ!“ – ალბათ გულში ეს გაიფიქრა უმეტესობამ, რაკი გაჩუმდნენ. ეს კარგი ნიშანია. ჩანს მომისმენენ.

– ხომ ხართ დარწმუნებული რომ მე სულელი არა ვარ?! – გავიმეორე.

– არა!

დაიძახა ვიღაცამ წინა რიგიდან.

ამით ყველაფერი დამთავრდა. მეგონა, ღვთის რისხვა დატრიალდა ჩემს თავზე. სიტყვას უკვე მნიშვნელობა და ფასი აღარ ჰქონდა.

ვინც „არა“ გაიგონა, ყველამ გაიცინა ჩემს გარდა. იმ „არას“ თუნდაც ერთი-ორი კაცის პროტესტი რომ მოჰყოლოდა, ცოტა იმედი მაინც იყო. ახლა ეს იმედიც ჩაქრა.

„აბა კარგად იყავით-მეთქი“ და, ტრიბუნას მოვშორდი.

# კუ

„კუ სამგვარია: ხმელეთის კუ, ზღვის კუ და ჭაობის კუ. კუს ჯავშანი ორი ძვლოვანი ფარისაგან შედგება — ზურგის ფარისაგან და მუცლის ფარისაგან, რისთვის სჭირდება კუს ასეთი სქელი და მაგარი ჯავშანი? მხოლოდდამხოლოდ მტრებისაგან თავდასაცავად. ზამთარში კუ მის მიერვე ამოთხრილ ორმოში წვება და ზამთრის ძილს ეძლევა“ — გვითხრა ოდესღაც ზოოლოგიის მასწავლებელმა და გვაჩვენა კუს სურათი კი არა, ნამდვილი კუ. ერთადერთი ცხოველი, რომელიც მხოლოდ იმიტომ შემორჩა სკოლის „ნატურალისტთა კუთხეს“, რომ შესანახავად იოლი და გამძლე გახლდათ. ვინ მოსთვლის ონავარი ბავშვები ამ პრეისტორიულ ცხოველს რანაირად ვაწვალებდით. ახლა, სიბერეში შესულს, მრცხვენია რომ გავიხსენებ. ვედროიან: წყალში ვაყურყუმალებდით (რამდენ ხანს გაძლებსო), ბაკანზე კაკალს ვამტვრევდით და მგონი ფეხ-ბურთსაც ვთამაშობდით გულადმა ამოტრიალებული ჯავშნით. მაგრამ კუ სრულებითაც არ იყო ისეთი სუსტი და უმწეო, როგორიც ზოგიერთს ეგონა. მაშინაც, მასწავლებელმა იგი მაგიდაზე რომ დადო და კუს მეცნიერულ დახასიათებას გულმოდგინედ შეუდგა, ველის ბინადარმა საკლასო სიჩუმეში

ნელ-ნელა გამოყო ხვლიკისმაგვარი თავი, მერე ჯავშნიდან ფეხებიც გამოაძვრინა, მიიხედ-მოიხედა და დაიძრა. საკმარისი იყო მასწავლებელს ჯავშანზე სახაზავი მსუბუქად დაეკრა, რომ კუმ, აქაოდა, ჯერ ჩემი ამინდი არა დგასო, სწრაფად შემალა თავის გრანიტისებურ სახლში ნაოჭებიანი თავი და სუსტი ფეხები. ერთხელ ყური მოვკარი: კუ სამას წელიწადს ცოცხლობსო და იმის მერე კუს დანახვისას ერთსადაიმავეს ვკითხულობდი — რამდენი წლის იქნება-მეთქი. ამ სამიოდე წლის წინათ მადაგასკარზე, აფრიკის ქვეშით, ვიხილე სამასი წლის კუ, რომელიც ზუსტად ჰგავდა ჩვენი სკოლის კუს, ოღონდ გაცილებით უფრო დიდი (გიგანტური) იყო.

ასე რომ, კუს სახიათში ახალგაზრდობის „გიჟმაჟი" წლებით არაფერი იცვლება. კუ არის კუ — მორჩა და გათავდა. ახალგაზრდა და ბებერი კუ, ამ ცნებათა ჩვეული გაგებით, არ არსებობს. არის კუ დიდი და კუ პატარა. გაქცეულ-ამჩატებული, რომ იტყვიან — ატროკებული კუ ჯერ არავის უნახავს. სიდინჯემ, ბაკანმა, პირობებთან შეგუების უნარმა განაპირობა, ალბათ, მისი ღრმა ხანდაზმულობამდე სვლა ამ ოღროჩოღრო წუთისოფელში, მაგრამ კაცია და გუნება — ამ სტრიქონის ავტორი კუს ბედში სახარბიელოს ვერაფერს ხედავს. კუს ნაბიჯებით დიდხანს და მოსაწყენად ხოხვას სამასი წლის მანძილზე, ჯიხვის ფათერაკიანი სიცოცხლე სჯობს — ჯიხვის სხლტომა-გრიალი კლდეებზე და წარაფებზე რქათა ჯახანი, თვალშეუდგამი მწვერვალებიდან ძირს ხეობის ცქერა, უჯავშნო, შიშველი, ოღონდ ამაყი ნადირის დგომა ფათერაკის პირისპირ.

ჩვენს ინსტიტუტში ორმოცი წელი მოათია ილო მესამლემ. შემეძლო მეთქვა „იმუშავა"-მეთქი, მაგრამ ეს მუშა-სიტყვა შეუფერებლად მივიჩნიე, რადგანაც ილოს იმ გაგებით, რასაც მუშაობაში შენ გულისხმობ, ძვირფასო მკითხველო, არასოდეს უმუშავია. მან უბრალოდ ხანი დაჰყო, დრო გაიყვანა, წლები მოათია. ფელეტონისტის ენაზე რომ ვთქვათ, — სკამს უდარაჯა ორმოცი წლის განმავლობაში და ეს ნოველაც, რაღა თქმა უნდა,

არ დაიწერებოდა, სიკვდილის წინ ბატონ ილოს ისეთი ნაბიჯი (ალბათ ერთადერთხელ მის გარეგნულად მშვიდ ცხოვრებაში) რომ არ გადაედგა, რაც ყველასათვის მოულოდნელი და უცნაური აღმოჩნდა.

რატომ გამახსენდა კუზე საუბრისას ახლი ჩაინცდამაინც ილო მეხამლე? ახლა კი არ გამახსენდა, რაც ილოს შევხვდი, იმის შემდეგ ჩემთვის კუსა და ილოს ხსენება ცალცალკე არ არსებულა. მოვკრავდი თუ არა ყურ-თვალს კუს, მაშინვე ილო გამახსენდებოდა, შემხვდებოდა ინსტიტუტის დერეფანში ილო და თვალწინ წარმომიდგებოდა კუ. მეხამლე გარეგნულად საოცრად ჰგავდა კუს. ზუსტად იმგვარი მოყვანილობის [illegible] ჰქონდა როგორც კუს და ჩავარდნილ კისერიან აღმააქაჩული პიჯაკი სწორედ რომ ბაკანს მოგაგონებდათ. ხიბერეში, კისერზე ნაოჭები რომ ძაეხვია, ილო მეხამლე უფრო დაემსგავსა კუს, ოღონდ ახლა უფრო მულტფილმის სათვალიან კუს ჰგავდა.

ახლა ხასიათს არ იკითხავთ?

ზედმეტად ფრთხილი, ზოზინა, გადაუწყვეტელი, [illegible], საკუთარი ჩრდილის მოშიში, – პიროვნების ეს [illegible], რომელთაც კუს ბუნებასთან საერთო არაფერი აქვს, მეტნაკლებად ახასიათებდა „მეცნიერ“ ილო მეხამლეს პიროვნებას, მაგრამ ეპითეტთა ამ გვირგვინს კუსთან ერთადერთი შეხების წერტილი ჰქონდა – ილო შინაგან მეს ერთბაშად კი არა, ათეული წლების განმავლობაში ამჟღავნებდა. თავს მხოლოდ მაშინ გამოჰყოფდა ბაკანიდან, როცა უხიფათოდ იგრძნობდა თავს. იმდენად გაურკვეველ-გადაუწყვეტელი იყო, რომ გეგონებოდათ, თავისი ხიცოცხლე კუსავით სამასი წლის მარაგზე აქვსო გათვლილი. „მე არ ვიცი“, „მე არ მეხება“, „მე ვერ ჩავერევის“ ჯავშანს ამოფარებული მიათრევდა ილო თავის უგემურ წლებს წუთისოფელში.

სიახლე-ცვლილებებს ვერ იტანდა. სულ იმის შიში ჰქონდა, დროის ქარბორია მას არ შეხებოდა. გულს არასოდეს გაგიხსნიდა. მოხმენით მოგისმენდა. თუ რამეზე შენს აზრს

ცხარედ გამოთქვამდი, არ შეგაწყვეტინებდა, შიგადაშიგ თავსაც დაგიქნევდა, თითქოს გეთანხმებოდა კიდეც. ბოლოს, თუ ჰკითხავდი: შენი აზრი მაინტერესებს, რას იტყვიო, მეყვსეულად გიპასუხებდა: ვერაფერს გეტყვი, არ დავფიქრებულვარ, ჩემი აზრი არ გამაჩნიაო. ამით შენს ნალაპარაკევსაც შორს დაიჭერდა და განანებინებდა კიდეც, ასე გულახდილად რომ ესაუბრე.

იმ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნოდა, ორად ორ ნაშრომს რომ ჰქმნიან ცხოვრებაში — საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებს. იშვიათად ისიც ხდება, რომ იმ ორ ნაშრომში მცირეოდენი მეცნიერული სიახლე მაინც არის, ილო მეხამლის „მემკვიდრეობას“ კი სიახლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა, როგორც მკაცრი რეცენზენტები იტყვიან ხოლმე კონსპექტურ-კომპილაციური ხასიათისა იყო. მგონი, ესეც მეხამლის პიროვნებიდან იღებდა სათავეს — სიახლისა ეშინოდა. ფიქრობდა, თუ რამე ორიგინალურს იტყოდა, მაშინვე მიიპყრობდა ყურადღებას, ყურადღების მიპყრობას კი მისი „აღმოჩენის“ შესახებ „განსხვავებული აზრის“ დაბადება მოჰყვებოდა. სწორედ პაექრობას, პოლემიკას, განსხვავებულ აზრს უფრთხოდა ილო. უნიჭო კაცი არ იყო, მაგრამ დისერტაციებად, ბევრი ეცადა და, სწორედ ისეთი თემები შეარჩია, სიახლე სათაურშივე რომ გამოირიცხებოდა. სულ მეორე პლანზე, სულ ჩრდილში მდგარი, სულ სხვათა სახელს ამოფარებული „მუდმივი მოწაფე“ ილო მეხამლე მისი აღმზრდელ-მეცნიერი სხვა — ინსტიტუტის დირექტორად რაკიღა გადაიყვანეს, კათედრის გამგედაც კი აირჩიეს. არ ელოდა, ბოლომდე „თავი არ ელირსებოდას“ პოზაში იდგა. სხვა, ულირს დაწინაურებულთაგან განსხვავებით არასოდეს დაუჯერებია, რომ ჩვენს ინსტიტუტში მეცნიერების ერთ-ერთ დარგს სარდლობდა. ერთი რამ კი ირწმუნა, რაკი კათედრის გამგეობა ერთხელ მანდეს, თავი მოუმეჭრება რომ გადამირჩიოსნო და ყველაფერი გააკეთა სკამის გასამაგრებლად. უსაფრთხოების მიზნით კათედრის წევრებად თავისი ორი ბიძაშვილი და ბოლოს საკუთარი ვაჟიშვილიც მიიღო. ნიჭიერ

და გაბედულ, როგორც ინსტიტუტში უყვართ თქმა — პერსპექტიულ ახალგაზრდებს არნახული ოსტატობით იცილებდა კათედრიდან — თვითონვე ეხმარებოდა დაწინაურებაში. ზოგს ლაბორატორიას უხსნიდა, ზოგს პრორექტორობისაკენ უკვალავდა გზას, აქაოდა ეშმაკს არ სძინავს, ემანდ კათედრის გამგეობაში არ შემეცილონო.

თუ ქვეყანაში რამე ისტორიული ძვრა ხდებოდა, ილო მეხამლე ავადმყოფობას მოიმიზეზებდა და მაშინვე გაქრებოდა თვალსაწიერიდან, ორი თვის მერე „ხანგრძლივი მკურნალობიდან დაბრუნებული" თვალს აწვევდა ახალ ვითარებას, ოღონდ ისე მოზომილად, რომ არც წარსულს ლანძღავდა, არც ახალს ასხამდა ხოტბას. ვინ იცის, რა მოხდებაო, ფიქრობდა, იქნებ ერთხელ კიდევ შეტრიალდეს ფარა და კოჭლი ცხვარი წინ მოექცესო.

სიფრთხილის ნაცადი მანქანებით — ილო მეხამლემ ოცდათორმეტი წლის მანძილზე შეინარჩუნა კათედრის გამგის თანამდებობა. ბოლო თხუთმეტ წელიწადში სწავლული მდივნები მის ხელახლა არჩევას „შეუცვლელობის" პრინციპით ასაბუთებდნენ. არა და, თუ ვინმეს შეცვლა შეიძლებოდა იოლად, სწორედ რომ ილო მეხამლისა, თუმცა მის, აწ უკვე მხცოვან აღმზრდელ-მეცნიერს უკან მობრუნების სურვილი აღარა ჰქონდა, ხოლო პერსპექტიულნი, როგორც მოგახსენეთ, საიმედოდ იყვნენ „დაბინავებულნი".

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ილო მეხამლის მსგავსი ადამიანები ცხოვრებაში იშვიათად როდი გვხვდებიან და მწერლებსაც ამ ნოველის ავტორზე უკეთ ჰყავთ ისინი დახატული კლასიკური ლიტერატურის მშვენება — რომანებსა თუ მოთხრობებში, ამიტომაც ილოს ზოგად დახასიათებას თავს გავანებებ და ახლა უშუალოდ კვანძის გახსნას შევეცდები.

1993 წლის 28 სექტემბერს შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწემ მოახსენა, პროფესორი ილო მეხამლე აუდიენციას გთხოვთო. რაზე შეწუხებულა, თუ იცით, ჰკითხა პროფესორის

ვიზიტით გაოცებულმა მინისტრმა, რა მოგახსენოთო, მხრები აიჩეჩა თანაშემწემ.

„შინაგან საქმეთა მინისტრს

ბატონო მინისტრო

მე, პროფესორმა ილო მეხამლემ 1993 წლის 9 აგვისტოს ქრთამი ავიღე აბითურიენტ (აწ უკვე სტუდენტ) გია ლექვინაძის მამის – ალექსანდრე ლექვინაძისაგან. ქრთამი შეადგენს 2 მილიონ კუპონს. მივიღე იგი, როგორც გამომცდელმა, რომელმაც 4 აგვისტოს ქართულ წერაში ნიშანი მოვუმატე ალექსანდრე ლექვინაძის ვაჟს აბითურიენტს (აწ უკვე სტუდენტ) გია ლექვინაძეს. ქრთამი ავიღე სრულიად ფხიზელ მდგომარეობაში, დანაშაულის სრული შეგნებით. ქრთამის გამღების მხრიდან ყაძალებას ადგილი არ ჰქონია.

გთხოვთ აღძრათ ჩემს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე და დამაპატიმროთ.

პროფესორი ილო მეხამლე, 27.09.93 წ."

მინისტრმა განცხადება განზე გადადო, სათვალე მოიხსნა და კუ-ადამიანს მიაჩერდა.

– თქვენი დაწერილია ეს განცხადება, ბატონო ილო?

– დიახ.

– რამ გაიძულათ?

– რა, განცხადების დაწერა? სინდისის ქენჯნამ;

– იქნებ შიშმა?

– რატომ გგონიათ.

– სინდისის ქენჯნამ ქრთამის აღებაში რატომ არ შეგიშალათ ხელი?

– ვერ გეტყვით.

– მე გეტყვით: თქვენ უბრალოდ შეგეშინდათ. იფიქრეთ, რომ ეს დანაშაული არ დაიმალებოდა. ან ალექსანდრეს წამოცდებოდა სადმე, ან მის ბიჭს და შეგეშინდათ. თქვენ რა, ქრთამი პირველად აიღეთ?

– პირველად. გამოცდებზეც პირველად გავხდით. მთელი

ცხოვრება გავურბოდი მისაღებ გამოცდებს, ვერიდებოდი სახელის გატეხვას.

–„წმინდა ბერი წმინდად წაწყდაო“, ხომ გაგიგონიათ. ორი მილიონი თქვენ დაუთქვით?

– არა. თვითონ მომიტანა.

– რა იცოდით, რომ ორი მილიონი იყო?

– რომ წავიდა, დავითვალე.

– გეცოტავთ, თუ გებევრათ?

– შემაძრწუნებლად ბევრი მომეჩვენა.

– რამდენს ელოდით?

– არაფერს არ ველოდი. მე მგონა მადლობის სათქმელად მოვიდა. ფული რომ ამოიღო, არ ვიცი, რა დამემართა, იმ წამიდან მხოლოდ ის მახსოვს, რომ მინდოდა ჩქარა წასულიყო.

– ფული მაგიდაზე დადო?

– დიახ.

– თქვენი ოჯახის წევრებიდან გაიგო ვინმემ?

– ღმერთმა დამიფაროს.

– რა უყავით იმ ფულს?

– ნახევარი მილიონი შემომეხარჯა, დანარჩენი თან მოვიტანე.

– რაში შემოგეხარჯათ?

– წვრილმანებში. მეორე დღეს, ერთი კილო ყველი და ერთი კილო კარაქი ვიყიდე. ჰო, ატამი მიყვარს ძალიან და ატამიც ვიყიდე, მგონი სამი კილო.

– შინ რომ მოიტანე, გაეხარდათ?

– უფრო გაუკვირდათ.

– საერთოდ თქვენ დადიხართ ბაზარში?

– დავდიოდი.

– ახლა ვინ დადის?

– ჩვენი ოჯახიდან არავინ.

– რატომ?

– იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მე კათედრის გამგეს, პროფესორს ოცი ათას კუპონს მაძლევენ თვეში.

– ხზვები ბევრად ნაკლებს იღებენ.

– ვიცი.

– როგორ ფიქრობთ, კიდევ შეძლებთ ქრთამის აღებას?

– როგორ კიდევ?

– რომ არ შეგშინებოდათ და ეს განცხადება არ დაგეწერათ.

– ალბათ ავიღებდი.

მინისტრმა განცხადება კიდევ ერთხელ გადაიკითხა. სიგარეტს მოუკიდა და საფერფლეს ჩამოადო.

) – და მაინც, ბატონო ილო. ამ ფაქტის გამო თქვენზე არც საქმეს აღვძრავთ და არც დაგაპატიმრებთ.

– ეს როგორ, თქვენ უფლება არა გაქვთ.

– რამდენი წლის ბრძანდებით?

– სამოცდაცამეტის.

– წაბრძანდით შინ. თქვენთვის არ გვცალია. ქვეყანა ყაჩაღებით გაივსო. ეგღა მაკლია პროფესორი ჩავსვა ციხეში. მეტი კი არ უნდათ ჩემს მტრებს. პროფესორებს იჭერს და მაფიებს მფარველობსო, ქვეყანას მოსდებენ.

– არსადაც არ წავალ, – ხმა აუკანკალდა ილოს. – თქვენ ისე უნდა იმოქმედოთ, როგორც კანონი მოგიწოდებთ!

– თქვენ მექრთამე არა ხართ. სამოცდამეცამეტე წლისთავზე პირველად, საეჭვო გარემოებაში თქვენს მიერ ქრთამის აღება მე პირადად დანაშაულად არ მიმაჩნია.

– სამოცდაცამეტს რა მნიშვნელობა აქვს?

– თქვენ სოციალურად საშიშ პიროვნებად აწი ვეღარ იქცევით, თქვენი იზოლირება საჭირო არ არის.

– კატეგორიულად მოვითხოვ თქვენგან დამაპატიმროთ! მე თქვენი შენდობა-შეცოდება არ მჭირდება და ენის მოჩლექითაც ნუ მელაპარაკებით.

– არ დაგაპატიმრებთ. გთხოვთ წაბრძანდეთ შინ და ის დარჩენილი კუპონიც მშვიდობაში მოგახმაროთ ღმერთმა.

– მე... მე თქვენ გიჩივლებთ! – პროფესორს ადამიანისფერი აღარ ედო.

– თქვენი ნებაა.

* * *

ამ საუბრიდან სამი დღის შემდეგ ილო მეხამლეს გული გაუსკდა.

დაასაფლავეს საბურთალოს სასაფლაოზე, ახალ პანთეონში, აფხაზეთში დაღუპული ბიჭების სიახლოვეს.

სამგლოვიარო მიტინგზე გულისამაჩუყებელი გამოუხატხოვარი სიტყვები წარმოთქვეს პირადმა მეგობრებმა და მეხამლის ღვაწლის დამფასებელმა სხვა პირვებმა.

დაკრძალვისას საარტილერიო ზალპი, რასაკვირველია, არ გაისმოდა.

## პირტახია

ორმოცდაექვსი იყო, თუ ორმოცდაშვიდი, აღარ მახსოვს. ყოველ შემთხვევაში ახალი დამთავრებული რომ გასლდათ ომი, წყალი არ გაუვა. ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭი ვიყავი მე. არ ვიყავი მეტის. სექტემბრის ბოლოს, წვიმიან დღეს სიმინდს ვარჩევდით კოლმეურნეობის საწყობში. საწყობი, მაშინ, კანტორის უკან, გრძელი შენობა იდგა ხის. დაანგრიეს მერე. სტალინის სიკვდილამდე იყო ეგ ამბავი. დაანგრიეს და იქვე ააშენეს ქვის საწყობი, ახლა რომ გარეთ ბოქლომი ადევს და შიგნით თაგვები დავლურს უვლიან. არ გაამართლა, უნდა ვთქვა პირდაპირ, ქვის საწყობმა. ნესტს იღებს ცემენტი და ნესტი აფუჭებს, რასაკვირველია, სიმინდს. საწყობში ვიყავით ყველა – მოხუცი და ახალგაზრდა, ჯარიდან დაბრუნებული ხეიბარი და ჩემსავით ტუტუცანა ბიჭი, დანიშნული და დასანიშნი, დღედღეზე გასათხოვარი და შინაბერაც. მერე მოგვიანებით,

დალპა ყველაფერი, თვარა დიდი ეშხი ჰქონდა კოლმეურნეობას ნამდვილად. ვერ გეტყვი, რისი ბრალია. ერთად ყოფნას აქვს რაღაც სილამაზე და სიხალისე ალბათ. იყო ერთი ხუმრობა, გადაძახილ-გადმოძახილი, ტარო-ნაქურჩლის ერთმანეთისთვის სროლა, სიმღერა, სიმინდის ფოჩებისაგან ულვაშების გაკეთება და ბუდიონ-ხაზიობა. სიცილ-კისკისში გადიოდა დრო. ვეჯიბრებოდით ერთმანეთს, ვინ მეტ ტაროს მოაქუჩებდა. შენ წარმოიდგინე, იმ ხუმრობა-ჯღანაობაში ყველაფერი მოდიოდა, თუ ჰკუა და ეშმაკობა გიწყობდა ხელს. „მოდი, ძღაბო, გადმოგორდი სიმინდზე, ბარაქა იცისო“, არ ასვენებდნენ ტანკენარ, გავაფართოთ, ლამაზ-ლამაზ გოგოებს კაცური. კაცი ოხერია. „წადი, წადი, დამანებე თავი, ხომ გადავგორდი ერთხელ!“ „კიდევ გადმოგორდი, შე აშენებულო, რა გეხარჯება“. ეხვეწებოდნენ. გოგოებიც (ვითომ არ უნდოდათ) გაიღებდნენ მოწყალებას და კიდევ ერთხელ გადაგორდებოდნენ ყვითელ სიმინდზე. იყო მერე ჩქმეტა და უადგილო ადგილას ხელის შევლება. მოჰყვებოდა ამას, ხანდახან, ტკბილად ნათქვამი — „შე საზიზღარო“ და ისე, გაუმეტებლად, სიყვარულით, ლოყაში გატკაცუნებაც. ამის გარდა, ცოტა არ იყოს, გვარიანი დიდი ეშმაკობებიც კი ხდებოდა, ჩვენს შორის რომ დარჩეს. ბავშვი ვიყავი, მაგრამ იმდენი მიხვედრა კი მქონდა, შემემჩნია, ჯერ ვნებიანი ჩურჩული და მერე უცებ დასერიოზულებული ქალის ნახევარსაათიანი გაუჩინარება სოფლის არშიყთან (მიხეილ ჯავახიშვილი რომ „მუსუსს“ ეძახის) ერთად. განსაკუთრებით ღამით რომ ვარჩევდით სიმინდს, მაშინ ხდებოდა ასეთი რამეები.

ახლა იმ წვიმიან დღეზე გეტყვი. სადილობა მოახლოებული იყო, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ — ვარლამ ნადარაიამ რომ შემოაღო კარი და გამოაცხადა: დაისვენეთ ახლა, ცოტა ხანს, ამხანაგებო, გერმანელი ექიმი მოგიყვანეთ. ვისაც რა გტკივათ, არ დაუმალოთ ამ პატიოსან კაცს და თავისუფალი იქნებით ყოველგვარი სენისაგან. გერმანელია ეს, არ გეგონოთ სხვა ვინმეო.

ვარლამს გვერდით ედგა ხელჩანთიანი, საშუალოზე დაბალი, მსუქან-მსუქანი, ყვითელთმიანი, ფრენჩიანი კაცი, თავმჯდომარის ყოველ სიტყვაზე თავს ღიმილით რომ იქნევდა და გრძელი თმა შუაზე ისე ჰქონდა გაყოფილი — პეტრე პირველს რომ აქვს სურათებში.

საღ მოძებნე გერმანელიო, ჰკითხა ვიღაცამ. გერმანელს კი არა, რუსს არ გაევლო მანამდე ჩვენს სოფელში. მეფართლე ურია თუ შემოივლიდა ხონიდან მომავალი და ეგ იყო. ჩვენს სოფელში უცხო ტომის კაცი იშვიათზე იშვიათი გახლდათ.

ასე უპასუხა ვარლამმა კითხვას:

„მარტვილში თათბირი რომ დამთავრდა რაიკომის მეორე მდივანმა ჯგერენაიამ შემიყვანა კაბინეტში და გამომიცხადა: „გადაეცი შენი სოფლის მშრომელებს ჩემი კომუნისტური სალამი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისთვის. ბეჯითობისთვის გერმანელი ექიმით გაჯილდოვებთ. ჩამოართვი ამ კაცს ხელი. ფრედი ჰქვია სახელად. ქუთაისიდან მომყავს. ძლივს ჩავიგდე ხელში. ყველანაირ დაავადებას არჩენს. სასწაულმოქმედიაო, რომ იტყვიან, ისაა ნამდვილად. წაიყვანე სოფელში. გაასინჯე, ვისაც უჭირს. უშველის, არ უნდა ლაპარაკი. ნამეტანს ნუ გადაღლით. პატივი ეცით ამაღამ. არ დაათროთ. არ დაალევინოთ ღვინო, თორემ გერმანელები თავრიანი ხალხია. უარის თქმა არ იციან დალევაზე და არ შემიწუხოთ ეს ძვირფასი კაცი. ფრედი რომ ჰქვია ვიცი და ტყვე რომაა ეს ვიცი კიდევ. მეტი არ ვიცი არაფერი. ახლა მალე გაუშვებენ მაგნებს ყველას. ტყვე ჰქვია ისე, სახელად, თვარა ვინ გაუბედავს „პლენის“ რეჟიმში ჩაყენებას. როგორც გაეხარდება, ისე დადის. ოქრო ექიმია. მოხვენება არა აქვს საწყალს. ერთი კვირით გამოვღლიტე ქუთაისს ხელიდან. ნახოს ერთი ჩვენი კუთხეც, შეავლოს თვალ-ხელი ჩვენს ხალხს. აბა შენ იცი. თიკნის ხორცი უყვარს მაგას და ადესა ღვინო. არ შეირცხვენთ მგონია თავს. ხვალ დილით ამომიყვანე, თუ კაცი ხარ. ცხენით გადმოდით აბედათზე. ბჟერის მთაზე გადმოდით პირდაპირ ცხენით. ჭყონიდან არ მოუაროთ, შორია“.

სანყოფის აივანზე სამი „ტაბურეტის" სკამი მოურბენინეს გერმანელს. ერთზე თვითონ დასვეს. მეორეზე ხელჩანთა დაუდვეს და მესამე თავისუფალი დაუტოვეს – ავადმყოფისთვის.

ზვითოს რომ შემოესხდებიან ცნობისმოყვარენი, ისე შემოვეწყვეთ გერმანელს. პირველი ვერ ბედავს ვერავინ გასვლას ექიმის წინაშე.

იხვეწება ვარლამი, ასე ვთქვათ: ამდენი კი არ ცალია, დაიხურავს ქუდს (გერმანელს ქუდი არ ეხურა), წავა და უყარე მერე კაკალი. გამოდით, თუ გამომსვლელები ხართ. ყველაფერი უცნაური თქვენ რავა უნდა მოიგონოთ. ქუთაისელები თავპირს ალეწავენ ერთმანეთს ამ კაცთან მოსწრებაშიო.

– კი მაგრამ, ვარლამ პატონი, რა ენაზე ავუხსნა, რაც მტკივა, მე მაგას – იკითხა სამოცდაათს გადაცილებულმა მესიმინდემ კიწი ჯგერენაიამ.

– გამოდი შენ, კიწი ბატონო, და თვითონ მიხვდება მაგ ყველაფერს. გერმანელია მაგ. ის არ გეგონოს, ის – დააიმედა ნადარაიამ.

გაბედა კიწიმ გამოსვლა.

გერმანელმა იმ საღამოს თხუთმეტიოდე კაცი გასინჯა და ავადმყოფებთან ურთიერთობაში „ბიტეს" გარდა სხვა სიტყვა არ უხმარია. ჯერ მისალმება მეგონა „ბიტე". მერე „რას უჩივი, პირიმე", მერე „გააღე პირი და გადაყლაპე ეს აბი", მერე „ასწიე პერანგი ჭიპს ზემოთ", მერე „ნახვამდის, ნუ გეშინია მალე მორჩები". თანაც ხან ერთ „ბიტეს" ამბობდა, ხან კი, შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით „ბიტე-ბიტეს". „ბიტეს" გარდა ექიმმა ბლომად დახარჯა იმ დღეს თეთრი აბი, რომლის სახელწოდებაც საიდუმლოებით მოცული დარჩა ჩემთვის. ჩანთას გახსნიდა, ამოიღებდა კარამელი-კამფეტის კოლოფივით ლამაზ ჭრელ კოლოფს, ორ აბს გაუწვდიდა პაციენტს (წყალს არ აყოლებინებდა), „ბიტე-ბიტეს" ძახილით გადააყლაპებდა და გულიანად გაიცინებდა: არ ვიცი, რაზე ეცინებოდა. მგონი, ავადმყოფის შეძრწუნებული სახის დანახვაზე – მშრალად რომ

ყლაპავდა წამალს. მერე, მოგვიანებით, გავიგე რომ მშრალად წამლის გადაყლაპვა აუცილებელი სრულებითაც არ ყოფილა. მე მგონი, ეს იყო გერმანელი სპეციალისტის უწყინარი ხუმრობა. მერედამერე, ვიდას დავუმალო, მე გერმანელის მკურნალობის მეთოდმაც დამაეჭვა და განსაკუთრებით იმ „სასწაულმოქმედი“ თეთრი აბის უნიკალობაზე ვფიქრობდი, მაგრამ ეს იყო ჩვენს სოფელში ტყვე-ექიმის ვიზიტიდან ოცი წლის შემდეგ. ერთ დღეს, ღრმად მოხუცებული, თავისუფალ, გაერთიანებულ გერმანიაში მცხოვრები ფრედი ამ ნოველას, რასაკვირველია, ვეღარ წაიკითხავს, მაგრამ არ შეიძლება არ ახსოვდეს სოფლის ექიმი პარმენ პირტახია, რომელმაც ცოტა არ იყოს, ეიფორიული განწყობილება შეუცვალა რეინის ნაპირებზე აღზრდილ სტუმარს და აიძულა მკურნალობაზე პირტახიული მეთოდისთვის მეტი რიდით და პატივისცემით შეეხედა.

— ოჭიშის ვღურექ, ბატონი, ოჭიშის! („წელი მკლავს, ბატონო, წელი“ — თავისუფალი თარგმანი, რ. მ.) — ამოიოხრა კიწიმ და წელზე მიიდო ხელი. — ბიტე! („გასაგებია“) — თავი დაუქნია გერმანელმა. მოხუცი თავდაყირა დააწვინა, ცერა თითები დააჭირა კუდუსუნის ზემოთ და რამდენჯერმე ამოიაყოლა.

— ბიტე! („არ შეგეშინდეს“) — აჯახა მერე და ელვისსისწრაფით ზურგზე მოექცა. მიუხედავად კიწის საპროტესტო ყვირილისა, მუხლებით დააწვა ზურგზე და ათჯერ მაინც გაუსვ-გამოუსვა. მერე წამოდგა, ზურგზე ხელი გაუტყაპუნა, ბლუზა-პერანგი თავისი ხელით ჩამოუწია, ორი აბა გადააყლაპა და „ბიტებიტეო“ („მორჩენილი ხარ, კარგად იყავიო“) დაემშვიდობა.

— მუჭო რექ, კიწი? — გაუბედავად ჰკითხა ვარლამმა.

— ჯგირო, პატონი, ჯგირო! — დაბეჯითებით მიუგო კიწიმ და წელზე ხელები შემოიდგა — თაშ ქიპიიდა, მუ მიჭირხ („თუ ასე ვიქენი, რაღა მიჭირს“).

რაღა ბევრი გავაგრძელო, ძიგი ლაბარტყავას შუბლი ხტკიოდა და მზეს მიუშვირეთ, ურჩია ექიმმა, მიკანდრო

ხურციას კუჭის ტკივილის სამკურნალოდ პილპილი, ქმარი და მარილი აუკრძალა. ყოველგვარი თარჯიმანის გარეშე, თვალსაჩინოების მეთოდის გამოყენებით ყველას ყველაფერს აგებინებდა. ჩანთიდან ამოიღო, შუშაში ჩასხმული ქმარი (ცხვირთან მიუტანა მიკანდროს), კვანტი მარილი და წმვანე პილპილი. სამივე ერთად დაიდო ხელისგულზე და ხურციას ყურში ჩასჯახა — ვარი!

— ქო, ბატონი, ქო, — თავი დაუქნია მიკანდრომ.

გაბუნიას ლამაზი ქვრივის გასინჯვის დროს გერმანელმა ზედმეტი ცნობისმოყვარეობა გამოიჩინა. ქალს წელზე ხელი შემოჰხვია და აწევა დაუპირა.

„მუ ოკო მინჯეღურელს?!“ („რა უნდა, ამ უპატრონოს?“) — საყოველთაო ხარხარსა და ქვრივის ღიმილ-ხიწითლეში ექიმმა პაციენტს ხელი უშვა. ჩანთიდან მწვანე თოკის ნაჭერი ამოიღო, ქვრივს წელი გაუზომა, მერე გავა-მკერდიც გაუზომა და, რჩევით არაფერი ურჩევია, ორი აბი გადააყლაპა. მე მგონი გაბუნიას ქვრივს არაფერი აწუხებდა. ახლა ვხვდები, მას უბრალოდ გერმანელი ექიმის ზხელის შევლება სურდა.

— მცოდნეა, არ უნდა ლაპარაკი, — ჩაილაპარაკა ვიღაცამ ჩემს ზურგსუკან.

— ტყუილი არ თქვა. მცოდნე იქნება, აბა, რა იქნება. გერმანელია, ეს არ გეგონოს, შენ, პარმენ პირტახია.

პარმენის გაგონებაზე, ვარლამმა არ აცია, არც აცხელა, დაიჯახა:

— რა კარგი გამახსენეთ. პარმენს მივუყვან, ნახოს ერთი, საინტერესოა.

პარმენტი სოფლის ბოლოში, კვადაცის ჭალისპირას ცხოვრობდა. გერმანელი ექიმის ამალაში მეც შევერიე. ცნობისმოყვარეობა მკლავდა, როგორ შეხვდებოდა ერთმანეთს ორი დოსტაქარი. ესეც არ იყოს, პარმენის ეზოში მანამდე არასოდეს ვყოფილვარ. ტრიფოლიატის მაღალი ღობით შემოსილ ეზოს ავი ძაღლები დარაჯობდნენ.

დაძახილზე პირტახია გამოგვეგება. ვარლამმა მოსვლის მიზეზი აუწყა და სტუმარი წარუდგინა.

— მოზოჯით, პატონი!

პირტახიას ეზოს დანახვაზე პირი დავაღე. მე ვინ ვიყავი, გაოცება გერმანელმაც ვერ დამალა.

ცაცხვის ქვეშ ორი პაციენტი თავდაღმა ეკიდა.

ხელში კარგად გათლილი კეტები ეჭირათ და როცა მოისურვებდნენ იმ კეტს ეყრდნობოდნენ.

აქეთ ოცდაათიოდე წლის შავწვერიანი კაცი ხის ჯორცხენზე გადამჯდარიყო და მარცხენა ფეხზე დოლაბი ება.

ლაფაროხთან თავხაფარწაკრული, პირდოლბანდიანი ქალი ფუნით ხავსე კასრში იჯდა და დროგამოშვებით ექიმს გასძახოდა.

— დივჭვი პატონი, მიბად, მიბად („დავიწვი ბატონო, მეყოფა, მეყოფა“).

— ბიტე, ბიტე, ბიტე — იმეორებდა გერმანელი წამდაუწუმ. თუ მისი ხაზის გამომეტყველების მიხედვით ვიმსჯელებდით, ეს ნიშნავდა „ყოველივე რაც ვიხილე, უცნაურია, მაგრამ დასაშვებიაო“.

დაუშვებელი თურმე წინ გველოდა.

მელხკამზე ხუთიოდე ყმაწვილი გამწკრივებულიყო.

იქვე, ნელ ცეცხლზე შედგმულ ქვაბში დანა-ჩანგალი და კოვზები ეყარა.

პარმენ პირტახიამ ერთი ყმაწვილი იხმო.

კუნძზე დასვა.

სარეცხის ხაპნით გადაიბანა ხელი.

ქვაბიდან მონიკელებული დიდი რუხული კოვზი ამოიღო (ზოგან „სტოლის კოვზს“ ეძახიან, ზოგან „ხაბიორშე კოვზს“), ყმაწვილს პირი დააღებინა, ჯერ ენაზე დააჭირა კოვზი. მერე არ გაინძრეო, გააფრთხილა პაციენტი. კოვზი ტარამდე ჩათხარა პირში, ელვისხისწრაფით დაუტრიალა, სისხლიანი კოვზი მოისროლა, აღრიალებულ ბიჭს თავი დააწევინა, ბიჭის პირიდან

ხისხლ-ბალღამის შაღრუყანმაც იფეთქა და გერმანელმაც დაიქუხა:

— ნაინ! ნიქს! ნიქს! ნაინ!

გერმანელი ხელებში ეცა პირტახიას და რაღაცას განწირულივით ჩასძახოდა. ხტუმარს ადამიანისფერი აღარ ედო.

აშკარა იყო გლანდების ამოკვეთის პირტიხიასეულმა ხერხმა აღაშფოთა გერმანელი.

— მუშა რე ითამ საქმე? (რაშია ვითომ საქმე?") — იკითხა ვარლამ ნადარაიამ.

— მიჩტ, პატონი მიჩქ, ენეფი შხვანერო აკეთენა („ვიცი, ბატონო, ვიცი, ისენი სხვანაირად აკეთებენ") — მშვიდად მიუგო პირტახიამ და კუნძზე მეორე ყმაწვილს უხმო.

ამ უკანასკნელის ღრიალი ჰიშკრისმიღმა დაგვეწია.

## ომობენ მთავრობები

გეოლოგი გახლავართ მე და, რა ჩემი ახსნა გინდათ, აღმა-დაღმა წანწალი ჩემი ხელობაა. ამ ხეტიალში ათასი ჯურის ხალხს შევხვედრივარ, სად არ დამღამებია და ვის ჭერქვეშ არ გამითევია ღამე. ამიტომ, რასაც ახლა გეტყვი, წიგნში წაკითხული ან სხვისგან გაგონილი არ გეგონოს, ჩემით მივედი ამ დასკვნამდე. ეს ჩემი „დასკვნა" დიდი აღმოჩენა და ფილოსოფია არ არის, მაგრამ ჩემია და ყველას მინდა გავაგებინო. ვინ იცის, ვის სად გამოადგება.

მისმენ? დაიმახსოვრე: უბრალო ადამიანები არასოდეს არ იწყებენ ომს. ომობენ მთავრობები. თუ რამე არ უნდა მშრომელ კაცს (ყაჩაღსა და თულხზე არ გეუბნები), ესაა ჩხუბი და დავიდარაბა. ხანდახან მგონია, ხელისუფლება რომ არ

არსებობდეს საერთოდ, ხალხი უფრო წყნარად და წესიერად იცხოვრებდა. სათავეში რომ არ იმღვრეოდეს წყალი, ერთმანეთის მორის საზღვარსაც უფრო გავარკვევდით და გასაყოფი თუ რამე გვექნებოდა, თოფიან კაცს არ ჩავრევდით საქმეში. მშვიდობიანად, განსჯა-გაზომვით მოვაგვარებდით ყველაფერს.

კაცი თუ ხარ, ადამიანი თუ ხარ, ადამიანი უნდა გიყვარდეს. ღვთის გაჩენილია ყველა და ყველას თავისი ადგილი აქვს ამ ქვეყანაზე. გაოცებას ვარ, კაცო, ვერაფრით ვერ ამიხსნია. ჯერ კიდევ როდის თქვა ჩვენმა ხულკურთხეულმა წინაპარმა „იქნება ვეფხის დედაი ჩემზე მწარედა სტირისაო". ახლა კი, აგერ, მეოცე საუკუნის ბოლოს დაჯდება ენაგატლეკილი კაცი და დაიწყებს: ეს ამნაირია, ის ხალხი იმნაირია, ესენი ჩვენი ძმები არიან, ისინი კი ჩვენი მტრები გახლავან, იმათ ვუყვარ-ვართ ჩვენ — ქართველები, იმათ — ვძულვართო.

სისულელეა, იცოდე შენ, ეს ლაპარაკი. არავის არ ვუყვარვართ და არავის არ ვძულვართ. არავინ არავისი მტერი არ არის. ერთა მტრობა და სისხლისღვრა პოლიტიკოსების მოგონილია. ადამიანები ერთმანეთს დაეძებენ და ერთმანეთს ენდობიან. მითუმეტეს ამ ჩვენს კავკასიაში, სადაც კლდე-ღრეს შეხიზნული კაცი წელიწადში ერთხელ თუ წააწყდება სხვას, ჩამოსულს, სტუმარს. მონატრება იცის შენსავით თიხისაგან მოზელილმა არსებამ და, რაკი, მომთაბარე ცხოვრების გადამკიდე, შენც შეიძლებოდა ხვალ-ზეგ სტუმრის როლში აღმოჩენილიყავი, კავკასიაში განსაცვიფრებელი სტუმარმასპინძლური ადათი დამკვიდრდა. რომელ შუღლზე და სიძულვილზეა ლაპარაკი.

უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, დაღესტანში გამანაწილეს. იქ გეოლოგიურ პარტიაში ვმუშაობდი გეოლოგ-სამუშაოთა მწარმოებლად. უცოლო ბიჭი ვიყავი. ერთ ავარიულ აულში პატარა ფიცრული შევჭედე, პატარა ეზოც შემოვღობე და ვცხოვრობდი ჩემთვის. ორმოცდაათიანი წლების ბოლო იყო. ზუსტად გეტყვი: ორმოცდათვრამეტ-ორმოცდაცხრამეტი წლები. ეზოს შემოღობვაზე გამახსენდა. ლეკების აული, თუ გაქვს

წარმოდგენილი, ჩვენი მთის სოფლებს ჰგავს. ეზოები, რა თქმა უნდა, არა აქვთ და, მითუმეტეს, შემოღობილი. მე იმერელი კაცი ვარ და ვერაფრით ვერ ვიგუე შემოუღობავი ეზო. უნდა გენახათ, რა გაკვირვებით მიყურებდნენ ლეკები ეზოს შემოღობვა რომ დავიწყე. ერთმანეთს შორის ჩურჩულებდნენ თურმე: რას აკეთებს, რა ჩაიფიქრა ნეტავ. ეს მერე გამიმხილეს. ათისთავი ვიყავი-მეთქი ქე გითხარით. სამქებრო სამუშაოებზე ძირითადად ლეკები მუშაობდნენ. მე რა პატივი უნდა მეცა მათთვის, რასაც აკეთებდნენ ზუსტად ვუწერდი უწყისში და ფულსაც გამომუშავების მიხედვით ღებულობდნენ. ახლა რომ მკვდარი სულები და მიწერა-მაიმუნობებია, მაშინ არ იყო. და, მიუხედავად ჩემი „კანონის კაცობისა“, მთელს აულს თვალში რომ ჩავვარდნოდი, თითს არ ამოისვამდა. რა კეთილშობილი ხალხი ცხოვრობდა, რომ იცოდე, იმ აულში. ჯერ იყო და მთელ სოფელს თავის სტუმრად მივაჩნდი და ხაჭო-რძე-ყველი არ მომკლებია. ცხვარს რომ დაკლავდნენ, კარგ ნაჭერს პირველს მე მომართმევდნენ. იქ მაინცდამაინც უცხო კაცის გადაპატიჟებ-გადმოპატიჟება არ უყვართ, მაგრამ რა ბედნიერი იყო, ვის მიწურშიც შევიხედავდი. ყველაზე ლამაზ მუთაქას დამიდებდნენ და ხალიჩაზე ყველაზე საპატიო ადგილზე დამსვამდნენ. ვფიცავარ სამ შვილს, თუ ტყუილი გითხრა, რამდერჯერ ყოფილა ბატკნის ბეწელს გავუღვიძებივარ დილით. გადავიხედავდი და დახტუნაობს ბატკანი ჩემს შემოღობილში. ვინ დატოვა, ვინ მიფეშქაშა, რისი გულისთვის? დღესაც გამოცანად რჩება. მთავარი ის არი, რომ ლეკმა შენ — სტუმარს, გადმოგიგდო ბატკანი ეზოში და გაიარა. არც შეგაწუხა თავისი ვინაობის შეტყობინებით. ამ საქციელს ის კარგი მხარე ჰქონდა, რომ ყოველ ჩამვლელ-შემხვედრს ვუღიმოდი და ვცდილობდი სიკეთე ყველასთვის გადამეხადა.

ახლა შარშანდელ ამბავს გეტყვი. საპენსიო ასაკმა მომიწია, მაგრამ მოქმედ გეოლოგობას არ ვეშვები. ასე მგონია, როგორც კი მუშაობას თავს დავანებებ, მოვკვდები-მეთქი.

შარშან, 14 აგვისტოს დაიწყო ხომ აფხაზეთის ომი, ერთი კვირის ჩასული ვიყავი ადიღეში. მივლინებით გახლდით. ძველი ხელშეკრულების ნარჩენი პუნქტები უნდა შემესრულებინა. გეოლოგიურ-მინერალოგიური რუკა უნდა შემედგინა ხურუმშის რაიონის. ხოფელ აცაში ვცხოვრობდი ბესლან აძკრბას სახლში. ბესლანს ერთი ვაჟი ჰყავდა — თემური. თემსაბჭოში მოანგარიშედ მუშაობდა. ომი დაიწყო და წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა — ადიღეში ვარ. საერთოდ, აფხუური ენა ადიღეურის დიალექტია, ისე განსხვავდება აფხუური ადიღეურისაგან, როგორც, ვთქვათ, იმერული დიალექტი კახურისაგან. მართალია აცაში აფხუები არ ცხოვრობენ, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს. ფაქტიურად აფხეუბი და ადიღეველები ერთი ხალხია. და მე, როგორც პოლიტიკოსები იტყვიან — „საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის“ წარმომადგენელი სტუმრად ვარ „მტრების“ ბანაკში. თოთხმეტ-თხუთმეტ და თექვსმეტ აგვისტოს არაფერი უგრძნობინებიათ ჩემთვის მასპინძლებს. ბესლანი დილდილაობით ისევ ჭიქა არაყზე მიხმობს და მხარზე მკოცნის, მის მეუღლეს ცხელი ხაჭაპური და კეცზე შემწვარი წიწილი შემოაქვს და, რომ იტყვიან, ძვირფასი მასპინძლობით ყელამდე ვარ სავსე.

ჩვიდმეტში, ასე შვიდი საათი იქნებოდა, შემოვიდა თემური ჩემთან. ტახტზე წამომჯდარს, ნუ წუხდებითო, ადგომა არ დამანება, მაგიდას მიუჯდა და კარგა ხანს თავჩაქინდრული იჯდა. რასაკვირველია, ვიცოდი რაშიც იყო საქმე, უმძიმდა ლაპარაკის დაწყება. მე ბარგი შეკრული მქონდა და წასვლას ვაპირებდი, მაგრამ სუხუმისკენ შვეულმფრენის რეისი შეწყვეტილი იყო, ხოლო ტყვარჩელისკენ მხოლოდ რაიონის ცენტრიდან მიფრინავდა და ისიც ათ დღეში ერთხელ. ეს იყო ჩემი შეყოვნების მიზეზი, თორემ წამოსვლას, რასაკვირველია, ომის დაწყების დღიდანვე ვაპირებდი. განა მეშინოდა, არ მინდოდა ჩემს გამო უსიამოვნება შეხვედროდათ მასპინძლებს.

— რატომ გააკეთეს ეს თქვენებმა? — კედელს შესცქერის და ისე მეკითხება თემური.

– რა გააკეთეს? – ყრუდ, ხსვათაშორის, ვუბრუნებ კითხვას.

– რას გვერჩიან, რატომ დაგვეცნენ ტანკებით. რატომ გვართმევენ ჩვენს მიწას?!

– რომელ თქვენს მიწას, თემურ?

– სოხუმს, გაგრას, გუდაუთას, ოჩამჩირეს, თქვენ რა, არ იცით, რომელია ჩვენი მიწა?

– საქმეც იმაშია, ჩემო თემურ, რომ მე ვიცი, მაგრამ თქვენ არ იცით. როდიდანაა თქვენი მიწა, სოხუმი და ბიჭვინთა, ან გაგრა და გუდაუთა?

– ჩვენ კი არა – აფხუების, თქვენ აფხაზებს რომ ეძახით – თითქოს მოიბოდიშაო ბესლანის ვაჟმა.

– თემურ, იცი თუ არა შენ, რომ ადიღე შენი სამშობლო, მეთორმეტე საუკუნეში მთლიანად საქართველოს ფარგლებში იყო მოქცეული. საბუთი გინდა? თქვენი სოფლის ბოლოში რომ თამარის ეკლესიაა, როგორ ფიქრობ, საიდან გაჩნდა ამ ადიღეურ სოფელში თამარის ეკლესია? ახლა შენ მითხარი, თუ არის სადმე სოხუმში, გაგრაში, გუდაუთაში ან მთელი დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე წარსულში აფსუების ცხოვრების კვალი? ან ეკლესია, ან მეჩეთი, ან ძველი საცხოვრისი? სანთლით რომ ეძებო, ვერ იპოვი. ხომ ხედავ, მე – ქართველს უფრო მეტი საბუთი მაქვს იმისათვის, რომ ვამტკიცო ადიღე ჩემი მიწაა-მეთქი, მაგრამ არასოდეს თავში არ მომივა ამის ფიქრი. ადიღე თქვენია და ღმერთმა კეთილად მოგახმაროთ. ასე რომ, ქართველები არა თუ აფსუებს, არავის არასოდეს არ ართმევდნენ და არც წაართმევენ თავის მიწას.

– ტანკებით და ზარბაზნებით ხომ თქვენ შემოიხვედით, ჩვენ ხომ არ შემოვსულვართ?!

– სად „შემოვედით“ თემურ, ჩვენ არსად არ „შემოვსულვართ“ ჩვენ ჩვენს სახლში ვართ...

მკითხველს აღარ გადავღლი ჩვენი მოსაწყენი საუბრით. მოკლედ თემური ბრალს გვდებდა, მე ვუმტკიცებდი რომ არ იყო მართალი, მაგრამ თემურს ჩემი საბუთები არ აინტერესებდა.

ხმას უწევდა, აქოჩრილი იყო, თვალს ვერ მისწორებდა. მოკლედ ჩხუბის ხასიათზე გახლდათ, ამ ლაპარაკში კარებში ბესლან აძკრბა გამოჩნდა.

— აძვიჯანბაჯჰკრზე? — წარბშეკვრით ჰკითხა თემურს.

— აძჰმცდზჯბჰკა! — განზე გაიხედა შვილმა.

და მოხდა სრულიად მოულოდნელი. ბესლანმა ხანჯალი დააძრო და შვილისაკენ გაიწია. გამძვინვარებულ მასპინძელს ხელში რომ არ ვცემოდი და თემური კატის სისწრაფით განზე არ გადამხტარიყო, უბედურება დატრიალდებოდა.

— აპატიეთ სულელს, ბატონო, ახლანდელმა რეგვენებმა სტუმრის ფასი არ იციან! — სიბრაზე-სირცხვილისაგან ტუჩები უკანკალებდა ბესლანს.

— რას ბრძანებთ ბესლან, ბატონო. ჩვენ მშვიდად ვსაუბრობდით, თემურ კარგი ვაჟკაცია.

— კარგი მოუვა მაგის ცხვირს!

* * *

მეორე დღეს ბალახისბილიკიან „აეროპორტში“ სამნი მაცილებდნენ: ბესლან აძკრბა, მისი მეუღლე და თემურ.

ბესლან ნაწყენი იყო რომ წასვლა არ დავიშალე. მისი მეუღლე წამდაუწუმ ხელს მართმევდა და ხელისგულზე თავის შემჭკნარ, მაგრამ საოცრად ნაზ ხელს მისვამდა.

წვიმდა, მაგრამ ჩემი მასპინძლები ფეხს არ იცვლიდნენ.

შვეულმფრენისკენ მიმავალს თემურ დამეწია. კიდევ ერთხელ გადამეხვია და ისე, რომ სხვებს არ დაენახათ, პიჯაკის ჯიბეში გაზეთშემოხვეული რაღაც ჩამიდო.

ცაში გავხსენი ნაჩუქარი და ცრემლი მომერია:

ბესლან აძკრბას შვილმა ვერცხლით მოჭედილი ძველი, მამაპაპეული ხანჯალი მაჩუქა.

ა, ეს არის სიმართლე, ბატონო.

ახლა ხომ ხვდებით, რატომ გითხარი, ომს პოლიტიკოსები იწყებენ და უბრალო ხალხს სასაკლაოზეც ისინი ჰგზავნიან მეთქი.

# სიზმარი

> შენ, შენი სამშობლოსავით უიღბლოს,
> გიძღვნი ამ სტრიქონებს, შვილო, აჩიკო...

მატარებელი ცისფრად განათებულ სადგურში გაჩერდა.

სამსართულიანი, უფანჯრო თეთრი შენობის უკან და მაღლა მუქლურჯი, ვარსკვლავებით მორაზტულ-მოჭედილი ცა ჩანდა, სწორედ ისეთი „თანამგზავრის“ ილუმინატორიდან რომ ჩანს ხოლმე.

ბაქანზე ქანდაკებასავით მდგარი თეთრმოსასხამიანი ადამიანები ერთბაშად ამოძრავდნენ და ვაგონებისკენ წამოვიდნენ.

იმ წუთში ვიცანი. აჩაბაჩად, მაგრამ აჩქარებით ჩემსკენ გულდაგულ, დაჯერებით წამოსული.

— ბაჩა!

გამიღიმა და ხელი დამიქნია. როგორც იცოდა, სხარტად, ერთი ნახტომით ამოვაგონდა, დიდი, ცისფერი თვალები შემომანათა. გადავეხვიე, დავუკოცნე შუბლი, თვალები, თმები. დამეტოლა, თავზე გადამისვა ხელი და ცხვირთან მიიტანა.

— გაგასწარი, თუ არა!

— გაზრდილხარ, — ვუთხარი და ვიგრძენი, ყელთან როგორ გამენასკვა ცრემლი.

— აბა, რა გეგონა.

მარჯვენაზე შუათითი, როგორც აკლდა, ისევ ისე აქვს.

ჩემს ჩანთას ხელი დაავლო და ჩამიძღვა.

შადრევანთან ჩამომჯდარ ორ თეთრმოსასხამიან ბიჭს გასძახა:

— წადით თქვენ, მამაჩემი ჩამოვიდა.

თბილი სიო ჰქრის საიდანღაც, „მეტროს“ კარებში რომ უბერავს ისეთი.

— რა იცოდი, რომ ჩამოვდიოდი?!

— დილით გამოაცხადეს.

ზღვისბალახისფერ მოლზე მივაბიჯებთ.

– დედიკო როგორ არის?

– როგორ იქნება, შენი შემყურე.

– კარგი ახლა, ნუ დამიწყებ. იცი, მე თვითონ როგორ განვიცადე ეს ყველაფერი? ყველაზე მეტად დედაჩემი მეცოდება. შენ მაინც კაცი ხარ და, გამიგებდი.

– სად ცხოვრობ?

– აქვე ახლოს. შეხედე, მაგნოლიის მარცხნივ თეთრი კოტეჯი რომ დგას – ჩემია. რა კარგია, მე და შენ ერთად ვიქნებით.

– არ მოგწყინდა უჩვენოდ?

– როგორ ფიქრობ, არ მომწყინდებოდა?

– საჭმელს ვინ გიკეთებს?

– მე თვითონ. ხომ არ დაიღალე. ფერი არ მომწონს შენი.

– უცებ თავბრუ დამეხვა. ეტყობა, ჰაერმა დამცადა, – მართლაც, ძლივს ვსუნთქავ. ხელი შემაშველა.

– ჩამოვჯდეთ, აგერ.

ზეთისხილის ქვეშ ბალახზე ვზივართ. ხული მოვითქვი. შიშით გავყურებ. ვიცი რომ აწი ველარავინ წამართმევს მის თავს, მაგრამ მაინც შინაგანი განგაშის გრძნობა მაქვს. ასე მგონია, ისევ უნდა დავშორდეთ ერთმანეთს. ასე მეშინოდა ხულ, ოცი წლის განმავლობაში.

– მაინც რა გვიქენი, აჩიკო. ღმერთმა ნუ გამოგაცდევინოს, შვილო, რაც მე და დედაშენს დაგვმართე. რაც შენ წახვედი, თვალებზე ცრემლი არ შეგვშრობია. შენმა ღიმილმა, შენმა ტანსაცმელმა გაგვხრიხა, აღარ ვართ მეტი. ვიდეოზე შავლეგოს გადაღებული შენი ორიოდე კადრია ვატრიალებთ და ვღრიალებთ. არც გამიგია, როგორ გავიდა ეს დრო. ერთი ფიქრი მქონდა მხოლოდ – ჩქარა გათავებულიყო ყველაფერი და შენთან წამოვსულიყავი.

– ახლა? დედაჩემი მარტო რომ დარჩა?

– რა? გეცოდება? საერთოდ, გაქვს შებრალების გრძნობა? იქ, ზევით რომ არ გქონდა? ნუ გეშინია, დედაშენი ცოტას მიალაგ-მოალაგებს იქაურობას და წამოვა.

– კარგი რა. ისე მელაპარაკები, თითქოს მე მინდოდა სიკვდილი. ვერც კი გავიგე, ნაღმის ნამსხვრევი საიდან მომხვდა.

– გეტკინა?

– ტკივილით არა. თითქოსდა მეხი დამეცა. რაღაც დამეტაკა ბეჭში და წამაქცია.

– მერე?

– სიკვდილის არ შემშინებია. პირველი, რამაც გამიელვა, ეგ იყო, რა გადაურჩება მამაჩემის ჯაჯღანს-მეთქი.

– სულ სიფრთხილეს ჩაგჩიჩინებდი.

– იქ არაფერი ისეთი არ იყო. საერთოდ, ფრთხილად ვიბრძოდი. არ გითხრეს ბიჭებმა?

– ფრთხილადღ, აბა! სიცოცხლეშივე იყავი წარდგენილი ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენზე. ეგ არი სიფრთხილე?

– თავის გამოჩენა მინდოდა. შენი შვილი ვარ, რა გიკვირს?! – იღიმება, თითქოსდა რაღაცას მიმალავს. თვალებში დაღლილობა და სევდა უდგას.

– სხვანაირად გამოგეჩინა თავი. ხომ გეუბნებოდი, შვილო, ნუ წახვალ, ნუ დაგვღუპავ-მეთქი.

– ვინმე ხომ უნდა წასულიყო. მე რა ოქროს კოჭი ვიყავი. ვერ დავიმალებოდი, მამაჩემო. თუ სიმართლე გინდა, შენი გულისათვის წავედი. რადიო-ტელევიზორში რომ გაჰყვიროდი – სამშობლო დავიცვათ, ხალხს იმას ვათქმევინებდი, თავისი შვილი გადამალაო?

– იმასაც ხომ გეუბნებოდი: ეს უთანასწორო ომია. იმპერია გვებრძვის და ქართველები განწირული ვართ-მეთქი.

– მერე რა, განწირულ ქართველებს არ უნდა ეომათ? ერთგანაც გითქვამს, აქ აჩბავი ჩამოიტანეს – მოტყუებული ჩვენი შვილები დაიხოცნენო. ჩვენ მოტყუებული არ ვყოფილვართ, მამაჩემო. ჩვენ კარგად ვიცოდით, რაზეც მივდიოდით.

– მაგრამ, როცა ბრძოლაში ებმები, გამარჯვების ცოტა შანსი

მაინც ხომ უნდა გქონდეს. ხომ ხედავდი, მთელი წელი ბომბავდნენ სოხუმს და ჩვენ თვითმფრინავიც არ აგვაფრენინეს. სოჩაში კაპიტულაციაზე ძალით მოგვაწერინეს ხელი, განგვაიარაღეს და მერე მაინც დაგვესხნენ თავს იარაღ-სასოწართმეულებს. მუხანათობა ამაზე შორს ვერ წავა.

— ეგ ყველაფერი პოლიტიკაა. მე მეომარი ვიყავი.

— მაგრამ შენი სიკვდილით მარტო შენ რომ არ კვდებოდი, ხომ უნდა გცოდნოდა; მთელი დარჩენილი სიცოცხლე ნელ ცეცხლზე საწვავად რომ გაგვიმეტე მე და დედაშენი.

— მე შენ უფრო მაგარი მეგონე, მამა. ჩვენ ხომ ძმაკაცები ვიყავით. რა მოხდა, შე კაი კაცო, ომი მარტო ჩვენთვის ხომ არ იყო. ომში წასული კაცი ან დაბრუნდება, ან ვერა.

— შენთვის ადვილი სათქმელია. მორგში რომ დაგინახე გულშენგრეული, ამსიგრძე ბიჭი გაშოტილი, ჩემი ნაფერები ბაჭულია, რაღაც მოკვდა ჩემში იმ წუთიდან; სხვა კაცად ვიქეცი, უფრო სწორად, კაცად კი არა, ცოცხალ ლეშად. აღარაფერი აღარ მესმოდა.

— ისევ შენს თავზე ლაპარაკობ. ადამიანი მაინც ეგოისტია, როგორც ჩანს. შენი მწუხარება გაწუხებს. მეც შენი და დედაჩემის წუხილის გამო ვწუხდი სიკვდილის წინ, თორემ სიცოცხლის დაკარგვა არც მიდარდია. რაც არ უნდა იყოს, ლამაზად მოვკვდი, თოფით ხელში, სამშობლოსათვის.

— მერე? ვერაფერი რომ ვერ მოასწარი? შენი სურათები და ორი ჩათვლის წიგნაკიღა რომ დაგვრჩა მაგიდაზე თავში საცემად, მე და დედაშენს და მეტი არაფერი? ესაა საქმე?

— ჩემი სიცოცხლე ხომ მე მეკუთვნოდა, მამაჩემო. როგორც მინდოდა, ისე გავხარჯე. რად უნდა ამას ამდენი მოთქმა და ზარი.

— შენ გეკუთვნოდა, მაგრამ შენი სიკვდილის მერე დანაშაულის გრძნობა მტანჯავდა, ვერ დავიფარე, რაღაცაში მოვტყუვდი. არ უნდა გამეშვა-მეთქი.

გაიცინა თავისი ლამაზი ხითხითა სიცილით:

– ხომ ვერ დამაბამდით ოცი წლის კაცს.

– და მაინც იქა ვარ, რომ განწირული იყავით შვილო, შენც და ხზვებიც. რა ვაჟკაცურადაც უნდა გებრძოლათ, აფხაზეთის დაკარგვა მაინც ზევით, ურდოში იყო გადაწყვეტილი. ეს მიღრღნის გულს.

– ვიცოდით-მეთქი, დამიჯერე, რა ურჩხულსაც ვებრძოდით, მაგრამ მაინც გავედით ბრძოლის ველზე. ახე აკეთებდა ქართველი ყოველთვის, როდის ებრძოდა ქართველი რაინდ მტრებს – ახი ახზე თვლით, მითხარი ერთი. ჩვენ ყოველთვის უთანახწორო ბრძოლაში არ ვებმებოდით?

– რა? უეჭველ სიკვდილზე წახვედით? სიკვდილი გსურდათ?!

ჩაფიქრდა წამით. მერცხლის ბოლოსავით გაყოფილ წარბზე ხელი გაისვა.

– სიკვდილი არ გვინდოდა... არა... ამას ვერ ვიტყვი... გვეგონა, მტერიც და მსოფლიოც დაინახავდა, რად გვიღირდა ჩვენი მიწის ყოველი მტკაველი... გვეგონა გაგვიგებდნენ, რომ მშობელი ქვეყნის დასაცავად დავუდექით ტანკებს წინ შიშველი ხელებით... და, ბოლოსდაბოლოს, შევეცოდებოდით... თავს გაგვანებებდნენ... ვერ გაგვიგეს... არ შეგვიცოდეს...

საათს დავხედე. ჩემი მიწიერი საათი გაჩერებულიყო.

შორიდან და სულ ახლოს, ხმადაბლა და მკვიდრად, ჟამუცვლელი, ანგელოზთა სამუდამო გალობა ისმოდა.

ჩვენ ლურჯ ბალახზე ვიჯექით და ვარსკვლავების მოზაიკისმსგავს ცას შევცქეროდით, „ყინწვისის ანგელოსის“ ფონზე უფრო მუქლურჯ ცას.

ნეკროლოგი სიკვდილის მიზეზს არ იუწყებოდა ..... 3
ამერიკა, ამერიკა! ........................ 13
საკალმახე ........................ 25
„იერუსალიმი — თბილისი!“ ........................ 30
ჰიჰიას გამოცანა ........................ 43
შეხვედრა ჩვანგოს გამოქვაბულში ........................ 49
სარდალთან ........................ 60
დახვრეტამდე ერთი წუთი რჩება ........................ 67
მე რომ მკითხო... ........................ 84
მაჩვი ........................ 88
შემკრთალი ........................ 92
იარა ........................ 95
აღარ მენატრება ........................ 99
სად წაიყვან სადაურსა ........................ 104
სამ მეტრში დავიწყებული სახელი ........................ 110
კეთილი მისიით ........................ 115
ვინ ვარ ........................ 122
თოჯინების თეატრი ........................ 128
ქრისტეფორე ........................ 134
მესამე საყვედურის მოლოდინში ........................ 141
მეცხრე ........................ 147
ვარამი ........................ 152
რა იციან მეზობლებმა ........................ 160
გამგებიანნი ........................ 166
ნუ ხტუნავ ........................ 170
ცხედარი ........................ 173
კაცია და გუნება ........................ 175
ჩვენ ........................ 179
მეტეორი ........................ 181

ოინი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 189
დამცემი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 193
გერა და მე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 203
ჭკირჭკიტია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 206
ჩანაირად... რა სინდისით . . . . . . . . . . . . . . . . . 213
თითქოს ცარცი მეჭამოს . . . . . . . . . . . . . . . . . . 215
სახელი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 225
ქარწვიმაძე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 231
რა გვჭირს? . . . . . . . 236
უცნაური ქორწილი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 244
სტალინი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 248
ბაღდადური ცოლიკაური . . . . . . . . . . . . . . . . . . 253
წარღვნისწინა ზარი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 258
აბგა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 262
ტერორი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 267
საქართველო რუსის თვალით . . . . . . . . . . . . . . . 271
თვითონვე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 274
ხელოვნება . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 278
მსმენელნი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 281
გეხვეწები, არ ჩამოხვიდე . . . . . . . . . . . . . . . . . 284
ვერ მოვისვენებ... . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 288
ლექვი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 295
ნეტავ, მომაგონა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 298
ეცადეთ, არ მოკვდეთ . . . . . . . . . . . . . . . . . . . 306
იმ ქარბუქიან ღამეს . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 310
პეტრე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 322
ძიგლი, ძიგლი, მამალო! . . . . . . . . . . . . . . . . . . 326
ბალადა „ჭონქა“ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 333
ასეა? . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 340
გამდიდრების ექვსი გზა . . . . . . . . . . . . . . . . . . 344
ყაჩაღები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 351
მარინა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 355

დამშოშმინებელი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 361
კუ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 363
პირტახია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 371
ომობენ მთავრობები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 378
სიზმარი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 384
სარჩევი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 389

МИШВЕЛАДЗЕ РЕВАЗ АВКСЕНТЬЕВИЧ

**НОВЫЕ НОВЕЛЛЫ**

**на грузинском языке**

Издательство "АЛАВЕРДИ"

1994 г.

რედაქტორი თამარ რამიშვილი
მხატვარი გიორგი ინასარიძე
კორექტორი ნინო მელიწკაური
წიგნი ააწყო და დააკაბადონა ნანა მასურაშვილმა

გადაეცა წარმოებას 7.02.94 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.06.94
ფორმატი 60X90 1/32. ნაბეჭდი თაბახი 12,5. ბეჭდვა ოფსეტური
შეკვეთა № IX -11 ფასი სახელშეკრულებო.

ტირაჟი 1 000

გამომცემლობა „ალავერდი“, თბილისი, აღმაშენებლის პრ. №189
Издательство „АЛАВЕРДИ„. г. Тбилиси, пр. Д. Агмашенебели №189

დაიბეჭდა და აიკინძა თბილისის კარტოგრაფიულ
ფაბრიკაში თბილისი ფორე მოსულიშვილის ქ. №1